1940

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

12

ლ ე კ ე მ ბ ე რ ი

თ ბ ი ლ ი ს ი
1940

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეჩვიდმეტე

F 430

12

ეროვ. ბიბლიოთ. ბიბ. ბიბ.
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

19 დეკემბერი / სახელგამი 40

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ასათიანი,
ალექსანდრე გოგმიაშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე ლოლთქიფანიძე,
ალიო მაშაშვილი (პ/მგ. რედაქტორი),
ილო მოსაშვილი,
ალექსანდრე ჟუთათელი.

რედაქცია: თბილისი, მაჩაბლის, 13. მწერალთა სასახლე. ტელ. 3-71-84.
კანტორა. თბილისი, კამოს, 40. სახელგამის პერიოდსექტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

ლექსები

პირველთქმა

მოძმენო, ყური დაუგდეთ ნათქვამს,
ჩემი მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ.
გული სტრიქონის ნაკვერცხლით გათბა
და მორიდებით მკითხველთან
შევდექ.
ეგებ მარტივად ავხსენ ყოველი
და მეჩვენება ურთულეს ფიქრად.
მაშინ წამოდგეს ჩემი მგმობელი
და უფრო რთული ოცნება მითხრას.
ჩამიტევია სტრიქონში გული,
გულში სამშობლოს ტრფიალი მიზის,
და თუ ვერ შევძელ გამოთქმა სრული,
ესეც ბრალია ხატოვან მიწის.
თუ შემრჩენოდა წინაპრის ფერფლი,
შიგ ჩავანთებდი ოცნების
კოცონს, —
რადგან დღევანდელ ცხოვრებას
ვეტრფი
და მამაპაპის ფარხმალიც მომწონს, —
მაინც ამგვარად ვამკობდი ნახატს,
რიჟრაჟის ფერსაც ვურთავდი ჟინით.
ვაყვავილებდი მთოლვარე ქალალდს,
სადაც სუნთქავდა მთვლემარე
სპლინი.
მე ოცი წელი მშობლიურ მხარის,
მებალესავით, მირწყავდა გრძნობას.
მატრიალებდა ჭალარა მტკვარი
და ქართლის მიწა მაწვდიდა ხორბალს.
მაგრამ წინათქმა, მოძმენო კმარა,
კალმის ჩრდილს მოჰყვა წამწამის
ბინდი.
სუსხზე შრიალით მაფხიზლებს ფარა
ქართლის გავლით რომ თრიალეთს
მიდის.
ანდა იღვიძებს გურამიშვილი,
ხელაპყრობილი ოცნება ქანცავს.
მისი წისქვილის ქვათა შიმშილი
ქართლის მიწიდან ელოდა მარცვალს...
მოულოდნელი სურათი აგრე
შემოეჭრება დასაკეც ფურცელს:
ხმით გააცოცხლებს პირუთვნელ
ბაგეს
და მაჯისცემით აღვიძებს ფუძეს.
სტრიქონი მხოლოდ ღელვაა გულის,
ზედ ვენახივით სიცოცხლე ხარობს.
ვერავინ შესძლო გამოთქმა სრული
და ვერ დაშრიტა უკვდავი წყარო.
სტრიქონი გულის წყაროსთან
ცოცხლობს,
მან სიყმაწვილის დასძლია სენი.
და ზედ ქალწულად ანთებულ
კოცონს,
ნდობით უცქერდენ თვალები
თქვენი.

დის დაკარგვა

როგორი გულქვა ზაფხული იყო,
დაგმწუხრებოდა შუბლი ტილოთი.
მე გაურბოდი შენს სიკვდილს
თითქო
და შიშით, დაო, ველარ ვტიროდი.
დასიცხულ წყნეთში დნებოდი ტახტზე,
როგორც ნაჭერი ღრუბლის მცირედი.
და გეცემოდა ცასკარი თვალზე
სიცოცხლისა და სუნთქვის იმედი.
შუქმილეული გვთხოვდი საოცრად
მიშველეთ რამე, მასუნთქეთ მიწით...
მაგრამ სიკვდილმა შუბლზე გაკოცა
და ღრუბელივით სიცხით დაიწვი.

მათხოვარივით გაჩნდა სიკვდილი
და ახალგაზრდა სიცოცხლე გთხოვა.
შენი ცხოვრება, მამის ჩრდილივით,
დაისს გაჰყვა და არასდროს მოვა.
აგრე დაგშორდი ვაი-ვარამით.
ვერ დაგახარჯე გრძნობები თბილი.
ეხლა საფლავთან არვინ არ არის
და მეგრულ მოთქმით არავინ
ტირის.
მაგრამ მგონია, როგორც ხარონი,
მამა შეგვხდება მდინარის ახლოს.
გაოცდებიან თვალთა წყარონი,
რომ ამნაირად გამხდარი გნახოს.
ნავი არა ჰყავს, ალბათ, მამილოს,
აგიტატებს და გაგიყვანს წყალში.
შენზე ტირილით ჩოხას დაილბობს,
სიცოცხლით მსუნთქავ ნატერფალს
წაშლის.
აგრე დაჰტოვებ ცხოვრების არჩივს,
მსუბუქ კვამლივით სადღაც მიწვები.
მე-კი მდინარის გადმოღმა დავრჩი
და აკვანივით ნელა ვირწევი.

მოსაგონარი

ღარიბი იყო ბავშვობა ჩვენი:
კაკლის ჩრდილი და ეზოს
ლაფარო,
ეზოში მდგარი ნაზი ნაშენი...
როგორ გამქრალხარ, ჩემო ზღაპარო!
კაკლის ჩეროში შენი აკვანი,
დამირწევია ნიავის გვარად.
გაგიგონია ქათმის კაკანი
და დაგიწყია ტირილი წყნარად.
ჩემო ოცნებავ, მაშინ აშენდი
და შენც პატარავ, ტირილით
მენდე,
ჭილოფზე როცა გათამაშებდი,
ან როცა ფეხი აიდგ^ შეძდეგ.
მე უცქეროდი ცაში არწივებს...
არ დაებრჭყალეთ მიპყრობდა ზაფრა.
როგორც ნიავმა აკვნით გარწიე
და ვაფარფატე წყაროში აფრა.
ჩვენ სიღარიბემ წაგვართვა მამა
და კაკლის ჩრდილში ობლები
დავრჩით.
თუმც არ გვაკლებდნენ კერიის ამაგს,
მაინც ვნატრობდით მშობლიურ
აჩრდილს,
და დავიკარგეთ ჩვენ სამოთხოდ,
თითქო დიკენსის ბავშვებს
ვხლებოდით.
ვერ გნახულობდით თვეობით დაო,
მაგრამ მახლობლად მეგულობდი.
გულის ჯიბეში დამქონდა ნაზად
მორიდებული შენი სალამი,
და ეხლა, როცა ქალალდებს ვხაზავ,
ცრემლით იცლება ჩემი კალამი.
სიღარიბიდან წამოგყვა ჭლექი
და დაგიდუმა გული ყმაწვილი.
მე ვამბობ: დაო, დავკარგე-მეთქი
ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი.
მაგრამ ვიფიქრებ, შემხვდები
ახლაც
და კვლავ შემრჩება შენი სალამი.
შენი ცხოვრებაც ჰყვავილობს სადღაც,
როგორც ბალი და ჩემი ვარამი.

ნუგეში

ჩვენი ბავშვობის დღეები მშვიდი,
სოფლად ჩრდილივით დარჩენ ესოდენ.
მოგონებები, რომლებსაც ვზრდიდით,
ან ჩვენთან ერთად რომ იზრდებოდნენ,
ვით ვაშლისხე და ფოთოლი
ლელვის,
ან აცვენილი სკიდან ფუტკარი,
ჩემთან დარჩა და მაწუხებს ღელვით,
და ვერაფერი ველარ ვუთხარი.
ო, მოგონებაც ასაკში შედის
და მოწიფული სხვაგვარად
მთუთქავს.
საოცარია შენი ძმის ბედი,
ჯერ გული თვისი ვერ გამოუთქვამს.
თუმც ხევსურივით შაირს ვღეღუნებ
და ლექსი მიყვარს ხმა მოხატული.
ველარ ჩავყევი ღამის უკუნეთს.
ვერ დავასველე ცრემლით სანთური.
ვერ მიგლოვია დაკარგვა შენი
და გულს პასუხი ველარ ვუთხარი.
ეზოში დარჩა ძველი ნაშენი,
ჭიშკარი, ბალი და ნაფუძარი.
აგრე და აგრე გული ჩქარდება,
მუზამ აგიხსნას იქნების რამე.
ეგებ ჩემ სულში ისე ღამდება,

რომ გათენებას გულისხმობს ღამე.
რადგან ბავშვობის დღეები მშვიდი,
სოფლად ვარდივით დარჩა ესოდენ.
მოგონებები, რომლებსაც ვზრდიდი
და ჩვენთან ერთად რომ იზრდებოდნენ
სოფლად სხედან და ყვავიან წყვილად,
ახალ სიცოცხლეს ქმნიან ეზოში
და ვარდებივით თვალები წმინდა
ჩვენ მიგველიან სამეგრელოში.

მამის ჩვენება

ვზივარ. ღამეა, სული იღლება,
გარეთ წვიმაა, მიდამოს ლამავს.
ქარი დაჰკრავს და კარი იღება
და ჩემს ოთახში შემოდის მამა.
სიზმარი არის თუ დავიღალე,
ცხრაასთვრამეტში დახუჭა თვალი.
მამა სად იყავ, სად გადიღამე,
შენ ახალოხიც არა გაქვს მშრალი! —
ბრგეს და ახოვანს ვხედავ
მამაჩემს,
როგორც მინახავს ჭადართან მდგარი.
კვლავ დაჰყრდნობია კოჭლი
ყავარჯენს
და მოჰყოლია კოლხიდის ქარი.
ჯერ აუტყდება ხველა ჩვეული,
დაცლის ჭიქას და მდუმარებს
დიდხანს.
ბინას შეხედავს დამშვიდებული
და სიყვარულით რძალს მოიკითხავს.
დაახამხამებს თვალებს ნაწვიმარს,
წვეთად დააგდებს ვარამის ფიორს;
შენ დას დავეძებ, გარეთ დავძრწივარ
სად არის ბავშვი, არ გამიციოთ. —
მამის ხმა რეკავს, როგორც სანთური,
იგი ბუტბუტებს: ბავშვი სად არი.
საით გაუშვი, თუ აქვს სათბური,
არ მოეწიოს გზაში ავდარი. —
რა ვუპასუხო, მაწვება ლოდი,
წვეთების კვნესა აღწევს ზემოდან. —
მამა სად იყავ, სიდან ჩამოდი,
მეგონა გზაში შემოგხვდებოდა,
ჩოხა გაიშვრე, დარჩი ამაღამ,
ნარდი ვამღეროთ, შევექცეთ
ვახშამს.
ნუ იცქირები აგრე ამაყად
და ნუ დამიშლი მაგიდის გაშლას. —
მაგრამ ნაწყენი მშორდება მამა.
მესმის წვეთების ნელი წკარუნი.
ეუეუნა წვიმა მიდამოს ლამავს
და მშორდებიან სიზმრის
წყარონი.

საბავშვო ბალი

მე კრიალოსნად ძველ ფიქრებს
ვთვლიდი,
მინდა ფიქრები ხმებად დგებოდნენ.
და ოცნებები, მწყობრი და მშვიდი,
ჩვენთან ბალღებათ რომ იზრდებოდნენ,
სათუთ ფერებით ცოცხლობენ
სოფლად,
როგორც ბალის და ბალღის თვისება.
არ იღამებენ კერასთან ობლად
და მათი სული არ ინისლება.
ეზო გაშალეს საბავშვო ბალად,
შენი ტოლები უვლიან ბავშვებს.
დედობრივ გრძნობას ხარჯავენ
ლაღად
და ამშვენებენ ნარინჯის ნაშენს.
ჩვენი სიცოცხლე სად არის, ნეტავ,
რა აფერადებს მტრედებს და წიაღს.
ჩვენ დარგულ ხეებს ულიმის დედა
და ბავშვებისთვის ვაშლები მიაქვს.
ათამაშებენ ბავშვები ცისკარს,
ბაღში შემოსულს მშობლების ლხენით.
წიგნში ეძებენ წინაპრის ისარს
და ღუღუნებენ მტრედების ენით.
სიმართლის მთქმელი ბავშვთა ბაგენი
ატმის ფერებით ანთებენ ღიმილს.
და ნორჩ თვალებში მე მივაგენი,
როგორ ციმციმებს ვარსკვლავის ქიმი,
ატმის ფერია ბავშვების ხვედრი,
პიონერობას მრავალი ნატრობს.
წითელ ატლასით შეიმკონ მკერდი,
ან მყინვარწვერზე ავიდნენ მარტოდ.
რუს და ნაკადულს არა აქვთ რული.
ბაღში ვარვარებს ნარინჯის ფერი.
ხელმძღვანელ ასულს ნიავი უვლის
და აკვანივით ბუნება მღერის.
ყოველწლიურად ჰყვავის აპრილი,
და ადრინდელთან ათანხმებს მყობადს.
აგრე ბალღებთან ბაღში გაჭრილი,
უახლოვდებით საკუთარ ყრმობას.
ოცნება არის სათესლე ბურის,

ჯეჯილად ღელავს გრძნობა მარცვალი.
ბალში აღსდგება წინაპრის სული
და ნაკვერჩხლებზე გალობს ნაცარი.
ძია სტალინზე ლექსებს ამბობენ,
ხან უწოდებენ მშობლიურ მამას,
და დიდებივით ბავშვნი ლამობენ
გულით მიუგონ ბელადის ამაგს.
ხარობს ბავშვებთან ჩვენი ოცნება
და დილის ნამით ბუნების ფერი.
აგრე ანთია ბალის ცხოვრება
და ნეტარება მშობლიურ კერის.

ოცნება სტუდენტობისთვის

მამის ვარამი სინათლეს აქრობს,
მახსოვს, წინათაც სწუხდა მშობელი:
ბავშვები სადმე არ დამეჩაგროს,
ფუჭად არ განვლონ წუთისოფელი. —
ის სანთელივით გაფითრდებოდა
და სტუდენტობის სიმაღლე სწამდა,
თვალს მილულავდა, ჩაფიქრდებოდა
და აბედივით ოცნება სწვავდა.
გატაცებული ბუხრის ნაცარით
და დიკენსივით მთხრობელი ამბის,
საქართველოსთვის მართლა დამწვარი
ეხლაც ჩემს სულში შუქივით დაჰქრის.
ჩემს სტუდენტობას ელოდა მშვიდი,
და გვიამბობდა სულხანის არაკს.
უერთდებოდა ოცნების ხიდით
ყალყზე წამომდგარ ცხენიან
ქალაქს.
თითქო კალათში ეწყო საგზალი,
ნაკვერცხალივით ფიქრი ცისმარი.
ნისლში ელავდა ბევრი ვაგზალი,
როგორც ჩემი და მამის სიზმარი.
ნაკვერცხალს ჰგავდა მშობელი
ფერით,
გვახალისებდა ამბები მისი,
რომ გავხდებოდი მთის ინჟინერი
და დამლურსავდა მაღლობზე ნისლი.
რომ ქესატობა და უფულობა
აღარ იქნება თვისება ჩემი.
ბრძენივით მოვა მოწიფულობა,
ნაპირს მაჩვენებს ცხოვრების გემი.
როგორც ზეცაში ნახტომი ირმის,
ფიქრის ნამწვავი მიძღოდა აგრე.
მე ინჟინერი ვერ გავხდი მერმის
და სტუდენტობაც დავტოვე ადრე.
განვლილ ცხოვრების მრავალი ჟამი,
შუახნის კაცობა თუ დაკაცება,
ვერ დავამგვანე ვერც ერთი წამი
მამის ოცნებას და გატაცებას.
მაგრამ ჩემ სულში მშრომელი მღერის,
მშობლიურ გრძნობის ჭაპანს ვეწევი.
და მოღუღუნე ფერადი კერის
მამისგან დამრჩა ნაანდერძევი.

სტუდენტთა ქალაქი

სტუდენტთა ქალაქს, მწუხრზე
წყნეთიდან,
მე ჩამოუვლი ჩემი წყლულებით.
დაო, მომწყდება ცრემლის წვეთი და
რა გიყო, არსად არ მეგულები.
მერხებზე სხედან შენი ტოლები,
სმენად ქმნილნი და ფრთებგაწაფული.
შენც აქ სიცოცხლეს მოაქროლებდი,
დაჭკნა სიცოცხლე და გაზაფხული.
მაგრამ მგონია, ოცნება უცნო,
ჩვენი კოცონის წვის მონაწილე,
ზის სტუდენტებთან, ცქრიალით
ცოცხლობს,
როგორც მერცხალი და სიყმაწვილე,
დერეფნებიდან, ფრთადანაზებით,
ჩვენი ქალები მოჰქრიან ჯიქურ.
ჯმუხა ბიჭები და ლამაზები
თვალს აყოლებენ ბელადის ჩიბუხს.
წარსულის წილი გულისთქმაც ჰყვავის,
მას კათედრაზე მცხოვანი ათბობს.
ხოლო ჯავშნები, ჭვარტლივით შავი,
ლექციით ამდგარ წინაპრებს ამკობს.
მეც შემოსული ვაკეში ვტოკავ,
პეშვით მიპყრია გრძნობის მარაგი.
სამშობლოს დამცველ ხასანელს მოგავს
სტუდენტების და ჩემი ქალაქი.
ამ მიდამოში გუმანი ჩემი
ივიწყებს ოდეს ჰქონდა წყლულები.
ვილაც მიღიმის შენსავით მრწემი
და უხილავად აქ მეგულები.
ნუ მოვიგონებთ ნამყოფ ონავარს,
ავყევით წყნეთისკენ გეულისთქმას
დინჯად:
ყოველ საწოლში სძინავს მომავალს,
ან უბის წიგნში ოცნებას სინჯავს.
გამოუვლიათ წვიმა და თქეში..
და ღამეებით ტყე გალურსული.

ზოგს მამა ელის სვანეთის მთებში,
და ზოგს არხოტში მთქმელი
ხევსური.
წინანდალელო ვარდო, მოხველი,
მტრედი ღუღუნებს სადგომის ზემოთ,
და შემოიტანს ვაჟი კოლხელი
ნარინჯისა და ალუჩის გემოს.
მთოხნელია თუ მეცხვარე კუშტი,
ან მოკენწლავე ვაჟი ფიცხელი,
ზეგ გაიღვიძებს, მოსული გუშინ,
ინჟინერი თუ ვარსკვლავთმრიცხველი.
დაფრენენ მათი ფიქრები მკვირცხლი,
წიგნის ბუდეში ფრთებგაწაფული.
ცვალებადობის სულივით იძვრის
მზე, სიჭაბუკე და გაზაფხული.
თითქო ვაკეში იფეთქებს ყანა
და კალამივით ელავს ნამგალი.
დედის კალთაში განცდილი ნანა
სტუდენტს მიყვება, როგორც საგზალი.
მეც ვუბრუნდები, მშობლიურ ნისლით,
მერხზე ანთებულ ოცნების ცისკარს.
აგრე მგონია, სინორჩე მისი
კვალად მოვა და გამიღებს ჭიშკარს.
მოვა და წავა გაშლილ ვაკედან,
მოჟრიამული ტრამვაის ჟღერით.
უნივერსიტეტი, როგორც კათედრა,
ცას მიეკვრება რიჟრაჟის ფერით,
ჩონგურიც დაჰკრავს მშრომელის
სურვილს,
ანტიურ გრძნობის ქართლში მნახველი,
და მოზარდ ქალაქს დანათის ზრუნვით
ახალ გენიის წრფელი სახელი.

პირველი მინაწერი

ორიათასი წლის წინათ აგრე
ძმას მოსტიროდა ლექსით კატული.
ლექსი არა ჰგავს უსახო ნანგრევს
და ეხლაც აღსდგა ხმა მოხატული.
ალბათ ცხოვრობდა სურათად სულში
ვიდრე ჰანგივით იწყებდა
ფართხალს.
და შეხვეული გულის ნაჭუჭში
მეგრელ ქალივით მოსთქვამდა სადღაც.
მეც, მეგობრებო, მოვდივარ აგრე,
ჩემი ცხოვრებით ლექსში დაცლილი.
მაგრამ ეს ჩემი პირადი საქმე
ნამდვილ ცხოვრების არის ნაწილი.
ეგებ უბრალოდ გული ჩქამდება,
მუზას შეანჯღრევ, გამღეროს რამე,
რადგან ჩემს სულში ისე ღამდება
რომ გათენებას გულისხმობს ლამე.
მართლაც ვერ ნახოს კაცმა ფასლება,
თუ ფუტკარივით შრომობდა სკაში,
რა არის სულის გარდაცვალება? —
პირადულიდან გადასვლა ხალხში.
გაზაფხულივით გავჩნდებით ახლად
და გრძნობა თუ არ დამეხავსება
ჩემს სიყმაწვილეს მეორე ნახავს,
კაცი რომელიც მე მემსგავსება,
და ვიცქირები, თითქოს სარკეში
ვნახო ოცი წლის ცხოვრება თვისი.
ჩემი ნაშრომიც მოსჩანს მხარეში
და მეცოტავა სიმძიმე მისი.
დავფათურობდი შეძლების გვარად,
ღამეს ვტეხდი და სუსხმა დამქარა.
და მე მომპარა ხუმრობით მუზამ
სიბრძნის კბილი და ჩემი ჭაღარა,
მაგრამ ვიფიქრებ, გაივლის ჟამი
გულს ფრთხილად ასწევს ჩემი
მარჯვენა,
გულის ფეთქაში ყოველი წამი
იქნება ცეცხლის ახლად გაჩენა.
მე აღარ წავალ მიწისთვის ბარად.
საფლავს ძმის გულში გადავიზომავ.
და დარახტული მერანის დარად
გარეთ დამიცდის მარადისობა.

იბვი

დიდი პოეტის თვისება არი,
გრძნობას სიფრთხილით გაუღოს კარი.
თუ გაჟღენთილი არ არის ქნარი,
არ შეაშფოთოს მთვლემარე ლარი.
მარჯვედ ეჭიროს სულის სადავე.
სული იშოვოს, ჩაუშვას ღუზა.
თუ არ მონახა ღელვის სათავე,
არ გააღვიძოს მძინარე მუზა.
სანამდი გრძნობა მიიღებს სახეს:
დაემსგავსება ჰანგსა და სურათს,
მანამ არ გახსნას მთრთოლვარე ბაგე
და არ დასცალოს ცხოველი სურა.
მაგრამ მე რა ვქნა, გული ვერ დავთმე,
ვერ დაველოდე ჭრილობის სიცხეს.
ალბათ შემხვდება მინდია სადმე,
რომ ჩემს სტრიქონებს სინათლე მისცეს,

აბედად იწვის გრძნობები ჩემი
და კვამლის სუნი გაეღენთავს ოთახს.
უაფროდ მიჰქრის ოცნების გემი
და უფერული სტრიქონი მოსთქვამს.
ვერ შევიტყუე სიტყვაში ფიქრი,
ვერ შემოვარტყი ჯავშანი გარეთ,
კვერცხის ცილივით გონება მითრთის
და გულს მიშუშებს მშობელი მხარე.
შემოქმედების სპეტაკი ჟამით
ვაჟას ბუხართან მივდივარ მრწემი.
მისი იფნები მინათებს ღამით
და მეძნელება გამოთქმა ჩემი.
მაინც საღებავს დავეძებ თვითონ...
ცოლს გააღვიძებს შრიალი ფურცლის.
მას გადვუკითხავ საეჭვო სტრიქონს,
რომელიც პირველ კურთხევას უცდის.
და შთაგონებით იწყება ფეთქვა,
მსურს საჭაშნაკო სიმღერა გითხრათ.
მე სხვა მინდოდა სრულიად მეთქვა,
და სხვას მამღერებს წყეული რითმა.
მაგრამ გრძნეულ ხელს დამადებს
მხარზე
ვაჟა და ჩემგან მოისარს ითხოვს.
და როცა მტრედი იელვებს ცაზე
მე მოვახვედრებ ნიშანში სტრიქონს.

მიწისძვრა თბილისში

წელს დამსიცხავი ზაფხული იყო,
ვერ მოვიშველე თბილისში ჩრდილი.
მოგონებებმაც გული წაიღო
და აფართქალდნენ ფიქრები ჩვილი.
ერთხელ შუაღამით შეიძრა მიწა,
თუ საძირკველთან ამოსკდა წყარო.
ბავშვმა საწოლში გამოიღვიძა,
აფორიაქდა წიგნების თარო.
ზემო სართულში შეშინდა დედა,
ვაით მოვარდა შეხვეულ თითოს.
კარები ღიად დაუხვდა ბედად
და ჩვენს კიბეზე ღრიალი მორთო.
ოთახმა დამძრა, ნავივით ბნელში
და ლაქაშივით მიყუჩდა წამით
შემ.ღეგ მოვარდა მთებიდან თქეში,
გადიშხუილა შფოთიან ღამით.
მაგრამ თბილისი წუთით არ შედრკა,
ვინ შეარყევდა ბელადის მხარეს.
ღამით შეირხა, დილით აშენდა
და მზე დაადგა თბილისის კარებს,
რამ შეარყია საყრდენი მიწის,
თუ დაემართა მკრუნჩხავი სენი.
ეგებ დაგვცადა საოცარ ფიცით
და ვერ შეაკრთო სიმტკიცე ჩვენი.
ხოლო გადაღმა დასცეს პარიზი,
მისთვის ვარამი მიუზღავს ივნისს.
ის იყო ბევრის ყმობის ხალისი
და ეხლა ვაჟას ხმალივით ჩივის.
მას გვირგვინივით დაადგეს კვამლი
და ვენახები მოისრა ბარში,
ჩაჰქრა შამპანში ყივილი მამლის,
აღარ ჭიხვინებს როლანდის რაში.
ჩემი მხარე-კი უდრეკი მიჰქუხს
შთაგონებული მივყვები წამებს.
ოთახში ბრძენი აანთებს ჩიბუხს
და ცისკარივით გამირღვევს ღამეს.
მან შემორკალა ქვეყნის სინორი,
გულში ჩანერგა სიმწვანე წიწვის.
მშობლიურ ქვეყნის ერთი სტრიქონი,
მე ვარ და მისი ტრფიალით ვიწვი.
სადაც ცხოვრებას ბრძენი მინათებს
მუზა დარეკავს კალმიან ზარით,
რადგან ერთია ქვეყნად სიმართლე
და ეს სიმართლე სამშობლო არი.

ცხრაასთოთხმეტი წელი

სიზმრად ვნახე თუ სიცხადით მესმა
შენ მოგონებავ. ისევ მოხვედი,
მე გავიგონე დაჭრილის კვნესა,
როცა ჩამოდგა ცხრაასთოთხმეტი.
ომში მიმავალ მეზობლის მამა
დაატარებდა თხოვნას თუ ბარათს.
„ნუ დამიკარგავ, უფალო, ამაგს“,
ჩაბუტბუტებდა საგზალის კალათს.
მალე კარპატთან დაუჭრეს ვაჟი,
უცხოეთს დარჩა ფეხი და ჩანთა.
ჩემთვის კარპატი რუჟაზე მაშინ
კვამლში გახვეულ ტყესავით ჩანდა.
დაცარიელდა პაპის ნალია,
დაკოჭლდა ჩვენი ოჩანი რაშიც.
დაჭრილის მამამ სული დალია
და ჩააბარა მეზობლებს ვაჟი.
თმები გაშალეს ქალებმა ხშირი,
გაშლილ ტაბლაზე აუშვეს ორთქლი.
და მისტერია მეგრულ ტირილის
შუკებს მოედვა ზარით და მოთქმით.
შეხმობით ტირილს იწყებდა ქალი,

თითქო ამბობდა ცხოვრების აუგს.
ვის მისტიროდა ცისფერი თვალი
ყანას, მკვდარსა თუ უფეხო ჩაუქს.
ხორალებს ქმნიდა ქალი წყაზარი,
ყელზე ვარამად იხვევდა ლეჩაქს,
რომ ბევრს ჩაუკრა კერის ნაცარი
და მომაკვდავი სხივები შერჩა.
ვაჟი ეკიდა ყავარჯენს ლამაზს,
ვერ ეხებოდა მიწის გულს ტერფით.
გულამომწვარი ტიროდა მამას
და ნაფუძარზე დაჰქროდა ფერფლი.
თვალმილეული, ფეხების ნაცვლად,
ჰაერს აყრდნობდა სხეულს დანარჩენს.
მან ნახევარი სიცოცხლე დასწვა,
და ნახევარით შერჩა ყავარჯენს.
მშიერი დავრჩით, დაო, მე და შენ,
ვაშლებს ვხლეჩდით, და ველოდით
ამინდს.
სოფლად მოთავდა მკვდრების ზედაშე,
და გალურსული ვწვებოდით ღამით.
მხოლოდ გვიშველა მეწლიურ ვაშლმა,
ის იყო სოფლის ძიძა ქებული.
და ნაფუძარზე დგებოდა ქარში
ვაჟი ბუჩქივით შემოკლებული.
ბაღდადს გაფრინდნენ მწყობრნი
წერონი,
ვერ მიაღწიეს არაბთა სამანს.
გვალვამ ჩააქრო ლორთქო წყარონი,
და ჩვენ დაგვტოვა ახოვან მამამ.
მაგრამ მოფრინდა მტრედი მაშველი,
ზეთისხილის შტო უმკობდა ნისკარტს.
გამხმარი დახვდა სოფლის ნაშენი
და შტო უჩვენა ანთებულ ცისკარს.

დიკენსის მოლანდება

ეხლა ეხვევა ლოდინი კვამლში,
ხმაურობს ფრთა და განგაში ზარით.
სიკვდილის ზაფრა ჩაწვება თვალში,
ქალაქზე დაჰქრის ფრთიანი ქარი.
ყოველდღე მოდის ცნობა საქდესით,
მარსის მახვილი ელვარებს ავი.
აფრის ნადავლით მხარე ნათესი,
ეხლა დარხეულ კვამლივით ჰყვავის.
მე არ მხიბლავდა სიშორე მისი,
არც მისველებდა ოცნებით უპეს.
სიზმრად მინახავს ლონდონის ნისლი,
მაგრამ ვარჩევდი ჩარგალის ღრუბელს.
მაინც მაკრთობენ ბავშვები ჩვილი,
წელში მონუსხულ მოხუცებს ვხედავ.
დაკარგულ ბავშვზე ქარიშხლის ჩივილს
ვინ მითარგმნიდა წვიმაში ნეტავ!
ეგებ ეცემა ყუმბარა მხეცი,
მარად მღვიძარე დიკენსის სტრიქონს.
სუნთქვას ვერ უსპობს მფრინავი
ცეცხლი,
მეხანძრე რა რიგ ოსტატი იყოს.
ის აჩრდილივით წამოდგეს იქნებ
და გაიყოლოს ბავშვები თვისი.
ფრთები შეასხას ურთულეს ფიქრებს,
ისევ მოსძებნოს ოლივერ ტვისტი.
ბუხართან შექმნილ იალქნის შუქმა,
ზღვაზე ფარფატით გადაჭრას სივრცე.
და თავის ფიქრის ყოველი ლუკმა
ბავშვებს საგზლად და ბზრიალად
მისცეს.
და ემხილვაროს საბჭოთა კავშირს
შემმართებელს და ბავშვებს უვნებელს,
სად ჩემი ძმები უკრაინაში
ძველად დაკარგულ ძმებს იბრუნებენ.
ანდა დანისლულ ჩარგალში დღისით,
ბილიკზე შემხვდეს მოხუცის ლანდი.
და მოხიბლულმა არაგვის ნისლით
გადაივიწყოს კუნძულის დარდი.
ვაჟას ბინაში შევიდეს მწუხრზე,
მითები გახსნას დაუსტამბავი
და შველის ნუკრი დაისვას მუხლზე
რომ ნუკრს მოუყვეს ბავშვთა ამბავი.

ᲗᲘᲗᲐᲑᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲦᲐᲛᲔ

მაშა დუმილიც მიმითვალეს შენდამი
ლოცვად

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ვაჩვენოთ მუზას წარსული რთული,
ან ფოლიანტი პაპის ნაწერი.
მიმინოსავით გავწაფოთ სული
და გადავაგდოთ წყალში ფაცერი.
აგრე ვფიქრობ და სარკმლიდან უცებ
ქარი მოვა და ოთახში მეძებს.
ქარი მომტაცებს დაწერილ ფურცელს
და ჯვარცმულივით მიაკრავს კედელს.
ჩამოვხსნი, ქარმა რომ არ დალახვროს,
გულზე ბალღივით მეკვრება წყნარი.
მინდა ყრუ ქალალდს ტკბილად ჩავძახო,
წარმავალია ამგვარი ქარი.
მხოლოდ მტკიცეა მშრომელთა
მხსნელი
და წყაროს თვალი ძილივით სუფთა.

შემოქმედებით ნაკურთხი ხელი
და ჩვენი ქვეყნის სპეტაკი სუნთქვა.
ამიტომ გული ავანთე ღამით
და ნაპერწკლები ქაღალდზე აწვიმს,
გული ბუჩქია ბიბლიურ ჟამის
ავანთე იგი და ველარ დავწვი.
ო, შთაგონებავ, მომმადლე ძალი,
ნულარ მომაკლებ შუქს და სიამეს.
შენ გამიღრმავე ზღვასავით თვალი
და განმარიდე სოფლურ სიავეს.
შენ ხარ მეუფე მუნჯი ქაღალდის,
აფრა არგუნე ოცნებას უვრცეს.
ნიჟარის დარად, მალულ ღაღადით,
ენას ანიჭებ გადაშლილ ფურცელს,
მე თევზი ვიყავ და შენ ანკესით
მაფართქალე და დამკიდე ღობეს.
ვე შეშა ვიყავ და შენ ნაკვესით
ამირანივით პატრუქი მომეც.
შენ შეგავედრებ გულს აბარტყებულს,
ფრთები შეასხა, გაწაფო ფრენით.
და ცხოვრებისთვის ფიქრს
დაბადებულს
თვალივით მისცე სინათლე შენი.
რომ ჩემი ქვეყნის ყოველი წამი,
სულში ჯეჯილად აქცევდეს მარცვალს.
და როგორც ბუჩქი ბიბლიურ ჟამის,
ავანთო გული და ველარ დავჭწვა.

წიგნი ჟამთაღმწერელისა

მე გადვიკითხავ ჟამთა აღმწერელს,
მსურს სხვა წარსული ვიხილო შიგნით.
ვპოვებ ისრებით მიწას დასერილს
და მონგოლივით დამჩეხავს წიგნი.
აისის კიდით და ჩინმაჩინით
მოსჩანს თვალმცირე, ჭვრიტი და
გრემან,
ცხენზე შემჯდარა ცეცხლის აჩრდილი
და ფლოქვით იწყებს კოშკების ნგრევას.
მოჰქრის ფაშატის ხორცით გამძლარი,
ისრის გატყორცნა უცდომლად იცის.
ამოვარდება წიგნში ხანძარი,
ცოცხალ ფურცლებზე აკვანი იწვის.
ონავარ წასხმულ ვხედავ ქალწულებს,
შიშველ ფეხებით ველობს ნაძოვარს.
ქალებმა ქართლში ძუძუ დასწურეს
და მისი ორთქლი მიწამ გვაწოვა.
მან შეგვაყვარა ცოტნეს აჩრდილი,
ვარვარა ისრის მწვავანა ბვეში.
და წინაპარი მკერდში დაჭრილი
კალმახად მხტუნავ სტრიქონში კვნესის.
ვხედავ, შეყრილან კოტის მეთქმულნი,
მეცნიერნი და მხედრობის
მცოდნე, —
ხმლით აღადგინონ ქართლი ბედკრული,
რად იგვიანებს გულადი ცოტნე?!
ნიშთან დამდგარა ცხენი დარაჯად,
თათრის ფლოქვებმა მიწა დატორა.
მიწა მონუსხა თათრულ ხარაჯამ
და მონგოლური სუნთქვა დაჰტოვა.
სტრიქონს ეხვევა კვამლი კოცონის,
შეთქმულ კოხტაზე ეცემა ციხე.
და მონგოლების ლაშქარს მოწოლილს
მოაქვს აზიის ტრამალის სიცხე.
წიგნი ინახავს რამდენ წინაპარს,
რამდენი თვალი მცირე და ჭვრიტი.
მე შენს ფურცელზე ფერფლი
მინახავს
და ქართლის ბედით ჟრუანტელს
მგვრიდი.
აგდია ისრის რამდენი ღერი,
ზედ დაფრიალებს ლეჩაქი თალხი.
მაინც ფურცლებში ვიღაცა მღერის,
რომ უჩინარად ადიდოს ხალხი.
ამ გალობაში არწივი ბუდობს,
სურს გამოსცვალოს ეშხით ამინდი.
და შავ მერნებით მიჰქრიან უდროს
შოთა კუპრი და ულუ დავითი.

გვანცა [1]

წიგნს დავხურავდი, მაგრამ ამ წიგნში
რაჭით მოსული მხიბლავს ასული.
მის თვალებში და წამწამთა ჩრდილში
გედის ფრთასავით ფეთქავს წარსული.
ფურცლებზე ბრწყინავს ქალი ალმასი,
კერას მოწყდა და სამცხეში ვნახე.
ტანი კენარი, მხრები ლამაზი
და მონგოლებით შემკრთალი სახე.
ეგებ რაჭაში აღზრდილი სარო,
ჩემი წინაპრის იყავ დობილი.

[1] გვანცა რაჭის ერისთავის ასული იყო და მეუღლე ავაგ ათაბაგისა, ავაგის სიკვდილის შემდეგ იგი ცოლად გაჰყვა მეფე ულუ დავითს. მძევლად წასხმული, მონგოლთა ურდოში მოწამლულ იქმნა.

ფაზისს ამკობდა თვალების წყარო
და ნაწნავები ლექსად წყობილი.
ამ სტრიქონების გალიით მჭვრიტი,
მშვენების შუქით ჟამთა მკვეთელი,
მძევლად წასხმული მშვენება მშვიდი
გვანცა გიხმო თუ ქალი ეთერი..
მცირედი ჭვრიტით, გრემანი თვალით
ეგებ გეტრფოდა თვითონ ჩაღატარ.
ჟამთ აღმწერელმა ჯევარდნულ ხმალით
შენი თვალები წიგნში ჩახატა.
სამცხე გეძახდა, გვანცა სადა ხარ!
ვინ დაგიბნელა ნისლით თვალები!
ვაჟი გულადი დარდმა დადაღა
და მიწას ხოკავს მერნის ნალები.
თუ იგონებდი რაჭულ ალილოს
მთიდან გატყორცნილ მჩქეფარე
ფაზისს.
ალბათ ლოყებზე სწვავდი ალიონს,
როცა სიკვდილი გეწვია ნაზი!
ვინ გაგიმეტა ქალი მწყაზარი,
ვინ მოგაშორა მშობლიურ ფუძეს.
სამშობლოს ცეცხლით გული დამწვარი
როგორ გარდიქმნა სიკვდილის
ბუდეთ.
ცრემლების სითბო სტრიქონებს
ორთქლავს
და შენი ტანის სანთელი იწვის.
საფლავში ჩაჰგყვა რაჭული მოთქმა
და მშფოთარება მშობლიურ მიწის.
ვინ დაგაშორებს წარსულს ბინდიანს,
წიგნში მწუხრივით ჩაგრჩა სახელი.
და წელმოხრილნი ურდოს მიდიან
დავით ულუ და სარგის ჯაყელი.

ქართლის დედა

აგრე მგონია წარსულ ნისლიდან
მე გამოვედი წინაპრის ცხენით.
და გზა განვლილი თვალებს მიხსნიდა,
უკეთ მენახა ცხოვრება ჩვენი.
ვრცელი წარსული ტანჯვით ნაგები
ჩამცქერის, ნახოს ახალი ჟამი.
დედას უპყრია მყუდრო ღამეში
ცრემლით და მიწით აღსავსე ჯამი.
სახის ღარები დაწმენდას უცდის,
ეგებ დასტირის მოწამლულ გვანცას,
ან აოხრება კახეთის ფუძის
დახრილ წამწამებს ნისლივით ქანცავს.
მაგრამ ინათებს მყინვარის თხემი,
ზედ ჩემი გული ავარდეს ლამის.
ჯამში მცხოვრები ათასი ცრემლი
აფეთქდება და ვარდივით ბუვავის.
ეს ცრემლებია რომ ~~ქართული შიწას~~
არ უკარგავდა სითბოს და მარილს.
ის ასუნთქებდა სამარის ფიცარს
და ელარუნობდა წინაპრის ფარი.
ეხლა შეხედე, ნეტარო დედავ.
შენი პირმშოა პირველი გმირი!.
მე დაჩოქებას შენს მუხლთან ვბედავ
და სიხარულის ცრემლებით ვტირი.
აწ მოიხადე ლეჩაქი ბნელი,
ნისლად ქცეული ვარამი ქართლის.
შენი თეთრი თმის ყოველი ღერი
ცისკრის თვალივით ველობზე დათრთის.
მე შენი ფეხთა მტვერი ავხოცე,
ვერ გამომითქვამს მადლობა ენით.
ხალხის მარჯვენა, დედავ, დალოცე.
და გაგვაყოლე კურთხევა შენი.
რომ შენი ჯამის ვარდი ყოველი
ცისკრად ეჩვენოს გადალმელ მოძმეს.
და შენი გული, ლაჩრის მგმობელი,
იყოს სამშობლოს გმირობის მოწმე.

ქება საბჭოთა გმირისა

მშობლიურ ქვეყნის კაცი კაცადი
ასახელა და ამაღლდა თვითონ.
მისი მარჯვენა, ქართლში ნაცადი
გულს უნერგავდა აფრენილ ლითონს.
ჩემთან ჩრდილივით ადგია ნაწერს
ქარიშხლის ფრთები ღამეში შლილი.
ჩემი კალამი ოცნებას ასწევს
როგორც ფრთებს ასწევს ნანეიშვილი.
სად მიფრენს იგი! მოფრინდა სიდან?
გორში იხილა ციხის ქონგური.
რამდენ შხუილა ქარიშხალს იტანს
და მაინც ესმის დების ჩონგური.
ეგებ გიქსოვდა დედა თბილ წინდას,
როცა თეთრ ფინეთს თავზარი დაეცა.
დედის გრძნობათა სინათლე წმინდა,
გზას გინათებდა დღეცა და ღამეც.
დედის მოქსოვილ წინდაში ღვივის
საბნის სითბო და ბავშვობის კერა.
და შენზე ფიქრით თითისტარს უვლის,
ძაფს გაყოლილი, მოხუცის მზერა.
ვერ დასწვავს ნაწსოვს ვერავის ტყვია,
ვერ გაკვეთს წინდას მტარვლის
მახვილი,

რადგან დედის ძაფს, ოცნების ზიარს,
შემოჰყოლია ქართლის ძახილი.
მიწას გაერთებს წინდების სითბო
და ცაში ფეხი მიწაზე გიდგას.
ატარებ გორში გაწრთობილ ლითონს
და ქარიშხალი მეორედ გითქვამს.
იქნების დედა კლარჯეთშიც იყოს,
იქაც მიგილონ სამშობლოს შვილი.
ეგებ ლაზებმა ნაპირზე გიხმონ,
ფრთა დაგახვედრონ თვალივით
წყვილი.
იქნების დედა არის ხერთვისი ,
წინაპრის ძვლებით ნაგები სამცხე.
მისი სიმაღლე თუ შეითვისე
ფრთიან მარჯვენის სისწრაფე ამცნე.
დედას ცრემლებით აევსო ჯამი,
ღვრიდა, უთმობდა ამირანს მიწას.
და მისი გულის ყოველი წამი
მშობლიურ მხარის სიმართლეს იცავს.
შენ ჩრდილოეთმაც გული გაჩვენა,
რომელსაც მშობლის სიამე ახლავს.
ბრძენმა დაგადგა მხარზე მარჯვენა
და მიგიჩინა მშობლიურ საზღვარს.
აგრე მხმობელი არის პარტია,
და მისი სითბო სითბოა დედის.
შენს ფრთებზე მისი შუქი ანთია
და ჩემს სტრიქონში შხუილით შედის.

ქართლის ბაღში

მამის ეზოში ვაშლის ხე მყიფე
მიყვარდა როგორც აღმზრდელი ძიძა.
და ეხლა ქართლის ატმები მწიფე
მამხილვარებენ ნოყიერ მიწას.
ბაღში შევდივარ სასხლავით, ძმებო,
თითქო ვეჩვევი ხეხილის დამყნას.
მსურს უცხო ვაშლის გავიგო გემო,
ხილის მსუნთქავი ოცნება დამყავს.
გულში გაჭოლვილ ბავშვობის ნერგით
მსურს დავაჯვარო ქართლური ჯიში.
ქიმერასავით ნახორკლი ქერქი
ხელში გავშინნჯო ბავშვური შიშით.
როდესაც სასხლავს გავწაფავ ჭრილით,
სუფთად ავსხეპო შვიარი ვაშლის,
მიწა, წინაპრის ოფლივით თბილი,
ცისარტყელებად ხეხილებს გაშლის.
როგორც აენთეთ ხეხილნო ქართლის,
და სანთლებივით ამშვენებთ ტრამალს.
ვიცი, თქვენ გორის ყერიით გათბით
და ზე აჰყავდით ბელადის ამაგს.
თქვენ მოგვიფუტკრეთ ჩუქურთმა
ფესვებს ითბობდით კერიის ნაცრით.
აქ ბრძენმა ნახა პირველი ბაღი
და ჭადარივით აღზარდა კაციც.
ტყვიავის მკვიდრი ცეცხლი ცხოველი
ნაპერწკალივით წვავდა უსიერ
სუროს.
სკაში და ბაღში ეგრძნო მშრომელი
და ფუტკარივით ეშრომა ხუროს.
დღეს თავთავები ეტრფიან წალკოტს,
და ოსტატები გაშლიან ბაღებს.
ვარდივით მოსწყვეტს მებაღე
ნაყოფს
და გაცისკრებულ ბაღის კარს აღებს.
თქვენც მეგობრებო, გასჭერით ვაშლი
და როგორც გავდეს ნაჭერი ნაჭერს,
ეგრე ტყუპია და ვერვინ წაშლის
ჩვენს ოცნებას და მშრომელიც
ნაშენს.
მეც მსურს ბაღიდან მიჩურინივით
გულში გადავრგა ახალი ხილი.
უცხო ჯიშს გავდეს ჩემი სურვილი,
მტრისთვის მწარე და მოძმისთვის
ტკბილი.
იგი არ იყოს ხილი უბრალო,
ვაშლს ემსგავსოს და სათესლე
ხორბალს,
და ყრმობის ვაშლი გადავაჯვარო
ქართლის ბაღებში ანთებულ გრძნობას.

ქართლის მებაღე

რუმ აარიდა ბუნებას რული,
ნისლი მიჰყვება ზამთარს, იავარს.
კვირტი არ არის თვალახილული,
და ქართლის სითბო ელის ნიაღვარს.
წრფელი მებაღე ტრიალებს ბაღში,
ქართლის მკვიდრია პაპა ჭარმაგი.
სურს გამოკვესოს პირველი ვაშლი,
სანთო ნაყოფით გვამცნოს ამაგი.
ხელში უჭირავს ძველი სასხლავი,
გასანთლულ ნერგებს აღვიძებს თოხით.
თვალებს უნათებს კრემლის
ვარსკვლავი
და გორში მდგარი სარკმელი ქოხის.

მას ხელის გული მიუგავს რუქას,
ზედ აღნიშნულა ხეხილის ფესვი.
მისი ხელების აბედი სუნთქავს, —
გამოაფხიზლოს ყვავილის კვესი.
აჯვარებს ნერგზე მეორე ნაყოფს,
უყვარს ხავსი და ბუსუსი თეთრი.
ნერგს გადაჭრის და სიცოცხლეს
გაყოფს,
რომ ორ ცხოვრებად აანთოს ერთი.
ჩვილი ნერგები უთბობენ სურვილს,
თითქოს საბავშვო ბაღია აქაც.
მებაღე ნერგებს სათუთად უვლის
და ბალღებივით ბაღებში დაჰყავს.
მას აბარია ბაღის უჯრედი,
მცირე ნაწილი შემომქმედ ქვეყნის.
ჩვილი ნერგები ოსტატს უჯერის
და ფარასავით ხეხილებს შეჰყრის.
როგორც აბელის მართალი კვამლი,
უნდა აბოლდეს ატმის ყვავილი.
მას ამშვენებდეს ყივილი მამლის,
რიჟრაჟად ყელში ამოყვანილი.
ხეხილებს ძერწავს, ვითარცა დოქებს,
და შიგ წყალივით შთაბერავს
სუნთქვას.

შთაგონებული ჩემი მეტოქე
ბაღში ავარდნილ ხანძარით
მთუთქავს.

აშენებს ბაღში ჩრდილების ხონჩას,
კვირტებს აღვიძებს ხილის მორბედი.
და მწუხრის შუქზე მებაღე მოსჩანს,
ხეხილის მოძმე და შემომქმედი.

ხილთა ქება

მაყვალი, მარწყვი, თუთა და ბალი
სიტურფით მწველი ნაშენი ნაზი.
გორის ატამი, ვაშლი და მსხალი.
მოფუტკრებული ატენის ვაზი,
ქართლში თვეების მშვენებას ეტრფის:
ფერთა კაშკაშით აანთებს კალათს.
ლურჯი, წითელი, მწვანე და თეთრი
ხილი თამაშობს მებაღის კარად.
ვაზი ნაწნავად ეხვევა ჭიგოს,
შემკრთალია თუ ლამაზობს ღაზლით.
თითქო სიზმარში ნახული იყოს,
ქალწულის თმებში ინთება ნაზი.
თუ აქ სამარით სუნთქავდა მიწა,
ქართლის ტრამალი ხდებოდა ტრელი.
შიგ წინაპარი ხმალივით იწვა,
ზედ ღუღუნებდა სამარის მთხრელი,
ეხლა ოცნება ბაღში იცხონოს,
და-ძმათ შეიცნობს ფერი და სუნი.
რომ ბუნებაში ერთად იცხოვროს,
ტოტზე აბოლდეს წინაპრის სული.
ბაღები არის სკოლები ფუტკრის,
ზუზუნებენ და ბუნება გალობს.
ეგებ ჩემს სულშიც მათრობელ
სუნთქვით
სკად მიფუტკრული სიტურფე ხარობს.
გორით, ტყვიავით, ძეგვით და ქსანით,
ცხვრის ფარასავით მრავლდება ნერგი.
და ტენის ორთქლით ფხიზელი ვცანი
ქიმერასავით ნახორკლი ქერქი,
მას ემსგავსება კიდური ზეცის,
ბავშვებს ხეებზე ასულებს ვნახავ.
მწიფე ბროწეულს ლოყები ეწვის
და მსმენელივით გააღებს ხახას.
მითიურ ფერით ცოცხლდება ვაშლი,
როგორც ანტიურ ოცნების მოწმე —
მაგრამ მებაღეს გამოყავს ბაღში,
რომ გაახაროს ერთგული მოძმე.
ლიახვი ტალღას ნაპირს მიახლის,
რიყეს შერჩება ფერადი ნუშის.
და იშმუშნება გრძნობა სიახლის,
ღრმად ჩანერგილი მებაღის გულში.
მე ვიკარგები ხილთა წყებაში,
ყლორტებს გაჭოლავს ციური წყალი.
და ამეხილვის ხილთა ქებაში
ფიროსმანის და სეზანის თვალი.
ჩემი ოცნება დასუნთქავს ნაყოფს,
გულს ემსგავსება მებაღის ვაშლი
და მეც სიხარულს თხილივით გავყოფ,
დავარიგებ და ვიზრდები ბაღში.

მეორე მინაწერი

ხელნაწერი ჰგავს ბაღსა და
ღადარს,
მხოლოდ ფერია მშვენება ლექსის.
მაგრამ, როდესაც სტრიქონებს
ვხატავ,
მე ავთანდილის გალობა მესმის.
რა საამური მოყვება ღამეს,
ცეცხლზე დადგება გალობის ბოლი.
შენ, შთაგონებავ, მითხარი რამე,
სადღა ვუპოვო მგალობელს ტოლი.

ვილაც მეზობლად ეძლევა ლხენას
და წამოაგდებს მძინარე კლავიშს.
მცურავ გედივით წამოვა ბგერა
და შთაგონების წყაროში ჰყვავის.
ფრთიანი ბგერა შორდება წვიმებს
კრიალა ძვალში გახელილ თვლებით.
ან უხილავად მიკრული სიმებს
გაცოცხლდება და შრიალებს
ფრთებით.
ეგებ ყრუ გავხდი და ეს კლავიშიც
მხოლოდ მაგონებს ულრანის სპილოს.
ოსტატს მიუხმობს — მალე გამიშვი. —
და შემოვარდნას ჩემს სულში
ცდილობს.
აღარ ველოდი ამეღამ სრულად,
ნაწერს მისველებს კლავიშის თქორი.
ვერ შევუთანხმე ბგერები სურათს,
ვერ ვახმიანე არტახთა შორის,
რადგან წინარე სურათი მიპყრობს,
მიყვარს მშრომელის კერიის ვერცხლი.
ან როცა მხარე ცხოვრებას ითხოვს,
თვალწინ იელვებს ჩიბუხის ცეცხლი.
მაგრამ სურათსაც სჭირია ტოლი,
უფერულია მშრომელის კალოც,
თუ ზედ არ დაჰკრის სიმღერა სწორი
და თუ ხორბალი ქარში არ გალობს,
ამიტომ სანამ საღებავს ურთავ
და გულის წკრიალს ასწავლი
სტრიქონს,
მოძმეს გულისთქმა სიმღერით უთხარ,
ხმა თუ არა გაქვს — ამღერე თვითონ.
როცა ბგერას და გულისთქმის კოკორს
სმენით და თვალით გასინჯავს ტოლი,
მაშინ შეგვრჩება გალობა, როგორც
ირმის ნახტომად ნარჩენი ზოლი.

სიმღერის სათავე

აგრე გავკაფე ღამეში ტევრი,
ვალში არა ვარ წარსულის მიმართ.
ცხოვრების მგზავრი დავტოვე ბევრი,
მე დავტოვე თუ დამტოვეს იმათ.
სად მიიწურა მათი ხმა მკვეთრი,
ან ჩაგდებული თვალებში ნისლი.
მათი ცხოვრების შავი და თეთრი
მე ღამეებში ვერაფერს მიხსნის,
ეგებ ეჩვენათ ჩემი ხმა შავად,
და ხმების ბუდე ნასიცხი ჰპოვეს.

ამგვარი ფიქრი გაჩნდება თავთ
და გამოუცნობ აჩრდილებს სტოვებს,
აჩრდილებს არკვევს ალმის ისარი,
სურს ცეცხლიანი დაყაროს ფიქლი.
მაგრამ არ არის მუზა მისანი,
სიზმრის წიგნივით აგიხსნას ფიქრი.
არ გვითავსდება ძველი სიმღერა,
გამქრალა მისი მსუბუქი ბოლი.
როგორც ორი ფრთა სჭირია ფრენას,
ისე ჩემს გრძნობას სჭირია ტოლი.
მე სამშობლოში წამომწყებს ვეძებ,
ვპოვო მოთავე მშობლიურ ხმების,
მე ოცი წელი მადგია მხრებზე,
შემოქმედების ნათელი წლები.
ვეძებ და აგრე ღამეებს ვათევ,
ყოველ საფეხურს ვივონებ ძმებო,
მხარეს სტრიქონით ავუნთებ სანთელს,
საკვირველი ხარ, სამშობლო ჩემო!
მინდების მხოლოდ ვიმღერო შენთვის,
ბუნების გულში ვანთებდე ჰანგებს,
და დავამსგავსო სიმღერა ხერთვისს,
სიმღერასავით სიმაღლით ნაგებს.
და გულს მოესმის წკრიალი ბავშვის,
რომელიც გორში ხალხისთვის იწვის.
ის გამოხატავს სამშობლოს გაშლილს
და ოსტატობის სინათლედ მიძღვის.
მან დაგვითრგუნა წარსული ცუდი.
და დავატარებ ოცნების შუშით,
რომ შთაგონების ყოველი წუთი
მშობელ მიწისთვის აღვზარდოთ
გულში.
ბუდედ გარდმექცეს ეს გული მართლა,
ბუდიდან გრძნობა ერთვოდეს ბაგეს,
და გორში ბავშვის წკრიალი ნათლად
მას უნერგავდა მშობლიურ ჰანგებს.

მერცხლის ბუდე

მკვირცხლი მერცხალი, სწრაფი
მერცხალი,
ჩვენს ლავგარდანზე აშენებს ბუდეს.
კვერცხი მერცხალის თუ ნაკვერცხალი
თბილად ინახავს სიცოცხლის
წუთებს.
მერცხალს ნისკარტით მოაქვს
ბუმბული,
მშრალი თივა და აერთებს კოხტად.
ის უფრო მხიბლავს, ვიდრე ბულბული

და მსურს ვუშველო პატარა ოსტატს.
მსურს გადავუგდო ჩემი ნაწერიც,
შავი, რომელიც ღამეში დამრჩა.
ეგებ აიღოს ნისკარტის წვერით
და ჩაიფინოს ბუდეში ფარჩად.
ეგებ აიღოს გრძნობა, რომელიც,
ვერ ჩაეტია დახვეწილ ნაწერს.
ამგვარად მერცხლის ცქრიალს მოველი
და მისი ფრთები სტრიქონზე მაწევს.
ეგებ ქაღალდზე დანაცრულ ლხენამ
სითბო შემატოს ბუდეში ბარტყებს.
ან გრძნობამ ბარტყთან ისწავლოს
ფრენა
და გრძნობის ქერქი ბუდეში ჩატყდეს.
მერცხალმა ფეხი მოითხრას ლექსში
და დამიკენკოს სტრიქონი ჩვილი.
კვერცხის ცეცხლით და ჩემი ნუგეშით
ბუდით აფრინდეს მერცხალი წყვილი.
მერცხლებო, ფრთები შეახეთ ნახულს,
ნუ გაფრინდებით ცქვიტებო შორეთს.
ჩვენ სამშობლოში ზამთარ და ზაფხულ
სითბო არის და საზრდოსაც ჰპოვებთ.
ჩვენ ოცი წელი ვათბობდით მიწას,
ქართლის ბაღები ცეცხლივით
ტოკავს.
ქართლი მაისის სიმართლეს იცავს
და დაზამთრებაც გაზაფხულს მოგავს.
ხალხის გუმანი ქაღალდზე თქმული,
იქნება თქვენი ბუდის ბუხარი.
და ჩვენი ქვეყნის ცოცხალი სული
ფრთებშიც იღელვებს დანაქუხარი.
მერცხლები სწრაფი, მერცხლები
მკვირცხლი,
ჰაერში მფრინავ მაკრატლებს ჰგვანან.
მერცხლების ფრთები, მკვრცხლი და
ფიცხი,
ქართლის ბაღებში ისმენენ ნანას.
მინდა ხალისით მერცხლის ბუდეში
მე ჩავაფინო გრძნობა მართალი,
ანდა ჩავისვა ბარტყი უბეში,
რომ შევაყვარო ჩვენი ზამთარიც.

„იმელის“ შენობა

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის შენობა.

როგორ ირხევი, ქვაო ნატიფო,
თითქო ირწევი, ხმელო სათიბო.
მინდა დარბაზში გრძნობა ავკრიბო
და კერის დარად გული გავითბო.
რაა, შენობავ, მშვენება შენი,
ვინ შეაქებდა დახვეწილ მარმარის,
შიგ არ ცხოვრობდეს სიმართლე
ბარქენის,
არ აღვიძებდეს მდუმარე დარბაზს.
ქვას შეუნახავს გრიგალი ხალხის,
ღელვაც უნახავს პირველად ზღვაზე,
და მიმოქცევა მღვიძარე ტალღის
გამოხატულა ბოლნისის ქვაზე.
ეგებ ესმოდა პურის ღაღანი,
ნახა მშფოთარე მშობლის საკანი.
ბავშვივით ტალღას ქვაზე აყვანილს
ეგებ არწევდა, როგორც აკვანი.
ვინ გააღვიძა მთვლემარე ქვები.
ვინ აამღერა კედელზე ტალღა,
და შთაგონებულ მარჯვენის ქებით
უკვდავი ღელვა ასწია მაღლა.
ეგებ ფაფარნი ქროდნენ რაშების,
ან თამაშობდნენ ზღვასთან ბავშვები,
ეგებ ამ ქვებით იყო ნაშენი
გორის ციხე და წულრულაშენი.
როგორც თევზები, ფიქრები ჩვილი.
კედლის ტალღებში პოებენ საზრდოს.
ბრძენი ცხოვრების მარადი ჩრდილი
ჩემგან მოყვანილ ოცნებას ათბობს.
თვალი გაყვება ტალღით ქარავანს,
უკვდავ ღელვაში ცხოვრება იძვრის.
და მე ფარვანა, ვიცი, არა ვარ,
მაგრამ ამ ქვების მშვენებით ვიწვი.
ამათ ადგიათ მშრომელის მადლი,
მშფოთარება და ჭიდილი ქართლის,
პირველყოფილი ჩრდილები სანთლის
და ზედ ავაზას ზოლები დათრთის.
ნატიფ დარბაზში მღელვარებს ფიქრით
ოთხი ოსტატი, ოთხივე ბრძენი.
არწევებივით კედლებზე მიჰქრის
ოცნებანი და ბრძოლები ჩვენი.
ხალხში გადგმულა ფესვები მისი,
აღვიძებს მიწას სიბრძნის ნაჟური,
და ახლა ქვეყნის სიმღერათ ისმის,
ქვაზე მქროლავი ტალღის ტლაშუნი.

მესამე მინაწერი

მე ვიმეორებ იქნებ ადრინდელს
და სხვის ნათქვამსაც ხელახლა
ვამბობ.
თუმც ფურცლის ველი მოვინადირე
და გულის უცხოდ მოხატვას ვლამობ.

როცა რიჟრაჟზე ამ ლექსებს ვწერდი,
მხარე მაძლევდა სიახლის იმედს,
და ჩვილ ოცნების ყოველი წვეთი
მას სიხარულის ცრემლებით მივეც.
მარტოდ ნამყოში სული მეკუთვის
და ვეშურები სარკმელთან მყობადს.
წარსულიც მხოლოდ იმას ეკუთვნის,
ვინც დაიმკვიდრა სიახლის გრძნობა.
იჭვის ჭაშნიკი თუ სინანული
ადრინდელ ჟამის ჭიქაში დავთმე.
ვინ ჰპოვოს კიდევ გრძნობა მალული,
მუზის თვინიერ მცხოვრები სადმე.
მე ვემზადები ლეკსისთვის ზაფრით,
ვსინჯავ აწმყოში ჩაჯენილ მყობადს,
რომ კოლუმბივით ოცნების აფრით
კუნძულად ვპოვო ახალი გრძნობა.
თესლეულს ფარავს მიწა დახნული
და შიგ სიცოცხლე სიამით კუთავს,
გულში აგრეა გრძნობა ჩაფლული,
რომელიც ჯერაც არავის უთქვამს.
იგი მიაგავს გაუშლელ კოკორს,
ჟამის სინათლის მირონ ცხებული
და ავარდება ოთახში, როგორც
ვანგოგის ბუჩქი გაოცებული.
შემოქმედება სიმწიფეს ითხოვს,
უცხო გრძნობას და უხილავ საკვესს,
ფაზისის კლდეზე მინთებულ მითოსს,
რომ მის სიმაღლეს ოცნება აჰყვეს, —
გადამღერებულ გულისთქმას ლუპავს,
ვერ შეიგუოს ერთი მათგანიც.
შემოქმედებას სირთულე უყვარს,
მხოლოდ გასაგებ ენით ნათქვამი.
მეც ამ სტრიქონებს ნაპერწკლით
ვწერდი,
შუქივით მედგა ჩიბუხის ბოლი,
მახალისებდა სამშობლოს ბედი
და ვაჟკაცები ჰაერში მსრბოლი.
გულია წრფელად ჟამის მლოცავი,
ლორთქოდ ინახავს სუსხსა და
სისხამს,
და ახალ ფესვის სუნთქვით ცოცხალი,
ზეთისხილივით ოცნებას ისხამს.

ვაჟა ფშაველას ბუხართან

ჩარგალში, ვაჟას ბინაში, არის ბუხარი.

ეს ბუხარი ვაჟას თვითონ აუშენებია და ანთებულ ბუხრის ცეცხლზე ხშირად უწერია ლექსები და პოემები.

დგას შენი ქოხი ჩარგალის ღრეში,
მღვიმეს მიაგავს გარუჯულს რუხად.
შიგ შემოვდივარ ეთერის ეშხით,
და შევეყრები მღვიძარე ბუხარს.
მთას შეხიზნულმა, ცეცხლის საბადო.
თვითონ ააგე, ოთახში მოწმედ.
მისმა ვარვარმა გრძნობით აგანთო
და წაწალივით ოცნება ჰკოცნე.
აგური აგურს ვაჟკაცურ თრთოლვით
მიადუღე და გალანდე ლარით.
მილი გარანდე, სადენი ბოლის,
როგორც ოცნების სამგზავრო ლარი.
ჯადოსნურ ხელით საუნჯე ცეცხლის
გამოკვესე და იყავ მდუმარი.
გულის ქისიდან მიეცი სესხი
როცა კაცივით ადგა ბუხარი.
ამირანივით მიაკარ კუთხეს,
რომ შეენახა შენი ლადარი.
მას სტრიქონებმა შხუილით უთხრეს,
როგორ შფოთავდა მთაში ავდარი.
ბუნების ფიქრი, გრძნეულ მარჯვენით,
ააკვამლე და შთაბერე ბუხარს.
მითი ქარიშხლის სულში ნარჩენი
ილაღადე და ნაკვერცხალს უთხარ.
ორწყალს ღრიალებს ორი არაგვი:
ხევსურული და ფშავური ფერით.
და მოღუღუნე, ბუხრით მარაგით,
შენი ნათლული ბუნება მღერის.
ხორბლის ოდენა წვეთები წვიმის
სიმზე შეგრჩა და ღამეებს ათევს.
ქარი გააცნობს არწივის წივილს,
ვედრების დარად, ამართულ ჭადრებს.
მშვიდად იმშრალებ კერასთან
წინდას,
ჭადრის ვედრებას გასინჯავ სიმზე,
და ცალი თვალი ცეცხლივით წმინდა,
ჯიხვებს მონუსხავს ნაპრალის
ქიმზე.
არ მოგწევია ღამეში დაღლა,
მიჯაჭვულ ბუხარს უთხარი ძმობა.
ცეცხლიდან ბოლი მიილტვის მაღლა,
როგორც ლექსიდან ამდგარი გრძნობა.

მე უფერული, მინდიას მოძმე,
ჩარგალში იფნის სინათლით მოველ
მთელი ქოხია სიბნელის მოწმე,
მხოლოდ ბუხარში ცისკარი ვპოვე.
ჩარგალში გავჩნდი ღამეში მსხემი,
და ნაპერწკლები ცეცხლიდან
მაწვიმს.

ბარში აღზრდილი ოცნება ჩემი
ბუხართან ხვდება მოღუშულ არწივს.
სოველ ფრთებს იშრობს ძველი არწივი,
ფრთა გაუჟღენთავს ნაპრალის ქიმზე,
ვითომ წამეღოს შენი ნაწილი,
მოღუშული და ნაწყენი მიმზერს.
დაბლა ელავენ ცეცხლის კბილები,
და გაბრაზდება ფრინველი თითქო
იაკობივით მას ვერკინები
და ალიონზე კურთხევას ვითხოვ.
არწივის ფრთები ბუხარს გიმშვენებს,
იგი ასწავლის ოცნებას ფრენას.
თუ გამიჭირდეს, ბრძენო, მიშველე,
შემაგნებინე მინდიას ენა.
შენ რომ ოდესღაც აანთე ცეცხლი,
ეხლა რიჟრაჟად ბუხარში ღვივის.
მომეცი ხილვის მისხალი სესხი
და შემაგუე არწივის წივილს.
დაბლა ელავენ ღადრის კბილები,
ზედ კლანჭებს ლესავს ფრინველი
თითქო.

იაკობივით მას ვერკინები
და ალიონზე კურთხევას ვითხოვ.

როშკელი ძილა

მე მომაგონა ვაჟას ბუხარმა
სოფელი როშკა უბუხროდ მდგარი.
მწუხრზე განვლილი მთები ულრანი.
სიმივით წვრილი ბელიკის ქარი.
ძლივ შენს ქოხში შემხვდა სერობა,
შენ მამხილვარე მიდამოს გაშლილს:
და მთვარის ფარმა ნისლში შესტოპა
როგორც თორღვაის ჯავშანმა წყალში.
ქოხი ქოხს ეკრა, ბექობს დახრილი,
თითქო უფრთხოდნენ მტაცებელ
არწივს.

ძილავ, თვალების ძველი მარილი,
შეგვაეშხე და ცრემლით დაგვწვი.
მთვარის ღიმლამი კვდებოდა მთაში,
აწკარუნებდნენ ძროხები ზარებს,
ბანზე დარბოდა ხუთი წლის ბავშვი
და დაგვცინოდა დამტვერილ
მგზავრებს.

ხუმრობით მითხარ: სწორფეთთან,
მოხველ,

შაირ გვიმღერე ვაჟას სადარი.
თვალი მოჰკიდეთ დათოვილ ნოხებს
და იმხილვარეთ როშკის ზამთარი.
შენ არ იცოდი ანბანი მაშინ,
თუმცა მოგავდი რქააყრილ ირემს.
და გერწეოდა ლაჟვარდა თვალში
წარაფზე მწოლი ღრუბელი მცირე.
გითხრა: რად არ გსურს, ძილავ
ისწავლო,
ნუთუ არ გაწევს სურვილი ხინჯად. —
„ქალმა სწავლისთვის რისთვის
იწვალოს“.
ხუთი წლის ბიჭმა მოგვაძახა დინჯად.
მე გავვოცდი და გავიგე შენგან,
ეგრე რომ ავსო რომკაში ბავშვიც.
ბნელი დააწვა ფიქრივით ზეგანს
და მიილურსნენ ნისლები მთაში.
უხმოდ ვფიქრობდი, ძილა კამკამებს,
ბანზე უნთია თვალების კვარი.
წვიმით დაცვარულ მიჯრილ წამწამებს
მაბრედ გახსნია ბუნების კარი.
ჩემი სერობა თითქმის გაცუდდა,
ვეღარ ვარჩევდი ბუნებას წაშლილს.
ძილას თვალები ბნელში გაცურდა,
როგორც თორღვაის ჯავშანი წყალში.
ძილა რომკაში და მე ქალაქად
მაინც ვეშვილეთ საბჭოთა კავშირს.
რომკის ცა ჩამყვა გულში მარაგად
და ბადესავით სტრიქონში გავშლი.
ეხლა ძილაა რომკის მოთავე,
მტუქსავი ვაჟიც მიჰყვება მეგზურს,
გადიკითხავენ ამ ლექსს ორთავე
და უჩვენებენ მეზობელ ხევსურს.

როშკის მოთავე

კვალად ხევსურეთს მე დავივანე,
შარას გადმიშლის სისხამი დილა.
ხევსურს მოლექსეს თუ დავემგვანე,
ბანზე იშურთხებს როშკელი ძილა.
წინათ გიხილე — მოხატულ კაბით,
შიგნით გამკობდა სულს აშოლტილს.
დილით შემოგვხდი მოღუშულ წარბით

და მომლიმარი მწუხარე დაგვშორდი.
როგორ შეცვლილხარ რიჟრაჟის
ფერით.
მოლექსის მოსვლა ეგებ ისურვო.
მხედარი ხარ და პარტიის წევრი
როშკის მეგზურო, ქალო, ხევსურო.
ჩქარობს გიგალობს ძველი ორწყალი
და ნაპერწკლებით თხმები ფეთქავს.
ორწყალს მღელვარებს ნისლი
ცოცხალი
და აელვარებს თორღვაის ბექთარს.
ძილავ, მოსკოვში გიხილე როგორ,
გამოფენაზე ნაქარგებს შლიდი.
არას კვირობდი როშკელი გოგო
და რონინებდი ირემი მშვიდი.
უშიშა, გიგა, მინდი და ხირჩლა,
ავთანდილები გამკობდნენ შენნი.
მათი ფარის და ფრანგულის ჩხრიალს
როშკას უხმობდა ჭიხვინა ცხენი.
ხარ ხელმძღვანელი სოფლის საბჭოსი,
გაეშურა და დასტოვე ვაკე.
ჯვარ დაქსოვილი შენი სამოსი
მოიშორე და იცხოვროს ცალკე.
ქარებს გააცნოს სიხამე თვისი, —
მოუთიბავი აქვიტის სუნი.
ჩამოკიდული კუთხეში ღდისით
იყოს უთავო და დანისლული.
შეგრჩა ხატული ქუდი მერდინი,
თმა შეკრეჭილი ქარივით ქერა,
და მათრახივით ტანმოღვედილი
შემოაქროლებ როშკაში მერანს.
შენ ხარ როშკელი ერთი მეგზური,
მთებზე მქროლავი ნიავის ტოლი.
მოვა მოლექსე, ძველი ხევსური,
და ჩიბუხიდან ადგება ბოლი.
გიმხილვარებს და გიკითხავს ოდეს,
გაჭვარტლულ ფანდურს ჩამოხსნის
კუთხით.
თითქოს გრძნეული თითები ჰქონდეს,
აფართქალდება ფანდურზე შურთხი.
ფრთები კერასთან შეარხევს ჰაერს.
გამოაფხიზლებს ჯვაროსანთ მოდგმას.
რეკავს ბელადზე უწმინდეს შაირს
და ბერიაზე ვაჟკაცურ ხოტბას.
ვინ არის იგი? შაირის მთქმელი
ლრუბლის თმიანი მოგავს ჰომეროსს!!
ბაზიერივით ფანდურის მწვრთნელი,
ფანდურზე ფიქრი განიმეოროს.
ბანზე დაყაროს გრძნობები ხორბლად,
შესძრას შურთხივით პატარა იფნი.
და როცა ძილა დასხდება სოფლად,
მასთან ისწავლოს პარტიის წიგნი.

წიგნი პარტიის ისტორიისა

მცირე, პირადი ჩემი ცხოვრება,
ვერ ჩავატიე ნაწერში თითქმის.
და არ მეგონა, ხალხის ოცნება
თუ ერთი წიგნის ფურცლებზე ითქმის.
ოდითგან კაცთა ოცნებას დაჭრილს
ვხედავ აღდგენილს ვაჟკაცურ
ბუკით,
ცვალებადობის უწყვეტი ჯაჭვი
განათებულა გონების შუქით
და ვზივარ ღამით წიგნთან მარტოკა,
წამომეწევა სისხამი ცისკრის.
მისმა სამყარომ გრძნობით დამთოკა, —
ფიქრის ბუდეში ნაპერწკლებს ისვრის,
კაცის მოძმეა წიგნი ფრთიანი,
არ ეკარება სტრიქონებს რული:
ფურცლებზე ტოკავს მარად მთლიანი
ლენინისა და სტალინის გული.
კერასთან ღვივის, ღამეებს ათევს,
ქალაქშია თუ ქარიან მთებში,
სათუთად დააქვს ხალხის სიმართლე
ბრძენის ქარტიით აღზრდილი ჩვენში.
შიგნით მწიფდება სხვა მომავალი,
თითქო ოთახში აღსდგება წიგნით:
ბრძოლით განვლილი ჟამით მრავალი
და ვით ქვეყანა მღელვარებს იგი.
ბიბლიურ ბუჩქად ანთებულს გევხარ,
გულო, პირადულ დარჯაკში გავლით.
როგორც ხეობით მხარეში შეხვალ, —
წიგნში შევდივარ მცხოვრების მგზავრი
ოდესღაც სიზმრად მინახავს მიწა,
სილრმით დაეხსნას ამირანს მუხლით.
შიგან ნაპერწკლის მარცვალი იწვა
და მიწის გულში იწყებდა ქუხილს.
ამგვარ მარცვლიდან ცეცხლივით
სუფთა,
აღმოცენდა და აღვიძებს მითოსს:
ლენინის დიად ცხოვრების სუნთქვა,
მარადიული სტალინის სიბრძნე.
შიგ გაზაფხულის თვალი იცინის,
ჰყვავის სიმართლე უკვდავი ხალხის,

ცეცხლი ბათომის და ცარიცინის
ცისკარში შობილ ნაკვერცხლებს
გვაყრის.
ხალხში იტყვიან: იძინებს ველი.
ერთხელაც ჩასთვლემს ჩანჩქერის
წყალიც.
წიგნში-კი ცოცხლობს მარად ფხიზელი
ლენინის სული და ნაპერწკალი.
ყოველ ფურცელზე დღის სინათლეა
და იარაღის ჯახანიც ისმის,
თუ როგორ სჭედდა იმედს პარტია
რომ აღედგინა სამშობლო თვისი,
და მისი დაცვის წმინდათა წმინდა
გრძნობას გვინერგავს წიგნი ბაბაცი,
გმირი იელვებს ხასანის ტბიდან
და ფინეთიდან ფრთებიანი ლამაზი,
დე, გრძნობა მარად ფხიზელი
გვქონდეს,
აღვჭურვოთ გული და აღტაცება.
გადაშლილ ფურცლებს შუქივით
მოსდევს
ქვეყნის სიყრმე და დავაჟკაცება.
ფეთქავს სტრიქონში ფესვები მიწის
წვით და სიმღერით ამოყვანილი.
აღსდეგ, ვადიდოთ მჭედელი წიგნის
ბრძენი ხალხი და ბრძენი სტალინი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით სულიაშვილი

ბავშობა

სურამის ციხე

მინდა ბავშობის ხანას ფარდა ავხადო და იმ წალკოტში გადვიხედო, რომლის მიდამო ლამაზი ყვავილებითაა აფერადებული.

შორიდან მიცქერის იგი პირმცინარი, პატიოსანი, გულწრფელი და მხიარული, აგერ ჩემი სოფელი ბალჩებიან მიდამოებით, ნაცნობი სახლებით, ღელეებით, ხიდებით და მწვანე მინდვრებით. აგერ ჩვენი ეზო, — ნაზი ღიმილი დედის, მამა ჩემის კეთილი და მუდამ ნაოჭიანი შუბლი. ჩვენი ვენახი, კაკლები და კუდა ძაღლი.

აგერ ჩვენი სახლი და მის პირდაპირ კაკლის ტოტების მიღმა, დაბალჭერიანი სახურავების ზევით სურამის ციხე!

მიწის წიაღიდან მუშტივით ამოვარდნილ პიტალო კლდეზეა იგი აზიდული, — მაღალი, ამაყი და მედიდური. ქარიშხლიან საუკუნეებს განვლილი, კბილებ ჩაცვინული კედელი, ზვიადათ გასცქერის ლიხის მთის მწვერვალებს და წიწილებივით გარშემოფანტულ რიკულიან ქოხებს.

ლამაზია სურამის ციხე დილით, როცა ყავრის სახურავებზე კვამლი ზანტად გაიფანტება და აღმოსავლეთის კედელს მზის პირველი სხივები ლავაშივით გაეკვრება. მოსახლეობა იღვიძებს, ჭისკრის კარები აჭრიალდება და მოზვრების და დეკეულების ბღავილი მყუდროებას დაარღვევს. ბეღურა ჩიტები ჟღურტულით გადაევლებიან მის თაღებს და ნავარდს იწყებენ ცის კამარაში. შორს, ლიხის მთის დაშვებულ კალთებზე გუთნეული შავ ბელტებს ააპრიალებს და მინდვრებს მოეფინება ოროველის გუგუნი...

მაშინ ციხე ამაღლდება, გაიზრდება დ გიზგიზით თეთრ ღრუბლებს მიეტანება; პირმცინარი და მხიარული კლდე და კედელი, მზე და მიწა, მინდორი და ველები, მთები და მდინარეები შეერთდებიან და ამომავალი მზის ჰიმნსა მღერიან...

ხოლო საღამოს, როცა დასავლეთის კედელს უკანასკნელი შუქი მოსწყდება, — ციხე დამწუხრდება! ლალისფერი ნისლი, თალხი ლეჩაქივით გაიშლება ვიწრო ხევში და პიტალო კლდე დანესტიანდება. გორაკების კალთებზე დაეშვება მტვერში გაგუნგლული ნახირი, ბღავილით მიეშურება სოფლისაკენ და ცელქობისაგან დაღლილი ბიჭები სირბილით მიდიან შინისკენ...

ამ დროს ციხის მაღლობიდან მკრთალად, თითქო საცერში იხედებოდე, სევდიანად მოსჩანს ზემოქართლის ველი. ზღვასავით გადაშლილია მწვანე ჯეჯილი და თრიალეთის მთის ძირში, ვერცხლის სარტყელივით დაკლაკნილია მტკვარი. შუბლს გიგრილებს ტაშისკარიდან მოვარდნილი ნიავი და თითქო შორს მიემგზავრებოდე სალამს გიძღვნის შორეული გორისჯვარი...

წარმტაცია სურამის ციხე მთვარიან ღამეში, მაშინ ციხე თითქო ცხილავი თეთრი ძაფებით ზევიდან ჩამოშვებულიყოს, — სუბუქია და გამჭვირვალე... თითქო ლივლივებდეს ეთერიან სივრცეში, ზღაპრული კოშკით მაღლა აზიდული, გხიბლავს და გიზიდავს. ლურჯი ფერით დაბურული შორეული მთიბ-მდევებივით გადმომდგარან და იდუმალი მდუმარებით მინდორველს სდარაჯობენ. ვარსკვლავიან თაღებში, საცერივით ჩამოკიდებული მთვარე, თითქო თეთრ ფქვილსა სცრიდეს, თრთის და ელვარებს...

ორღობეში აჭრიალდება დაგვიანებული ურემი და კავზე აღერებულ სახრეს თან მიჰყვება ურმული:

მთაო გადმიშვი, გადმიშვი
რა ნისლი მოგიხვევია
მთის იქით ჩემი მიჯნური
სხვა ვისმეს ჩაუხვევია...

სევდიანად ეფინება მიდამოს მეურმის ღიღინი და ზანტი კამეჩების მძიმე ფეხის წაბიჯები.

დაბალჭერიან ფანჯრებიდან მკრთალი შუქი იქვე ლობესთან კრთება. ეზოში ატყდება გაღვიძებული ძაღლის ყეფა და სადმე შორს ოთახის კარი მიხურება.

მთვარის სხივებით ნასხურავი სურამის ციხე მაღალი და შეუპოვარი, — ტოკავს, თითქო ფეხი აუდგამსო, — მიდის, მიეშურება...

კარგია სურამის ციხე ზამთარშიც. მაშინ თოვლის კორიანტელი ისე ევლება მის კედლებს, როგორც ზაფხულში თაღებზე მონავარდე მერცხლები და თითქო ქარბუქის ზვირთებს მიარღვევდეს, გემივით ირწევა. თითქო ებრძოდეს თეთრი ზღვის ტალღებს და სოფლის მოწყენილობას, ზრიალებს და ლეჩაქივით იბურება. მდინარეს სუდარა დაუხურავს და ვიწრო ხევში შიშველ ტოტებს ზეწარი წაუფარებიათ. მლოცავებივით მკლავები მაღლა აუშვერიათ და ცივი ქარისაგან შეშინებულნი, — განაბულან...

ზაფხულში, როცა ციხის კალთები ამწვანდებოდა და ციხეზე მიმავალი ბილიკი დაიკლაკნებოდა, ყოველდღე ავირბენდით ბიჭები კლდოვან აღმართზე და ციხის მორკალულ მინდორზე ჭიდაობას გავმართავდით. კედლებზე ავცოცდებოდით, ჩიტებს ბუდეს ვუნგრევდით და მიდამოს გადავხედავდით. დავრბოდით, ნანგრევებზე ავლოლავდით და იმ ალაგს ვეძებდით, სადაც კედელში ჩატანებული ზურაბი უნდა ყოფილიყო.

იქნებ ეკლესიის საძირკველთან დაიმარხა იგი? ან იქნებ იქ აღმოხდა სული, სადაც კედელი ჩაშავებული და ნოტიო არი? მაგრამ ეს ნოტიო კედლები ხომ დედის ცრემლებია, ყოველ დილას ჯერ კიდევ გაუთენებელზე პირმშო შვილის სანახავად რომ ციხესთან მორბის, სტირის და მოსთქვამს:

სურამისა ციხეო,
სურვილითა გნახეო
ჩემი ზურაბ მანდ არის
კარგად შემინახეო...
ვაიმე შვილო, ზურაბო!...

ამ ლეგენდის მოგონებასთან წარმოგვიდგებოდა შავ ჩადრში გახვეული, მაღალი, შავგრემანი, გამხდარი, უპეებ ჩავარდნილი, თმა გაწეწილი დედა, რომელსაც გრძელი ნაოჭებიანი კაბა მიწაზე დასთრეოდა, აქვითინდებოდა, ცრემლებს დაღვრიდა და რომ ინათებდა უჩინრად გაჰქრებოდა.

ვნატრობდი ზურაბის დედა მენახა, როცა ის ციხის კედელს შემოუვლიდა, სტიროდა და მოსთქვამდა.

ნატვრა შეუსრულებელი რჩებოდა.

შორეულ წარსულში გონების თვალით ვხედავდი ერთმანეთში ამოზნექილ ხალხს, ჯერ კიდევ ნახევრად აუშენებელ ციხის კედელთან რომ აქოთქოთებული, სულგანაბული ერთ ადგილას ტოკავს, ღელავს და თვალები იქითკენ მიუშტერებიათ, სადაც კალატოზები ქვასა და სილას, კირსა და ქვიშას ქაფქირებით კედელში ასხამენ. ჩქარობენ, ვიღაცას უყვირიან, თრთიან და უჩვეულო, დავალებულ სამუშაოს რომ ასრულებენ, თითქო მკლავებში ძალა დასცემიათო, მარდად ვერ მოძრაობენ და უმწეოდ ხელების ცახცახით კედელს მაინც აშენებენ...

შორს კი შავი კაბებით გარშემორტყმული, მკლავებ გაკავებული დედა შემზარავი ხმით ტირის და შიგადაშიგ შესძახებს:

— შვილო ზურაბ, სანამდის!...

— ვაიმე დედავ, მკერდამდის!..

სასოწარკვეთილი დედა გაიწევს, დაკავებულ მკლავებს უმწეოდ მოსჭიმავს, გაწეწილ თმას ჩაბლუჯავს და კიდევ შესძახებს, —

— შვილო ზურაბ, სანამდის!..

— ვაიმე დედავ, მხრებამდის!..

კიდევდაკიდევ შეიბრძოლებს ღონემიხდილი დედა, კიდევ გაიწევს, კიდევ მოიგლეჯს თმას და კიდევ შესძახებს, —

— შვილო ზურაბ სანამდის!..

— ვაიმე დედავ გავ...

და სამარისებური სიჩუმე, — აღარც დედის შეძახილი, აღარც ტირილი, მხოლოდ კალატოზების აჩქარებული ქაფქირის ჩხრიალი, კირისა და ქვიშის ხრიალი, ჩუმი ქვითინი და ყრუ გოდება.

ილო

ხშირად ავდიოდი სურამის ციხეზე და იქიდან ჩვენ სახლს გავხედავდი.

სახლის კედელს სათონე ჰქონდა მიდგმული, მას ბელელი მიჰკვროდა, ბელელს დაბალი ბოსელი. სახლის უკან გრძელდებოდა ვენახი პატარა ბაღჩით და კაკლის ხეებით. ვენახის გვერდით კრიალა პატარა მდინარე მიჩხრიალებდა, იქით იწყებოდა მინდვრები, ტყით მოფენილი ლიხის მთები და დაჩრდილული ხევი.

ბელლის რიკულიდან ხშირად გავცქეროდი ცაზე დაგრეგილ ლეგა ღრუბლებს და მეგონა რომ ღრუბელი ბამბასავით ლბილი და მსუბუქი იყო. ისინი თავისკენ მიზიდავდნენ, მხიბლავდნენ. მეგონა მთაზე რომ ავსულიყავი, ღრუბლებში შევცურდებოდი, ლბილ ბალიშზე დავჯდებოდი. აფერადებული, გამსჭვირვალე ბალიშები ზვინებივით დაეწყობოდნენ. ხან უწესრიგოდ გაიფანტებოდნენ, იზლაზნებოდნენ და სხვადასხვა სახეს იღებდნენ. აგერ ერთი ღრუბელი კუზიანი აქლემივით შედგა მაღალ ფეხებზე. ყელი წაუგრძელა... მაგრამ ახლა ფეხები დაუგრძელდა გაიჭიმა და თითქო თავზე სარეცხი ჩამოუკიდიაო, ისე გაჰყვნენ ერთმანეთს ლეგა ღრუბლები. ვუმზერდი მათ მოძრაობას და ვოცნებობდი რაღაც სხვა ცხოვრებაზე, სხვა ქვეყანაზე...

საღამოობით ცისკიდურს ცეცხლი ეკიდებოდა, ცაზე მოფანტულ ღრუბლებს ალი ედებოდა, თვალს იტაცებდა ეს სანახაობა და ბუნების სასწაულით თითქო ვერთობოდი. დიდხანს ვუცქერდი გიზგიზა ღრუბლებს, ზოლებად რომ

მთის წვეროებზე ედებოდა. მერე ცეცხლი თანდათან ჰქრებოდა, მთებს ლილისფერი ედებოდა, იბურებოდა, მწუხრდებოდა. ვმწუხრდებოდი მეც, — თითქო მხიარული გული შეუცნობმა ნაღველმა ამივსო. ჩავქინდრავდი თავს და ვფიქრობდი, — რატომ ჩაქრა ცეცხლი? მიდამოს დამწუხარებამ რატომ ნელა-ნელა დამწუხრა ჩემი გულიც?..

ბიბლიოთეკა

ხშირად ამ დროს მეზობლის ბალჩიდან პაპა ილო შემომძახებდა, —

— რა დროს შენი ფიქრებია ბიჭო, მოდი აქ ქლიავი გაჭამო!

ილო ჩვენი ეკლესიის მნათეა. ჭარხალივით ჩაწითლებული ცხვირი და ლოყები, ზედ ბადესავით გაბმული ლურჯი ძაფები. რგვალი პირისახე და მოკლე თეთრი წვერულვაში. თეთრსა და ხშირ-წარბებ ქვეით სილრმეში წასული ჭროღა თვალები. ჩამჯდარი კისერი და ქართლელი გლეხის ჩაჯირკვლებული დაბალი ტანი.

ზამთარ-ზაფხულ გაქუცული ტყავის ქუდი ჰხურავს. შავი მოკლე ახალუხი აცვია და გრძელყელებიანი ჩექმები. მუდამ მხიარულია, მუდამ დალეული, დალეულიც რომ არ იყვეს, მაინც კარგ გუნებაზეა, სულ იცინის და ხითხითებს.

როცა იცინის განიერ ნესტოებიანი ცხვირი, მამლის ბიბილოსავით წითლდება, ჭროღა თვალები სილრმეში მიიმალებიან და მხოლოდღა ორი ხაზი მოსჩანს სხვა არაფერი. როცა ხითხითებს მთელი სხეული თრთის...

ის მუდამ მზად არის თავის მღვდელს ემსახუროს და ასიამოვნოს, — ეკლესიას დაგვის, საცეცხლურში ნაკვერცხალს გააღვივებს, ნამწ სანთლებს მოაგროვებს, ზარს დარეკს და მერე სასანთლესთან დადგება სანთლის გასასყიდად.

ხშირად მღვდელთან სახლშიც დაიარება. — „აბა ილო, ერთი პაპიროსი მომიტანე!“ „ილო ერთი შეშა დააპე!..“ „ცივი წყალი მოარბენინე!“ და ილოც გარბის. ერთ პაპიროსს მღვდელი მასაც გადაუგდებს და ილოც იცინის, ხითხითებს მთელი სხეულითა!..

მღვდელი ბოროტია, გოროზია. ის მუდამ დასცინის ილოს, არაფრად აგდებს მის მოხუცებულობას, მის ადამიანობას. ილოც ითმენს, გული ბოღმით ევსება, მაგრამ გამოსავალი არა აქვს. თვალებში შესცინის მღვდელს,ხითხითებს... ის კი უჯავრდება, უყვირის, მუდამ უკმაყოფილოა და გაბოროტებული. ერთხელაც არ ახსოვს ილოს, რომ გული მოეგოს, მოელბოს... რამდენადაც ილოს ხასიათი გულღიაა, მხიარული და კეთილია, იმდენად მღვდლის — გულჩათხრობილი, წარბშეკრული და ბოროტი.

ილოს ბალჩა ჩვენს ეზოს ერთვის. ჩვენი კაკლის ძირში გაშლილი მწვანე მინდორია. ილო თავის ბალჩიდან ჩვენს ეზოში გადმოდის, შავქლიავას კალათით გადმოიტანს და კაკლის ქვეშ ჩრდილში წამოწვება...

— რაზე ფიქრობ ბიჭო!.. ეეეხ... შვილოსა, შენ რა გაქვს საფიქრები! ბატონი შენ არა გყავს და მბრძანებელი! ხეე-ხეე-ხეეეე!.. მაგრამა მერე რა!.. ხეხე-ხე!.. დაჯექი და შავი ქლიავი ჭამე შენა!..

კაკლის ქვეშ ლიხიდან გრილი ნიავი უბერავს. აქ ხშირად თავს იყრიან მახლობელ სამრეველოების მღვდლები, რომლებიც სურამში ცხოვრობენ. როცა ისინი ჩვენსკენ გამოიცლიან, მწვანეზე წამოწოლილი ილო ფეხზე წამოდგება, —

— მობრძანდით მამაო დიმიტრი, დაბრძანდით!..

მამაჩემი მაშინვე ფარდაგსა და მუთაქას გამოიტანს, მამაო დიმიტრის კურთხევას მიიღებს და გაშლილ ფარდაგზე მიიწვევს.

პირველს, — თითქო დაბარებული ყოფილიყვეს, — მეორე ანაფორა მოსდევს, მეორეს მესამე და კაკლის ქვეშ აშრიალდება ანაფორის კალთები.

— მობრძანდით, მამა იოსებ, დაბრძანდით!.. მამაო ონოფრე, მამაო თეოდორე!.. — მასპინძელივით დაუძახებდა მათ ილო. მან კარგად იცოდა რაც მოყ-

ვებოდა ამ შეკრებას და ხითხითებს... უწითლდება ისედაც გაწითლებული ცხვირი... მღვდლები ანაფორებს ჯერ ამოიკეცამენ და გაშლილ ფარდაგზე წამოწვებიან. მერე, ანაფორებს რომ გაიხდიან და კაბაში გახვეულ მუცლებს ტიკჭორასავით წინ გადმოაგდებენ, — იდაყვებით მუთაქებს დაეყრდნობიან და მუსაიფს გააბამენ.

მამაჩემს ახალისებს და მის პატივმოყვარეობას აღიზიანებს, რომ მის ბაღში მღვდლები შეკრებილან და გრილდებიან.

ილო შორიახლო დგას და ხითხითებს. რაც უნდა სთქვან მღვდლებმა, სასაცილოა თუ არა, ის მაინც იცინის და მთელი სხეულით ირხევა.

— ილო, ერთი ის მოყევი, მურმანიანთ ქვრივს რომ ეარშიყებოდი, როგორ იყო?...

ილომ იცის რომ ეს ამბავი ყველასათვის ცნობილია და ახლა მხოლოდ გახსენება უნდათ და ყველაზე მეტს ის იცინის და ხითხითებს...

სასაცილო მაინცა და მაინც არაფერი იყო, — დაქვრივებული მურმანიანთ სალომეს ილო ეარშიყებოდა. სალომემ იცოდა ეს და ისიც აღიზიანებდა მას, — ხან ენას გამოუყოფდა, ხან ეშმაკურად გაუცინებდა. ილოს იმედი ეძლეოდა და ერთხელ რომ ხელი წაატანა, ლოყაში ისეთი ლაწანი იგრძნო, რომ თვალთ დაუბნელდა და მიმავალ სალომეს თალხი თავსაკრავი და გამოყოფილი ენა ძლივსღა გაარჩია.

— ხე-ხე-ხეეე!... — იცინოდა ილო და იცინოდნენ მღვდლებიც...

ერთი ამბავის გახსენებას, მეორე მოყვებოდა. მეტ წილად ქეიფისა და დროსტარების ამბებს იგონებდნენ.

— ეიფ! ეიფ! იმ დღეს რა ბევრი დავლიეთ!... აღარც კი მაგონდება შინ როგორ დავბრუნდი — ამბობს მამა თევდორე.

— მე რა დამემართა ახლა ამას არ იკითხავთ!.. ყვება მამა დიმიტრი, — რომ მივდივარ შინისაკენა და ანაფორას სარჩული დამრღვევია, ფეხი შიგ ჩამიდგამს და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ანაფორას დავწევ და კოჭლობით მივდივარ, ვგრძნობ, მაგრამ ვერ გამირკვევია, რაშია საქმე. ამ დროს ჩვენი სანდრო აბაშიძე შემხვდა, გამაჩერებს, სარჩულიდან ფეხს ამომადგმევინებს და მეუბნება, — მამაო, ჩემთან უნდა წამობრძანდეო, — არ მომეშვა და არა! მეც გავყევი. თურმე სტუმრები ჰყავს დაპატიჟებული. აბა, სიცოცხლე გქონდეს, ნასვამი კი ვიყავი, მაგრამა ცოტა მშიოდა, გავუსვი ხელი ამ შენ მოწონებულ ცოცხალ თევზსა, ხიზილალასა და შემწვარ წიწილებსა! ხელმეორედ ისე გამოვთვრი, რომ შინ წასვლის ღონე აღარ მქონდა. ღმერთმა ააშენა, ძალიან პატივი მცა!..

ლაპარაკი თანდათან ღვინისკენ იხრება, მოწყურებული ირმებივით ელოდებიან ღვინის დალევას, მაგრამ ჯერ არავინ იცის, როგორ მოეწყობა ეს საქმე.

— ილო, წადი ერთი ციცი წყალი მოიტანე! — ეუბნება იოსები ილოს.

— მოითმინეთ მამაო იოსებ, რა დროს წყალია! ღვინო არა სჯობია! — იტყვის მამა დიმიტრი.

— ჰაი დედასა რომ სჯობია, მაგრამა სად არის მერე?..

— თუ კი წყალზე წავა ილო, ბაზარში წასვლაზედაც არ დაგვზარდება!..

— როგორ გეკადრებათ მამაო, თქვენი ლოცვა კურთხევა ნუ მომიშალოს უფალმა. — ხითხითებს ილო, რომელიც კარგა ხანია მოელის ამ საკითხის გადაჭრასა.

— აბა, ერთი სოკრატ, ხელადა ჩამოიტანე!.. ეტყვიან მამაჩემსა.

ვიდრე მამა ხელადას ჩამოიტანდეს, ხუთი კაბის განიერი ჯიბეებიდან ხუთი აბაზიანი ჩაჩხრიალდებოდა ილოს გაშლილ ხელის გულზე.

ილო ხითხითით გარბის ბაზრისაკენა. მამა ჩემი კი ფარდაგზე სუფრას გაშლის, ღვინის ჭიქებსა და საინებს გააწყობს, ყველსა და პურს დაჭრის, კიტრებს ჩამოარიგებს და სადილიდან დარჩენილ მწვანე ლობიოსაც მოიტანს.

— აგაშენა ღმერთმა!.. ჩვენ მეტი არაფერი გვინდა!..

ილოც მალე დაბრუნდება. მუთაქები და მუცლები ჭიქების ახლო მიცოცდებიან, — ზოგი ფეხმოკეცილი დაჯდება, ზოგი მუთაქაზე ჩამოჯდება, ზოგი ნახევრად წამოწვება. ზოგი მოიხრება და გულზე ჩამოკიდებული ჯვრები კაბის უბეში იდება...

კაკლის ძირში მწვანეზე გრილა, ფოთლები შრიალებენ, ტოტებზე შავი გრძელი ანაფორები ჰკიდია. კაბისამარა, საკინძე გახსნილი მღვდლები, ჩაის ჭიქებს გაბარდნილ წვერულვაშში აყირავებენ, დასცლიან, მრავალჟამიერს მღერიან და როცა დოქში ღვინო გამოილევა, აბაზიანები კიდევ აჩხრიალდება და ილო კვლავ ბაზარში გარბის ღვინის მოსატანად.

კაკლის ქვეშ მიყუდროებულ მწვანეზე, მღვდლები თამამად არიან, რადგან აქ ვერავინ დაინახავთ და ამიტომ ლაღობენ...

ახალი, სველი ხელადა გულს ამხიარულებს.

— ალავერდი! მამაო დიმიტრი!

— იახშიოლ!

— მიირთვი მამაო!

— აი მოგიკვდეს ვინც არ დალიოს!

— აბა, დაასხი ილო!

— ეეეფ!..

— გაამოს!

„აი შაშვიეი კააკაბი შეიბნენ, შაშვმა აჯობა, კაკაბსა დააა შააშვი მგალობელიაااااა!..“

მამაჩემი და ილო სუფრის ბოლოზე სხედან. ილო ჩაის ჭიქებს სცლის, დასველებულ ულვაშებზე ხელს გადაისვამს და ჭიქებს ავსებს, აქეთ-იქით ჩამოარიგებს, ხითხითებს და ცხვირი ჭარხალივით უწითლდება.

— ილო, ერთიც უნდა მოიტანო კიდევა! — ეტყვიან მღვდლები და ილოც ბარბაცით გარბის ბაზარში.

როცა მრავალჟამიერი და სიმღერები მოსწყინდებათ, — „ჰერირა, ჰერირა!“. — შემოსძახებენ და ერთმანეთს გვერდებით ნჯღრევას დაუწყებენ, მუცლებს ატაკებენ, ხითხითებენ, მხრებით ისე აწვებიან რომ ზოგი მუთაქიდან ფარდაგზე გაგორდება და თითქო ტიკს ხელფეხი გამობმოდეს, — გორაობს და ფართხალებს აფერადებულ ფარდაგზე...

უკვე შებინდებისას მღვდლები ბარბაცით სათითაოდ მიდიან შინისაკენ. სურამის ციხე შავ ნაბადში გახვეული, მოღუშული დასცქერის მიწყნარებულ სახლებს...

მამა

დაბალჭერიან ოთახის ფანჯარასთან ვდგევარ და ალუბლების მილმა ჩვენ ეზოს გავცქერი. ჩვენი კუდა ძაღლი მორბის და წინა თათებით მუხლებზე მახტება, მეალერსება. მას კუდა იმიტომ დავარქვით, რომ ძალიან მოკლე კუდი ჰქონდა, ამავე დროს პატარა ტანი, ცხვარივით თეთრი ბალანი. მუდამ კიბის ქვეშ იწვა და უცხო პირს დაინახავდა თუ არა ყეფას გააბამდა.

ჭიშკარი იღება და მამაჩემი შემოდის. ერთი კვირაა რაც ის მთავარდიაკვნად აკურთხეს და ახალი შრიალა ანაფორა რომ აცვია, მის გრძელსა და განი-

ერ სახელოებს შეუჩვეველი, — ხელებს თავისუფლად ვერ ხმარობს, მკლავები მოუღუნავს და ხელები გულზე დაუწყვია. მისკენ მივრბივარ. მგონია კაბის ჯიბიდან ტაბლას ამოიღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა მაქვს შვილო, დღეს არ მომიტანია! — მეუბნება.

მიკვირს რომ ხელცარიელი დაბრუნდა შინ. შეჩვეული ვიყავ მამას ჩემთვის წამოეღო რამე.

შინ არ შემოდის. სახლს გვერდს უვლის და ვენახში გარბის. იქ გაუთლელი სარები აწყვია. წალდი სათონედან გამოიტანა, ვენახისაკენ წავიდა და მის ბოლოდან მალე გაისმა წალდის ჯირკზე კაკუნი...

მამაჩემი ფრიად მშრომელი, მარჯვე და ოჯახის მოყვარული ადამიანი იყო. სამსახურიდან დაბრუნდებოდა თუ არა, შინაურ საქმეებში ჩაეფლობოდა. გატაცებით და თავდავიწყებამდე მუშაობდა. მღვდლები შურით შესცქეროდნენ მის კარმიდამოს, კარგად დამუშავებულ ვენახს და ღვარძლიანად იტყოდნენ:

— შეხე ამ ფხიკიანმა იმერელმა რა სახლები წამოიჭიმა და რა ვენახი გააშენა?

თვითონ მუქთახორობდნენ, მამაპაპის დანატოვარ ქონებასაც კი ჰფლანგავდნენ, არა თუ ახალი შეეძინათ!...

დაბინდებამდის თლიდა მამა ვენახის სარებს, მხოლოდ როცა დაბინდდა კიდეც, შინ დაბრუნდა. ის იყო წალდი თავის ალაგას დადო და შინ უნდა შესულიყო, რომ კუდა ძაღლი მივარდა, გამალებით ყეფა დაუწყო. დაჰყეფდა და გაიქცეოდა, თან მამას უცქეროდა... ჩვენ გვეგონა ძაღლი გაცოფიანდა, — ქვას ვესროდით, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა... მამას მივარდებოდა და ჰყეფდა, ისევ გარბოდა. მამამ ჯოხი აიღო ხელში, მაგრამ ძაღლი მაინც არ მოეშვა, დაჰყეფდა და ვენახისაკენ გაიქცეოდა. თან მამას უცქეროდა თითქო თავისკენ უხმობდა.

მამაც მიხვდა, ძაღლს უკან მიჰყვა, ისიც გახარებული ვენახის ბოლოსაკენ გაიქცა. მირბოდა, თან მამას შეუცდიდა. გახარებული და თვალებაბრიალებული ძაღლი ვენახის ბოლოში შედგა. იქ, სადაც სათლელი ჯირკი ეგდო და დათლილი სარები ეწყო, — მამას ანაფორა შავად გაფენილიყო. მხოლოდ მაშინ მოაგონდა მამას რომ ანაფორა იქ გაიხადა. ძაღლს შეხედა. იმან მოკლე კუდი გაიქნია, ენა გადმოაგდო, მამას თვალებში შეხედა. მამამ თავზე ხელი გადაუსვა, მოუალერსა...

შინ რომ დაბრუნდნენ ჯილდოთ კუდამ კარგი ყუა მიიღო.

— ადამიანო, როგორ მოგივიდა რომ ახლად შეკერილი ანაფორა ვენახის ბოლოში დაგრჩა? — ეკითხებოდა დედა.

— მაშა! ეს ჩვენი კუდა ძაღლი რომ არ ყოფილიყო, იქნებ კიდეც დამკარგვოდა!

— მერე, რას აპირობდი?

— რასა და იმასა! მოიტა ერთი თუ გაქვს რამე საჭმელი ამ ლაპარაკსა ისა სჯობიან!..

მამას მუშაობისაგან დაკოჟრილი ხელები ჰქონდა, მოკლე თითები და ძარღვიანი კანი. ნაოჭიან შუბლს გრძელი ცხვირი მოჰყვებოდა განიერ ნესტოებით. მუდამ შეკრული წარბები და ჩაფიქრებული, სილრმეში წასული ცისფერი პატარა თვალები, — სიცილის დროს გაიხსნებოდა, აციალდებოდა, კეთილი და მიმზიდველი ხდებოდა.

დედამ სუფრა გაშალა. ბავშვებს რძიანი ჩაი მოგვიტანა, მამას კი სადილიდან მორჩენილი ლობიო. ერთი ლამბაქი რძის ფლავი დედამ მე და ჩემ დას

შუაზე გაგვიყო, მაგრამ მე მომეჩვენა, რომ იმას მეტი ერგო და ჩხუბი დავიწყე, — რძის ფლავი წავართვი და ორი კოვზი ჩემს ლამბაქს დავუმატე. ჩემმა დამ ტირილი დაიწყო, დედა გაჯავრდა, — ორთავეს თითო წაგვიერაქა თავში. ჩვენ კი ჩვენსას არ ვიშლიდით, ერთმანეთს ენას ვუყოფდით და ვეზიზღებოდით...

რძის ფლავი რომ შევჭამეთ, მერე შაქარზე მოგვივიდა ჩხუბი, — იმან მეტი ჩაიყარა ჩაიშიო, — ატირდა ჩემი და, დაიწყო სლუკუნი და გაიბუტა.

— ერთი ამათ დახეთ, რა ყოფაში არიან ეს ძაღლის წიწილები!—დაიყვირა მამაჩემმა, — ჰაი დედასა რა დღეში ხართ!.. თქვენხელა რომ ვიყავი ცარიელი პურიც კი მენატრებოდა! თქვენ კი რძიან ჩაის მიირთმევთ ისიც დაშაქრულსა და კიდეც ჩხუბობთ ჰა?.. პური კი არა გამხმარი ჭადიც კი მენატრებოდა!.. მაშა!

მამაჩემი მუდამ ხალისით მოყვებოდა ხოლმე თავის წარსულ ცხოვრების ამბებსა და ჩვენც ისეთი გულმოდგინეობით ვუსმენდით, თითქო ზღაპარიაო!..

„მაშინ ბატონყმობა ახლად გადავარდნილი იყო! მამა რომ გარდამეცვალა შვიდი წლისაც არ ვიყავი! დედა ჩემმა გაყიდა მამისაგან დატოვებული ქოხი, მომკიდა ხელი და წამომიყვანა სურამში. დედა მესარეცხეთ დადიოდა და ვე კი ერთ მღვდელთან ლორხბორების მწყემსად დამაყენა...“ — ასე დაიწყებდა მამაჩემი თავის ცხოვრების ამბავს!

მღვდელი გიორგი გურგენიძე, ვისთანაც მამა მსახურობდა იმ დროისათვის განათლებული და შეძლებული ოჯახის პატრონი იყო. მას თავის სახლში სკოლა ჰქონდა გამართული. მისი შვილი მიხეილ გურგენიძე ჟურნალ „იმედის“ რედაქტორი (1881 — 1883 წ. წ.) თბილისში ცხოვრობდა. ორივე კულტურული და საზოგადო მოღვაწე პირები უნარიანი და ენერგიული მუშაკნი, ქართულ საქმეს ეტანებოდნენ და სწავლა განათლებას ავრცელებდნენ.

სკოლაში ანბანსა და წერაკითხვას ასწავლიდნენ. მამა ხშირად შორიახლო დადგებოდა, — შენატროდა რომ ისინი სწავლობდნენ და ის კი არა.

...„ერთხელ მასწავლებელმა შემამჩნია, დამიძახა, — მოდი, თუგინდა შენც გასწავლო ანბანიო. მეც ეს მინდოდა, მივირბინე. ხუთი ასო ამიხსნა. მე შევეხვეწე, კიდევ წაეკითხა შემდეგი ასოები. იმანაც წამიკითხა და მეორე დღეს მთელი ანბანი ჩავბარე“...

ნიჭიერმა და მკვირცხლმა მამაჩემმა მღვდელ-მასწავლებელის ყურადღება მიიქცია, კლასში დატოვა და წერა-კითხვა შეასწავლა.

...„ჯერ უკანა რიგებში დამსვა. მალე ყველას ვაჯობე, — წინა მაგიდაზე გადამიყვანა, ჩემზე უმალ მისულები უკან დავტოვე. სახაზავი მე ჩამაბარა, ლორხბოში რომ მივდიოდი სამწყესურად წიგნი და დაფა თან მიმქონდა“..

რაკიღა ოჯახშიც ეხმარებოდა და თანაც კარგად სწავლობდა, მღვდელმა ხუცური კითხვაც დააწყებინა. დედა რომ გარდაიცვალა ობლად დარჩენილი ყმაწვილი მღვდლის ოჯახმა შეიფარა. ახლა მწყემსობას თავი დაანებებინა და ეკლესიაში მოიხმარა. ხუცური რომ კარგად შეისწავლა, სამოციქულო წააკითხებინა და მალე ისე გავარჯიშდა, რომ მღვდლის დახმარებით მთიულეთის მივარდნილ სოფელში დიაკვნად გამწესდა. ხოლო იქ დიდხანს არ დარჩენილა. მარჯვე და მამაცი მამა მალე სურამში გადმოიყვანა მღვდელმა თავის ეკლესიაში...

თავის წარსულზე მამა გატაცებით ლაპარაკობდა. მის თხრობას გამარჯვებისა და სიამაყის იერი თან სდევდა...

დედა

სახლის უკან სათონესთან ვდგევარ. საღამოს მზის სხივები, ლიხის მთაზე გამსჭვირვალე სვეტებად ტყეს ეფინება. წოწოლა ხეები ნაბადში გახვეულ კაცებივით წვეროებზე გამწკრივებულან, თითქო ტყეს ყარაულობენ... გრძელ ჩრდილში გაყურსულა ჩვენი ღელე და გორაკების კალთები, მალე მთელ მიდამოს მწუხრი მოეფინა.

დედაჩემი სათონესთან დაფუსფუსებს, შედის და გამოდის. ხვალ პურს აცხობს. ემზადება და მთელი დღე ასე, — ისიც მამასავით შრომობს.

დაიღალა, სათონესთან ჯირკზე ჩამოჯდა. მეც გავექანე და კალთაში ჩავუდე თავი. მიყვარს მისი ნაზი თითები ჩემს ლოყასა და ყურს რომ მოუცაცუნებენ. სახეც ნაზი და სუსტი აქვს. წვეტიანი ცხვირი და ნიკაპი. ტუჩზე თითქო მუდამ ღიმი უკრთის და როცა თავშალ მოხვეულია, — ისედაც გაცრეცილი ქერა სახე მუდამ მიილულება. ჭროლა თვალები ორ ხაზად გამოიყურება. ტანიც მომცრო აქვს და რომ დადის, მწყერივით მიგოგმანებს. უეცრად გაირბენს მანძილს და რაიმე ნივთს მოეფარება.

მასაც თავის წვლილი აქვს შეტანილი სახლის აშენებაში და რომ მამას არ ჩამორჩეს, ისიც მოგვიყვება ხოლმე იმ ამბავს, თუ როგორ მოაგროვა ფული, მერე იმერეთში წავიდა თავის ძმებთან და ერთი საპალნე ღვინო ჩამოიტანა. მოგროვილი ფულით და ღვინით მუხის ორთვალიანი სახლი იყიდეს და ახლად შეძენილ ადგილზე გადმოიტანეს. ამ ორ თვალს ზევიდან კიდევ ორი ოთახი დაადგეს. ეხლა კი ამ ოთახებს აქირავებენ და შვილებს ზრდიან.

— პირველად რომ ამ მხარეს მიწა ვიყიდეთ და სახლი დავდგით, ყველას უკვირდა, — ასე მოშორებით რა ადგმევინებთ სახლსო. მაგრამ ახლა სურამი გაიზარდა, ეს ადგილი ყველაზე კარგ საგარაკო ადგილად იქცა და ზოგიერთს გულიც კი უსკდებათ შურით! — ამბობს ამაყად დედაჩემი.

სახლის წინ სოფლის ნახირი ბღავილით ჩაივლის. ჩვენი ძროხა ჭიშკარს თვითონ შემოაღებს, გავსებულ ჯიქნით მორბის და თავის ხბოს უბღავის.

— არიქა შვილო, ხბო დაიჭი თორემ, ძუძუს მომიწოვს! — წამომახტუნებს დედაჩემი.

ხბოს დასაჭერად გავრბივარ, დედა სარძევეს გამოიტანს, ძროხას ძუძუებს დაბანს, ხბოს მიუშვებთ, მაგრამ დედას მისი დრუნჩი ხელში უჭირავს და არ აცლის ხბომ თავის გემოზე მოწოვოს დედის ძუძუ,—მაშინვე პირიდან აცლის და მეორე ძუძუზე მიუშვებს, — არც იქ დააცლის და ასე აწვალებს მადა გახსნილ ხბოს. მერე მას მე ჩამომაბარებს, მეც მკლავებს მოვხვევ კისერზე, ის კი ძროხისკენ იწევა და მეც თან მიმათრევს. ხან ხელიდან გამისხლტება. მაგრამ ძუძუს მივარდება თუ არა, ისევ უკან ვიტაცებ.

დედა რომ წველას გაათავებს, ხბოს ძუძუზე მიუშვებ მაგრამ დაცარიელებული ჯიქანი რძეს აღარ იძლევა, ხბო ჯავრობს ფეხებს განზე გადგამს და დრუნჩს ამოჰკრავს დედას ძუძუებში.

მოდი ახლა ფიჩხი მოვიტანოთ სათონეში, ხვალ დიდედა სალომე ჩამოვა გვერდისუბნიდან და პურს გამოვაცხობთ.

მეც ვეხმარები. გრძელ ფიჩხის ღეროს ნაჯახით შუაზე დავჭრი. ვაგროვებ. მკლავებს მოვხვევ და სათონეში შემოვიტან. თონეს ფიჩხით გავავსებ. ხვალ მოკიდების მეტი არაფერი დასჭირდება.

იმ ღამეს დედაჩემი კარადაში შენახულ ცომს ამოიღებს, ფქვილში აზილავს რომ ხვალისთვის პურის ცომი გაღვივდეს.

უკვე ბინდი ეფინება ოთახის კუთხეებს და მხოლოდ დაბალი ფანჯრებიდან მოკრთის რუხისფერი სინათლე, სურამის ციხე თითქო დაპატარავებულა, მოწყენილად იმზირება შორიდან და მწუხრის ნაბადში ეხვევა.

ოთახში დუმილია. დაღლილი ტახტზე წამოვწვები და მუთაქაზე ვეყრდნობ თავს. კუთხეებში მიდგმული სკამები თანდათან ამალებიან და თვალებში რული მეპარება, მაგრამ არ უნდა დავიძინო, — დედა გამიჯავრდება, გაუხდელი რად დაწექი, რატომ ჩაის არ დაუცადეო.

თვალს ვახელ, ოთახში მამა დადის გრძელი თმით და წვერებით. წუმწუმას გაჰკრავს და კუთხეში ღვთისმშობლის ხატისწინ ნამწვავ სანთელს აანთებს, კედელზე ღამურების ფრთები დაიწყებენ თამაშს. მკრთალი სინათლე ერთ ადგილს შეჩერდება და ხატის ვარაყიანი ჩარჩო აბზინდება.

მაგიდის უჯრიდან მამა ლოცვანს ამოიღებს, — ხვალ რაღაც უქმეა, ის მწირველია და მთელი ლოცვანი ამაღამ ხატის წინ უნდა წაიკითხოს. მამა ლოცვანს გადაშლის, თითში ანთებულ სანთელს დაიჭერს და ბუტბუტებს, ოთახი იდუმალებით და ჩრდილების ფარფატით ივსება.

ხშირად ოთახში დედა შემოვა, ისევ გავა, დაფუსფუსებს, — სამოვარში ნახშირს ჩაყრის, ნავთით აახრჩოლებს; კვამლი ღია კარებიდან ოთახში შემოიპარება.

მამაჩემის სანთელი თრთის, ჩრდილები ხტიან, ქანაობენ. ლოცვანის ჩურჩულით კითხვა ბუტბუტში გადადის, ხმამაღლა გაისმის ღვთის შექება და მისდამი ღაღადისი... და ეს ბუტბუტი, ჩრდილების ქანაობა და კვამლი იდუმალ განწყობილებას ჰქმნის ოთახში, — თითქო უხილავი, უცნაური არსებანი დაიარებიან ჩუმად და მოკრძალებით.

მამაჩემის შეპაღარავებული წვერი სანთლის შუქზე ტუჩებთან ერთად მოძრაობს და ოთახში იდუმალი ხმით გაისმის, — „ჰე, უფალო მეუფეო, ღმერთო ჩვენო, წყარო ცხოვრებისაო და უკვდავებისაო, ყოვლისა დაბადებულისა ხილულისა და უხილავისა შემოქმედისა დაუსაბამოსა მამისა თანასამარადისო!“ — ამღერებულ სიტყვებს ხან აუწევს, ხან დაუწევს. და ხშირად ლოცვის დროს დედას რომ ოთახში შესულს დაინახავს, ჩვეულებრივი ხმით ეტყვის, —

— დედაკაცო, ძროხა დაამწყვდიე, თუ არა? — იდუმალი მყუდროება და სასოება უცბად დაირღვევა, თითქო წმინდა ნაკადში უცბად მღვრიე წყალი შეასხეს... მერე ისევ უცბად აბუტბუტდება და კვლავ სიმღერით გაისმის, — „ჰე, უფალო, მეუფეო, ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმოწველობისასა, მთავრობის მოყვარეობისასა, და ცუდათ მეტყველებისასა ნუ მომცემ მე. ხოლო სული სწმინდისა სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომადლე მონასა შენსა“...

— ადამიანო, რა არის სამოვარი რომ ააღჩოლე! — კიდევ წამოიძახებს ჩვეულებრივი ხმით და კიდევ გააგრძელებს, — „უწყი უფალო, რამეთუ ულირსად მიგიღებ უხრწნელსა ხორცსა შენსა და პატიოსანსა სისხლსა შენსა“...

— ადამიანო, ძროხას თივა დაუყარე, თუ არა? — კიდევ მიმართავს დედას, — კიდევ განაგრძობს ლოცვას, — „ღმერთო მიხილე, მომიტევე მე შეცოდებანი ჩემნი რამდენიცა გცოდე შენ საქმით, ანუ სიტყვით, ანუ გონებით, ნემსით და უნებლიეთ, ანუ უმეცრებით, ყოველივე შემინდე“...

— ვერ ხედავ ამ ბავშვს რომ დაეძინა? მიხედე, დაახურე რამე! —

— აი ძილი ამასა და ამის ეშმაკებსა! რამდენჯერ უნდა ვუთხრა არ დაიძინო მეთქი! — კიდევ ირღვევა იდუმალი განწყობილება.

მე კი არ მძინავს, ყველაფერი მესმის, მაგრამ განძრევა და ლაპარაკი მეზარება, თითქო მიძინებული ვიყვე მამა ჩემის ბუტბუტით და მისი ლოცვებით.

ნამა კვლავ მღერას განაგრძობს, კვლავ თავის ღმერთს ევედრება, რათა აპატიოს მას მისი ცოდვები. და მე გაკვირვებული ვარ, — რა ცოდვები უნდა ჰქონდეს მამას... და მაოცებს, რატომ არის მისი ღმერთი ასეთი ჯიუტი, რომ ამდენი ხვეწნა-ვედრების შემდეგ მას ცოდვებს არ აპატიებს...

მე წარმომიდგება, რომ ის, ღმერთი, გრძელწვერება, სასტიკი და ამავე დროს მეტად ამაყი და მედიდური უნდა იყოს... დედამ კი მასწავლა, რომ ღმერთი კეთილია, რომ მას ადამიანები უყვარდა და ჩვენთვის ჯვარს ეცვა...

მამა ლოცვას განაგრძობს, ჩრდილები ქანაობენ, ხტიან, დედამ ლოგინი დააგო...

— ადექი დაეგდე შენ ლოგინში შე საძაგელო. — მეუბნება. ფანჯარაში რომ გავიხედავ ბნელა... აღარ მოსჩანს სურამის ციხე.

პურის მცხოებელი

ჩვენი პურის მცხობელი სალომე გვერდისუბანში ცხოვრობდა. დილაადრიან მოგვადგებოდა კარზე. მე და ჩემ დას ძალიან გვიხაროდა მისი მოსვლა. მოვიდოდა და ჯერ კიდევ ლოგინში მოგვისწრებდა, საბანს გადაგვხდიდა, მოგვიალერსებდა, გვაკოცებდა, ხილს მოგვიტანდა, ან ჭყლიტ სიმინდს, ხან ქოჩრიან წიწილას...

ტკბილი დედაკაცი იყო, თალხ თავსაფარ მოხვეული, დანაოჭებული შავგვრემანი სახით. ტანზე შავი გახუნებული ტანისამოსი ეცვა, — გრძელ კაბას მიწამდის მიათრევდა. მაღალი ტანით გრძელ მკლავებს მიაქანებდა.

— დიდედა, ძუძუანებს გამოგვიცხობ?

— დიდედა, ჩიტებს დაგვიკრავ? — ვეკითხებოდით.

— როგორ არა შვილო, როგორ არა! ძუძუანებსაც, ჩიტებსაც და ნაზუქებსაც. თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი.

ჩაგვეკროდა, ჩვენ თავს მკერდზე მიიდებდა, რაღაც განსაკუთრებული სუნი სდიოდა, — გამომცხვარი პურის, თუ თივის. გვერდისუბანში მასთან მარტო ავირბენდი ხოლმე, — თუთა ედგათ ეზოში. კალოობასაც მთელი დღე მათთან ვატარებდი...

— აბა შვილებო, ადექით! თონეს უნდა ჩაუკეთოთ! — შემოგვძახებდა დედა.

სათონეში რომ გავიდოდით, დედა ფიჩხით ანთებულ თონეს ნავთს მისცემდა. ანთებულ წუმწუმას ჩააგდებდა და თონეც აპრიალდებოდა. ფიჩხის გამხმარი ღველფებად ჩაჩხრიალდებოდა. ძირში ალი დატრიალდებოდა. ტკაცუნით, ენების სრიალით და გიზგიზით ღეროებში ამოვარდებოდა, — ხან ერთ კედელს მიაწყდებოდა, ხან მეორეს, ისევ ძირში გაინართხებოდა ნაცარზე. ისევ თავს ამოჰყოფდა, იბრძოდა, ვიღაცას ემუქრებოდა, აშვერილ ღეროებს მოკრუჩხავდა. გველებივით აელვარებული ალის წითელი დროშები სივრცეში აფრიალდებოდა. — თონის გვერდები წითლდებოდა.

განაბული ვუმზერდით ალის მოძრაობას. მის მომხიბვლელ ქანაობას, ნაკვერჩხლების გიზგიზს და ნაღვლიან ფიქრებს მივეცემოდი. რაზე ვფიქრობდი მაშინ? — ვფიქრობდი ჩემ თავზე, ჩემ დედმამაზე, ამხანაგებზე. რატომღაც დაჩაგრულად ვგრძნობდი თავს და შეურაცყოფისთვის ვიღაცას ვემუქრებოდი. ვინც ტკბილად და ყურადღებით არ მექცეოდა, — მძულდა. ვინც მიალერსებდა — ის მიყვარდა.

დიდედა სალომე ყველაზე ძლიერ მიყვარდა. ვფიქრობდი, როცა გავიზრდებოდი, მას უსათუოდ სოფლიდან ქალაქში წავიყვანდი და ჩემთან ვაცხოვრებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის ცხობის დროს არ ვცილდებოდი, — კაბაზე მეკიდა ხელი და თან დავდევდი.

აგერ ვარცლში ფქვილი გასცრეს, ტყაპატყუპით საცერი აქანავეს. თეთრი ფქვილი თოვლის კორიანტელივით ვარცლს მოსდეს, გაავსეს.

დედამ პურის ცომი შემოიტანა. სალომემ კაუჭიანი შამფურით თონედან გაცხელებული ქვაბი ამოიღო. ფქვილი და გაღუებული ცომი ცხელ წყალში აზილა; თითებსა და თითებს შუა სითხე დაიხლანკა. დიდხანს ურია სანამ ცომი არ გასქელდა, გაიბერა, გამაგრდა. როცა გამაგრებული ცომი ვარცლს დაეკვროდა, დიდედა სალომე ასტამით აფხეკდა და ფქვილს მოაყრიდა. კიდევ დაზილავდა მუშტებით, იდაყვებით და თან ფქვილს უმატებდა... როცა ზელას მორჩებოდა, მარჯვენა ხელით ცომზე ჯვარს გამოსახავდა, სუფრას გადააფარებდა, ზევიდან კი ცხვრის ტყავს დახურავდა ცომის გასაღვივებლად.

აგერ პურის ცომი უკვე გაღვივებულია, თონეც ამოკრიალდა. დიდედამ ნაკვერჩხალი თონეს შუაგულში ააწოწოლავა, გარშემო ღადარი შემოაყარა.

თონის კედელი ზოგან წითელია, ზოგან ჩაშავებული. სალომე სოველ ტილოს გარშემო შემოუსვამს და თონე გასუფთავდება. ვარცლის გვერდით გრძელი ხონჩა დაიდგმება და მალე ზედ პურის გუნდები წყვილწყვილად გარიგდება.

ეხლა დიდედა გაპტყელებულ პურის გუნდით თონეში ჩაყვინთავს, მიაკრავს და გაწითლებული სახით ისევ გასწორდება.

ძუძუანები და ჩიტები მეორე თონეზე უნდა ჩააკრას. დედას ვეხვეწებით პურის ცომი მოგვცეს ძუძუანებისათვის. ჯერ გვიჯავრდება, ხოლო დაჟინებულ მოთხოვნას ველარ უძლებს და გრძელი ხონჩის ნაპირზე გუნდას გადმოგვიგდებს.

დიდედა სალომე თონედან მალე გამომცხვარ პურს ამოყრის. ორი შამფური ამუშავდება, — ერთი კაუჭიანი და მეორე ასტამივით. ცხელი ნოყიერი პურის სუნი სათონეს მოეფინება. ხონჩაზე გუნდების მაგიერ შეწითლებული ყუიანი პურები დალაგდება.

ახლა დიდედა ძუძუანებს ჩააკრავს. ოთხი ძუძუ, ოთხი თითივით მოკუნტულა და ჩიტების თავებიც ისე ჩაყვინთულან, თითქო ალალმა გამოუქროლა და შეაშინაო...

ოთახში რომ შევალთ, გამომცხვარი პურები ყუებით და შემწვარი ნაპირებით მაგიდაზე, ტახტებზე და ხონჩებზე აწყვია.

ძუძუანებს რომ შემოიტანენ, მე და ჩემ დას ჩხუბი მოგვივა; ლამაზი ძუძუანები და ჩიტები მე მინდა ვირგუნო, ის კი ყვირის და ხელს წაატანს ჩემ არჩეულს ჩიტებს, მე არ დავანებებ და ორიოდესაც წაუთაქებ თავში... ამ დროს დედა შემოდის და გაჯავრებული სალომეს უყვირის, რომ სულ იმან გადარია ბავშვები და რომ ძუძუანების გამოცხობა არ იყო საჭირო.

სალომე კი გვიალერსებს და გვამშვიდებს.

საღამოს დიდედა სალომე ერთი აბაზიანით და ორი წინა პურით გვერდისუბანში ბრუნდება.

— დიდედა ხვალ კალოობაზე ამოვალ თქვენსა იცოდე!—ვეუბნები წასვლის წინ.

— ამოდი შენ შემოგევლე, ამოდი!...

ციხის წვერზე აციალებული შუქი ჩაქრა. იქითა გორას ალისფერად გაეკრა. ციხის ხეობაში ბინდი ჩამოწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალოობა

ჩვენი ვენახის უკანა ლობის მხრიდან ჰოროველას სიმღერა ისმის. მზიანი ცხელი დღეა და სხვადასხვა ადგილას გაშლილი ერთმანეთში არეული კალოების სიმღერები სივრცეში ისე გაისმის, თითქო შორეულ მხრიდან მოვარდნილი მდინარე მოჰქუხსო... ჰაერში ანიავებული ბზე მზის სხივებზე ბზინავს.

დედაჩემს ვეხვეწები დიდედასთან გამიშვას გვერდისუბანში კალოობაზე.

— მოიცა, სუფთა ხალათი ჩაიცვი, თორემ რას ჰგევხარ! — მეუბნება დედა.

გაუთოებულ თეთრ ხალათს მაცმევს. სიხარულისაგან ვცმუკავ და გავრბივარ, მაგრამ გვერდისუბნის აღმართი სხვიმის რომ შეუმჩნევლად ამირბენია, ახლა რატომ მიგრძელდება?

შორიდანვე მესმის, — ჰე-ჰე-ჰეე! ჰეეეე!... და გზის შესამოკლებლად მეზობლის ეზოს გადვირბენ. სივრცეში მზისაგან ამდგარი გამსჭვირვალე მტვერი, ხეხილების ტოტებში აბრეშუმის ბადესავით დაბანდულა და მზის სხივებზე ბზინავს, იცინის...

აგერ დიდედას ეზოც! მათი ბალჩა! კალოს ქლიავი უკვე დამწიფებული. აგერ კალოც, — მზესავით მრგვალი! ყვითელ ტალღებად ჩაწოლილან პუოის ბულულოები და ზედ ნავის მსგავსად დასცურავს კევრი.

კალო შემორაგულია გადაჭრილი შეშის მოკლე ნაპობებით: ერთ მხარეს პირღია გძელი საბძელია გაჭიმული, ხოლო მეორე მხარეს დიდი ძნები და ჩრდილში აყირავებული საძნე ურმები ლასტებით.

ჯერ კიდევ ბულულიან, აზვირთებულ კალოზე მივრბივარ თითქო ტალღებში მივდიოდე. კევრს ვეწევი, ზედ შევხტები. დიდედას შვილიშვილი ბაბუცა საბრეს მითმობს და ხარებს მივერეკები.

ახლად გაშლილ ბულულიან კალოზე კევრი ჩუმათ მისრიალებს. ხშირად მაღლა აზიდულ ბულულს აითრევს. კევრის კაჟები მიწას გაკაწრავს, ამ დროს დიდედას ვაჟი ლექსო მორბის, ხარებს შეაჩერებს და ორთითით ბულულს გაასწორებს. კევრი ისევ გასცურდება. — ლექსო კალოს გარს უვლის, გაბნეულ პურის ბულულებს აბრუნებს. კევრი ბრუნავს და კალო ილეწება.

შუადღის მზისაგან კალო გახურდა. ხარები მოიქანცნენ. ენა გადმოაგდეს. კევრი ახლა ალეწილ კალოზე მიოლავს, ცხელ მზეში ვკოტრიალობ, კევრიდან ჩამოვგორდები, ბზეში გადავბრუნდები, ისევ კევრზე შევდგები, წვრილი ღეროებით მევსება კისერი და ცხვირის ნესტოები. კევრზე გულაღმა რომ დავწვები, მზე და ბზე თვალს მიჭუტავს, სახე მეპრანჭება და ვგრძნობ როგორ ბრუნავს მრგვალი კალო. კევრი ხან ლობეს მოედება, ხან ალეწილ კალოს გადასცდება და მიწაზე მიოლავს. მაშინ ლექსო მივარდება და ხარებს გაუჯავდება...

უკვე დავიღალე, მოვიქანცე. ბზემაც თავი მომაბეზრა. კევრიდან გადავხტები. ძნის ჩრდილში მივრბივარ. აყირავებულ ურემის ქვეშ დიდედა სალომეზის და გაბზარულ ლიტრას სანთლით აკოწიწებს. მეც მისკენ მივრბივარ, მუხლებზე წამოვდებ თავს, ისიც დედასავით ეალერსება, მეხვევა, მუხლებზე დამიწვენს და მიმღერის. —

ვენაცვალე ამასა,
ეს მიყიდის კაბასა...

— ხომ არ მოგშივდა გენაცვალე? აი მალე მაწონი შედედდება, გაჭმევ შენ შემოგევლე!

ბაბუცას დამასხი და კალოს ქლიავი მოუკრეფია. ჩემთან მოაქვს.

კალო ბრუნავს. ბზე ილეწება, ლექსო ახლა ფიწალს ატრიალებს და ბზეს აბრუნებს. დაღლილი ხარები ნაბიჯით ნელა მოათრევენ კევრს. მუხლებზე წამოწოლილი ვუმზერ, — როგორ ლაპლაპებს ჰაერი, — თითქო გახურებული თონეაო.

უცბად თვალს მოვკრავ, ბზეში გახვეული რაღაც შავი, გუნდასავით სივრცეში გასრიალდება. ჰაერში ბზე ანიავდება, ისევ კალოზე ჩამოცვივდება. ღობეს კი სითხე მიასკდება.

ჰე, ჰე, ჰეე,.... ჰეეეე!... გაისმის კალოებზე სიმღერა. რგვალი კალო, ყვითელი ბზე, — ბზინავს; დედამიწა ხურს, პაპანაქებაა...

ზევიდან მცხუნვარე მზე, ქვეით რგვალი და ცხელი კალო.

მალე ჭირნახული თავის ნაყოფს მოგვცემს. დაღლილობა და ოფლი, შრომა და მისი შედეგი, მაძღარი მიწა და მცხუნვარე მზე, — დღეს გამარჯვებას დღესასწაულობენ...

— ცოტა კიდევ და ავანიავოთ კიდეც! — ამბობს ლექსო. ჩვენსკენ მოდის. ფიწალს მიაყუდებს. ურმის თვალთან მდგარ ლიტრას აიღებს, ტუჩებთან მიიტანს და აწეულ ყელში წყალი რაკრაკს დაიწყებს. ჩამოსხმული მძივებივით წვერზე ჩამოეკიდება წვეთები, ბალნიან მკერდზე ჩაცოცდება, დაიხლაკნება და ოფლიან პერანგში მიიკარგება. უცბად მოსხლეტით ლიტრას მოიცლის და წყალს იქვე წამოწოლილ ძაღლს შეასხავს. შეშინებული ძაღლი წამოდგება, წვეთებს შეიბერტყავს და გარბის. ლექსო კი იცინის და ფიწლით ისევ ბზეს აბრუნებს.

მზე გადიხარა და საღამოს ნიავიც დაიძრა, ხარები გამოუშვეს, კევრები ააყუდეს.

არნადებით ბზე კალოს შუაგულზე მიზიდეს, სიგრძეზე დააგროვეს, გოგოებმა ცოცხით შემოუარეს და კალო მოაკრიალეს.

დაგროვილ ბზეს ოთხი ფიწალი მიადგა, ჰაერში გუნდებათ აისროლა, ქალის გაშლილ თმასავით ბზე გაიფანტა, პურის მარცვლები შხაპუნა წვიმასავით მოკრიალებულ კალოზე დაეცა. ფიწლები ხტიან, ნიავი ბზეს ფანტავს, გადახრილი მზის სხივები ბზის კორიანტელში იბნევა.

მალე პურის ხროვა დადგება. მეორე მხარეს ბზე აბურცდება. ახლა პურის მარცვლებს ნიჩფებით ანიავებენ. იქვე ცხრილებით ცხრილავენ და ხორბლით გაბერილ ტომრებს ბეღლისკენ მიარბენინებენ.

და როცა ბზეს არნადებით საბძელში მიხვეტავენ, მოკრიალებული კალო ხარობს. თითქო იცინის....

საღამოს, როცა უკანასკნელი სხივი სურამის ციხის კედელზე აბზინდება, ხარები ბღავილს დაიწყებენ და ნახირი ორღობეში მტვრის კორიანტელში გაიგუნგლება,—გვერდისუბნის დაღმართზე დავეშვები და შავი ქლიავით სავსე კალათით შინისაკენ მოვეშურები.

რკინიგზა

ჩვენი სახლის წინაეზოში ალუბლები ჰყვაოდენ. წნელის ღობის იქით რკინიგზის ლიანდაგი მიჰყვებოდა. მამა ჩემი ეზოში შემოსასვლელ ჭიშკარს მიკეტავდა, რომ ლიანდაგზე არ გავსულიყავ. მე მაინც ღობეზე ავცოცდებოდი, იქით მხარეს გადავიდოდი და რელსებზე ხან კენჭებს, ხან ლურსმნებს დავუდებდი.

მახალისებდა ვაგონების მძიმე ბორბლები ერთმანეთზე მიყოლებით რელსებზე რომ მიგორავდნენ, სრიალებდნენ და ჩემს ლურსმანს დანის პირივით აბრტყელებდნენ. იქვე ახლო რკინიგზის სადგური იყო და ბევრ ხშირად დავდიოდი იქ მატარებლის მოსვლისას. მიყვარდა როცა ის სადგურში ერთიანად შემოვარდებოდა, მგზავრებს ჩამოსხავდა, სხვებს აიყვანდა და აფუსფუსებული, აჩქარებული მგზავრები ერთმანეთში აიბნეოდენ...

ზარი დაირეკებოდა, — პირველი, მეორე, მესამე და მატარებელი კვლავ დაიძროდა.

დარბაზიდან დაგვიანებული მგზავრები გამოცვივდებოდნენ და მიმავალ მატარებელს კიბეზე უხტებოდნენ. პრიალა ფანჯრები და ფანჯრებში გადმოწეული თავები, მიჰქროდნენ. ხოლო მთავარი კონდუქტორი თეთრმუზმენტიანი რგვალი ეპელეტებით ამაყად იდგა პერონის ნაპირს და მხოლოდ გაქანებულ მატარებლის უკანასკნელ ვაგონის საფეხურზე ახტებოდა.

ჩემი ყურადღება მისკენ იყო წასული, — ვაი თუ ვერ შეხტეს, ვაი თუ დარჩეს, მერე? რა იქნება? მატარებელი უმისოდ წავა? მის წინ კიბეები მიჰქრიან. ბორბლები უფრო აჩქარებით და ხშირი ტკაცატკუცით გადირბენენ რელსებს. მთავარი კონდუქტორი უკანასკნელ კიბეს უცდის. აი, ისიც! გვერდზე დადგა, ხელები წინ წასწია და სახელურზე წაავლო თუ არა, ისიც ზედ შედგა, ცალი ფეხი კი ჰაერში გააქანა. ახლა კიბეზე დგას და გამარჯვებულივით გადახედავს ბაქანზე მდგარ ხალხს. წითელქუდიანი შეხედავს და ორ თითს მაღლა ასწევს ნიშნად გამომშვიდობებისა. მატარებელი მიქრის და მთავარი კონდუქტორი მხოლოდ მაშინ შევა ვაგონში, როცა ორთქლმავალი უკანასკნელ ისარს გადასჭრის...

მიზიდავდა მთავარ კონდუქტორის შეხტომა. გულში ჩემ თავს აღთქმას ვაძლევდი, რომ გავიზრდებოდი მთავარი კონდუქტორი გამოვსულიყავ.

ხოლო ვიდრე გავიზრდებოდი მატარებელზე შეხტომისათვის ვარჯიშობდი, — ჩვენი სახლის წინ მატარებელი სვლას ანელებდა, როცა სადგურის ისრებს უახლოვდებოდა. ამით ვსარგებლობდი, — ლობეზე გადავხტებოდი, მთავარ კონდუქტორის მსგავსად მატარებელს ჩემ წინ გაუშვებდი. რელსების ტკაცატკუცი რომ შეწყდებოდა უკანასკნელ ვაგონს გამოვეკიდებოდი, დავეწეოდი და მათლაფაზე ჩამოვეკიდებოდი.

ხშირად ასე ჩამოკიდებული სადგურამდე მივდიოდი, ხან პირველ ისარის მოახლოებასთან ჩამოვხტებოდი. ერთხელ ჩამოხტომისას წავიქეცი, ქვიშიან ლიანდაგზე გავსრიალდი, მუხლები და ხელები დავიკაწრე და ფეხზე ძლივს წამოვდექი. მთელი სხეულით ვთრთოდი, ხელის გულის კანი მეწოდა, — შიგ წვრილი კენჭები ჩამჭედოდა, ტირილს ვიკავებდი. შინ რომ მივედი სახლის უკან უჩინრად გავედი, რომ დედას ან მამას არ შევემჩნიე. ლობის ძირში დავჯექი, გაწითლებულ, გაკაწრულ ხელის გულს დავხედე, — მეწოდა, მთელი სხეულით ვთრთოდი, სულს ვუბერავდი და ვტიროდი.

ჩემი და მოვიდა ჩემთან. მეგონა ჩემ ამბავს რომ გაიგებდა გაიქცეოდა და დედას ეტყოდა; მაგრამ აღვლეპილი ხელის გული რომ ვაჩვენე, ძალიან შეეცოდე. აღარ იცოდა როგორ დაეშუშებინა ტკივილი, სულს უბერავდა, სწუხდა და ჩემთან ერთად სტიროდა.

— აი, აღარ დაუხვდე მატარებელს! ჰხედავ? კიდევ კარგი რომ ასე გადარჩი!... — მეუბნებოდა.

საღამოს დედმამის შეუმჩნევლად შინ მიმიყვანა. დედა ძროხის მოსაწველად რომ გავიდა, იმან ლოგინი გაშალა და დამაწვინა.

მატარებელი მაინც მიზიდავდა. მიხაროდა როცა მას რაიმე მიზეზის გამო სემაფორთან გააჩერებდნენ. მაშინვე იქით გავკურცხლავდი, ვაგონში ავიდოდი და ჩვენი სახლის წინ რომ გავივლიდი, ჩემს დას ხელს დავუქნევდი, სადგურში ამაყად ჩამოვხტებოდი სხვა მგზავრებთან ერთად და შინისკენ მედიდურად მივსწევდი.

ჩვენი სახლიდან ცოტა მოშორებით, რკინიგზის ლიანდაგზე გადასასვლელი სოფლის გზა გადადიოდა. საყარაულო ოთახში ჩვენი მეზობელი ლექსო ცხოვრობდა და გზას სდარაჯობდა. მასვე ებარა ღია, ახდილი პატარა ვაგონი „დრეზინა". ეს დრეზინა ერთი კაცისაგან რელსებზე დაიდგმებოდა. სახელურის ამოძრავებით მისი თვლები რელსებზე ტრიალით წავიდოდა.

ლექსოს დავალებული ჰქონდა ყოველ დილას ამ დრეზინით ხაშურში ერთი ინჟენერის წაყვანა, რომელიც იქ მსახურებდა, სურამში კი ცხოვრობდა.

ბავშვებმა კარგად ვიცოდით, თუ რა დროს უნდა მოეყვანა ლექსოს სადგურში „დრეზინა". თავს მოვიყრიდით და ვუცდიდით. როცა ლექსო თავის საყარაულოდან გამოვიდოდა, დრეზინის რელსებზე დადგმას მოვეხმარებოდით და ვეხვეწებოდით ნება დაერთო დრეზინა ჩვენ წაგვეყვანა სადგურამდე. ისიც ხან გაგვიჯავრდებოდა, ხან დაგვითმობდა.

მალე მოვიდოდა ინჟენერი მუატი თეთრი წვერებით და ხშირი ღილებიანი პალტოთი. დრეზინაზე დაჯდებოდა, ჩვენ კი უკანიდან მივაწვებოდით და კარგა მანძილზე ლექსოს მის წაყვანას ვუადვილებდით. მერე დაღმართი იწყებოდა და მასაც აღარ უძნელდებოდა.

მუატი ერთი იმ ინგლისელ ინჟენერთაგანი იყო, რომელსაც სურამის გვირაბი გაეყვანა, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ ის სამშობლოში არ დაბრუნდა, ქართველი ქალი შეირთო და სამსახურშიც ხაშურში მოეწყო.

მისი ვაჟები თბილისში სწავლობდნენ გიმნაზიაში. საზაფხულოდ სურამში რომ მოვიდოდნენ, გიმნაზიის მუნდირში გამოწყობილნი, ბზინავი ღილებით და ფორმის ქუდებით ამაყად ჩაივლიდნენ ქუჩაზე. ჩვენც მედიდურად გამოგვხედავდნენ. მხოლოდ მაშინ შევამჩნევდი ხოლმე ჩვენს შავსა და დაჭუჭკვნილ ხალათს, მოკლე, გაცვეთილ შარვალს და დაგლეჯილ ჩუსტებს. თითქო ვინმემ ყური აგვიწია. შეგვარცხვინა და შეურაცყოფა მოგვაყენა,—ისე ვიგრძნობდით თავს. გული მოგვივიდოდა, ბოლმით და სიძულვილით ვივსებოდით.

ხშირად ლექსოსთან მივიდოდნენ და დრეზინით ხაშურისაკენ გაისეირნებდნენ. ჩვენ დრეზინას გამოვუდგებოდით უკან შესახტომად, მაგრამ ისინი ხელსა გვკრავდნენ და ძირს გადმოგვაგდებდნენ. მაშინ განზე გავდგებოდით, — „აბა, ბიჭებო დასცხეთ მაგათი ღდინი კი ამოვარდეს"!.. დავიძახებდით, დავწვდებოდით კენჭებს და სროლას დავუწყებდით...

დრეზინა მიჰქროდა, ჩვენ თავს არ ვანებებდით და სივრცეში კენჭებს გაჰქონდა ზუზუნი, ისინი კი მიაქროლებდნენ დრეზინას და თანდათან გვშორდებოდნენ.

უკან გამოვბრუნდებოდით, სურამის ციხე კვლავ ამაყად ზევიდან გადმოგვხედავდა...

ღ ა ლ ა

სურამის მცხოვრიბთა რიცხვი მაშინ 3 — 5 ათასამდე აღწევდა. გალმა უბანში ცხოვრობდნენ სომხები და ებრაელები. გამოღმა ქართველები. გალმელები ვაჭრობდნენ, გამოღმელები ყიდულობდნენ.

აქ იყო ერთი სოფლის სკოლა, ფოსტა-ტელეგრაფი, სასამართლო, მამასახლისის კანცელარია, სამხედრო ჰოსპიტალი და ადგილობრივი კომანდა (ორმოცი ჯარისკაცი, ერთი ოფიცერი და ფელდებელი). მოსახლეობდნენ: დარიბი თავადები და გალატაკებული აზნაურები, ხუთიოდე მღვდელი და ერთი ყვანი. რამდენიმე ასიოდე გლეხის ოჯახი.

მახლობელ სოფლებიდან ჩამოდიოდნენ გლეხები და გალმელებთან ყიდულობდნენ ფართლეულობას, რკინეულობას, ტყავეულობას (ჩუსტებს, ქალამნებს) და სხვა წვრილმან სავაჭროებს.

იგივე გლეხები შემოდგომაზე მოდიოდნენ თავიანთ ნაბატონებთან და მიჰქონდათ ღალა, — ხორბალი, სიმინდი, ლობიო, კაკალი ხილი და ღვინო.

იმ დღეს ბიჭები თავს დავიყრიდით და იმ თავადის ეზოს გარშემო ხეტიალს დავიწყებდით. ათიოდე დატვირთული ურემი ეზოს გაავსებდა. ურმებზე ელაგა გაბერილი ტომრები, ხილით სავსე გოდრები, კალათები და ხურჯინები. ჩამწკრივებულ ურმების წინ დადგებოდა თავშეხვეული, მაზარაში გახვეული, დაგლეჯილი ქალამნებიანი გლეხი და დიდხანს უცდიდა ბატონის გამოსვლას.

ბატონი და მისი მეუღლე მაღალ აივანზე გამოჩნდებოდნენ. მაშინ გლეხები თავს მოხრიდნენ და ბატონის სალამზე, ინდაურებივით დაიძახებდნენ,— „ბატონი ადღეგრძელა ღმერთმა“!.. „იცოცხლე შენი ჭირიმე“... „თქვენი თავი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა“!

მერე „კნეინა“ და „კნიაზი“ სკამებზე დასხდებოდნენ. გლეხებს კი კიბეზე ამოჰქონდათ ძღვნით დატვირთული ხურჯინები და იქვე ფარდაგგაშლილ ტახტზე ამოალაგებდნენ თონის პურებსა, ლავაშებს, ნაზუქებსა, ყველსა, ხაჭაპურებსა, ჩურჩხელებსა, ტკბილის კვერსა, მოხარშულ ქათმებსა, ყურძენსა და დოქებით ღვინოსა...

აირეოდა ერთმანეთში, ყურძნის მარცვლები და ფელამუში, ყველის ნატეხები და ნაზუქები. გროვად დაწყობილ ხორაგს შინაურები გაანაწილებდნენ. გაარჩევდნენ და თაროებში შეინახავდნენ.

ურმებიდან გლეხები ტომრებს მოიკიდებდნენ და ბეღელში სცლიდნენ, — ხორბალსა, ლობიოსა და სიმინდსა. იქვე პატარა აივანზე ჰყრიდნენ, — კაკალსა, ვაშლსა, პანტასა და ზღმარტლსა.

ამ დროს ჩვენც შევიპარებოდით ეზოში. აბნეულ ხარკამეჩებს გვერდს აუვლიდით და ჯიბეებს ვიტენიდით ძირს გადმოცვენილ კაკლებითა და ვაშლებით. უბეში ერთმანეთში აიჭყლიტებოდა, — ზღმარტლი და პანტა. ტუჩებს გაეკვროდა სითხე და დათხუპნილები გატენილი ჯიბეებით მივრბოდით. იქვე კაკლაობას ვთამაშობდით და ერთმანეთს ვუგებდით შეძენილ ხილსა.

როცა გლეხები ურმებს დაცლიდნენ, ეზოდან გამოვიდოდნენ. გარეთ ლობეზე მიაბავდნენ ხარებსა, ჩალას დაუყრიდნენ და ურმებს ააყირავებდნენ. თვითონ ისევ ეზოში შევიდოდნენ და კაკლის ჩრდილ ქვეშ ყალიონს აპლაკუნებდნენ.

ახლა ბატონი უნდა ჩამოსულიყო ძირსა და მათთან ერთად „პური გაეტეხა“. ამის ცდაში მწვანეზე წამოწვებოდნენ და მასლაათობდნენ.

— ღმერთმა დღეგრძელობა ნუ მოაკლოს ჩვენ ბატონს! შარშან ორი კოდი პური დამაკლდა, ვერ მივეცი, — ვთხოვე და მაპატია!.. — იტყვის ერთი გლეხი.

— რა ვიცი შვილოსა. ჩემთვის არასდროს არაფერი უპატიებია და!..

— ეგა შვილოსა კაი ძღვენმა იცის!..

— მე იმისთვისა არაფერი დამიკლია, მაგრამა მაინც მგლურად მიცქერის, ვერ მოვიგე იმისი გული.

— ეეჰ! რას იზამ შვილოსა!.. ბატონი, — ბატონია!.. მაგრამა ზოგი რომ მაგაზე უარესია, ისა სთქვი შენა!

— რალა უარესი რა! არ მიაქვს თუ? რა აკლია ჩვენგანა მაგასა!..

— ეჰ! ჩვენ გაჩენაში ღმერთი არ ურევია, თორენა განა ასე იქნებოდა!

დიდხანს უცდიან გლეხები ბატონის ქვევით ჩამობრძანებას. ზევიდან ხონჩებით ქვეით ჩამოჰქონდათ და კაკლის შვეშ, გრძელ სუფრაზე ალაგებდნენ გლეხების მოტანილ პურებსა და ლავაშებს, ყველს და ქათმებსა, ჭიქებსა და დოქებით მოტანილ ღვინოსა... სუფრის გარშემო დაალაგებდნენ გრძელ ფიცრებსა. სუფრის თავში კი დააგროვებდნენ მუთაქებსა.

უკვე მზე გადაიხრებოდა, ბატონი აივნიდან ჩამობრძანდებოდა, კაკლის ქვეშ მსხდომი გლეხობა წამოიშლებოდა.

ჯერ ბატონი დაჯდებოდა მუთაქებზე. მერე გლეხები წამოსხდებოდნენ გრძელ ფიცრებზე.

პირველ ჭიქას ბატონი აიღებდა, გლეხებს დალოცდა, ადღეგრძელებდა და პურს გატეხდა. ერთ ლუკმას ისიც მიირთმევდა და მერე კი წამოდგებოდა.

„იცოცხლე ჩვენო ბატონო, ჩვენო პატრონო და მარჩენალო!.. შენი დღეგრძელობა ნუ მოგვაკლოს უფალმა!.. გიცოცხლოს ცოლშვილი და ყოველი ნათესავი!.. იყავ ჯანმრთელი და დღეგრძელი!..“

გააცილებდნენ თავადსა, ლოცვითა და კურთხევითა. თვითონ კი ისევ სუფრას შემოუსხდებოდნენ და თავისივე მოტანილი ღვინით ქეიფს გააგრძელებდნენ. დალევდნენ, იმღერებდნენ, კიდევ ერთხელ ბატონს დალოცავდნენ და შეზარხოშებულნი წამოიშლებოდნენ.

ხარებს რომ შეაბამდნენ, გამოვეკიდებოდით და ურემზე შევუსხდებოდით. ჩვენი სახლების წინ ჩამოვხტებოდით. ისინი კი ერთმანეთზე მიყოლებით სურამის ციხეს გვერდით გაუვლიდნენ და აღმართს შეუდგებოდნენ...

ზამთარი

ზამთარში, როცა ცისკიდურები მთების მწვერვალებს ტყვიისფრად დააწვება და მიდამოს სარქველივით დაეხურება, როცა გაშიშვლებული ხეების ტოტები თეთრი სუდარებით შეიმოსებიან და ზეწარში გახვეულ ხელებს სივრცეში აღაპყრობენ, როცა გაყუჩებულია არე და მხოლოდ თოვლიან ტოტებზე ჩიტების გადაფრენა დაარღვევს მყუდროებას, — მიძინებულ სოფელს ემსგავსება მაშინ სურამი.

სურამის ციხე ახლა უფრო მაღალია, უფრო ლამაზი, მედიდური... თეთრი ლეჩაქით შებურვილი და თეთრი კაბით შემოსილი საქორწილო ქალიშვილივით აზიდულა დაბალ ქოხმახების ზევით...

ადრიან გაღვიძებული ლოგინში წამოვჯდებოდი, ფანჯრის ფარდას გავწევდი და ალუბლის თეთრი პერანგებით შემოსილ ტოტებზე ბეღურების ფართხალს დიდხანს ვუმზერდი, — ერთი ტოტიდან მეორეზე გადახტებიან, ფიფქ თოვლს გაცრილ ფქვილივით გაჰფანტავენ. უხარიათ, ჟღურტულებენ, ხან თოვლში ჩახტებიან და ფრთებს აფართხალებენ, თითქოს ბანაობენ.

საკენკის შოვნა უძნელდებათ და ჩვენს აივანზე გაფანტულ ნამცეცებს სიფრთხილით ჰკენკავენ. ჯერ ერთი გაბედული მოფრინდება, დახტის, კუდს აქანავებს, პატარა ტანით კუნკულებს, აქეთ იქით იცქირება... აგერ მეორეც

მოფრინდა, მესამეც. ერთჯერ ნისკარტს დაჰკრავენ და სამჯერ კი აქეთ-იქით გაიხედავენ. დახტიან, აფრინდებიან, რიკულზე დასხდებიან, ბოლოს გააქნევენ, გაიხედ-გამოიხედავენ და უცბად ისევ ძირს დაეშვებიან. აჩქარებით აჰკენკავენ და ჟივილხივილით ისევ ალუბლის ტოტებს შემოუსხდებიან. ხშირად კაკანათს გავაკეთებდი, ჩიტს დავიჭერდი, მაგრამ დაჭერილი ჩიტი ის აღარ იყო, რაც მფრინავი, სივრცეში მონავარდე ფრინველი. ხელში რომ მეჭირა საცოდავად თრთოდა. გული გამალებით უცემდა, იბუზღუნებოდა, იკრიცებოდა. მიმზიდველობას ჰკარგავდა... ხელის გულზე დავისვამდი და რომ გავაფრენდი, სივრცეში რომ გაინავარდებდა, დაიჭყივლებდა, — მაშინ ისევ მიმიზიდავდა, დამენანებოდა. შორს რომ გადაფრინდებოდა, ჯერ წერტილად გამოჩნდებოდა, მერე თვალთაგანაც დამეკარგებოდა, — გული დამწყდებოდა...

რად მომწონდა და მხიბლავდა გაფრენილი ჩიტი?.. ხელში კი რომ მეჭირა, მაშინ რად არ მიზიდავდა? იქნებ ისეა, — შორეული ოცნება უფრო წარმტაცი და მომხიბვლელია, ვიდრე იგივე ოცნება განხორციელებული...

სახლის სახურავის ქვეშ ციგა მქონდა ზამთრისთვის შენახული, კიბეს მივიდგამდი, ციგას მოვძებნიდი და საციგაოდ გავრბოდი...

საცურაოზე უკვე დალმართი დაუქნიათ, ციგები მოსრიალებენ და ბიჭები კოტრიალობენ.

ჩემი ციგა სხვებისას სჯობია, იმიტომ რომ მამამ თეთრი თუნუქი გადააკრა და როცა დავცურდები ყველას წინ ვუსწრებ. ეს მახალისებს და ვგრძნობ უპირატესობას. დაუთელავი თოვლი ხრაშუნებს, საცურაო კი ისე დაქელილა, რომ ზოგან თოვლი გალხვა და მიწა კი მოსჩანს.

ჩვენი შარვლები საჯდომთან დასველებულია, ციგაც ხომ სველია, მაგრამ სიცივეს არ ვგრძნობთ.

საცურაოზე გიმნაზიის ფორმის პალტოებით, პრიალა ღილებითა და ყაბალახებით ჩაფუთვნილი თავადების ვაჟებიც მოვიდნენ თავიანთი დებით, მაგრამ საცურაოდ კი არა, — შორიახლო დადგებოდნენ და სეირს უცქერდნენ...

მაშინ ჩვენ უფრო გავხალისდებოდით და ვცდილობდით ცურვის დროს სხვადასხვანაირი ხერხი გვეხმარა, — ზოგი მუცლით გაწვებოდა, ზოგი უკულმა დაცურდებოდა, ზოგი დაჩოქილი და ერთმანეთს რომ დავეჯახებოდით, განზრახ თოვლში ვკოტრიალობდით, ყირამალა გადავდიოდით, ფიფქით ვიგინგლებოდით და ზევით მდგარ გოგონებს ვაცინებდით.

ისინი კი ტყავის ქურქში და შაპოებში ჩამალულები ჩვენ გვიცქერდნენ და იცინოდნენ. ვცდილობდით მეტი ცელქობა გამოგვეჩინა რომ მათი ყურადღება მიგვექცია...

რუსულად ლაპარაკობდნენ, თითით ჩვენზე უჩვენებდნენ, ერთმანეთს რაღაცას უმტკიცებდნენ.

— вот этот, какои молодец!.. მესმის მე და ვგრძნობ რომ ჩემზე ლაპარაკობენ.

— ის არა სჯობია, მეორე შავგრემანი?

ამ დროს მე ციგის თოკი ხელში დავიჭირე, როგორც ცხენის აღვირი, ციგაზე დავდექი და დალმართზე ისე დავცურავდი.

— смотри, смотри!.. — შემომესმა რომ დავეშვი. აფხოკილ მიწაზე ციგა შეფერხდა, შეჩერდა. მე კი მოსხლეტილი დავეცი. დიდხანს ფეხზე ვერ წამოვდექი.

— ხე-ხე-ხე!.. შემომესმა ზევიდან სიცილი. სიბრაზისაგან კბილები დავკრიჭე, უკან აღარ დავბრუნდი და შინ გავიქეცი.

გათოშილი, გაციებული, შერცხვენილი, სველი შარვლით ფეჩთან დავდექი გასათბობად. შარვალი გავიშრე, ფანჯრიდან საციგაოსაკენ გავიხედე, ისინი წასულიყვნენ. ციგას მოვკიდე ხელი და ისევ საცურაოდ გავიქეცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესმის დედაჩემის ძახილი, —

— ბიჭო სად მიდიხარ, სადა! ამ წამში მანდ არ იყავი? ერთი წუთით

კამფეტს რომ პირში ჩამიდებს, მეუბნება —

— ასე ტკბილად დამიბერდი...

ფოჩიანი კამფეტი ყველაზე ძლიერ მიყვარს და ამიტომ იმას ჯიბეში ვიდებ.

„დაბერების“ შემდეგ, ტახტზე სიმინდს დაუყრის, ზედ დამსვამს. სიმინდის მარცვლები მჩხვლეტენ, ალბათ სახეზე დაღრეჯილობა მემჩნევა. დიდედა იცინის; მალე ისევ ამაყენებს, სიმინდს ჯამში მოკრებს, გარედ გავა, — „ჯუ-ჯუ-ჯუჯუ!“ იძახის. ჩემი სიმინდით ნაკვები ქათმები წელს ბევრ კვერცხებს დადებენ და მრავალ წიწილებსაც გამოსჩეკავენ.

წასასვლელად რომ დავემზადები, დიდედა კიდევ მომცემს ერთ ფოჩიან კამფეტს, —

— ეგრეც კარგი გაიზარდე შვილო, ეგრეც გაიხარებდე, მრავალ წელს დაესწრებოდე — მლოცავს დიდედა და მე გახარებული სახლისაკენ ვეშურები.

ერთ ფოჩიან კამფეტს ჩემ დას ვაჩუქებ და ოთახში ამაყად დავიარები.

ოთახის შუა გულში გაშლილ მაგიდას ვუცქერით. მაგრამ კი ვერ მივეკარებით, სტუმრები მოვლენ და იმათ უნდა სჭამონ ეს მურაბები, გოზინაყი, ჩურჩხელები, ჩვენ კი თითო ოროლა კამფეტი გვიჭირავს ხელში და ვეთამაშებით, — რომ შევჭამოთ ალარ გვექნება და ახალწელს ჯიბეში უკამფეტო არ შეიძლება.

მალე ოთახი სტუმრებით ივსება. თითო ჭიქა არაყს დალევენ, გოზინაყს შეჭამენ, დაილოცებიან, — ღმერთმა მრავალი დაგასწროთ, ბედნიერად ჯანმრთელად შვილებითა და ყოველი კეთილი ნათესავებით... — გაუპარსავ წვერებით იკოცნებიან, მჩხვლეტავენ და ისევ მიდიან, რომ მეზობლებთან ყველგან ჩამოიაროონ.

გარეთ რომ ერთმანეთს შეხვდებიან იქაც იკოცნებიან, ახალ წელს ულოცავენ და შინისაკენ მიდიან.

საღამომდე გაისმის ზურნისა და არღნის ჭყივილი, სიმღერა და მთვრალი მრავალჟამიერი.

მთელი დღე სურამის ციხეც მხიარულია, იქაც ადიან მეარღნეები და იქაც გაისმის არღნის გაჭიანურებული „სადა ხარ ჩემო სულიკო“...

ზაფხული

ზამთარში მოდუნებული, მიყუჩებული სურამის ცხოვრება, — ზაფხულში შეიცვლებოდა. მოსახლეობა სააგარაკოდ მომსვლელ მდგმურებისავის ემზადებოდა.

ყველა — ლატაკი, აზნაური, წვრილი ვაჭარი თუ გლეხი, გასაქირავებლად თითო ოროლა ოთახს ზაფხულისათვის ამზადებდა, თვითონ, ან სათონეში, ან ბეღელში მოთავსდებოდა. გაქირავებულ ოთახის ქირით ზამთრის საკვებს შეიძენდა, — ერთ ღორს გაზრდიდა, ხორბალს და ლობიოს იყიდიდა. მეტი მოთხოვნილებაც არაფერი ჰქონდა.

გასაქირავებელ ოთახს ყოველ ზაფხულს შეაკეთებდა, — კირით გაათეთრებდა, დაგვიდა, გაასუფთავებდა, ბაღლინჯოებით სავსე ტახტებს დამდუღრავდა, დაჯდებოდა კარების წინ და უცდიდა მოაგარაკეს.

მოაგარაკეებს კი მაკლერები სადგურზე ხვდებოდნენ. მოსულები ოთახების საჩვენებლად დაჰყავდათ და ერთი ოთახის გაქირავებაში, ორი ტყავის გაძრობას ახერხებდნენ, — დამქირავებელსაც და მომქირავებელსაც ფულს ართმევდნენ და ბოლოს ოთახის გაქირავება მთლიანად მათზე იყო დამოკიდე-

ბული, — თუ ზედმეტ ფულს არ მისცემდი და პატივისცემით არ მოეპყრობოდი, დამქირავებელს გვერდზე ჩაგიტარებდა, სხვასთან მიიყვანდა, შენ კი დაგტოვებდა.

ცალხელა მაკლერს მეზობელთან ჩხუბი მოუვიდა, — ორი წლის განმავლობაში მეზობელმა თავისი ოთახი ვერ გააქირავა, ცალხელას — მეეხვეწა, — ნუ ჰლუპავდა, ემუდარა ოთახისათვის მდგმური მოეყვანა, მაგრამ მისი გული არ მოლბა...

მაშინ მეზობელი ოლოობეში ჩაუსაფრდა, ცალხელას ცალი ხელიც გაუკავდა... ახლა ის ემუდარა, — სიცოცხლე შეენარჩუნებინა მისთვის, მაგრამ ახლა ამის გული არ მოლბა, — ჯერ თავში კეტი დაარტყა, გააბრუა და მერე ყელი გამოსჭრა...

ამის შემდეგ მაკლერები მოლბენ, მაგრამ ორი ტყავის გაძრობას მაინც ახერხებდნენ.

ოთახის გაქირავება ზაფხულის პირზე სურამელებისთვის სადღესასწაულო დღეებსავით ითვლებოდა. რაკიღა მოაგარაკეები ჩამოვიდოდნენ, სურამის მიდამო აივსებოდა ხალხითა და ბაზარი ხმაურითა, — სოფლელებს ჩამოჰქონდათ ყველი, კვერცხი, ქათამი, მწვანილი, ხილი, თონის პურები და მოაგარაკეებზე ჰყიდდენ აწეულ ფასებში.

სურამის ციხე მწვანე ხევში ჩაჯდებოდა, კაკლის ტოტებით გარშემორტყმული, ბიჭები თავს დავიყრიდით, ჩამოკიდებულ ბილიკზე ავცოცდებოდით და გალავნის იქით მინდორზე ჭიდაობას გავმართავდით.

იქიდან ახტურმის თამაშით დავეშვებოდით, — წინ რომ ერთი წაიკუზებოდა, უკანანი მას გადავახტებოდით, შორით მეორე წაიკუზებოდა, მერე მესამე, მეოთხე და ასე ერთმანეთზე ხტომით, თან ახტურმას ვთამაშობდით, თან მივრბოდით.

სურამულას პირზე სალაობას დავიწყებდით, ჩიკორს დავსვამდით, სალას გავკრავდით. ვინც ბოლოს დარჩებოდა, მიბნეულ სალებსა და ჩიკორს მოვაგროვინებდით, სულამოუთქმელად „წიაწოს“ ძახილით და სირბილით უკანვე დავბრუნდებოდით და ხელახლა თამაშობას ვიწყებდით.

სალაობას შემდეგ წრელახტს ვითამაშებდით, ორ ჯგუფად გავიყოფოდით, ერთი წრეში ჩადგებოდა, ქამრებს იცავდა, მეორე კი იტაცებდა. მოტაცებული ქამრით მეორე ქამარს ვიტაცებდით და წრეში მდგომს წვივებში ვცემდით, ვიდრე არ დაგვიჭერდნენ. როცა დაგვცხებოდა, — ვინმე წამოიძახებდა, — „ბიჭებო საბანაოთ წავიდეთ“ — და გავრბოდით. წინ წასულებს უკან ჩამორჩენილები შესძახოდნენ. „წინასა, წინწიბურასა, გველი აუდგა ყირასა!..“ მაშინ ისინი სირბილს შეანელებდნენ და ერთად გავრბოდით აბანოსკენ.

ვიდრე აბანომდე მივიდოდით, ტანსაცმელს გზაშივე ვიხდიდით, აბანოსთან რომ მივირბენდით უცბად შიგ ტყაპა-ტყუპით ჩავცვივდებოდით. ვჭყუნპალობდით, ვიყვინთებოდით, ვცურავდით, ვჭიდაობდით...

ნაპირზე რომ გამოვიდოდით ცხელ ქვიშაში ვიგუნგლებოდით და მზის სხივებს ქვეშ ვკოტრიალებდით.

ისევ წყალში ჩავცვივდებოდით...

მერე როცა მოგვშივდებოდა შინისაკენ გავრბოდით, ყუა პურს მოვიტეხდით და ისევ სათამაშოდ მივრბოდით...

სურამის ციხე ამწვანებულ ხის ფოთლებით შემკულ არწივის საბუდარივით ჩამჯდარია კაკლების ტოტებში და თითქო სიმაღლე დაიკლოო, დაბალი მოსჩანს მჭიდრო ხევში.

პირველი სკოლა

პირველად ანბანი მამა ჩემმა დამაწყებინა. გორში ყოფილიყო და იქ დედა-ენა ეყიდა. მომიტანა, გადამიშალა და მითხრა, — „აი შვილო, უკვე დროა ანბანი ისწავლო, აი, ეს არის ანი, ეს არის ინი, — აი ია“!.. მეც თითი დავადე. გავიმეორე. მერე წიგნი გადავფურცლე. სურათებმა მიმიზიდა. დიდხანს ვუმზერდი კალოში გაბმულ მდევებს, რწყილსა და ჭიანჭველას, ვანოსა და აქლემს. თან მამას ვეკითხებოდი, — „ეს რა არის მამა? ეს რა არი?“

მამაჩემს ეხალისებოდა, რომ ახლა ის თვითონ ასწავლიდა თავის შვილს წერა-კითხვას. ალბათ თავის წარსულს იგონებდა, სწავლა რომ ენატრებოდა: „ისწავლე შვილო, ისწავლე!.. ვინძლო ნასწავლი კაცი გამოხვიდე! უსწავლელი რომ დარჩე, გროში კაპეიკი არ ეღირები. აი, მე რომ არ მესწავლა, რა ვიქნებოდი ახლა? მოჯამაგირე, მწყემსი, — სხვა კი არაფერი!.. თავი უნდა დაანებო ჩვენი მეზობლის ბიჭებსა! იმათი აყოლა შენ არაფერს გარგებს... იმიტომ შვილო, რომ ისინი ზოგი დურგლის შვილია, ზოგი კალატოზის, ზოგი მეარღნისა, ზოგი მეზურნისა და ზოგიც მედუქნისა... იმათ რომ არ ისწავლონ კიდეც, თავის მამის ხელობას გააგრძელებენ და ლუკმა პურს ამით იშოვნიან, შენ კი რას იზამ? სწავლის მეტი არაფერი გიშველის!“..

პირველად მელაპარაკებოდა მამა სერიოზულად, მეც ყურდაცქვეტილი ვუსმენდი. გავიგე, რომ უსწავლელი კაცი არ ვარგა, მაგრამ რატომ უნდა ჩამოვცილებოდი ჩემ ტოლამხანაგებს, ეს კი ვეღარ გავიგე.

— შენი სწავლება ვერხფერს უშველის ამასა, დროა სკოლაში მივაბაროთ. — უთხრა დედაჩემმა.

იმერეთში დედაჩემის ძმისწული თავის სოფელში მასწავლებლობდა. შემოდგომაზე დედამ ჩამისვა მატარებელში და წამიყვანა თავის სამშობლო ხარაგოულში თავის ძმისწულთან სასწავლებლად.

ჩემმა ბიძაშვილმა რომ პირველად კლასში შემიყვანა, — შევკრთი. შევჩერდი. მოწაფეების ჟრიამული შეწყდა. ფეხზე მდგარნი ჩვენსკენ იცქირებოდნენ და მე მაკვირდებოდნენ. ის კი უკანიდან მხრებზე თითებს მაჭერდა და წინა რიგებისაკენ მიმიწევდა. ერთ მაგიდასთან გამაჩერა, სკამზე დამსვა. თვითონ მაგიდების წინ თავისუფალ ადგილზე დადგა.

— დასხედით!.. სთქვა და რიგებად ჩამწკრივებულ სკამებზე მოწაფეები ხმაურით და ბრახაბრუხით დასხდნენ.

დიდ საკლასო დარბაზში, მასწავლებელი სამ განყოფილებას ასწავლიდა. თითო განყოფილება თითო წყება მაგიდებით განისაზღვრებოდა.

— თქვენ დაფები ამოიღეთ, ამოცანა გამოიყვანეთ. — ეუბნებოდა ერთ განყოფილებას...

— თქვენ ქართული გაკვეთილი დაამზადეთ!... მიუბრუნდა მეორეს.

— ჩვენ კი რუსული ვისწავლოთ! — ეტყოდა მესამეს.

— აბა შენ, ბუაჩიძე წამიკითხე!...

— Очи всех на тя гос-по-ди у-по-вуют!..

— დაჯექი, ეგრე არ არი!

— მასწავლებელო, მასწავლებელო! — საჩვენებელი თითის ქნევით წამოდგებიან ბავშვები, — მე მე წავიკითხავ მასწავლებელო, შენი ჭირიმე მასწავლებელო!...

— აბა, შენ წაიკითხე შარიქაძე!

— Они всех на тя гос...

— დაჯექი, არც შენ გცოდნია...

— აბა ახლა შენ წაიკითხე, კიკნაძე!..

გაცრეცილი, პატარა ტანის კიკნაძე, რომელსაც ხალათის სახელო ისე მოკლე აქვს, რომ თითის აწევის დროს იდაყვს სცილდება, პირველსავე სიტყვაზე შეჩერდება და კითხვას ვერ განაგრძობს.

ახლა მასწავლებელი სამჯერ თვით წაიკითხავს და ყველაზ ერთხმად გაამეორებინებს... და კლასში გაისმის ბავშვების წრიპინი და აწეული ერთმანეთში არეული ყვირილი.

«Очи всех весех, очи всех, на тя господи, на тя господи уповают,

— აბა რას ნიშნავს, очи всех на тя господи! ეკითხება მასწავლებელი.

მოწაფეები ვერ ხსნიან. მასწავლებელი კიდევ ერთხელ აუხსნის, გაუმარტავს, გადაუთარგმნის, მაგრამ მაინც ვერ ხვდებიან და თუთიყუშივით აგრძელებენ, — и ты даешь им пищу в благовремени!..

— აბა ახლა სთქვი, — что такое карова, — ეს კი ყველამ იცის და ერთხმად უპასუხებენ:

— Корова есть животное.

— Что такое книга?..

— Книга есть учебная вещь!...

ამ დროს მეორე განყოფილებაში ორ მოწაფეს ჩხუბი მოუვიდათ. მასწავლებელი გაკვეთილს თავს ანებებს და იქით მიდის. მოკლე გამოკითხვის შემდეგ, ერთს კუთხეში დააყენებს, მეორეს სახაზავით ხელის გულს დაუწითლებს.

— აბა ვინ გამოიყვანა გამოცანა! — ეკითხება მასწავლებელი მეორე განყოფილებას.

ახლა აქ ატყდება მოწაფეების ძახილი, — მასწავლებელო, მასწავლებელო!..

დაფაზე გრიფელით დაწერილ ამოცანას რომ ახსნიან, დააფურთხებენ და ძაფის მიკრულ ლრუბლით წაშლიან, ან მეორე მხარეზე გადააბრუნებენ და ახალ გამოცანას დასწერენ. ასპიდის დაფა ყველა მოწაფეს რვეულის მაგიერობას უწევს, მაგრამ გამეორებისას ისევ ხელახლა უნდა გამოიყვანონ წინად გამოყვანილი გამოცანები...

გამოცანების შემდეგ მასწავლებელი გადადის შემდეგ განყოფილებაში.

ოთხი საათის განმავლობაში მასწავლებელი იღლება, იქანცება და მუშაობის უნარი ეკარგება.

ძნელია ასეთ პირობებში დისციპლინის დამყარება და მასწავლებელიც იძულებული ხდებოდა მიემართა არაპედაგოგიური საშუალებისათვის, მას ხელში მუდამ სახაზავი ეჭირა, ვინც ურჩობას გამოიჩენდა, გაშლილ ხელის გულზე, ან, — უფრო მეტ დანაშაულობის დროს, — მოკაკულ ხუთ თითზე — რაც უფრო მტკივნეული იყო, — სახაზავს ისე დაარტყამდა, რომ მოწაფეს სიმწრისაგან ცრემლები ლაპალუპით წამოუვიდოდა.

გაკვეთილსა და გაკვეთილს შორის, დასვენების დროს, მასწავლებელს მაინც არ ასვენებდნენ. ხშირად მირბოდნენ სამასწავლებლოში და შესჩივლებდნენ. —

— მასწავლებელო, იაკინთემ გრიფელი გამიტეხა!..

— მასწავლებელო, ნეოფიტემ თავში ჩამარტყა!

— მასწავლებელო, ანთიმოზამ შემაგინა!..

მასწავლებელიც ამისათვის ზოგს უსადილოდ სტოვებდა, ზოგსაც სახაზავს არტყამდა.

დასვენების დროს გარეთ გავრბოდით. ქვებზე გრიფელებს თავებს ვუთლიდით, ვხტოდით, ვცელქობდით, მაგრამ არც ერთი თამაშობა, რაც ქართლში

ბავშვებისათვის ჩვეულებრივი იყო, აქ არ იცოდნენ. არ იცოდნენ, არც წრელახტი, არც ბურთაობა, არც ახტივრობა, არც სალაობა, არც ლახტი. ჭიდაობაშიც მარტო „კვანტის“ გამოდება იცოდნენ, სხვა არაფერი...

ზარი რომ დაირეკებოდა, ჟივილხივილით ისევ კლასში შევცვივდებოდით, მასწავლებელი ისევ სახაზავით დაიარებოდა და უკვე მეორე საათზე, როცა ის საკმარისად მოიქანცებოდა, სამივე განყოფილებას ფეხზე წამოაყენებდა და ყველას ერთად ამღერებდა.

შენ ჩემო და ღორო
აბა ღორო ქედანოოო
თორმეტის და გოჭის
აბა გოჭის დედაო...

ქართულ სიმღერის შემდეგ რუსულ სიმღერას ვიწყებდით. ეს უფრო გვამხიარულებდა. რადგან სიმღერას ტანის მოძრაობაც მოჰყვებოდა.

Жил был у бабушки
Серенький козлик.
Вот как, вот как
Серенький козлик!...

„ვოტ კაკ, ვოტ კაკს“ რომ ვიტყოდით გვერდზე გადავიღუნებოდით, ტაშს შემოვკრავდით და სიმღერას ვაგრძელებდით.

Бабушка козлика
Очень любила.
Вот как, вот как
Очень любила...

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, აბგებს მხრებზე გადავიგდებდით და გავრბოდით. მოწაფეები სკოლაში ორი-სამი კილომეტრის სიშორიდან დადიოდნენ, ზოგი ოთხი-ხუთიდანაც. ზაფხულში სიარული საამო იყო. მდინარის პირად მივდიოდით და ხან წყალს ვაგუბებდით და შიგ ვბანაობდით, ხან ჭიჭყინა თევზებს ვიჭერდით.

შემოდგომაზე ვენახში გადავხტებოდით და მწიფე მტევნებს ვარჩევდით.

ზამთარში დაღმართზე დავცურდებოდით. სველი ტალახიანი ფეხებით ვისხედით ცივ კლასში, მაგრამ სიცივეს კი არა ვგრძნობდით.

პირველი სიყვარული

ზაფხულში ისევ სურამში დავბრუნდი. ისევ მეზობელ ამხანაგებში თამაშობა, ისევ ჭიდაობა, სალაობა, წრელახტი, საქანელა, კოჭაობა და სხვა...

კაკლის ხეზე ჩამობმული საქანელა ძალიან გვიტაცებდა. ბუქნავ და მაღლა ტოტებში ფეხები გეხლართება. „ახლა მე გამიშვი“!.. მეუბნება დიტო. ისიც მაღლა ასრიალდება. ილიკო კი სუსტია — გული ვერ უძლებს. სამაგიეროდ ჭიდაობაში ყოჩაღია და მხოლოდ მე ვარ მისი ფალავანი.

აგერ მაგრად ჩამიჭიდნია მის საყელოში ხელი და ორივე დიდხანს ვაქანავებთ ერთმანეთს, ვაწვებით და ვიზნიქებით. გარშემო წრეში მდგარი ბიჭები ყვირიან, — „აბა დათა, სალმა!“ „ბიჭო, ილიკო, გვერდული, გვერდული!“... მოკუზულები, მხრებით გადაბმულები, წრეში დავბობღავთ და ორივე ვფრთხილობთ.

დახრილი თავებით ვეჯახებით. უცბად მილმა გავიხედავ და ჭრელ ჩითის კაბას მოვკრავ თვალს. განცვიფრებული იქით ვიცქირები. დიტოს გვერდით გოგონა დგას, ჩვენ ჭიდაობას უცქერის. ნეტა ვინ არის? საიდან მოვიდა? — მეუბნება თავში ფიქრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავიხედე მისკენ. ისიც ჩვენსკენ იცქირება. ცისფერი თვალები აქვს. სახე ულიმის და წაბლისფერი აბნეული თმა ყურებზე ეფინება.

გავხალისდი, დავტრიალდი. მინდა მისი ყურადღება მთლიანად დავიპყრო. მარჯვენა ხელი ილიკოს წელზე მოვხვიე, ჩავებღაუჯე და ჭიდილი გავახურე. მესმის ყვირიან — „ბიჭოს, ერთი დათას დახე, დახე თუ იმან არ აჯობოს!"... „დათა ჩემი ფალავანია!" იძახის დიტო. „ჩემიც!".. მესმის გოგონას ხმა.

ახლა კი ავენთე. მეორე ხელით საყელოში ჩავბღუჯე და გვერდულზე გადმოვიტანე. მაგრამ ილიკომ იძლია და კინალამ ჩემივე ხერხის მსხვერპლი გავხდი. — „უჰ! უჰ!" — იძახიან. — „ვაიმე!" — მესმის ხმა.

ისევ გავსწორდით. ახლა ილიკოს მოუვიდა გული. „აბა ბიჭო, ილიკო! — ერთი შენებურად, შენებურად!!!" — „დათა ღმერთი არ გაგიწყრეს, არ წაგაქციოს!...

ცისფერ თვალებისკენ გავიხედავ, — ჭიდაობას დამძაფრებით უცქერის და ისიც ხტის, ცქმუტავს... ჩვენ კი ერთმანეთს ვაწვებით, ვიზნიქებით, ვიღუნებით...

როგორ მოხდა აღარ მახსოვს, — ილიკომ ზურგზე მომიდო, დამაყირავა, წამაქცია და ზედ დამაჯდა.

ყიჟინით, ჟივილით, სტვენით და ხტუნაობით მოცვივდნენ. ზეზე ამაყენეს, დარცხვენილი წამოვდექი.

— არ მიჯერია, არ მიჯერია! — ვიძახდი და ილიკოს კიდევ საჭიდაოდ ვიწვევდი, მაგრამ ყველამ აღიარა რომ ჭიდაობა სწორი იყო.

— როგორ მოგვიდა, ბიჭო! — შემეკითხა დიტო.

— რა ვიცი, მოულოდნელად მოხდა!

— ჩვენ კი შენი ნიძლავი გვქონდა! — მითხრა ცისფერთვალებამ.

— ეს ჩემი დაა, თამრიკო. გუშინ ჩამოვიდა დეიდასთან იყო! — მეუბნება დიტო.

ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ, გავიღიმეთ. მე მორცხვენილად უცბად დავკარი ფეხი და გავიქეცი. შინ მივირბინე. დედა ტახტზე იჯდა, რაღაცას ჰკერავდა. მისკენ გავექანე და შევეკითხე, —

— რამდენი წლისაა დიტოს და, — თამრიკო?

— რაში გეკითხება შვილო?.. ხომ არ გინდა ცოლად შეირთო? — მე შევკრთი, გავწითლდი, — რატომ მითხრა დედამ ასე? თავი მის კალთაში ჩავდე და გავიყურსე.

იმ დღეს გაბრუებული დავიარებოდი. ჩვენი სახლის მაღალ კიბეზე ავდიოდი, თამრიკოს სახლისაკენ ვიმზირებოდი.

მეორე დღეს საქანელაზე პირველი მე ავვარდი. თამრიკო მიმზერდა. სიმაღლით აქანებაში მწვერვალს ვაღწევდი, ტოტებში ფეხებს ვკრავდი. ვბუქნავდი, ზევით ავარდებოდი, ისევ დავეშვებოდი... ქვევიდან კი თამროს კივილი მესმოდა.

— ჩამოვარდება, ჩამოვარდება!...

ეს მე უფრო მაქეზებდა. თავს არ ვიზოგავდი.

იმ საღამოს ილიკომ მითხრა:

— იცი შენ თამრიკო სად იყო ამდენ ხანს?

— არა, არ ვიცი!

— თავის დეიდასთან, სადღაც ტანრიგში! იცი, რას ამბობს?
— რასა?
— იქ თურმე ბიჭები და გოგოები ერთად ბანაობენ ზღვაში.
— მართლა? მერე?..
— მერე არაფერი! აქ კი ერთად არც კი ვთამაშობთ!
— მართლა, აი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს მახლობელ სოფელში დღეობაზე ვიყავი. მღვდელმა თავისი ცხენი გამომატანა შინ მისაყვანად. ცხენზე ჯდომა ძალიან მეხერხებოდა. მიყვარდა ჭენება. მივაქანებდი სანამ არ დავიღალე.

თამრიკოს სახლის წინ რომ ჩამოვიქროლე, ის აივანზე იდგა, უბანს ირგვლივ ჭენებით შემოუარე და ისევ თამრიკოს წინ გაჭენებული ცხენი გავაჩერე.

დიტო შემეხვეწა ცხენზე შემსვიო. მეც მკვირცხლად გადავხტი და ცხენი მას დავუთმე.

— ცხენის ჭენება სად ისწავლე? — შემეკითხა თამრიკო როცა დიტომ ცხენი გააქანა.

— სად ვისწავლიდი, აქ!

— მერე ცურაობა არ იცი?

— არა, ცურაობა არ ვიცი! აქ დიდი მდინარე როდია!

— მე კი ვიცი! ზღვაში ისე შორს მივდიოდი, ნაპირიდან ვერც კი დამინახავდი. შენ ზღვა გინახავს?

— არა, არ მინახავს! დიდია ზღვა?

— უჰ! თვალს ვერ გადაუწვდენ!

— მამას ვეტყვი და წამიყვანს ზღვაზე!.. მე კარგი ასტურმა ვიცი! იმ სიშორეზე ვხტები, ვერავინ მაჯობებს.

— იმ დღეს კი ილიკომ წაგაქცია!

— რა ვუყოთ მერე, ეგ ერთხელ! — გახსნილ ქამარს ვატრიალებდი და თავდაღუნული ვლაპარაკობდი. როცა შევხედავდი, მხოლოდ მის ცისფერ თვალებს ვხედავდი და საფეთქელზე ჩამოცვენილ აბრეშუმის თმას, სხვა ვერაფერს.

— შენ სად იყავი აქნამდის? — ვეკითხები.

— დეიდასთან! რუსეთშია გათხოვილი!

— დიდია რუსეთი?

— უუ! სამი დღე ვიარეთ მატარებლით! მერე იქ სულ მინდორია! სულ მინდორი და ზღვაა. მერე დიდი ქალაქები და იმდენი მატარებელი რო...

ის ლაპარაკობდა მე კი ვისმენდი და ჩემ თვალში ის იზრდებოდა...

შორეული მინდვრები და ქალაქები ზღაპარში გაგონილ ამბებად მეჩვენებოდა.

თავში აბნეული ფიქრები ირეოდა. მინდოდა თითქო რაღაც მეთქვა, მეც გამომეჩინა ცოდნა, ან რამე ძალა დამენახვებინა. ვგრძნობდი თითქო ახალი რამ გავიგე, თითქო ახალი რამ შევიძინე და გულს ესალმუნებოდა, მასთან ლაპარაკი მიზიდავდა.

დიტომ აქაფებული, გაოფლიანებული ცხენი მოიყვანა. ახლა კი დრო იყო პატრონისთვის მიმეყვანა.

შინ რომ დავბრუნდი, სარკეში ჩავიხედე, — რუსული ჭაპუა ცხვირი, სილრმეში წასული ქერა თვალები და ქერა აბურძგნული თმა. თეთრი წარბები და წამწამები. წარბს ხან შევკრავდი, სერიოზულ სახეს მივიღებდი, ხან გავიღიმებოდი. სარკეს ხან შორს დავიჭერდი, ხან ახლო მივიტანდი, მაგრამ ვერაფერს მიმზიდველობას ჩემს სახეში ვერ ვხედავდი.

ჩემი ამხანაგები ყველა შავგვრემანები იყვნენ, შავთვალწარბა. მე კი ქერა თვალებით და მოკლე რუსული ცხვირით. მტკივნეულად განვიცდიდი თითქო სიმახინჯეს. ყველა „რიჟას“ მეძახდა. ქალიშვილები ჩემ დანახვაზე იცინოდნენ და მეც თუ სხვებსავით ხუმრობას მოვინდომებდი, იტყოდნენ:

— ერთი ამ „რიჟას“ უყურეთ რა ამბავშიაო!..

ჩემი ნატვრა იყო შავგვრემანი დავბადებულიყავ, თუნდ მახინჯიც!

ერთხელ მეზობლისას ვიყავი სტუმრად დედასთან ერთად. იქ ერთი მოხუცი უცნობი კაცი რაღაც სასაცილო ამბებს ყვებოდა. როცა მეც გავიცინე, — „ეს რუსი რაღას იცინის, ამან რაღა გაიგოო!!“ — სთქვა უცნობმა.

ყველამ მე შემომხედა, სიცილი აიტეხეს. მე თავი დავღუნე, გარეთ გავედი და შინ გავიპარე.

გოგონები ჩემ ამხანაგებს უმზერდნენ, მე კი ნაკლებ ყურადღებას მაქცევდნენ და ეს მალონებდა.

სარკეში ჩახედვაც მეზარებოდა. მეუბნებოდნენ რომ მე კეთილი გული მქონდა და ღიმი მიხდებოდა. ხოლო მე ამას ვერ ვამჩნევდი და მოწყენილი დავიარებოდი. თამრიკოც სხვებთან უფრო მხიარულობდა, იცინოდა. ჩემი ამხანაგები მასთან ლაპარაკის დროს ლაღობდნენ, მოურიდებლად იქცეოდნენ, — მე კი ვწითლდებოდი, უკან ვიხევდი, ჩემ აზრებს ვერ გამოვთქვამდი. თავში კი ბევრი კარგი აზრი მიტრიალებდა. დაღვრემილი ვბრუნდებოდი შინ და მხოლოდ ვოცნებობდი.

ჩემი ამხანაგები ზევიდან დამცქეროდნენ და თუ იმათ ოჯახში მოვხვდებოდი, — ვგრძნობდი როგორი შეკავებული შებრალებით მიმზერდნენ, ტკბილეულობას მთავაზობდნენ და მიალერსებდნენ... მოკრძალებით უკან ვიხევდი. სხვები თამამობდნენ, მე კი გვერდზე გამდგარი ყველას ვაკვირდებოდი, შთაბეჭდილებებით ვივსებოდი და მარტო რომ ვრჩებოდი, გულში ზრახვებით ჩათხრობილი — ოცნებას ვეძლეოდი.

* * *

ხშირად დაღვრემილი და ფიქრებით მოცული სურამის ციხეზე ავიდოდი. მის კედელზე ჩამოვჯდებოდი და ვოცნებობდი. რამდენჯერ ოცნებით გატაცებული ნისლიან მთებს გადავდიოდი, ოლოროჩოლოროიან კლდოვან ალმართებს ვამარცხებდი და მთას იქით სხვის მიერ ჩახვეულ მიჯნურს ვანთავისუფლებდი.

სურამის ციხე ჩრდილიან ხევში, მდინარის ნაპირად რომ ასე უეცრად პიტალო კლდეზე აზიდულა, მუდამ ჩემი ცხოვრების ჩირაღდნად წინ მიმიძღოდა, მისი გაყუჩებული და ამავე დროს მრავალმეტყველი ნესტიანი და ჩამონგრეული კედლები შორეულ წარსულის ამბავს მახსენებდა.

ახლა მე მინდა ჩემი წარსული წლების განცდები მას მივუძღნა და ვამცნო რომ მეც მასავით კბილებჩაცვინული და ნაოჭებით დაღარული ვარ, რომ მრავალგზის დამარცხებებისა და გამარჯვებებისაგან დაღლილი და ტკივილებით მოცული, მხიარული გულით ვიგონებ ჩემი ბავშვობის ხანას მასთან რომ გამიტარებია, ხოლო მერე, მას რომ დავცილდი, — შემდეგ ამბებზე ჩემი ტკივილებისა და გამარჯვების სიხარულზე, ჩემს გაცრუებულ და აღსრულებულ იმედებზე, ჩემს ოცნებებზე და სინამდვილეზე, — უფრო გულახდით შემდეგში მოვახსენებ ჩემ სურამის ციხეს.

10/8—1940 წ.
სურამი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სულაბერიძე

თეთრი თავსახვევი

მთელი დღე იბრძოლეს, მოღლილი მკერდი
ღამით შეაფარეს ვეება ჩინარებს.
ას ვეფხთან ქალი გადარჩა ერთი
და დაჭრილ ვაჟკაცებს უხვევდა იარებს.

მტერი მოღელავდა ტალღების ძალით,
გზები გადალობეს უკან დასახევი.
უცებ ამხედრდა და გაიქცა' ქალი,
იქ წითელჯვრიანი დარჩა თავსახვევი.

რკალი გაარღვია და გაჰქრა წამსვე,
ხეებთან გრგვინავდა კვლავ ასი ვაჟკაცი.
სადღაც გაიზარდა ღრუბელი ცაზე, —
გაკრთა იმედივით მნათობი კაშკაშა.

მხედარი მიჰქროდა შეუსვენებლივ,
მკერდით მიაპობდა გრიგალს უშიშარი.
კიდე არსად სჩანდა გაშლილ ველების,
ხანდახან გაჰკვეთდა ბნელს ელვის ისარი.

შტაბთან გაიელვა თეთრი ხალათით,
მეხივით შემოჰყვა თენებას ნისლიანს.
უმალ აბობოქრდა ქარიშხალივით
და ველზე დაიძრა მთელი დივიზია.

დაჰკრეს ზარდაცემულ მტერს გააფთრებით
და აღარ ცხრებოდა ზეცის მძვინვარება.
მხრებზე მოეხვიათ ცეცხლის ნაბდები
და მეომრებივით იდგნენ ჩინარებიც.

დილით გადარეკეს... ცა ირღვეოდა...
მტერს გზა აღარ ჰქონდა უკან დასახევი.
ჭარს ზე აეტაცა და ირხეოდა
სისხლში გაფერილი თეთრი თავსახვევი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია

შთაგონება

რომანი

თავი მეშვიდე *)

1.

მთიებნი ჩაქრნენ.

გათენების წინ ერთი ისე ჩამობნელდა, რომ ელნათურები კიდევ უფრო აკაშკაშდნენ.

ცისკრის ვარსკვლავი მაინც ციმციმებს და მთაწმინდის ციცაბოზე არბენილ ლამპიონებს ბრწყინვალებაში ედავება.

ქალაქს ძინავს.

უკაცრიელ ტროტუარების გასწვრივ გოგონებივით ჩამწკრივებული ცქრიალა ჭანდრები გრილად მობერილ შემოდგომის ნიავისაგან ხალისიანად ირხევიან, არხევენ ჩეროებს და გამხმარი ფოთლები ფილაქნებზე გაზეთებივით შმაშურობენ.

ყველგან სიმშვიდეა და ამ დუმილს მხოლოდ ელმავლების შორეული ზუზუნი, ორთქლმავალთა ცივი კივილი, შეყოვნებულ ავტოთა პიპინი თუ დაარღვევს.

პროსპექტზე არავინ არის.

ჭავლიანი შავი ასფალტი დუბელასავით შემდორებულა და შიგ ჩაყირავებული ზრომიდგმულნი ჩრდილნი და ნამდვილნი ქმნიან შთაბეჭდილებას ორმაგი ქალაქისა.

ცად ატყორცნილი ელექტროს ნაირფერი რეკლამები უდაბურ ღამეში ამაოდ კიაფობენ.

კოლმეურნე გლეხებს ღამის მყუდროებით უსარგებლნიათ და შუა ქალაქში თივით დატვირთული ურმები ჭრაჭუნით, შრიალით ჩაატარეს.

ირგვლივ ძინავთ და მორიდებულად, სევდის აღმძვრელად ისმის მათი უძილობით დაბუხული ხმა:

— თფვეი, ჰაამო! — და თან ხარიპარია ცისკრის ვარსკვლავს ირიბულად გასცქერიან.

ვინ მოსთვლის რამდენ ხარს, რამდენ ბულასა და მოზვერს გასდგომია ტანში ტკბილ ჟრუანტელად მისი ციმციმი, ტყე-ღრე ღმუილით უტარებია და გზაკვალარეული ღარდა-ღრანტებში გადუჩეხია.

ვინ მოსთვლის რამდენი ღამის მეხრე გაუწამებია ამაო ძებნით და რამდენი წყევა-კრულვა შეუთვლიათ მისი მაცდური ციმციმისათვის.

მირიან ლარაძე შედგა.

---

*) იხ. „მნათობი“ № 10 და 11.

ის არც მთვრალია, არც შეყოვნებული ღამის მგზავრი და, ზედგე-ეტყობა, არც არსად მიიჩქარის.

მაღალსა და მოხდენილ ტანზე გაბარდინის საზაფხულო ლეგა პალტო ლაზათიანი ნაოჭებით შემოკვართვია ფეტრის განიერფარფლიანი, ანალოგიერი ქუდი უკან ოდნავ დარდიმანდულად გადაჰქანებია და გატაცებით გასცქერის ქალაქისათვის ამ უჩვეულო მსვლელობას.

ნისლივით დაფანჩულ ჯაურებით დაბურული ნაიალაღარი წოქე ხარები გლუვ ასფალტზე ფეხის აცურების შიშით ფრთხილად, აზიზად მიაბიჯებენ. მიაბიჯებენ ისე, თითქოს მიწას ეძებენ და, რომ ვერ პოულობენ, სევდიანი, მეტყველი თვალებით ბედის მორჩილად იცქირებიან. ტლუდ გათლილი ბორბლები ისე ხმაურობენ, როგორც სოფლის გზის ტალახამხმარ ნაორდალზე.

რკინის ბალთიანი ბომბორა ნაგაზი თივით დატვირთულ ურმის ქვეშ მფრთხალად შეფარებულა და კუდამოძუებული თვალთა სკურვით ალრენილად იცქირება.

მირიანს დარდით შეჭმუხვნილი სახე წუთით გაეხსნა. წუხელ აგარაკიდან ჩამოსულ ცოლთან ჩამოვარდნილი უსიამოვნებით გამოწვეული მწუხარება გულს ერთბაშად გადაეყარა და ამაღამინდელი ნაფიქრ-ნაკითხის გაგრძელებად მშობლიურ ზურტაკეტის მდელოებს და იალაღებზე გატარებული ბავშვობის ნათარხნი დღეები თვალწინ ცოცხლად დაუდგა. გულმა იქით გასწია, — ლუხუნისა, კვირიკეთისა და მუდმივი თოვლით თავდოლბანდიანი შამბიანის მთები კვლავ უზრუნველ დღეთაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ სანატრელად აღძრულ სურვილებს სულ სხვა გრძნობა შემოესალტა. აქ მშენებლობისა და შემოქმედების უშრეტ გზნებას იგი ისეთი ვნებიანობით შეუპყრია, რომ ხშირად თავიც არ ახსოვს.

ის სალტეებშემოჟანგული, დროთა ვითარებით გარუჯული საგვარეულო სკივრიც კაბინეტში უდგას და ისე უყვარს, თითქოს მისი ბალღობის ლაღი დღეები იმაში იყოს შენახული. როცა მუშაობით დაიქანცება, ან აწყენინებენ, ან სევდა რამ უმიზეზო აიტანს, თავის ოთახში მარტოდმარტო ჩაიკეტება და ძველისძველ წიგნებისა და გაყვითლებულ პერგამენტების კითხვით იქარვებს დარდიან გულს.

ამაღამაც ასე იყო.

თავის დარიკოს, სიცოცხლით სავსე დარიკოს, ველარა სცნობდა. სულ მიზეზიანობდა, არაფერი არ მოსწონდა, ხან ტიროდა, ხან იცინოდა. ძარღვები ისე ჰქონდა აშლილი, რომ არ იცოდა რა ეწყინებოდა და რა გაახარებდა მის გულს.

დღესაც, როცა ის საღამოს ჩაიზე ამდენი ხნის უნახავსა და მონატრებულს მიეალერსა, მან ხელი ისე უკმეხად ჰკრა, რომ ელექტროს ადუღებული ჩაიდანი კინაღამ მაგიდიდან გადააგდო.

— მე შენ ძროხასავით მიცქერი! — გაბოროტებულად მიახალა ქმარს და ფეხზე გაანჩხლებით წამოიჭრა: — ოღონდ შვილი შეგეძინოს და მე არას მინაღვლი. არ ფიქრობ, არ გენაღვლება, რომ მე ასე ვიტანჯები, რომ მე ადამიანი ვარ... — და ტირილი წასკდა.

მირიანი დაიბნა.

არ იცოდა რა ეღონა ან როგორ დაემშვიდებინა ასე მოულოდნელად უმიზეზოდ გაკაპასებული მეუღლე. ისევ მიალერსებოდა, — უარესი იყო, გული კიდევ უფრო აუჩუყდებოდა და მერე სულ ველარ დაამშვიდებდა. ადგა და ისევ სიჩუმე არჩია. ამან კიდევ უფრო გააცეცხლა იგი და ისეთი საშინელი სიტყვებით მიმართა, რომ მირიანს მოთმინება აღარ ეყო. თავის ოთახში შევარდა

და, იქ ჩაკეტილი ჯავრიანი გულის გასაქარვებლად ჰემინგუეის ახალ რომანს დიდხანს კითხულობდა.

შუაღამეს გადასული იყო, საწოლ ოთახში დასაძინებლად რომ გამოვიდა. დარიკოს ისე მშვიდად ეძინა, თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარიყოს.

მირიანმა კარგად იცოდა, რომ მისი ეს უხასიათობა მამასთან ჩამოვარდნილი უთანხმოებითა და ფეხმძიმობით იყო გამოწვეული. ამიტომ უთმენდა ამდენს, მაგრამ ის საშინელი სიტყვები წელან რომ უთხრა, ისევ რეკდნენ ყურებში და ვერ იძინებდა. ხან ერთ გვერდზე დაწვა, ხან მეორეზე, — რული მაინც არ ეკარებოდა.

იმ რომანმა კიდევ უფრო ააფორიაქა მისი გონება.

მშობიარება, ექიმების ფუსფუსი და აუტანელი ტკივილები რომ წარმოიდგინა, ყველაფერი ერთბაშად აპატია და მძინარეს ალერსიანად გადახედა.

გაზაფხულის მზის მცხუნვარებით ტანამუქებულს საბანი იქით გადაეგდო და მთელი დღის მგზავრობით დაღლილს, ისე ღრმად ეძინა, რომ გულმა კვლავ მისკენ გასწია. დარიკო ისევ ისეთი იყო. ფეხმძიმობას ჯერ თავისი კვალი საკმაოდ ვერ დაემჩნია, გარდა იმისა, რომ სუნთქვა ოდნავ უმძიმდა.

ფიქრები, შავი ფიქრები ისევ ბნელად შემოეჯარნენ და გული ისე აუფორიაქეს, რომ ვერაფრით ვერ დაიძინა. ერთ გვერდზე დაწვა, — არ ეხერხა, მეორეზე გადაბრუნდა, არც ასე ეხერხა და ბოლოს ისე გამწარდა, რომ საბანი იქით გადააგდო. ლოგინიდან ავარდა, ტანთ ჩაიცვა და, მძინარე რომ არ გაეღვიძებინა გარეთ ფრთხილად გავიდა.

ღამის ნიავმა გახურებული შუბლი უცებ გაუგრილა.

ბნელად აკვიატებული ფიქრებიც ჩამოშორდნენ.

ახლა შუა ქუჩაში მარტო დგას და არ იცის საით წავიდეს.

ჯერ კიდევ დახურულ ბაზრებიდან მოდის მაბრუებელი სურნელება საშემოდგომო ხვავისა და ბარაქისა.

ეს რიჟრაჟნაკრავი ღამეც იმ საგვარეულო სკივრივით ჩაქუფრულა და, მისი ზარიანი ხუფი წკარუნით რომ აიხადა, თბილისის ღამეს თრიალეთის განთიადი ლბილად წამოეფარა...

ნასოფლარები, დანგრეული ეკლესიები, უძველესი წარწერიანი ლოდნარები, სადაც მას ისე უყვარდა ყოფნა და ფიქრი იმათზე, აქ რომ უცხოვრიათ და აღხოცილან, აღგვილან ისე, რომ მათთან ერთად სოფელთა სახელებიც დაკარგულა.

აბიბინებული მწვანე მინდვრები, მთის ახმაურებული ნაკადულები და დადუმებული, დამაფიქრველი იდუმალებით დაყურსული ულრანი ტყეები. ტყეები იმდენად მშვიდნი, — ყურს რომ მიუგდებ, გესმის როგორ ივსებიან ხეები წვენით, როგორ სკდებიან ტკაცუნით დაბუხული მწიფე ყლორტები, როგორ შმაშურობენ ზრდისაგან ბალახბულახნი და როგორ ცვივა ნელი ფაჩუნით წიწვი მიწაზე.

ღამით ჩაქუფრულ სათიბებში ბუზანკლები ენებიანად რომ აწიწინდებიან და სოფლები მიიძინებენ, ძილგატეხილ ქოფაკებს თითქოს პირველადობის სევდა აიტანს, — ღავღავებენ, საუკუნეთა მრუმეებში გადაშენებულ ლაღ წინაპრებს ყეფით ეძახიან.

ჯარგვალთა დაცვარულ ყავრის სახურავებზე მთვარის ცივი შუქი ტყვიისფრად ციაგებს.

გომურის გვერდით ძროხა თავის მაძღარ ხბოს ტკბილი ლოკვით ეალერსება და დამეხილ ფიჭვს ბუნჩულა თათი ცისიერში ისე გაუშვერია, თითქოს დედაშვილს ლოცავდეს.

საიდანღაც ისმის ღამის მეხრეების საკოლმეურნეო ტკბილი სიმღერა.

მირიანმა პროსპექტი ნელი ნაბიჯით გადასერა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური გაზეთის უზარმაზარი შენობის წინ შედგა.

საროტაციო მანქანათა ხმაურში ყრუდ შემოჭრილ ურმის ჭრიალს ყური ისევ მიუგდო.

მისი ყურადღება ელნათურით განათებულ მინიან ჩარჩოში გაკრულმა ახალთახალმა გაზეთმა მიიქცია. მესამე გვერდზე რედაქციას მისი ახლად აგებული, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუმთავრებელი თეატრის სურათი მოეთავსებინა. მიუხედავად იმისა, რომ ის ქუჩის პერსპექტივისა და ანსამბლის გარეშე იყო გადაღებული, თავისი ქმნილება მაინც ახლებურად და კიდევ უფრო შნოიანად მოეჩვენა.

ეს დიდებული სახლი განახლებული ქართული კლასიკური სტილით იყო ნაგები და არცერთი სამკაული, არცერთი მინაშენი არ ჰქონდა ისეთი, რომ აზრიანი დანიშნულებითა და შინაგანი კონსტრუქციით არ ყოფილიყო ნაკარნახევი. თეთრი ეკლარის კირქვის სადა ფასადზე ქართული მცენარეული ჩუქურთმები აქა-იქ ზომიერად ინაკვთებოდნენ. ცად აზიდულ ლავგარდანზე ქვისავე შვიდნი ფასკუნჯნი გადმომსხდარიყვნენ, ტროტუარსა და ქუჩას ბეცად გადმოსცქეროდნენ და ნისკარტით ატაცებულ ელნათურათა რძისფერ შროშანებით იქაურობას ანათებდნენ. გაბედულად ამართულ თაღებს შენობის აღნაგობა მტკიცედ შეეკრათ და მთელი ეს ნაგებობა ერთი მკაფიო აზრის ირგვლივ იყო ასხმული.

მირიანმა ერთხანს კიდევ უცქირა თავის ქმნილებას და შემოქმედის მღელვარებით შეპყრობილმა გზა განაგრძო.

ღამე თანდათან ცვდებოდა. მას ყველაზე უფრო ეს დრო უყვარდა. დრო, როცა ქუჩაში არავინ არ არის, სინათლეები ქრება და გამთენიის წყლისფერ ბინდებში ქალაქის უზარმაზარი შენობანი პრეისტორიულ სულდგმულებივით ირკვევიან, დუმილში ნელიად აცურებულნი კიდევ უფრო მაღლდებიან და ცად შნოიანად იმართებიან.

სამკაულებად ქცეულ თაბაშირისა და გრანიტის ფანტასტიური უნდინები, კარიატიდები, ტიტანები, სირინოზები, ლომები და ქიმერები აივნებსა და ალაყაფებს მტკიცედ შებჯენიან და ღამესა და მძინარეთა მყუდროებას ფხიზლად დარაჯობენ. ვერის წყალზე გაზიდულ ქვის ხიდის მისასვლელში თუჯის გრიფონებს ფრთა გაუშლიათ და საცაა, გაფრინდებიან.

ცისკარი ჩაქრა.

ჩრდილად ქცეული ღამე მთაწმინდის ორწოხებში მიიპარება.

ტროლეიბუსები და ავტობუსები ნთქავენ პირველ რეისებს.

ლაკირონის რადიატორზე აჭიატებული გარიჟრაჟის ათინათს ტაქსი ნადავლივით მიაქროლებს.

მეორე მტკვარივით გატყორცნილი ვრცელი სანაპირო პროსპექტის შუა წელში მადათოვის კუნძულზე აშლილ ტევრს გუბესავით აწყდება.

დიდი სტალინის ცად ამართულ მონუმენტს მზის პირველი სხივი ტკაცუნით ელამუნება და ბელადის ნათელი სახე ელვარებს, ბრწყინავს შთამაგონებლად.

2.

გრიალით მოვარდნილი ტრამვაი რუსთაველის პროსპექტის დასაწყისშივე ეშვება დაბლა და მუხრუჭებით სულშეჭირვებული ღმუილით, ხრჭიალით უხვევს ძნელაძის დალმართისაკენ.

წარსული საუკუნის სამოციან წლებში ქალაქი მხოლოდ აქამდე უწევდა და მის გასწვრივ, მტკვრის კბოდეებზე, მეფის რუსეთის ყაზარმები, ჰაუპტვახტები, შტაბკვარტირები, სამხედრო დანიშნულების კორპუსები, საჯინიბოები, სატრაქტო ფოსტის მთავარი სადგური, ნასალდათართა „სლაბოდკები" და არმიის საინტენდანტო და სააფთიაქო საწყობები იყო მოთავსებული.

აქედან, კლდის თვალშეუდგამ სიმაღლიდან, ერთი ძველთაძველი სახლი მტკვარსა და ქალაქს თავისი ვრცელი აივნებით ახლაც ამაყად გადასცქერის.

ქუჩის მხრივ ეს სახლი საძირკველებითა და კედლებით მიწაში ისე ღრმად წასულა, რომ ზედაპირზე მხოლოდ მესამე სართულია მოსჩანს. წინ, როგორც ეტყობა, ყვავილნარი ყოფილა გაშენებული, რასაც ტიტველ მიწაში აქა-იქ მწყობრად ამოჩრილი ქართული ავეურის წიბოები ადასტურებენ. აქნობამდე მოლწეულ რკინის რიკულიან მესერს შიგადაშიგ ნახევრად დაქცეული, ქარით, წვიმითა და მზის მცხუნვარებით გამოფიტულ-გამოხუნებული ორიოდე მეტრის სიმაღლეზე თარაზულად გადაკვეთილი მასიური ქვის რუხი სვეტები აქვს დატანებული. ერთ მათგანზე ქვის უზარმაზარი ბურთისებური ლარნაკი ახლაც შერჩენილა. სჩანს, ყოველი სვეტი ამგვარად ყოფილა დამშვენებული, რაც მთელ ამ ნაგებობას თავის დროს, უეჭველია, დიდ ლაზათსა და შნოს ანიჭებდა.

ეს მიდამოები ერთ დროს ქალაქის გარეუბანს წარმოადგენდა. შემდეგ ურჩხულივით გაწვდილმა თბილისმა იგი თანდათან შეიზარდა და მით თავის განუყოფელ ნაწილად აქცია. ალბათ, აქაურობის მაშინდელი განკერძოებისა და მყუდროების გამო თუ ააგო ეს ნადგამობა კავკასიის მთავარმართებელმა ვორონცოვმა თავისი ლამაზი ხასის, ვინმე მჭედლიშვილის ქალისათვის.

თუ დღეს ეს შენობა გარეგნულად უსახურია და თვალს არაფრით არ იტაცებს, სამაგიეროდ შიგნით დიდი გემოვნებითა და საზრისიანობით არის მორთულ-მოკაზმული. მაღალი კედლები, სახიანი წაბლის ვრცელი კარ-ფანჯრები და მუხის, კაკლისა და ურთხველის ნაირფერი პარკეტი ახლაც საკმაო თვალსაჩინოებით ამჟღავნებს მის გარდასულ დიდებულებასა და ბრწყინვალებას.

ზემო სართულში სპარსულ ყაიდაზე მოხატული ფერად ნაყშიანი ექვსკუთხედი საწოლი ოთახია მოთავსებული და მტკვრის გასწვრივ გატყორცნილ ახალ სანაპირო ქუჩას თვალჩაუწვდენელ კლდიდან ამაყად გადასცქერის.

მის ვრცელსა და მაღალ კედელთა შორის მყუდროდ შეკუჟულ ბინდებს ვერც მიხურულ დარაბაზე მოწოლილი მზე და ვერც ჭრელა-ჭრელა არაბესკებით ამოკვეთილად ნაქარგ სპილენძის ჭაღში გაცრილი ელექტროს მკრთალი ნათელი ვერ ერეოდა.

დარიკოს ეძინა.

სურვილიანი მიმზიდველი მომსხო ტუჩები ძილისაგან კიდევ უფრო ვნებიანად აჭბურცვოდა და ახალგაზდურად, წყნარად სუნთქავდა.

დარაბებს შორის შემოპარული სინათლის გრძელი ზოლი საწოლს სწვდებოდა და თეთრი ბალიშის პირზე თავგადაგდებული მძინარე ქალის მზემოკიდებული ეშხიანი სახე კიდევ უფრო მუქად, თვალის მიმტაცებლად მოჩანდა. ზღვის მლაშე წყლისაგან გამოგალული უხვი დალალები ლოგინიდან ძირს ოქროს დნარივით ჩამოღვრილიყვნენ და იატაკს სწვდებოდნენ.

სასთუნალთან ირიბულად დადგმულ ხათაბანდის ვიწრო მაგიდაზე მავთულის თმის სარჭით ჩანიშნული წიგნი და ყვითელაშიანი ცალი ლეკვერთხი იდო.

სუზანგადაფარებულ ვრცელ ტახტის ზემოთ კედელს სერიოზის ცნობილი სურათის „ბავშვების“ კარგად შესრულებული რეპროდუქცია ამშვენებდა მეზღვაურის ტანისამოსში გამოწყობილი ორი ბიჭუნა წარმტაცი სევდით, მოწყურებული თვალებით იცქირებოდნენ.

დარიკო ერთი შეიშმუშნა და ისევ გაყუჩდა.

არ ეძინა და თვალს მაინც არ ახელდა.

ამდენი ხნით დანატოვარი ნაჩვევი ლოგინი ისე ტკბილი იყო, რომ განძრევაც ეზარებოდა. იწვა ისე ყუჩად, თითქოს წოლაში მწიფდებოდა, თითქოს მის არსებაში რაღაც განუზომელად მნიშვნელოვანი რამ სიცოცხლით ივსებოდა. ტანში ნეტარებისა თუ შიშის გამო შეაჟრჟოლა და საბანი იქით გადააგდო.

ის იყო ძილის შებრუნებას აპირებდა, რომ კოღოს ნაკბენმა ქავილით გაუხსენა. შვეტი ფეხი მშველივით მოხდენილად აიკეცა და მარცხენა ხელით მოუხერხებლად, მაგრამ ჟინიანად მოიფხანა.

ცალი თვალი ოდნავ გაახილა და სარკმელს გახედა. მჭიდროდ მოხუურულ დარაბაში სინათლე ზოლებად ატანდა. წამოიწია, ლოგინის თავთან ზონარზე დაკიდებული ხავერდის ვაშლი დაბლა დასწია და ელექტროც ჩაქრა. მერე, კი არ დაწვა, დაეცა და მისი ტანი ლოგინის დრეკადმა ზამბარებმა სალბუნიანად აიქნიეს.

ყური მიუგდო, — ზღვა აღარ შხუოდა. არც ჭიჭინობელი ჭიჭინებდა. იქ ყურძენს რომ თავდავიწყებით ამწიფებდა.

გვალვიან შუადღით, როცა ირგვლივ დუმილია და ხვატი ზუზუმობს, ჭიჭინობელთა სულმოთქმელ ხმაურში, თითქოს მარადისობაში გადადიხარ. ფიქრს ბოლო ვერ მოაბა, რაღაც უზარმაზარი წამოვიდა ბნელად, ჩაიხვია და თან ჩაიტანა... ბნელში შემოჭრილი სხივი სიმივით წკარუნობდა.

თითქმის შიშველი, მზემოკიდებული და ოქროსფერი ლოგინში სავსე ტაროსავით ეგდო.

შემოდგომის ტკბილი დილა გულში იდუმალ ნატვრებს აღძრავდა. უნდოდა ამდგარიყო, მაგრამ არ ადგა.

აღარ არის უსიერი ზღვა (მარტო ტყე როდია უსიერი), არც ის უნაპირო სივრცეებია და აღარც ის ტანისამწველი ცხელქვიშიანი მაბრუებელი პლაჟი.

გათავდა ლაღი დღეები, გათავდა რეპეტიციები, როლის მზადება და იმისი სიტკბო. ვიღაც უცნობი ადამიანის ვნებათა ძიებისა და ნელინელ ხორცასხმისა, როცა ეს სახე თანდათან ხელსახები ხდება, როცა მის სულისკვეთებას იმდენად სწვდები, რომ შეუმჩნევლად გადადიხარ უცხო წიაღში და კარგავ საზღვარს ნამდვილსა და გამოგონილს შორის...

აღარც ნალიებია, აღარც ლელვები და აღარც კვახის ფოთოლში გახვეული ფელამუშები.

ქალაქის ხმაური ოთახში ყრუდ ატანდა. მიუხედავად წუხანდელი უსიამოვნებისა, ნამგზავრზე ისე ღრმად ეძინა, რომ არც შეუტყვია როდის ამდგარიყო მირიანი.

— მირი! — გასძახა ალერსიანი გულის მომპარავი ხმით, მაგრამ პასუხი არავინ არ გასცა.

— მირი! მირიან! — პასუხი კვლავ არ ისმოდა.

მიხვდა, — შინ არ იყო და გული ჩასწყდა. ნანობდა, რომ ამდენი ხნის უნახავს ჩამოსვლისთანავე აწყენინა. ეს რა სჭირს? ასე ბედნიერია და იმის მა-

გიერ, რომ ამ ბედნიერებით ტკბებოდეს, ყველაფერი აბრაზებს. ერთი ბეწო მიზეზია საკმარისი, რომ დიდ უკმაყოფილებად აქციოს.

თავისი თავი თვითონვე აკვირვებდა, თავის თავს თვითონვე ამტყუნებდა და იმავე წუთს კი მზად იყო ისევ წაჩხუბებოდა, წაჩხუბებოდა ისევ ერთბაშად, რომ თვითონაც არ იცოდა რატომ ან რისთვის.

მირიანმა არ იცოდა რასა სწეოდა და უთმენდა იმდენს, რომ ხმის ამოღებისაც ეშინოდა. ეშინოდა, რადგან არ იცოდა საიდან გამოაბამდა კუდს ყოველ მის სიტყვას იგი ან რის გამო აუტეხავდა ალიაქოთს.

ტყუილად კი არ ხუმრობდა წუხელ ძია ესტატე, ტყუილად კი არ ეძახდა მას კაპასსა და კორიანჩხელას.

— საწყალი მირი. — და ისე მოუნდა მასთან ყოფნა, მისი ალერსი, რომ არ იცოდა რა ექნა. ალერსი, რომ მით გამოესყიდა თავისი დანაშაული, არეულ ლოგინს გახედა და, მისი სიახლოვე უფრო რომ ეგრძნო, იმისი ტანით ჩალრმავებულ საწოლში ტკბილი ღუღუნით ჩაწვა. ჩაწვა და ბალიშქვეშ თავშერგული გაყუჩდა.

გუშინ ვაგონის ფანჯარაზე გადაყრდნობილი ისეთი გატაცებით გასცქეროდა წიფის უღელტეხილის თვალჩაუწვდენელ ხეობებს, თითქოს პირველად ხედავდა. გატაცებით გასცქეროდა ხევხუვებს, ვიადუკებს, ნაირფრად დამჭკნარ ყუჩ ტყეებს, ოლეებსა და მთის კალთებზე შეფენილ იმერულ ოდებს. აივნებზე გასაშრობად ეყარა ბაჯალლო სიმინდი, მზვარე პირსახოცებივით ეკიდა ტყლაპი, ტკბილისკვერი და ჯერ კიდევ შეუგლეჯავი ფუჩეჩგამოსკვნილი ტიტველი ტაროები. შემოდგომის მცხრალი მზე, კი არ ათბობდა, თვითონ თბებოდა და ეს ყვითელი ტაროები ფრთით ატაცებულ ოქროს წიწილებივით ირწეოდნენ ნიავის მობერვით, წიაქობდნენ აფრთხიალებულნი.

დათაც ფანჯარასთან იდგა. როცა ის ოდნავ ზედმეტად გადმოიხარა, დარიკო გამოერკვა. ერთი რისხვით გახედა და ისევ თავის ადგილას დაჯდა, კვლავ წიგნს მიუბრუნდა. თავში არაფერი არ შედიოდა, მაგრამ მაინც კითხულობდა და თან დათასადმი გული ბოღმით ევსებოდა. წიგნი იქით მიაგდო და დერეფანში გაგულისებით გავიდა.

ელმავალი ისევ ისეთივე შეუფერხებელი ნანაობით მიჰქროდა ალმართში და გზის ვიწრო მოსახვევში ბორბლები ტკბილად ღუღუნებდნენ.

ძირს, უბსკრულში, მთის მდინარე მიჩხრიალებდა და ჩაფეხვილი წისქვილის ღარებში წყალი რძისფრად იფუნჯებოდა.

ოცნებად წასულს ხალისიანი მარშის ხმა რომ ჩაესმა, ყველაფერი ერთბაშად გაქრა.

წამოდგა. ყური გასაფრებულად მიუგდო.

— სად გამიგონია ეს მარში?

— ტრაა-რა-რაა-რამ! ტრაა-რა-რაა-რამ! — აჰყვა ღილინით და საბანი იქით გადაგდო. ფეხები საწოლ ქვეშ მოაფათურა, ქმრის ფოსტლებში ხელდახელ გაუყარა და ფანჯარას მიაშურა.

დარაბის გაღება და დილის სინათლის შემოსხმა ერთი იყო.

ძირს, სანაპირო ქუჩაზე, აუარებელი სტუდენტობა სამარშო სვლაში ვარჯიშობდა. ისინი ოქტომბრის მოახლოვებულ სადღესასწაულო დემონსტრაციების სამზადისში იყვნენ.

— ცამბა-ცამბა! ცამბა-ცამბა! — გრიალებდა ორკესტრი. ტკბილი ხმებით გულაჩქოლებულმა თვალი ნეტარებით მილულა და, თითქოს თვალთა ეს მილულვა იყო საჭირო, რომ უცებ გახსენებოდა: ამ მარშს მისი ქარხნის კომკავში-

რი აგრიალებდა წლევანდელ პირველმაისობაზე და მწკრივში ჩამდგარი დარიკო კი არ მიდიოდა, მუსიკა თავისთავად მიაქანებდა.

ეს ჟრუანტელიც, ტანში ტკბილად რომ გასდგომია და სიხარულით ათრთოლებს, სიცოცხლის სიხარულია, სიხარული მაისობაზე, ბანკეტი ჟრუანტელისა.

მაშინ სიყვარული ჯერ ისევ შორეთში ციმციმებდა და რას იფიქრებდა, თუ ის მის გულში ასე მალე შემოანათებდა და მისი ცხოვრებაც ასე მალე შეიცვლებოდა...

ტელეფონის ზარმა უეცარი წკრიალით შეაკრთო.

მილაკს დასწვდა, — მამამთილი იყო. ის ბოდიშს იხდიდა, რომ გუშინ სადგურზე ვერ დახვდა და თან სთხოვდა რეპეტიციაზე საჩქაროდ მისულიყო, რადგან კახაბრის პიესა ოქტომბრის დღეებისათვის სადღესასწაულო პრემიერად მზადდებოდა.

— კარგი, მამა. ძალიან კარგი, ახლავე გამოვალ. — სთქვა და მილაკი რკინის უღელზე დაფიქრებულად ჩამოსდო.

იდგა, დადებულ მილაკს ხელს არ უშვებდა.

რეპეტიციის, მუშაობის მოლოდინში მისი არსება მღელვარებამ შეიპყრო.

3.

წითელი, გობისტოლა მზე წყნეთის სერზე დიდებულად დაბრძანდა და თავისივე ნათელში ნელიად ეშვებოდა. საღამოს ჩრდილნი უჩუმრად აიშალნენ და მთაწმინდის კალთებს იისფერ ბინდებად შეეფინენ. ნაძალადევის შემოდგომადაკრული ტყე მშვიდი ფაჩუნით აპნევდა ჟანგისფერ ფოთლებს.

ხვარას ოთახის ღია ფანჯარა ქუჩის მხარეზე აშლილ პატარა ბაღში გადიოდა.

იასამნისა და ბროწეულის ბუჩქნარები, ალუბლები და ერთადერთი ვერცხლისფერი დაგრეხილი მაღალი ფშატი დაისის ჩამავალი მზის სხივებით წითლად ალეწილნი სევდიანად გატრუნულიყვნენ და მათი მღრალ ფოთოლთა ხრწნადი სურნელება გულს მყუდრო კაეშნით ავსებდა. თუნუქის საწვიმარ მილის ქვეშ ძველი კასრი იდგა. იქვე დავიწყებული სარწყავი ტოლჩა და კბილჩალეწილი ფოცხი ზაფხულს აქეთ უპატრონოდ ეგდო.

ხვარა ბაღს ნაღვლიანად გასცქეროდა, მთაწმინდას გასცქეროდა, წარსულს გასცქეროდა.

ეს ბაღი, ეს ნადგამობა იმისი მამის ხელით იყო ნაცოდვილარი, აგურ-აგურ აყვანილი, ფიცარ-ფიცარ ნაშენები.

ცხრაასხუთში, სხვა მუშებსავით, იმანაც აქ, ამ ადგილას, ქალაქის თვითმართველობის ნების გარეშე ერთი პატარა ქოხი ძალისძალად ჩადგა და მას შემდეგ შერჩა ამ უბანს სახელად ნაძალადევი. მერე თითო ოთახობით თავისი ხელით ნელნელა ეშენებინა ეს სახლი, სახლი, სადაც ხვარა დაიბადა, აღიზარდა და დაქმარშვილდა. ჯერ კიდევ მოწაფე, სკოლიდან მოვიდოდა თუ არა, მამას გვერდში უდგა და ერთად ბარავდნენ, ნაირნაირ ჭრელა-ჭრელა ყვავილებს ერთად თესავდნენ, დაღამებამდე წელგაუმართავად მუშაობდნენ. ეს იასამანი, ეს ალუბლები, ეს ტყემალი და ატმები მისი ხელით იყო დარგული, მორწყული და გახარებული. პატარა ნანულიც ამ ხეებივით ყვაოდა და მსუქან მტრედივით სუფთა და უმანკო ამ ხეთა შორის ფრთხიალებდა. ხან აქ იყო, ხან იქ იყო და თან რაღაც აბდაუბდას სულმოუთქმელად, ენამოქცეულად, საყვარლად ტიტინებდა. მხოლოდ იმას ჰქონდა ნება ბუნჩულა ფეხით ეთელა ეს ყვავილნარი, მხოლოდ იმას ჰქონდა ნება ეგლიჯა ყვავილები და მისი მაცქერალი ბაბუა

იცინოდა ბედნიერად, ქირქილებდა თავისთვის უხმოდ. შვილისშვილის გაუთავებელ ტიტინს ყურს უგდებდა და თან ისე, როგორც დასრულებულ ადამიანს, დინჯ, მაგრამ უთავბოლო პასუხს აძლევდა.

ხვარას ოთახში არცერთი მისი სურათი, არც ერთი მისი სათამაშო, არც ერთი მისი ტანისამოსი ან ფეხსაცმელი არ ინახებოდა. ყველაფერი მაშამ მოსტაცა, დააგროვა და განძივით სკივრში ჩაკეტა. ჩაკეტა, რადგან არ შეეძლო მათი დანახვა. ჩაკეტა, რადგან გაგიჟებისა ეშინოდა, მაგრამ მოგონებასაც ხომ ვერ ჩაკეტავდა?

ხვარას თვალები ცრემლით აევსო.

გაიარა, შუა ოთახში შედგა, ხელები გაშალა და საცოდავი ადამიანის უმწეო ხმით შეეკითხა ვის? — თვითონაც არ იცოდა:

— რა ვქნა ახლა მე უბედურიშვილმა, რა ვქნა? — თავისმავე ხმამ გამოარკვია და თავისივე თავის თვითონვე შეეშინდა. ისევ ფანჯარას მიუახლოვდა.

მისი ყურადღება ერთმა გამხდარმა, ბურტყლგაძრცვნილმა ნაცარა ბელურამ მიიქცია. ის ტოტიდან ტოტზე მოუსვენრად ხტოდა, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ფუსფუსებდა და თან თავის ჩიტურ ენაზე რაღაცას საქმიანად წრიპინებდა.

ამ გაზაფხულზე აქ, კედლის ღრუში, ბუდე ჩაიდგა, ბარტყები დაჩიკა, ჭია-ღუა ზიდა, შვილები გაჭირვებით, ვაივაგლახით დაზარდა, დააფრინა და ახლა, ქმარშვილმიტოვებული, გაციებულ ბუდეს ირგვლივ ისევ დატრიალებდა, ისევ ფუსფუსებდა.

— მეც ასე ვარ... მეც... — გაიფიქრა და თითქოს იმისი შესამოწმებლად მართლა ასე იყო თუ არა, სარკესთან მივიდა.

მის წინ ძაძით მოსილი, უდროოდ მოტეხილი, მზრუნველობით, ჯაფითა და დარდით წელში ვაწყვეტილი მჭმუნვარე ახალგაზრდა ქალი იდგა. მართალია, ჯერ ისევ თბილოდა, მაგრამ ტანთ მატყლის შავი ჯემპერი და შალის შავივე უბრალო კაბა ემოსა. ფეხთ კოპერატივის უბრალოვე სტანდარტული ტუფლები ეცვა, მაგრამ ის სანდომიანი მიმზიდველობა, რომლითაც ის ასე უხვად იყო დაჯილდოვებული, მაინც შერჩენოდა.

ამ ერთი საათის წინ დარიკომ იმ საზიზღარი პიესის რეპეტიციიდან აქ შემოიარა, სულის მყუდროება დაურღვია, გული აუფორიაქა და ისე დასტოვა.

ის კიდევ უფრო მომხიბლავად გაფურჩქვნილიყო, დედაკაცობაში ფეხშედგმული კიდევ უფრო დამშვენებულიყო და, თავი მის გვერდით რომ წარმოიდგინა, მხრები დაყარა. იმის მშვენიერებასთან, იმის ლაზათთან ის რა მოსატანი იყო? განა შეიძლებოდა, გენახა იგი და არ შეგყვარებოდა? აკი იმიტომაც...

მაშ ასე, — აგრაფინას ჭორი, ჭორი კი არა, მართალი აღმოჩნდა.

დარიკომ მოვალედ ჩასთვალა თავისი თავი, რომ ენახა იგი, ენუგეშებინა.

ლაპარაკში სიტყვამ მოიტანა და ხვარამ, არ სჯეროდა, მაგრამ ის ჭორი მაინც გაუმჟღავნა.

დარიკო შეკრთა და მოულოდნელობისაგან სიტყვები ისე დაებნა, რომ თავი ვერაფრით ვერ მოუყარა. არ უნდოდა, რომ ეს ამბავი ხვარას შეეტყო და მით ისედაც დამწუხრებული მეგობარი კიდევ უფრო შეეწუხებინა, მაგრამ ახლა სხვა გზა არ იყო, — ყველაფერი უნდა ეთქვა. რიდიკული რატომღაც გახსნა, ისევ დაკეტა და ჯერ ქარაგმულად, მერე აშკარად და დაუმალავად ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

ხვარა უძრავად იჯდა და იმედდაკრეფილ ადამიანივით ბედის მორჩილად, ხმის ამოუღებლად მწუხარე ღიმილით ისმენდა მისი ქმრის უმსგავსო საქციელით გამოწვეული მეგობრის აღშფოთებას. ისმენდა მშვიდად, რადგან წუხელ-

ვე, მის ჩამოსვლისთანავე, მიხვდა, რომ ის მას არ ეკუთვნის, არ ეკუთვნის არა მხოლოდ, როგორც ქმარი, არამედ, როგორც ადამიანი.

ხვარას ამ მორჩილებამ დარიკოს გული უფრო აუდუღა.

წუთით გაახსენდა ის სიყვარული, ის სასოწარკვეთილება, რომელიც მან ამ რამდენიმე წლის წინად განიცადა, განიცადა მაშინ, როცა ხვარა ქმარს აბასთუმანში აცილებდა. გაახსენდა, როგორ კვნესოდა, როგორ ტიროდა და არ უნდოდა მისი თუნდაც ერთი წუთით დატოვება. როგორ ემუდარებოდა მას, მამას, ექიმს და ყველას, რომ მიეცათ ნება თან გაყოლისა და ახლა? თვალი ცრემლით აევსო.

ხვარამ დარდი გულში ჩაიკლა და სიტყვა სხვა საგანზე შეუმჩნეველად გადაიტანა.

ის კი, ისევ ისე მოხდენილი და ბედნიერი თავისი ქალოვნებითა და ბედნიერებით ისე გაერთო, ისეთი გატაცებით უამბობდა თეატრში თავისი მუშაობის დაწყების ამბავს, რომ არც შეუმჩნევია, როგორ კუშტად შეიკრა კოხები ხვარამ, როგორი მოუთმენლობით დააჭირა კბილი ქვედა ტუჩს და თავი ტირილისაგან შეიკავა.

დარიკო ისე იყო შეპყრობილი თავისი გატაცებით, რომ სულ გადაავიწყდა ხვარას აღშფოთება იმ როლით, რომელშიც ის სცენაზე პირველად უნდა გამოსულიყო. სჩიოდა თუ როგორ უჭირს ამ როლის განსახიერება, რადგან საბჭოთა სინამდვილეში მის თანაფარდ სახეს ვერა ხედავდა, სახეს რომელსაც ის თავისი შემოქმედებით დაეყრდნობოდა, მით სინამდვილეს ჩაეჭიდებოდა და სახე გაავებული დედინაცვლისა ხორცს შეისხამდა. სჩიოდა, რომ ის თავისი არტისტული განაზრახით ამის გამო ჰაერში ეკიდა და ფეხქვეშ ნიადაგს არა გრძნობდა. სჩიოდა, რომ მის განსახიერებას დამაჯერებლობა აკლდა, რის გამო ის, რასაც ამბობდა, არა სჯეროდა და უცებ საკითხი სულ სხვაგვარად დააყენა: იქნებ უნიჭოა, იქნებ მოტყუვდა და ქარხანა ტყუილუბრალოდ მიატოვა?

ხვარა ისევ ისე მდუმარედ იჯდა, ტკბებოდა მისი ეშხით და მართალი ბუნებით. ტკბებოდა მისით, რადგან მუდამ პირდაპირსა და ალალს არ შეეძლო სიცრუე, სიცრუე, როცა ის თავისი სინდისის წინაშე იდგა. განა შემოქმედება სინდისის წინაშე დგომა არ არის? მას არ შეეძლო ტყუილის თქმა და იმათ, — ავტორს, რეჟისორს, — უნდოდათ, რომ ეს ტყუილი საქვეყნოდ, სახალხოდ ეთქმევინებინათ. ეთქმევინებინათ ის ტყუილი, რომელიც მათ საიდანღაც მოჭორეს და მართალი ეგონათ. დარიკოს როლი გამოგონილი იყო, ფუჭი ოცნების ნაყოფი, სიცრუე და ისეთივე უსინდისობა, როგორც იმისი ქმრის საქციელი. მისი როლი არადამახასიათებელი იყო საბჭოთა სინამდვილისათვის და მისგან, დარიკოსაგან, მოითხოვდნენ, რომ ეს სიყალბე გაენამდვილებინა. ხვარას უნდოდა ენუგეშებინა თავისი გასაჭირში ჩავარდნილი მეგობარი, გაეხსნა მისი სიძნელის მიზეზები, მაგრამ ასეთ რამეს მუდამ თავისით, შემოქმედებითი მუშაობით აღწევენ და ამიტომ არა უთხრა რა. ისევ სიჩუმე ამჯობინა, რადგან სჯეროდა, რომ მისი ბუნებრივი სიმართლე თავისთავად მიიყვანდა ჭეშმარიტებასთან.

მუდამ ასეთი იყო დარიკო და ხვარასაც ასეთი უყვარდა იგი. საკმაო იყო ოდნავ გაჭირვებოდა, ოდნავი სიძნელე შეჰქმნოდა, — ისე იბნეოდა, რომ არ იცოდა რასა სწეოდა. ასეთ დროს ის ისე სათუთი იყო, ისე უმწეო, რომ არ შეიძლებოდა მისთვის თანაგრძნობა არ გაგეწია და გვერდში იმედად არ ამოსდგომოდი. უჭირდა, — არაფერი გარდა თავისი გაზვიადებული მწუხარებისა არ ახსოვდა, ულხინდა — არაფერი გარდა თავისი ბედნიერებისა არ აგონ-

დებოდა. მუდამ დიდი ბავშვივით იყო, პატარა გაახარებდა და პატარა ეწყინებოდა.

ყველას გულის მესაიდუმლე, ყველა გაჭირვებულის მანუგეშებელი და იმედის მიმცემი ხვარა იყო და, თუ თვითონ მას რამე აწუხებდა, ეზრახა ადამიანს არ მოსდიოდა. ახლა დარიკომ თვალები აუხილა და ბევრი ისეთი რამ, რაც ადამდე მას ასე აკვირვებდა, ერთბაშად გაირკვა.

ახლა მისი ჭირი ისე დიდი იყო, ესდენ განუზომელი, რომ თითქოს ისეთსავე სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, როგორც მაშინ, როცა დათა ავად გახდა და, როგორც მაშინ, როცა ნანული დაეღუპა.

როგორ უხაროდა, როგორ ენატრებოდა ქმრის კვლავ ცხოვრებაში დაბრუნება. ოცნებობდა, რომ ცხოვრებას ხელახლა დაიწყებდა და, აი, სიცოცხლემ კვლავ რომ გაულიმა, იმედის ფრთები კვლავ რომ შეესხა, ყველაფერი ერთბაშად ჩაეფუშა.

მაშინ ქმრის დაკარგვის შიში ნანულიმ გადაატანინა, ნანულის დაკარგვა გამომრთელებული ქმრის ჩამოსვლის მოლოდინმა და ახლა? აღარც ქმარი, აღარც შვილი, აღარც ის წყურვილი სიცოცხლისა. ეს ხალისი იმათ წაიღეს, ეს წყურვილი სიცოცხლისა იმათ მოუკლეს. ახალგაზრდა ლაღი დღეები იმათ შეალია და დარჩა ცარიელზე, დარჩა იმ ბელურასავით მარტოდმარტო.

თავი მერვე

1.

დროს ყველაფერი მიაქვს.

ასლან დემურიას გულისწყრომაც თავისი ერთად-ერთი შვილისადმი დრომ წაიღო, ბრაზი თანდათან გაუნელდა და ის დიდი დარდი, რომელსაც პირველ დღეებში ისე მწველად განიცდიდა, გულს ნელნელა გადაეყარა. ახლა მისი ფეხმძიმობის ამბავიც მოუვიდა და ცოლის უბედურება გადანაცადი, შიშის ზარმა აიტანა.

სულ იმისი ფიქრში იყო და ფიქრის ეშინოდა.

არ უნდოდა ცუდი ეფიქრა და მაინც ასე ფიქრობდა.

ამ შიშმა, საფრთხის სიახლოვემ მთლად შეარიგა მასთან. ყველა საწყენი ერთად დაატოვებინა, მაგრამ დემურია რის დემურია იქნებოდა, რომ ეგრე იოლად მოტეხილიყო. იცოდა, სისულელე იყო და თავმოყვარეობა ნებას მაინც არ აძლევდა, რომ ქედი შვილის წინაშე უწინ მას მოეხარა. როგორ ელოდა, როგორ უნდოდა, რომ მას ერთხელ კიდევ მოეწერა წერილი. კრინტის სულ უბრალო დაძვრაც კმაროდა, რომ ყველა საყვედურები ერთად დავიწყებოდა, მაგრამ დარიკოს პატიების იმედი დაკარგული ქონდა და ხმას არ იღებდა, არას იწერებოდა.

რამდენი მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მწველად ენატრებოდა დედობისათვის განმზადებული შვილის ნახვა, ებრალებოდა და ხანდახან ისე მოწყურდებოდა მისი ალერსი, რომ სასოწარკვეთილებისაგან არ იცოდა რა ექნა. იმ მედიდური, დამტუქსავი წერილის შემდეგ, მაშინ განრისხებულ გუნებაზე რომ მისწერა და მამობაზედაც უარი შეუთვალა, ახლა შერიგების პირველი სიტყვის თქმა ეძნელებოდა, პირველი ნაბიჯის გადადგმა ეთაკილებოდა.

თავს მარტოდმარტო დაიხელებდა თუ არა, ჯავრით ოხრავდა. სულ იმის გამო ოცნებობდა, ის აგონდებოდა, მისი ბავშობის სანატრელ წუთებს განზრახ იხსენებდა და თავისთვის სულელივით იცინოდა, გულის ტკივილით მარტო კვნესოდა. იგონებდა, თუ როგორ ბანდა დაბადების დღიდანვე დაობლებულ

პატარას. ვარდისფერ ჩვილ ტანზე დაკორძებულ გასაპრულ ხელს ტუსამდა და თან „სუქი-სუქიო“ რომ ეძახდა, დარუხანა ტიროდა, კივილით ქვეყანას აქცევდა. იხსენებდა, თუ როგორ ვარცხნიდა თავისი ტლუ ხელებით ოქროს კულულებს და, გადიობასა და ბავშვის მოვლა-პატრონობაში გამოცდილს, როგორ ჩამოჰქონდა ბლუჯა-ბლუჯად მისი ლამაზი ბუწუწები.

ის სიმწარე მას დიდობაშიც არ დავიწყნოდა და ხანდახან მშობელს სიცილით უსაყვედურებდა ხოლმე:

— შენ რომ კაი მამა ყოფილიყავ, ბავშვობის ტკბილ დღეებს არ ჩამაშხამებდიო.

ახლა სიძისაგან წერილი მიიღო, წერილი სამწუხარო, რომ მის დარუხუნას ხასიათი სულმთლად წაუხდა, ძარღვები აეშალა და მეტის ატანა ალარ შეუძლია. სთხოვდა, რაც შეიძლება, მალე ჩასულიყო, იქნებ, იმას ემოქმედა, იმას მაინც დაეშოშმინებინა იგი.

ასლანს ამ ამბავზე ჯავრით გულს სისხლი გადაევლო, მაგრამ მწუხარებასთან ერთად, უხაროდა კიდევაც, უხაროდა, რომ მისი ნახვის საბაბი მიეცა. მაშინვე მიხვდა, რომ მისი უხასიათობის ერთი მიზეზთაგანი ის იყო და ესეც, მწუხარებასთან, სინანულთან ერთად, მის მოსიყვარულე მშობლიურ ეჭვიან გულს სიხარულით, სიამაყის გრძნობით ავსებდა.

იმ დღესვე, მაღაროების სამმართველოში აირბინა და თავის სიცოცხლეში პირველად შვებულება ითხოვა. მატარებლის ბილეთიც იმ დღესვე აიღო და, შვილისთვის არც შეუტყობინებია,—ექვს ნოემბრის დილით თბილისში გაჩნდა.

ვაგზალზე გამოვიდა თუ არა, თავი სხვაგან ეგონა. მიხვდა, — იმ თბილისს, სადაც ის თითქმის ოცი წელიწადია არა ყოფილა, სახე ისე უცვლია, რომ ვერასოდეს ველარ ნახავდა, რომ ის ნახევრად აზიური ქალაქი მომკვდარა და არასოდეს არ აღდგებოდა.

ვრცელი მოედანი, ფართო ქუჩები, ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. განიერლიანდაგიან ტრამვაის ვრცელი ვაგონები, ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტაქსი და ხალხიც სხვაგვარი, საქმიანი, მხიარული და ხალისიანი.

— ეს სადაური თბილისია, ერთი კინტოც არა სჩანს! — და თავის გაკვირვებაზე თვითონვე გაეღიმა.

სადღა იყო თითქმის ზედ სადგურზე მობჯენილი რიგი სამიკიტნოებისა? სად იყო სამხედრო უფროსის განმანაწილებელი სამმართველო, სადაც მეფის რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ჩამოყვანილი ახალწვეულები ყაზარმებში დაგზავნის მოლოდინში იქ ტუსაღებივით ყავდათ გამომწყვდეულ? სად იყო ავჭალის ქუჩაზე, ჯერ კიდევ მის დროს შერჩენილი უბადრუკი მწვანე კონკა, ან საზურგე გადასაბრუნებელ სკამებიანი ტრამვაის ვიწრო ვაგონები ბელგიელ აქციონერთა ანონიმურის საზოგადოებისა. როცა ის ტაქსიმ „კოშკის“ გაგანიერებული პასაჟში შეაქროლა და იქიდან ახლად გაჭრილი ქუჩით პირდაპირ ჩელიუსკინელთა ხიდისაკენ გააქანა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ცვლილებებზე მნახველთაგან ბევრი რამ ქონდა გაგონილი და გაზეთშიც წაკითხული, თვალით ნახული მაინც სხვა იყო და ხელები გაოცებით გაშალა, — ერთხანს ვერ გაისაზრა სად იმყოფებოდა. ნუ თუ ეს ადგილი, სადაც ახლა ზოოპარკი გაშლილა, თვალშეუწვდენელი თერთმეტსართულიანი სახლი ცად აზიდულა, სანაპირო პროსპექტი მტკვრის გასწვრივ ისარივით გატყორცხილა, ვერის წყლის ხეობაში უზარმაზარი აბრეშუმის საქსოვი ქარხანა ჩაფენილა, ის თბილისია? ნუ თუ ეს ადგილი საბურთალო-ვერის ყელია? ნუ თუ ეს ფიქრის გორაა? ნუ თუ ეს ახლად დასახლებული უბანი რომელიც ყოფილ გადმოსახლებულთა

პუნქტის წინ მდებარეობდა, ის სოფელია, სოფელი სადაც ვერელი მაზარიან-ქალამნიანი გლეხობა მიწურებსა და გომურებში ცხოვრობდა? ნუ, ეუ ეს გარემო ის ვერაა, სადაც „ედემისა“ და „ნე უეჟაი გალუბჩიკ მოის“ საქეიფო ბაღები იყო გამართული სადაც გათენებამდე არღნის სულიჩავთქმელი ჭიჭყინი გადამთვრალი უსაქციელო ქალების კივილი და ლოთების ლოთმცელი გაისმოდა ხოლო დღისით მთელი ღამის „მუშაობით“ დაღლილი მიკიტნები, მეზურნეები და ინით შუბლშეღებილი რქაწახერხილი ყოჩები დუქნების წინ ზარმაცად თვლემდნენ. აქვე ოდესღაც დიდმელ, ლისელ და თხინვალ-ბევრეთელ მეურმეთა ბაკები და გომურები იყო გამართული ნალბანდ-ხუროებისა. ურემში გამოხსნილი კამეჩები ვერის წყალში ნაბდებივით ეყარნენ და თვალთა ლულვით ზანტად იცოხნებოდნენ.

ამ ხალისს რომელიც ასლანს ახალმა ქალაქმა მოჰგვარა, ის კიდევ უფრო აძლიერებდა, რომ ყველგან დიდი სამზადისი იყო, სამზადისი საოქტომბრო დღესასწაულებისათვის.

სახურავებზე, აივნებზე, დაუმთავრებელ შენებლობათა ხარაჩოებზე დეკორატები, არქიტექტორები, მხატვრები და დურგლები ფაციფუცში იყვნენ, — სახლებს ცოცხალი ყვავილებით, წიწოვანი გირლანდიებითა და ნოხებით რთავდნენ. ყველგან, — ქუჩებში, მოედნებზე, შენობიდან შენობაზე გადაზიდული ალისფერი ლოზუნგები, პლაკატები, ტრანსპარანტები, დროშები, ბავრაყები, ბელადთა უზარმაზარი სურათები და ელნათურათა ჭრელა-ჭრელა მძივები ეკიდა, ყველგან ხალისიანი სიცილ-ჟრიამული გაისმოდა.

2.

ასლანმა შვილის სახლს მისამართით მიაგნო.

დარიკოს ჯერ ისევ ეძინა, ხოლო უკვე ამდგარი მირიანი თავის სამუშაოთახში იჯდა და საქმით ისე გართულიყო, რომ ზარის ხმა არც გაუგონია.

ასლანმა მაშინვე შვილი მოიკითხა და, სანამ გააღვიძებდნენ მდიდრულად მორთულ მისაღებ ოთახს მუშტრის თვალი მოავლო. ამდენმა ერთიმეორეზე უცნაურმა ფუფუნების საგნებმა, ნაირნაირმა დგამმა, სურათებმა, თეატრალურ დადგმათა მაკეტებმა, ფაიფურმა, ქსოვილებმა და ათასგვარად ზედმეტმა და გამოუყენებელმა ნივთებმა თავბრუ ისე დაასხა, რომ აქ მოსვლით აღრძული უშუალო სიხარული ერთბაშად გაუნელდა. ასეთი ბრწყინვალე და უთავბოლო მორთულობა მას ექიმთა მოსაცდელ ოთახებშიც არ უნახავს, მაგრამ ყველაზე მეტად მას ერთი ძველისძველი უზარმაზარი ხახვისფერი ხატი აოცებდა, რომელზედაც, მგონი, „ყრმათა მუსრვა“ იყო გამოხატული.

ასლანი ისეთმა მორიდებისა და უკარებლობის გრძნობამ შეიპყრო, როგორიც ხამ ავადმყოფს აიტანს ხოლმე, სანამ მას გასასინჯად მიიღებდნენ.

მაგიდაზე ჯერ გაუხსნელი ახალთახალი ჟურნალ-გაზეთები ეყარა და ისე, როგორც ექიმთან, ერთ მათგანს დაწვდა. კითხვა დაწყებულიც არ ქონდა, რომ ამ დროს გახარებული ძახილი შორეულად, თითქოს წარსულიდან, მოესმა:

— მოტინტილდი ჩემო დარუხან, მოტინტილდი!

გაზეთი ხელიდან გაუვარდა.

კვლავ თავის შვილთან, თავის დარუხანასთან იგრძნო თავი და ისე, როგორც მის პატარაობისას ემართებოდა ხოლმე, ბედნიერი ხმით გასძახა:

— მოტინტილდი, ჩემო დარუხან, მოტინტილდი.

წამოდგომაც ვერ მოასწრო, რომ სახელდახელოდ ხალათწამოსხმული, რბილ ფოსტლებში ფეხგაყრილი შვილი საწოლ ოთახიდან მართლაც ტინტილით, მოულოდნელი სიხარულით აკივლებული გამოვარდა,

— მამა! ჩემი მამა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასლანს არც ახსოვდა როდის ან როგორ გაჩნდა მის მკლავებში.

კოცნიდა, ელოლიავებოდა თავისი სისხლითა და ხორცით სავსე შვილის თბილსა და სურნელ სახეს, თმებსა და თვალებს.

— ჩემი მამა. ჩემი ბებერი მამა. — ვერ ძღებოდა დარიკო მისი ალერსით.

— შემირიგდი მამა? შემირიგდი! ხომ? ჰაიტ, შე ავო, შე ბოროტო ბებრუ-ხუნავ, შენა! — ტიტინებდა ბავშვად ქცეული დარიკო და ისევ კოცნიდა, ისევ ელამუნებოდა, ეფერებოდა ისე სათუთად, რომ მის ალერსში შვილისა და დედის სინაზე ერთად გამოკრთოდა. მოხუცი ამის გრძნობამ კიდევ უფრო აამღელვარა და ბედნიერების ისეთ ტკბილ წუთებს განიცდიდა, რომ ერთბაშად მთელი სისრულით იგრძნო თავისი დანაშაული, იგრძნო, რომ შვილს თავისი კიცხვა-სამდურავით ამდენი ტკივილი, ამდენი ტანჯვა მიაყენა.

— შვილო, შვილო... — ჩურჩულებდა მოხუცი და გულაჩუყებული რაღაცას შესჩიოდა, რას თვითონაც არ იცოდა.

— მაპატიე, შვილო, მაპატიე... — უნდოდა ეთქვა „რომ გაგიჯავრდიო", მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა და ეს ღა ამოხდა: — რომ ამდენ ხანს ვერ გნახე. რომ... — მაგრამ სიტყვა დარიკომ გააწყვეტინა.

— ეგ არა, მამა. ეგ არ მომაგონო, ჩემო მამიკო. — ისეთი ტკივილით, ისე გაწამებულად დაიძახა, რომ ასლანს გული სიბრალულით დაეთუთქა. მერე მშობელი ნელა მოიშორა, რატომღაც უცებ მოიწყინა, თავი დარდიანად ჩაჰკიდა და თავისივე კალთაში საოცარი უმწეობით ჩაყრილ ხელებს მწუხარედ დააცქერდა.

ასე უნდოდა, ამგვარ მდგომარეობაში სურდა რომ ენახა იგი და კმაყოფილი იყო, რომ ეს ნატვრაც აუსრულდა. ხომ არის ხოლმე ისე, აი ნახავ დიდიხნის უნახავ საყვარელ ადამიანს. გგონია გადაეხვევი, მთელი შენ სიხარულს სრულად გამოხატავ, მაგრამ ნამდვილად კი სხვაგვარად ხდება. ხელს განზრახ თავდაჭერილად ჩამოართმევ, სიტყვასაც თავდაჭერილს ეტყვი. ახლა ეს ასე არ მოხდა, მაგრამ... ის კვლავ თავის წიაღში წასულიყო, ყურს უგდებდა, გულს უცემდა თავის ქალურ არსებას და საოცარია, არაფერს, გარდა უნიათო გაბოროტებისა მისდამი, თავის შიგნით დარწეულ ჩვილისადმი, არ განიცდიდა.

მოხუცი ისევ ისე იჯდა და დაღონებულს, დაფიქრებულ შვილს სიყვარულით, სინანულით შესცქეროდა. ამ რამდენიმე თვეში ის ისე დაქალებულიყო, რომ ვეღარა სცნობდა. ქუთუთოებიც ისე შესიებოდა, როგორც დედამისს, როცა ის მისით იყო მძიმედ და მოსალოდნელი უბედურების შიშმა კვლავ აიტანა.

მღელვარების დასაფარავად დაიხარა, იატაკზე დავარდნილი გაზეთი აიღო და, მისი ფურცლები ხელში რომ აუკანკალდა, მაგიდაზე საჩქაროდ დააგდო.

ის კი თავის საგონებელს ისე წაეღო, რომ არას ამჩნევდა, ხელები კალთაში ისევ ისე უმწეოდ ეწყო. მერე ერთი ღრმად ამოისუნთქა, თავი ნელა აიღო და მორჩილი თვალებით ისე მინდობილად შეაცქერდა, რომ ასლანს გული აუდუღდა. თავისი ნაშიერი ისე შეებრალა, რომ უნდოდა კვლავ მიალერსებოდა, ენუგეშებინა, მაგრამ ის პირველი მღელვარე წუთები განვლილი იყო და არ იცოდა როგორ გამოეხატა ეს გრძნობა.

— იცი მამა... — სიტყვა პირშივე შეაწყდა, თვალები ცრემლით აევსო.

ასლანი მაშინვე მიხვდა თუ რისი თქმაც უნდოდა და, რომ ვერ სთქვა, ისევ თვითონ შეეშველა:

— ვიცი, ჩემო დარუხან, ვიცი...

დარუხანმა თავისი ცისფერი, სევდით დაბინდული თვალები ასლანისა. თვის მადლიერებით შეანათა. უცქირა, უცქირა და ერთბაშად მთელი სიმყვავით გაახსენდა ის გამაწამებელი დღეები, შავი დღეები, მან რომ გაათენა.

— მერე? — შეეკითხა კუშტად და შუბლი რისხვით შეიკრა.

— მერე? — გაიმეორა ისევ ისეთივე გაგულისებით, მაგრამ, მშობელი ასე მორჩილი, თვინიერი რომ დაინახა, უცებ მოლბა, კუშტად დაწყებული სიტყვა თამაშობად აქცია.

— მე შენ გემდური, მამიკო. — და ტუჩები მიამიტ ბავშვივით განაწყენებულად დაებურცა.

— რატომ, შვილო, რატომ? — შეეკითხა ის ისეთივე განზრახ გაზვიადებული შიშით, როგორც ოდესღაც.

— იმიტომ რომ... იმიტომ რომ... შენ რომ იქ საყვირს აგუგუნებ, მე გეძახი: მამიკო! მამიკოო! გეძახი, გეძახი და შენ ხმას არ მცემ. იმიტომ რომ... შენ არ იცი, როგორ მტკიოდა გული, როგორ ვიტანჯებოდი, როგორ გეძახდი და შენ ხმას მაინც არ მცემდი...

იმ მარტოხელობის დღეთა გახსენებამ სულის მყუდროება კვლავ აუფორიაქა და თავი ხელებში ჩარგო.

ასლანი მიხვდა, რომ ის მართლაც ისე გაწამებულა, ისე გატანჯულა, რომ ასეთ მძიმე მდგომარეობამდე მისულა. მისივე თავსა და მზეს ეფიცებოდა, პირდებოდა რომ მეტი არასოდეს, არასოდეს არ აწყენინებდა. ისევ ეფერებოდა, ისევ ელოლიავებოდა და ისედაც აწეწილ ჯერ დაუვარცხნელ თმებს მოუხერხებელი ალერსით კიდევ უფრო უწეწავდა. მის ალერსში, დაყვავებაში, გული თვითონვე ამოუჯდა, მაგრამ დარიკომ ფოსტლები იატაკზე უცებ წაყარა და ისე, როგორც პატარაობისას, ფეხები წინ სიცილით გაიშვირა.

— თაგვები, მამა, თაგვები გიკინამენ. — ვითომ გიკბენენო, გაცელქებული ბავშვივით კვიმატიანად დაიძახა.

ასლანს უნებურად გაეცინა. მისი ბავშვობა, მისი პატარაობა გაახსენდა, როცა ის, მართლაც თაგვებივით ბუნჩულა ფეხებს საბნის ქვემოდან გამოყოფდა ხოლმე და მიამიტსა და უმანკოს ეგონა, რომ მამას მართლა აშინებდა.

სიცილისაგან თავი ვერც მირიანმა შეიკავა.

ის თავისი სამუშაო ოთახიდან ეს-ეს არის გამოსულიყო და მოსიყვარულე მამა-შვილს თავს შეუმჩნევლად წამოსდგომოდა.

— ხო ხედავთ?—შეეკითხა სიმამრს ღიმილით და ღიმილითვე დაასკვნა:— ჰოდა ასეთია.

— ვიცი, შვილო, ვიცი. — დაუდასტურა სიძეს მოხუცმა და სალამისათვის გამოწვდილი ხელი მხურვალედ ჩამოართვა.

— ჩემი გაჭედილი ხატის ამბავს შენ რას მასწავლი.

საოქტომბრო სამზადისების გამო მუშაობა ყველგან შეწყვეტილი იყო.

პეტა ლარაძეს თავისი წარმოდგენის გენერალური რეპეტიცია დღეისთვის ქონდა დანიშნული და დარიკო მის მოლოდინში დილიდანვე ღელავდა, მოუთმენლობისაგან ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. ახლა მამის ჩამოსვლით გახარებულმა თავისი ყურადღება და სიყვარული რით გამოეხატა არ იცოდა. უხაროდა, რომ ამდენი ხნის უნახავ მშობლის ალერსში საღამოს მოლოდინით აღელვებულ გულს ოდნავ მაინც დაიოკებდა. უხაროდა და თან სწყინდა კიდეც, რადგან მისი ბედი ამაღამ სწყდებოდა, მისი მომავალი დღეს საბოლოოდ

გამოირკვეოდა და არ უნდოდა, რომ მისი ამ დიდი განსაცდელის მოწამე ის ყოფილიყო, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, დღეს ჩამოსულს დღესვე შინ მარტო ხომ არ დააგდებდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამომდე დარიკოც თავისუფალი იყო და ისე, როგორც ტუდენტობის ჟამს გამოცდის წინ იცოდა ხოლმე, უნდოდა ეს დრო როგორმე უზრუნველად გაეტარებინა და დღევანდელ რეპეტიციაზე სულ არ ეფიქრა. ამიტომ თხოვდა ის ისეთი დაჟინებით მამას, რომ მთელი დღე მასთან ყოფილიყო. ყველაზე მეტად დღეს ეშინოდა სიმარტოვისა, ეშინოდა რადგან როლში თავს ისე გრძნობდა, როგორც სხვის ტანისამოსში. სიტყვები, რომლებიც მისი უნდა ყოფილიყვნენ, მისი გულიდან ამოხეთქილი, სიტყვები, რომლებიც იქ უნდა ეთქვა, სხვისი იყო, მის გრძნობებს არ გამოხატავდნენ და სწორედ დღეს, როცა ის განსაცდელის წინაშე იდგა, დღეს შეეშინდა. უცებ მიხვდა, რომ პიესის არც სიტყვები და არც მოქმედებანი, არც აზრი და არც მდგომარეობანი, არამც თუ მის სულისკვეთებას, მის სინამდვილესაც არ გამოხატავდნენ. უცებ მიხვდა, რომ ეს პიესა გამოგონილი იყო და არა ნამდვილი. მიხვდა, რომ ისიც გამოგონილი ადამიანის განსახიერებას ლამობდა. მიხვდა, რომ მირიანი, ხვარა მართალნი იყვნენ, ცამდე მართალნი და მათ აზრს ანგარიში დროზე არ გაუწია. ამ აზრის ახლა, სწორედ წარმოდგენის წინ, ისე შეეშინდა, ეს შიში ახლა ისე უადგილო იყო და არადროული, რომ ცდილობდა მოეშორებინა და ვერ იშორებდა. გულში ერთხელ შხამად ჩაწვეთებული ეჭვი მის გონებას თანდათან მძლავრად ეუფლებოდა და ფიქრთ გასართველად, გულის ჯავრის გადასაყრელად მამას ისე ჩაეტანა, თითქოს ხსნას მისგან ელოდა. იმიტომ ეხვეწებოდა, იმიტომ უნდოდა, რომ მანქანით გაესეირნათ ერთად. ეჩვენებინა მისთვის ის თბილისი, რომელიც მას ოცი წელიწადია არ უნახავს, ეჩვენებინა თუ როგორ აშენდა, დამშვენდა იგი ამხანაგ ბერიას მუდმივი, დაუძინებელი მზრუნველობით. ემუდარებოდა, ეხვეწებოდა და ამ მუდარის დროს იგრძნო, რომ იმაზე ნაკლებ არც მას უნდოდა ენახა იგი, ენახა ათასჯერ ნახული, ენახა ის სინამდვილე, რომელიც ოქტომბრის დიადმა რევოლუციამ შექმნა და ერთხელ კიდევ შეემოწმებინა ის აზრები და განცდანი. ერთხელ კიდევ მიეღო ის შთაბეჭდილებანი, კიდევ დასწაფებოდა იმ სიცოცხლის წყაროს, რომელსაც საბჭოთა დღევანდელობა ეწოდებოდა. თავისი სიტყვები, ამალამ რომ უნდა ეთქვა, თავისი განცდანი, იქ რომ უნდა გამოეხატა, ამ სიმართლესთან, ამ ჭეშმარიტებასთან ერთხელ კიდევ შეეჯერებინა. უნდოდა ერთხელ კიდევ ენახა თავის ქმრის ნამუშევრები, რომლებშიც ასეთი დიდი თანაბრობა იყო დამყარებული სინამდვილესა და ხელოვნებას შორის, რის გამო ისინი ესდენ ჰარმონიულნი იყვნენ და ისეთი სილამაზისა,—რომლის დასახელებაც ასე ძნელია, რადგან ის თვით მათ აზრში იმალებოდა. უნდა ეს ნამუშევრები მამისთვის ეჩვენებინა, მამისთვის, რომელიც მუდამ ნამდვილი იყო, მუდამ პატიოსანი და პირდაპირი. ეჩვენებინა ის ახალი თეატრი, რომელსაც მირიანმა ამდენი შრომა დაახარჯა და სადაც მისი მამამთილი სეზონის გახსნას ზოგიერთ ნაკლთა გამო ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა.

ასლანს, როგორც გავდა, გუნებაში იმთავითვე სხვა განზრახვა ჰქონდა ჩადებული და შვილის სათხოვარს დაყვავებული, მაგრამ მტკიცე კილოთი ირიდებდა.

— მოვესწრებით, შვილო, ყველაფრის ნახვას მოვესწრებით. — და მერე, თითქოს კიდევ საყვედურობდა: — გამქცევი კი არა ვარ, შეჭალო!

— რა საქმე გაქვს ისეთი, რომ იმის გამო ერთ დღეს ვერ მითმობ? — სთქვა დარიკომ ტკივილით და, რამდენი არ ეხვეწა, რამდენი არ ჩასდია ღდინში, მაინც ვერ მოტეხა, მაინც ვერ დაითათბირა.

ასლანი ქუჩაში რომ გადიოდა, შვილმა შეაჩერა. რიდიკული ხელდახელ გახსნა და, თეატრში შესასვლელ კონტრამარკას ხელში რომ აჩეჩებდა, თან თითის ქნევით დაამუნათა:

— დროზე მოდი, მამა, არ დაგვიანდე.

ასლანმა ბილეთი სათუთად დაკეცა და პიჯაკის ჯიბეში — ბილეთ-ბილეთ ჩაიდო.

— კი, შვილო, კი, დროზე მოვალ. — სთქვა მან ისეთი კილოთი, ხელებიც იმნაირად შეიშმუშნა, რომ დარიკო მაშინვე მიხვდა, მიხვდა, რომ ატყუებდა, ატყუებდა, რადგან მისი სცენაზე დანახვა არაფრად არ ეპრიანებოდა.

მირიანმა კონტრამარკას თვალი შეასწრო.

— ეგ რა ბილეთია? — იკითხა განზრახ აგდებულად და თავისი უკმაყოფილება იმითი გამოხატა. მას ეს პიესა აბრაზებდა და გადაწყვეტილი ქონდა, რომ თეატრში მხოლოდ რეპეტიციის დასასრულს მისულიყო.

ის, რომელიც საცხოვრებელ ბინათა პროექტებში ისეთი სიყვარულით ზრუნავდა, იმდენს ფიქრობდა, რომ ბავშვთა ოთახები, რაც შეიძლება, მზიანი, ლაზათიანი და ხალისიანი ყოფილიყო, ასეთ წარმოდგენას ვერ დაესწრებოდა.

დარიკოს ის ეჭვები ისევ აღეძრნენ და ქმარს სიყვარულით გაუღიმა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ასლანმა კარი გაიხურა. მარტო რომ დარჩა, დარიკო ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. მოთმინება აღარ ეყო, ქუდი ხელდახელ დაიხურა, საზაფხულო პალტოც ხელდახელ წამოისხა და მამას ფეხდაფეხ მალულად მიჰყვა.

ასლანმა პროსპექტი ავტოების შიშით მფრთხალად, სასაცილოდ გადასერა. კეთხეს მოფარებული დარიკო გაოცებით გასცქეროდა, როგორ გაემართა იგი პირდაპირ ყვავილების მაღაზიისაკენ და ცოტა ხანს შემდეგ ხრიზანტემების უზარმაზარი თაიგული ყვავილის ტარებას შეუჩვეველმა ისე გამოიტანა, როგორც ანთებული სანთელი.

დარიკოს გაეღიმა.

— ამ ბებერ მელას უყურეთ რა ამბავშია! — ჩაილაპარაკა თავისთვის და მხოლოდ ახლა იგრძნო თავისი საქციელის უმსგავსობა. თავისი თავის თვითონვე შერცხვა და თვალთვალს თავი გაანება, პროსპექტს ნელი ნაბიჯით გაჰყვა.

შესანიშნავი მზიანი ამინდი იდგა.

მშობლის ჩამოსვლით გახარებული ქუჩაში ნელი ტაატით მიდიოდა და თან მზის მცხუნვარებით შეწუხებული მხრებში უხერხულად იშმუშნებოდა.

ხან აფიშებთან შედგებოდა, ანონსებს ყურადღებით კითხულობდა, ხან დროშებითა და ზიზილ-პიპილებით მორთულ სახლის წინამოებს, აივნებსა და მაღაზიათა ვიტრინებს ათვალიერებდა და ნელნელა კვლავ ისე მიყუჩებული მშფოთვარება იტანდა. ეს მისი სინამდვილე იყო, მისი სიმართლე იყო და იქ, სცენაზე, ამ სიმართლეს ადგილი არა ქონდა.

4.

ტრამვაიმ მოედანს აუარა. იმ მოედანს, სადაც ერთ დროს ავჭალის აუდიტორია გახიდულიყო და ახლა აუღიათ.

ამ აუდიტორიაში, სანამ პეტა ლარაძე თავისი მუშა-სცენისმოყვარეთა დასით ზუბალაანთ სახალხო სახლში გადავიდოდა, მუდამ მღელვარე, მუდამ მგზნებარე წარმოდგენებსა დგამდა.

ტრამვაი ლიანდაგის დაბალ ხიდ ქვეშ გაძვრა და რკინისგზის გასწვრივ ნაძალადევისაკენ გაემართა.

იქ, სადაც ერთ დროს ბოტეს უზარმაზარი სახლი იდგა და, სადაც დვალის სამიკიტნო სარდაფი ჩაკუნქულიყო, ასლანი საჩქაროდ ჩამოხტა და ოსთაველის ქუჩის ალმართს ნელი ნაბიჯით შეჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგისტრალის ქუჩის კუთხეში შედგა.

ოდესლაც აქ მწვანედ შეღებილ ხის ბოძზე წამოკოსებული ერთად ერთი ლამპის ფანარი საცოდავად იბჟუტებოდა. აქ, აბანოს უკან, ერთ კერძო სახლში ეკლესია იყო გამართული, ხოლო მის ნახევარსარდაფში ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა მოეთავსებინათ, სადაც მან მთელი თავისი განათლება მიიღო.

აქ ერთი პატარა მოედანი იყო.

ამ მოედანზე მუშათა მიტინგები იმართებოდა.

ერთ წუთში მთელი თავისი წარსული თვალწინ დაუდგა.

ბალღობაში მოთარეშებული ქუჩები და ეზოები. რკინიგზელთა დაბალი ქოხმახები. ვაგონის გამონაცვალი ძველის ძველი ნაირფერი ფიცრებით ამესრილი ეზოები. ალაყაფებთან ნაგვერდული ფიცრის გრძელი სანახშო სკამები, სადაც საღამოობით მთელი დღის შრომით ილაჯგაწყვეტილი მუშები ცოლშვილით, მეზობლებით სავალალოდ, საყაყანოდ გამოეფინებოდნენ ხოლმე.

ერთბაშად თვალწინ დაეხატა მტვერიანი ბალბით, ჯიჯლაყით, კიტრანით, გლერტითა და მატიტელა ბალახბულახით ამწვანებული ცარიელა, ჯერ დაუსახლებელი ადგილები. მაზუთიანი წუმპით, ნახმარი ძენძით, რკინეულის ხვეული ნათალით, ტელეგრაფის ქაღალდის აბურდული ლენტებითა და ათასნაირი ხარახურით სავსე ორმოები. თათრის აგურხანათა დანატოვარი და სანაგვედ ქცეული ნათხარები, ოლრო-ჩოლროები, ხევ-ხუვები. ზამთარში გაუვალი ძანძახიანი ვიწრო ქუჩები და გზის პირებში, თითქოს განზრახ თითო ნაბიჯის სიშორეზე რიგში ჩამწკრივებული, მოსიარულეთა ფეხით აზიზნილ-ასორსლავებული პაწაწინა ბორცვაკები წებიერი გამხმარი ტალახისა.

აქ უკოჭავნია, უბურთავნია, მტრედები უფრენია, დალაბანდიანი ფრანები ანუ ერქნები ცად აუშვია, ჩილიკა-ჯოხი, სალაობა და ოთურმა უთამაშნია, სახლის უკან ფანჩატურიან ალუბლის პატარა ბაღებში კაკანათით ჩიტბატონა და იადონები უჭერია.

მათ ეზოში ერთი წვრილშვილიანი მეისრე სტრეკოზოვი ცხოვრობდა. მის ცოლს ხან კაზარმიდან, ხან სადგურის ბუფეტიდან, ვინ იცის რა საშუალებით, „კოროომისლოზე“ გაკიდებულ სათლებით ყოველდღე ბორშისა და უგრეხელის ფაფის ნარჩენები, ჭვავის პურისა და ნაკბეჩი ბულკის ნაჭრები მოჰქონდა. ეს „ნადავლი“ სარაიის სახურავზე გასახმობად ეყარა და მთელი ოჯახი თავს იმითი ირჩენდა, მაგრამ ასეთ გაძაღლებულ ცხოვრებას დიდხანს მაინც ვერ გაუძლეს. ერთ დღეს უცებ აიყარნენ და ბედის საძებნელად ამერიკაში წავიდნენ. ასე იყო, — ყველა ბედს ეძებდა და, რომ ვერ პოულობდნენ, ზოგი ამერიკაში, ზოგი შუ აზიაში მიდიოდა, ზოგს კი ციმბირში კარგავდნენ, სამშობლოს მიწა-წყალს აქეთ ატოვებინებდნენ.

ქუჩის თავში, ახალგაზრდა ტყით შეფენილ გორაკის პირდაპირ, ბუკინისტ-გამომცემლის ჩარკვიანის სახლი იდგა, მას კონდუქტორ ყალაბეგიშვილის ქოხი მისდევდა, მერე დურგალ პეგანოვისა, მერე ზეინკალ დარახველიძისა, სოსანაანთი, ბეჟუაანთი, მარსაგაანთი, ხოლო მთიდან დაქანებულ ბრიგადირთა ქუჩის გზაჯვარედინზე ონკანის პატარა აგურის კიოსკი გახიდულიყო. მის ირგვლივ ზამთარ-ზაფხულ აუშრობელი წუმპე და ტალახი იდგა. მთელი დღე შხუოდა წყალი, დიასახლისები ყაყანებდნენ და ატივტივებული ფიცრის რგოლიანი თუნუქის სათლები ყურთასმენის წამღებად ჟღრიალებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი დღე ისმოდა შეძახილი მეთულუხეებისა:

— მოუშვი, ლადოუ!

ლადო წყალს უშვებდა.

— იეგშეე! — ვითომ „ლეგჩეო“.

ლადო წყლის დენას ანელებდა.

— ბავოლნა!

ლადო წყალს კეტავდა.

წყალსადენის იქით, ერთადერთ ორსართულიან შენობაში, ნაძალადევის იაფფასიანი სახალხო ბიბლიოთეკა იყო მოთავსებული. ასლანს იქიდან „სურამის ციხე“, „ალადინის ლამპარი“, „ლუკმა პურის ამბავი“ მოჰქონდა და საღამოობით მაგიდის ირგვლივ შემომსხდარ დედ-მამას და ძმებს ხმამაღლა უკითხავდა.

ლიანდაგის გასწვრივ ჩამწკრივებულ რკინისგზის ლეგა ქვის საცხოვრებელ შენობათა შორის იდგნენ, ახლაც დგანან, ნავთის ვეება რეზერვუარები და სადგურიდან, დეპოდან, მთავარ სახელოსნოებიდან ახლაც ისე, როგორც მაშინ, ისმის გრიალი შემოსულ მატარებლებისა, კივილი ორთქლმავლებისა, შხუილი ლაღად გაშვებული მშრალი ორთქლისა, ხრჭიალი ფოლადისა, გუგუნი ურიკებისა.

სისხამი დილის ყოველ ხუთ საათზე, ქარხნის საყვირი აღმუვლდებოდა თუ არა, დედ-მამა, ძმები, ფეხზე იდგნენ.

პატარა ასლანი საბნის ქვემოდან თვალყურს ადევნებდა როგორ ღუღუნებდა, როგორ ტკაცუნობდა სახელდახელოდ გაჩაღებული ცეცხლი თუნუქის ღუმელში და როგორ ციმციმებდა თუნუქისავე კარის მრგვალად გამოჭრილ საჰაერო ხვრელებში გამოტანებული და იატაკზე წითელ კოპლებად დაცემული ალის ნათელი.

ისინი ხვრეპით, შაქრის მიკვნეტით ჩაის ხმისამოუღებლად საჩქაროდ დალევდნენ და, ქარხანაში წასასვლელად გამზადებულნი, ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავეს დააბარებდნენ:

— ბა, ბიჭო, შენ იცი ჭკუით იყავ. სახლი დაგავე, ლოგინები აალაგე. — და, მეზობლები რომ არ გაეღვიძებინათ, წყნარად, უხმაუროდ კარს გაიხურავდნენ, ლეგა ბინდებში დაინთქებოდნენ. შალწამოსხმული დედა თამბაქოს ქარხანას ტუსტუსით მიაშურებდა, მამა და ძმები მთავარ სახელოსნოებს.

ცეცხლი ქრებოდა, ოთახს კვლავ სიცივე ეუფლებოდა.

სუფრაზე აულაგებელი ჭურჭელი, ძეხვის ნაფცქვენები, შავი პურის ნამუსრევი არეულად ეყარა და პატარა ასლანს სევდა აიტანდა, სევდა სიმარტოვისა. დედის ალერსი, მისი ლოლიავი ნატვრად ქონდა გადაქცეული იმას კი მისთვის არ ეცალა. შებრუნებულ ძილში ერთი ნატვრაც თან ჩაჰყვებოდა, ნატვრა, რომ იმ თავის ერთ ძმასავით სადმე, ქარხანაში, ისიც მესაყვირედ ყოფილიყო, იმასაც ემუშავა და დედა აუტანელი ჯაფისაგან გაენთავისუფლებინა.

ეს ოცნებაც მალე აუხდა.

ალიონის ჯერ კიდევ წყნარ ბინდებში მისი საყვირის გუგუნი იმედიანად გაისმოდა და შეშმუშვნილი ქალაქის მშრომელი მოსახლეობა ძილის ბურანისაგან ერკვეოდა.

მუშათა უბნები იღვიძებდნენ.

ნავთლუღიდან, მცხეთიდან, ავჭალიდან, ღრმაღელიდან მუშათა მატარებლები მოგრიალებდნენ.

ქუჩებში აქა-იქ მკაფიოდ ისმოდა მათი ფეხის ხმა, ნამძინარევზე დაბოხებული ხველება და ასე, — შრომით, გარჯილობითა და გაჭირვებით ამსავსე დღე დიადად იწყებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე დიდი სტალინის რევოლუციურ მუშათა წრეების ძლევამოსილ ხელმძღვანელობა. გაფიცვები, დემონსტრაციები, პირველმაისობანი, წითელი დროშის აელვება. მასების ყიჟინით, რაზმელთა სიმღერით, სროლით დაჭრილთა კვნესით უეცარ მატარებელივით შემოგრიალებული ცხრაასხუთი წელი და ისევ რეაქცია, შავი ტერორი...

კობას ცეცხლოვანი სიტყვებით ანთებული მუშები იარაღს მაინც არ ყრიდნენ.

ნაძალადევის თავზე გადადგმული ოდესღაც ძეძვიან-ჯანგარიანი უდაბური გორაკი ახლა ისე მჭიდროდ დასახლებულიყო, რომ ცხრაასხუთი წლის თვრამეტ დეკემბერს მეფის ჯალათებთან უსწორო ბრძოლაში დახოცილ ცხრა ძმის საერთო საფლავს კითხვა-კითხვით მიაგნო.

ქუდი მოწიწებით მოიხადა, სასოებით ამოტანილი ყვავილები სამარეზე სათუთად დააწყო და იქვე, ქვაზე, მწუხარედ ჩამოჯდა.

აქ დაიდო საუკუნო ბინა კობას ცხრა შევარდენმა.

აქ, იმ ჯოჯოხეთურ დეკემბერივით ცივ მიწაში, ჩაწვნენ ისინი და ახლა, როცა ის დღე, რომლის გათენებისთვისაც მათ თავისი საკუთარი ახალგაზრდული დღე უყოყმანოდ დაიღამეს, ეს დიადი დღე ბრწყინვალედ ანათებდა.

ასლან დემურიას მათთვის ეს დღე არ უხარებია და ახლა ყველაზე უწინ ისინი მოიკითხა, დიდი დღესასწაულის მისალოცავად აქ ამოვიდა.

იმ დეკემბრის გათოშილ დღეს ნაძალადევში ხმა დაირხა, რომ ადგილობრივი ხულიგნები ღამით უბნის დარბევას აპირებდნენ.

ყველა ფეხზე დადგა.

ვისაც შეეძლო, ცოლ-შვილი სხვაგან დახიზნა და, ვისაც არა, სარდაფებში ჩაიკეტნენ.

გადაწყდა სახლ-კარი ასაკლებად ცოცხალი თავით არავის დაანებონ და უბანში შემოსასვლელი ყველა გზები წითელრაზმელთა გუშაგებით ჩაკეტონ.

საღამოთი ერთბაშად ჩამოთბა და თოვლიც მოვიდა.

გორაკები, სახლები, ქუჩები, ბაღები თეთრად, საოცნებოდ დაიბარდნენ.

ირგვლივ დუმილი იყო.

გარეთ არავინ არ გამოდიოდა.

ქუჩაში ისე ბნელოდა, რომ კაცი თვალთან მიტანილ თითს მართლაც ვერ დაინახავდა.

გვიან იყო, მაგრამ ადრე დაწოლას ჩვეულ უბანში, ბავშვებს გარდა, მაინც არავის არ ეძინა. მთელი ღამე გაუნათებელ სარკმელებზე მიმდგარნი დუმილს გასაფრებულად დარაჯობდნენ და მით ეს ზამთრის ისედაც გაულეველი უკუნეთი გულის გამაწყალებლად ჭიანურდებოდა.

არასოდეს არცერთი ღამე ასე გრძელი და გაუთავებელი არ ყოფილა.

წითელრაზმელთა მებრძოლი შტაბი საეკლესიო-სამრევლო სკოლის შენობაში იყო მოთავსებული. ბერდანებით, რევოლვერებითა და ყუმბარებით შეიარაღებულ-შემასრულ ვაჟკაცებს, გუშაგად გასვლის ჯერის მოლოდინში, ერთიმეორეზე მიდგმულ მოწაფეთა შავ მერხებზე მოუხერხებლად, მაგრამ მაინც ტკბილად ეძინათ.

დემურიამ საათს დახედა, — მათი გასვლის დროც მოახლოებულიყო.

გახარებულმა, რომ მისი მარტოდ სიფხიზლის ყავლი, როგორც იქნა, განსრულდა, ყველას სათითაოდ ჩამოუარა, ყველა სათითაოდ გააღვიძა. რაზმელები მყისვე წამოცვივდნენ, მაგრამ სტამბაში მთელი დღის მუშაობით დაღლილ ასოთამწყობს, მინა კალაძეს, ისე ღრმად ეძინა, რომ სანამ კარგა ხანს ხმიანი მუჯლუგუნი არ წაჰკრეს, ბურანისაგან ვერ გამოარკვიეს.

ალბათ, თავი ლოგინში თუ ეგონა, უკმაყოფილო ბუზღუნით მეორე გვერდზე ლაღად გადაბრუნდა, მაგრამ მერხის სიგანე აღარ ეყო და, სანამ ამხანაგები ხელს შეაშველებდნენ, იატაკზე ბრახვანი მოადინა.

რაზმელებს სიცილი წასკდათ. იმის მაგიერ, რომ ძირს დავარდნილს გული თავის თავზე მოსვლოდა, თანამებრძოლებს გაგულისებით შეუტია:

— რა გაცინებთ? — მაგრამ მაშინვე გაისაზრა სადაც იყო, რაც აცინებდათ და ნორჩი ულვაშებით ახლად აჯეჯილებულ სახეზე ღიმი მადლიანად მოეფინა. უხერხულობის დასაფარავად ნამძინარევი თვალები მჯილით ღონივრად მოიშმუშნა და ერთიც განზრახ ხმამაღლა ძალისძალად დაამთქნარა.

დაყოვნების დრო აღარ იყო. იარაღი ტანთ ხელდახელ შეისწორეს, კარგა მოირგეს, ქურთუკებისა და პალტოების ღილებიც ხელდახელ აიბნიეს და გარეთ თითო-თითოდ უჩუმრად გავიდნენ.

აღარ თოვდა.

ახლად დადებულ ღრმა ფიფქიანში ფრთხილად, ფეხაკრეფით მიებოტებოდნენ, ლოტკის გორაკისაკენ ხმის ამოუღებლად მიემართებოდნენ და ჯერ გაუტეხავი თოვლი ფეხქვეშ ხალისიანად ჭრაჭუნობდა.

მალე დანიშნულ ადგილსაც მიაღწიეს.

— ვინ არის? — მოისმა მრისხანედ სიბნელიდან.

— ჩვენა ვართ. — გაეხმაურა დემურია და ღამის დუმილში ფეხშეყენებული ჩახმახი მკაფიოდ ატკაცუნდა.

გათოშილი ამხანაგები სალამ-ქალამით გამოსცვალეს, პაპიროსები ხელის გულში ნამალავად მოსწიეს და, კითხვა-მოკითხვის შემდეგ, ერთურთს მხურვალედ გამოეთხოვნენ.

მთელი ღამე ისხდნენ ისინი საფარში, მთელი ღამე გუშაგობდნენ ბნელეთს, მაგრამ არსად ბაიბური, უბრალო ჩქამიც არ ისმოდა.

ცამ ლეგა ჩოხისფრად ინათა და, მაინც არავინ რომ არ გამოჩნდა, გადასწყვიტეს, რომ ღამემ მშვიდათ ჩაიარა, მაგრამ მათი შვება ნაჩქარევი აღმოჩნდა. ქვემოუბნიდან საგანგებოდ გამოგზავნილმა კაცმა ამბავი ამოიტანა, რომ რკინიგზის ხიდი მეფის ჯარმა გადმოლახა და უბანი აღებულია. ყველგან, მარჯვე ადგილებში, ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები ჩადგეს და ქუჩებში პატრულები დადიან. ასეთ პირობებში ბრძოლას აზრი არა აქვს და, სანამ გვიან არ არის, თავს უშველონ. იმათაც რა ექნათ. უკან, შინისაკენ, გზა მოჭრილი იყო. ადგნენ და გეზი მლაშე ტბისაკენ აიღეს, მაგრამ აღმართი ალახეს თუ არა, სერებზე ცხენოსანთა შავ ლანდებს მოჰკრეს თვალი.

შედგნენ.

გზა წინიდანაც მოჭრილი აღმოჩნდა.

ვასო თვარაშვილმა მაშინვე იცნო ცხენოსნები.

— პლასტუნები! — დაიძახა მისდა უნებურად ხმამაღლა და ამხანაგებს ისე გადახედა, თითქოს ეკითხებოდა როგორ მოვიქცეთო.

საშველი არ იყო, — გინდა-არგინდა, ბრძოლა უნდა მიეღოთ.

— დაწექით! — ბრძანა ჩურჩულით გიორგი ელიავამ და ყველა მიხვდა, რომ ვაჟკაცურ სიკვდილს გარდა, სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, მიხვდნენ, რომ გზა სიცოცხლისაკენ გადაკეტილი იყო.

ელიავას სიტყვის გამეორება არ დასჭირვებია.

იქვე, ახლად გაშენებულ ტყის არხში, უხმოდ ჩაწვნენ. თოვლი იდაყვებით წინ აიხვეტეს და, იმას მოფარებულნი, მტერს გაფაციცებით უთვალთვალებდნენ, — პირველ სროლას იმათგან მოელოდნენ.

პლასტუნებს დრაგუნნიც შეემატნენ.

ცა ისევ ნელა, ისევ ისე დაჯერებულად იცრიცებოდა და ღამეს ნაჩვევი თვალისათვის მოახლოებული განთიადი თანდათან შესამჩნევი ხდებოდა.

— Сдавайтесь! — მოისმა სერიდან ვილაცის ნალოთარი ხმა ჩახლანძულად.

ილიკო ნინიძეს გულმა არ მოუთმინა.

— Убирайтесь к чорту! — გასძახა თავისი დამტვრეული რუსულით გაგულისებულად.

სიტყვა დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ პასუხად თოფიც გავარდა. მას საერთო სროლა მოჰყვა და ტყვიებმა თავზე სევდის მომგვრელად გადაიზუზუნეს.

მოწინააღმდეგე სერი რაზმელებს ზემოდან დასცქეროდა და მით ეს არხი უიმედო საფარს წარმოადგენდა, მაგრამ რას იზამდნენ,—ადგილის გამოცვლის დრო აღარ იყო.

— რა ვქნათ? ცუდ ადგილს მოგვისწრეს? — სთქვა შეშფოთებულად გრიშა ჯაშმა.

ვანო ხუცურაული ამ სიტყვებმა გააგულისა.

— რა უნდა ვქნათ? უნდა ვიბრძოლოთ. — სთქვა კუშტად და თოფს პირში „კამფეტი“ მისცა.

— ერთხელ დავიბადეთ, ერთხელვე მოვკვდეთ. — დააწია სიტყვა ტუხა ლაზიაშვილმა და პირველი ტყვია ნიშანში გაუწიწინა.

— ტყვიები დაზოგეთ! — მოისმა ვასო თვარაძის ხმა და, თითქოს მისი გაფრთხილების საპასუხოდ, რამდენიმე პლასტუნი ცხენიდან გადავარდა.

თვარაძე სწორედ ამბობდა, ტყვია-წამალზე მართლაც ხელვიწროდ იყვნენ და ყოველი მათგანი ცდილობდა დენთი, რაც შეიძლება, ყაირათიანად დაეწვა.

ასლან დემურია ესე ცინცაძის გვერდით გულდალმა იწვა, ვაზნებს ისიც გამოზოგილად წვავდა. მალე პლასტუნებს საქმე ისე გაუჭირეს, რომ იძულებული გახადეს ცხენიდან ჩამომხდარიყვნენ და სერს მოფარებოდნენ.

ასლანმა ის იყო თავის ბერდანას პირში ახალი ვაზნა მისცა, ის იყო ერთი ბოხოხი ნიშანში ამოიღო, რომ თოფი ხელიდან გაუვარდა. მკლავში თითქოს ღონივრად მოქნეული ტუკი მოხვდა და წუთით თავბრუ დაესხა.

— დამჭრეს მაგ ძახთაპირებმა! — დაიძახა და თხრილში ტომარივით გადაგორდა.

აქამდე ფიქრის დრო არა ჰქონდა, ახლა გაუჩნდა. ერთ წუთში თვალწინ მთელმა სიცოცხლემ გაირბინა და თავისი ცხოვრების ისეთი წვრილმანები გაახსენდა, რომ თვითონვე გაუკვირდა. ეს წუთი რომ არა, ეს წვრილმანები ისე უმნიშვნელონი იყვნენ, ისე უაზრონი, რომ არასოდეს არ მოაგონდებოდა, ყურადღებასაც არ მიაქცევდა. ახლა ყველაფერი მნიშვნელოვნად, საყურადღებოდ ეჩვენებოდა, ყოველივემ საოცარი, შემაშფოთებელი აზრი მიიღო. რატომღაც დედაც მოაგონდა, მისი ალერსი, მისი დაღონებული სახე... ჯანსაღი ხელით თოვლი მობღოტა და გამშრალი პირი ხარბად გაიტენა. თოვლის მტკნარმა წყალმა წყურვილი ვერ მოუკლა, მაგრამ, სამაგიეროდ, იმ აბეზარად აკვიატებულ ფიქრებს თავი დააღწია.

რაზმელები ისევ ისროდნენ.

პლასტუნები ისევ ისროდნენ.

წამოიწია.

თვალყურს გაფაციცებით ადევნებდა თუ როგორი გამწარებით, პირგამეხებით იბრძოდნენ მისი ამხანაგები.

ის კი უქმად ეგდო და სისხლისაგან იცლებოდა. უცებ წარმოუდგა, რომ მათი საქმე დაღუპული იყო და გული მდუღარებითა და ბრაზით ერთად აევსო. მდუღარებით, რომ ამ ცას, ამ მიწას, ამ ხეებსა და ამხანაგებს უკანასკნელად ხედავდა. ბრაზით, რომ ცოცხალია და ბრძოლა არ შეუძლია, ბრძოლა, რომ ერთი-ორი ჯალათი კიდევ წინ გაიძღოლოს, კბილები გაახრჭიალა.

ფრთაასხმული ტყვიები ქარივით გულსაკლავად ზუზუნებდნენ. ზოგნი მის ირგვლივ უეცრად აფრენილ კალიებივით ფრთქიალით ცვივოდნენ და თოვლში დაცემისას ისე ხედავდა, თითქოს მინაზე ზოლად გაქნეული ბზარი ჩნდებოდა.

— ბიჭებო, ადგილი ვიცვალოთ! — დაიძახა თვარაძემ. — თორემ უბრალოდ გავფუჭდებით!

ყველას ეს აზრი უტრიალებდა თავში, ყველა გრძნობდა, რომ აქ ყოფნა ძალად სიკვდილს ნიშნავდა. ყველა ასე ფიქრობდა, მაგრამ პირველად თქმას ერიდებოდა. ეშინოდათ სიმხდალე არ შეეწამებინათ. ახლა თვარაძის სიტყვას ჩაეტანენ და შვებით დაიძახეს:

— ადგილი ვიცვალოთ.

— მე რა ვქნა? — გაიფიქრა დემურიამ და უიმედოდ წამომჯდარმა ტყვიებს ზურგი მიუშვირა, სახეში არ მომხვდესო.

— ასლანა? ასლანას რა უყოთ? — იკითხა ჯაშმა.

ასლანას გული სიხარულით აევსო, რომ ამ ცეცხლში ისიც არ დაივიწყეს და სიკვდილს შერიგებულად აყვირდა:

— მე აქ დამტოვეთ. თქვენ თავს მიხედეთ. — მისთვის უსარგებლო ვაზნებით სავსე მასრები ხელდახელ აიხსნა და ამხანაგებს დაღვრემილად გადასცა.

ისინი ერთხანს კიდევ ყოყმანობდნენ, ყოყმანობდნენ დაეტოვებინათ ამ უეჭველ სიკვდილში ამხანაგი თუ არა, მაგრამ დემურიამ იმდენი იყვირა, იმდენი იძალა, რომ თავისი მაინც გაიტანა.

ტუხა ლაზიაშვილმა მკლავი თავისი ყაბალახით აუხვია, მერე უცქირა, უცქირა და, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებაო, თავში ხელი დასტაცა, გულში ჩაიკრა, მერე იქით მიაგდო და ესლა სთქვა:

— მშვიდობით! — ქვემოთ, ხევისაკენ, ხოხვით დაეშვა.

— მშვიდობით, ასლან!

— მშვიდობით! — მიბაძეს ტუხას დანარჩენებმაც. ზოგი კოცნიდა, ზოგი გულში იკრავდა, ზოგს ეშინოდა აქ არ ავტირდეო და განზრახ ცივად, თავდაჭერილად ეთხოვებოდა.

— მშვიდობით, ბიჭებო, მშვიდობით! — მიაძახა დემურიამ გულის სილრმიდან ამომხდარი ხმით და ამხანაგებს თვალი შურითა და სინანულით გააყოლა. შურით, რომ ბრძოლა შეეძლოთ, სინანულით, რომ ბრძოლაში გამოუსადეგარი იყო და ჩვარივით დაკიდებულ მკლავს უილაჯო ბრაზით დახედა. ერთი პირობა გულმა იქით გასწია, მაგრამ მაშინვე გაისაზრა, რომ დახმარების მაგიერ ხელს შეუშლიდა, მებრძოლთ დააბრკოლებდა და თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, თუ რა საშინელება ყოფილა, როცა ზედმეტი და გამოუსადეგარი ხარ.

რაზმელების დევნით გატაცებულმა პლასტუნებმა დილის ბინდებში თხრილში ჩაწოლილი დაჭრილი ვერ შენიშნეს და გაქცეულებს ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემურია მარტოდმარტო ეგდო და ამაოდ ელოდა [illegible] ჯალათები, როდის ამოხდიდნენ სულს, მაგრამ არავინ არ მოდიოდა.

თავი აიღო და გადათეთრებულ მიდამოებს თვალი ხარბად მოავლო.

ირგვლივ არავინ იყო. ისინი იმათ უსროლელად ფეხდაფეხ მისდევდნენ და, როცა ასლანმა ხევს იქიდან, ამოსული ახალი ჯარი დაინახა, მიხვდა, რომ რაზმელების საქმე გათავებული იყო. მიხვდა რომ ცოცხალი თავით არცერთი არ დანებდებოდა და შიშის ზარმა აიტანა. ისინი ცოტანი იყვნენ, ძალზე ცოტანი და დახმარება სჭიროდათ. გადასწყვიტა როგორმე ჩავიდეს ნაძალადევში, ნახოს ამხანაგები და უთხრას თუ როგორ გმირულად იბრძვიან მათი თანამოძმენი, უთხრას, რომ ახლავე, ამ წუთსავე დახმარებაა საჭირო, სიმარტოვით ისარგებლა და ფორთხვით, ვაივაგლახით ბრძოლის ველიდან შეუმჩნევლად გამოვიდა. თავი სამშვიდობოს რომ დაიგულა, დაბლა სირბილით დაეშვა. მოწყვეტილად დაკიდებული მკლავი შეღავათს არ აძლევდა, მაგრამ ყურადღებას მაინც არ აქცევდა, ხან ეცემოდა, ხან თოვლით მოლიპულ თავქვეზე ყირას გადადიოდა.

მუხლებში სისუსტე იგრძნო, — ალბათ, სისხლისაგან თუ იცლებოდა. შეეშინდა, რომ გზაში არ დაცემულიყო, შეეშინდა, — ვაი თუ ამბავის დროზე ჩატანა ვერ მოასწროს! ამ შიშმა თითქოს ახალი ძალა შემატა, თითქოს ფრთა შეასხა და ისევ გაიქცა.

სროლა კვლავ განახლდა.

ყუმბარები გუგუნებდნენ. რევოლვერები და ბერდანები კვლავ გრიალებდნენ. აი, ტყვიამფრქვევიც აკაკანდა, აი ზარბაზანიც აგრუხუნდა და ნუთუ, ნუთუ ხსნა არ არის?

ასლან შედგა.

ეს სატიალე გზა ისე გაგრძელდა, ისე გაჭიანურდა, რომ იმედი დაეკარგა, იმედი რომ ძირს ოდესმე ჩააღწევდა. ერთი პირობა გადასწყვიტა ისევ უკან დაბრუნებულიყო, იმათთან ერთად მომკვდარიყო, მაგრამ ამ აღმართზე ასვლასაც შეძლება უნდოდა თუ არა? ლაზიაშვილის ყაბალახი სისხლით ნელნელა იღებებოდა. ჭრილობაც თანდათან ატკივდა და ტკივილთან ერთად სიცივემაც მოუჭირა. გულიც, ეს ვერანა გული უილაჯო ბოღმით ისე აევსო, რომ ახლა სულერთი იყო, რაც მოუვიდოდა. ვილაცის კართან კვნესით დაეცა... ძირს რომ ეშვებოდა, მიწას ასცდა და წავიდა ტრიალით, უბსკრულიდან უბსკრულში გადაქნეული...

ახლაც არ იცის ვის შეაფარა თავი, ვისთან შეუხვიეს პირველად ჭრილობა და ვინ გაათბო, ან ვინ მოასულიერა...

დილის ცხრა საათზე რბევითა და ძარცვა-გლეჯით გალაღებულმა მეფის ბაღლებმა თავი შუა ნაძალადევში, ეკლესიის წინ, მოედანზე, მოიყარეს.

ნაღარაც დაჰკრეს და ნაალაფევნი, მუშათა სისხლით გამძღარი უბანიდან გამარჯვებულის სიმღერით, სტვენით, ჭყივილით გავიდნენ.

მათი წასვლა და ხალხის ქუჩაში გამოფენა ერთი იქმნა.

გულგადატრიალებული დედები, ცოლები ერთურთის ქმრებსა და შვილებს გაფაციცებით კითხულობდნენ, იძიებდნენ ვინ დაარბიეს წუხელ ჯალათებმა, ვინ დასწვეს და ვინ დააპატიმრეს.

უცებ ხმა გავარდა, რომ რაზმელებს წუხელ ლოტკის გორაზე ჯალათებთან დიდი ბრძოლა ჰქონდათ. უცებ ხმა გავრცელდა, რომ ლოტკის გორაზე კობას

შევარდნები მტარვალებთან უსწორო ბრძოლაში ვაჟკაცურად დახოცილან და მაშინვე მათ სანახავად, მათ საძებნელად გაეშურნენ.

ერთი საათის შემდეგ ტანჯვით მოკლული, გაძარცვულ-განაწამები ცხრა ძმა ჯალავერებით ჩამოასვენეს. ზოგს ლოყიდან ლოყაში ხიშტი ჰქონდა გაკრილი, ზოგისთვის თავის ქალა ჩაეჩეჩქვათ და ზოგი ისე დაესახიჩრებინათ, რომ მათი ცნობა ნათესავებსაც გაუჭირდათ. არაფერი ტანზე არ შეერჩინათ, რაც მოსწონებოდათ, გაეხადათ და თითქმის ტიტველნი, ფეხშიშველნი მინდვრად დაეყარათ.

ახლა ისინი კვლავ თავის შტაბში იმყოფებოდნენ.

ნაძალადევის საეკლესიო-სამრევლო სკოლის ცხრა მერხზე იწვნენ ისინი ბავშვებივით თვინიერად, იწვნენ ისე, მშვიდათ, თითქოს გრძნობდნენ, რომ კლასში იყვნენ.

განბანილთათვის სახელდახელოდ ჩამოკრებილ ტანისამოსში სუფთად გამოწყობილებს ფეხსაცმელები ჯერ არ ეცვათ და თავისივე ახალთახალი უხმარი წინდებით შემოსილ ფეხებს თავამაღლებულნი თითქოს გაკვირვებით დასცქეროდნენ.

ასლანს გულმა არ მოუთმინა. უკანასკნელი ღონე მოიკრიფა და აქეთ-იქიდან მხარში ამომდგარ მეგობართა დახმარებით სკოლისაკენ გაემართა, იმ სკოლისაკენ, სადაც ის ერთ დროს სწავლობდა.

ისინი ისევე მშვიდათ იწვნენ, ისევე ეძინათ, როგორც...

ასლანმა წუხანდელივით ყველას სათითაოდ ჩამოუარა.

— ადეთ, ბიჭებო! — აღვიძებდა ყოველ მათგანს ისე, როგორც წუხელ.

— ბიჭო, არ გადმოვარდე! — შესძახა კალაძეს საოცარი ხმით და არავის არ ესმოდა რას ნიშნავდა ეს სიტყვები.

— ადეთ, ბიჭებო! — არ ეშვებოდა დემურია და მაინც რომ არ ადგნენ, მამაკაცურად მძლავრად ატირდა.

იქ, მაღლა, მათთვის საფლავსა სჭრიდნენ.

თავი მეცხრე

1.

დემურიამ შემთხვევით ისარგებლა, ესტატე თაბაგართანაც შეიარა და ძველი ნაცადი მეგობრის დამწუხარებული ოჯახი ამ მოულოდნელი სტუმრობით უცებ ისე გამოაცოცხლა, რომ თავის თავს თვითონვე უმადლიდა.

ამდენი ხნის უნახავობის შემდეგ შეყრილი მუხუცები ერთურთს ჭაბუკური სიყვარულით შეფრფინვიდნენ და არ იცოდნენ თავისი სიხარული როგორ გამოეხატათ. გრძნობამორეულებს ერთხელ ნათქვამი იქვე ავიწყდებოდათ და ერთსა და იმავე ამბავს რამდენჯერმე ყვებოდნენ.

ესტატე სიხარულით ფეხზე არ იდგა. ხან დაჯდებოდა, ხან ადგებოდა, ხან აქეთ-იქით მოუსვენრად დადიოდა და მაინც არ ცხრებოდა, ათას წვრილმანს, ათასნაირად ნათქვამსა და უთქმელს მაინც ეკითხებოდა.

ის მაღაროების ამბებს უყვებოდა, ეს ქარხნისას და ნელა შეყოლილი საუბარი ისე გაუტკბათ რომ სუფრის გაშლა არც შეუტყვიათ.

ხვარა გულდარდიანად იყო, მაგრამ ბებრებს ხათრი მაინც ვერ გაუტეხა და ისიც მათთან ერთად იჯდა. იმდენად ღვინით არა, რამდენადაც ერთურთის სიყვარულით ტკბილად შეზარხოშებულმა მეგობრებმა რა არ მოიგონეს, რა არ სთქვეს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ერთი შემთხვევის გამო იცინეს.

ერთ ზაფხულს კირკის ქუჩაზე შეშის საწყობიდან ქალაქელებმა ბერესტა-ტით ცაში ვირი აუშვეს და ამის მნახველ ესტატეს თურმე შურით ენატრა: რატომ ის ვირი არ ვარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თურმე, ვირი ვიყავ, ბიჭო. — გამოართვა სიტყვა მეგობარს ესტატემ სიცილით.—ვირივით ვმუშაობდი, ვირსავით მპატრონობდნენ და არ ვიცოდი...

სიტყვამ სიტყვა მოიტანა, აზრმა აზრი და სალაპარაკო მაინც არ ელეოდათ, მათ სჯა-ბაასს დასასრული არ უჩანდა.

ხვარაც მათთან ერთად იჯდა, თან ხელზე ემსახურებოდა, თან მათი ხალისით ტკბებოდა და ისინი, ძველი ჩვეულებისდა მიხედვით, ერთურთს ბიჭობით რომ მიმართავდნენ, უნებურად ელიმებოდა.

ასლანი იმთავითვე მიუხვდა ღიმილის მიზეზს, მაგრამ არა უთქვამს რა. ახლა ნაღვინარზე ცოტა შარიანად იყო და მეგობრის შვილს ხუმრობით შეუტია:

— რა გაცინებს, ბოგო? რომ იცინი, რა გაცინებს, ჰა? ბიჭები ვართ, აბა რა ვართ. გინდა, რომ ბებერი ვიყოთ, გინდა, რომ პენსიაში გავიდეთ? გინდა, რომ ძველი გაზეთივით ვიყოთ? ვერ მოგვართვი პატრიჯანი! ბიჭები ვართ, ბიჭები! თქვენ გაზრდას, თქვენ გაძლებას ბიჭობა უნდოდა თუ არა? ამ ბედნიერ დღეს რომ შევესწარით, ამ ბედნიერი დღით რომ ვერ ძღებით, ვისი ბიჭობითაა, ბიძიკო, თუ იცი? — შეეკითხა ხვარას შესაქცევი თავგამოდებით და პასუხს არ მოუცადა, უცებ ის ძველი, თითქოს მინელებული დარდი ისევ აეშალა. პირთან მიტანილი ღვინით სავსე ჭიქა ისევ სუფრაზე დადგა და ალშფოთებულად წამოიძახა:

— სად ვთქვა, ვისთან გავამხილო, რომ შვილი არტისტი მყავს, ჰა? ჰაი გიდი, აბასთუმან! — თავი სინანულით გაიქნია, მერე ჭიქას ხელი დასტაცა და ღვინო წამალივით სულმოუთქმელად დალია.

ერთხანს თავისთვის რაღაცას ფიქრობდა, მერე ხელი როგორღაც თავმინებებულად ჩაიქნია და მეგობარს მოულოდნელად შეეკითხა:

— ბიჭო, ტატე, ნეტავ ის ჩემი საყვირი, ის ჩვმი ჩიტი მგალობელი თუ ისევ გუგუნებს, ჰა? ხო არ გამოუცვლიათ?

— არა, ისევ გუგუნებს. — მოუჭრა მოკლედ ესტატემ.

— ისევ გუგუნებს! — გაიმეორა ასლანმა სევდიანად. — ისევ გუგუნებს! მაშა, ეგეთი ბიჭები ვართ ბებრები! ისევ ვგუგუნებთ, კიდევ ვიგუგუნებთ. — უცებ სიტყვას გეზი უცვალა და ისევ იკითხა:—ხო კარგად უვლიან, ჰა? ეჰეი, რანაირად მიყვარდა, რანაირად მიხაროდა იმ ჩემი ვაჟკაცური ბულბულის ვაჟკაცური გუგუნი! ახლა დავბერდით, დავბერდით, ბიჭო, და მაინც ვგუგუნებთ, გესმის? მაინც ვგუგუნებთ!

ესტატემ მეგობარს უსიტყვოდ გაუღიმა და მით უთხრა ყველაფერი. მერე ჭიქები ღვინით ღიმილითვე დაავსო და ბებერთა ბიჭობის სადღეგრძელო დალია.

სადღეგრძელოს ისევ მოგონებანი მოჰყვნენ და რა გასაჭირი, რა ვაივაგლახი არ გაიხსენეს მათ „ნიკოლოზას“ იმ დუხჭირ დროიდან. რამდენი ჯაფა, რამდენი ჭაპანწყვეტა არ გაეარათ იმ შავბნელ დროში და მათ სიტყვა-პასუხში, მათ ყოველ ქცევაში მაინც იმდენი ხალისი, სიცოცხლის ისეთი წყურვილი და უტეხობა გამოსჭვიოდა, რომ ხვარას უკვირდა. ასე უდროოდ მოტეხილი და გულმოკლული მათ ნაღვლიანად, თითქოს შურითაც, შესცქეროდა და თან ტკბებოდა მათი მოხუცებულობით, ვერ ძღებოდა მათი მოსწრებული ამბების მოსმენით.

და ასე, — ხან ხუმრობაში, ხან დინჯ საუბარში ისე შემოალამდათ, რომ არაფერი არ შეუტყვიათ.

ღვინოც ღამესთან ერთად თანდათან ძალაში შედიოდა, — თავშიც ისიც შეუმჩნეველად იპარებოდა.

ბებრებს ერთად ყოფნა ისე გაუტკბათ, რომ სუფრიდან აშლას ჯერ კიდევ არ ფიქრობდნენ. ისევ ყაყანებდნენ, ისევ დავობდნენ და ერთი პირობა რაღაც უმნიშვნელო საკითხის გამო კინაღამ წაიჩხუბნენ კიდევაც.

რა არ სთქვეს, რა არ გაიხსენეს, მაგრამ უდროოდ დამზრალი ნორჩი ყვავილი, პატარა ნანული, ერთხელ რაა, ერთხელ არ უხსენებიათ. თითქოს ერიდებოდნენ, თითქოს ეშინოდათ კიდევაც მისი ხსენებისა.

ესტატეს მისი ფოფინა თვალები, მისი მიამიტი და საოცრად გონიერი ტიტინი მუდამ ესმოდა და ეს მოგონება თავზარს ისე სცემდა, რომ სიცოცხლის უნარს უკარგავდა. ცდილობდა მასზე არ ეფიქრა, მის სახეს მუდამ იგერიებდა, იგერიებდა ისე, თითქოს ემდუროდა, ემდუროდა, რომ მოკვდა და თავისი სიკვდილით მოხუცებულება გაუმწარა.

ასლანი მიხვდა, რომ მისი დაკარგვა მამა-შვილს ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა და ამიტომ მის ხსენებას ისიც ერიდებოდა, ერიდებოდა მათი დარდის ხელახლა აშლისა. შესაძლოა, ეს ეგოიზმიც იყო, მაგრამ ეგოიზმი სიცოცხლის დაზოგვის სურვილით გამოწვეული. და როცა ესტატემ პური ღვინოში უსიტყვოდ დაასველა, ასლანიც ისევე მოიქცა, მისი შესანდობარი იმანაც უსიტყვოდ დალია.

ოთახში ერთბაშად დუმილი ჩამოვარდა.

თითქოს ნანულის სული სადღაც აქვე აფართქალდა და ასლანი შეშფოთებულად წამოდგა.

ხვარამ ცრემლით სავსე თვალები ძიას თანაგრძნობისათვის უსაზღვრო მადლიერებით შეანათა და ასლანს ამ შემოხედვაზე გულს სისხლი ცხლად გადაევლო, თითქოს ირგვლივ გახურებული სალტე შემოეჭირა და, უხერხულობა რომ გაეფანტა, ნაძალადევი ღიმილით სთქვა:

— წავალ ახლა.

საათს დახედა და შიშით წამოიძახა:

— უუჰ, კარგა დრო გასულა! — აჩქარდა და თან პალტოს იცვამდა, თან შეშფოთებულად ლაპარაკობდა: — მომკლავს ჩემი გოგო, ცოცხლად შემჭამს, თუ სულ არ მიველ. — თან კილოზე ეტყობოდა, რომ შვილის იქ, სცენაზე, ნახვა არაფრად ეპრიანებოდა.

ესტატე ძველ მეგობართან ერთად ყოფნით მაინც ვერ გაძღა, მასთან ყოფნას მაინც ვერ შეელია და პალტო იმანაც ჩაიცვა, ქუდი თავზე უშნოდ ჩამოიფხატა.

— სად მიხვალ, მამა? გვიანაა. — უთხრა ხვარამ წყნარად, მორჩილად და თავზე ქუდი ალერსით გაუსწორა.

— წავალ, შვილო, ვინმეს ვნახავ, თვალს წყალს დავალევინებ, გულს გავაყოლებ. — მოუჭრა სიტყვა შვილს ალერსით გულაჩუყებულმა მოხუცმა და მეგობარს ისიც თან გაჰყვა.

2

ასლანმა პალტო გაიხადა. გარდერობის მოაჯირზე ხელდახელ მიაგდო, ქუდიც ზედ დაადო და შემოჩეჩებული სპილენძის ნომერი რომელიღაც ჯიბეში საჩქაროდ ჩაიჩარა. მიუხედავად ხანდაზმულობისა და ოდნავი ზარხოშისა, კი-

ბეები ერთი მოსუნთქვით აირბინა და, თავი თეატრში რომ დაიგულა, წუთით შედგა, თვალი ირგვლივ ყველაფერს ძველ ნაცნობებსავით მოავლო.

შენობა თითქმის საფუძვლიანად გადაეკეთებინათ, კედლებიც ... ელა მოეხატათ, მაგრამ აღნაგობა, საერთო იერი მაინც წინანდელი შერჩენოდა, თუ იქ, შუა ქუჩაში, ულაზათოდ გახიდული ავჭალის აუდიტორია სულ აუღიათ და მისი ნატამალიც არ დარჩენილა, სამაგიეროდ ეს თეატრი ისევ ისე დგას.

აქ, ამ ადგილას, ზუბალაანთ ერთ დროს შაქრის ქარხანა ჰქონიათ გამართული, მერე ეს შენობა დაუდგამთ და სახალხო სახლი უწოდებიათ.

აქ, ამ ადგილას, სამკითხველო იყო, სადაც ოდესღაც ისა და ესტატე თაბაგარი წიგნებისათვის და გაზეთების წასაკითხავად დადიოდნენ. აქ ვრცელი შემოსასვლელი ჰქონდა, რომელიც ახლა დაუგმანავთ. ასლან დემურიას იმ დროთა და თავისი მშფოთვარე ახალგაზდობის გახსენებაზე კიბეზე ამორბენით აძგერებული გული კიდევ უფრო აუძგერდა.

აქ თამაშობდნენ დიდი ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია და ვინ მოსთვლის რამდენი მწუხარება და აღშფოთება, რამდენი სიხარული და ჟრჟოლა, რაოდენ დიდი რისხვა და შურისძიების წყურვილი გაჰყოლია აქედან. მას გატაცებით უყვარდა თავისი მწერლები, რომელნიც მის სულისკვეთებას ისეთი წრფელ სიტყვებით გამოხატავდნენ. მას იტაცებდნენ ის დიდი მსახიობები, რომლებიც ამ სულისკვეთებას ისე გულითადათ ასახავდნენ... ის განზრახ იხსენებდა იმ მღელვარე წუთებს, წუთებს, რომელიც აქ განუცდია, იხსენებდა, ისე, თითქოს თავის თავთან ვიღაცას ამართლებდა, მაგრამ მაინც არა გამოდიოდა რა თავისი ერთადერთი შვილი, თავისი დარუხანა, ამგვარი საქმისათვის მაინც არ ემეტებოდა, ეს საქმე, რატომღაც მაინც სააუგოდ, საძრახისად მიაჩნდა,

მიუხედავად ამისა, რომ სიტყვით ყველა ხელობა თანაბრად საპატიოდ, თანაბრად საამაყოდ მიაჩნდა, აღმოჩნდა, რომ ნამდვილად ასე არ ფიქრობდა. ქარხანაში მუშაობასთან შედარებით, იმ ქარხანაში, სადაც მის წინაპრებს, თვითონ მასაც წელი ჯაფით მოუწყვეტიათ, უსამართლობასთან ბრძოლაში თავისი სისხლიც დაულვრიათ, თეატრი და იქ მოღვაწეობა უბრალო რამედ, თითქმის ღირსების დამამცირებელ საქმედაც მიაჩნდა.

— სად ვთქვა, ვისთან გავამხილო, რომ შვილი არტისტი მყავს? — ამოჰდა თავისთვის კიდევ ერთხელ ეს სიტყვები და მართლაც არავის არ უმხელდა. არავის არ ეუბნებოდა, რომ შვილმა სცენას მიაშურა.

არაფერი მასთან, — არც ხვეწნა, არც წყრომა და არც სამდურავი არ გაუვიდა. არ დაუჯერეს, არაფრად ჩააგდეს და, როცა საქმე გაჭირდა, მისი შვილა აუცილებელი გახდა, თავის სიტყვას თვითონვე ულალატა და, როგორც იტყვიან, ჭიათურიდან აქ ჩამოჩიქჩიქდა.

დღეს ბავშვობაში, ახალგაზდობაში მონავარდებულ-მოთარეშებული თავისი უბანი, ქუჩები და ძველის ძველი დოსტიც რომ ინახულა, დანანდა, გული ისევ რისხვით აევსო, რომ მამა-პაპისაგან ნაცადსა და ნათელ გზას მისმა შვილმა გვერდი აუქცია და საამქროს სცენა, ქარხნის საყვირს თეატრის გონგი ამჯობინა.

ამიტომაც დააგვიანა ასე თაბაგრებთან.

ხვარაც იქ იყო, მოსიყვარულე ხვარა, შვილის დარდი ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა და როცა ნანულის მოსახსენებელი დალიეს, საწყალი სუფრიდან რაღაც საქმე მოიმიზეზა და გარეთ თვალცრემლიანი გავიდა.

როცა სიძის სადღეგრძელო დალიეს, ხვარა რატომღაც კიდევ ადგა, ისევ რაღაც საქმე მოიმიზეზა და გარეთ წყნარად გავიდა.

ასლანს გული მოუკლა მისმა ამგვარმა მდგომარეობამ, მაგრამ მალე სიტყვამ სიტყვა მოიტანა და ეს წუთები ისე საამო იყო, რომ, აი, რვა საათის მაგერ თერთმეტზე მოვიდა. მთელი თავისი დანაშაული შვილის წინაშე მხოლოდ ახლა იგრძნო. ეს სინანული რომ დაეფარა, გადასწყვიტა გული მოუვარეს და გული მართლაც მოუვიდა.

ახლანდელი ახალგაზდობა ჯიუტია, თავისი ჭკუისაა. მისი დარუხანაც ასეთი იყო. სისხლით მორწყული მუშათა უბანი, ქარხნის კედლები, კედლები, რომლებიც ჯერ ისევ ზანზარებდნენ წარსულ ბრძოლათა მოგონებებით, მუშათა გარდასული ძლევამოსილი ყიჟინით, პლასტუნების ცხენთა თქრიალით, სროლით, მათრახების შხუილით, საამქროები, სადაც კურნატოვსკი, კალინინი, მაქსიმ გორკი მუშაობდნენ, სადაც დიდი სტალინი რევოლუციის ცეცხლს ასეთი ტატაცებით აჩაღებდა და მისი დიადი აზრები ბრძოლად ამდგარ ხალხს წინ მოწოდებად მიუძღოდა, დროშები ცაში სისხლივით იშლებოდა, სისხლი მიწაზე დროშასავით ეფინებოდა, ეს ქარხანა მისმა შთამომავლობით პროლეტარმა შვილმა დასტოვა და აქ ტაძარივით დადუმებულ ადგილას, მოვიდა. იმდენი ილონა, იმდენს ეცადა, რომ მამის გატაცებული სიყვაოულით ისარგებლა, ისიც მოსტეხა და ისიც თავისი თამაშას საცქერლად აქ მოიყვანა. იმასაც რა ექნა, — ადგა და მოვიდა, მოვიდა, რადგან სულ მოუსვლელობა არ იქნებოდა. არ უნდოდა, რომ თავისი თავქეიფა გოგონას დიდ სცენაზე პირველად გამოსვლას დაჰკლებოდა. მართალია, რეპეტიცია იყო, გენერალური რეპეტიცია, მაგრამ თბილისის მთელი მოწინავე საზოგადოება აქ იქნებოდა. იმასაც რა ექნა, რახან ასე მოხდა, — მოხდა. ახლა ხელი კიდევაც უნდა შეეწყო, წაეხალისებინა და ისევ სინანული იგრძნო, რომ ასე დააგვიანა.

ფუაიეში, დერეფნებში არავინ არ იყო.

საათს დახედა და გუნებაში თავისთვის უკმაყოფილოდ ამოხდა:

— რა მიყო იმ კაცმა, რა მიყო! — კი არ ინანა, უსაყვედურა, არა ესტატე თაბაგარს, არც თავის თავს, ისე, — ვილაცას. ანდა სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, როცა იმდენი ხანი ერთად უცხოვრიათ, უბრძოლიათ, უმუშავნიათ და მერე ამდენი ხანია, ერთურთი არ უნახავთ? განა ასეთ დროს მეგობართან განშორება ასე ადვილი საქმეა? იმას თავისი სათქმელი ჰქონდა, ამასაც თავისი და ამასობაში ეს ამოდენა დროც ხელში შეუმჩნეველად შემოადნათ.

თეატრში რაღაც უცნაური, გულის სილრმემდე ჩამწვდომი, ამაღელვებელი სიწყნარე იყო, სიჩუმე ისეთი, როცა საკუთარი სუნთქვაც გაკრთობს და მისი ახალთახალი საგარეო ფეხსაცმელის ხმაური ამ საზეიმო დუმილში ისე მკვახედ და შემაშფოთებლად გაისმოდა, რომ ურთხველის უზარმაზარ წითელ შუაკარებთან მოწყენით მჯდარმა ხანში შესულმა კაპელდინერმა ქალმა ღაზლის ქსოვას თავი გაანება და „ჩშიო“ გამაფრთხილებლად მიაძახა.

ასლან შედგა.

ერთბაშად რაღაც უცნაურმა, ჯერ განუცდელმა აღტაცების გრძნობამ აიტაცა და არ იცოდა საით აელო გეზი წასასვლელად, მაგრამ მეკარემ თვალით ანიშნა და ისიც ფეხაკრეფით მისკენ გაემართა.

— დაგაგვიანდათ! — კი არ უთხრა, თითქოს ახარა ჩურჩულით. მერე მოწყენილად ადგა და თავისი სკამი ფრთხილად, ხმაურობა რომ არ გამოეწვია, ისე მიაწოდა.

ასლანი არ დაჯდა.

ორნივ ფეხზე იდგნენ.

ქალმა კარს ნაჩქეევად მიაყურა და მერე ისევ ისე, როგორც წამოდგა, თითქოს თავისთვის წაიჩურჩულა:

— საცაა დამთავრდება. ცოტაც მოითმინეთ.

ასლანი ვერ მიხვდა რა სრულდებოდა, — აქტი თუ წარმოდგენა, მაგრამ არა უთქვამს რა. იქვე წითელ ხავერდ გადაკრული გრძელი დივანი იდგა და, შიგ რომ ჩაეშვა, რატომღაც ის მივიწყებული მწველი წუთები გაახსენდა, წუთები, როცა მის დარუხანას მძიმე ოპერაციას უკეთებდნენ. იქნებ, მძიმეც არ იყო, მაგრამ მშობლისთვის შვილის ყოველი გასაჭირი განა მძიმე და ძნელად ასატანი არ არის? საოპერაციო ოთახიდან ესმოდა როგორ ფუსფუსებდნენ ბლონდით პირაკრული თეთრხალათიანი ექიმები და მოწყალების დანი. ესმოდა დარიკოს გულსაკლავი თავშეკავებული გმინვა, სიცოცხლის დამნელებელი უილაჯო მუდარა და მერე უცებ სილრმეებიდან ამოვარდნილი კივილი, კივილი, რომ ეშველათ, ეხსნათ ამ სატანჯველისაგან. ის კი მისი მშობელი კარებთან ატუზებულიყო და უმწეოდ, ბედის მორჩილად სტიროდა, — ცრემლები თავისთავად ლაპალუპით სდიოდა. მართალია, მისი ახლანდელი ბედი იმ წუთებს არაფრით არა ჰგვადა, მაგრამ ეს მდგომარეობა მაშინდელ განცდებს რაღაცით მაინც აგონებდა. სადღაც გულის ბნელ კუნჭულში, მიყრუებულად გრძნობდა, რომ მის შვილს ახლაც ისევე უჭირდა, შველას ითხოვდა, იმას კი დააგვიანდა და სასოწარკვეთილებისაგან არ იცოდა რა ექნა. მაშინაც ასეთივე აწკრიალებული სიწყნარე იყო, ასეთივე წესრიგი, ასევე დაკეტილი კარი და სულის შემხუთავი იდუმალება.

დარბაზიდან დარიკოს ხმა მკაფიოდ მოესმა.

მიიხედა, — კაპელდინერს დახშული კარი ოდნავ შეეღო და ეს ხმაც იქიდან იჭრებოდა.

მიაყურა — მისი გოგონას უიმედო, მორჩილი კვნესა ისევე იდუმალად, ისევე გულსაკლავად მოისმოდა.

— მაშ მართლა საჭირო ყოფილა ჩემი ჩამოსვლა. გასაჭირში ჩავარდნილა, დიდ გასაჭირში და აქამდე არ გამიმხილეს! — გაუარა გულში გოროზად და მთელი არსება მძვინვარებით, უილაჯო ბოღმით აევსო.

— არ შემიძლია! მე გეუბნები, არ შემიძლია... — ამბობდა დარიკო ისეთი მომუდარე ხმით, ისეთი სასოწარკვეთილებით, რომ მის მშობელს გულზე სისხლი გადაევლო.

აქ ხუმრობა როდი იყო, აქ თამაში როდი იყო, ეს თეატრი როდი იყო, აქ მართლა იტანჯებოდნენ, მართლა ცხოვრობდნენ ცხოვრობდნენ მთელი არსებით.

— ნუ მიხვალ, ჩემო... დარჩი, ნუ მტოვებ, თორემ, ვფიცავ, დავიღუპები... — გმინავდა ისევ ისე მისი ტკბილი, სიცოცხლით სავსე დარუხანა, კვნესოდა და ცრემლები ყელს უკეტავდა, — ვერ სტიროდა. ის ხან დუდუკივით მინაზებული ტკბილად მურმურებდა, — ალბათ იმ ვიღაც ოხერს ეალერსებოდა, ფეხქვეშ ფიანდაზად ეფინებოდა და ასლანს გულში ბრაზმა და ეჭვიანობის გრძნობამ ეკალივით მწველად გაუარა; ხან გაგოროზებული და ქედფიცხელი ხმას რისხვით იმაღლებდა, — ალბათ ისევ იმ ვიღაც ოხერს გამწარებით უტევდა და მერე ეს აწეული ხმა ერთბაშად ისეთ საძაგელ, გაფოლორცებულ დედაკაცურ ყვირილად ექცა, რომ ასლან ყურებს არ უჯეროდა. ნუ თუ ის გაავებული დედაკაცი დარიკო იყო? ფიქრობდა, ფიქრობდა და გონს ვერ მოდიოდა, — ეს უტიფარი, თითქმის ქუჩური კილო სად შეითვისა, ვისგან ისწავლა მისმა მუდამ სათუთმა და მიამიტად ცელქმა დარიკომ?

— წამიყვანე... შენთან მინდა, შენთან... შენთან... შენი ყურმოჭრილი მონა ვიქნები... სულ თვალებში გიყურებ... გემსახურები... მეყვარები... — გამოსავდა ვნებით ჩაწყვეტილი ხმით ის დედაკაცი დარიკოს პირით და ამ ვედრებაში ძუ ვეფხვის გაავება, უსაზღვრო მეშფოთვარება, დაუცხრომელი ტკივილიანობა, ლირფის ურცხვობა, გლისპობა, სიცოცხლის დახარბებული წყურვილი და დაუოკებელი სიყვარულის ავხორცობა ერთად გამოკრთოდა.

ალბათ, გაამწარეს, ალბათ, უკიდურესობამდე მიიყვანეს და იმიტომ ჰგოდებს ასე...

ისევ სიჩუმე.

და ამ სიჩუმეში, თავშეკავებული, იმედდაკრეფილი ადამიანის ქვითინი რომ მოესმა, უნდოდა საშველად გაქანებულიყო, უბედურებაში ჩავარდნილ შვილს გვერდში ქომაგად ამოსდგომოდა.

უცებ ის დეკემბრის ღამე გაახსენდა, გაახსენდა როგორი გამწარებით იბრძოდნენ ისინი. ახლა დარიკო იბრძოდა და ამ ბრძოლამ მას ის დიდი ბრძოლა მოაგონა, იქ იმ ცივ ზამთარში რომ გადაიხადა. ასლან დემურია გრძნობდა, რომ ახლა მისი შვილი იხდიდა დიდ ბრძოლას, მაგრამ რისთვის, — არ იცოდა. ის ისევ იმ მდგომარეობაში ჩავარდა, როგორც მაშინ, როცა ცხრა ძმა ილუპებოდა და ის ვერ ეხმარებოდა, ახლა მის შვილს, მის პირმშოს უჭირდა და ვერც ეხმარებოდა. უცებ მიხვდა, ის გამძაფრებული ბრძოლა კვლავ გრძელდება, რომ საბჭოთა სინამდვილეში ყველგან ყველა უბანზე დიდი ბრძოლებია გაჩაღებული, ბრძოლა ახალი ყოფისათვის, — ქარხანაში, სოციალისტურ ყანებში, მაღაროებში, ჰაერში, ბრძოლა ლაბორატორიებში, რედაქციებში, ოჯახში და აქაც, ბრძოლა სტახანოველების, ბრძოლა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებისა წარსულის იმ საზიზღარ გადანაშთებთან, რომელნიც საბჭოთა ხალხის წინსვლას ჯერ ისევ აბრკოლებენ.

განა პეტა ლარაძე, ესტატე თაბაგარი, მირიანი, ხვარა, დარიკო, მისი მეგობრები ისეთივე თავგანწირული მებრძოლები არ არიან, როგორც ისინი,— ლოტკის გორაზე რომ დროებით დამარცხდნენ?

— ჩემი შვილი... ჩემი შვილი...—ამოხდა თავისთავად ისეთი თანაგრძნობით, ისე ხმამაღლა, რომ თავისივე სიტყვებმა თვითონვე შეაკრთო.

— ვინ თქვენი შვილი? — შეეკითხა კაპელდინერი თავაზიანი მზრუნველობით, ღაზლი სკამზე წყნარად დასდო და, წარმოდგენისათვის ხელი რომ არ შეეშალა, კარები ისევ მჭიდროთ მიხურა.

— აი ის... იქ რომ სტირის... — და გაახსენდა, რომ ყოველივე, — ეს მუდარა, ეს ცრემლები, ეს გამგმირავი სიტყვები ტყუილი იყო, ტყუილი ნამდვილივით ალალი და, შეიძლება, უფრო მართალიც.

თავისი თავი კარებთან მდგარი რომ დაინახა, გაუკვირდა. თითქოს დივანზე იჯდა და თვითონაც არ იცოდა, არ ახსოვდა როგორ მოვიდა, ან როგორ გაჩნდა აქ. თავისი თავის, თავისი ეგზომი გატაცების თვითონვე შერცხვა და უხერხულობისაგან ისე დაპატარავდა რომ მეკარეს ქვემოდან ამრეზილად ახედა, მაგრამ მას ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის, ისევ ღაზლს დასწვდა, ისევ ქსოვა დაიწყო.

აქ, ამ კედლებს შორის, მრუდი და მართალი ერთურთში ისე გაზავებულიყვნენ, რომ ვინ გაიგებდა სად თავდებოდა ტყუილი და სად იწყებოდა ნამდვილი. ალბათ, ამ ქალმა მისი კვნესაც თამაშად მიიჩნია და ამის წარმოდგენაზე ასლანს ჭირის ოფლი დაასხა, გული ისე ეტკინა, როგორც მაშინ, როცა დარიკომ ამ მოჩვენებით ცხოვრებას ის სიცოცხლით სავსე სინამდვილე ანაცვალა.

უცებ ტკაცუნით წამოშლილმა ტაშმა გამოარკვია.
კარი ვრცლად გაიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

მაყურებელნი ტაშს მხურვალედ უკრავდნენ. ზოგი მათგანი ალტაცებისაგან მისდა შეუმჩნევლად ორკესტრის მოაჯირთან მისულიყო, ზოვი თავის ადგილას უძრავად იჯდა და ნეტარების ღიმი სახეზე ისევ დაჰნათიდა, ხოლო სხვანი, წარმოდგენის ღრმა შთაბეჭდილებით გაოგნებულნი, გარეთ ნელა, ხმის ამოუღებლად გამოდიოდნენ და ნახულ-განცდილის მძლავრი გავლენით ჩაფიქრებულნი მოსაწევად გახაზირებულ პაპიროსს თითებით უგულისყუროდ სრესდნენ.

ახლად დაშვებული ფარდა შემოქმედებით გაწამებულ და ჯერ დაუშოშმინებელ ადამიანის მოქანცულ სულივით ოდნავ ირხეოდა.

პარტერის შუა გასასვლელში, სცენის მოშორებით, შავად გალაქული თხელი ფარატინა საწერი მაგიდა იდგა.

მიუხედავად ანტრაქტისა, დარბაზში სიწყნარე იყო, სიწყნარე ისეთი, ქარიშხლის განავარდების შემდეგ რომ ჩამოვარდება ხოლმე.

ის, რაც ამალამ აქ, ამ კედლებს შორის, მოხდა, ჯერ მაინც რეპეტიცია იყო, წარმოდგენას ჯერ დასრულებული სახე მიღებული არ ქონდა. ჩვეულებრივი მაყურებელი არც ამ ხალხს ეწოდებოდა, რადგან დღევანდელ გასასინჯ სპექტაკლის მნახველებს მთავრობის წევრები, სტახანოველები, მეცნიერები, ხელოვნების და ლიტერატურის მუშაკნი, ინჟინრები, მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ერთი სიტყვით, საბჭოეთის მოწინავე ადამიანები, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი წარმოადგენდა. აქ ადამიანის დაძაბული გონებრივი მუშაობის ყადრი ყველას ესმოდა და ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება დაბალი ხმით ელაპარაკა, ელაპარაკა ისე, რომ დიდი შთაგონებით ფრთაასხმული აზრი თავისი ამაო ჟრიამულით არ დაეფრთხო. ეს აზრი სულის იმ ამაფორიაქებელი მღელვარების შემდეგ ჯერ ისევ ფართხალებდა და მისი მუშაობა რომ არ შეეფერხებინათ, მაგიდისაკენ ჩუმად, მორიდებულად იცქირებოდნენ.

ასლან დემურია თავის მზახალს პირადათ არ იცნობდა, არც სახით ყავდა ნახული, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ის ჭალარა, არაჩვეულებრივად ლამაზი კაცი, მაგიდასთან ლაღად რომ იდგა, — ნამდვილად ის იყო. ცალი ფეხი მას ვენური სკამის საჯდომ ქვეშ მრგვალ ხარიხაზე ჩამოედგა, მუხლზე იდაყვით დაყრდნობილი ცალივე ხელი ძირს ჩაეკიდა, ხოლო მეორე შარვლის ჯიბეში ოდნავ ჩაეყო და მთელი ტანით გადახრილი თავის ახალგაზდა თანაშემწეს რაღაცას გაფაციცებით კარნახობდა.

დარბაზში თუთუნს მხოლოდ ის ეწეოდა და მის ირგვლივ იატაკი, საფერფლე და თვით მაგიდაც პაპიროსის ნამწვებით უხვად იყო მოჩეჩქილი. ზოგი ბოლომდე დამწვარი, ზოგი ოდნავ მოწეული, ზოგი სულ მოუწეველი, ზოგი ყლორტში გადატეხილი და ზოგიც ისე უწყალოდ დაღეჭილ-დაჭყლეტილი, რომ ყოველივე ეს მისი ჩამდენის ხანგრძლივ მღელვარებას, მის ფიქრთა წყვეტებასა და შფოთვას ცხადათ ამჟღავნებდა.

რამდენადაც ის ცხოვრებაში, ჩვეულებრივ პირობებსა და პირად ურთიერთობაში სადა იყო და სალბუნიანი, იმდენად შემოქმედებით მუშაობაში ავი იყო და თითქმის აუტანელი. სიტყვა-პასუხშიც თავდაუჭერელი და ხშირად უწმაწური, მაგრამ ის მთელ დასსა და საზოგადოებას მაინც იმდენად უყვარდა, იმდენად დიდ პატივსა სცემდა, რომ არავინ მის ამ ბოროტ თვისებას ყურა-

დღეებას არ აჭცევდა. მისი რეპეტიციები მუდამ დიდი დაძაბულობით მიმდინარეობდა. ამ დაძაბულობას მისი მოუსვენარი, გაავებული ენერგია ძიება იწვევდა, ძიება მხატვრული ჭეშმარიტებისა. როცა ის მუშაობდა, ყველაფერი გავარვარებულ რკინასავით ხურდა და ამ სიმხურვალეში მოსაძებნი—კიდევ უფრო იწრთობოდნენ. ხშირად აზრისა და ფანტაზიის უფრო მეტი დაძაბულობა რომ შეექმნა, სპექტაკლის რიტმს მოულოდნელად ცვლიდა, განზრახ ანჩხლობდა, შარზე იყო, თუმცა საყვირალი არა იყო რა. და ეს ყვირილი, ყვირილი იყო მისი ნამდვილის ძიებით შევიწროებული სულისა. ყოველ რეპეტიციაზე მისი გულისყური იქეთკენ იყო მიქცეული, რომ დარბაზსა და სცენას შორის, რაც შეიძლება მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა, ურთიერთობა, როცა მაყურებელიც მონაწილე, უშუალო მოზიარე ხდება შემოქმედებისა და თვით სპექტაკლისა. როცა ის ამას ვერ ახერხებდა, მოთმინებას კარგავდა, ისევ ანჩხლობდა, სულაწრიალებული აქეთ-იქით დარბოდა. ხან სცენაზე გაჩნდებოდა და მსახიობებს შავ დღეს აყენებდა, ხან ორკესტრში შეიჭრებოდა, ხან კულისებში დარბოდა და ხან ისევ პარტერში დაძრწოდა. გაბოროტებული უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა და, როცა დარბაზს მაინც ვერ ეუფლებოდა, გამწარებული მთელ გულის ჯავრს რომელიმე უგულისყურო მაყურებელზე იყრიდა. ისე უყვიროდა, ისე თათხავდა, როგორც თავის მსახიობს ცუდათ თამაშობისათვის.

პრემიერამდე წარმოდგენა მას თავის საკუთრებად მიაჩნდა. საზოგადოებას ჯერ მასთან ხელი არა ჰქონდა და ამიტომაც ებრძოდა იგი ასეთი თავგამეტებით ორივეს, ებრძოდა მსახიობსა და მაყურებელს, ებრძოდა იმიტომ, რომ მათგან ერთი განუყოფელი მთლიანობა შეექმნა.

ახლა ის არაჩვეულებრივად მშვიდათ იყო. თავისებურად აწყვეტილად აღარ ბორგავდა და გაცბუნებული ხანდახან აქეთ-იქით ისე გაკვირვებულად, ისე გაწბილებულად იცქირებოდა, თითქოს კითხულობდა — ეს რა მოხდაო.

ხშირად დამართნია ასე, ხშირად დაუკარგავს თავისი თავის რწმენა, ხშირად უნანია, რატომ ისევ აქციზის მოხელედ არ დავრჩიო. ხშირად უსვამს ეჭვის შხამი, მაგრამ კვლავ აღმდგარა, კვლავ მეფედ უგრძვნია თავი. ახლა, რაც ამალამ განიცადა, სულ სხვა გრძნობა იყო. არაფერი ამისი მსგავსი არასოდეს არ განუცდია.

დარიკომ უცებ ისე ლაღად, ისეთი გულწრფელობითა და შინაგანი მღელვარებით გაიტაცა თავისი როლი და როლთან ერთად მთელი დარბაზიც, რომ ასეთი დიდი ცოდნითა და გემოვნებით აგებული წარმოდგენა, ასე მწყობრად და ზუსტად გათვალისწინებული დადგმა ერთბაშად ბავშვის ხელით ნაცოდვილარ ხუხულასავით დაიშალა და სულ სხვა, უფრო წარმტაცი, უფრო ნამდვილი აშენდა.

ყველაფერი თითქოს ისევ ისე იყო და არც იყო.

სადღაც, სად, თვითონაც არ იცოდა, ერთბაშად ნამდვილი გული, ცოცხალი გული ისე მძლავრად აფანცქალდა, რომ ყველაფერი ჯანსაღი სისხლით აივსო, ყველაფერმა სული აიდგა. დარბაზსა და სცენას შორის უეცრად ისეთი მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა, რომ არც მისთვის და არც პიესის ავტორისათვის ადგილი აღარ დარჩა, ისინი ამ სპექტაკლში გარეშენი, ზედმეტნი აღმოჩნდნენ.

კარნახი შესწყვიტა.

ისევ ფიქრობდა, მიზეზს ეძებდა, მიზეზს თუ რათ იყო ის თავის თეატრში ასე დაუპატიჟებელ სტუმარივით.

წითლად დაღვარჭნილი ულაზათო ხელით ხან შუბლს ისრესდა, ხან ლალად ჩამოშლილ თმის კულულს თითზე იხვევდა, ისევ უშვებდა და ისევ იხვევდა.

დამსწრეთა მისდამი ესოდენ დიდი მორიდების გრძნობა ასულიერებდა, ძალაუნებურად გადაედო და დარბაზში ისევე ფეხაკრეფით გაიარა, როგორც ცუდათ გამაგრებულ შტოლნაში. არსად სხვაგან მას ამგვარი გრძნობა არ განუცდია. არც მაშინ, როცა ჯერ კიდევ ბავშვმა, ქარხანაში ფეხი პირველად შედგა, არც მაშინ, როცა ის სულ პირველად კრებაზე სიტყვით გამოვიდა და არც მაშინ, — თვრამეტ დეკემბრის იმ საშინელ ღამეს.

პეტამ მხოლოდ ახლა შენიშნა იგი და ერთის შეხედვითვე მიხვდა, რომ მუშა უნდა ყოფილიყო.

დააკვირდა, დააკვირდა, — რატომღაც დარიკო მოაგონდა და უცებ გულის ის დიდი ძგერა კვლავ მოესმა, თითქოს ის ახალი დიადი ცხოვრება ისევ აგუგუნდა, აგუგუნდა ქარხნის საყვირივით დაჯერებულად, მაგრამ მალე ამ გუგუნს სულ სხვა ფიქრნი აეფარნენ, ფიქრნი ბირნამიის შექსპირულ ბუდაგორიულ ტყესავით ულრანნი, უდაბურნი და იდუმალად აშრიალებულნი.

დემურიამ მის ჯიუტად მოჩერებულ თვალთა გამო თავი კიდევ უფრო უხერხულად იგრძნო და, წელანდელი მღელვარებისაგან ჯერ კიდევ გამოურკვეველს, გონგის მოულოდნელ ჟღარუნზე გულიც გონგივით აუჟღარუნდა.

ფუაიეებში, დერეფნებში ჯგუფ-ჯგუფად გაფანტული მაყურებლები დარბაზს ისევ მოაწყდნენ.

თავთავის ადგილებზე წყნარად, უხმაუროდ სხდებოდნენ.

ხალხს მხოლოდ ლოჟები და პარტერის წინა ნახევარი ეჭირა, მაგრამ შემდეგი აქტის მოლოდინით აღსავსე მღელვარება მაინც ისე მძლავრად იგრძნობოდა, თითქოს თეატრი სავსე ყოფილიყოს. ლარაძემ პარტერს თვალი გადაავლო და ამ ხალხისაგან თავი კიდევ უფრო განმარტოებულად, კიდევ უფრო გარიყულად იგრძნო. ასე მხოლოდ სიზმარში დამართნია, — ყვირის და ხმას ვერ იღებს, ახლაც ისე იყო, — ყვიროდა და ხმას ვერ აწვდენდა, თითქოს ხალხთან დაკავშირებული გულის ყველა ძარღვები ერთად დააწყდა.

— ნუთუ? ნუთუ? — შეეკითხა თავის თავს და რა „ნუთუ“ თვითონაც არ იცოდა.

ირგვლივ არ ისმოდა ის გულახდილი, ჩვეულებრივად ხალისიანი ჟრიამული, თეატრში სადღესასწაულო განწყობილებას რომ ჰქმნის ხოლმე, და ურომლისოდაც მას სიცოხლე არ შეეძლო. არ ისმოდა არც ის სულშეტაცებული ჟრუანტელიანი კისკისი სიცოცხლით სავსე ქალიშვილებისა, რომელიც მის ფანტაზიას ასე ამძაფრებდა, არ ისმოდა არც ის მღელვარე საუბარი, რომელსაც ყოველი ახალი წარმოდგენის ანტრაქტებში აქვს ხოლმე ადგილი.

ახლა ყველგან სიწყნარე იყო და რამპითა და საფიტით განათებულ ფარდის იქიდან ყრუდ მოისმოდა როგორ მიაჩოჩებდნენ იატაკზე რაღაც სიმძიმეს და როგორი სიფრთხილით აჭედებდნენ ლურსმანს რაღაცასავე.

პეტა სცენისაკენ ზურგშექცევით იდგა. თავის ფიქრებს ისე წაეღო, რომ იცქირებოდა და არას ხედავდა.

იქნებ, ტყუილ-უბრალოდ არ დაუჯერა არც სარეპერტუარო კომიტეტს, არც მირიანსა და არც ხვარას? იქნებ, ცხოვრებას ჩამორჩა და აღარ ესმის თავისი ხალხის მაჯის ცემა! იქნებ იმიტომ ვერ პოულობს მის აძგერებულ გულს?

მხოლოდ ახლა, დარიკოს ასე ბუნებრივად თამაშის შემდეგ შეიპყრო იგი ამ შიშმა. ეს ბუნებრივობა ძირეულად განსხვავდებოდა მისი ბუნებრივობისაგან. იქნებ, ეს თაობათა უბრალო განსხვავება იყო.?

— ვინ იცის! ვინ იცის! — ამოხდა და შუბლზე ჭირის ოფლმა გამრეცონა.

განა ისიც ამისთვის, ამ ბუნებრივობისათვის, არ იკლავდა თავს? რამდენი შრომა, რამდენი ენერგია დახარჯა, რომ ეს წარმოდგენა და განსაკუთრებით უკანასკნელი სცენა, სცენა, სადაც ქმრისადმი სიყვარულით გაბრაზებული ახალგაზდა დედინაცვალი თავის მძინარე გერს უწყალოდ ლუპავს, რაც შეიძლება, ბუნებრივი და ადამიანური ყოფილიყო. განა ამიტომ არ გაიხსენა მან ის თავისი შორეული წარსული, ამიტომ არ აღადგინა მან მეხსიერებაში თვრამეტი დეკემბრის ის ჯოჯოხეთური ღამე და ის საწოლი ოთახი, სადაც პატარა მირიანს ბადიან ლოგინში დედის გვერდით ტკბილად ეძინა? იქიდან, ლოტკის გორიდან, სროლის ხმა მოისმოდა. კობას შევარდნები იმ თოვლიან ღამეში ბნელეთს თავგანწირულად ებრძოდნენ, სინათლისაკენ მიისწრაფოდნენ. ახლა, იმ აღდგენილ საწოლ ოთახში, სროლის მაგიერ, ქარიშხლის ზუზუნი მოისმოდა. დარიკოც, მისი საყვარელი რძალი, თავისი ღამის პერანგით იმას აგონებდა, — თავის მარინეს. ის დაჭრილი რაზმელიც... პეტას მუდამ აკვირვებდა დარიკოს ზუსტი გრძნობა სინამდვილისა, აკვირვებდა მისი გულითადობა, განცდათა სიღრმე და უშუალობა. ყოველივე ეს მას იქიდან მოჰქონდა, საბჭოთა დიად სინამდვილიდან და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ის თავისი სინამდვილე, რომელიც მას იმ შავბნელ წარსულიდან მოჰყვა, მართლაც აღდგენილია; რომ მაშინ სხვა ხალხი, სხვა იდეები, სხვა ვნებანი მოქმედებდნენ და ის ამ ვნებებს დღევანდელ ადამიანს ახვევდა თავსა, რომ იმ დიად წარსულში დიადივე დღევანდელობის მოთავსება განიზრახა და მით ისედაც ყალბი პიესა კიდევ უფრო გააყალბა. დარიკომ თავისი ალალმართალი ბუნებით ვერ მოითმინა ეს სიყალბე, ერთის განძრევით დაწყვიტა ეს არტახები და ვილაც გამოგონილი დედაკაცის მაგიერ თავისი თავი, თავისი განცდები იმ დიად წარსულზე დაყრდნობით ასე მდიდრულად, ასეთი მომჯადოებელი მრავალფეროვანებით განასახიერ. პეტა მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ის ტყუოდა, რომ დარიკო ვერავითარ ტყუილს ვერ იტანდა, ვერც მისი ტყუილი აიტანა და ამიტომ დაიშალა, გაცამტვერდა მისი ხუხულაც.

როცა ის ჯერ კიდევ ქარხანაში მუშაობდა, ხშირად შესჩიოდა მამამთილს:

— მე მიყვარს ქარხანა, მიყვარს და იმიტომ მინდა სცენას ვემსახურო. იქ მე ისე ვარ, თითქოს ძალად დამაყენეს და თავს ჩემს ადგილას არა ვგრძნობ. თითქოს ვტყუი, ვტყუი ჩემ თავთან, ვტყუი ჩემი ქვეყნის წინაშე...

ალბათ, მშობელი მამაც ასევე ატყუებდა მას, ატყუებდა ისევე უნებურად, როგორც ის, პეტრე ლარაძე. ამიტომ, ამ დიდი სიყვარულის გამო, დატოვა მან თავისი მშობელი, ასევე დატოვა მან ისიც, თავისი მამამთილიც...

გონგი მესამედ აჟღარუნდა.

დარბაზი დაბნელდა.

გონგის ჟღერა ის იყო მიყუჩდა, რომ მყუდრო ბინდებში ვიოლინოები აკვნესდნენ.

ხალხი გაჩქურდა. თითქოს ეს კვნესა იქ, ორკესტრში, კი არა, მათ გულში გაისმოდა.

მამაკაცივით გულითადათ ატირებულმა სევდიანმა ჩელომ მეგრული ნანას უნაზესი მელოდია ვიოლინოებს ჩამოართვა, და ახლა ის გმინავდა განმარტოებულად, მაგრამ ნელიად წამოპარულმა ორკესტრმა მისი გმინვა გულში თანდათან ჩაიხვია. დარბაზი გაქრა.

გაგანია შუადღის ხვატი კოინდარით მწვანე დაბიბინებულ ეზოში სულის შემხუთავად ზუზუნებს.

დახავსებული ხის გვიმიან ჭასთან ოწინარი ცაში გაყრილა და ატალახებულ წუმპეში ოქროსფრად გაქულული იხვის ჭუჭულები ხალისიანად ჭყუმპალაობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი მხალით თავწაკრულ დედას ჭანდრის ჩეროში ბავშვი ამოუდგამს.

— რულია, ნანა!

— რულია, რულია! — ღილინებს სიყვარულით გულამომჯდარი და აკვნის რწევაში ხარიხაზე შებმული შარნა და ზიზია კაკილები რულის მომგვრელად ხაჭუნობენ.

გვალვა ზუზუნებს, ჭიჭინობელი ყურძენს ამწიფებს, თალარადან მოისმის დიადი ნადური სიმინდის მთოხნელი გლეხებისა.

მამა ეწერშია, ბაბუა ყანაში, ბებია ბოსტანში, ეზოს გუშავს, ძალლს ეჟგერიას, მაგნოლიის ჩრდილში თავისივე თათზე წასძინებია. იმ ღობემძვრალა, ქურდბაცაცა წითელ ტურას დრო უხელთნია და ცხენზე ამხედრებულს, იარაღასხმულს, ულვაშები ყურებივით გაუწკვერტია, ყურები ულვაშებივით გაუცქვეტია.

კოინდარში გაკვალულ ბილიკივით გრძელი ბომბორა კუდი მხარზე დარდიმანდულად მოუგდია და პირს აცმაცუნებს, კბილს აკრაჭუნებს, აკვანს ფეხაკრეფით, თვლემასავით ლბილად ეპარება.

ძილის ბურანში ზარხოშიანად აღულუნებულმა ბავშვმა თვალი შეასწრო ავაზაკს და ის იყო შიშით უნდა ატირებულიყო, რომ დედამ შეუტია:

— სისა, ტურა!

— სისა, ტურა!

და ის აბრაგი, ის გაიძვერა ისევ ანწლებში იმალება.

ისევ ზუზუნებს გვალვა, ისევ ჭრიჭინებს მწიფობელი, ისევ გუგუნებს ყანური და ირგვლივ დგას მიწის, დედისა და რძის ტკბილი სურნელება.

ოდიშის განიერი ცარგვალის ეს დიდი სევდა ლარაძეებს იქ, ზურტაკეტის მაღალმთიან მდელოებში, თან გაჰყოლიათ და თრიალეთის თოშიანი ზამთრის ნამქრიან-ქარიშხლიანი ღამეები შავად ებურებიან.

ქარბუქი ღმუის და მთა შამბიანზე გადმომდგარი ცხრათავიანი მდევი გათენებამდე ბუქნავს, ბულრაობს და ცხრავე პირით ცხრაპირ სიმღერას ლოთიანად აკრიმანჭულებს.

ისევ ისმის ნანა.

ისევ გალობს დედა.

გიჟური ქროლვით დაღლილი ქარი თავისივე მკლავზე სისინით წვება და წუთით ისვენებს.

მკრთალად განათებული ფარდა აქეთ-იქით ნელად იწევა და სცენაზე ბავშვის საწოლი ოთახი ნელადვე ჩნდება.

ეს ოთახი... ეს კედლები...

ასლანს ტანში გააჟრჟოლა, თვალი დახუჭა, ისევ გაახილა და შეშფოთებული უნებურად ადგა, უნებურადვე დაჯდა.

ამ ოთახში ის დაჭრილი იწვა. ამ ოთახში სისხლისაგან იცლებოდა და თავს ვილაცა კაცი, ვილაცა ქალი მზრუნველობით დასტრიალებდნენ.

ის ბადიანი ლოგინი... იატაკზე მიყრილ-მოყრილი აულაგებელი სათამაშოები...

ღამის სანათი ასევე ნაზად, ასეთივე სიასამურით ცრიდა ვარდისფერ ბინდებს.

ოთახში ისევე თბილოდა, ისეთივე ტკბილი სუნი იგრძნო რძისა და ბავშვის, ოღონდ ის მყუდროება, იმღამინდელი გულის მომკვლელი დუმილი არ სუფევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ ქარი ქროდა და ფანჯრის მინებს ისე ღონივრად ურტყამდა, რომ სიცივემ აიტანა.

მაშ ის კაცი, იმ საშინელ ღამით წითელრაზმელი ასლან დემურია დაღუპვისაგან რომ იხსნა, პეტრე ყოფილა! ის ბავშვი, მაშინ ისე ტკბილად, ისე უზრუნველად რომ ეძინა, მირიანი ყოფილა!

ვიოლინოები კვლავ გულითადათ კვნესდნენ, კვლავ ნაღვლიანად გმინავდა ჩელო.

გარეთ ქარი ისევ შხუოდა. ხან მარტის კატასავით საზარლად კნაოდა, ხან ნაცემ ძაღლივით საცოდავად წკმუტუნებდა, ხან შეცხადებულ ქალივით განწირულად კიოდა და ხან შეშლილივით ხმამაღლა ხარხარებდა. სადღაც სახურავის ნახევრად აგლეჯილი თუნუქის ფურცელი თავგამაბეზრებლად რახუნობდა.

ღამის სანათი ისევ ცრიდა ვარდისფერ ბინდებს, ისევ ავრცელებდა ირგვლივ მყუდროებას.

პეტრე ლარაძე ჯერ ისედაც ღელავდა და ახლა მისგანვე აღდგენილი ღამე თავისი წარსულისა თვალწინ ისე ცოცხლად დაეხატა, ისე მკაფიოდ წარმოუდგა, რომ წონასწორობას თანდათან კარგავდა.

თეატრი მისთვის ცხოვრება იყო. ეს ცხოვრება მის არსებას ისე ჭარბად ავსებდა შინაარსით, ისე აღელვებდა, როგორც სინამდვილე. ამიტომაც იყო, რომ მარგარიტა გოტიეს ან მეფე ლირის მწუხარებას ნამდვილად განიცდიდა და მათ ბედს ჩუმად, უხმოდ დასტიროდა.

ახლაც, მისი გვარის პირველსაცხოვრისის ტკბილმა მელოდიამ, იმ საშინელი ღამის მოგონებამ გული აუჩუყა, თვალი ცრემლით აუვსო. ის დაჭრილი რაზმელი, ის მღელვარება კვლავ გაცოცხლდა. პატარა მირიანს მაშინაც ასევე ტკბილად, ასევე უზრუნველად ეძინა და ჩვილი ბავშვის რძისებურ სურნელებას ისევე მასალბუნებლად, ისევე გულის დამაამებლად განიცდიდა.

— განა ხელოვნების საიდუმლოება მხოლოდ შენი თავის, ან შენ განცდათა განსახიერებაში მდგომარეობს? — შეეკითხა თავის თავს ვინ მოსთვლის ეს მერამდენედ და დავა საკუთარი განცდებისა თუ სხვისი განცდათა განსახიერებისა, რომელიც დენი დიდრომ თავის შრომაში ასე ბრწყინვალედ გამოხატა, ისევე გადაუწყვეტელდა დარჩა მისთვის. კინი-ჰამლეტი სცენიდან საგიჟეში მიჰყავდათ, ხოლო აირა ოლრიჯი დეზდემონას დაკვლის შემდეგ კულისებში თავის საყვარელ შემწვარ კარტოფილს არხეინად შეექცეოდა. დარბაზში კი ამ დროს მისი შემზარავი თამაშით შეძრწუნებულებს წყლით აბრუნებდნენ.

პეტრე თავისი შეცდომის მიზეზს აქ ეძებდა და, რომ ვერ იპოვნა, ჭირის ოფლი დაასხა. სადღაც ტყუვდებოდა, სადღაც რაღაცა ეშლებოდა, მაგრამ სად ან რა, ვერაფრით ვერ გაერკვია.

შუბლი ღონივრად მოისრისა და აბეზარად აკვიატებული ფიქრები მით მოიშორა.

რეზინის ჭრელი ბურთი და შავი გუტაპერჩის ფეხმოგლეჯილი ზანგის თოჯინა იატაკზე ისევე ეგდო, როგორც იმ ღამეს. ბორბლებზე შემდგარი ბედაური ბავშვის ლოგინთან უხმოდ ჭიხვინებდა და ხის პატარა სავარძელში გადაბღენძილი პლუშის მსუქანი დათუნია შუშის სულელური თვალებით კავშა ცხენს თათაპყრობილი განცვიფრებულად შესცქეროდა. მხოლოდ მის მარინეს არ ეძინა შვილის გვერდით. იმისი ლანდი ბავშვის ლოგინზე დამხობილიყო და

მშობლურ ნანას ისე მწუხარედ გალობდა, თითქოს თავის განწირულ ბირმშოს დასტიროდა.

პეტრე საწერ მაგიდას იდაყვებით ღონივრად ჩამოეყრდნო, და თითოლა მით დაიოკა.

ელოდა როდის გამოჩნდებოდა სცენაზე ჯოჯოხეთური სიყვარულითა და ეჭვებით გაწამებული დარიკო, დარიკო, რომელსაც მისი შვილი, მისი მირიანი, უნდა დაეღუპა.

ასე დაიჯერა მიქელ ანჯელომ თავისივე ხელით შექმნილი მოსე წინასწარმეტყველის სიცოცხლე და, რომ არ ადგა, შუბლი ჩაქუჩით გაუტეხა.

ასევე სჯეროდა ლარაძეს თავისივე ოცნების სინამდვილე და, როცა ის მართლა გაცოცხლდა, თვითონვე შეეშინდა.

— ეს რა ჩავიდინე! ეს რა ჩავიდინე! — ამოხდა შეშფოთებულს და მხოლოდ ახლა მიხვდა თუ რა საშინელებას წარმოადგენდა ეს მისგანვე სულადგმული პიესა თავისი შინაარსით, მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რათ ეწინააღმდეგებოდა მას სარეპერტუარო კომიტეტი, რათ აღელვებდა იგი მირიანსა და ხვარას. მიხვდა, რომ დადგმის ამ ბუნებრივობით, დარიკოს თამაშის ადამიანურობით, ეს სცენა კიდევ უფრო საშინელი იყო და შემზარავი.

სამწუხაროა, სამწუხარო და საშინელი ცხოვრებაში მომხდარი დანაშაული, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა, კიდევ მეტი დანაშაულია, როცა მას ხელოვნების საგნად აქცევენ.

— რათ არ დავუჯერე! რათ ვენდე მარტო ჩემ თავს! — ბუტბუტებდა შეძრწუნებული და რატომღაც ჩენჩის საშინელებანი მოაგონდა. განა ეს ნადირი თავისი ავხორცობით საკუთარი ასულისადმი უფრო შემზარავი არ არის შელის პიესაში, ვიდრე ქრონიკაში? განა ხელოვნება ცხოვრების გააზრებას არ წარმოადგენს? განა ხელოვნება ცხოვრების ერთერთი მთავარ მამოძრავებელი ფაქტორთაგანი არ არის? მაშ რამ დაადგმევინა ეს პიესა, რა ათამაშებს ასეთი გატაცებით დარიკოს?—და თავისივე რძლისადმი მისდა მოულოდნელად ისეთი მძულვარებით აღივსო, რომ თავისი თავის კვლავ თვითონვე შეეშინდა.

ერთი რამ მუდამ აწუხებდა პეტრეს და ამ წუხილს მუდამ ის იწვევდა,— რამდენადაც უშუალო იყო და თავდავიწყებული ხელოვნებაში, იმდენადვე ბზარიანი იყო და გაორებული ცხოვრებაში. იქნებ, ეს მდგომარეობა შეიცავდა იმ შეცდომას, შეცდომას, რომ ხელოვნებისა და ცხოვრების ერთ მთლიანობაში მოქცევას ვერ ახერხებდა? თითქოს მის გვამში ორი ადამიანი ჩათესლებულიყო, ერთი ცხოვრობდა, მეორე თვალყურს ადევნებდა. უდიდესი მწუხარებისა, ან სიხარულის დროს ხშირად გრძნობდა როგორ უთვალთვალებდა ერთი პეტრე მეორე პეტრეს და ხშირად ისეთ ინტიმურ წუთებშიც კი, რომ თავისი თავის თვითონვე შერცხვენია. ახლაც იმ აღშფოთებასთან ერთად, რომელიც მას თანდათან მძლავრად იპყრობდა, სიხარულიც თანდათან მძლავრადვე ეუფლებოდა, სიხარული, რომ ის თავისივე სპექტაკლის ქსოვილში, როგორც იქნა, განუყრელ ნაწილად შევიდა.

დარიკო დღეს ისე განსხვავებულად ასრულებდა თავის როლს, რომ პეტა მიამიტ დამსწრესავით ელოდა როდის გამოჩნდებოდა იგი სცენაზე, როდის გაუღებდა მძვინვარედ მოწოლილ ქარს საწოლი ოთახის ფანჯარასა და შიგ შემოჭრილი ზამთრის თოში როგორ შეახებდა მძინარე ბავშვს თავისი სასიკვდილოდ ასისინებულ ფრთებს.

მუსიკა მიწყდა.

დარბაზში დუმილი ჩამოვარდა.

სიჩუმეში უნაზესი ნანა ოდნავ გასაგონად კვლავ გაისმა. გარეთ ქარი ისევ ისე საწყალობლად ზუზუნებდა და დარიკომ ოთახის კარი ისე წყნარად შემოაღო, რომ ერთხანს არავის შეუმჩნევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამით თეთრ პერანგში ის იმდენადვე მიმზიდველი იყო, რამდენადაც საშინელი.

თავისი საზარელი განზრახვა მასვე აძრწოლებდა, კრთოდა და ფეხზე ძლივს იდგა. შინაგანი წყვეტებით დაოსებული კარს ზურგით მიეყრდნო, მაგრამ თავისთავად მიხურული საგდული მოულოდნელად გამოეცალა და კინალამ წაიქცა.

— ღმერთო, ღმერთო! — დაიძახა გულის სიღრმიდან ამოვარდნილი ხმით და ამ გოდებაზე დარბაზში ჟრჟოლამ გაირბინა.

ნაბიჯი წარსდგა, მაგრამ იქვე გარინდდა, გარინდდა ისე, თითქოს წინ გათხრილი უბსკრული მხოლოდ ახლა დაინახა.

იქ, ლოგინში, ნანულის ეძინა და მის საწოლს თვალს თან დაწყევლილივით ირიდებდა და თან თავის სატანჯველს ისეთი უსასოო მორჩილებით გამოთქვამდა, თითქოს თავს თავისივე წინაშე იმართლებდა, მაგრამ რომ ვერ ახერხებდა, კანკალი თანდათან მძლავრად იტანდა. უცებ ადგილს მოსწყდა. გაქანდა ისე, თითქოს უბსკრულში ეშვებოდა, მაგრამ უცებვე შედგა. მუხლმოყრილი თავისივე თავს ისეთი მკაფიო სიტყვებით მიმართავდა, თითქოს ეშინოდა ენა არ შემეშალოსო.

დარბაზი გაყუჩდა.

უკანა რიგში ვიღაცის თავშეკავებული ქვითინი გაისმა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის არ მიუქცევია...

— შვილო! შვილო! — მოესმა დარიკოს დარბაზიდან მთრთოლვარე ჩურჩული და თითქოს ამ ოხვრამ მისცა ღონე, ძალა მიანიჭა და მოწყვეტილი წელი ძლივს აითრია, სივრცეს შესჩივლა:

— ცოდვა ვარ! ცოდვა ვარ! — და ხელები ჰაერში ფოთლებივით უსაგნოდ აასავსავა, უნდოდა ეკივლა, მაგრამ არ იკივლა.

— ჩემი შვილი! ჩემი შვილი! — ჩურჩულებდა ასლანი ისე, როგორც წელან ფუაიეში დახურულ კართან და უცებ მიხვდა, რომ ეს თამაშა როდი იყო, ეს ცხოვრება იყო და მისი დარიკო რომელიღაც უჩინარსა და საშინელ მტერს თავგამეტებულად ებრძოდა მტერს, რომელიც საბჭოთა სინამდვილეში, ოჯახში, ყოველი ჩვენგანის ყოფაცხოვრებაში, სულში მიმალულა. მიხვდა, რომ ის ახლა ამ მტერს ისეთივე თავგანწირულებით ებრძოდა, როგორც ის, მისი მშობელი, იმ საშინელ ღამით ბნელეთს. დარწმუნდა, რომ ის დიდი ბრძოლები ჯერ არ დასრულებულა, რომ ეს ბრძოლა გაგრძელებაა იმ ბრძოლებისა, სადაც მან თავისი სისხლი დაღვარა.

დარიკო გრძნობდა, რომ ისე მძლავრად, ისეთი სიღრმით მას თავისი როლი არასოდეს არ შეუსრულებია. გრძნობდა, რომ იგი მაყურებლებში ზიზღთან ერთად, აღტაცებასაც იწვევდა. ეს გრძნობა მას კიდევ უფრო იტაცებდა და იმ დიდ ტანჯვასთან ერთად, რომლითაც მისი გული ასე ავსებულიყო, დიდ სიტკბოსაც განიცდიდა. მან მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ შემოქმედება ადამიანის არსებაში დამარხულ სულიერ ძალთა გამომჟღავნებაა და ისიც მთელი დაძაბულობით ამჟღავნებდა ახლა ამ ძალას.

— სიცოცხლე! სიცოცხლე! — გაიმეორა ეს სიტყვები, სიტყვები რომლებიც აქამდე ასე ყალბად ეჩვენებოდა, ისეთი გრძნობით, რომ... უცებ გაყუჩდა, — მის წიაღში თითქოს ამ ძახილით მოწოდებული სიცოცხლე მართლა აფართხალდა.

ღარიკო ხუთიოდე თვის ფეხმძიმე იყო და ახლა ბავშვი პირველად ეძრა.

წუთით შეცბა, მაგრამ იქვე გაისაზრა რაც მოხდა და ტანს ფრთხილად სითბო საამოდ შემოუბერა.

ყური მიუგდო, — ფართხალი შეწყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიცოცხლე! სიცოცხლე! — უნდოდა ეთქვა, მაგრამ არაა სთქვა.

არასოდეს ქმართან ყოფნა ისე არ მონატრებია, როგორც ახლა, რადგან ეს ბედნიერი წუთები მხოლოდ იმისი საზიარო იყო.

არაფერი მისგან არ უნდოდა, არც ალერსი, არც ლოლიავი, არაფერი, გარდა მისი სიახლოვისა და ხელის ვაჟკაცურად ჩაჭიდებისა. უხაროდა, როგორ უხაროდა, რომ ის ამიერიდან მხოლოდ ცოლი, მხოლოდ სატრფო როდი იყო, — დედაც იყო, მშობელიც იყო და ახლა კიდევ უფრო მძლავრად იგრძნო თუ რა დიდი ბედნიერება ყოფილა მასთან სიცოცხლე, სიცოცხლე, რომელიც მისი სიცოცხლისაგან იყო დამოკიდებული. ბედნიერების ეს დიდი მოლოდინი მის არსებაში თურმე ჯერ კიდევ მაშინ ირწეოდა, როცა ის სიმინდის ფოჩიან ტაროებისაგან გაკეთებულ ტიკინებს ელოლიავებოდა და მათთან ერთად ბურჭალობდა. ბედნიერების ეს გაურკვეველი წყურვილი მის გულს მუდამ აწამებდა და აქამდე არ იცოდა, რომ ის თურმე ამ წუთის მოლოდინი ყოფილა.

მირიანი აქ არ იყო და მხოლოდ ახლა ჩასწვდა, ახლა მიხვდა თუ რაოდენ ღრმა იყო, რაოდენ შინაარსიანი მისი ეს დაუსწრებლობა. ახლა შეიგნო იმისი და ხვარას მშფოთვარების დიდი აზრი და იმის მოგონებაზე, რომ ის ოდესღაც ამ სიცოცხლის ჩაკვლას აპირებდა, თავზარი დაეცა. იმის მოგონებაზე, რომ ახლა მან ფანჯარა უნდა გააღოს და სიკვდილს მოუწოდოს, სიკვდილს ამ სიცოცხლის დასალუპავად, ტანში შიშით გააჟრჟოლა.

დარბაზს თვალი მოავლო.

წუთით ეოცა კიდეც თუ რათ იდგა იგი აქ ასე გამოსაჩენად.

წუთით გაახსენდა როგორ ოცნებობდა, როგორ შეეხაროდა ამ დღეს, დღეს, როცა ფეხს დიდ სცენაზე შედგამდა.

— როცა ქარხანაში ვარ, — შესჩიოდა ოდესღაც მირიანს, — ასე მგონია, ეტყუი-მეთქი, ასე მგონია, სხვის ადგილას ვარ და სხვისი ხმით ვმღერი... მე კი მინდა, რომ მე მე ვიყო... შენ რომ მიყვარხარ, — მე ვარ, როცა მაწუხებს რამე მაშინაც მე ვარ, ასევე მინდა, რომ იქ ვიყო, სადაც მე მუდამ მე ვარ და არა სხვა.

— მსახიობი ხომ სხვაა?

— არ ვიცი მირიან... მე თვითონ არ მესმის... — მიუგო თითქმის სასოწარკვეთილად და პასუხი მაშინ მით აირიდა.

და განა ის, ამ ერთი წუთის წინ მის წიაღში რომ აფართხალდა, სხვა და ამავე დროს თვითონვე არ არის?

მაშინ ამ სიმართლეს იგი სხვაგან ეძებდა და ის კი თურმე მის არსებაში ყოფილა! და განა არის რამე შენი საკუთარი თავის პოვნაზე ძნელი? მაშინ პასუხი აირიდა და ახლა ნანობდა, რომ ის, მხსი ქმარი, აქ არ იყო, ნანობდა, რადგან დღევანდელი მისი ყოფა იმ კითხვის პასუხად მიაჩნდა.

პეტრე ლარაძეს არ ესმოდა რა დაემართა ამ ქალს, რამ ამოაგდო ის ასე უეცრად წარმოდეგნის საერთო წყობიდან და ის მძულვარება ყელში მოუთმენელ ბოლმად მოებჯინა.

— ჩერჩეტო! სულელო! — ისე მოულოდნელად, ისე საზარლად აყვირდა იგი, რომ მისმა მრისხანებამ მთელი თეატრი მოიცვა. თითქოს თავისი რისხვა გულის ქადილს მატებდა და ისე მძლავრად, ისე თავგამეტებულად აყვირდა, რომ

სცენა, ორკესტრი და დარბაზიც შიშმა შეიპყრო. ყველა გაილუსტა, არავინ ხმას არ იღებდა.

დარიკომ კარგად იცოდა თავისი მამამთილის ხასიათი, იცოდა, რომ ყველას ასე არ უყვიროდა, რადგან მათ მხატვრულ ალლოს დიდათ უნდობოდა. ერთ ამათგანს ისიც წარმოადგენდა და ახლა ეს რისხვა მისთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გაშეშდა, ადგილიდან ფეხი ვერ მოიცვალა. არასოდეს, არსად ის ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილა. გული რისხვით აქვსო და გაგიროზებული მის დასახვედრად გაემზადა.

პეტრე მაინც არა ცხრებოდა

მან იმდენი მღელვარება, იმდენი შინაგანი ბრძოლა და ჯახი განიცადა მის გადამკიდე ამ წარმოდგენის განმავლობაში, რომ მთელი ბოლმა და ლოშქრი ერთბაშად ამოანთხია.

— შტერო! უნიჭოვ! პრემიერი გინდა რომ იყო, არა? ჯერ არ მოსულხარ და ახლავე პრემიერობ? მე შენ გაჩვენებ, მე შენ გაჩვენებ! — ყვიროდა ხმის ჩაწყვეტამდე. მსგრამ მარტო ეს უდიერობა როდი აკმარა, — მუშტის ქნევით, ლანძღვა-თრევით მისკენ გაქანდა და ერთ წუთში ორკესტრის თავზე საბელდახელოდ გადგმულ ფიცრის ბოგირზე გაჩნდა. ბრაზით ისე იყო დამთვრალი, თვალდაბნელებული, რომ ბინდში ფეხი უცაბედათ რალაცას წაჰკრა და კინალამ სცენის ტრიუმში გადაიხაფრა.

ირგვლივ დუმილი იყო.

თეატრში მხოლოდ მისი ბორგვა და ღრიანცელი ისმოდა.

— თავიდან, ახლავე თავიდან დაიწყე! — და ხმა უცებ ჩაუწყდა, უკან გაცბუნებულად დაიწია.

დარიკო ისევ ამაყად იდგა და მამამთილს კუშტად, ზვიადათ დასცქეროდა. ის ისე უკარებელი იყო და უმწიკვლო თავისი მრისხანებით, ისე ამპარტავანი და დიადი, რომ პეტრეს ენა ჩაუვარდა. გაკვირვებულმა ერთ ადგილას ფეხები სასაცილოდ აატუსტუსა, ხელი ჩაუქნია, სცენა ბურტყუნით მიატოვა და თავის ადგილას, კი არ დაჯდა, უსიტყვოდ დაეგდო.

დარიკო ისევ ისე იდგა და ისევ ისე მშვიდად იცქირებოდა, იცქირებოდა ისე, თითქოს ის რისხვა მას არც შეეხებოდა. მერე თავი წყნარად აიღო, — სცენას, დეკორაციებს, ბუტაფორიულ დგამს თვალი წყნარადვე მოავლო და ერთბაშად ყველაფერი ისეთ უბადრუკობად მოეჩვენა, რომ თავისი თავის თვითონვე შერცხვა. შერცხვა, რომ ამ ნაჯღაბნ ჯვალოებში, ფანერისა და პაპიემაშეს ამ ცრუ დადგმულობაში, ამ ყალბ სინათლეში ის შესანიშნავი, ის სისხლჭარბი სინამდვილე ასე დაუფიქრებლად გაცვალა. შერცხვა, რომ ყოველივე ეს ოდესღაც, თუნდაც დღეს დილით, სიმართლე რომ ეგონა. მას შეჰფრფინვიდა, მას ენუკვოდა და თვალი მხოლოდ ახლა აეხილა, ნამდვილი მხოლოდ ახლა დაინახა. მიხვდა, რომ მისი მირიანი და ხვარა მართალნი იყვნენ. მიხვდა, რომ ლარაძე და კახაბერი აიძულებდნენ, რომ მან თავის თავს ულალატოს, იცრუოს და მათი ფანტაზიით მოჩმახული ვილაც საზიზღრი დედაკაცის მტრული განცდები თავისად მიიჩნიოს. მერე განა მისი მოტეხვა აგრე ადვილია? არასოდეს, არსად ის ცრუ არ ყოფილა. არასოდეს, არსად ტყუილი არ უთქვამს და აღზარდა ივი საბჭოთა სინამდვილემ, ასე ასწავლა მამამ, ასე შთააგონეს პარტიამ, კომკავშირმა და ახლა ესენი მოითხოვენ, რომ მან, ცხრაასხუთი წლის წითელრაზმელის შვილმა, ფანჯარა გაულოს ბნელ ძალებს და ეს ბედნიერი სინამდვილე, ეს ბრწყინვალე სიმართლე თავისივე ხელით დალუპოს? ეს ყალბი პიესა, ეს უბადრუკი დეკორაციები მათ დღის სინათლეზე გამოუტანიათ, თვი-

თონვე დაუჯერებიათ და ახლა იმასაც არწმუნებენ, რომ ყოველივე ეს მისი დიადი დღეა, მისი დიადი სინამდვილე.

ფარდა დაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.

საწერ მაგიდაზე ფოტოგრაფიული სურათი იდო.

ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი ზღვის პირად ტროპიკულ ბაღში აშლილ უზარმაზარ ბანანის გაზეთებივით ვრცლად ჩამოფენილ ფოთლებს ქვეშ შეფარებულიყო და ლაღად, თავდავიწყებით იცინოდა. ლონიერი ყბა სიცილში ვნების აღმძვრელად ოდნავ მოქცეოდა და თეთრი, მიჯრით მიწყობილი ჯანსაღი კბილები ისე მომხიბლავად ელავდნენ, რომ ხვარას თავისი დანთქმული ბედნიერება დღეგანდელ დღესავით გაახსენდა.

ეს სიცილი ხვარას სიცილი იყო, სიცილი, რომელსაც ყველა შეხაროდა, და იმან წაართვა, ეს ხალისი ხვარას ხალისი იყო, ხალისი, რომელსაც ყველას უზიარებდა, და ისიც იმან წაართვა. ახლა? ახლა მარტოდმარტო დარჩა, დარჩა ნავიდან გადაგდებული, გაძარცვული, შვილის სიკვდილით გულმოკლული.

ახლა ის იქ არის, თეატრშია...

სურათი იქით მიაგდო და, თავისი მდგომარეობა რომ წარმოიდგინა, შეციებულსავით გააჟრჟოლა.

ის უბედური დღე გაახსენდა, დღე, როცა დათა ამ ოთახიდან საკაცით გაიტანეს და აბასთუმანში გაგზავნეს; ის შავი დღე გაახსენდა და დღე, როცა ნანული ამ ოთახიდან პატარა კუბოთი გაიტანეს... ცრემლი ყელში მოაწვა და ატირებული მაგიდაზე თავით დაეცა. კვნესოდა, ღმუოდა, გულს ტირილით ვერ იოხებდა. გმინავდა არა ადამიანური ხმით, ტიროდა თავაშვებულად, რადგან შინ არავინ იყო.

უცებ დაწყნარდა, მაგიდაზე ჩამოყრდნობილ ხელებში თავი ისევ ღრმად ჩარგო და ისე გაყუჩდა, თითქოს ეძინა.

ვის მიმართოს?

ვინ თანაუგრძნობს?

მთელი იმისი უბედურება ის იყო, რომ თავისი გაჭირვება არასოდეს არავისთვის არ შეუჩივლია. თავის ჭირს თავისივე სიმარტოვეში ინელებდა ხოლმე, მაგრამ ეს დარდი ახლა იმდენად განუზომელი იყო, რომ ირგვლივ არავინ არ ეგულვებოდა ისეთი, ეს დარდი მისთვის გაეზიარებინა. ჯავრის გამოთქმა ჯავრის განახევრებაა და, როგორც ყოველთვის, როცა ის დიდ გასაჭირში ჩავარდნილა, იმედად, ნუგეშად ახლაც თავისი ქვეყნის წინამძღოლი ეგულებოდა. მისი დარდი იმდენად დიდი იყო, ამ დარდით ის ისე იყო შეპყრობილი, რომ ქალალდი მაგიდის უჯრიდან ხელდახელ ამოიღო და თავის სიცოცხლეში პირველად მისი მისამართით ბარათის წერას შეუდგა.

სწერდა, უთავბოლოდ, სწერდა, რასაც გრძნობდა, გრძნობდა, რასაც სწერდა, გრძნობდა როგორ უმსუბუქდებოდა წერაში გულის დარდი, სწერდა თუ როგორ დაიჩაგრა ის ამ ბედნიერ ცხოვრებაში, დაიჩაგრა წარსულიდან ჯერ კიდევ შემოჩენილი ყოფა-ცხოვრებითი გადანაშთენებით. სწერდა თუ როგორ დაუზოგველად შეალია თავისი ახალგაზდობა, თავისი ბედნიერი ქალობა იმას, ვინც ასე თავგანწირულად უყვარდა. უყვარდა... მერე რა? განა ის აყვედრის ამ სიყვარულს? არა, სრულიადაც არა! სასაყვედურო ხვარას არაფერი არა აქვს. თუ კი იმას არ უყვარს, რა ქნას, განა ძალად სიყვარული იქნება? რათ უნდა მას ასეთი სიყვარული? მაგრამ სხვანაირად რომ არ შეუძლია! როგორ ოცნებობდა, როგორ უხაროდა, რომ მასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული იბრძოლებდა ახალი ბედნიერი ცხოვრების კიდევ უფრო განსამ-

ტიცებლად, როგორ შეჰქმნიდა ახალ ოჯახს, როგორ აღუზრდიდა სამშობლოს თავდადებულ შვილებს, გმირებს, როგორ იცხოვრებდა, როგორ იმუშავებდა, როგორ ეყვარებოდა და, თუ საჭირო იქნებოდა, როგორ უყოყმანოდ შესწირავდა თავის სიცოცხლეს თავისივე მშრომელი ხალხის კეთილდღეობისა. ახლა? ახლა ამდენი ამაგი, ამდენი ზრუნვა, ამდენი ოცნება, ერთბაშად დაეფუშა, წყალში ჩაუცვივდა. განა ხვარა დათას ემდუროდა? რა იმისი ბრალი იყო, თუ ის ისევ ისე ახალგაზდა იყო, სიცოცხლით სავსე. რა იმისი ბრალია, თუ მან თავისი ახალგაზდობა შეირჩინა? რა მისი ბრალია, თუ აღარ უყვარს? გრძნობებისათვის კანონი ვის დაუწერია, რომ იმას დაუწეროთ? და ახლა, როცა მისი ბედი ასე უიღბლოდ მობრუნდა, თავიდან ხომ არ დაიწყებს ცხოვრებას? ცხოვრებას, რომელიც მისთვის უკვე გათავებულია? როცა აღარც ქმარი ყავს, აღარც შვილი, რა ჰქნას, რას ეწიოს? ხვარა თხოულობდა, რომ სადმე სხვა სამუშაოზე მოეწყოთ, სადაც უნდა იქ გაგზავნონ, ოღონდ სასწავლებელს ჩამოაშორონ, იმ სასწავლებელს, სადაც ერთ დროს ის დათასთან ერთად სწავლობდა, სადაც ის ახლა მასწავლებლობს, რადგან ბავშვების სიცილი, მათი ხალისიანი ჟრიამული ყოველ ჟამს, ყოველ წუთს მის დანთქმულ ბედნიერებას ახსენებს, მის უდროოდ დაღუპულ ნანულის აგონებს. ხვარა ყველაფერს დაუფარავად სწერდა, სწერდა, რაც გულს უკლავდა და ყოველ სტრიქონში, ყოველ სიტყვაში იმდენი სასოწარკვეთილება, თავისი უბედური ბედისადმი ისეთი მორჩილება გამოსჭვივოდა, რომ, როცა ნაწერი გადაიკითხა და საქციელს ანგარიში გაუწია, თავისი კადნიერებისა და დაცემის თვითონვე შერცხვა.

თურმე ისე მოტეხილა, ისე დაუკარგავს წონასწორობა, რომ ბელადის შეწუხებაც გაბედა.

თავის თავზე გული თვითონვე მოუვიდა. განა არის ისეთი მდგომარეობა, რომ გამოსავალი არ იყოს? რათ დაეცა ასე სულით, რა დაემართა ისეთი, სხვას რომ არ დამართნია?

უცებ მიხვდა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. უზნეობაა, საზიზღარი ეგოიზმია ისეთ ადამიანთან ცხოვრება, რომელსაც არ უყვარხარ. მერე რა აქვს მას სამათხოვრო, ან სამოწყალო?

უცებ დაასკვნა, რომ დათა არ არის მისი ქმარი და წერილი ნაკუწ-ნაკუწად აქცია, მაგიდაზე დაყარა.

თეატრში სიჩუმე იყო.

6

ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო.

ისევ ის ტანჯვანი, ისევ ის ბრძოლანი საკუთარ თავთან, ისევ მშფოთვარება და გამაწამებელი წყვეტება აფორიაქებული სულისა.

დათა კახაბერი პეტრე ლარაძისაგან მოშორებით იჯდა. წლების განმავლობაში კურორტის მყუდროებას, მარტო მუშაობასა და მარტო ფიქრს ჩვეულს თავი ისე განკერძოებულად ეჭირა, რომ, თუ ისიც აქ იმყოფებოდა, არავის არ ახსოვდა.

წარვიდნენ, განქარდნენ ლია ვერანდაზე საწოლ ტომარაში გატარებული ზამთრის მოსაწყენი დღეები, დღეები სიკვდილთან, არარაობასთან თავგამაბეზრებელი უიმედო ბრძოლისა. იქ, უკან, დაშთნენ იდუმალი ტყეები ფიჭვნაძვნარისა. კალცი, ოზონი, პნევმარტორაქსი და გაუთავებელი ხველებით ფლეთა ისედაც დაცხავებული ფილტვებისა. გათავდა თერმომეტრით ყოველ წუთს მოუთმენელი სინჯვა საკუთარი ტემპერატურისა, ყოველ დღე წონვა თავისა. ფუსფუსი ექიმებისა, ჩივილი, ჭორები და ჭირვეულებანი უხასიათო

ავადმყოფებისა. უმი კვერცხები, ცხიმეულობანი და გამუდმებული მოლოდინი, რომ, შესაძლოა, ყოველივე ეს ერთ საბედისწერო დღეს უცებ არარაობად იქცეს.

აქ კი ცხოვრება ბობოქრობდა, ცხოვრება გაჯერებულ სამყაროებთა და დაძაბული შემოქმედებით.

ახლა ყოველივე, — ის ოცნებანი, ის ნატვრანი ცხოვრებაში კვლავ დაბრუნებისა სინამდვილედ იქცა. ახლა ის თავის ადგილას უძრავად იჯდა და ცოლის უახლოეს მეგობარს თვალყურს გაოცებული ადევნებდა. მის ყოველ მოძრაობას, ყოველ სიტყვას, სიტყვას, რომელიც მას ოდესღაც გულში თრთოლვით ალძვრია, ის ისეთი მღელვარებით, ისეთი გააზრებით წარმოსთქვამდა, რომ ეს სიტყვები, მისი კი არა დარიკოსი იყო. მან ამ სიტყვებს პირში სული ჩაუდგა, აზრით გაათბო და ახლა დარბაზში ისეთი გრძნობით ახმაურდნენ, რომ დათა შეძრკა. თავისი სიტყვები მას პირველად ესმოდა სხვისი პირიდან და მხოლოდ ახლა იგრძნო მთელი სისრულით, მთელი უშუალობით მათი ცხოველმყოფელი ძალა, ძალა მათი დიდი ზემოქმედებისა და გააზრებულ, გრძნობით გამთბარ სიტყვებთან ერთად დარიკო მის თვალში დღეს ისე ამაღლდა, ისეთი კდემით შეიმოსა, რომ თავისი თავის თვითონვე შერცხვა, შერცხვა იმ კადნიერი წადიერებისა, რომელსაც მისდამი ამჟღავნებდა.

ასე მთლიანად, ასე დასრულებულად წარმოდგენას სხვებთან ერთად ისიც პირველად ხედავდა. ყოველი მომქმედი პირი, რომელთა გამო მას თავის გამაწამებელ სიმარტოვეში ამდენი უფიქრია, ახლა მისგან დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ, ტიროდნენ, იცინოდნენ და სხვასაც ატირებდნენ, აცინებდნენ. ყოველი მათგანი თავისი ვნებებით, თავისი სურვილებით სულდგმულობდა, ყოველ მათგანს თავისი მიზნები ჰქონდა, თავისი გეზი და პასუხს მათ მოქმედებაში მაინც ის აგებდა, ანგარიში მაინც იმას ეთხოვებოდა.

დედისაგან გაქცეულ წიწილებივით ისინი თავისთვის ფუსფუსებდნენ, მაგრამ დათას მათ შორის ყველაზე მეტად მაინც დარიკოს განსახიერება აღელვებდა. როგორი გატაცებით, როგორი თრთოლვით ჰქმნიდა ის ამ სახეს თავის სიმარტოვეში და ახლა მისი სულის ქაოსიდან ნამდვილობაში გადმოსული ის თავისი ავხორცობით ისე შემზარავი იყო, რომ მასვე, მის შექმნელსავე, შეეშინდა. ის, ადამიანი კი არა, ფანტომი იყო, კოშმარი იყო და მხოლოდ ახლა აეხილა თვალი, მხოლოდ ახლა მიხვდა თუ რათ ებრძოდა მას ასეთი გამწარებით მისი ცოლი. ის კი... გული სინანულით აევსო. თურმე რამდენი ტანჯვა, რამდენი წამება მიუყენებია მისთვის! გული ისე ადუღდა, რომ ის პირველი გრძნობა მისდამი სიყვარულისა თითქოს კვლავ გაცოცხლდა და ხვარას, თავისი ხვარას, ნახვის სურვილმა კვლავ ისევ ისე აიტანა, როგორც მაშინ, სანამ ავათ გახდებოდა.

შუბლი მოისრისა, მაგრამ ერთხელ აღრძული მშფოთვარება მაინც ვერ გაფანტა. ის მღელვარება, ის ქეჯნა სინდისისა, რომელსაც დარიკო იქ ასე ღრმად გამოხატავდა, იმასაც გადაედო.

აი, დადგა ის წუთიც, წუთი, როდესაც დარიკომ ფანჯარა უნდა გააღოს. დათა მზად იყო წამოვარდნილიყო ადგილიდან, ეყვირა, რომ შეაჩერონ ეს ბოროტი ადამიანი, ადამიანი, რომელიც მანვე შეჰქმნა, მაგრამ არ ამდგარა, არც უყვირია.

დარიკომ მხოლოდ ახლა გაისაზრა, რომ მას ხელი იმთავითვე არ უნდა მოეკიდნა ამ საშინელ როლისათვის. ახლა ის თავს ვერ იმაგრებდა, ერთხელ დასახულ ხასიათს ინერციით ანსახიერებდა და თავისი თავის თვითონვე შეეშინდა. თვალი დახუჭა და ისე, თითქოს ეშინია განზრახული არ გადავიფიქ-

როვო, სარკმელს მიაშურა, მაგრამ ხელი ნებას არ დაჰყვა, ძირს დაეცა. მერე ფეხები წელმოწყვეტილად წაითრია და ბავშვის ლოგინში უხმოდ ჩაეწო.

დარბაზში შვებით ამოისუნთქეს, ყველა მიხვდა, რომ ბავშვი გადარჩა.

ისევ კვნესოდნენ ვიოლინოები, ისევ ღულუნებდა ტაბლი, ხელი ... ისევ ... ის გულის მასალბუნებელი მყუდროება გამეფდა. ღამის სახათი ისევ სცრიდა ვარდისფერ ბინდებს, ხოლო უთვისტომო ქარი გარეთ კვლავ ზუზუნებდა.

თეატრში კვლავ მყუდროება ჩამოვარდა, დუმილი საოცნებო. ამ დუმილში უკანა კარი ვრცლად გაიღო და ფოიედან ცივად შემოჭრილმა ელექტროს მძლავრმა ნათელმა, ყველაფერი ერთბაშად გააქარწყლა.

პეტამ წუთით ვერ გაისაზრა რა მოხდა, ან ვინ იყო ის თავხედი ასეთ უდროვო დროს კარის გაღება რომ გაბედა.

— ვინა ხარ? მოგკლავ! გაგათავებ! აყვირდა ელდანაცემივით.

დარბაზში გარედან შემოსულმა ბრწყინვალებამ ბინდებს ნაჩვევი თვალები ერთბაშად დაუბნელა და მის ასარიდებლად თავდახრილი მუშტების ჭევით, ყვირილით კარებისაკენ გაქანდა.

ის კი პარტერის შუა გასავლელში წყნარად მოემართებოდა და თან მისკენ გამოქანებულ, გაცეცხლებულ კაცს გულს შორიდან უყვავებდა:

— მე ვარ... მე ვარ, ბებერო... დამშვიდდი... დაწყნარდი...

პეტრემ ხმაზე იცნო შვილი და უცებ ისიც ისე ალერსიანად ამურმურდა, რომ ყველას გაეღიმა

— მირიან! აა, მაინც მოხველ? ხომ მოხველ? ხომ მოხველ? — უცებ აზრი გაუწყდა, ცალი ხელით შვილს ჩამოეყრდნო და ასე იდგა, იდგა და ფიქრობდა.

ავანსცენაზე დამხობილ დარიკოს თავი აეღო და თავის მირიანს ისე გასცქეროდა, თითქოს ხსნას იმისგან მოელოდა. შემოსხმული სინათლე მათ ზურგში სცემდა და ორთავ მამა-შვილი ნათელმოსილად მოსჩანდნენ.

— მართალი ხარ! ცამდე მართალი, ჩემო დარუხან! მართალი ხარ მეთქი, შე კუდიანო, შენა! — დაიძახა პეტრემ მგზნებარედ და რძლისაკენ გახარებული გაქანდა.

ხან იცინოდა, ხან ტიროდა, ხან ალერსიანად ტუქსავდა თავის საყვარელ რძალსა და თან გულში მბურვალედ იკრავდა.

წარმოდგენა დასრულდა.

ცხოვრება, სიცოცხლე ისევ გამდინარდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უიარალო

მაძიებელნი

XV *)

ბასილმა მართალი სთქვა: ბართლომე მძებრაძეს ორი დღე უმადურად გაატარებინეს სატუსაღოში და მერე გამოუშვეს.

სატუსაღოდან გამოსვლისთანავე ბართლომე ბანქოს სათამაშო სახლისაკენ გაეშურა, რომელსაც ზოგნი „საყავოს“ ეძახდნენ, სხვანი „ტრახტინს“ უწოდებდნენ, ხოლო რომელნიმე „რესტორაციად“ აღიარებდნენ. აქ ბართლომეს მრავალი ძმა-ბიჭი დახვდა. ზოგი ჰკოცნიდა და განთავისუფლებას ულოცავდა, ზოგიც უწმაწურად ლანძღავდა იაგორა მიკიტანს.

კარგა ხანს დარჩა ბართლომე „რესტორაციაში“. ბანქოც ბევრი ითამაშა და ნარდიც. თუ ბანქოში რვა აბაზი წააგო, სამაგიეროდ ნარდში თორმეტი აბაზი მოიგო და ამნაირად მოგებული დაბრუნდა ჭყონონაში.

იაგორა მიკიტანი ყოველი გამვლელ-გამომვლელის ხელმოსაკრავი კაცი როდი იყო, როგორც „კარტოფნიკებს“ ეგონათ. ეგონათ კი არა, ისინი იაგორას კარგად იცნობდნენ და დაცინვა-მუქარა-გინებით. მხოლოდ შორიდან იფხანდნენ ენას. იაგორა იმიტომ სძულდათ, განსაკუთრებით უსაქმურებს, რომ მისი მოტყუება-გაცრუება ძნელი იყო.

იაგორა მარტო პერანგა ობოლი დარჩა დედ-მამას, ერთ ღარიბ გლეხს. ბევრი წვალება და ვაება გამოიარა და დიდი ვაივაგლახის შემდეგ მიაღწია იმას, რომ რამდენიმე ათასი მანეთის — ნაღდის თუ ღირებულების — პატრონი გახდა. დროებამ და წრემ იაგორა თავისებურად მონათლა, თავისებური დაღი დაასვა მას. ბოლოს გამაგრდა და გაღონიერდა. ზურგს სადაიროდ აღარავის უშვერდა და ბევრსაც ამიტომ სძულდა. თვითონ ძნელად თუ ვისმე ჩააცივდებოდა, მაგრამ თუ ვინმე აქეთ დაუწყებდა ჩაცინებას, თავის დაცვაც იცოდა. გამოტეხილად არც მაშინ აუტყდებოდა, მაგრამ ქვეშ-ქვეშ მოქმედებით არათუ მოწინააღმდეგის ზურგზე დაირას დაუკრავდა, საქალამნე ტყავსაც ააცლიდა. თხუთმეტი წლის განმავლობაში ყოვლად უსინდისო მიკიტნის შეგირდობამ იაგორა თასმასავით გამოჰქნა.

ბასილ მძებრაძე დიდხანს და კარგადაც იცნობდა იაგორას და მისი მოსაზრება ბართლომეს საქმის თაობაზე სიტყვა სიტყვით აღსრულდა. იაგორამ მოწმეები მონახა, ბოქაულს როგორიც სურდა, ისეთი ოქმი შეადგენინა და საქმე სასამართლოში შეიტანა. ნაახალწლევს ბართლომეს უწყებაც ჩააბარეს: მომრიგებელი მოსამართლე იწვევდა როგორც მოპასუხეს იაგორა მუშტკუჭაძის ცემის თაობაზე. ბართლომემ უწყებას ზიზღით დახედა, ქაღალდი დაჭმუჭნა

---

*) დასაწყისი იხ. „მნათობი“ №№ 10 და 11.

და ახალუხის ჯიბეში ჩაიდო. მაშინ ცოტა შექეიფიანებული იყო და დიდი ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ როცა გამოიძინა და გამოფხიზლდა, დაჭმუჭნული ქაღალდი ისევ გაასწორა, გულდადებით წაიკითხა და ...ელს მიეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰა! მაგ ღორის შვილს, მაგასა! მაგისთანა კაცი არ მოკლა? არ აკეპო? — ბრაზით ამბობდა ბართლომე — ერთი-ორი ისე მჩატედ გავარტყი ხანჯალი მაგ ძაღლის გაგდებულის შვილს, ორ დღეს კეთილშობილი, ალმასივით ბიჭი ნაობახტში ქე ვიჯექი. მეტი რა უნდოდა მაგ ყურუმსაღს? განა ეს არ მეყოფოდა? გამომდგარა მაგ... და კიდევ მიჩივა. აჰ, დედასა, სადა ხარ, დროებავ! რას ვხედავ, ვილაც ხარჩენიკის გულისათვის კიდო უნდა ჩამსვან!

მაგრამ მუქარით და ლანძღვა-გინებით ვერაფერი გაკეთდებოდა. სხვა რამე ღონე იყო საჭირო. ამ საბედისწერო უწყებამ ძალიან დააღონა მისი ძმებიც — ირაკლი და პავლე. წლის სარჩო სიმინდი ხეირიანად არც კი შემოუდიოდათ და ეხლა ეს საჩივარი და დავიდარაბა უსათუოდ ხარჯს მოითხოვდა, ეს-კი მეტად სამძიმო იყო მათთვის.

ბასილის თავმჯდომარეობით შინაური თათბირი გამართეს და გადასწყვიტეს: ჯერ მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიაში შეეტყოთ, თუ რამდენად საშიში იყო საქმის მდგომარეობა და მისდა მიხედვით ემოქმედნათ.

ბართლომეს ბასილიც წაჰყვა თან, უკეთ რომ ვსთქვათ, ბასილმა ბართლომე წაიყვანა, რადგან კანცელარიაში საქმის ვითარებას ბასილი უკეთ და უფრო ადრე შეიტყობდა. კანცელარიაში საქმე მოიკითხეს და უფრო მეტად დაღონდნენ. ბოქაულს სასტიკი ოქმი შეედგინა, სადაც ბართლომე შფოთისა და დავიდარაბის ამტეხ კაცად იყო გამოყვანილი. ამასთანავე უსაქმურია, ბანქოს თამაშობის მეტს არაფერს აკეთებს და მშვიდობიან მრეწველ-მოვაჭრეთ მოსვენებას არ აძლევსო.

მაზრის საუკეთესო ვექილებიც ინახულეს. მათ საქმის დაცვა ოთხ თუმნად დააფასეს და ისიც უპირობოდ. ამ ამბით მთელი დაბის ვაჭრები აღშფოთებულნი იყვნენ. უთხრეს ბასილს: თუ ყოველმა გამვლელ-გამომვლელმა ჩვენი ფულის გულისთვის ჩვენვე კომბოსტოსავით გვჩეხა, მეტი რაღა დაგვრჩენია, უმაღლეს მთავრობას უნდა მივმართოთო.

ჩვენი აზნაურები ძალიან დაღონებული დაბრუნდნენ შინ. ბასილი თავისი გვარის დიდი პატივისმცემელი და ქომაგი იყო, ამიტომ ბართლომეს სულელური მოქმედების მოსალოდნელი შედეგი ძალიან აწუხებდა.

— რას გეტყვი, ჩემო ძმაო, იცი? — უთხრა ბასილმა ბართლომეს, როცა ჭყონნაში ბრუნდებოდნენ, — ეცადე სადმე ფული იშოვნო. მე კიდევ დროს არ დაგამადლი და შეიძლება მაგ იაგორასთან რამე გავაწყოთ. თუ საქმემ სუდამდე მიაღწია, იცოდე წააგებ. შენი ბრალი კია სწორედ. მიუგდებდი შვიდ შაურს და მორჩა ამაზე აყალ-მაყალს როგორ ავტეხდი! ქვეყანა გადასაჩეხად შენ ვინ მოგცა? ხომ იცი, რუსის კანონია, ამა და ამ სტატიის ძალითო, რომ გეტყვიან, მორჩა და გათავდა. ეცადე, ეცადე როგორმე. მე, ცოლ-შვილს გეფიცები, ამ დროებით გახვრეტილი კაპეიკი არ მომეძევა, თორემ როგორ დაგიჭერ...

— რა ამბავია, ძუკუს მამავ, როგორ ყოფილა საქმე? — მიეგება შინ დაბრუნებულ ბასილს მარიკა.

— როგორ იქნებოდა, მაშინათვე ვსთქვი, მერაბის სულიმე, შენ თუ გახსოვს? — მიუგო ბასილმა. — კაცი სუდში დავბერდი და საქმე როგორ წავა, არ ვიცოდე? ისეთი გლახა გლახურს მოიმოქმედებს და შენ სირცხვილით უნ-

და დაიწვა. მძებრაძეს სასჯელი გადაუწყვიტესო, შეთოკეს, შებოჭესო, იტყვიან საზოგადოებაში. თორემ მხოლოდ ბართლომე აგეთი არამზადაა, ამას ვინ მოგახსენებს? სირცხვილით სუდში ველარ შევალ... ვაჟკაცობა ექნა რამე, მესმის. იმან კი შვიდი შაურის გულისათვის! ქე მაინც ქალაქენ-ერ-მიცნობდეს — ერი და ბერი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც, მაინც? — დაეკითხა მარიკა.

— რაღა მაინც გინდა, დედაკაცო! პრისტავს ისეთი ოქმი შეუყენებია, რომ ბართლომეს კი არა, კნიაზ მენგრელსკის გადაასახლებს. აბა! რას იზამ, ერთი მითხარი? ათასიც იკვარზალო, ვერაფერს გახდები. ქე მაინც რამე შეძლება ჰქონდეს ოჯახ-დაქცეულს! მამა-პაპისაგან თუ რამე დარჩათ, შთანთქეს და ეს არის... აი, აი; რა მამული, რა ჭალები, რა მაღლარი! — თავი გააქნია ბასილმა. — საშოვრად კი დალოცვილი არც ერთი ნეკსაც არ ანძრევს... იაგორა მიკიტანი, კავკავის ღვედივით გამოზელილი კაცი, კოჩას შვილი ეგონა, ხანჯალს რომ უქნევდა...

დილა იყო. ნიკოია თოხიტარია კერის პირად ცეცხლზე თბებოდა და თან თუთუნს შეექცეოდა.

— ხე! — მოისმა განზრახი ხველა და ფაცხის კარებთან ჩვენი ნაცნობი კოჩა ბარია გამოჩნდა.

პეტრე წამოდგა და მანაც შეიპატიჟა:

— მობრძანდი, ბატონო კოჩა!

— კი, ბატონო, კი, შენი ჭირიმე! ღმერთო, კარგი შემოიყვანა ამ ოჯახში! — შეილაპარაკა კოჩამ და ძირს დაწევით, რადგან კარისბჭე მისთვის დაბალი იყო — დილა მშვიდობა, დილა სიხარული! — მიესალმა ნიკოიას.

— ღმერთმან მშვიდობა მოგცეს, ჩემო კოჩა! — მიუგო ნიკოიამ და დაჯდომა ანიშნა.

— სხვა, კოჩა, ჩალაზე როგორა ხარ? — თანაგრძნობით შეეკითხა ნიკოია.

— ღვთის წყალობა მაქვს ჯერჯერობით დარი კარგია, დილ-დილით ცოტას ყინავს ოლონდ და როცა მზე აიწევს, საქონელს გარედ ვუშვებ. ცოტ-ცოტა თავშესაქცევარს ქე შოულობენ. ის ნათლიას მოცემული აფანი ჯაკელა კი რაცხა დამჭლევდა და იმას გარედ სულ არ ვუშვებ...

— ნათოლე იქმნება, ნათოლე [1]. როგორ მოგვიდა, რად არ შეალოცვინე?

— ჰმ! რამდენჯერმე შევალოცვინე. ბეკოიას ქვრივმა ორჯერ შეულოცა და შენალოცვი მარილიც აჭამა. ხვახვაიაც მოვიყვანე ერთხელ, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მერე რა ჯაკელა?!

— მაშ მიქამ-გარიოს უნდა დაჰპირდე რასმე, წახვიდე უნდა, მოილოცო, — დინჯად უთხრა ნიკოიამ.

— ღმერთო შენით, ვაპირობ, თუ ნაალდგომევამდი მშვიდობით მივედი... შენ ეხლა, ნიკოია. არა მკითხამ, თუ რისთვის მოვედი? — ცოტა არ იყოს, მორცხვად დაიწყო კოჩამ სიჩუმის შემდეგ.

— ბრძანე, შენი ჭირიმე!

— თავად ღმერთმა და მერე წინა გიორგმა და მიქამ-გარიო თაარანგელოზმა ამოაგდოს ყოველი ბანძლის და ჩხუბის მოყვარული კაცი! რაც ჭკუაში შევედი, მას აქეთ ყოველთვის მძულდა და ან ჩემ სიცოცხლეში როგორ შევიყვარებ, ან როგორ გავერევი მაგნაირი კაცების საქმეში... მარა რო გავიჩნდებაჭირი საშველს არ მოგცემს, რას იზამ! იმის გაზდას საწყალ დედა-ჩემს გოჭი გაეზარდა, არა სჯობდა? მაგრამ ეხლა ვერაფერს უზამ, რაც არის, ის არის

[1]) თვალნაკრავი.

ძუძუ-მკედრობა ჩვენი გაჩენილი არ არის... მე, ნიკოია, იმ კისერ-მოსატეხ ბართლომე მძებრაძეზე გეუბნები. ჩვენ ოჯახში თუ რამე მოიძებნებოდა, მისი დასახარი იყო და შთანთქა კიდეც. ცოლ-შვილს გეფიცები, საკუთარ ჩემ ახალგაზრდობაში ნაწვავ-ნადაგი ექვსი თუმანი ნაღდი ფული შეეპარა. ხაჭონლის მოსატანად მივდივარო, მაშინ დუქანში იყო, ამას ვიზამ, იმას ვიზამო. მეტი არ გავიხარე მისთვის ან რა საქონელს მოიტანდა, ან რას ივაჭრებდა, როცა გული ეშმაკისათვის ჰქონია ჩაბარებული. თანაფიას კახპა ცოლს რომ აყვა, იმ კაცისაგან აბა რა სიკეთე იყო მოსალოდნელი? ახლა კიდო ვილაცა მიკიტანს წასჩხუბებია და კინაღამ იმ კაცისთვის ფაშვი გარეთ გამოუყრევინებია. უჩივლია ეხლა იმ კაცს, ან რატომ შეარჩენდა, და საქმე ძალიან მაგრა მიდისო, ამბობენ.

— მერე შენ რა გაწუხებს, შე კაცო? — ჰკითხა ნიკოიამ.

— მე რომ პირველად შევიტყვე, ყურში თითები დავიცე, თვითონ ჩემთან აბა რა შუბლით მოვიდა, ატა, ტა, ტა, ტა! მაგრამ მისულა მოხუცებულ ქალთან, საშველი არ მიუცია. გულსა სწვავს მაგასაც ცეცხ-მოკიდებულს, სამ წელიწადს ძუძუ-მკედრს ეჯლიგინებოდა. შინ რომ მოვედი, შემიჩნდა, არ დამაყენა. რა ვუყო, კაცო? დედაა მშობელი, დღეს თუ ხვალ მოკვდება და საფლავის პირას მდგარი როგორ გავაწბილო. ბართლომე ოხერია, მაგრამ მეც გულსა მწვავს, ჩვენი ნაშრომ-ნადაგია, ჩვენი გაზრდილი და გამოკვებული. ჰქენი ნიკოია ღმერთობა, — ხვეწნით წარმოსთქვა კოჩამ, — ჰქენი ხელმწიფობა, ჰქენი კაცობა, გაქვს, ქე ვიცი, და ერთი სამი თუმანი გვათხოვე ორი-სამი თვის ვადით. ბასილი ფიქრობს როგორმე იმ ოჯახდაქცეულ მიკიტანთან მოარიგოს და საქმე მოასპობიოს. ბასილი, ხომ იცი, რა ხელმოჭერილი კაცია! იმიტომაცაა აქვს, ბაბა!..

ნიკოია კოჩას გულმოდგინედ უსმენდა, თან თუთუნს შეექცეოდა, თან ჭალარა წვერ-ულვაშებზე ხელს ისვამდა. მერე აუჩქარებლად მიუგო:

— მე, ჩემო კოჩა? შენ კარგად იცი, სტამბოლიდან მოსრული არა ხარ, მე რა განაჭირი და ნაობლარი კაცი ვარ. სიკოია და გატინია თუ პერტეიას ძმები სუმონიკას შვილები იყვნენ, მე, ნიკოია, პერტეიას ღვიძლი შვილი არ ვიყავი, სუმონიკას შვილის-შვილი? იმათ წისქვილის სათავე თუ ეკუთვნოდა, მე ვითამ რალა დავაშავე, უჯერო შვილი ხომ არ ვიყავი? ცა და ქვეყნის დამამარგებელმა მოჰკითხოს მაგათ! ბართლომე და ირაკლი არ ყოფილიყვნენ, შეიძლება ჩემი სახელიც უხმოდ არ დაეგდოთ, მაგრამ იმათი რჩევით და იმათი ზურგის იმედით გამაგრდნენ სიკოია და გატანია და მე ასე კისერ-მოჭრილი დამტოვეს. შენ იქნება გეწყინოს, კოჩა, და შენმა ირაკლიმ და ბართლომემ მიყვეს ეს. მათი უფროსი ძმა როსტომი? როცა მოვიგონებ, შიშის ზარი ამიტანს ხოლმე. მაშინ ხომ არც სახლი მედგა, არც ფაცხა. სასიმედეს ქვეშ ვიდექი მაშინ. ჩემი ერთად-ერთი იმედი მოზვერა მოაპარვინა და კისერზე დანა წაასმევინა. აი რა მიყვეს მაგათ... შენ რომ არ იყო, კოჩა, და სხვა ვინმე იყოს, ჩემს საბრალო ბაღნებს გეფიცები, კიჟინ-კიჟინით გამოვეკიდებოდი...

კოჩა ბარია თან დარცხვენილი, თან ცოტად გულმოსული და თანაც თანაგრძნობით შეჰყურებდა ნიკოიას.

— მეც ვიცოდი, რომ არ გამაგდებდი და იმიტომ მოვედი, — მშვიდად და ხუმრობის კილოთი მიუგო კოჩამ. — შე კაცო, პატარაობითვე ერთად ვართ შეზრდილი, თუ ერთმანეთის გაჭირვება-დალხინება არ ვიგუეთ, გარეშე აბა ვინ მოგვხედავს! დღეს შენ გაქვს, ხვალ...

— შენ მტერს მეტი არ მიეცა! — გააწყვეტინა ნიკოიამ. — ტყუილი გითხრა, რა გამოვა. ერთი საწყალი ბალანა ქე ცდილობს იმ სიშორეზე, სბგის ოჯახში, აგერ წელიწადი თავდება. თვითონაც კარგად იცი, რა ძნელია ეხლანდელი მოჯამაგირეობა. აი ასეთი ტანჯვით ნაშოვნი, ცხრა ფრათ ჭიანური, ბავეული, ერთი-ორი თუმანი ქე მაქვს, რად დაგიმალო, მაგრამ არ იკითხავ, რამდენი გაჭირვება მაქვს? როდის იყო კოჩა, მე რომ ფულებს ვასესხებდი? ფოსტის გუშინ გადავიხადე, დღეს ხელახლა გადასახდელია, აწი მებატონე, აწი მღვდელი, აწი მტერ-მოყვარე. ის ორი გროშიც ჩემი როდია, ბაბა! ეხლა ძველი დროება როდია, ოცდახუთი სული რომ ვჯდებოდით ტაბაკზე, ყოველისფერი განუყოფლად რომ მიგვაჩნდა. ეხლა, ბაბა, ულვაშები თუ დაუმწვანდა კაცს, მაშინათვე თავისს გემოზე ცხოვრებას ნდომობს...

— როგორმე, როგორმე, ნიკოია, ნუ გამაცუდებ, ეს შვილები ნუ მოგიკვდება! ძალიანი, ძალიანი ბევრი, სამი-ოთხი თვე დავარჩინო ჩემთან შენი ფული.

— შენთვის, შენი გაჭირვებისათვის რომ გინდოდეს, კიდევ რასმე გაივლებს კაცი გულში და იმისთანა პირისთვის, რომელმაც ლუკმა პირიდან მომტაცა, მამა-პაპეულ სარჩო-საბადებლიდან ხელი დამაბანია...

— ჩემთვის რომ მოგეცეს, ისეთი მადლობელი ვიქნები, შე კაცო. თუ გინდა, ხელწერილს ჩემს სახელობაზე მოგცემ.

— რა? — დაეკითხა ნიკოია. — სასესხი ფული ვინ მომცა, მაგრამ, ვთქვათ მქონდეს, განა ბართლომეს ხელწერილს ავიღებდი?! ბართლომეს სამ შაურს არ ვენდობი, ათი თამასუქიც რომ მომცეს...

— ერთს გეტყვი, ნიკოია, გამიგონე. უბრალო ხელწერილს არ დასთანხმდები, ამაში მეც გეყაბულები, მაგრამ სხვანაირად რომ ვქნათ? ხომ იცი, ირმის ნახეთქში, წისქვილს გაღმა, ისე სამკუნთხულად რომ ძევს ერთი ქცევა ჭალა, ის თუ დაგიგირავა, მაშინ ზარალში არ იქნები. იმ მიწას, დამიჯერე, სამ თუმანს ყოველი კაცი ენდობა.

ირმის ნახეთქის გაგონებაზე ნიკოიასაც და პეტრესაც სახეზე სიხარულის ელფერმა გადაურბინა. ირმის ნახეთქი წისქვილის გაღმა ჭალას ერქვა, რომლის მსგავსი მთელ ჭყონონაში არ მოიძებნებოდა. იქ ირაკლისა და მის ძმებს შერჩენოდათ ორი თუ სამი ქცევა ადგილი. ეს ადგილი მათი მარჩენალი იყო. ნიკოია თავისს დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ირმის ნახეთქს პატრონი რაც გინდა გაჭირვება დასდგომოდა, დასაგირავებლად შეელეოდა.

— თუ გინდა, ვსთქვათ, ირმის ნახეთქი დააგირავა, — მიუგო ნიკოიამ და შეეცადა თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ამ ამბავს მასზე დიდი შთაბეჭდილება არ მოეხდინოს, — ვსთქვათ ბართლომემ დააგირავა და ხელწერილიც მოგვცა. ხვალ პავლე გაჩნდება, ზეგ ირაკლი და ადგილიდან გადაგაგდებენ. მათ ხომ ჯერ ადგილი გაყოფილი არა აქვთ. მოგიდებენ ისეთ შარებს, რომ მიწა კი, არა, ჯოჯოხეთს მოგანატრებენ. ეხლანდელი კაცი, ხომ იცი, ჩემო კოჩა, უნამუსოა.

— შენ ოღონდ ამ საქმეში დამეხმარე, რადგან ალუთქვი გადასაკარგავს, გიშოვნი მეთქი, სირცხვილს ნუ მაჭმევ და შენ როგორიც გსურს, ისეთ ხელწერილზე სამივე ძმას მოვაწერინებ ხელს.

— არა, მე ისე ტყუილად ვამბობ, თორემ ორი გროში რომ მაქვს, იმას შეიძლება ხვალვე გზა გამოუჩნდეს. გაჭირვებული კაცის საქმე ხომ...

— შენი ჭირიმე, ნიკოია, როგორიც გინდა, ისეთ პირობას დავაწერინებ...

— წიე, როგორ იტყვი? — დაეკითხა ნიკოია პეტრეს.

— შენ უკეთ არ იცი, მე რასა მკითხავ? თუ მიწა რიგიანად მოგცა, დაიგირავე, ოღონდ კი ხელწერილში არ მოგატყუონ, — მიუგო პეტრემ.

კოჩა დამშვიდებული წავიდა შინ.

— შენ გარდა, სხვა ვინმე რომ იყოს, ვიცი, რას ვუზამდი, — საბოლოოს უკანა ოთახში ეუბნებოდა იაგორა მუშტკუჭაძე ბასილს. — ეხლა, ბატონო, ამაზე პრისტავიც გამიჯავრდება, მეზობლებიც დამემდურებიან. მეორეჯერ რომ შემემთხვეს ასეთი საქმე, რაც ადვილი მოსალოდნელია ამ ორერ ჩემ ხელობაში, არავინ ახლოსაც არ მომეკარება. ბართლომემ მე რომ მიყო, იმის ენით გამოთქმა შესაძლებელია? აბა ერთი, შენი ძვირფასი ცოლ-შვილი ნუ მოგიკვდება, ერთი ამას დაჰხედე, — საჩქაროდ მოარბენინა იაგორამ ჩოხა-ახალუხი, — აბა ერთი დახედე, როგორ სულ ხანჯლით დაკეპილია. მე თვითონ შიკვირს, დღევანდელი დღის მადლმა, ცოცხალი როგორ გადაურჩი! ასეთი კაცი აბა რანაირად უნდა შეგიბრალო? შენით სთქვი, ბატონო ბასილ, დღეს საცა ეკლესიას გააღებენ, იმის მადლმა!

— იაგორა, ცხადია, სათქმელი არაა, კიდევ გელაპარაკო, რა უნდა გითხრა- აი ეს სამი თუმანი, ჯიბეში ჩაიდევი და სუდში საქმე მოსპე. დამერწმუნე, ან ავში, ან კარგში ჩვენც ვლირვართ! ეხლა ქვეყანა გადაბრუნდა, თორემ ოდიშში ერთი თუ ვინმე იყო, ჩვენც ვიყავით...

— ოცდაათ მანეთად კი არა, ოცდაათი სახარება გაუწყრეს, ვინც ოცდაათ თუმნად დათმოს, მაგრამ რა გაეწყობა, შენთვის მიპატივებია...

ერთი საათის შემდეგ ბასილ მძებრაძე, თავმომწონედ ცხენზე გადამჯდარი, ჭყონონასკენ მიეშურებოდა.

გულნატკენად არც იაგორა დარჩენილა. თუმცა მან საქმე განასაჩივრა, მაგრამ ამით კმაყოფილი სრულებითაც არ იყო. ბართლომეს რომ დასჯიდნენ, ამის ეჭვიც არა ჰქონდა, საქმე ისე იყო მოგვარებული. მას სხვა რამე აწუხებდა.

— მაინც და მაინც ჭკუიანად არ გიქნია, — ეუბნებოდნენ მოკეთეები. — ვთქვათ, ის კაცი დასაჯონ. მერე შენთვის ეს რა ბევრი მოგებაა? მთელი მაზრის თავად-აზნაურობა გადაგემტერება. ხომ იცი, მაგათ როგორ იციან ერთმანეთის წაქომაგება. ნახევარზე მეტი მათგანი დავიდარაბის მეტს არაფერს აკეთებს. საცა იქნება, ისეთ ადგილას გადაგახტუნებენ, რომ მთელი შენი სიცოცხლე ველარ გამოდგები, გარდა ამისა, მოგება კიდევ მათგან გვრჩება, ჩემო ძმაო. ნისია იციან, მართალია, მაგრამ მოცემაც კი იციან. ერთი, ვსთქვათ, ხშირად მოხდება, მანეთს აგაღლეტს. სამაგიეროდ მეორეს და მესამეს ხუთს და ხან ათსაც ააფცქენი. მაინც მოგებული რჩები. დიდი ზეცდომა მოგვიდა, რომ ბართლომეს შვიდი შაურის გულისათვის ჩხუბი აატეხინე და ხანჯალი ამოაღებინე. მაგას ცუდ სიტყვასაც არ ვეტყოდი, პირიქით შევიპატიჟებდი, ვალს სრულებით არ გავახსენებდი, ერთ შაურიან ოტკასაც ზედ მივაყოლებდი. სამაგიეროდ, როცა ბასილი მობრძანდებოდა, ერთი-ორჯერ გადაუკრავდი ჩოთქს და იმ შენ შვიდ შაურს შიგ გავაქვითებდი. ამნაირად არც მწვადი დაიწვებოდა და არც შამფური.

ასე მსჯელობდნენ იაგორას მოკეთეები. ამ მსჯელობის გონიერებას იაგორაც გრძნობდა, მაგრამ გვიან იყო. დღეს-კი საქმეც მოსპობილია, თავად-აზნაურობაც მადრიელი და სამი თუმანიც იაგორას ჯიბეში უდევს. განა უკეთესი რამე შეიძლება? ამ საამო ფიქრის გავლენის ქვეშ იაგორამ რამდენჯერმე ვაიარ-გამოიარა დუქანში და დახლთან მივიდა.

„მაინც უნდა ვიცოდე, წმინდა მოგება რამდენი მრჩება, — გაიფიქრა გულში და საანგარიშო რგოლებზე ხელი დაადო. — სამი მანეთი ხომ ფულად მივეცი პრისტავს, ოქმი რომ შეაყენა. თითო სადილი დესეტნიკებს გუჯუს და იას:

ყაურმა ერთი აბაზი, პური ორი შაური, ბოთლი ღვინო აბაზი, ესეც სულ ათი შაური. კეთილი, არზა რომ დამიწერა იულიანე მწერალმა, ფულად ათი შაური მივეცი. ზაკუსკაც რომ მიირთვა, ფული არ მოუცია. არა უშავს, საჭირო კაცია. მაინც ბევრი არაფერი იყო, სულ ხუთი შაური. მოწმეებისთვის ჯერ არაფერი მიჩუქებია, არც დამჭირდებიან. თითო ოტკას მათაც დავალევინებ. ალბათ, როდისმე კიდევ გამომადგებიან, ოთხი კაცია — ერთი აბაზი. სულ ერთად: ოთხი მანეთი და ცხრა შაური. სამ თუმანს გამოვაკლოთ, წმინდად მრჩება ოცდახუთი მანეთი, სამი აბაზი და ერთი შაური.“

— ესეც შენ იაგოს! — მხიარულად და ხმამაღლა ჩაილაპარაკა იაგორამ და კმაყოფილებით ულვაშები გადიგრიხა.

XVI

თიბათვეში სევერიანე წყალაძე ჭყონნაში დაბრუნდა. სასულიერო სასწავლებელი უკვე გაეთავებინა. ამ ერთი წლის განმავლობაში კარგა დაჭაბუკებულიყო. საულვაშეზე ოდნავ მუქი ფერი დაჰკრავდა და ნიკაპი ქინქლით გადაბუროდა.

მოსვლისთანავე სკოლის საქმეს შეუდგა. ძველი მოწაფეები მოგროვდნენ, ახლებიც მიემატნენ. ბასილმა ტასია გამოუგზავნა. ის ახლა სამაზრო სკოლაში სწავლობდა და ბასილს უნდოდა, რომ შემდეგი კლასისათვის რიგიანად მოემზადებინა.

სევერიანე სახტად დარჩა, როცა ფარნა გამოსცადა. ბავშვს წიგნის თითქმის ნახევარზე მეტი ზეპირად დაესწავლა. ამასთან აუჩქარებლობა და დაკვირვება ეტყობოდა. დაიწყეს მეცადინეობა და საქმე იქამდის მივიდა, რომ თიბათვის დამლევს ფარნა თოხიტარიამ ცოდნით ყველა დანარჩენ ბავშვს გაუსწრო.

ნიკოია თოხიტარიამ პეტრე-პავლობის წინა დღეს, დილა-ადრიან ცოტაოდენი ძღვენი წაიმძღვარა და სევერიანე ინახულა. მამა ევთიმეც შინ ბრძანდებოდა. ის იყო ბოსტნის მუშაობიდან დაბრუნებულიყო და ხელის საბანი წყალი მოეთხოვა.

— იცი, რას გეტყვი, ბაბა, ნიკოია, — უთხრა სევერიანემ, როცა ჩვეულებრივ ერთმანეთს მიესალმენ და მოუბოდიშეს, — თუ გინდა, ბაბა, რომ ეს ბიჭი კაცი გამოვიდეს, აი ჩემი რჩევა: ამ ზაფხულს რაც შეიძლება მოვამზადებ, ენკენისთვეში უსათუოდ ზ-ში წაიყვანე და იქ მიაბარე. სამი-ოთხი წელიწადი როგორმე იქ დაარჩინე, თუ გინდა რომ თავისს სიცოცხლეში შენი სულის მლოცველი იყოს.

— შენ პირს შაქარი და თაფლი! მაგრამ შე დალოცვილო, ზ-ში წასაყვანი და იქაური გასაზრდელი კი არა, უკაცრაო მოხსენებაა, ყაზახს პერანგი არ მაცვია. ეხლაც დილ-დილით რომ ვაცდენ, ესეც რამდენად საზარალოა ჩემთვის! ორიოდე თხა რომ დაღოლავს, ბატონო, სული იმითი მიდგია და ეს ბიჭიც იმათ მიყვებოდა. ეხლა დავრჩი უმწყემსოდ. ათანესამ სიკვდილი ინატრა და რაკი ერთხელ გადაეჩვია, ხელმეორედ თხას არ გაყვა. დავრჩი მე. სადილობამდი, სანამ ფარნა დაბრუნდება, მივყობი, ნასადილევს მოვჩანჩალიკობ ყაზახი ყანაში. ნასადილევის ნამუშევარი რა იქმნება? ხვავი და ბარაქა დილით ადრე ნამუშევარს აქვს, როგორც უკეთ მოგეხსენებათ, ბატონო. მზის ამოსვლამდი რომ დაახტები ჯერ კიდევ ნამით დატვირთულ ნორჩს სიმინდს, გემო და ყუათი იმასა აქვს, ბატონო! კიდეც იმიტომაა, რომ სამარგვლავი ჯერ არა მაქვს გათავებული, — მოწყენით დაუმატა ნიკოიამ.

— მართლა, ნიკოია, როგორი სიმინდია იმ შენ ახალ ყანაში? — დაეკითხა ევთიმე.

— კარგი, კარგი, ბატონო. ძნელი, ერთობ ძნელი სამუშოვარი კი არის. შარშან ტუტურუას ჰქონოდა, კარგად ვერ დაემუშავა...

— არაფერია, ერთ-ორ წელიწადს თუ შენ ხელში დარჩა, ისე გამოაკეთებ, რომ ხელის გულს გავდეს. რამდენად გაქვს დაგირავებული?

— სამ თუმნად, შენი მაკურთხებლის მადლმა. საბრალო ბიჭის ნაცოდვილარი ორი გროში ფოსტის ფული მედვა კიდობანში და იმათ მივეცი. მე ვინ მომცა, პატონო ეთუმე, სასესხი ფული?

— არა, ბაბა, ნიკოია, — სიცილით მიუგო ევთიმემ, — ტყუილად ნუ წუწუნებ, შენ, ბაბა, არ წაგიგია. ის კი არა, შენ კუჭი გაიმაგრე. შენ არ მეცოდები. მაგრამ ის აზნაურები რით იცხოვრებენ, იმას არ იკითხავ? ისეთ საუნჯეს ხელიდან რომ იშორებენ, ნეტავ რას მოელიან, რას უცდიან, ვერ გამიგია!

— ჩემს მიწყალობებდენ, ბატონო, თორემ მისი მიწა ღმერთმან მშვიდობაში მოახმაროს.

— მეტი არ იხარა ჩემმა და შენმა მტერ-მოძულემ! — ხმის გაგრძელებით მიუგო ევთიმემ.—ვაი იმის მეტი, იმათ ასე ჩქარა ან როდისმე ბაჯაღლოები ჩაგიჩხრიალონ! სამერმისოდ რისამე მომლოდინე კაცი ისეთ საქონელს თავისს დღეში არ შეელევა. გაკვირვებული ვარ, ის კაცები რას ფიქრობენ, რას აპირობენ? დედა, ღმერთო! რა მამულის პატრონები იყვნენ და როგორ რამდენიმე წელიწადს ქვესკნელში ჩაარონიეს. ის უბედური ბართლომე მაინც გვარიანი იყო, მეგონა. ერთ დროს რაღაც ვაჭრობას ქე მისდევდა, ეხლა ის სულ მასტვინალი გამხდარა. პავლე რომ ჰქვიან, იმას ჯვარი მუქთად დავწერე. ორ დღეში მოგცემო, მერე ერთი კვირა დამპირდა, მერე ერთი თვე, მერე ცოტა ხანს ბოდიშს კი მეუბნებოდა და ეხლა, ალბათ, ცოლი კი არა, დაბადების დღეს იწყევლის და ჩემი ვალი აბა სად გაახსენდება!

— ჰო, პაპა, შენ სულ ისინი შეიბრალე, ჩვენზე კი არა სთქვა, შესაბრალისიაო, — ხუმრობით მიუგო ნიკოიამ. — შენ ისინი გებრალება და პირში ასე რომ უთხრა, ხანჯლით გამოგფაშვავენ, შენი შესაბრალებელი კიდეც... ასე, ისეო, გეტყვიან, ეხ, საბრალოა ჩვენი ხელა კაცი. ის ხომ არავის ებრალება? ერთი ვინმე მენახა, რომ ეთქვა: აი საბრალო ხალხი, მაგათაც რამე შევეწიოთო...

— რას ამბობ, შე კაცო?

— არა, მამი ჩემის სულიმე! შენ თვითონ ამბობ, მოძღვარო, ძვირფასი შამული ჰქონდათ და ჩაღუპესო. მართალია ჭყონონას თითქმის არ გასცილებიან და თავიანთი დაუდევრობით და ზარმაცობით დაღუპეს ქონება. მერე ვისი ბრალია? მარტო იმათივე. ჩემი საქმე შენ კარგად იცი. მეც ხომ არაფერი მეგადა, მაგრამ ჩემი დაუდევრობით კი არა, უსამართლობით. მერე ვის ვებრალებოდი? იმას ხაჭაპური ხელში ეჭირა, გამოცხობაში არ შეწუხებულა და ცომის შეზელვაში, პირთან მიტანის მაგივრად, აიღო და ტალახში გადაისროლა... გამომდგარხართ და გაიძახით: აი, აი, საწყალი, ეხლა რა ეშველებაო... მე კი ცომიცა ვზილე, ფოთოლიც მოვიტანე, კიდევაც გამოვაცხე და ჭამის დროს პანღური მკრეს და გარეთ გამომახტუნეს. საწყალი, რა ეშველებაო, — კი არავინ უთქვამს.

ამ ლაპარაკში იყვნენ, როცა ჭყონონას ციხის ნანგრევებიდან სოფელს საყვირის ხმა მოედო.

— წიე! რა ამბავია, რა ღმერთი გაწყრა, ამდენი ყრილობა ვის გაუგონია! კიდევ ქურდობის საქმეზე ხომ არ არის? — ხმამაღლა გასძახა ფერდობის ძირიდან ერთმა გლეხმა.

— ქურდობა კი არა, ნაჩალნიკს რალაც დიდი საქმე აქვს გამოსაცხადებელი, — მიუგო მებუკემ.

მეორე დღეს ჭყონონას სასამართლოში დაიწყო ხალხმა დენა. ნაშუადღევს კარგა ბლომად მოგროვდა. ზოგი სასამართლოს შენობის დერეფანში იყო თავმოყრილი, ზოგი მახლობელ დუქანში, ზოგიც აქა-იქ მინდორში. უფროსის მოლოდინში დროს ლაპარაკ-მუსაიფში ატარებდნენ.

თოვლი ან წვიმა არ იყო, მაგრამ იანვრის ცივი ქარი საგრძნობლად უსისინებდა. ათიოდე გლეხი, ნაბდებში გახვეული, ქარისაგან თავის დასაცავად სასამართლოს სახლის კედელს ამოფარებოდა.

— სადილი მაინც მეჭამა! — უკმაყოფილოდ სთქვა ერთმა. — ოი, ოი, ქვეყანა იქცევაო, მართალი მეგონა და გათენებამდი გამოვიქეცი. ნაჩალნიკი მოვაო. აგერ კიდევაც ღამდება, მაგრამ არავინა ჩანს...

— ნაჩალნიკს თავი დაანებე, — ღმერთმან შაქარზე ახსენოს! — და იმ ჩვენ პრისტავთან, მშიერს კი არა, მაძღარსაც ქე უჭირს პასუხის მიცემა. ისეთი შემოგიძახებს და შემოგიკურთხებს, რომ ძუკნა ძაღლს არ გაეგონება, — სთქვა მეორემ.

— ერთობ საძაგელი გინება კი იცის, — დაემოწმა მესამე.

მეორე ჯგუფი სასამართლოს მახლობლად დუქნის უკანა ოთახში მოგროვილიყო. რიცხვით ეს ჯგუფი მცირე იყო, მაგრამ ღირსებით ყველას სჯობდა, რადგან მთელი ჭყონონის ბედ-ილბალი მის ხელში იყო. გადასახადს ესენი ანაწილებდნენ, თანამდებობის კაცები მათ მიერ ან მათი გავლენით ირჩეოდნენ. მთელი სოფლის მაგივრად, სადაც საჭირო იყო პასუხს ესენი აძლევდნენ. ესენი ყოჩები იყვნენ, დანარჩენნი საკრეჭი ცხვრები.

დუქნის ჭუჭყიან ოთახის ბუხარში ცეცხლი ენთო და მის წინ გაქონილ სკამზე ბასილ მძებრაძე იჯდა. ეს ხომ ჭყონონას ბელადი იყო. კედლის გასწვრივ ვიწრო ტახტზე, რომელზედაც დაგლეჯილი ქეჩა ეგო, დინჯი გამომეტყველების ოთხი გლეხი იჯდა, ერთს მათგანს თეთრი წვერი მკერდს ქვემოთ სცემდა და გულზე თეთრი მედალიც ეკიდა. ეს გახლდათ ნამამასახლისარი გიორგი ჭუბურია. მტკიცე ხასიათისა და გამოცდილი კაცი იყო, როგორც ამბობდნენ. დანარჩენნი სამნი შედარებით ახალგაზრდები იყვნენ. ერთი ქოსა, დაღმეჭილი სახის თვით მედუქნე გახლდათ — ოქროპირა. მეორე შავწვერა, სრული კაცი, ადგილობრივი დურგალი იყო. ამასაც გამოცდილი კაცის სახელი ჰქონდა სოფელში მოხვეჭილი. მათ გვერდით იჯდა ღრმად მოხუცებული ბაკურია ერცქემია, რომელიც მთელ ჭყონონაში საუკეთესო მოლაპარაკედ ითვლებოდა. ბასილის გვერდით სკამზე იჯდა მძებრაძეებში ჩასიძებული აზნაური ლავრენტი ტკვარჩელია. ამასაც სოფლის ჭირვარამის მებაირალტრად მოჰქონდა თავი. რჩევას იძლეოდა, წაჩხუბებულთ არიგებდა და თუ სახეირო რასმე დაიგულებდა, უკულმაც მოიქცეოდა, ე. ი. გარიგებულს ისევ არევ-დარევდა. ზოგჯერ ვექილობდა კიდეც.

სოფელ ჭყონონაში ამ ექვსი კაცის დაუკითხავად და უნებლიედ არავითარი საქმე არ გაკეთდებოდა. მძებრაძე და ტკვარჩელია, როგორც აზნაურები, სოფლის ზოგიერთ საქმეში, მაგ. ფოსტის ფულის განაწილებაში, უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ, მაგრამ მათი გავლენით ბევრი რამ კეთდებოდა.

— შენ ნამდვილად იცი, ოქროპირა, რომ ნაჩალიკი აღწერის თაობაზე მოდის? — ჰკითხა ბასილმა მედუქნეს.

— ნამდვილად ვიცი, ზ-დან წუხელ მოვედი. ჯვარი-ნჯვალისკენ კიდევაც შესდგომიან აღწერას.

— ვითომ რას ნიშნავს ახლანდელი აღწერა?—იკითხა მოხუცმა ბაკურიამ.

— არაფერი ვიცი, — დაფიქრებით შენიშნა ბასილმა.

— კაცო, ახალი კამელარია არ დგებოდეს? — შენიშნა ნამამასახლისარმა გიორგიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე კი, როგორც შევიტყე, სალდათობა უნდა იყოს, — ხმადაბლა სთქვა ლავრენტიმ.

— მეც ეგ მინდოდა მეთქვა და თქვენ დამასწარით, ალბათ, რასმე იპოვნით, — სიცილით მიუგო დურგალმა.

— რა სალდათობაა? მელიციობა? — იკითხა ისევ მოხუცმა.

— არა, ბაკურია, საყოველთაო, სამუდამოდ გაწესრიგებული სალდათობა იქნება, — მიუგო ლავრენტიმ.

— ასე მოგახსენებენ, დიახ, — კვერი დაუკრა მედუქნემ.

— ვითომ? — ეკითხა ბასილმა და ყველას გაკვირვებით გადახედა.

— ნამდვილად.

ბასილმა მაინც ეკვით თავი გააქნია.

— ყველანი ასე მოგახსენებენ, რახანია ამაზედ გაზეთიც მოვიდაო, — განაგრძო მედუქნემ. საბოლოოდ გადაწყვეტილიაო. ჩემი დისწული, თქვენც იცით, ნანჩალიკის ლაქიაა, აგერ ხუთი წელიწადი კი იქნება. კა თხუთმეტი მანეთი ჯამაგირი აქვს იმ კაცს. იასაულის ადგილზეა ჩაწერილი. რასაც სანჩალიკოში იტყვიან, იმას არ გამოეპარება. იმან ასე ილაპარაკა.

— ვსთქვათ ასე იყოს, მაგრამ სულ ყველას წაიყვანენ, აზნაურსაც, თავადსაც? განა მაღალ საზოგადოებასაც გაუბედავენ ვითომ? — ეკითხა ბასილმა.

— თუ იქნა, რასაკვირველია! — მიუგო ნამამასახლისარმა, — თუ წაიყვანეს, ყველას წაიყვანენ. ამაში წოდების გარჩევა არ იქნება, მგონია. საცა მე ვიქნები, შენც იქ გვერდში უნდა ამომიდგე, — ნიშნის მოგებით გაეხუმრა ბასილს და მერე ლავრენტის მიუბრუნდა: — ნუ გეშინია, ორივეს გადაგვადებენ ხიშთიან თოფებს და ნაპლე... ჩუს რომ დაგვძახებენ, თქვენი კეთილშობილება უნდა მარჯვნივ მიბრუნდეს, ნაკრა... ულს რომ იტყვიან, ჩემი პატიოსნება მარცხნივ უნდა მიბრუნდეს... მაშ რა გგონია!

— ის დღე შენ არ მოგესწრება, — მიუგო ლავრენტიმ, — მე და შენ რომ ერთად ვიდგეთ და ერთნაირად ვმსახურებდეთ... მართლა, ბასილ, ხუმრობა იქით იყოს და ამ თავადაზნაურობას როგორ უზამენ? მათთვის, ალბათ ცხენოსნების პოლკს შეადგენენ, აი ომიანობაში რომ იყო დვარენსკი პოლკი.

— ვფიქრობ ასე იქნება, — მიუგო ბასილმა.

— არა, შენ დაგავიწყდა, — ბოროტი ღიმილით გადახედა ნამამასახლისარმა, — ცხენს მეჯინიბე არ უნდა? თითო აზნაურს თითო გლეხს მეჯინიბედ მიუჩენენ, გოგოებსაც გააყოლებენ მოახლედ. შენ გული გაიმხიარულე...

— მეტი არ გაიხარა ჩემმა მტერმა! — დინჯად გაერია დურგალი. — ყველა ერთად იქნება, ბატონი, გლეხი, აზნაური და თავადი. რამდენადაც მე ვამიგონია, სამხედრო ბეგარა რუსეთში საერთოა. თუ ეს ასე არ იქნა, ბევრი მაგინე.

— რას ამბობთ, კაცო? — უკმაყოფილოდ წამოიძახა ლავრენტიმ, — მაშ რის თავად-აზნაურობაა, რის მაღალი წოდებაა, თუ გლეხისაგან არ გაარჩევენ?

— მეიცა, მეიცა! — გულნატკენად წარმოსთქვა ბასილმა, — ვსთქვათ ეხლა, ჩემს შვილს და კოჩას შვილს ერთად დააყენებენ? რავა გეკადრება!

— რა ვიცი, — მხრების აწევით მიუგო დურგალმა, — მე კი მგონია...

— რავა გეკადრება!

— მე კი სულ სხვა გავიგე, — წარმოსთქვა ნამამასახლისარმა.

— აბა, აბა? — წამოიძახა ყველამ ერთბაშად.

— თქვენ თავადების და აზნაურების პოლკის შედგენას ბატონობთ. მალალი წოდებაო, გაიძახით, და პოლკი ვისგან შეადგინონ, როცა ჩვენი თავად-აზნაურობა ჯერ გარჩეული არა ყოფილა. ვინ იქნება აზნაური, ჯერ არავინ იცისო.

— ეს ახალი ამბავი არაა, თავად-აზნაურობის საქმე ჯერ, მართალია, მოწესრიგებული არ არის, მაგრამ, იმედია, მალე მოწესრიგდება. ეს არაფერია, სალდათობაზე ილაპარაკე...

— მაგასაც ჩქარა შევიტყობ: პრისტავი რომ მოვა, დაწვრილებით ყოველისფერს გამოვკითხავ, — ამაყად სთქვა ტკვარჩელიამ, თითქო იკვეხის: ერთი მიყურეთ, რა დაახლოებული ბიჭი ვარო პრისტავთან.

მზე თანდათან დასავლეთისკენ იხრებოდა, იანვრის უიმისოდაც მოკლე დღე თავდებოდა და მაზრის უფროსი მაინც არა სჩანდა. სასამართლოს წინ მინდორი ხალხით გაივსო.

ბევრი ხნის უნახავები ერთმანეთს ესალმებოდნენ, ზოგი ერთმანეთს ცხენს და ხარს ევაჭრებოდა, ზოგი ხუროს ურიგდებოდა, ზოგი ავადმყოფის მორჩენას ულოცავდა და ზოგიც სამძიმარს ეუბნებოდა.

თითქმის ბინდისას ვილაცამ დაიძახა, მოდიანო და ზ-სკენ მიმავალი გზიდან რამდენიმე ცხენოსანი გამოჩნდა.

ხალხი საჩქაროდ სასამართლოს წინ შეჯგუფდა. აზნაურები დერეფანზე ავიდნენ. მამასახლისი საზოგადოებას წინ დაუდგა.

— გამარჯვება თქვენი! — მოსვლისთანავე დაიძახა უფროსმა რუსულად, თუმცა ქართული მშვენივრად იცოდა. — მომილოცავს ახალი წელიწადი!

ხალხი თვალ-დაჭყეტილი შეჰყურებდა. ბოქაულმა, რომელიც უფროსს თან მოჰყვა, მისი ნათქვამი ხალხს გადაუთარგმნა.

— ღმერთმან გაცოცხლოს, ბატონო! — დაიგრიალა რამდენიმე ასმა კაცმა, რომელიც ქუდ-მოგლეჯილი, კრძალვით, უფროსის წინ იდგა.

— მე დღეს მოვედი თქვენთან, რომ გამოგიცხადოთ უმაღლესი მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც უნდა მოხდეს თითოეული ოჯახის აღწერა. ეს ფრიად დიდი და სასარგებლო საქმისათვის არის საჭირო, რომელსაც ჩქარა შეიტყობთ. ამ დღეებში მომრიგებელი შუამავალი მოვა თქვენთან სოფელში, ის მოგიხმობთ და ყველამ სია უნდა შეადგინოს: ვის რამდენი შვილი ჰყავს, რა ასაკისანი არიან და სხვა... სათქმელი ხომ არაფერი გაქვთ? — დაუმატა უფროსმა.

ბოქაულმა გადათარგმნა. ხალხში ჩუმი ჩოჩქოლი ატყდა.

— ერთს მოგახსენებთ, ბატონო, — მოისმა ბაკურიას ხმა, რომელსაც ასეთ შემთხვევაში მუდამ წინ აყენებდნენ ხოლმე: — ჩვენ რამდენი შვილი გვყავს, ან რა ასაკისანი არიან, განა მღვდლებმა უკეთ არ იციან? მე მართალი უნდა ვსთქვა: ჩემი შვილები რა წელს და რა დღეს დაიბადნენ, დანამდვილებით არც კი ვიცი.

— მღვდლებსაც თავის რიგით მოვთხოვთ სიას და თქვენც ცალკე უნდა სთქვათ.

— მაგრამ, ბატონო, ორი ასაკი ხომ არ იქნება. შეიძლება ჩემი და მღვდლის ნაჩვენები ერთმანეთს არ მოხვდეს, მაშინ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა ბაკურიას, მაგრამ ბოქაულმა „სს! ბევრს ნუ ყბედობ, ყაზახო!“ უთხრა და ჩააჩუმა.

— სხვა, როგორი მშვიდობაა თქვენ საზოგადოებაში, მამასახლისო? — ჰკითხა უფროსმა...

— მშვიდობა კარგი, ბატონო, თქვენი იმედით...

— ქურდობა ხომ ხშირი არაა?

— არა, ბატონო! მხოლოდ იქით კვირას ძვაძვალა ჭკურუას მოპარეს ერთი ლაფშა ცხენი, იორდანე სულუგინიას ჭაკი ცხენი, ფართხუნია გაგვიკვენაძეს ულელი ხარი და ირინე ქვრივს ერთი დედალი თხა. ბურდღუა ღვედავაც შემოგვჩივა, ერთი მაშჭა ღორი მაკლიაო, მაგრამ ჯერ ვერ გამოგვირკვევია, მოპარულია თუ სხვის ღორებს გადაყვა, ან სადმე მიიმალა...

— მერე, განკარგულება მოახდინეთ რამე?

— კი, ბატონო, — მიუგო თვითონ ბოქაულმა. — ღორზე ჯერ არ მომხსენებია და სხვა დანარჩენი კი საქმის ქაღალდებში ჩაწერილია და საძებრად ყველა მამასახლისთან ბარათია გაგზავნილი.

— კარგი; ისე ხომ ერთმანეთში თანხმობაა?

— კი, ბატონო, თქვენი იმედით... მხოლოდ სულუგინიებმა და ჭკიდაძეებმა იქით კვირას ერთმანეთს ცხვირ-პირი ჩაამტვრიეს კიკო სულუგუნიას ასულის მოტაცების თაობაზე. ახლა სულუგუნია და ომერი ჭკიდაძე ან მორჩებიან ან არა. ორივეს თავის ქალა ხუთგან აქვს გაპობილი...

— ზომები ხომ მიიღეთ?

— დიახ, ბატონო, — მიუგო ბოქაულმა. — ოქმი შედგენილია.

— აბა მშვიდობით! — დაიძახა უფროსმა.

— ღმერთმან მშვიდობა მოგცეთ! — დაიგრიალა ხალხმა, ქუდი დაიხურა და სახლებში დაიფანტა...

მამა ევთიმემ დაუჯდომელი ილოცა, თმა დაივარცხნა და ის იყო ისევ ლოცვანს მოავლო ხელი, რომ ნიკოია თოხიტარია შეევიდა.

— რა ამბავია, ნიკოია? — დაეკითხა მღვდელი.

— შენდობა ბატონო, ღვთის და თქვენი იმედით ბევრი არაფერი მიჭირს... იმ საუბედურო ასაწერად მივდივარ. მიროვი პასრედნიკი სეფანე ჭუბურიას სახლში ჩამოხთარა და ყველანი იქ უნდა მივიდეთ და ჩავეწეროთ. მოძღვარო, ერთი მირჩიე, როგორ ჯობია მოვიქცე: ზოგი ამბობს, წლოვანობის მოკლეა უკეთესია, ზოგი წინააღმდეგს ამბობს. არ ვიცი, რას დავადგე.

— მე თუ რჩევასა მკითხავ, ჩემო ნიკოია გეტყვი, ნურავის ნათქვამს ნუ აყვები, ჩასწერე ისრე, როგორც ნამდვილად არის, ნურც მოუკლებ, ნურც მოუმატებ.

— სინამდვილე რომ არ ვიცი?

— ჰო, შეიტყო გინდა?

მღვდელმა საჩქაროდ აღსარების მთქმელთა სია მოსძებნა და ფურცვლა დაუწყო, თან თავისთვის ბუტბუტებდა: თოხიტარია... ა, თოხიტარია: „თოხიტარია ნიკოია პეტრიას ძე, — დაიწყო კითხვა მღვდელმა, — სამოცდაოთხი წლისა, ქვრივი.“

— მეტი ვიქნები, ბატონო.

— არა, მგონია. ვინ იცის, შენი დაბადების დროს ეკლესიის საბუთების წარმოება არც კი იყო... „შვილნი მისნი, — განაგრძო ევთიმემ, — პეტრე ოცდაოთხის წლისა, ივანე ოცდაერთის წლისა, ათანასე ჩვიდმეტის წლისა, ფარნა

თერთმეტის წლისა და ასული გაიანე თუთხმეტის წლისა. დედა მისი ბუჭა გურიკოჩის ასული ოთხმოცდახუთის წლისა, ქვრივი.“

— საბრალო გურიკოჩიც ქე წერებულა! — სიცილით შენიშნა ნიკოიამ.

— აა, ბაბა, ასეა: დედა შენი ოთხმოცდა ხუთი წლისა, შენ სამოცდაოთხისა, პეტრე ოცდა ოთხის, ათანასე ჩვიდმეტის, ფარნა თერთმეტისა და გაიანე თუთხმეტის. წენ და დედაშენის წლოვანებაზე რა მოგახსენო და სხვებს კი დრამი არ აკლია, ყველა ჩემი ხელით მონათლული და ჩაწერილია.

— მაშ არც მოუმატო და არც მოვუკლო...

— ეს ცნობები ჩვენც მოგვთხოვეს და რა ხანია გავუგზავნეთ.

— თქვენ თუ გაგზავნეთ, მე რალას მაწუხებდა ოჯახაშენებული! — ნაღვლიანად შენიშნა ნიკოიამ.

მღვდელს გამოემშვიდობა და წავიდა. ევთიმემ კი ლოცვანი გახსნა და კითხვა დაიწყო.

თიბათვის დამდეგს ზ-ს პირველდაწყებითი სასწავლებლის მოსწავლეები გამოსცადეს და დაითხოვეს. მეორე განყოფილებაში ყველაზე უკეთ ფარნა თოხიტარიამ გაიმარჯვა, ამიტომ შინ დასათხოვნ ბარათთან ერთად ერთი ლამაზი წიგნიც აჩუქეს. წიგნი რუსული იყო და შიგ მეფეები და დედოფლები ეხატა. ფარნა სიხარულით ცას ეწია და რაკი დასათხოვნი ბარათი და წიგნი ხელთ იგდო, სიხარულით გასწია თავის მამიდის სახლისაკენ, სადაც ბინადრობა ჰქონდა. ცალ ხელში ახლად-მიღებული წიგნი ეჭირა, მეორე ხელში — ჩანთა და ქარივით მიჰქროდა.

მამიდას სახლში ფარნა ისარივით შევარდა.

— რა ამბავია, მადა, ვინმე ხომ არ მოგდევს? — გაოცებით ჰკითხა მამიდამ, რომელსაც ცალ ხელში მტირალი ბავშვი ეჭირა, ხოლო მეორეში ცოცხი და სახლსა გვიდა.

— მომდევს კი არა, მადა, შენი ჭირიმე, შინ დამითხოვეს, ბილეთიც მომცეს, წიგნიც მაჩუქეს, ა, ა! — ცალ-ცალკე უჩვენა აღტაცებულმა ფარნამ.

ლამაზი წიგნის დანახვაზე მტირალი ბავშვი გაჩუმდა. მამიდამ ცოცხი დაგდო, ბილეთი და წიგნი თითებით გასინჯა, თითქოს მათი სიავ-კარგე უნდა შეამოწმოსო.

— მადა, მე ეხლავე წავალ, ეხლავე! — მოუთმენლად ამბობდა ბიჭი და წარა-მარა ერთ ადგილას ტრიალებდა.

— სად უნდა წახვიდე, ნანასქუა? — მიუგო მამიდამ და ისევ ცოცხს მოავლო ხელი — დამშვიდდი, ხომ არ გადარეულხარ!

— სახლში უნდა წავიდე, შინ უნდა წავიდე, ჭყონნაში, ეხლავე, ამ საათში! მერე ვერც-კი მიუსწრებ, მეშინია, გზაზე არ შემომალამდეს.

— რას ამბობ, შვილო! — პირჯვარი დაიწერე, სახლში შენ მარტო რა წაგიყვანს, ნანა? მოითმინე, ხვალ ან ზეგ უსათუოდ მოგაკითხებენ.

— რას მეუბნები, მამიდა! ხვალ და ზეგამდი ჯაჭვით რომ დამაბა, ვერ მოვიცდი. მართლა, ბალანა ხომ არა ვარ? მე ეხლავე წავალ. საშიში რა არის, გზა პირდაპირ მიდის.

— ქე მაინც ისადილე, შვილო, — უთხრა მამიდამ, როცა ნახა, რომ ბავშვი თავისას არ იშლიდა.

— არ მინდა, არა, არაფერი არ მინდა.

— წიე! როგორ არ გინდა?! — ცოტა ხმამაღლა შენიშნა მამიდამ. — სული ცხვირში რომ შეიბჯინე და აგერ-აგერ გადაირევი, რამ აგაჩქარა, ციხე-

ფერდი გაგეჭცევა, გგონია? დილითაც არაფერი გიჭამია, მაშინაც აი, აიდ, სულის მობრუნება არ დამაცადე...

— არა, ბაბა, ღმერთმანი, არ მშია, ბაბა ნუ მომიკვდება, არა მშია!

ფარნამ საჩქაროდ მოსძებნა, თუ რამე ტანისამოსი ჰქონდა, ძებნაც ბევრი არ დასჭირებია, რადგან რაც ზედ ეცვა, იმაზე მეტი თითქმის ბევრი არაფერი ჰქონდა. სამოგვის ქალამნები გაიხადა და ბოხჩაში გაახვია.

მამიდამ მაინც ცივი ღომის ნატეხი და ყველის ნაჭერი თეფშზე დაუდვა და შესთავაზა.

სხვა დროს ფარნა საჭმელს მგელივით ეცემოდა და თვალის დახამხამებაზე გადასანსლავდა, დღეს კი ძალიან ზანტად მიუჯდა, მამიდას ხათრი აღარ გაუტეხა, თორემ მართლაც არ იყო ჭამის გუნებაზე.

მცირე დანაყრების შემდეგ სწრაფად წამოვარდა და მამიდამ მიხედვა ვერ მოასწრო, რომ ბიჭი ჭისკარს გასცილდა.

— ჭკუიანად იყავი, ჭკუიანად, შე გადარეულო, გზაზედ რამე არ დაგიშავდეს! — მიაძახა მამიდამ და მზეს შეჰხედა.

თიბათვის მხურვალე მზე ჯერ კიდევ მაღლა იყო. ამით დამშვიდებულმა მამიდამ ბიჭს თვალი გააყოლა და მერე თავისი საქმე განაგრძო.

ფარნა გზას დაადგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიდიოდა. პირველად სიარული ეადვილებოდა, მაგრამ მალე გაოფლიანდა, ფეხებშიაც დაღლილობა იგრძნო და სიარულს მოუკლო.

ფეხსაბან ღელეს რომ მიუახლოვდა, იმდენად მოიქანცა, რომ გადასწყვიტა ღელის პირად დაესვენებინა. „მზე ჯერ კიდევ სადაა, — გაიფიქრა მან, — დაღამებამდი შინ მაინც მივალო.“ ღელის პირად ჩრდილი მოსძებნა, პატარა ბოხჩა სასთუმლად დაიდო და წამოწვა. მერე ჩანთა მოიხსნა და იქვე გვერდზე მოიდო. ბილეთი და წიგნი ფრთხილად ამოიღო; ერთი გადახედა ბილეთს, მერე წიგნი აიღო და გულდადებით თვალიერება დაუწყო. კარგა ხანს ფურცლა. მერე ისიც შეინახა და მზად იყო გზა განეგრძო, რომ ვილაცის მოწუწუნე ხმა შემოესმა.

— არა, არა, არ მინდა! — ბუზღუნებდა ვილაცა. — რა იყო, რომ მითხრა, ცალკე ახალ-უნაგრიან ცხენს გამოგიგზავნიო. არ მინდა, არა! ფეხით წავალ...

ფარნა წამოდგა, გაიხედა. სავსე ხურჯინგადაკიდებულ ცხენზე იჯდა თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი, რომელიც ფარნამ შორიდანვე იცნო. ეს მისი ამხანაგი აზნაური პავლე უდიერაშვილი იყო, ცხენს წინ ახალგაზრდა კაცი მოუძღოდა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, მოჯამაგირე უნდა ყოფილიყო.

— ცალკე ზიხარ, მა რა უბედურებაა! — უკმაყოფილოდ მიუგო გამყოლმა. — რატომ იცი, პავლე, ასეთი ახირება, ერთხელ თუ რამე დაიჯინე, საშველს არ მისცემ. რაც შენი მასპინძლის სახლიდან გამოვედით, მას აქეთ არ მოგვისვენია: მობუზღუნობ და მობუზღუნობ. რა დაგემართა, შე კაცო, ჩვილი ხომ არა ხარ? შენ სიგრძე კაცს ჭკუა უნდა ქონდეს. შენ ბარგზე შენ რომ იჯდე, ეს რა სირცხვილია!

— არა, არა! — არა სცხრებოდა პავლე. — მეფართლე ურია ხომ არა ვარ? ცალკე ცხენს გამოგიგზავნიო, რათ არ გამომიგზავნა?

— რომანოზიც და ელისაბედიც დღეს სატირალში არიან, თორემ ცხენი და უნაგირი თავისუფალი რომ ყოფილიყო, უსათუოდ გამოგიგზავნიდნენ ჯვარის საწერად ხომ არ მიდიხარ, შე კაცო?!

ფარნას ძალიან გაუხარდა თანამგზავრების შეხვედრა. მით უფრო ამხანაგის, რომლის წინაშეც ცოტაოდენი ამაგიც მიუძღოდა. უდიერაშვილი სწავლაში სუსტთაგანი იყო და გაკვეთილის მიგების დროს ფარნა ხშირად უჩურჩულებდა. ხოლო საანგარიშო ამოცანების გამოყვანა უდიერაშვილმა სრულებით არ იცოდა. ამაშიაც ფარნა ხშირად ეხმარებოდა.

მაგრამ დაინახა თუ არა უდიერაშვილმა ფარნა, ცხენს მაგრა შემოჰკრა და ისე გაუჩქარა, რომ მოჯამაგირე ძუნძულით ძლივს მიჰყვებოდა.

ფარნას არ ესიამოვნა ამხანაგის ასეთი მოპყრობა და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ განაგრძო გზა. მაგრამ მალე ისევ დაღლა იგრძნო. კუჭმაც თავისი მოითხოვა, და ბიჭს გაახსენდა უპატიოდ მიტოვებული ცივი ღომი. იმ ღომს და ყველს, ეხლა რომ ჰქონდა, მათ წონა ოქროზე არ გასცვლიდა. მაგრამ სად იყო?

ჭყონონა-კი ჯერ შორს იყო. — ირგვლივ მიმოიხედა. „ტყემალი მაინც იყოს სადმე, პირს გავისველებდი", — გაიფიქრა გუნებაში. სწორედ ამ დროს ნაცნობი ხმა მოესმა:

— ნამდვილად ფარნაა, შორიდანვე ვიცანი, ღმერთმანი ფარნაა! ხომ, უჩანა?

— ის უნდა იყოს, — მიუგო მამაკაცის ხმამ.

ფარნამ მიიხედა და რამდენიმე საჟენის მანძილზე ინგლისური უნაგირით შეკაზმულ ცხენზე გადამჯდარი ტასია დაინახა. ხელში ვერცხლით ტარმოჭედილი მათრახი ეჭირა და ცხენს ბეჭებზე ნელ-ნელა უცაცუნებდა. უკან ტასიას ხურჯინ-გადაკიდებული ცხენით უჩანა მოჯამაგირე მისდევდა.

— ხომ გიცანი, შორიდან ხომ გიცანი! — მიეხმატკბილა ტასია.

— ფარნას გამარჯობა! — მიესალმა უჩანაც.

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ! ქე მომეწიეთ, — ცოტა მორცხვად მიუგო ფარნამ.

— ეხლა ჩვენ შინ უნდა ვყოფილიყავით, — დაიწყო უჩანამ, — მაგრამ, ხომ იცი, ხაბაკი-ხუბუკი, რაღაც-რაღაცეები საყიდელი, თან სიცხემაც მოგვისწრო. შუა დღეზე თავის გადასაგდები არაფერი გვიჭირდა და დავრჩით ამ დროშდი....

— ეხლა შენ, უჩანა, ლაპარაკს მოუკელი, ჩამოდი მაგ ცხენიდან და ფარნა შეაჯინე, დაღლილი იქნება, — უთხრა ტასიამ.

— კი, ბატონო! ეს ისეთი კარგი ბიჭია... ღმერთმან აცხონოს, ამის დედისაგანაც, ბევრი კარგი გამახსენდება, ანგელოზი ქალი იყო განსვენებული!

— არა, არა, ნუ შეწუხდებით! თქვენ მიბრძანდით, მე ასე მირჩევნია, — არეულად მიუგო ფარნამ.

ამასობაში უჩანა ჩამოხტა და ცხენი ფარნას მიუყვანა. ცხენზე შეჯდომაც უშველა.

— აგაშენა ღმერთმა! ოი, ოი, ოი! დამამტვრია მაგ ოხერმა კეხმა, ფეხს გავიმართავ. კარგი ვქენი, რომ ჩამოვხტი. ეგ აბჟანდიც მოკლეა ჩემთვის, — ჩიოდა უჩანა. ერთი-ორი წაიბაჯბაჯა და მერე ცხენოსნებს მშვიდად წინ გაუძღვა.

ფარნას-კი უჩანისაგან დაწუნებული კეხი ბუმბულის ბალიშად მოეჩვენა.

— მაგრა დაარტყი ფარნა, მაგრა, თორემ ცოტა ნოდია ცხენია, — ჩაილაპარაკა ტასიამ და ბიჭს ღიმილით შეხედა.

ფარნამ მორცხვად შეხედა. უდიდესი კმაყოფილება გამოეხატა სახეზე.

— როგორი ბილეთი მოგცეს, ფარნა? — ჰკითხა ტასიამ.

— ასე, გვარიანი, — მიუგო ფარნამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, მაჩვენე!

ფარნამ ხელი ჩანთაში ჩაჰყო, ბილეთი მოსძებნა, ფრთხილად ამოიღო და ტასიას გადასცა.

ტასიამ დახედა და აღტაცებით წამოიძახა:

— რას ამბობ, ფარნა, გვარიანი კი არა, პირველი მოწაფე — ოთხლიანი! ერთი ოთხიც არ ურევია.

— წიგნიც მომცეს, — უთხრა ფარნამ.

— აბა?

ფარნამ წიგნიც გადასცა. ტასიამ წიგნი გადაშალ-გადმოშალა.

— ყოჩაღ, ფარნა, ყოჩაღ! ძალიან მიხარია, ბაბა ნუ მომიკვდება! — გულუბრყვილოდ უთხრა გოგომ, — ჩემ ბილეთსაც გიჩვენებდი, მაგრამ ხელის ახლოს არა მაქვს, იქ სადღაც ხაბაკებშია.

— შენი ბილეთიც კარგი იქნება.

— გვარიანია, — სიცილით მიუგო გოგომ და ცალი თვალი დახუჭა.

— მაინც, ხუთებია?

— ხუთებიც არის.

— ოთხები?

— ოთხებიც არის.

— სამი?

— ეგ კი უკაცრაოდ, სამი არ ურევია.

— ძალიან კარგი, — თანაგრძნობით მიუგო ფარნამ.

— აბა რა გეგონა, ჰა, ჰა, ჰა! — გადიკისკისა გოგომ და წიგნი უკან დაუბრუნა.

ციხე-ფერდის მახლობლად, ერთ გადასახვევში, ფარნამ ცხენი შეაჩერა და ჩამოხტა.

— აქ გადაუხვევ? — ჰკითხა ტასიამ.

— დიახ! მადლობელი ვარ, — მორიდებით მიუგო ფარნამ.

— დიახ, დიახ, ამისი გადასახვევი აქ არის, — სთქვა უჩანამ და ცხენზე შესაჯდომად უზანგი მოიმარჯვა. — ეჰ, ჩემი ცოდვა! რამდენი ღორი მიმწყემსია პატარაობისას ამ ფერდებში.

მგზავრები ერთმანეთს დაშორდნენ. ცხენები ქვიან დალმართში ჩაეშვნენ. ტასიამ უკან მიიხედა, მაგრამ ფარნა აღარ სჩანდა, ბორცვს მოჰფარებოდა.

XVIII

საღამო ჟამი იყო. აზნაური ბასილ მძებრაძე და მისი ბიძაშვილი ბართლომე ცხენებიდან ჩამოხტნენ და ოდის აივანზე ავიდნენ. ორივეს ჩაფიქრებული და მოწყენილი სახე ჰქონდა. მარიკა მხიარულად მიეგება და თუმცა მათმა დაღვრემილმა სახემ, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა, მაინც ტკბილად გამოეხმაურა.

— რა ამბავი, ძუკუს მამავ? მარშალმა რაზე დაგიბარა?

ბასილმა ხმა არ გასცა, ნაბადი მოიხსნა და გადასცა.

— რამ გაგაბუტა, შე კაცო? — შეეკითხა ისევ მარიკა.

ბასილმა, პასუხის მაგივრად, ყაბალახიც და მათრახიც მიაწოდა.

— რამ გარსაპა ეს ხალხი, არ ვიცი! — გაიკვირა მარიკამ და მხრების აწევით ნაბადი და ყაბალახი ოთახში შეიტანა.

დაბრუნებისას ბართლომეს მიმართა:

— შენ მაინც მითხარი, ბართლომე, რა ამბავია, თუ ძმა ხარ?

— არაფერი, ბატონო, ისე, — მიუგო მან არც მხიარულ და არც მოწყენილ კილოთი. — უმაღლესად გადაწყვეტილიაო, რომ სამეგრელოს თავადაზნაურობას აზნაურობის საბუთები მოეთხოვოსო და ამით მათი ღირსება დამტკიცდესო. ცალკე კომისიას ადგენენ და ვისაც სურს თავადაზნაურობა დაიმტკიცოს, საბუთებიც იქ უნდა წარადგინოს. ვისაც კომისია ღირსად იცნობს, იმის საქმეს რუსეთში ღეროლდიაში გაგზავნიან და ღრამატაც იქიდან მიუვაო.

— დეილოცა შენი სამართალი! მაშ მართალი ყოფილა ჩვენ რომ ჭორი გვეგონა? ნუ მეუბნები, ბართლომე! — პირჯვრის წერით გაიოცა მარიკამ — მოდი ეხლა და ნუ დაიჯერებ: თუ ახალი ამბავი გინდა, წისქვილში წადი და იქ გაიგონებო. ეხლა კი არა, შარშან წინ ხუმრობდნენ, მაძინია წისქვილში ამბობდაო: აზნაურებს საბუთს მოსთხოვენო. ჩვენ მაშინ სახუმაროდ არ გვყოფნიდა!

ბასილი კვლავ სდუმდა და დაღვრემილი იჯდა. ბოლოს ჩექმის ყელისაკენ ხელი წაიღო და ყალიონი ამოაძრო, ტარში ჩაუშტვინა, მერე ჯიბიდან დაჭრილ თამბაქოთი სავსე ბუშტისაგან გაკეთებული ქისა ამოიღო და ყალიონს თავი შიგ ჩაუყო.

— ირინე, ერთი სფიჩქა! — დაიძახა ბასილმა.

მარიკამაც ასანთი მოიტანა. ბასილმა ყალიონს მოუკიდა და კვამლი პირიდან სქლად გამოუშვა. თითქოს ამ ბოლმა გამოაფხიზლაო, წამოდგა, გაიარ-გამოიარა და ლაპარაკი დაიწყო:

— ა... ვსთქვათ ეხლა, თუ კაცი ხარ, — მიუბრუნდა ბართლომეს, მარჯვენა ხელი მხარზე წაუთათუნა და მერე ჰაერში გააქნია: — ქვეყანა რომ გაჩენილა, მძებრაძე აზნაური ყოფილა, ხომ, თუ ღმერთი გრწამს? თუ ძმა ხარ? ხომ? — დაჟინებით ჩაეკითხა ბართლომეს.

— ჰმ! — წაიდუდუნა ბართლომემ.

— კეთილი! ამდენი ხანია, შე კაცო, თუ აზნაური იყო, ეხლა რაღა საბუთი სჭირია? ა, თუ ღმერთი გწამს? მთელი ოდიში, ენგურსა და ცხენისწყლის შუა რომ დააფიცო, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ერთხმად იტყვის, რომ მძებრაძე აზნაურია. ოდიში ნუ იყოს, თუ გინდა, მთელი სააფხაზო, ენგურსა და გაგრას შუა, ვინც ცოტად თავმოღერებული კაცია, შარაშია, მარშანია, მარღანია, ინალისქუა, ემუხვარი, აქრთაა, ყველა დაიფიცებს, რომ მძებრაძე ტახტის აზნაურია! ჩვენი გვარი ვინმე ბრტყელაია ან ცქვიტყურაძე როდია, გუშინ გააზნაურებული, გუშინწინამდი ძროხის შვილს ბეგარად რომ იხდიდა! ნანდული ძველთა-ძველი ტახტის აზნაურია მძებრაძე და ეხლა, შენ წარმოიდგინე, საბუთი წარმოადგინე, ნამდვილად აზნაური ხარ თუ არაო.

ბასილმა ტუჩები მოკუმა, მხრები აიჩეჩა, ყალიონს შოუპაპუნა, მაგრამ ბოლი არ გამოვიდა, რადგან ლაპარაკის დროს ჩამქრალიყო. ასანთის კოლოფი გახსნა, ერთი წკირი ამოიღო, მოუკიდა და ისევ ლაპარაკი გააბა:

— შენ ახალგაზრდა ხარ, რა გახსოვს, და ცხონებული პაპაჩემი სუმონა რომ გენახა, ჰო, ჰო, ჰო, რა მოსრული და შესახედავი კაცი იყო! ამ კარებში არ შემოეტეოდა, ორგია ვერ მიუწვდებოდა იმის გულ-მკერდს!

ასანთის წკირი თანდათან იწოდა და ბოლოს ბასილმა თითებზე იგრძნო სიმწვავე, საჩქაროდ ყალიონის ტარი პირში ჩაიდო და ძლივს მბჟუტავი ასანთი ყალიონს დაადო, თან ლაპარაკი განაგრძო:

— ხენწიფე ნიკოლოზი რომ მობრძანდა ჩვენს ქვეყანაში, ლევან დადია, რასაკვირველია, მიეგება, თავად-აზნაურობა თან ახლდა, მთელი ოდიშის

დიდება იქ მოგროვდა და ამდენ საზოგადოებაში ხენმწიფემ სუმონა გამოარჩია პირდაპირ იკითხა თურმე, ისე მოეწონა ახოვანება... ეხლა რა ამბავია, შე კაცო, რა საბუთი გინდა უკეთესი?

— ჩვენ კი, ბიძი, ერთი საბუთი უნდა გამოგვადგეს? — ჰკითხა ბართლომემ.

— მეც ვფიქრობ, უნდა გამოგვადგეს, მამა ჩემი, ცხონებული მერაბი, მკვიდრი ძმა იყო მამა-შენის ზურაბის, და მათი მამა, ე. ი. ჩვენი ბაბუა, იყო სუმონა. სუმონას საბუთი ჩვენ ყველას გამოგვადგება. მხოლოდ, როგორც მარშალმა სთქვა, საეკლესიო საბუთებით უნდა დავამტკიცოთ, რომ ნამდვილად მისი შთამომავალნი ვართ.

— ეგ ადვილია.

— არა, არც ადვილია. ყველას კანტორის მოწმობა უნდა ჰქონდესო.

— მღვდლის ეყოფაო, რომ ამბობდნენ?

— ვინ გითხრა? მე პირადად მარშალსა ვკითხე, არავინ არ მოტყუვდეთ, მეტრიკული მოწმობა უსათუოდ კანტორიდან უნდა იყოსო.

— ეს კი, მართლა, არც ისე ადვილია...

— საქმე არ უნდა გავაჯანჯლოთ, აქედანვე უნდა ვეცადოთ. მე ტახტის აზნაური ვარო, რომ იძახო, არაფერი გამოვა. ეს საკმარისი არ ყოფილა, დამისაბუთე, რომ ნამდვილად აზნაური ხარო. რას უზამ, როგორც გიბრძანებენ, ისე უნდა დაუსაბუთო. ღმერთო მომკალი, ყოვლისფერს მოველოდი, მამაჩემის მოსვლას მოველოდი და მძებრაძეს საბუთს მოსთხოვდნენ, ამას კი არა! მე, შვილო, ხომ იცი, — შეშფოთებული კილოთი განაგრძო ბასილმა, — რაც შემიძლია თავს არ დავზოგავ, მაგრამ, თქვენც კარგად ჰხედავთ, ულევი მეც არაფერი მაქვს. თქვენც ეცადეთ, დაფაცურდით, ირაკლისა და პავლეს უთხარით, ხელი გამოილონ.

— რასაკვირველია, ბიძი, რაც შეიძლება...

— ასეა და ეხლა, ჩემო ბატონო, ფულებია საჭირო. მაგისთანა გაბრუნდებული საქმის ბატონია ფული, ფული და ფული. ჩქარა უნდა შევიტანოთ, რომ ჩქარა გათავდეს და მოვისვენოთ. ჰო, ფულმა გამახსენა. ღმერთო ჩემო, რა ოხერ კაცთან მაქვს საქმე! კაცო, ქვეყანაზე ღმერთი არ არის? ჩემისთანა დასჯილი კაცი კიდევ სადმე ვითომ იქნება? შემჭამა, შემჭამა, მაგ დრიმინტია მაზაკვალმა.

დრიმინტიას სახელის გაგონება ბართლომეს არ ესიამოვნებოდა, მაგრამ მაინც თანაგრძნობით მიუგო:

— არ გაგისწორდა კიდევ სრულად მაგ ამოსაწყვეტი?

— ჰმ! მა რას გეუბნები, შემჭამა-მეთქი. ჯერ ხომ ხუთი წელიწადი მაწვალა. მერე უჩივლე და, რა თქმა უნდა, დავადევი. მერე ის იყო, ერთი ცხენი მოიყვანა, ქვეყანა შემომისია, ზალიკა შემომიჩინა, ნათელ-მირონი... არ მომცა საშველი, ორი თუმანი რომ დარჩა, იმაზე დღეს-ხვალ, დღეს-ხვალაო და ქე არის, აბა! რა იყო, იმ მენცარმა ყაზახმა, სწორედ სისხლი გამიშრო...

— ღმერთმა დასწყევლოს! კაცი იყო, მეგონა. მაშინ მშვენიერად მიჰყავდა საქმე და მეც იმან შემაცდინა. მომკვდარვიყავი ნეტავი და ამ საქმეში არ გავრეულიყავ. მეც შემარცხვინა, მაგ შეჩვენებულმა და აგერ შენც ქე გახრჩობს! — რაც შეიძლებოდა პირს მოუფერა ბართლომემ.

— ეე... ჰ! — ამოიძახა ბასილმა და გაჩუმდა

დაბნელდა. მაისის დაუსრულებელი დღის მუშაობით ილაჯ-გაწყვეტილი გლეხები ჭალიდან თავიანთ სახლებისაკენ მიდიოდნენ. ბასილის სახლის პირ-

დაპირ, შუა ჭალაში, კოპიტის მაღალ როკზე ყვავები გროვდებოდნენ და ღამის გასათევად ემზადებოდნენ.

მარიკა მოწყენით სამზარეულო სახლისკენ წავიდა. ბართლომემაც შინ წასვლა დააპირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა, ბართლომე, ვივახშმოთ, — მიიპატიჟა ბასილმა.

— გმადლობთ, ბიძი, ეს ცხენი კოჩას უნდა მივუყვანო. სადილობამდი ვთხოვე და დაუგვიანე კიდეც... მეორეჯერ არ მათხოვებს.

ბასილმა ძალა არ დაატანა. ბართლომე ხის ტოტზე აღვირით მიბმულ ცხენთან მივიდა და თოქალთო-საოფლეს სწორება დაუწყო.

— თე, ბართლომე, როგორ მიდიხარ, არ ვიცი? — მიაძახა ბასილმა. — როდემდი უნდა ვაჭიანურობთ საქმე? მოდი, დღესვე განვიხილოთ საბუთები, შევიტყოთ, რა გვაქვს და რა არა... კი, კი, სჯობიან მოდი, მოდი, ცხენს ბიჭს წავაყვანინებ. გადადებული საქმის არაკი ხომ იცი?

ბართლომე ისევ შებრუნდა.

— ირინე! — დაიძახა ბასილმა.

— ბატონო!

— ხარდანაძის ქალს დაუძახე, ერთ წამს მოდი-თქვა.

ირინე სამზადი სახლისაკენ წავიდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მარიკა მძიმე ნაბიჯით ოდაში შევიდა.

— ხარდანაძის ქალო, — რაც შეიძლებოდა რბილად უთხრა ბასილმა, თითქო გაბუტებისათვის ბოდიშს იხდისო, — თუ გიყვარდე, ქალალდები მოძებნე. საბუთი უნდა გამოვარჩიოთ. რას გეტყვი, იცი, ბართლომე, — მიუბრუნდა ბართლომეს, — მე შეიძლება კარგი საბუთი არც კი მქონდეს, რატომ, იცი? რაც საუკეთესო ქალალდები იყო პაპა ჩემისგან დარჩენილი, ცხონებულ როსტომს ჰქონდა. აქ თუ რიგიანს არ წავაწყდით, ირაკლის და პავლეს უთხარი, ხვალ ნურსად წავლენ, მე მივალ და ყველა ქალალდი დავათვალიეროთ. სირცხვილია, კაცო, რაკი შევიტანთ, ჩვენს გვარს ეკადრებოდეს, ისეთი საბუთი მაინც შევიტანოთ, ისეთი, რომ ბევრი სალაპარაკო არ იყოს, ისე, ფიცხლავ გათავდეს საქმე.

ამასობაში მარიკამ კარგა მოზრდილი ყუთი მოიტანა. ყუთი გარედან ფერად-ფერადი თუნუქით იყო შეჭედილი. ბასილმა ყუთი მუხლებზე დაიდო და გააღო. ყუთი ქალალდებით სავსე იყო.

— აბა, ბართლომე, შენი ჭირიმე, თითო-თითოდ დავათვალიეროთ. ჯერ ეს ნახე, რა არის, — უთხრა ბასილმა და ერთი გაყვითლებული, დაკეცილი ქალალდი გადასცა.

ბართლომემ გახსნა, რამდენიმე ფურცელი ქალალდი ერთად იყო შეკინძული.

— ეჰ, ეგ რა მოგეცი, ეგ რა საბუთია! — მაშინვე შენიშნა ბასილმა, მაგრამ ბართლომემ მაინც წაიკითხა: „სია გარდასაბურავთა ფულთა გარდაცვალებულის აზნაურის მერაბი მძებრაძესი“.

— რაღათ გინდა, გადააგდე! — მიაძახა მარიკამ.

— რას ამბობ? — იოხუნჯა ბართლომემ, — აზნაურის მერაბი მძებრაძესიო. აქ მერაბი აზნაურადაა მოხსენებული...

— არა, ხუმრობა იქით იყოს და ვინიცობაა სუმონას სახელზე საბუთი ვერ ვიშოვნეთ, მაშინ მერაბის და ზურაბის საბუთები უნდა ვეძიოთ...

— ეს შეკრული ქალალდები რაღაა? აქ არ ბრძანდებოდეს ბ-ნი საბუთი, — წაატანა ხელი ბართლომემ წითელი პინტით შეკრულ ქალალდებს.

— ეს არაფერია... ამაში საბუთი არ არის, — აირია ბასილი და შეკრული ქაღალდები ჯიბეში ჩაიდო.

ეს ქაღალდები ხუმრობა საქმე არ იყო: იქ იყო ბასილის ყველა თამასუქი და აღმასრულებელი ფურცელი. მათი რაოდენობა, ბასილისა და მარიკას გარდა, არავინ იცოდა. ბართლომეც მიხვდა, რა ქაღალდებიც იყო.

— არ იჩქარო, ბართლომე, თითო-თითოდ გასინჯე, — საქმიანი კილოთი უთხრა ბასილმა და მოძველო, ოთხად დაკეცილი ქაღალდი გადასცა.

ბასილმა გახსნა და წაიკითხა:

„ძმაო ბასილ, ხვალ ჩემი სიმამრის სახლში ვაპირობ წასვლას და შენი უნაგირი...“

— გადააგდე იქით! — სთქვა გაჯავრებული კილოთი ბასილმა, — არა, აქ მომე! — ამ სიტყვებით ქაღალდი დაფხიწა და მაგიდას ქვეშ შეაგდო.

„უწყება. ს. ჭყონონას მცხოვ...“

— ოხრად დარჩა მაგის თავი! საბუთები ძველებურ ქაღალდზე იქნება დაწერილი... მარშალმა როგორა სთქვა, რომელი წლის აქეთური არ ვარგაო?

— ორმოცდა ათისაო, მგონია. ორმოცი რომ ურევია კი ვიცი.

— დავით დადიანის სიკვდილის შემდეგ მოცემულს ძალა აღარა აქვსო. სწორედ ასე სთქვა.

— მეც ასე მგონია.

— მგონია კი არა, უეჭველად ასე სთქვა. საბუთი უსათუოდ მეფის ან მთავრის საკუთარი ხელით მოწერილი უნდა იყოსო, და ის პირიც, ვისაც საბუთი ეკუთვნის, აზნაურად უნდა იყოს მოხსენებულიო. მაგრამ შენ ჯერ ეს მითხარი, დავით დადიანი რომელ წელს გარდაიცვალა?

— არ ვიცი, ტყუილი რა საჭიროა.

— მაშ რა იცი, — გაეხუმრა ბასილი, — მარტო ოთუსბირი?

— ე, ბიძი, გაქვს ღვთის წყალობა, მე რომ ოთუსბირი ვიცოდე...

— დავით დადიანის სიკვდილის წელს იყო თუ მეორეს მზე დაბნელდა და მესამე თუ მეოთხე წელს ომერ-ფაშა ინგურს გამოვიდა...

— ამდენი რაღად გინდა, დავით დადიანის მერენდელი ვისიმე ხელმოწერილი აღარაფერს სჭრის და ეს არის. თუ დავით დადიანის ხელმოწერილია, რომელი წლისა იყოს, სულ ერთია. სიკვდილის შემდეგ ხელს ხომ ვერ მოაწერდა?

— ეს კი მართალია! აბა, აბა, შეიძლება სადმე წააწყდე.

ბართლომემ ერთ მოდიდო ქაღალდს დაადო ხელი, გაშალა და წაიკითხა: „პირობა“.

— საბუთი, საბუთი, კაცო, და არა პირობა! მაინც აბა წაიკითხე, რომელი პირობაა.

ბართლომემ წაიკითხა:

„18.. წელსა გიორგობისთვის 16-სა დღესა, ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმომწერნი ზ-ს მაზრის და ს. ჭყონონას მცხოვრებნი ერთის მხრით აზნაურნი ბასილ მერაბის ძე, ირაკლი, პავლე და ბართლომე ზურაბის ძენი, კოხთა სქუნჩის ძე, ვახთა ყალმათის ძე, იორდანე ჭუჭუს ძე, ერისთუ და ივანე უჩანას ძენი, ოქროპირა ჭვიპის ძე, გახუ ოსეყმას ძე, უთუთი და გვატი სიკოს ძენი, ნარიქი და ამბაკო პეპუს ძენი მძებრაძეები და ლავრენტი გიორგის ძე ტკვარჩელია და მეორე მხრივ ამავე სოფლის და მაზრის მცხოვრები გლეხნი: სიკოია და გატინია სუმონას ძენი თოხიტარიები“...

— ოი, ეს ბალაგარი წისქვილის პირობა ყოფილა, — გააწყვეტინა ბასილმა. — აქ სხვისი მიბარებული პირობა მქონდა ერთი და ის მეგონა...

— დელი... დელი, ერი... ერი! — შემოიმღერა ამ დროს ძუკუმ და ზლაზნით შემოვიდა. — ბართლომეს სიცოცხლე! — მიესალმა ძუკუ.

— იცოცხლე და იხარე! ალბათ, რამე შეგემატება, შენი ხმა ვერ ვიცანი.

ძუკუმ თვალები აიბზიკა, ტუჩები სასაცილოდ ააცმაცუნა, ცალი თვალით ბასილს ალმაცერად გადახედა და ბართლომეს ენა გამოუყო, ვითომ ანიშნა: „ეს აქ არ ივჯდეს, სასაცილო რასმე გეტყოდიო". მერე ქალალდებს დააჩერდა:

— თო, ეს ქალალდები რა ამბავია? გალარიბებული ვაჭარი ძველ დავთარს ათვალიერებდაო, ისე ხომ არ მოგდით? — ვითომ იოხუნჯა ძუკუმ.

— შენ სულ მაგნაირ ციგანობას უმატე, არიქა! დავაუკაცდები აგერ, მაგრამ ჭკუაზე ერთი ბეწოც არ გემატება. რაცხა ცოდვის გადიდება! — დინჯად მიუგო ბასილმა.

— შენ ხომ თუ ერთხელ ქადაგება დაიწყე, მეხატული არ მიგივა, — მოუჭრა ძუკუმ.

— აჰა, ჰაია! — მძიმედ ამოიოხრა ბასილმა, — შენთვის ბაბა სქუა, შენთვის, თორემ მე სანამ სული მიდგია, მუდამ ბასილი ვიქნები. ამ ჩემ დროებას კარგად თუ ავად გავათრევ. შენთვის, შვილო, შენთვის! მადლობა უფალს ამდენი კაცი ვარ და ჩემი ცეტობით და მეტობით ჯერ საქმე არ გამიფუჭებია. ამ სიბერის დროს ეს დავიდარაბა არ მომდგომოდა, ეს ბანძი არ გამჩენოდა, ბოლომდე ტკბილად მივიტანდი ჩემს დღეს... ამასაც შენთვის, შვილო, თორემ მე სანამ ცოცხალი ვარ, სულ ბასილ მძებრაძე ვიქნები. კოჩა ბარიად არ გარდამქნიან, მგონია...

ბასილი თან ლაპარაკობდა და თან ქალალდებს აწოდებდა ბართლომეს. ბართლომე ჩუმად ქალალდს ათვალიერებდა, უარის ნიშნად თავს იქნევდა და მაგიდაზე სდებდა.

ძუკუ ჩაჩუმდა და სკამზე ჩამოჯდა. ის მართლაც დავაუკაცებულიყო. სიმაღლით თითქმის სჭარბობდა ბასილს. მისი განიერი მხარბეჭი, დიდრონი თვალები და ჯანსაღი შეხედულება სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზე.

სასწავლებლიდან დათხოვნის შემდეგ ბასილმა ერთხანს ახლო არ მიიკარა. მაგრამ თანდათან გული მოულბა. ან რა უნდა ექნა:

ერთად-ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა, მძებრაძეების გვარის გამგრძელებელი. „რა ვქნა, თუ მაინც და მაინც არ ისწავლა! — ფიქრობდა მოხუცი. — უეჭველია, რომ ესწავლა, სჯობდა, მაგრამ თავად-აზნაურობაში ხუთი არ ურევია ნასწავლი, მაინც გვარიანად კი ცხოვრობენ. მათ საზოგადოდ არ მოყვებათ კლასის გათავება. ჩემ შვილს მარტო არ დამართია ეს. თავად ქიშვარდი ქაჯურაძის და ყარამან წასულაძის შვილებიც ქე გამოაგდეს, მაგრამ არხეინად ცხოვრობენ თავიანთ სახლში. მოვიძულო სულ არ ივარგებს, შეიძლება სულ ავაზაკებს გადაყვეს, — და ისევ მოუფერა და მიეალერსა. ტანისამოსი, რა თქმა უნდა, რამდენიმე ხელი შეუკერა, ამასთან კარგი ღირსებისა. სირმით აჭრელებული შიგრინის ტყავის წუღა-მესტი უყიდა. ახალი მოდის მასრებით ორივე მკერდი დაუმშვენა. ქუთაისიდან ახალ მოდისავე სპილოს ძვლის ტარიანი დიდი ხანჯალი მოუტანა, ძვირფასი უნაგირი გამოუწყო და ვერცხლით შოჭედილი და მოოქრული ხმალი გადაჰკიდა.

— ა, ჯიმა, კაი ბიჭი და კაი ცხენ-უნაგირი! — ამბობდენ ზოგიერთები, როცა გამოწყობილი ძუკუ პირველად შეკრებულებაში გაერია.

— ერთად-ერთი შვილია, მამა მისი შეძლებული კაცია, რა გასაკვირვალია, რიგიანად რომ ატაროს! — ამბობდნენ სხვები.

— განა კილასში სწავლა მიატოვა? — გაიკვირვა ვილაკამ.

— მძებრაძე ნასწავლი ვის გაუგონია! — ოხუნჯა ერთმა.

სცხოვრობდა ძუკუ სახლში. რასაკვირველია, საქმეს არაფერს აკეთებდა. დილით გვიან ილვიძებდა და საუზმის შემდეგ ძმა-ბიჭებში გადიოდა. რომელნიც საკმაოდ ჰყავდნენ, უმთავრესად აზნაურები, მასავით უსაქმურები. შეგობრობდა ბართლომეს, თუმცა იგი ჭყონონაში დროგამოშვებით მოდიოდა. როგორც ვიცით, ბართლომე ბანქოს თამაშობით ცხოვრობდა და ჭყონონაში თავს ვერ დაირჩენდა, მაინც როცა სოფელში იყო, ძუკუ მას არ შორდებოდა.

ძალიან დაუამხანაგდა მათ ამავე სოფლის მცხოვრები სოფრომია ბარია, ჩვენი ნაცნობი კოჩას მოგვარე. სოფრომიას არც მამული ებადა და არც დედული, არც სახლი გააჩნდა და არც კარი (მამა მისი მძებრაძის მოჯალაბე იყო). სანადელოდ ქცევა-ნახევარი მიწა შეხვდა და იმის უფლებაც ბიძაშვილებს მიჰყიდა. შესახედავად ლამაზი ბიჭი იყო, სიმღერა და ცეკვა-თამაში ჩინებული იცოდა, საკმაოდ ოხუნჯიც იყო, და ამიტომ, მიუხედავად მოჯალაბის შვილობისა, ბევრი აზნაურის და თავადის სახლშიაც ჰყავდათ მიღებული. თითქმის მთელი მაზრა იცნობდა. ბოროტი ენები ათას ჭორს უგონებდნენ, თუმცა ჭორი, უმრავლესობის აზრით, სოფრომიასათვის უფრო სასახელო იყო, ვიდრე სათაკილო. მუდამ სუფთად ჩაცმულ-დახურული დადიოდა, ყოველთვის ჰყვანდა ცხენი თავისი უნაგირით. მუშაობით თავის დღეში თოხი არ მოუქნევია და ამიტომ საზოგადოებას საეჭვო პირთა სიაში ჰყავდა მოთავსებული. თუ ძუკუ, ბართლომე და სოფრომია ჭყონონაში ერთად მოხვდებოდნენ, ერთმანეთს არ შორდებოდნენ. საუკეთესო დრო იყო მათთვის გაზაფხული, როცა მამაკაცები მთელი დღით ჭალა-მინდორში მუშაობენ და სახლებში მარტო ქალები რჩებიან...

— სულ არა და არა! — წყენით ჩაილაპარაკა ბასილმა.—სასწაული თუ გინდა, ეს არის. მე საბუთი არ უნდა მქონდეს? ერთი კი არა, ასი უნდა მქონდეს. წიე! დაუძახე ერთი დედაშენს, ერთ წამს აქ მოვიდეს. ეს, ეს, აბა ბართლომე! — ბასილმა იმედიანად ცხრაჯერ დაკეცილ ქაღალდს ხელი მოავლო და ბართლომეს გაუწოდა.

— გარეგნობა კი მიუგავს, — სთქვა ბართლომემ, საჩქაროდ გახსნა და კითხვა დაიწყო: „ჩყჲ-სა წელსა მარიამობისთვის კ-სა დღესა. ესრეთი ჟამით ჟამად და უკუნითი უკუნისამდე უტყუარსა და ჯვარის სახედ ხელმოწერილსა წიგნსა გაძლევ მე ჭყონონას სოფლის მცხოვრები გლახ...“

— იქით გადააგდე! მართლა რამე იყო, მეგონა, — იმედ-გაცრუებულად გააწყვეტინა ბასილმა. — ეს ზევით რომ წაიკითხე ქრონიკონი, რამდენია?

— ეს კი ვიცი, საბრალო ჩემმა განდელმა ივაკია დიაკონმა სხვა რა მასწავლა: ჩინ, ყარ, ᲯᲘᲔ — ათას რვაას სამოცი.

— ეს კაი საბუთიც რომ იყოს, რა გამოსადეგია! მაშინ დავით დადია კი არა, ომიანობა გათავებული იყო, — ჩუმად სთქვა ბასილმა. — ხარდანაძის ქალო, ამას რომ მოვკვდე არ მირჩევნია? — ხმამაღლა მიაძახა ოთახში შემოსულ მარიკას: — ეს რა ცოდვის გადიდებაა, ამ ყუთში ერთი საბუთიც რომ ვერ ვიპოვნეთ?

— ᲰᲛ, მე რომ მეკითხები, მე რა ვიცი, შენ ყუთში რა საბუთები ძევს! — მხრების აჩეჩვით მიუგო მარიკამ.

— მაშ თათარმა და ლეკმა უნდა იცოდეს შენ სახლში რა ძევს და რა არა? მაშინ ვინ არის ოჯახის პატრონი, თუ არ შენ? — გულმოსულად სთქვა ბასილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი ქალალდებისათვის მე ხელიც არ მიხლია, რასაც მოიტან, მანდ ვდებ...

— აბა მაშ მე არც ერთი საბუთი არ მქონდა?

— არ ვიცი სწორედ.

— როგორ არ იცი? — ცხარობდა ბასილი.

— ხომ არ გადარეულა ეს კაცი ნეტავი?—მიუბრუნდა მარიკა ბართლომეს.—ხარდანაძის სახლიდან მოუტანდი საბუთს, თუ რავაა ამის საქმე? რა ვიცოდი აზნაურობაც უჭირდა, თორემ შეიძლება საბუთიც მომეტანა. თუ კი აზნაურები არა ხართ, მე არ შემიძლია თქვენი გააზნაურება...

— ეხლა ნუ კი გაგვლანძღავ, ბატონო, — სიცილით შენიშნა ბართლომემ. — ნუ გეშინია, შენ ძმებსაც ასეთი საძებარი შეექნებათ საბუთი. საერთო ბევარაა.

— სასაცილო კი არა, სატირელია, ვაჟო, სატირელი! — ჩაილაპარაკა წარბშეკრულმა ბასილმა.

— იტირე, მერე ვინ გიშლის! — უმოწყალოდ მოუჭრა მარიკამ. — რა მოგიბარებია ჩემთვის და რასა მთხოვ?

— ეხლა, ბიძი, ღმერთს სიმართლე უყვარს, სამართალი უნდა გადავჭრათ, — შემარიგებელი კილოთი დაიწყო ბართლომემ, — მარიკა მართალს ბრძანებს, თუ არ გქონიათ, აბა საიდან... ნამდვილად ჩვენსას დარჩებოდა საბუთები, ამაზე რას ჯავრობ?

— ეჰ, კაცო,—დამშვიდებით წარმოსთქვა ბასილმა. — როგორ დავიჯერო, რომ ამდენ ქალალდებში ერთი საბუთიც არ გამოერია! ყმაწვილო, გაიგონე, ბაბუა ჩვენი სუმონა მოურავი იყო და ბატონისაგან ხშირად მოდიოდა ბრძანება. მაშინ სად იყო ამდენი წერა, გადაწერა და ჩაწერა? ერთი მჭლე ლორის საქმე რომ გაარჩიოს ეხლა სუდიამ, ოც ფურცელ ქალალდს გადასწერს. მოსწერდენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს და ეს ასე გაარიგეო, ამას და ამას ეს გამოუცხადეო, ან სასახლეში დაიბარებდენ, ან რასმე მიანდობდენ, ან რასმე აჩუქებდენ. რაც ეწერა, იმას შეასრულებდა და ყუთში ჩააგდებდა, არც ნომერი უნდოდა და არც ომერი. დღეს-ხვალ დღეს-ხვალ, ასეთი ქალალდი ბევრი გროვდებოდა. სად არ ეგდო, კაცო? ერთხელ, ასე ოცდა სამი წლის ვიქნებოდი, თავლაში ცხენს ვათვალიერებდი... ცხენი მყავდა ისეთი, რომ ა! მეც, ტრაბახობა რა საჭიროა, კაი ჩასკვნილი ბიჭი ვიყავი... შევიხედე და თავლაში პატარა ქალალდი შევამჩნიე, ხელი დავავლე. მაშინ კარგად ვარჩევდი. „ჭყონონას მოურავს აზნაურს სუმონა მძებრაძესო,—ზედ ეწერა, — თუ ფერისცვალებისთვის ასს კალმახს მომიტან, ბეკუ შუშხუნაძის ნაუსქუუს [1]) შენ დაგიმტკიცებო და ბოლოს ლევან დადია აწერდა ხელს. მე გამიკვირდა, აქ ამას რა უნდა-მეთქი...

— ოო, ბიძი, შენახვაც რომ არა გვცოდნია და ტუილ...

— ვაჟო, ხომ გეუბნები, ყურადღებას ვინ აქცევდა-მეთქი, — გააწყვეტინა ბასილმა. — სიზმარშიაც არავის დასიზმრებია, რომ აზნაურობის დასამტკიცებლად საბუთებს მოითხოვდენ. მე ის მაჯავრებს. ყოველგან ეყარა და თუ ერთი მაინც ამ ჩემ ყუთში არ მოყვა... ღმერთს გეფიცები, ტყუილს არ გეტყვი, შენ არ გახსოვს და ჩვენ ერთი პატარა ხულას ტოლა სასტუმრო სახლი გვედგა, ერთი კედელი სულ მთავრის სასახლიდან მოწერილი ქალალდებით იყო გაწებილი...

---

[1]) უსქუ-უშვილო, ნაუსქუუ-უშვილოდ გადასულის მამული.

— მაგისთანა კაცს მოდი ეხლა და ჭკუა ჰკითხე? — დაცინვით შენიშნა მარიკამ და სამზარეულოსაკენ წასასვლელად მოემზადა... — ოთახს იმით წეგავდენ, ცხენს ჩალის მაგივრად უყრიდენ და ეხლა ყუთში რატომ არ არის, ხარდანაძის ქალო, შენი ბრალიაო, — გზაგზა ლაპარაკობდა მარიკა.

ბასილი გულში გრძნობდა, რომ მარიკა ყოვლად უდანაშაულო იყო, მაგრამ ჯავრი უნდა ეყარა ვისმეზე და ამისთვის მარიკა აირჩია.

— ნავარობა და ოხრობა მაგისი! ღმერთი გამიწყრეს, თუ ეხლანდელ სიცოცხლეს სიკვდილი არ სჯობდეს! — გულდაწყვეტით სთქვა ბასილმა და აივანზე გავიდა.

ძუკუმ და ბართლომემ ერთმანეთს გადახედეს და მრავალმნიშვნელოვნად გაულიმეს.

— რა ამბავია დღეს? — ჩუმად დაეკითხა ბართლომე.

— ამბავი, რაღა ამბავი გინდა იმაზე უკეთესი: ბარემ ოთხჯერ გავიარეთ იმის სახლის ახლო, ხან წინ, ხან უკან, მაგრამ მარჯვე დრო ვერ ვიშოვნეთ... ქმარი იქვე ეზოში მუშაობს, დგას ვირივით ყაზახი და შარგლავს სიმინდს. დღეს შენც რომ ყოფილიყავ, ვერაფერს გააწყობდი...

— უჩემოთ, ბიჭო, თქვენ გაფცქვნილ კიტრად არ ღირხართ. დამაცა, გაყურებინებ მის სეირს...

— აბა ერთი, ვახშამი, ვახშამი! — უკმაყოფილოდ შემოილაპარაკა ბასილმა და კარები შემოაღო. — ისეთნაირად მოიღრუბლა, რომ, მგონია, წვიმაც მოვიდეს. ცუდი კი არის ეხლანდელი წვიმა, ჭალებს გააფუჭებს... თუ თქვენ სახლშიაც ვერ ვიპოვნეთ საბუთი, — მიმართა მან ბართლომეს, — მაშინ ნახე ბერეკა...

— ჩვენ სახლში ვიპოვნით, — იმედიანად მიუგო ბართლომემ.

— შენ მტერს, თუ თქვენთანაც ვერ წავაწყდით და არქივში შეგვექმნა საძებნელი...

— შეიძლება, ბიძი, ვინმე ჩვენ მოგვარეებში მოიძებნოს ჩვენი საბუთი.

— ვაი იმის მეტი! იმათ ჩვენთვის კი არა, თავიანთვის არ ექმნებათ. მძებრაძე ნანდული და ღირსეული სუმონა იყო და სუმონას შვილისშვილები ჩვენა ვართ... აჰ, დავიღალე. ვახშამს დაუჩქარე, შვილო, ვახშამს! — მიმართა ირინეს, რომელსაც სუფთა თეფშები და ჭიქები შემოჰქონდა.

XIX

თიბათვის დამდეგს სევერიანე წყალაძე მეტის-მეტად დასუსტებული დაბრუნდა სოფელში. ეს მეორე წელიწადი იყო, რაც ის თბილისში სწავლობდა. სახე სანთელივით გაყვითლებოდა, ლოყები ჩავარდნოდა. მისი ოდესმე მოელვარე, სიცოცხლით სავსე თვალები ეხლა ძლივს ბეუტავდნენ. მამა ევთიმემ და ეკატერინემ კინალამ ღრიალი ასტეხეს, როცა პირველად დაინახეს. თავიანთი შვილი, თავიანთი სასიქადულო სევერიან, ჭლექში ჩავარდნილი ეგონათ, თუმცა სევერიანე იფიცებოდა, საიმისო არა მიჭირს-რაო.

— დედა, დაისვენე, ნანა, დაისვენე, თავს შემოგევლოს დედა შენი! ოღონდ შენ მყვანდე კარგად და სხვა შვილებს, რომ გაგაჯავრონ, კისერს მოვტეხ, — ამბობდა დედა და თვალებიდან ცრემლებს აფრქვევდა.

— ეხლა შენც დაიწყებ ვაი-ვაგლახს! ხომ გითხრა, მოსვენება მჭირიაო, შენ კი შიკინს მოჰყევი და უფრო გულს უღელვებ! — უკმაყოფილოდ შენიშნა ცოლს ევთიმემ. — კარგი შვილო, — ლმობიერად მიუბრუნდა სევერიანეს, —

დაისვენე. როგორც შენი ქეიფი იყოს, ისე მოიქეცი, ისეირნე, ჭამე და სვი. ბავშვებს კი წრეულს ხელს ვერ მოჰკიდებ. მათ დიდი ჯაფა უნდა. ეს გაისად, თუ ღმერთმან მშვიდობა ქნა, კიდევ მოასწრობ... ოღონდ კეთილი ყოფილი შვილო, ჯანმრთელად.

ენით თამამად ლაპარაკობდა მამა ევთიმე, მაგრამ გულს აღგზნებული ალი ეკიდებოდა. შვილს ხშირ-ხშირად ათვალიერებდა, ცდილობდა მის სახეზე აღმოეკითხა, რამდენად საშიში იყო მისი მდგომარეობა. ვაი თუ რამე სათაკილო სატკივარი სჭირდეს და არ მიმხელდესო, მწარედ ფიქრობდა მღვდელი და გული უკვდებოდა. ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი ქალაქელ ქალთა აღვირაშვებულებაზე და საზოგადოდ იქაურ გარყვნილებაზე. ეშვი ცოლსაც გაუზიარა. ეკატერინეს ამის გაგონებაზე ტანში გააჟრჟოლა და მოთქმით წაიდუდუნა: დედა, დედა, ვინ იცის, აგების კიდეც ცეცხლმოკიდებული ვიყო და გენიაში ვიწვებოდე. იმ დასაქცევ ალაგას ქალი და კაცი ერთა მწოლარან თურმე და რა ვიცი, ბაღანა სად გაებმოდა ბინძურობის ქსელში...

მაგრამ მათი შიში მალე გაქარწყლდა: ერთი კვირის განმავლობაში სევერიანეს უკეთესობა შეეტყო — სიყვითლემ უკლო, ფერ-ხორცი მოემატა და ცოლ-ქმარიც დამშვიდდა.

ჩვენი ნაცნობი სასენაკო წრეულს ობლად გამოიყურებოდა. მის ახლომახლო, სასენაკოს გვერდებზე და განსაკუთრებით უკან, მყრალი ანწლი და ურგები გვიმრა ერთმანეთს გაეჯიბრა. ბავშვების მხიარული ხმაურობა არემარეს აღარ აღვიძებდა... მიყუჩდა და მიყრუვდა სასენაკოს მიდამო.

საზოგადო კანონს სევერიანემ წრეულს მხოლოდ ფარნა გამოაკლო. ნება მისცა, როცა დრო ექნებოდა, სამეცადინოდ მისულიყო, და ფარნაც, როცა სევერიანეს შინ დაიგულებდა, ეწვეოდა ხოლმე, თანაც მიჰქონდა ხან რძე, ხან ყველი, ხან ხილი და ხან კიბო და თევზი. ფარნა ეხლა წინანდელი ბავშვი აღარ იყო. მაღალი, ლამაზი და ფერ-ხორცით სავსე კისერს ძლივს იბრუნებდა. ეხლა არა თუ თამამად სწერდა და კითხულობდა რუსულადაც და ქართულადაც, — უბრალო დანაწევრების ამოცანებსაც აკეთებდა.

სევერიანესთან მის მეცადინეობას შინაური ხასიათი ჰქონდა. ყოველივე სკოლური განდევნილი იყო. სევერიანე ჭანდრის ძირში ჭილობზე იწვა. იქვე მწვანეზე წიგნით ხელში ფარნა იჯდა და კითხულობდა ან დაფაზე არითმეტიკულ ამოცანებს აკეთებდა. სევერიანე ან ყურს უგდებდა, ან კითხვას აძლევდა, ან ახალ რასმე უხსნიდა. ხანდისხან რამე საკითხავ წიგნს მისცემდა და გაკვეთილიც ამით თავდებოდა. მათ შორის უფრო მეგობრული ურთიერთობა იყო, ვიდრე ფორმალური სწავლება. მაგრამ ამნაირი მუსაიფით ორი თვის განმავლობაში ფარნამ უფრო მეტი ცოდნა შეიძინა, ვიდრე მთელი წლის მანძილზე სამაზრო სასწავლებელში.

*
* *

აზნაური ოსეყმა მძებრაძე პატივცემულ რუსუდან ხინჯიას ასულის მესამე სჯულიერი ქმარი იყო. უწყალო სიკვდილმა რუსუდანს ქმარი წაართვა და კვლავ ქვრივად დარჩა ხინჯიას ასული. მეოთხე სჯულიერ ქორწინებაში შესვლის ნებას კანონი არ მისცემდა და კიდევაც რომ მიეცა, ვგონებ, საეჭვო იყო მისი გათხოვება. მრავალმა წელმა და სამი სხვადასხვა ხასიათის კაცმა თავისი ბეჭედი დაასვა რუსუდანის გარეგნობას და ეხლა ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა, რომ რუსუდანის დაღრეჯილი და გამხმარი პირისახე ერთდროს არა ერთსა და ორ ვაჟკაცს უტოკებდა გულს. ოჰ, დროებავ, დროებავ!

ოსეყმას სიკვდილის შემდეგ რუსუდანი ველარ შეეთვისა თავის გერს, გახუს. ხან აქეთ დააპირა წასვლა, ხან იქით და, ბოლოს, გადასწყვიტა მონოზნად შემდგარიყო. სიცოცხლის სამოცდამეთორმეტე წელს დაჰგმო და უარჰყო ეს გარყვნილი ქვეყანა და გული ზენასკენ აღმართა. მაგრამ მონასტერში მაინც არ წასულა. შეეცადა, იქვე ჭყონონას ეკლესიის გალავანში ეპოვა ხორციელი თავშესაფარი და ლოცვა-ვედრებით და თავისი თავის კეთილად განსწავლიო სულიერი თავშესაფარისთვის მომზადებულიყო.

მოაგროვა თუ რამე ბარგი-ბარხანა გააჩნდა და ერთი პატარა სახლი ააშენა ჩვენი ნაცნობ სასენაკოს პირდაპირ, მეორე მხარეს. სამგლოვიარო ფერის მიტკლის ანაფორა ჩაიცვა, ხელში, როგორც წესია, კრიალოსანი დაიჭირა, შავი მიტკლითვე თავი შეიხვია, ამასთან ისე ოსტატურად, რომ მარტო ცხვირ-პირი და თვალები უჩანდა და ახალი ცხოვრება დაიწყო.

რუსუდანის ახალგაზრდობა საიდუმლოებით იყო სავსე. თვით მის ვინაობაზე ბევრი სხვადასხვა ჭორი დადიოდა. ზოგნი ამბობდნენ, ვიღაც თავადის უჯერო შვილიაო, ზოგნი — სვანეთში მოტაცებული და იქიდან ჩვილობის დროს ჩამოყვანილიაო, თუმცა სვანს სრულებით არა ჰგავდა. ზოგნი რას ამბობდნენ და ზოგნი რას. ბევრ უხერხულ ჭორს ამბობდნენ პირველ ორ ქმართან ცხოვრებიდან, აგრეთვე მესამე ქმართან ცხოვრების პირველ ხანიდან, და ეხლა სიბერის დროს მისი მონაზნად შედგომაც არ დარჩა გაუჭორავ-გაუკილავი.

მიუხედავად ამისა, მონაზნად შედგომის შემდეგ რუსუდანმა სახელი გაითქვა როგორც გამოცდილმა ექიმმა და ღვთისმოსავმა ქალმა და საზოგადოებაშიაც შესაფერი პატივისცემა დაიმსახურა. დიდი გავლენა მოიპოვა განსაკუთრებით ქალებში.

სასმელ-საჭმელი საკმაოდ მოსდიოდა სოფლელებისაგან. შეშა, წყალი უზრუნველი ჰქონდა. ოქტომბერში, ჭირნახულის აღების დროს რუსუდანი დაუვლიდა ჭანის წყლის ჭალას და იმდენ სიმინდს მოაგროვებდა, რომ არა თუ წლის განმავლობაში ჰყოფნიდა სარჩოდ, კიდევაც ჰყიდდა.

რა გინდ ავადმყოფობა შეგეჩივლათ, წამალს მაშინვე მოსძებნიდა. თვალის ტკივილი, გულის ფრიალი, ყურის ტკივილი, რამე ჭრილობა, წითელი ქარი, თიაქარი, საბავშვო-საყმაწვილო, თითქმის ჭლექის მორჩენასაც ჩემობდა. ბებიობა ხომ მისი ხელობა იყო. წამალს ყოველნაირ ავადმყოფობას უძებნიდა, მაგრამ უხდებოდა თუ არა, ამის დარდი არ აწუხებდა. სოფელი მაინც ღაღადებდა—უებარი ექიმიაო, თუმცა მის მიერ დანაყულმა და მონახარშმა ბალახ-ბულახმა არა ერთი და ორი ადამიანი გაისტუმრა უდროოდ შავი მიწისაკენ. რუსუდანი საეკლესიო საქმეებშიაც გაერია. მნათეს ხშირად დარიგებას აძლევდა, მედავითნეს ქომაგობას უწევდა. სოფელ-სოფელ ქადაგებაც დაიწყო, უფრო ქალებში: ღმერთზე, სახარების ძალაზე, სარწმუნოებაზე, სიყვარულზე და ამ ქადაგებაში ალაგ-ალაგ ოსტატურად მამა ევთიმეს საყვედურებსაც შეაპარებდა ხოლმე. და მისგან მოხერხებულად დათესილმა მარცვალმა იხეირა და ევთიმე მღვდელს სხვადასხვა ქრისტიანული წესის აღსრულების დროს არა ერთი და ორი უსიამოვნობა შეახვედრა.

მამა ევთიმემ ყოველივე ეს იცოდა, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრების გამო საჯაროდ სდუმდა, თუმცა შინაურობაში არა მალავდა, რომ მონაზანი წრეს გადადის და ისეთ საქმეებში ერევა, რაც მას სრულებით არ ეხებაო.

მიუხედავად ამისა, რუსუდანი ევთიმესას ხშირად დადიოდა, მუსაიფობდა, სჭამდა, სვამდა და შორიდან კაცს მისი გულითადი მეგობარი ეგონებოდა.

რომ ვსთქვათ, ევთიმე რუსუდანს პირადებით არა სძულდა; გულის სიღრმეში პატივსაც სცემდა, როგორც შრომისმოყვარე და შედარებით უაზგარო კაცს, მაგრამ გული მაინც ვერ უთმენდა, რომ ხანდისხან არ გაეკილა სოფლის მღვდელი, თუნდაც მარტო იმისათვის, რომ ევთიმე ჭყონნოვში — ბასილ მძებრაძის გარდა, ყველა აზნაურზე უკეთესად ცხოვრობდა. პირში თუმცა უცინოდა, მაგრამ ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მამა ევთიმეს, ჩამომავლობით გლეხთაგანს, სასმელ-საჭმელი უხვად ჰქონდა, შვილებს სასწავლებლებში ზრდიდა, ცხენი და ჯორი ჰყვანდა. ყოველ დღე ბარაქა ემატებოდა. ეს მაშინ, როცა მძებრაძეები, ჭყონნოს აზნაურები და მებატონეები უხსოვარ დროიდან, დღითი-დღე კლებულობდნენ და ზოგს მათგანს სიმინდის ფაფაც ენატრებოდა. რუსუდანი ამას ნათლად ჰხედავდა და, როგორც მძებრაძის ნაცოლარს, თავმოყვარეობა ელახებოდა, თუმც იმასაც ცხადად გრძნობდა, რომ პირადად ევთიმეს მძებრაძეების დაქვეითებაში არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა.

საზოგადოდ რუსუდანი გულკეთილი და პურ-მარილიანი ქალი იყო. ფარნა მასთან ხშირად დაიარებოდა. მოხუც ქალს ხან შეშა-წყალსაც მოუტანდა ხოლმე. სამაგიეროდ რუსუდანი უმასპინძლდებოდა.

— ფარნა ხარ, შვილო? — შორიდანვე გასძახა რუსუდანმა ერთ საღამოს, როცა ფარნა სევერიანესაგან დაბრუნდა. — ყა, გაიზარდე! ეხლა ისე მესაჭიროები... მოდი, შვილო, მოდი! ამ ქაღალდებში ადამიანის შელოცვა გამომირჩია, თვალს ვერ ვაწვდი, შვილო, თვალს. სიბერე ძნელი ყოფილა, სათვალეებშიაც ვერ ვარჩევ რიგიანად.

ამ სიტყვებით ჩვარში გახვეული კარგა მოზრდილი ქაღალდებით სავსე ბოღჩა მიაწოდა.

ფარნა ხის საძირკველზე ჩამოჯდა და ბოღჩა რუსუდანის შემწეობით აივნის იატაკზე გაშალა. ღმერთო ჩემო, რა და რა ქაღალდი არ იყო შიგ!

— შელოცვები აი რვეულში იქნება, — მიუთითა რუსუდანმა მეორე რვეულზე, — კოსტაიას გოგოს ფეხის ცერი დასიებია და დედა მისი მოიჭრა: არიქა, რამე მიშველეო. შეიძლება დასულებული იყოს, წამალი უნდა მოუმზადო და შეულოცო...

ფარნამ რვეული გახსნა, ერთი ქაღალდი აიღო და წაიკითხა:

„ლოცვა საბავშო-საყმაწვილოსი: სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა“...

— აი, აი, ნანაია, ამ რვეულში იქნება, — წამოიძახა რუსუდანმა. — ქვევით ნახე, ქვევით. საბავშო-საყმაწვილოს კი არ მინდა, ჟღამიანის, ან გველის, ან მორიელის ნაკბენის...

— „ლოცვა მეჭეჭისა“.

— კიდევ ქვევით ნახე.

— „ლოცვა სიმსივნისა“.

— კიდევ ჩაყევი.

— „ლოცვა ჟღამიანისა“.

— აი, აი, ეგ წამიკითხე, შვილო.

ფარნამ დაჰხედა და ნელ-ნელა ჩაიკითხა: „ბირმელაჰი, სტრაფელაჰი, რებუა იუბე სლამუნ“.

— აი, გენაცვალე, ამას რომ წაუკითხავ, შენალოც წყალით დასიებულს მოჰბან და კიდეც დაალევინებ და ამ ქაღალდსაც ნაკბენზე დაადებ, ჟღამს ძალა დაეკარგება და დაკბენილი ღვთით მორჩება, — ავტორიტეტულად შენიშნა რუსუდანმა. — სულ არეულად მიძევს ეს ქაღალდები, ან ამდენი ბირდუ-ბურდუ რა ოხრათ მინდა, არ ვიცი! — ჩაილაპარაკა თავისთვის მოხუცმა.

შელოცვის რვეული გამოართვა ფარნას, დაშხამულის შელოცვა ფრჩხილებით დანიშნა, ზოგიერთი ქაღალდი კიდევ მოაგროვა და რვეულს მიუმატა. დანარჩენი, რომლებიც უბრალოდ და უმნიშვნელოდ მოეჩვენა, ცალი ხელით აკრიფა, დაჭმუჭნა და სასენაკოს გვერდით სანაგვესკენ გადისროლა.

— რად გადააგდე, ჩემთვის მოგეცა, მე ქაღალდები მჭირია, — უთხრა ფარნამ.

— გეთქვა, ნანა, რომ მცოდნოდა, არ გადავაგდებდი. ასეთი ერთი ბეწო ქაღალდები რათ გინდა, შვილო? ოჰ, ესენი როდინდელია, ვინ იცის. პირველი ჩემი პატრონის სახლიდან გადმომყვა. ძველებული მინაწერ-მონაწერებია, ვერც კი გაარჩევს კაცი რიგიანად, მაშინ რაღაც სხვანაირად, კიჭურ-მანჭურულად სწერდენ... ეხ, მე უბედურს, ვინ იცის, საიდან სად ჩამივარდა! — ამოოხვრით დაუმატა რუსუდანმა.

ფარნამ გადაგდებული ქაღალდები მოაგროვა და უბეში ჩაიდვა, მერე რუსუდანს გამოემშვიდობა და შინისკენ გასწია.

გზაზე ერთი ხელის გულზე ცოტა მოდიდო ქაღალდი ამოიღო და დახედა. ბევრი ასო იცნო, მაგრამ წაკითხვით მაინც ვერ წაიკითხა. სულ ქარაგმით იყო სავსე და ასოებიც რაღაცნაირად იყო გადახლართული. ისევ უბეში შეიდო და მეორე ამოიღო. მას თავი და ბოლო თაგვებისაგან ჰქონდა მოჭმული. მაგრამ გადაგდებით არც ერთი არ გადააგდო. მერე მათი არსებობა დაავიწყდა. ნავახშმევს, როცა ხალათს იხდიდა და დასაძინებლად ემზადებოდა, ქაღალდები მიწაზე დასცვივდა.

— ეს რა ქაღალდებია? — ჰკითხა იქვე მდგომმა გაიანემ.

— ა! ესენი ამ საღამოს რუსუდან მალაზონმა მაჩუქა. აქ ჩემ სასთუმალ ქვეშ ეყაროს. თუ რამეში დაგჭირდეს, მოიხმარე.

— აგეთი ერთი ბეწოები რაში დამჭირდება, რა ნაგლეჯები მოუცია! — ტუჩის აბზეკით მიუგო გაიანემ.

— მაინც აქ ეყაროს, — უთხრა ფარნამ. ქაღალდები მოაგროვა და მუთაქის ქვეშ ამოსდო.

ნიკოია თოხიტარიას ცხოვრება ბოლო დროს საუკეთესოდ გამოიცვალა. თავათ ნიკოია ამ ოთხი-ხუთი წლის წინად წელში მოხრილი, თმა-წვერ აბურძგვნილი, ყველასთან მორიდებული და მივიწყებული დადიოდა. ეხლა კი წელში გამართული, თმა-წვერ დავარცხნილი, მხიარული სახით გამოიყურებოდა. საზოგადოებაშიც პატივი დაედო. მობრძანდი, ნიკოია, დაბრძანდი, ნიკოიაო, ეუბნებოდნენ. წინად კი — შენც მოდი, ნიკოიაო, ბრძანების კილოთი ეტყოდნენ ხოლმე. ძველი, დახეული და გაჭუჭყიანებული ყაბალახის მაგიერ თეთრი შალის ახალი ყაბალახით ჰქონდა თავი შეხვეული. წინად სამ წელიწადში ერთხელ თუ შეიკერავდა ორშაურიანი ჩითის ახალუხს, დიდი წყალობა იყო, ეხლა კი, ჩითის გარდა, ერთი შავი სატინის ახალუხიც ჰქონდა. წინად, ზამთრის გარდა, მთელი წლის განმავლობაში ფეხშიშველი დადიოდა, რის გამოც ქუსლები დახეთქილი ჰქონდა. ეხლა კი ხშირად ეცვა შავი სამოგვის წუღა. მისი შვილებიც სუფთად ჩაცმულ-დახურული დაიარებოდნენ.

ბართლომე მძებრაძემ, როგორც მოსალოდნელი იყო, ირმის ნახეთქი ვერ დაიხსნა. ნიკოიამ კი ჩინებულად გასწმინდა, ღვარძლისაგან გაასუფთავა და ისე გამოაკეთა, რომ წელიწადში სამ-ოცდაათიდან ოთხმოც ფუთამდე წმინდა სიმინდს იძლეოდა, ჩალა, კვახი და ლობიო კიდევ სხვა იყო. ნიკოიამ სამი ქცევა ჭალა კიდევ დაიგირავა სხვა მძებრაძისაგან, რადგან „საბუთობაიამ“ ხარჯი მოითხოვა, ფულზე კი მძებრაძეები ქესატად ბრძანდებოდნენ და იძულებული ხდებოდნენ სახნავი ჭალა დაეგირავებინათ.

ამნაირად ნიკოიამ სხვისი მიწების სანახევროდ მუშაობასაც თ

ნამდვილად კი სულით არც თუ იმდენად კოტრი და სხვებზე მეტად უსინდისო კაცი იყო დიმიტრია ჭანდრაკელია. მხოლოდ დროებამ ისიც ისე აათამაშა, როგორც მრავალი სხვა.

დიმიტრია ჭანდრაკელიამ ახალგაზრდობაშივე დაიწყო ფეხრომში ვაჭრობა. რამდენიმე ასი მანეთი ნაღდის პატრონი იყო, როცა რუს-ოსმალს უკანასკნელ ომამდე აფხაზები აიბარგნენ და სათათრეთში გადაიხვეწნენ. სწორედ ამ სხვისი უბედურებით ისარგებლა დიმიტრიამ: სულ მცირე ფასად მთელი ჯოგი შეიძინა. აფხაზები სამშობლო მიწა-წყალს თავს ანებებდნენ და თავიანთ სარჩო-საბადებელს მსურველთ თითქმის მუქთად ურიგებდნენ. დიმიტრიამ, მაგალითად, თხა და ცხვარი შეიძინა ხუთ-ხუთ შაურად, ძროხები — ორ-ორ მანეთად, ცხენები—ხუთ-ხუთ მანეთად. და ამნაირად შეძენილი ჯოგით დაბრუნდა სამეგრელოში. რა გინდ იაფად გაეყიდნა ასე ოხრად ნაშოვნი საქონელი, მაინც არაჩვეულებრივი მოგება დარჩებოდა, და კაი ძალ ფულს მოუყარა თავი.

ეხლა კი კაი დუქანი გამოჭიმა დიმიტრიამ. საქონელი მოსკოვიდან და ოდესიდან დაიბარა (ზემოხსენებული შემთხვევით მარტო დიმიტრიას არ უსარგებლნია). დიმიტრიას პირველ ხანებში მშვენიერი ვაჭრობა ჰქონდა. ამის წყალობით საბლ-კარი კარგად მოაწყო და თვითონაც შესაფერად გამოეწყო. მალე მდიდრის სახელიც გაუვარდა. მაგრამ ბოლომდე ვერ მიიტანა და დაუდევარ ცხოვრებას მიჰყო ხელი. უფრო მეტ დროს ქეიფს ანდომებდა, ვიდრე ვაჭრობას, და ბოლოს მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: მის დუქანში თაროებს სიქაჩლე შეეტყო, საქონელს მოაკლდა და ახალი კი არსაიდან ემატებოდა. იძულებული გახდა დუქანი მიეკეტა. არა თუ არა დარჩა-რა, ვალებიც კი დაედო და ამ ვალებიდან ყველაზე მეტად ბასილ მძებრაძის ვალმა გაუჭირა საქმე. ეს ვალი იმ დროს ისესხა, როცა ჯერ კიდევ საქმის გამოკეთების იმედი ჰქონდა. ნაწილი გადაუხადა და ორი თუმანიღა დარჩა, მაგრამ ამ ორი თუმნის გადახდას ვეღარ ახერხებდა.

ერთხელ დიმიტრიას სოფელ ჭყონონას მცხოვრები ბიტა ბარია ესტუმრა. ბიტა ბარიამ იმ ბედნიერ დროს დიმიტრიას შვილი მოანათვლინა. რომ სთქვას კაცმა, დიმიტრიამ ბიტას ბევრი სიკეთე უყო. ერთხელ ცხენი აჩუქა, მეორედ მეწველი ძროხა გაუგზავნა. რამდენჯერმე სააღდგომოდ ბიტას ოჯახში დიდი თუ პატარა თავით ფეხებამდე შემოსა. სამაგიეროდ ბიტას სასახელოდაც უნდა ვაღიაროთ, რომ ის დიმიტრიას სიღარიბის დროსაც არ გადუდგა, ერთგულება ბოლომდი შეინარჩუნა. იმ დროს, როდესაც დიმიტრიას დიდად დავალებულმა მეგობრებმა ზურგი შეაქციეს და ხიდი ჩაუტეხეს, ბიტა დიმიტრიას ახლო ედგა და სიტყვით მაინც ანუგეშებდა. ხშირად დადიოდა მის სანახავად და ყოველთვის რაიმე ძღვენს მიუტანდა და ამით დიმიტრიას დარდს უმსუბუქებდა.

ეხლაც დიმიტრიას ბიტას მისვლა ძალიან გაუხარდა. ბევრი ილაპარაკეს. ლაპარაკში მასპინძელმა, რა თქმა უნდა, თავისი გულის წუხილიც გაურია. დაუმატა, ქვეყანა დავიარე, რა არ ვეცადე, მაგრამ იმდენად დამკარგვია ნდობა, რომ ვერსად ვერაფერი ვიშოვნეო. შეიძლება გეგულებოდეს სადმეო, დაეკითხა ბიტას და ისიც გააგებინა, რომ რაიმე სამარცხვინო საქმე უნდა ჩაედინა, თუ ამ მოკლე დროში ბასილს არ დააკმაყოფილებდა.

ბიტამ დიმიტრიას გაჭირვება გულმოდგინედ მოისმინა და აუჩქარებლად, თითქოს საიდუმლოს ამჟღავნებსო, მიუგო:

— ჩვენ სოფელში ერთ ადგილას კი მეგულება, თუ გაიმეტა ახალი შეძენილი კაცია და ხელს მაგრა უჭერს, ქონებით კი აქვს, მგონია.

— მიმყევი ერთი, ბიტა, — შეეხვეწა დიმიტრია, — ვთხოვოთ, შე კაცო, შეევედროთ. აი ჩემი ცოდვა! — მწარედ თავი დააქნია დიმიტრიამ, — რამდენი გაჭირვებული კაცი გამომიხსნია, რამდენი კაცისათვის შემწეობა მიმიცია და ეხლა ყველანი კოტრს მეძახიან... ვთხოვოთ იმ კაცს, თუ ქმნა [illegible] თუ არა და ჯარიმას ხომ არ გადაგვახდევინებს.

— მაინც ის ბასილი რამ ააჩქარა! ისეთი პატიოსანი კაცი... ერთი-ორი თვეც მოითმინოს, თავზედ მთა ხომ არ დაეცემა!

— პატიოსანი! — გამოაჯავრა დიმიტრიამ. — როცა რამე მომეძეოდა, ჩემისთანა პატიოსანი ვინ იყო? განა შენ თვითონ არ იცი?.. ბასილს ეხლა ერთი საქმე უჭირს. თურმე საბუთს ეძებს, მაგრამ ჯერ ვერსად მოუძებნია. ძებნასაც ხომ ფულები სჭირია, და ეხლა ვალებს კრეფს. მეც ამიტომ მომიჭირა ხელი... ეგეთი ფულიანი თქვენში ვინ ყოფილა? — ჰკითხა ბოლოს დიმიტრიამ.

— ნიკოია ჰქვიან, გვარად თოხიტარია. ჯიხა-ფერდისკენ სახლობს. ლეტა-კარში შვილი ჰყავს ვიღაც ტომბაშვილთან.

— კონსტანტინესთან იქნება, ალბათ. ვიცი, ლეტა-კარელია, მაგრამ ფოთში ვაჭრობს. ძლიერ სულმოდგმული ვაჭარია. ნიკო თოხიტარიაც გამიგონია.

— ეხლა ყველამ გაიგონა! ამ ხუთი წლის წინად რომ გენახა, ცეცხლს ვერ შეუბერავდა, ისეთი ღატაკი იყო. ეხლა კი შვილის ნამოჯამაგირევით წელში გაიმართა ყაზახი. აგერ ათ ქცევამდი (ბიტამ გადააჭარბა) ჭალა ღაიგირავა, ფელსაც ცოტ-ცოტად ქე ასესხებს, თუმცა ჯერ ძლიერ უფრთხილდება.

— პა, პა, პა! — უმწეოდ თავი გააქნია დიმიტრიამ: — თუ მიწების დაგირავებას დაეჩვია, იმისგან ფული ძნელი საშოვარი იქნება, ის, ალბათ, უსაშველო გირაოს მოითხოვს...

— მაინც ვნახოთ, ოც მანეთად როგორ არ ვეღირები, რა ვიცი? რომ იზამდეს ამოსაწყვეტი, ერთად-ერთ ხარს დაუწინდებ...

— მადლობელი ვარ, ჩემო ბიტა, — მიუგო გულაჩვილებულმა დიმიტრიამ. — ვხედავ, რომ შენზე ერთგული მეგობარი მე არავინ მყოლია. ჩემგან დიდად დავალებულებმა პანღური ამომკრეს, შენ კი სიღარიბეშიაც არ მივიწყებ. გმადლობ, გმადლობ, ღმერთმა სამაგიერო გადამახთევინოს. დროება კიდევ შეიცვლება. ჩემი ბედი კალთაში გამოხვეული არავის აქვს, — ინუგეშა თავი დიმიტრიამ.

გიორგობისთვის შუა რიცხვები იყო. ჭირნახული სოფლებში ჯერ მთლად არ იყო მილაგებული. ნიკოია თოხიტარიას სახლის ნახევარზე მეტი გაურჩეველ სიმინდს ეკავა. ასე რომ უკანა კარები დამალული იყო და სიმინდი ჭერამდის უწევდა.

— ტყუილია, ამას ჩვენ ხუთ დღესაც ვერ მოვერევით და მოდი ამაღამ ნადი ვაწვიოთ. ერთი მოქნევით დაარჩევენ და მოვისვენებთ, — ურჩია შვილებს ნიკოიამ.

შვილები დაეთანხმნენ და სამივენი აქეთ-იქით მეზობლებში გაიფანტნენ ნადის საწვევად.

შინ დარჩენ გაიანე და მოხუცი ჭუჭა. ისინი ფაცხაში კერას ესხდნენ. კვირაძალი იყო.

— მართლა, როგორ ვზივარ, არ ვიცი! — წარმოსთქვა გაიანემ და ზეზე წამოვარდა.

— რა დაგემართა, ნანაია? — შენიშნა მოხუცმა.

— საქმე მაქვს, დადი, კოსტანტილეს აბრეშუმის ქისა აღუთქვი და ის უნდა შემეკერა. მაიკოს გამოვართვი ახალი თანგი. ხვალ უნდა მივტანო, სულ დამავიწყდა. თუ ეხლავე არ გამოვჭერი, მერე დრო არ მექნება.

ამ სიტყვებით გაიანე სახლისკენ გაეჩქარა. იქ მაგიდის უჯრას გამოსწია და ქალალდისაგან გამოჭრილი ქისის თანგი გამოიღო. მერე ზანდუკიდან აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერი ამოიღო, მაგიდაზე გაშალა და ზედ თანგი დააზმანა. მოდი ერთი ამისთანა თანგს ჩემთვისაც გამოვჭრი, — გაიფიქრა.—მაგრამ ქალალდი სად ვიშოვნო, ნუ თუ ფარნას არ დარჩა სადმე უხმარი ქალალდი?

ქალმა მაკრატლის წვერი ტუჩებზე მიიდო და ჩაფიქრდა.

— ი, მართლა! — წამოიძახა და ტახტისკენ გაეშურა.

მუთაქის ქვეშ ფარნას მიერ შენახული ქალალდები ხელუხლებლად ეყარა. გაიანემ ქალალდები მაგიდაზე დაყარა.

— აი, აი, რა ნამცეცები ყოფილა ! — ჩაილაპარაკა გოგომ. — სათანგე არც კი ურევია! დია, ღმერთო, ეს ერთი რანაირი დაჭყაპუნებული ყოფილა!— სთქვა ხელისგულისოდენა სქელ ლურჯ ქალალდზე და თითებით გაასწორა.— ბეჭედიც ქე ქონია.

ქალალდის ბოლოში მართლა პატარა ოთხკუთხი ბეჭედი ესვა. გაიანემ ქისის თანგი აიღო და ქალალდს დააზმანა, მაგრამ ქალალდი სანახევროდაც არ ეყო. უკმაყოფილოდ ხელი წაჰკრა და მაგიდის ბოლოსკენ გადაისრიალა.

გადაჩხრიკა სხვა ქალალდებიც და ერთი დანარჩენებზე უფრო სიგანეზე მეტი გამოვიდა, მაგრამ სიგრძეზე ცოტაოდენი დააკლდა. ამას სხვა ნაჭერს მივაკერებო, გაიფიქრა და ერთი გვერდი გამოსჭრა. სწორედ ამ დროს გარედან ცხენის ფეხის ხმა და მათრახის გაუბედავი ტკაცუნი მოესმა. თანგი და მაკრატლები საჩქაროდ ხელიდან გააგდო და გარედ გაიხედა. ვიღაც უცნობი ცხენოსანი, შავწვერა და შავგრემანი, აქა-იქ ჭაღარა-გარეული თითქმის აივნის წინ იდგა, ხოლო მის გვერდით ილლიაში ჯოხამოდებული ბიტა ბარია თამბაჭოს აბოლებდა. გაიანემ ცხენოსანი ვერ იცნო და პირველ ხანს გაქცევა დააპირა, რადგან მეტად შინაურულად ეცვა, მაგრამ უკანა კარი გაურჩეველი სიმინდით იყო შეკრული და იძულებული გახდა დახვედროდა სტუმარს.

— საღამო მშვიდობისა, ცირა! — მიესალმა სტუმარი.

— გაიანეს სიკეთე და კაი ბედი! — მიმართა ბიტამაც.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ბატონებო, — თავმდაბლად მიუგო გოგომ.

— ნიკოია შინ არის? — ჰკითხა ბიტამ.

— არ გახლავს, ბატონო!

— პეტრე?

— არც პეტრეა.

— ათანასე?

— არც ისაა, — სიცილით მიუგო ცირამ.

— თო! სად გადაკარგულან? შენ ყარაულად მაინც ერთ-ერთი რატომ არ დარჩა? — გაუცინა ბიტამაც.

— მე ყარაული რათ მინდა? ტყვე ხომ არა ვარ!

— ყარაული არ მინდაო, ეხლავე რომ მოგიტაცოთ?

— არა, მაგას მაგნაირი მუჭარის არ ეშინია! — თანამგრძნობი ტილოთი ჩაერია ცხენოსანი.

— მე ვის რათ უნდებვარ? — ძლივს გასაგონად სთქვა გაიანემ და მორცხვად ტანზე დაიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც სად არიან? — დინჯად ჰკითხა ბიტამ.

— სიმინდი გვაქვს სარჩევი და ნადის საწვევად მეზობლებში გავიდნენ.

— ჰო, ბევრ ხანს არ მოვლენ?

— ჩქარა მოვლენ, მგონია, სხვა საქმე არაფერი აქვთ.

ცხენოსანი და ბიტა ჩუმად წალაპარაკდნენ. სტუმარი ცხენიდან ჩამოვიდა, ბიტამ აღვირი ჩამოართვა და სახლის სვეტზე მიჭედილ დიდ ლურსმანზე მიაბა.

გაიანემ ამით ისარგებლა და საჩქაროდ ფაცხისაკენ მოკურცხლა. სტუმარი-კი სახლში შევიდა. ის დიმიტრია ჭანდრაკელია გახლდათ.

— ღმერთო, კარგი შემოიყვანე ამ ოჯახში! — შეილაპარაკა დიმიტრიამ, — ამ კაცს, ძმაო, სახლი სიმინდით ჰქონია სავსე.

— სალდათად ჰყავდა წრეულს შვილი ჩაწერილი, აი ის, მე რომ გეუბნებოდი. იმან ცოტა ხელი შეუშალა, — მიუგო ბიტამ, — თორემ ეხლა გათავებული ექნებოდა. ნახევარი კიდევაც მიალაგა.

— სიმინდი ბლომად ჰქონია. რა ფასი ექნება ნეტა წრეულს? სულ უკანასკნელი სამი აბაზი მაინც იქნება.

— დაბრძანდი ამ სკამზე, დრიმინტია, — მიიპატიჟა ბიტამ, — მე კი ფაცხისკენ წავალ და მის მოხუც დედას სიტყვას გადაუკრავ...

— აბა, შენ იცი, — დარცხვენილი სახით შეეხვეწა დიმიტრია და მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა.

სახლს თვალი გადაავლო, ზევითაც აიხედა, დაამთქნარა. ცალი ხელის იდაყვით მაგიდას დაებჯინა, მეორე ხელი გაჭიმა და თითები აათამაშა. მაგიდაზე მაკრატელი შეამჩნია, უგულოდ ხელი წაატანა, აიღო და მაგიდაზე კაკუნი დაუწყო. მერე მაკრატელს თითები გაუყარა და რამდენჯერმე ჰაერში გააკრაჭუნა. ძალიან მოესურვა რამე გაეჭრა, ამიტომ ზანტად მაგიდას გადახედა. ერთ ადგილს აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერს და სხვადასხვა ზომის ჭუჭყიან ქაღალდებს მოჰკრა თვალი. კარგა მოშორებით, თითქმის კედელთან, ერთი პატარა მწვანე ქაღალდი შეამჩნია. ხელი იმ მწვანე ქაღალდისკენ წაიღო, მაკრატლის წვერები დააჭირა და ქაღალდი მიიახლოვა. მერე ხელში აიღო და ალმაცერად გადაჰხედა. ქაღალდის თავზე დაწერილმა თარიღმა, ცოტა არ იყოს, დააინტერესა. დიმიტრიამ გვარიანად იცოდა ხელნაწერის კითხვა. მელანი გაჭუნებული იყო, ამიტომ ქაღალდი თვალთან ახლო მიიტანა და გულმოდგინედ დაიწყო კითხვა. რაც უფრო კითხულობდა, მით უფრო სახე უფითრდებოდა, და როცა ბოლომდი ჩაიკითხა, ხელები აუკანკალდა. თვალებზე ხელი მოისვა, თითქო უნდა შეამოწმოს — სიზმარში ხომ არა ვარო. პირველი აღელვება დაულაგდა. წამოდგა, ისევ სკამზედ ჩამოჯდა და ქაღალდი ხელმეორედ ჩაიკითხა. აი შიგ რა ეწერა:

„ქ. ჩუნ წელსა აპრილის კგ დღესა. ვაკე კარის მოურავს აზნაურს ტარიელ შუშხუნაძეს. ს. ჭყონონოს მცხოვრების გლეხის კიკო ბარიას ქვრივმა ტირილით შემომჩივლა. იგი ამბობს: მებატონე ჩემი მერაბი მძებრაძე უდიერად მეპყრობაო, მცირეწლოვან შვილებს მიწიოკებსო, ერთად-ერთი მოზვერა არგამად მომტაცა და მოიხმარაო. არა ერთხელ მოუღწევია ჩემს ყურებამდი მაგნაირ საჩივრებს მაგ მძებრაძეზე და ამისათვის გიბრძანებ გააფრთხილო აზნაური მერაბ სვიმონის ძე მძებრაძე, თორემ თუ კიდევ განმეორდა მაგაზედ საჩივარი, იძულებული ვიქნები ჯეროვნად დავსაჯო. ბარიას ქვრივს კი მიე-

ცეს ჩემი ბელლიდან ექვსი ქილა ლომი და ორი გლეხის გარდასახადი ხორაგეულობა, სანამ ობლები არ წამოიზრდებიან. მთავარი სამეგრელოსი დავით დადიანი".

ბოლოში წერილს პატარა ოთხკუთხი ბეჭედი ესვა, ალბათ, ძეტი სიტკაცისა და ძალისთვის.

დიმიტრიას ხელში ეჭირა ეს ერთი ბეწო ჭუჭყიანი ქაღალდი და თავის თვალებს არ უჯერებდა. თან უკვირდა, თან უხაროდა, შიშსაც გრძნობდა და სიხარულსაც. ბოლოს გამოერკვა, აშლილი ნერვები დაუწყნარდა, წელში გაიმართა. მთელი ტანი დაუმჩატდა, თვალები გაუბრწყინდა და თამამი გამომეტყველება მიეცა. ირგვლივ მიმოიხედა. ყველაფერი ლამაზად და ბრწყინვალედ ეჩვენებოდა. ნიკოიას სახლის გამურული კედლებიც-კი სასიამოვნოდ გამოიყურებოდნენ.

ასეთი სიხარულის მიზეზი იყო ის ჭუჭყიანი ქაღალდის ნაგლეჯი, რომელიც სხვებთან ერთად რუსეთიდან მონოზანმა, როგორც უხმარი და უვარგისი, სანაგვესკენ გადაისროლა, იქიდან შემთხვევით მუთაქის ქვეშ მოექცა, მერე კინალამ ქისის თანგად გამოჭრა ელირსა. მაგრამ უვარგისობის გამო განზე გადაგდებულ იქნა. ამ პაწაწკინა ლურჯმა ქაღალდმა ეს დარდით გულსავსე კაცი უცბად გაათამაშა და გაამხიარულა. სამხიარულო არ იყო თუ? ამ ქაღალდში სამი რამ იყო ღირსშესანიშნავი: ერთი, რომ დაწერილი იყო 1850 წელს, თარიღი გარკვევით სჩანდა; მეორე, რომ სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი აწერდა ხელს და ბეჭედს ასვამდა და მესამე — მერაბ სვიმონის-ძე მძებრაძე აზნაურად იყო ნახსენები. ერთის სიტყვით, ეს იყო მშვენიერი საბუთი ბასილ მძებრაძის აზნაურობის დასამტკიცებლად და მისი ბიძაშვილებისათვისაც გამოსადეგი. მერაბი რომ აქ მაინც და მაინც საქებურად არ იყო ნახსენები, ეს დიმიტრიას სრულებით არ აწუხებდა. ამაზე ბევრს ბასილიც არ ინაღვლებდა, რადგან ეს საქმეს არ აფუჭებდა. საქმე ის იყო, რომ მერაბ სვიმონის-ძე მძებრაძე აზნაურად იყო ნახსენები და მხოლოდ ეს იყო საჭირო. ამნაირ საბუთის ძებნაში ბასილმა არა ერთი და ორი თუმანი დახარჯა. სად არ იკითხა, ვის არ სთხოვა? მას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ რუსეთიდან მონაზონს მეჭეჭის შელოცვასთან ერთად ჭინჭში გახვეული ექნებოდა ის ძვირფასი ანდამატი, რომლის პოვნაშიც ამდენი ფული და შრომა დაიხარჯა.

როცა დიმიტრიას აღტაცება ნელ-ნელა დაულაგდა, ჯიბიდან რაღაც უხმარი ქაღალდი ამოიღო, საბუთი სასოებით შიგ გაახვია და ჯიბეში ჩაიდო. ხელიც ჯიბეში ედო, თითქოს ეშინიან, ვინმემ არ მომპაროსო. სკამიდან წამოდგა და ჯიბეში ხელ-ჩაყოფილი აივანზე გავიდა. სული ყელში ებჯინებოდა, უნდოდა ეხლავე, ამ საათში, ამ წუთში, ამ წამში წასულიყო იქიდან, მაგრამ ზრდილობა და საჭიროებაც, რომ რამე ეჭვი არ აეღოთ, ითხოვდა, მასპინძლის დაბრუნებამდის მოეცადა, და ამიტომ აივანზე აქეთ-იქით სიარული დაიწყო.

როგორც ყოფილი ვაჭარი თავდაპირველად გამოანგარიშებას შეუდგა, თუ რამდენს აიღებდა ამ საბუთში. „ხუთი თუმანი თუ გადავახდევინე, — ფიქრობდა დიმიტრია, — ორი მისი ვალია, დამრჩება სამი თუმანი ნაღდი ფული". დიმიტრიამ ცალი ულვაში ნელა გადიგრიხა და გადააფურთხა. „რა უჭირს, ათიც რომ გადავახდევინო? რაც მე იმან მუხრუჭი მომიჭირა! ა? ათი!.. მაშინ მე რვა თუმანი ნაღდი დამრჩება". მაგრამ კვლავ ჩაფიქრდა. „ორასიც რომ ვსტკიცო ყურიძირში? ორასი მანეთი ნაღდი ფული?" — თითქმის მიალაპარაკა მან. ჯიბიდან ხელი ამოიღო და ორივე ულვაში გადიგრიხა, ზევითა ტუჩი გაბერა, ცხვირის ნესტოები გააფართოვა, აივანზე დაფიქრებული დადიოდა და ნელ-ნელა ბოლთასა სცემდა. „ორას მანეთს ავაკრავ, არ უნდა ბევრი ბო-

დიში, მოდიში, — გადასწყვიტა ბოლოს. — მოგიკვდეს დიმიტრია, ომან თუ შემთხვევა ხელიდან გაუშვას!.. როგორ არა, დიდად უკაცრაოდ! ორასი მანეთი, ორასი", — ბუტბუტებდა დიმიტრია. „მაგრამ შეიძლება იპოვნა სადმე? მაშინ ხომ გახვრეტილ კაპეიკსაც არ მოგცემს. შუბლზე მიწებებ მანეთ საბუთიო, გეტყვის... ოცი მანეთი, ოცი მანეთიო, რომ დაგიწყებს ზუზუნს მესტვირესავით და ზუზუნსაც რომ არ დაგაჯერებს?" — ჩასჩურჩულა იდუმალმა ხმამ ყურში. ამ იდუმალ ხმაზე დიმიტრია წამოწითლდა, გულმა ცემას მოუხშირა. მთელ სხეულში რაღაც სიმძიმე იგრძნო. „არა, ნუ გეშინია, განა ცოტა ეძება? ცოტა ფულები დახარჯა? უკანასკნელად რომ ვნახე კაცი თითქმის სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. ვერსად ვერაფერი ვიპოვნეო, ამბობდა. არა, არა, სალაპარაკო არაა, ორას მანეთს. ავაფრცქვნი", გულს უკეთებდა მეორე იდუმალი ხმა. ორასი, ორასი! მაგრამ ეს კი ვერ მომიფიქრებია, რანაირად აღმოჩნდა ეს ძვირფასი ქაღალდი ამ ყაზახის სახლში? მერე, რა პანტასავით ეგდო. ალბათ, საიდანღაც უცაბედად ჩავარდნიათ ხელში, კითხვა აქ არავის სცოდნია. კითხვაც რომ იცოდე, თუ ძალიან არ დააკვირდი, ხუმრობა არ არის მისი წაკითხვა. გარეგნობით კი ეს ჭუჭყიანი ქაღალდი აბა ვის მიიზიდავდა! მეც ძლივს გავარჩიე. ღმერთო, შენ მიცოცხლე მრავალჟამიერ მამკია კოჭლი. იმას ჩემთვის წერა-კითხვა არ ესწავლებინა, ეხლა ამას ვერც კი წავიკითხავდი და ასეთი ძვირფასი მარგალიტი ხელიდან გამიფრინდებოდა. რად მიღირს ახლა, ის ორი კაკალი ანა-ბანა რომ ვიცი. ღმერთო, შენ მიცოცხლე ჩემი მამკია კოჭლი", — ამბობდა გულში დიმიტრია. მამკია კოჭლის გახსენებაზე დიმიტრიას ისიც გაახსენდა, თუ როგორ დაისწავლა ის ორი კაკალი ანა-ბანა, როგორც თვითონ ამბობდა. მამკია კოჭლი, ადგილობრივი მედავითნის შვილი, პატარობისას დიმიტრიასთან ერთად თხებს მიჰყვებოდა. რასაკვირველია, მეგობრები იყვნენ. მამკიას ცალი ფეხი გაფუჭებული ჰქონდა და სიარული ძალიან ეზარებოდა და კიდეც ემძიმებოდა. ბედზე წერა-კითხვა იცოდა. დიმიტრია კი შველივით დახტოდა და წერა-კითხვის დასწავლას სულით და გულით მოწადინებული იყო. ამიტომ დიმიტრია და მამკია ერთმანეთს პირობით შეეკვრნენ: დიმიტრიას თხებისთვის თვალ-ყური უნდა ეგდო, სამაგიეროდ მამკია წერა-კითხვას დაასწავლიდა. იჯდა მამკია ჩრდილ ქვეშ, ან ეძინა, ან წალდით რასმე სთლიდა, დიმიტრიას კი ხელში ქაღალდი ეჭირა და ხან მამკიას „ლექციას" ისმენდა, ხან თხებს ერეკებოდა.

დიმიტრიამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, საბუთი ამოიღო და ერთხელ კიდევ გადაიკითხა. საბუთის სინამდვილე ყოველ ეჭვს გარეშე იყო.

— დედა, ღმერთო! — სინანულით წამოიძახა მან, — სულაც არ გამხსენებია: ასეთი საოცარი ბედნიერი შემთხვევისათვის ღვთისთვის მადლობაც არ შემიწირავს, პირჯვარიც არ გადამიწერია. მოდი და ჩემისთანა კაცს სიკეთე უყავი?

ის იყო პირჯვარი გადაიწერა, რომ სახლის გვერდიდან კაცის ფეხის ხმა და ლაპარაკი მოესმა:

— ჩალა კი ღვთის იმედით, მშრალად დავალაგე. მარტო იმ საბას ნაყანევში უცბად მოსულმა ჭუჭუხმა [1]) ერთი ორასიოდე კონა დამისველა, მაგრამ მეხკალზე [2]) ქვაჩალერად ჩამოვკიდე. ვითომ დალპება ოხერი? — ამბობდა ბიტა.

---

[1]) თოვლ-ჭყაპი.
[2]) ნაკერჩხალზე.

— რა დაალპობს, — მიუგო ნიკოიამ, — თუ ქვაჩალერად არის, შენც ბევრს ნუ დააცლი, პირველად ის აჭამე პირუტყვს.

როცა ნიკოიამ დიმიტრია დაინახა, ლაპარაკი შესწყვიტა და სტუმარს მიეგება.

— ამ კაცმა, დასაპატიჟებლად რომ ვერ ვიშოვნი, ისეთი ადგილიანად მობრანძულ დროს მომიყვანა! — უსაყვედურა ვითომ ნიკოიამ ბიტას, — სალამო მშვიდობისა. ბატონო! ღმერთო მომკალი, რა მოჩანჩულად ვარ, სახლში კიდევ სიმინდი...

— ღმერთმა გაცოცხლოს, ბაბა, ნუ სწუხარ, არაფერია. სახლში რომ სიმინდი ყრია, ის არ არის, ბაბა, სირცხვილი, რომ არ ეყაროს, ისაა გენია ცეცხლის მოკიდება, — მიუგო მხიარულად დიმიტრიამ.

ბიტა დიმიტრიას პირდაღებული შეჰყურებდა. გაკვირვებული იყო. ეს ის დიმიტრია არ იყო, ამ რამდენიმე წუთის წინად ბიტასთან დაღვრემილი რომ მოდიოდა. ბიტამ თვალებით ანიშნა, რომ სიხარული ნაადრევია, ამისაგან ფულის მილება ძალიან ძნელიაო.

— შინ შემობრძანდით, ბატონო, შინ, — შეიპატიჟა ნიკოიამ, როცა სტუმარს თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა.

— ნუ შეწუხდებით, აქ მოვთავსდებით, — კვლავ მხიარულად მიუგო დიმიტრიამ.

— კი, როგორც გენებოსთ... სკამებს მაინც გამოვიტან, — სთქვა ნიკოიამ.

— შენი თავი არ მომიკვდეს! იმდენ ხანს არ მცალია. ცოტა სათხოვარი მქონდა თქვენთან და... — ზრდილობიანად მიმართა დიმიტრიამ.

— ბრძანეთ, ბატონო, მე საწყალს რა შემიძლია! — თავმდაბლად მიუგო ნიკოიამ. ეს „რა შემიძლია“ ისეთი კილოთი წარმოსთქვა, რომ თუ ფულზეა საქმე, იმედი ნუ გექნებაო.

— ერთი-ორი თუმანი დამჭირდა ასე საჩქაროდ, მოკლე ხნის ვადით, სარგებელს კარგს მოგცემ, — მტკიცედ და ისეთი გაბედული კილოთი უთხრა დიმიტრიამ, თითქოს, თუ მომცემ, ხომ კარგი, თუ არა და იმაზე უნაღვლესი ნურც შენ და ნურც მე ღმერთმა ნუ დაგვმართოსო.

ბიტა გაშტერებული ყურს უგდებდა, ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო: ეს კაცი უნდა ეხვეწებოდეს და ვერ გამიგია, რა აგდებულად ელაპარაკებაო.

— დღევანდელი დღის მადლი გამიწყრეს, ხვალინდელი დღე არ გამითენდეს, — დაიწყო ნიკოიამ ფიცი, — შვილები ჩემი ხელით დამეხოცოს, თუ ტყუილი გითხრა. აგერ ბიტასაც ქე ვეუბნებოდი, თუ რამე მომეძეოდა, ამ სალდათობაში დამეხარჯა. ვერ მოგატყუებ, ღვთის და თქვენი წყალობა, ერთი-ორი კაპეიკი კუბოს გასაწყობი კი მეგულებოდა, მარა ამ სალდათობაში სულ გამივიდა. ვალიც ზედ დაერთო, თორემ სხვას ვინღა ჩივა. რომ მომეძეოდეს რამე, ღმერთი როგორ გამიწყრება, როგორ დაგიჭერ... ღმერთო მომკალი, ღმერთო მომკალი!

— იმედიც მაქვს სწორედ, რომ გქონდეს, არ დამიჭერ. რა ვქნათ, თუ კი არ არის. მაინც აგაშენოს ღმერთმა, დიდი მადლობელი ვარ! ხმაზე გატყობ, რომ გულწრფელად მეუბნები... დიდად გმადლობ, ერთი სიტყვით, რომ გესესხებიოს, ისეთი მადლობელი ვარ! — ზრდილობიანად მიუგო დიმიტრიამ და გამომშვიდობება დაიწყო.

ბიტა კი გაფითრებული იდგა.

— ბატონო, არც ღვინო, არც წყალი, ღმერთო მომკალი, ღმერთო მომკალი! — მოებოდიშა ნიკოია.

— რათ იკადრებთ, ჩემო ბატონო, — წარმოსთქვა დიმიტრიამ და ცხენზე შეჯდა...

— რა არ ვუთხარი, რამდენი არ ვეხვეწე, სანამ შენ გაჩვენებდი, მაგრამ არა გამივიდა-რა, — მოწყენით და ამოოხვრით უთხრა ბიტამ, — [illegible] ეზოდან გავიდნენ.

— თუ არ ქმნა, იყოს! თუ დაიქცევა ქვეყანა, დაიქცეს! — მიუგო დიმიტრიამ.

— ის ბასილიც სწორედ არაა კაი კაცი. ერთი ორჯერ მეც შევხვდი, შენზე საყვედურებს ლაპარაკობდა. ნათქვამია ქარი ბორიასავით მოეფინება სოფელსო. განაგონი აქვს იმ კაცს, ბატონო, განაგონი, ასეთ და ისეთ...

— ღმერთი მოწყალეა, ჩემო ბატა! თუ შემჭამს ბასილ მძებრაძე, ვიცოცხლოთ, ვიცოცხლოთ და ქვეყანა გაიგებს...

— ცოლ-შვილს გეფიცები, ხარი შევაძლიე, ჩემი დიდი ჯორა ხარი, — არა სცხრებოდა ბიტა. — სულ უკანასკნელი ოთხი თუმანი ოხერია მისი ფასი. წყალშიაც იდგეს, ღირს. მაგრამ ყა, ხარი რად მინდაო, სხვისი კი არა, ჩემსას ვერ მოუარეო... აი ბებიამისს მეტი! აი ახავაი! რა იცის ერთი ბეწო წინ წაწევამ! ამ სამი წლის წინეთ ხობელი გლახაკივით ჩოჩოქით იხვეწებოდა: ჰქენით წყალობა, ცალი ხარი მათხოვეთ, ყანა მოუხვნელი მირჩებაო.

— შენი უანგარიშო მადლობელი ვარ, გულში რომ ამდენად მიიღე, ჩემო ბიტა, ჩემო ბაბია, და თუ ღმერთმა ჩემი საქმე ისევ... აიტ! — ცქვიტად დაუძახა დიმიტრიამ ცხენს, ერთი პატარა რუს პირას აღვირი მოსწია და მათრახი გაუტყლაშუნა.

ერთი საათის შემდეგ დიმიტრია ჭანდრაკელია, იმავე რაშზე თავმომწონედ გადამჯდარი, შინისაკენ მიეშურებოდა. ჯიბეში ხელს მალ-მალ იყოფდა. ვისაც შეხვდებოდა, გამარჯვების თქმას არ დააცლიდა, პირველად თვითონ ეტყოდა ხოლმე.

— ეჰ, ეგ ოხრად დასარჩენი! აბა რომ მაშინათვე ვერ მიხვდები! — გაიფიქრა დიმიტრიამ და შუბლზე ხელი გადაისვა. — იმ მაგიდაზე რამდენი ბირდუ-ბურდუ ქალალდი ეყარა, შეიძლება სულ ყველა საბუთები იყო. მერე, რამდენი გადარეულივით დარბის და ეძებს ეხლა საბუთს... ეჰ! მაგ ოხერმა სიხარულმა ამიტაცა და დანარჩენს ყურადღება არ მივაქციე. უცბად ვერ მოიაზრებ — უსაყვედურა თავის თავს.

XXI

შობის წინა დღეს, დილით, ბასილ მძებრაძის ოდის დარბაზის ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა. თვითონ ბასილი დაფიქრებული და მოწყენილი ბუხრის პირას სავარძელში იჯდა და ახალ დაბანილ თმა-წვერს ივარცხნიდა. იმის აქეთ-იქით ირაკლი და პავლე მძებრაძეები ისხდნენ. ორივეს ძალზე გამხდარი სახე და მოკლე წვერი ჰქონდა. ირაკლი კარგა გაჭალარებული იყო, ხოლო პავლეს ჭალარა აქა-იქ ჰქონდა გამორეული. ორივეს უბრალო, გამოუქნელი ტყავის ქალამნები ეცვა. ეტყობოდათ ეხლახან შემოსულიყვნენ, რადგან ქალამნები და მსხვილი შალის წინდები სველი იყო. ალაგ-ალაგ თოვლის პატარ-პატარა გუნდები ბრწყინავდნენ და თანდათან დნებოდნენ.

გარედ კი თოვდა. საშინლად უბერავდა ზღვის ქარი და თოვლის მსხვილ ქინქლებს ალმაცერად აფრქვევდა დასავლეთიდან ალმოსავლეთისკენ.

ირაკლიმ გარედ გაიხედა, დაამთქნარა, ცალი თვალი დახუჭა და ჩაილაპარაკა:

— რა გადარეული დარია! თუ არ გადილო, შობა კი არა, შენი მტერი, ჩალასაც ვერ ამოიტანს კაცი.

— შენ ჩალას ჩივი, შეშა კი ერთი ღერი არ მოგვეძებნა, — მოუგო პავლემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზამთარი კი იქნება წრეულს, მგონია! კალანდარში სწერიაო, ამბობენ. ის ოხერი ერთი რომ ვერ მოვიტანე! გიორგი ბრტყელაიას აქვს, მაზაკვალს, სულ ჯიბით დაათრევს... ზოგი კაი ამბავი წერია, სწორე გითხრა, — დინჯად წარმოსთქვა ბასილმა.

— ნეტავ მე ეხლა ერთი ურემი შეშა მომცა და რაც კალანდარებია, შავ ზღვაში გადაყარა, — შენიშნა პავლემ.

ბასილმა წვერ-ულვაში დაივარცხნა, სავარცხელი ბუხრის თაროზე შესდო, მერე აღმოსავლეთისკენ მიბრუნდა და რამდენჯერმე სასოებით პირჯვარი გადიწერა.

— ბართლომე სად არის ნეტავ? — იკითხა ბასილმა, როცა ისევ ბუხარს მიუჯდა.

— ქარ-ბორიასთან, — მიუგო ირაკლიმ.

— ეხლა მას სოფელში რა გააჩერებს! — განაგრძო პავლემ.

— ბაწრით და ჯაჭვით რომ დააბა, არ მოიცდის, — ჩამოართვა სიტყვა ირაკლიმ.

— კარგადაც იქცევა, ძმაო: სადაა მაგისთანა კაცის გასაძლომი მჭადი? — სთქვა პავლემ.

ბასილმა მწარედ ჩაიცინა.

— ძუკუ სადღაა, ბასილ? — ახლა პავლემ იკითხა.

— არ ვიცი, შენ არ მომიკვდე! — იმნაირი კილოთი მიუგო ბასილმა, თითქოს უცხო ვისმეზე ეკითხებოდნენ. — როცა დილით ავდექი, კი შევამჩნიე, თოფს რაღაცას ეკრიტინებოდა. ალბად, სანადიროდ წავიდა. ისიც ჩქარა მიემატება, მგონია, ქარ-ბორიას, — მწუხარედ და ამოოხვრით დაუმატა ბასილმა.

— ქარი ბორია ღმერთმა აშოროს, ბიძი, — პირს მოუფერეს ბიძაშვილებმა.

ბუხარში ცეცხლის ალი საამურად ლაპლაპებდა. წიფლის ერთ მსხვილ და მოგრძო კუნძს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა.

ბასილმა თავისი საყვარელი ჩიბუხი მოსძებნა და სიამოვნებით გააბოლა.

— ვო, ირაკლი და პავლე! — დინჯად წარმოსთქვა მან და ერთხანს შეჩერდა, თითქოს ყოყმანობს, არ იცის, როგორ დაიწყოსო. — თქვენზე უფროსი თქვენს ოჯახში არაფინაა. იცით, როგორ გაჭირდა ჩვენი საქმე. ცოდვას ვერ ვიტყვი, ღელმდი, რაც შეგეძლოთ, მტრის ჯინისათვის, ჩემთვის მხარი არ მოგიცილებიათ. ბევრი ვეძებეთ, რამდენი ვიხარჯეთ, რამდენი ვიტანჯეთ, მაგრამ ის ოხრად დასარჩენი საბუთი ვერსად ვერ ვიპოვნეთ. ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, ის არის სწორედ, თორემ სუმონა მძებრაძის ოჯახს საბუთი საძებარი უნდა ჰქონოდა? დედა, ღმერთო, ჩვენი გამოსადეგი საბუთი ჩემ სისხლის მსმელს დრიმიტრია ჭანდრაკელიას ჩაუვარდა ხელში!? სად იპოვა, ნეტავი ვიცოდე, მაგ გაცრუებულმა ყაზახმა?

— მართალი ყოფილა, ბიძი? — ინტერესით დაეკითხა პავლე.

— მართალია, აბა! ჩემი თვალით ვნახე. იმ მენცარმა ხელი არ მომაკიდვია, ორივე ხელით ეჭირა, ისე წამიკითხა.

— ნეტავ შიგ რა ეწერა?

— საქმე ისაა, რომ აზნაური შერაბი სუმონის-ძე მძებრაძეო კი არის მოხსენებული და ეს არის თავი და თავი. ეს თქვენთვისაც გამოდგება, მხოლოდ უნდა დავამტკიცოთ, რომ ზურაბიც სუმონის შვილი იყო და მძებრაძის ძმა.

წერილი კი სასახელო არ არის, — მორცხვად გაურია ბასილმა. — მაგრამ ამას რას დავეძებ! მე რაც მესაჭიროება, გარკვევით კი არის და სხვა ოხრად დაურჩა!.. მამა ჩემს პირადად კი არა სწერს მთავარი, ვაკე-კარის მოურავს ტარიელ შუშხუნაძეს სწერს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ო, შარშან რომ გარდაიცვალა!? — წამოიძახა ირაკლიმ.

— დიახ, ტარიელ შუშხუნაძეს სწერს, რომ მამა ჩემი გააფრთხილოს. კიკო ბარიას ქვრივს, — ხომ გახსოვთ, კუზიანი ბებერი რომ დადიოდა, ისიც ეხლახან უეცრად გარდაიცვალა, — აი იმას უჩივლია მამა-ჩემისთვის.

— ოჰო? — გაიოცეს ძმებმა.

— აა, საბუთს, როგორც იქნა, მივაგენით, მაგრამ რა ფასს ადებს, არ იკითხავთ, მაგ ცეცხლში შესაწვავი! განა განაკოტრი და ნავაჭრი კაცისაგან სიკეთე გამოვა? ორას მანეთზე ნაკლებ ლაპარაკსაც არ კადრულობს ის მენცარის შვილი!

— ყა, წიე! — მიაყვირეს ძმებმა.

— აბა, დედის სულწაწყმენდული! რომ დამავლო ლაგამში ხელი, ეს არის! ვაი დედა მისს, ვაი მამა მისს! იმნაირად მოცეცილად მქონდა საქმე, რომ ჩახმახის ფეხის გამოწევის მეტი არაფერი უნდოდა, ან უნდა ჩემი ფულები გადაეხადა, ანდა ცოცხალი ზეცას აფრენილიყო, სხვა გზა არ ჰქონდა. მუჭში მყავდა მაგრა დაჭერილი და ამ დროს, წარმოიდგინე, ეშმაკმა თუ ანგელოზმა, ალბათ, წყეულმა ეშმაკმა ჩემი სული ხელში ჩაუგდო! ყავხარ რაღა ეხლა იმ კაცს გალიაში ოშოშიასავით დამწყვდეული და თუ უნდა გაგიღებს, თუ არ უნდა, არ გაგიღებს...

— გადაირია ყოფა გაქცეული? — ჯავრით წარმოსთქვა პავლემ. — ორასი მანეთი? ლობიოს ჩენჩი ხომ არ არის? ორასი მანეთი ნაღდი ფული ეხლა მე ხელში მომცა და შენი აზნაურობა ნეტა პალიასტომში გადაადგრ...

— რას ამბობ, ბიჭო? — შენიშნა ირაკლიმ. — აზნაური რომ არ ვიყო, ის ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ორასი მანეთი? მეტის-მეტად გაუჭიმავს მაგ შავ ყაზახს!

— აი საახალწლოდ რა გვახარა დროებამ! — სთქვა ბასილმა, ყალიონს ძალზე მოსწია, სქელი ბოლი გუნდ-გუნდად ამოუშვა პირიდან და აპრიალებულ ცეცხლში ჩააფურთხა. მერე აუჩქარებლად განაგრძო: — მე თუ მკითხავ, როგორც საქმეს ვაკვირდები, ისეთი დროებაა დამდგარი, რომ შენ აზნაურობას და თავადობას, მგონია, ბევრი ვერაფერი გასავალი ექნება. ეხლა აზნაური ის გახლავს, ვისაც რამე მოეძევა და ვინც იცის რამე. ჩვენ-კი, ბაბა, თუ რამე გვაბადია, მგონი, ხელიდან გამოგვეცლება და რისამე შეძენაზე სრულებით არ ვფიქრობთ... ეს, ვსთქვათ, ასეა. მაგრამ ყველაზე უწინ, კაცო, თვალები ჩემი ხელით როგორ დავითხარო, ჩემით კუბოში როგორ ჩავესვენო? — აქ ბასილი წამოდგა და ხელები ფართოდ გაშალა. — მამა-ჩემი, პაპა-ჩემი, პაპის-პაპა და მისი მიყოლებული მითაჟამიდან უკუნისამდე აზნაური ყოფილა, ყმა ყოლია, სახლკარი ქონია, საგმირო საქმეში თავის დღეში მტრისთვის ზურგი არ უჩვენებია, და ეხლა გლეხი ბასილ მძებრაძეო, რომ დამიძახონ, იმას ჩემი ყურები ვერ გაიგონებენ, ხარჯის შიშით ამას ვერ მივატოვებ...

ირაკლი და პავლე გაჩუმებულნი ყურს უგდებდნენ. მათ უიმისოდაც მოწყენილ სახეს ლურჯი ფერი გადაჰკროდა.

— რას ვიზამთ... უნდა ვეცადოთ, — ფრთხილად დაარღვია სიჩუმე პავლემ, თითქოს თავისი ხმისა თვითონვე ეშინიანო.

— თუ ეცდებით, ძმაო, აი აგერა ხართ! რაც მე დღემდის ზედმეტი დამიხარჯავს, შემიწირავს. ნახევარ ხარჯში, შვილო, ეხლაც ამოგიდგებით. რა ვქნა, მეც ათასგვარი გაჭირვება მაქვს. თქვენც მოიწადინეთ, სამნი ხართ...

— სამნი ვართ, ბიძი, მართალია, — მიუგო ირაკლიმ, — მაგრამ ის ერთი, ღმერთო შეგცოდე, არ იყოს, სჯობიან! მოვარდება ხანდისხან ბინ, თუ რამე გაგვაჩნია, სვამს და სჭამს, ქალებს სარეცხის რეცხვაში ხელები დაუსქდათ. ამას თქვენი ჭირი წაუღია, საპონს მაინც რომ მოიტანდეს. ერთი ქცევა მიწა, შენც კი იცი, მიწა კი არა, გაწურული ოქრო, თავისივე მეტიჩრობით აგერ ყაზახს დაუგირავა და, ვგონებ, საკუთრადაც იმას შერჩეს. ყაზახმა თუ ერთხელ გიგდო კლანჭებში, დაგინდობს გონია! განსაკუთრებით ნიკოია, ჩვენ აბა რას მოგვებოდიშება, ჩვენგან ბევრი სიკეთეც არ გაახსენდება... და ეხლა, ბიძი, ასი მანეთის შოვნა ჩვენთვის... შენ ჩვენზე უკეთესად იცი ჩვენი გარემოება...

— ვიცი, როგორ არ ვიცი, შვილო, — მხრების აწევით და ხელების ქნევით მიუგო ბასილმა, — მაგრამ თქვენც ხომ იცით ჩემი ამბავი: თუ ორი გროში ვისმე მივაბარე, კბილებით ამოსაგლეჯი და თავსატეხი შემექნა, თუ ერთიორი გროში ხელში მქონდა, დაილია, ბაბა, და ეს არის. ზღვა კოვზით დაილიაო.

— მაინც როგორ გაუჭიმავს მაგ შავ ყაზახს!.. შეიძლება, ბიძი, სადმე უფრო იაფად წავაწყდეთ. მოვითმინოთ, რა გვაჩქარებს! — ინუგეშა თავი პავლემ.

—სხვაგან რომ ვიშოვნიდე, — წამოიძახა ბასილმა, პავლესთან მიიჭრა, მის წინ წელში მოხრილი გაჩერდა და თვალებში შეაჩერდა, — სხვაგან რომ ვიშოვნიდე, თათრის ვალს დავიდებ, ცოლ-შვილს დავაგირავებ და იმ გაკოტრებულს კი პირში ჩალაგამოვლებულს დაეტოვებ. მაგრამ უწყრება მაგას ღმერთი და ეს არის! რომ ვერსად ვიშოვნეთ! რა გვაჩქარებსო, რომ ამბობ, განა მარტო საბუთია საჭირო? ეს მხოლოდ საქმის დაწყებაა. ეხლა მეტრიკული მოწმობები უნდა, ოცი კაცის ხელ-მოწერილი ქაღალდი, მერე შეტანა და დავიდარაბა. თქვენ რომ მერაბის ძმისწულები ხართ, ამასაც გამოძიება უნდა...

— ასი მანეთი ეხლა, ბიძი, რომ ჩამოგვახრჩოს კაცმა, ვერ ვიშოვნით, — ნაძალადევი სიცილით სთქვა ირაკლიმ.

— რა ვქნათ, აბა, — მიუგო ბასილმა, — კაცს სირცხვილისთვის ხურავს ქუდი. თუ თქვენ უარს იტყვით და არ გინდათ, მე მაინც, რაც გინდა დამიჯდეს, უნდა ვეძიო და ვეძიო ჩემი ღირსება, სანამ გავუძლებ. კოჩა და ბიტა ბარიას ამხანაგად გამხადონ: ვო, ბასილ, ბარი და ნიჩაბი წამოიღე, ანაკლიისაკენ გზა გასაკეთებელიაო, რომ დამიკიჟინოს პოპროშიკმა, ამას ჩემი ყურით ვერ მოვისმენ, ჩემი თვალით ვერ დავინახავ... თქვენ თუ არ გინდათ, ნება თქვენია!

ძმებმა ერთმანეთს ულაზათოდ შეხედეს, მერე ფანჯარაში გაიხედეს. თოვლი ისე სქლად ცვიოდა, რომ აღარავითარი საგნის გარჩევა აღარ შეიძლებოდა. ირაკლის დ პავლეს სახეები საცოდავი სანახავი იყო. ამ სახეებზე მხოლოდ უიმედობა და უსასოება-ღა იხატებოდა. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ბიძაშვილები ერთმანეთს დაშორდნენ.

რა ზომამდი არ სძულდათ ირაკლის და მის ძმებს ნიკოია თოხიტარია, რა ზომამდი არ ეთაკილებოდათ კიდევ მისგან ფულის ვალად აღება, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ისევ მისთვის უნდა მიემართნათ და ჯავრით სავსე გულით წისქვილი დაეგირავებინათ.

სხვისგან სოფელში იმიტომ კი ვერ იშოვნეს ფული, რომ არავეს არა ჰქონდა. ფული სხვებსაც ჰქონდათ, მაგრამ ფულის გამეტებაში ყველა წინდახედული, გამოცდილი და ხელმოჭერილი აღმოჩნდა. ისეთ ხელმკლე და დაუდევარ კაცებს, როგორიც ირაკლი და მისი ძმები იყვნენ, ფულს ადვილად ვერავინ ენდობოდა. წისქვილის ინტერესი კიდევ მხოლოდ ნიკოიას ჰქონდა. სხვებს მძებრაძეების საქმეში გარევა ჭირივით ეჯავრებოდათ.

შობა-ახალწელიწადს შუა რიგიანად მოილაპარაკეს და ნიკოია დასთანხმდა. აქაც, როგორც მიწის დაგირავების დროს, ხელწერილიც უნდა დაეწერათ წისქვილის დაგირავებაზე და ათი თუმნის თამასუქიც მიეცათ. ხელწერილის ვადად ცხრა წელიწადი უნდა დაენიშნათ. ამ ცხრა წლის განმავლობაში ნიკოია წისქვილით ისარგებლებდა და თავის ათ თუმანსაც ნაღდად აიღებდა. უამისოდ ნიკოია არ თანხმდებოდა.

ამნაირად მძებრაძეებმა საბუთი შეიძინეს, მაგრამ ეხლა მეტრიკული მოწმობები იყო საჭირო. უნდა დაემტკიცებინათ, რომ ყველანი სვიმონის შთამომავალნი იყვნენ, რომ ზურაბი მერაბის ღვიძლი ძმა იყო, რომ ირაკლი და მისი ძმები ზურაბის ნამდვილი შვილები იყვნენ და სხვა. საეკლესიო საბუთებში მხოლოდ ბართლომეს მეტრიკა აღმოჩნდა. ბასილის დროს სამეგრელოში საეკლესიო საბუთების წარმოება არც კი იყო. ზოგიერთი მღვდელი მაშინ ბატონის მეწისქვილედ იყო და მწუხრს და ცისკარს წისქვილში აყენებდა, სადაც მგალობელთა გუნდის მაგიერობას დოლაბ-ბორბლები ასრულებდნენ. ზღაპარი არ გეგონოთ, ასეთი ამბები მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გახლდათ. თქვენ უმორჩილეს მონას არა ერთი და ორი მოხუცი უნახავს, რომელსაც ახალგაზრდობაში მღვდლისთვის აღსარება წისქვილში უთქვამს...

ირაკლისა და პავლეს მეტრიკა რიგით კი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაღაც მიზეზით ჩაუწერელი დარჩენილიყვნენ და ამასაც გამოძიება უნდოდა. ქაღალდი მიართვეს, სადაც ჯერ იყო, და საქმის გამომძიებლად ადგილობრივი ბლაღოჩინის თანაშემწე, მღვდელი ამბაკო არწევანიძე დანიშნეს. აი ამ გამომძიებელს მოელოდა ბასილი ხვალისათვის და შესაფერ მზადებაში იყო. ოცამდე მოწმეც მზად ჰყავდა.

XXII

მეორე დღეს გათენებისთანავე ბასილ მძებრაძის სახლში ფაცაფუცი დაიწყო. პირველად ხბო დაჰკლეს, რომელიც ბასილმა განგებ ამ შემთხვევისთვის იყიდა. მისი ნამოჯამაგირალი უჩანა, რომელიც ეხლა, დაცოლშვილებული, ცალკე ესახლა, ბასილის თხოვნით დილა ადრიან მივიდა, როგორც საკლავის საქმეში გამოცდილი კაცი. ბასილის ეხლანდელმა მოჯამაგირემ კოხტაიამ კისერზე ბაწარ-მობმული ხბო ჯიხურიდან გამოიყვანა და საკლავ ადგილისკენ წაიყვანა. საკლავ ადგილად მიჩენილი იყო ეზოს განაპირას ტყემლის ხე, რომლის ერთი ტოტი განზე იყო გაშვერილი და საკლავის ჩამოსაკიდებლად მოხერხებულ რასმე წარმოადგენდა. წისქვილის წყალი ახლო მიჩუხჩუხებდა და შიგნეულის გარეცხვაც ადვილი იყო.

— ემაგრე, ბიჭებო, ემაგრე! გამარჯობა, ბაბა, უჩანა! აბა შენ იცი და შენმა მამაშვილობამ, როგორ დაფაცურდები დღეს. განა ტყუილად გამოგზარდე? — თვალების ფშვნეტით და ახალუხის ღილების ბნევით გამოელაპარაკა ბასილი მოჯამაგირეებს, რომელთაც ხბო უკვე დაეკლათ. — მსუქანი კი იქნება, მგონი, ა, უჩანა?

— რა ბრძანებაა, ბატონო! — მიუგო უჩანამ.—სიასამური იქნება!—სთქვა ეს, დანით სამი ფეხი მოსჭრა და გატყავებას შეუდგა.

მზე ამოვიდა. ბასილმა ხელ-პირი დაიბანა. ცოტ-ცოტად მოწმეებმაც იწყეს მოგროვება და რამდენიმე ხნის შემდეგ ბასილის სახლკარი ახმაურდა.

— თუ ღმერთმა ინება და ასეთი დარები დაიჭირა, წრევანდელ მოსავალს კაცი არ მოერევა, — სთქვა ერთმა ჭალარა-შერეულმა გლეხმა (ერთხმად ყველანი ჭალარა-შერეულნი იყვნენ).

— ჯერ ნუ ჩქარობ, — მიუგო მეორემ, — თუ აგვისტოში წვიმა დააყოლა, შენი მტერი!

— არა, არა! — შესძახეს აქეთ-იქიდან! — დღეისწორი არ იყო ელიობა. გათავებული საქმეა, ეხლა სიმინდს ვერაფერი გააფუჭებს. ელიობამდი უხიფათოდ თუ მივიდა, მერე იმდენი საშიში არაა.

— მაგრამ თუ წყალი გადავიდა? — შენიშნა ჩვენმა ნაცნობმა ნამამასახლისარმა გიორგიმ.

— ოი, ღმერთმა დაგვიფაროს! — წამოიძახეს სხვებმა და მდინარისაკენ გაიხედეს.

— თუ წყალი გადავიდა, — დინჯად ჩაერია ლაპარაკში ბასილი, რომელსაც ბიჭებისთვის საჭირო განკარგულება მიეცა და რომელიც ეხლა აივანზე ადიოდა, რა თქმა უნდა, თავისი განუშორებელი ჩიბუხით პირში, — თუ წყალი გადავიდა, ბაბა, შევკრათ ბარგი-ბარხანა და სადმე გადავსახლდეთ.

— არა, ბატონო, არა, წყალი წრეულს არ გადავა, — გამოეხმაურა დაბალი და გამხდარი გლეხი: — მარტში გაათავა, ბატონო, წყალმა, რაც უნდოდა.

— მართალს ამბობს სოსრანი, მართალს! — სთქვა გიორგიმ. — ამნაირი ნელი წყლის გადასვლა არ მახსოვს, წრეულს ერთი მტკაველა მიწა არ გაუფუჭებია.

ამ ლაპარაკში იყვნენ, როცა ვიღაცამ დაიძახა:

— ბლაღოჩინი მობრძანდება, ბატონო, ბლაღოჩინი!

— აბა ერთმა ვინმემ ცხენი ჩამოართვით! — განკარგულება გასცა ბასილმა და თვითონაც აივნიდან ძირს ჩავიდა, რომ სტუმარს მიჰგებებოდა.

მამა ევთიმე, ბლაღოჩინის თანაშემწე, გამომძიებელი მღვდელი ამბაკო, მის მიერ დროებით დაქირავებული თავისუფალი მწერალი, სახელად სარდიონი და ერთიც მამა ამბაკოს მხლებელი ბასილის ჭისკარში შემოვიდნენ.

მამა ევთიმე, როგორც ყოველთვის, ჯორზე იჯდა, მამა ამბაკო — ნახშირივით შავ ცხენზე, ხოლო მწერალი და მხლებელი ისეთ ღონემიხდილ და გამხდარ ცხენებზე, რომ კაცს ეგონებოდა, საცაა წაიქცევიან და ფეხებს გაფშეკენო.

— ამისთანა მღვდელს, ბასილ მძებრაძე, — გამარჯვების მაგიერ ცხენიდან ჩამოსვლისთანავე მიაძახა ამბაკომ და მიუთითა ევთიმეზე, რომელიც ჯორიდან ჩამომხტარი მოსართავებს უშვებდა, — ამისთანა მღვდელს, თქვენი რომ ვიყო, ავიყვან და იმ თქვენ მეწისქვილეს, ნააბრაგევი რომ არის, პოპროშიკად დავუყენებ. კაცო, მე ამ სიშორიდან მოვედი და ეს კი ამ შენ ჭიშკართან შემხვდა.

— დაიკარგე, დაიკარგე იქით! — ხუმრობითვე მიუგო მამა ევთიმემ, — მაძინია მეწისქვილის პოპროშიკობა სწორედ შენ გეკუთნის, ქოსა კაცის პოპროშიკი ქოსავე უნდა იყოს.

— აბა რას ამბობს კუბაკი ყაზახი? გავააზნაურე და შეხედეთ, როგორ მომეთამამა: თავისი ტარასტით და დიაკვანით, შემოსული ჭიშკართან უნდა დამხვედროდა და აი რას მეუბნება! დამაცა მე შენა! — ხუმრობით დაემუქრა მამა ამბაკო.

— უკაცრაოდ, ჩვენ მღვდელს შენ მასთე ნუ იგდებ, თორემ მიგას ისეთი ჭინჭარი ეზრდება ბოსტანში, რომ... ყო, დილა მშვიდობისა, ჩემო ბატონო!— მიესალმა ამბაკოს ბასილი და შინ შეიპატიჟა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აივანზე, ყველა მოწმე მიეგება და შენდობა სთხოვა.

— შენ როგორ დადიას ხოჯივით[1]) გაგიჩიჩხინებია, ყაზაბო, ულვაშები!— ხუმრობით შეუტია ამბაკომ ერთს გლეხს. — ხუთი კოკა შემოგითვალე და მხოლოდ სამი გამომიგზავნე, ისიც როგორი: მირონცხებულ კაცს არ დაელეოდა.

— აი შენი ჯავრი! — თავის ქნევით მიუგო გლეხმა, — რაც გამოგიგზავნე, ეხლა იმასაც ვნანობ: შენმა მოხმარებამ მე რომ რამე მარგო... ხომ წაიყვანეს ჩემი შვილი სალდათად.

— ნუ თუ? — გაიკვირვა ამბაკომ. — რატომ მაშინვე არ მოხვედი?

— ნეტავ წინეთაც არ მოვსულიყავი, — თითქოს თავისთვის მწუხარედ ჩაილაპარაკა გლეხმა, — სამი კოკა ქაიანურივით ღვინო დავკარგე ტყუილად.

მამა ამბაკო ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ ამ დროს მარიკა გამოვიდა, რომელსაც უკან ტასია მოსდევდა.

— ყა, მარიკა, ბატონო, მრავალ წელს თქვენი მშვიდობით ნახვა! — ალტაცებით წარმოსთქვა გამომძიებელმა. — აბა ამას ქვია, ჩემო ბატონო, ჭალა ალაგას ცხოვრება, დოვლათიან ეზოში ნაზად-ნაზად სეირნობა... ქალი ასეთი უნდა, ხახუ ნუ მომიკვდება! ჩემ ცოლს რა ღმერთი გაუწყრა ნეტავი? რა ნასაკურთხები არ ვაჭამე, სად აბანოში არ წავიყვანე, მაინც არა ეშველა-რა, მაინც ფარგასა ჰგავს...

— ვაი, ვაი, რა მასხარა ხარ!—სიცილით მიუგო მარიკამ, ხელზე ემთხვია და განზე გაიწია, რომ ტასია მიეშვა.

— ააა! — გააჭიანურა გამომძიებელმა: — ეს შენი ცირაა? ამას რას ეხედავ! ერთი გოჯის ტოლა იყო და რავა გათქვიშინებულა! გადაღერღილ ქერს ხომ არ აჭმევ ნეტავი?

კიდევ კარგა ხანს იოხუნჯა მამა ამბაკომ. მერე ანაფორა გაიხადა და ბასილის მოსამსახურე გოგოს გადასცა, რომელმაც ორივე მკლავი მოწიწებით გაუშვირა, ანაფორაზე ქუდი დააგდო, ხოლო მასზე მათრახი, საქმიანი სახე მიიღო და მწერალს მიუბრუნდა:

— სარდიონ, აბა ბაბა, საქმე!

— არა, მამაო, ჯერ ერთი ჭიქა ჩაი, — მიიპატიჟა ბასილმა, — რა ხანია დამზადებულია.

— მარტო ერთი ჭიქა, მარტო ერთი ჭიქა! — სთქვა მამა ამბაკომ, რაღაც უაზრო შაირი მიაყოლა, ოთახში შევიდა და გაშლილ მაგიდას მოუჯდა.

ჩაი მოწმეებსაც დაალევინეს, თითო-თითო არაყიც მიაყოლეს და მერე გამომძიებელი საქმეს შეუდგა.

ოდის დარბაზის შუაში, მაგიდაზე, ქაღალდები დააწყეს და თვითონაც მოუსხდნენ: მამა ამბაკო, მამა ევთიმე და სარდიონი.

— აბა მოწმეებს დაუძახეთ! — გასცა ბრძანება გამომძიებელმა.

ყველანი მოგროვდნენ და მის წინ შეჯგუფდნენ. მამა ევთიმემ ყველანი დააფიცა. მერე ამბაკო მიუბრუნდა მათ:

— ბასილ მძებრაძე ხომ მერაბის შვილია?

— კი, ბატონო! — იგრიალეს მოწმე გლეხებმა.

— მერაბი ხომ სვიმონის შვილი იყო?

---

[1]) ერთგვარი მწერია.

— კი, ბატონო, სუმონიკას შვილი იყო, აბა სხვა ვისი იქნებოდა! — ისევ ივრიალეს მოწმეებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი. ზურაბი ხომ მერაბის ძმა იყო?

— კი, ბატონო!

— მკვიდრი ძმა?

— მკვიდრი ძმა, მკვიდრი! სუმონიკა მძებრაძეს მეორე ცოლი არ ყოლია! — დაიყვირა ერთმა მოხუცმა, რომელზედაც არაყს, ეტყობოდა, ემოქმედნა.

— ირაკლი და პავლე ხომ ზურაბის კანონიერი შვილები არიან?

— კი, ბატონო, კი, ბატონო!

— უკაცრაოდ, მამაო, — ზრდილობიანად მიმართა ბართლომემ, მივიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

— შენ ისე გირჩევნია? თქვენ ისე გნებავთ? — შეხედა ამბაკომ ბასილს და მის ბიძაშვილებს, რომლებიც ერთ ადგილას იდგნენ. — ბატონი ბრძანდებით! ჩემთვის კიდეც უკეთესია. — აბა, ბატონებო, გთხოვთ გარედ მიბრძანდეთ.

ყველანი გარედ გავიდნენ.

გამომძიებელმა კარები დააკეტვინა, მოწმეების სია ხელში აიღო და დაიძახა:

— გახუნია ძღანძღალაძე.

შემოვიდა გახუნია.

— შენ ხარ გახუნია ძღანძღალაძე?

— დიახ, ბატონო, — მიუგო გახუნიამ.

— რამდენი წლისა იქნები?

— რა ვიცი, ბატონო, ვიქმნები ასე ორმოცი წლისა.

— პავლეს დაბადება და ნათვლა გახსოვს?

— კი, ბატონო.

— აბა მითხარი, რომელ წელს იყო?

გახუნია შეჩერდა. გამომძიებელმა კითხვა გაუმეორა. გლეხი მაინც სდუმდა.

— ორმოცდაშვიდს იყო ხომ?

— კი, ბატონო! — მიუგო გახუნიამ.

— დავწერო ასე? — დაეკითხა ამბაკო მძებრაძეებს და ღიმილით შეჰხედა. — ესე იგი გამოდის ამ მოწმის ჩვენებით რომ პავლე თვით ამ მოწმეზე კაი რვა-ცხრა წლით უფროსი ყოფილა და ეს კი მის დაბადება-ნათვლას დასწრებია:

მძებრაძეები შეშფოთდნენ.

— თავისუფალი ხარ, — უთხრა ამბაკომ გახუნიას.

გახუნია საჩქაროდ ოთახიდან გავიდა.

— მაშ დავწერო ასე? — კვლავ მიუბრუნდა ამბაკო ბართლომეს.

ბართლომემ თავი მოიფხანა.

— თუ მაგათი ჩვენება ისე დასწერე, როგორც ისინი ამბობენ, კანტორა მოწმობას მოგცემს კი არა, ტუკით გამოგეკიდება.

— დასწყევლა ღმერთმა, მე უკეთესი იყო, მეგონა, — იმართლა თავი ბართლომემ. სხვები სდუმდნენ.

— შენ ოთუსბირი იყო გეგონა? წადი, წადი, ისინი გაართე, არ მოაწყინო სადილობამდე. ამას ჩვენ თვითონ დავსწერთ და ხელს მოვაწერინებთ...

მძებრაძეები ოთახიდან გავიდნენ.

— აბა ეხლა, სარდიონ, ბაბაია, შენებურად დასწერე. მოწმეების სია ხელში გაქვს, მათი წლოვანობაც გვერდზე სწერია. ვინ სად გამოდგება მოწმედ, შენ თვითონ შეუთანხმე... მე კი, რომ მიყურებ ამბაკო, მოვდელს, ბლაღოჩინის თანაშემწეს და სასულიერო გამომძიებელს, თუ ცოტა თვალი არ მოვატყუილე, თავი აგერ გამისქდება... წუხელ მაინც მეტი მოგვივიდა. მაგისთანა მაგარი ღვინო, ადესა კი არა, სხვაც არ დამილევია.

— ვისთან იყავით? — ჰკითხა მამა ევთიმემ.

— სოსია ჯანჯალიასთან. ამოვწყდით რალა, ამოვწყდით! ალიონი მოადგა, როცა სუფრა ალაგეს.

ამ სიტყვებით მ. ამბაკო ტახტზე წამოწვა.

— ბალიში, ბალიში, ბატონო! — მიაძახა შემთხვევით შესულმა მარიკამ.

— სწორედ კარგი იქმნება, — დაღლილი ხმით მიუგო მამა ამბაკომ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამბაკომ გემრიელი ხვრინვა ამოუშვა, სარდიონი კი რაც ძალი და ღონე ჰქონდა კალამს აწრიპინებდა, ოქმს ოქმზე ადგენდა. ხან მოწმეების სიას დახედავდა, ხან დაბეჭდილ წიგნაკს, რომელიც გაშლილი წინ ედვა.

მამა ევთიმე ერთ ხანს იჯდა, მაგრამ უსაქმობით მასაც ძილი მოერია და რომ არ დასძინებოდა, გარედ გავიდა და გლეხებს ჩაუჯდა. მოწმეებსაც, ნახევარზე მეტს, ეზოში ჩრდილ ქვეშ ტკბილად დასძინებოდათ...

ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, როცა მამა ამბაკო ოდნავ შეინძრა და ფეხები გაჭიმა. მერე პირი სარდიონისაკენ მიიბრუნა, თავქვეშ ბალიში გაისწორა და ულაზათოდ წარმოსთქვა:

— აბა, სარდიონ, თუ გამოიცნობ, რა დამესიზმრა?

— ოი, ხელი რომ მომჭრან, ვერ ვიგრძნობ, ისე დავიღალე, ეს-კი სიზმრებზე მელაპარაკება! — სთქვა სარდიონმა.

— გაათავე? — შეეკითხა გამომძიებელი.

— ვათავებ, ბევრი აღარ მიკლია, ძალიან კი დავიღალე, ერთი ოქმი მაინც დაგეწერა?

— შენ თუ გაათავე, ჩემი წერა რალათ უნდა?

— ეხლა კი არა, დაგეწერა-მეთქი. ძილში აზრებიც აგერია?

— ამერია კი არა, ღმერთს გეფიცები, რომ არ მიმეძინა, ცუდად იყო ჩემი საქმე. შენ გათენებისას ცოტა მაინც დაიძინე და მე ხომ თვალი არ დამიხუჭავს, ისე თეთრად გავათენე, მერე რა ჭირვეულ ხალხთან... ოჰ, დიდება შენდა ღმერთო! — დაამთქნარა გამომძიებელმა და პირჯვარი გადაისახა.

გამომძიებელი წამოდგა, — ხელ-პირი დაიბანა, თმა დაივარცხნა და მწერლის გვერდით სავარძელში გამოიჭიმა.

სარდიონმა ყველა ოქმი შეადგინა.

— აბა, მამაო, ხელი მოაწერეთ, მოწმეებსაც ხელი მოაწერინეთ, — უთხრა სარდიონმა.

— მოიცა, შე კაცო, მე კი მოვასწრობ, მე რა მეჩქარება! ჯერეთ დაპირებული რომ არ მომცენ, ისე ხელს მოვაწერ კი არა, სულ დავხევ! — ჩუმად ჩაელაპარაკა სარდიონს. — არც შენ გაწყენიებ, თუ ამბაკო ვარ, დაპირებაზე ერთ ხუთიანს დაგიმატებ. შენ ეს მითხარი, ხომ კარგად დასწერე, შეცდომა ხომ არ მოგსვლია?

— არ მომსვლია, მგონია. პირველად ხომ არა ვწერ!

— კარგი, კარგი, ჩემო სარდიონ. უკაცრაოდ კი ვარ, რომ ვერ მოგეხმარე, მაგრამ ერთი რომ ეგ ოხერი წერას რომ დავიწყებ, მაშინვე შეცდომა

მომივა და მეორე, რაც მთავარია, მეტის-მეტად დაღლილი ვიყავი... ეხლა დავუძახოთ მოწმეებს და საქმე მოვათაოთ.

ბასილ მძებრაძის ოდის დარბაზში, ტახტის წინ, გრძელი და ფართო მაგიდა იყო გაშლილი. სუფრის თავში, საპატიო ალაგას, მამა ამბაკო დასხდა. მას მამა ევთიმე მოუსვეს, შემდეგ სარდიონი და ამრიგად, ღირსებისა-დაგვარად, ყველანი მოთავსდნენ. ვინც იმ მხარეს არ დაეტია, მათთვის მეორე მხარეს გაშალეს სუფრა და ამნაირად ბასილის საკმაოდ მოზრდილი დარბაზი სტუმრებით გაიჭედა. სუფრაზე უკვე ეწყო ღვინით სავსე ბოთლები და სხვა მაგარი სასმელები, საინებზე წვრილად დაჭრილი თეთრი პური, შემწვარი კალმახი, სულუგუნი, მწვანილი და სხვა.

პირველად საინებით ღომი შემოიტანეს და ყველას წინ დაუდეს. მას მოაყოლეს ჩახოხბილი ქათამი. რაც უფრო საპატიო იყო სტუმარი, მით უფრო უკეთესი იყო კერძი.

— აბა, თქვენი ჭირიმე, ბატონებო, ნუ გააცივებთ, მიირთვით! — მიიპატიჟა ბასილმა სტუმრები.

— თქვენც მობრძანდით, ბატონო, თქვენც — შესთხოვეს მღვდლებმა. — ბატონო მარიკა, მობრძანდით!!

— თქვენი თავი ნუ მომიკვდება! თქვენ მიირთვით, ბატონებო! — ნაზად გამოსძახა მარიკამ მეორე ოთახიდან, სადაც რაღაცას ფუსფუსებდა.

გაიმართა ჭამა-სმა. ინდოურს შემწვარი ქათამი მოჰყვა, შემწვარ ქათამს შემწვარი გოჭი, გოჭს მშრალად მოხარშული ხბო. მღვდლებს გაუტეხავი ბეჭები მიართვეს.

თამადად მამა ამბაკო აირჩიეს. პირველად გაინაზა, მაგრამ ბევრი ხვეწნის შემდეგ დასთანხმდა.

— თქვენ ამოგაგდოთ ღმერთმა! — სთქვა მან, — გამოძიება მე, ტოლუმბაშობაც კიდევ მე! ჩემო ძმაო, — მიუბრუნდა იქვე მდგომ მოსამსახურე ბიჭს: — მახარია, მახარია, ერთი თოხი მომიძებნე და ჭყონონელებს სიმინდსაც გაუმარგლი, ესღა დამრჩენია რაღა!

მამა ამბაკომ სავსე ჭიქა ხელში აიღო და ღვინოს გახედა. შემდეგ თვალი სუფრას ზარმაცად შეავლო, თითქოს მძიმე ტვირთი ჰკიდია და არ იცის, საითკენ გადააგდოსო, მერე ერთბაშად გამოცოცხლდა და მარჯვედ დაიწყო:

— ბატონო ბასილ! ღმერთმან გაცოცხლოს, ღმერთმან გაგაბედნიეროს, გულის მოგონილი კეთილად შეგისრულოს! ახალი ზაკონით ჯერ მარიკა უნდა მედღეგრძელებია, მარა ბაბუსეულს გადავყევი, აქაც არა ბრძანდება...

— არა უშავს-რა, ბატონო! — შენიშნა ბასილმა.

— ერთი სიტყვით, ისე გამყოფოს, როგორც გინდოდეს, ცოლით, შვილით, ყოველი შენი კეთილით. რაც საქმეზე ჩვენ დღეს მოვედით, ღმერთმან როგორც გსურდეს, ისე დაასრულოს. აზნაურობა კი არა, ღრაფობაც გამოეგზავნოთ შენთვის მე რა დამეხარჯება! მრავალჟამიერ იყოს შენი სიცოცხლე. გიორგის გაუმარჯოს! — ხალისიანად გადასძახა ნამამასახლისარს და ამ უკანასკნელმა თავის დაკვრაც ვერ მოასწრო, რომ მამა ამბაკომ „ჟამიერ“ დასჭექა.

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა. ბასილ მძებრაძის ოდის დარბაზში ერთი სუფრა სულ აელაგებინათ. მეორე სუფრაზე არეულად ეყარა სხვადასხვა სანოვაგე და ჭურჭელი.

სუფრას შერჩენოდნენ მხოლოდ მღვდლები, სარდიონი, გიორგი და ერთიორი გლეხი. ბასილი შორი-ახლო იჯდა. ბართლომე დერეფანში დადიოდა. ირაკლი და პავლე არსად სჩანდნენ.

— ვო, გიორგი! — ულაზათოდ წამოიძახა მამა ამბაკომ. წინანდელი სიცქვიტე ალარ ეტყობოდა, თვალები გასდიდებოდა, ღვინისაგან შეხურებულ თავს ძლივს აკანტურებდა.

— შენი თავი ნუ მომიკვდება, მამაო! შენ გენაცვალე, ერთ წამს დამიჯერე...

ამბაკოს რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გიორგი სავსე ყანწით ხელში წამოდგა.

— მამაო, იცოცხლეთ, იბედნიერეთ!

— მომითმინე, კაცო!

— არა, მამაო, ეხლა ჩემია ტოლუმბაშობა. იცოცხლეთ სურვილისამებრ თქვენისა, თქვენი დეკანოზობა ღმერთმან გვაჩვენოს... დიდად მადლობელი ვართ, დღემანდელი უზომო პატივისცემისათვის. ეს თქვენი სადღეგრძელო იყოს!

გიორგიმ ცბიერად ამბაკოსაკენ მიიხედა და ყანწი მიიყუდა. სხვებმა ჭიქებით დალოცეს.

— შენი ჭირიმე, შენ როგორც გენებოს, — თითქოს ბალღს არწევსო, მოუფერა გამომძიებელს გიორგიმ.—როგორც გენებოს, ბატონო, თუ გნებავთ, პატარა ჭიქით დალიეთ.

ეს სიტყვები რომ არ ეთქვა, შეიძლება მამა ამბაკოს მართლაც პატარა ჭიქით დაელია სამადლობელი. მაგრამ გიორგი პრისტავების გაწვრთნილი კაცი იყო და იცოდა, რასაც ამბობდა.

— ვითომ იმდენად სისუსტე შემატყვე, რომ მიბრალებ? — ცოტა არ იყოს, გულნატკენად მიუგო ამბაკომ.

— შებრალებაზე ჯვარი დაგწერე, ბატონო! — ყალბი კილოთი წარმოსთქვა გიორგიმ.

— მაშ რას იღმინჭები, ყაზახო? — მკვახედ დაიძახა გამომძიებელმა.

— ბატონი ბრძანდებით! — დინჯად მიუგო გიორგიმ. — სხვა ვინმე რომ იყოს ან სხვაგან, გიორგი არ მოკვდეს, ეს არ გააბედინოს... ყაზახი ვარ, ეს ცხადია, არაფერ დასამალავად არ მიმაჩნია... და რამე წყალობა თქვენგანაც არ მიმიღია, — დაუმატა მან.

მამა ამბაკო გუდასავით გაიბერა: გიორგის გულგრილობამ მოთმინებიდან გამოიყვანა.

— მერე, მერე, ამდენს რას ლაპარაკობ? — უშნოდ უთხრა ამბაკომ. — ხომ დალიე, გამომიგზავნე და ის არის!

გიორგიც სწორედ ამას ელოდა და ყანწი გადაუწოდა.

ამბაკომ ყანწი გაავსო და ხელში დაიჭირა. სიბრაზისა და სიმთვრალისაგან ხელი უკანკალებდა. მაინც მარჯვედ იწაფა ყანწი. ღვინო წურწურით ჩამოსდიოდა წვერებზე და სუფრაზე, ზოგიც იატაკზე იღვრებოდა. მაინც, როგორც იყო, დასცალა.

— გიორგის გაუმარჯოს! — რიხიანად დაიძახა მამა ამბაკომ და ყანწი გადაუგდო.

— ეხლა, თუ კაცი ხარ, საყოვლადწმინდაო და გაათავე! — მილეული ხმით მიმართა სარდიონმა, რომელსაც მეტის-მეტად ერეოდა ძილი. — ეგ ყანწი დამალე, ეგ ოხერი!

გიორგის ცარიელი ყანწი ხელში ეჭირა, უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს მამა ამბაკო წამოდგა, მაგიდაზე ხელების დაბჯენით სუფრიდან გამოვიდა, ერთი ნაბიჯი წარსდგა წინ და ათრთოლებული ხელი პირზე მიიფარა. საუბედუროდ, გვიან იყო: საჭმელში შერეული ღვინო შადრევანივით

სჩქეფდა მისი პირიდან, პირზე მიფარებულ თითებს შუა გამოდიოდა და ზოგი ტანისამოსზე, ზოგიც იატაკზედ იღვრებოდა.

ბასილი საჩქაროდ მიიჭრა და ფრთხილად გარედ გაიყვანა.

მამა ევთიმე დაფაცურდა. მიშველება მოიწადინა, მაგრამ თვითონაც ემაგარი ვერ აღმოჩნდა, ხან აქეთ წაბარბაცდა, ხან იქით და ბასილის მოჯამაგირის შემწეობით წინა კარების მაგივრად უკანა კარებიდან გავიდა.

ყველანი აიშალნენ. მწერალიც ბარბაცებდა, მაგრამ გარედ გასვლა მაინც მოახერხა. საჭიროც რომ ყოფილიყო, ფხიზელი მშველელი არავინ იყო.

გიორგიც გამოვიდა სუფრიდან. რა თქმა უნდა, სწორად არც ის მიდიოდა, მაინც სახლის უკანა აივნის ჩასავალი კიბე უხიფათოდ ჩაიარა. ამით წათამამებულმა ფეხი მაგრა წარდგა წინ, მაგრამ მუხლმა უმტყუნა და მძიმედ მიწაზე გაიშხლართა.

— არიქა, ბართლომე, ჩქარა სანთელი მოიტანე, ვილაცა მინდორზე დაეცა — მოისმა მარიკას ხმა.

(პირველი ნაწილის დასასრული).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბენჟამენ კონსტან

ა დ ო ლ ფ ი*)

ელენორა თითონ იყო ფიცხი. მე ვიცოდი, რომ ჩემ მიმართ იგი განიცდიდა იმას, რაც არავის მიმართ არ განუცდია. მის წინანდელ კავშირში მისი გული შეურაცხყოფილი იყო იმით, რომ იგი იძულებით იყო დამოკიდებული სხვაზე, ჩემთან კი — სავსებით თავისუფლად გრძნობდა თავს, რადგან ჩვენ ეროვნაირ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით. იგი სიყვარულის მეშვეობით ამაღლდა საკუთარ თვალში. მას არავითარი ანგარიში და ინტერესი არ გააჩნდა. მან იცოდა, რომ მე დარწმუნებული ვიყავი მის სიყვარულში. მხოლოდ ჩემთან სრული თავისუფლების შედეგი იყო ის, რომ იგი არასოდეს არ მიმალავდა თავის განცდებს. როცა მის ოთახში ვბრუნდებოდი გაღიზიანებული იმით, რომ შეველი მასთან უფრო ადრე, ვიდრე მინდოდა, მას ნაღვლიანს და აღელვებულს ვპოულობდი. მე ორ საათს ვიტანჯებოდი მისგან დაშორებული, ვიტანჯებოდი იმ აზრის გამო, რომ იგი უჩემოდ იტანჯებოდა. ვიტანჯებოდი ორ საათს მის გვერდითაც, სანამ შევსძლებდი მის დამშვიდებას.

მიუხედავად ამისა, უბედური არ ვიყავი... ჩემს თავს ვეუბნებოდი ტკბილია, როცა ვისმე უყვარხარ, თვით ასეთი მოთხოვნილებითაც მეთქი. ვგრძნობდი, რომ მისთვის სიკეთეს ჩავდიოდი, მისი ბედნიერება ჩემთვისაც აუცილებელი იყო. ისიც ვიცოდი, რომ მეც აუცილებელი ვიყავ მისი ბედნიერებისათვის. ამასთანავე ის ბუნდოვანი შეგნება, რომ საგნების ბუნებრივი მსვლელობით ეს კავშირი არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო, ეს მრავალმხრივ სევდიანი აზრი დაღლილობისა და მოუთმენლობის შეტევის დროს მაინც მამშვიდებდა. ელენორას დამოკიდებულება პ***-სთან, ჩვენი წლოვანების განსხვავება, ჩვენი მდგომარეობის სხვადასხვაობა, ჩემი წასვლის მოახლოვება, რასაც მე სხვადასხვა პირობის გამო ვაყოვნებდი, — ყოველივე ეს მაიძულებდა, რაც შეიძლება მეტი ბედნიერება მიმეცა და მიმეღო. დარწმუნებული ვიყავ წლებში, ამიტომ არ ვდაობდი დღეებზე.

გრაფი დე პ***-ი დაბრუნდა. მან ჩქარა ეჭვი აიღო ჩემს ურთიერთობაზე ელენორასთან; რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ცივად და უკმეხად მღებულობდა. მე ცოცხლად ვუხატავდი ელენორას იმ საფრთხეს, რომელიც მოელოდა მას, ვემუდარებოდი ნება მოეცა რამდენიმე დღით შემეწყვიტა სიარული მასთან, ვუმტკიცებდი რომ საჭიროა მისთვის რეპუტაციის, მდგომარეობის, ბავშვების შენარჩუნება. იგი დიდხანს ყურადღებით მისმენდა, გაფითრებული იყო, ვითარცა სიკვდილი.

— ასე თუ ისე, — მიპასუხა, მან ბოლოს, — თქვენ მალე გაემგზავრებით. წინ ნუ გავუსწრებთ ამ წუთებს, ჩემზე ნუ სწუხართ, ვისარგებლოთ დღეებით, საათებით. დღეები და საათები, — აი ყოველივე ის, რაც მე მჭირდება. არ ვიცი და რაღაც წინათგრძნობა მეუბნება, ადოლფ, რომ მე თქვენს ჭკლავებზე ამომხდება სული.

---

*) დასასრული. იხ. „მნათობი" № 11.

ჩვენ ძველებურად განვაგრძობდით ცხოვრებას: მე მუდამ შეწუხებული, ელენორა — მუდამ ნაღვლიანი, გრაფი დე პ***-ი მდუმარე და შეფიქრიანებული. და ბოლოს, წერილი, რომელსაც მოველოდი, მოვიდა. მამაჩემმა მიბრძანა — წავსულიყავ მასთან. ეს წერილი ელენორასთან მივიტანე.

— უკვე! — წარმოსთქვა მან წაკითხვის შემდეგ, — არ ვფიქრობდი თუ ასე ადრე მოხდებოდა. ცრემლები წასკდა. წამავლო მკლავში ხელი და მითხრა: — ადოლფ! ხომ ხედავთ მე უთქვენოთ ცხოვრება არ შემიძლია, არ ვიცი, რა დამატყდება თავზე მომავალში; გაფიცებთ, ჯერ ნუ წახვალთ. გამონახეთ რაიმე საბაბი დარჩენისათვის. სთხოვეთ მამათქვენს, ნება დაგრთოთ — გააგრძელოთ თქვენი აქ ყოფნა კიდევ ექვსი თვით. ექვსი თვე ხომ არც ისე ბევრია?..

მინდოდა დამეძლია მისი გადაწყვეტილება. მაგრამ ისე მწარედ ატირდა და ისე კანკალებდა, სახის ნაკვთებზე ისეთი გულშემზარავი ტანჯვა გამოეხატა, რომ მე ველარ განვაგრძე ლაპარაკი. ჩავუვარდი ფეხებში, ჩავიკარი გულში, ვარწმუნებდი მიყვარხარ მეთქი, და წავედი, რათა მიმეწერა მამაჩემისათვის. მართლაც, მივწერე იმ ტკივილის გრძნობით, რომელიც ელენორამ შთამაგონა. მომყავდა დაგვიანების ათასი მიზეზი. აღვნიშნავდი იმის საჭიროებას, რომ დ-ში მომესმინა რამდენიმე კურსი, რის მოსმენაც გოეტინგენში ვერ შევსძელი. როცა წერილი გავგზავნე, დიდად მინდოდა თანხმობა მიმელო.

საღამოთი ელენორასთან დავბრუნდი. იგი სოფაზე იჯდა. გრაფი დე პ***-ი ბუხართან იდგა, საკმაოდ მოშორებით. ორი ბავშვი ოთახის სიღრმეში იყო. ისინი არ თამაშობდნენ; სახეზე ბავშვური გაკვირვება ეხატათ, — ასეთ გაკვირვებას ბავშვები გამოხატავენ მაშინ, როცა დიდებს აღელვებას ამჩნევენ, მაგრამ მიზეზებს ვერ მიმხვდარან. ვანიშნე ელენორას, რომ შევასრულე ის რაც მას სურდა. სიხარულის სხივმა გაიელვა მის თვალებში, მაგრამ უმალვე გაჰქრა. ერომანეთისათვის არაფერი გვითქვამს. სიჩუმე სამთათვის უკვე ძნელი ასატანი ხდებოდა.

— დამარწმუნეს, ბატონო ჩემო, — მომმართა ბოლოს გრაფმა, — თქვენ თურმე მზადა ხართ გასამგზავრებლად. მე ვუპასუხე მაგის შესახებ არაფერი ვიცი მეთქი.

— მე მგონია, — მომიგო მან, — თქვენ წლოვანებაში არ უნდა დააყოვნოთ კარიერის შერჩევა, — თუმცა დაუმატა მან და ელენორას გადახედა, — შეიძლება აქ ყველა ამ აზრისა არ იყოს.

მამიჩემის პასუხმა არ მალოდინა. ვკანკალებდი, როცა წერილს ვხსნიდი. ვფიქრობდი ელენორას მწუხარებაზე, რასაც უარი გამოიწვევდა. მეგონა, მეც უნდა გამენაწილებინა თანაბარი სიმწარით ეს მწუხარება, მაგრამ, წავიკითხე რა თანხმობა, უცებ გონებაში წარმომიდგა ჩემი აქ დარჩენის სრული უხერხულობა. კიდევ ექვს თვეს შევიწროებული და იძულებული მდგომარეობა! — წამოვიყვირე მე, — ექვსი თვის განმავლობაში მე უნდა შევურაცხვყო ადამიანი, რომელმაც ჩემს მიმართ მეგობრობა გამოიჩინა, საფრთხეში ჩავაგდო ქალი, რომელსაც ვუყვარვარ. მე ხომ ალალ ბედზე ვმოქმედობ, ხომ შემიძლია წავართვა მას ერთად-ერთი მდგომარეობა, რომელშიაც შეუძლია მშვიდობიანი და სხვებისაგან პატივცემული ცხოვრება განაგრძოს. ვატყუებ მამაჩემს, მერე და რისთვის? იმისთვის რომ რამდენიმე წუთით თავიდან ავიცილო ტანჯვა, რომელიც ადრე თუ გვიან სულ ერთია აუცილებელია. განა ჩვენ არ განვიცდით ყოველდღე ამ ტანჯვას ცოტ-ცოტათი, წვეთ-წვეთობით? მე მხოლოდ ვტანჯავ ელენორას. ჩემს გრძნობას, როგორიც ის არის არ შეუძლია მისი და-

კმაყოფილება. მე უნაყოფოდ ვსწირავ მას თავს, ვწირავ იმისათვის, რომ ბედნიერება მოვუტანო. მეც თითონ აქ უსარგებლოდ ვცხოვრობ, დამოუკიდებლობას მოკლებული, არა მაქვს არც ერთი თავისუფალი წუთი, არ შემიძლია ერთი საათითაც კი მშვიდად ვისუნთქო. ასეთ აზრებში ჩართქმული მივედი ელენორასთან. ელენორა მარტო დამხვდა.

— ვრჩები კიდევ ექვს თვეს, — ვუთხარი მას.

— ძალიან მშრალად მატყობინებთ ამ ახალ ამბავს.

— ეს იმიტომ, რომ უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მაშინებს აქ დარჩენის შედეგი, როგორც ერთისთვის, ისე მეორისათვის.

— ყოველ შემთხვევაში თქვენთვის იგი არ უნდა იყოს განსაკუთრებით არა სასიამოვნო.

— თქვენ კარგად იცით, ელენორა, რომ ყველაზე მეტად მე ჩემს თავზე არა ვფიქრობ.

— მაგრამ არც სხვების ბედნიერებაზე ფიქრობთ...

საუბარმა მეტად მძაფრი ხასიათი მიიღო. ელენორა ჩემი ეჭვებით შეურაცხყოფილი იყო: იგი ჰფიქრობდა, რომ მეც გავინაწილებდი მის სიხარულს, მე კი შეურაცხყოფილი ვიყავი იმ გამარჯვებით, რომლითაც მან ჩემი წინანდელი გადაწყვეტილება დასძლია. ელენორა ბრალს მდებდა, რომ მოვატყუე, რომ მხოლოდ წუთიერად ვიყავი გატაცებული, ჩამოვაშორე იგი გრაფს და ხალხის თვალში ჩავაყენე იმავე საეჭვო მდგომარეობაში, რომლიდან თავის დაღწევასაც ის მთელ თავის სიცოცხლეში ლამობდა. გულისწყრომამ შემიპყრო, როცა დავინახე, რომ მან ჩემს წინააღმდეგ მომართა ყოველივე ის, რაც მე მისი გულისათვის ჩავიდინე. შიშის კარნახით, რომ მისთვის არ მეწყენინებინა ვჩიოდი ჩემს იძულებით ცხოვრებაზე, ჩემს ახალგაზრდობაზე, რომელიც უმოქმედოდ მიმდინარეობდა, იმ დესპოტიზმზე, რომელიც მან ჩემს მიმართ გამოიჩინა. ამ სიტყვების წარმოთქმის დროს უცბად თვალი მოვკარი ცრემლებით დაფარულ სახეს. შევჩერდი, უკან დავიხიე, უარი განვაცხადე ჩემს მიერ ნათქვამ სიტყვებზე, ვაძლევდი ახსნა-განმარტებებს; ჩვენ გადავეხვიეთ ერთმანეთს, მაგრამ პირველი იერიში მიტანილ იქნა და ორივემ უკვე გადავლახეთ პირველი ზღუდე. ორივემ გაუსწორებელი სიტყვები წარმოვსთქვით. ჩვენ შეგვეძლო გაჩუმება, — დავიწყება, კი არასოდეს! არის საგნები, რომლებზედაც დიდხანს არაფერს არ ამბობ, მაგრამ თუ ერთხელ სთქვი, მის განმეორებას თავს არასოდეს არ დაანებებ.

ჩვენ კიდევ ოთხი თვე ვცხოვრობდით ამნაირად დაძაბულ ურთიერთობაში, ზოგჯერ ტკბილადაც, სრულ თავისუფლებაში კი არასოდეს. ჯერ კიდევ ვპოულობდით სიამოვნებას, მაგრამ მომხიბვლელობას კი აღარ. მიუხედავად ამისა, ელენორას ჩემგან პირი არ უბრუნებია. ჩვენს შორის მომხდარ მძაფრ უთანხმოებათა შემდეგაც კი ცდილობდა ის ჩემთან შეხვედრას და ისეთივე მზრუნველობით ნიშნავდა ჩვენი შეხვედრის საათებს, თითქოს ჩვენი კავშირი მშვიდობიანი და ნაზი ყოფილიყოს. ხშირად ვფიქრობდი, რომ თვით ჩემი ყოფაქცევა უწყობდა ხელს ელენორას ასეთი განწყობილების შექმნას. მეც რომ მყვარებოდა იგი იმნაირად, როგორც მე ვუყვარდი მას, ის უფრო მშვიდად იქნებოდა და თავის მხრივ ისიც იფიქრებდა იმ საშიშროებაზე, რომელსაც უგულებელჰყოფდა. მაგრამ ის უარყოფდა ყოველგვარ სიფრთხილეს, რადგან ეს სიფრთხილე ჩემგან მომდინარეობდა; ელენორა არაფრად არ აგდებდა თავის მიერ გაღებულ მსხვერპლს, რადგან მის საზრუნავს წარმოადგენდა, რომ მე ვაიძულებინე მიმეღო ეს მსხვერპლი. მას დრო არ ჰქონდა იმისათვის, რომ შე-

ენელებინა თავისი სიყვარული ჩემდამი, რადგან, მთელ თავის დროს და ძალ-ღონეს ანდომებდა იმას, რათა მე არ გავშორებოდი.

ჩემი წასვლის დრო კვლავ მოახლოვდა. მე განვიცდიდი სინანულისა და კმაყოფილების გრძნობას, ერთად არეულს მსგავსად იმისა, რასაც განიცდის ადამიანი, რომელმაც მტკივნეული ოპერაციის შემდეგ უეჭველი განკურნება უნდა ჰპოვოს.

ერთხელ დილით ელენორამ მომწერა, დაუყოვნებლივ მოვსულიყავი მასთან.

— გრაფი მიკრძალავს თქვენს მიღებას, — მომმართა მან, — არ მინდა დავემორჩილო ამ ბარბაროსულ ბრძანებას. მე გავყევი მას მაშინ, როცა იგი განდევნილი იყო. მე გადავარჩინე მისი ქონება, ხელს უწყობდი ყველა მის ინტერესებს. ეხლა მას შეუძლია უჩემოდ ყოფნა. მე კი უთქვენობას ვერ ავიტან.

ადვილი გამოსაცნობია, როგორი იყო ჩემი დაჟინება, რათა მას შეეცვალა განზრახვა, რომელიც მე არ მესმოდა. სიტყვა ჩამოვაგდე საზოგადოების შეხედულებაზე.

— ეს შეხედულება, — მიპასუხა მან, — არასოდეს არ ყოფილა მართებული ჩემს მიმართ. ათი წლის განმავლობაში მე ვასრულებდი ჩემს მოვალეობას უკეთ, ვიდრე სხვა რომელიმე ქალი შეასრულებდა ამას. მიუხედავად ამისა, ეს შეხედულება ნებას არ მაძლევდა დამეჭირა ის მდგომარეობა, რომელიც მე დავიმსახურე.

გავახსენე ბავშვები.

— ჩემი ბავშვები დე პ***-ს ბავშვები არიან. მან აღიარა ისინი, იგი იზრუნებს მათთვის. ისინი ბედნიერი იქნებიან, დაივიწყონ დედა, რომელთანაც მხოლოდ სირცხვილს გაინაწილებდნენ.

მე გავაორკეცე ჩემი მუდარა.

— მომისმინეთ, — მითხრა მან, — თუ მე გავწყვეტ კავშირს გრაფთან, იტყვით თუ არა თქვენ უარს ჩემს ნახვაზე, იტყვით თუ არა უარს? გაიმეორა მან და ისეთი ძალით წამავლო ხელი მკლავში, რომ კანკალი დავიწყე.

— არა, რასაკვირველია, — ვუპასუხე მე, — რაც უფრო უბედური იქნებით, მით უფრო ერთგული ვიქნები თქვენი. მაგრამ განსაჯეთ ყოველივე...

— ყოველივე განსჯილია, — შემაწყვეტინა მან, — გრაფი ამ საათში დაბრუნდება, წადით და ნურასოდეს ნულარ მოხვალთ აქ.

დღის დარჩენილი ნაწილი აუწერელ შეშფოთებაში გავატარე. ორმა დღემ გაიარა. ელენორას შესახებ ვერაფერი ვერ გავიგე. ვიტანჯებოდი, რომ მისი ბედის შესახებ არაფერი ვიცოდი. ვწუხდი იმასაც, რომ ვერ ვნახე იგი, მაკვირვებდა სევდა, რომელმაც ამის გამო შემიპყრო. მიუხედავად ამისა, მინდოდა, მას შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება, რომლისაც ასე მეშინოდა. მხიარულმა დავიწყე თავის დაიმედება, მაგრამ ამ დროს ერთმა ქალმა გადმომცა ბარათი, რომელშიაც ელენორა მთხოვდა მივსულიყავი მასთან ამა და ამ ქუჩაზე, ამა და ამ სახლში, მესამე სართულზე. გავიქეცი, დაიმედებული იმით, რომ მან ვერ მოახერხა ბატონ პ***-სთან ჩემი მიღება და მოისურვა ჩემთან უკანასკნელი შეხვედრა. როდესაც შევედი, დავინახე, რომ დიდი ხნისთვის ეწყობოდა. მომიახლოვდა, ერთსა და იმავე დროს კმაყოფილი და შემკრთალი სახით, — სურდა ჩემს თვალებში ჩემი შთაბეჭდილების ამოკითხვა. ყოველივე გათავდა, — მითხრა მან, — მე სრულიად თავისუფალი ვარ. მაქვს საკუთარი ქონება — სამოცდახუთმეტი ლუიდორის რენტა. ეს საკმარისია ჩემთვის; თქვენ დარჩებით აქ კიდევ ექვს კვირას. როცა გაემგზავრებით, შეიძლება მეც მოვახერხო თქვენთან მოსვლა, ან შეიძლება თქვენ ჩამოხვიდეთ ჩემს სანახავად?

და თითქოს პასუხის შეეშინდაო, შეუდგა იმ წვრილმანების ჩამოთვლას, რაც მის გეგმასთან იყო დაკავშირებული. ათასნაირად ცდილობდა ჩემს დარწმუნებას, რომ იგი ბედნიერი იქნება, რომ მას ჩემი გულისათვის არავითარი მსხვერპლი არ გაუღია, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მან ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად მიიღო, მას მართებულად მიაჩნია. სჩანდა იგი ძალას ატანდა თავს და მხოლოდ სანახევროდ სჯეროდა თავისი სიტყვები. იგი დაითრო თავისი სიტყვებით. განაგრძობდა ლაპარაკს, რათა დაეშორებინა ის წუთი, როცა ჩემი პასუხი კვლავ სასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა, მე ვერ ვპოვე ჩემს გულში ვერაფერი საწინააღმდეგო. მივიღე მისი მსხვერპლი, მადლობა გადავუხადე. ვუთხარი, რომ ბედნიერი ვარ და კიდევ მეტიც: დავარწმუნე, რომ ყოველთვის მინდოდა რაიმე გამოუსწორებელ გადაწყვეტილებას ისე მოეწყო საქმე, რომ მე არასოდეს არ გავშორებოდი მას. ჩემი ყოყმანი მივაწერე იმ გრძნობას, რომელიც ნებას არ მაძლევდა დავთანხმებულიყავ იმას, რაც მთელ მის ცხოვრებას გადაატრიალებდა. ერთი სიტყვით, მე სხვა სურვილი არ გამაჩნდა, გარდა იმისა, **რომ მომეშორებინა მისთვის ყოველნაირი წუხილი**, შიში, სინანული და ეჭვი ჩემი გრძნობების მიმართ. სანამ ველაპარაკებოდი, ამ მიზანს იქით არაფერს ვხედავდი და გულწრფელი ვიყავ ჩემს დაპირებებში.

თავი მეხუთე

ელენორას და გრაფ დე პ***-ს განშორებამ საზოგადოებაზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რის გათვალისწინებაც ძნელი არ იყო. ელენორამ ერთ წუთში დაჰკარგა ის, რაც ათი წლის ერთგულებით და სიმტკიცით შეიძინა. იგი მიაკუთვნეს მისივე წრის იმ ქალებს რომელნიც ერთმეორეზე მიდევნებით განურჩევლად ნებდებიან ათასგვარ გატაცებას. იმ გარემოებამ, რომ ელენორამ ბავშვები მიატოვა, პატივაყრილი დედის სახელი მოუპოვა მას. უძრახველი რეპუტაციის ქალები კმაყოფილებით იმეორებდნენ, რომ მათი სქესის ყველაზე მნიშვნელოვანი სათნოების დავიწყებას, მალე სხვათა დავიწყებაც მოჰყვებაო. ამავე დროს იგი ებრალებოდათ იმიტომ, რომ არ მოეკლოთ თავიანთ თავისთვის ჩემი გაკიცხვის სიამოვნება. მე მათ მივაჩნდი შემაცდენელ უმადურ კაცად, რომელმაც შელახა სტუმართმოყვარეობა და წუთიერი ჟინის დასაკმაყოფილებლად იმსხვერპლა ორი ადამიანის სიმშვიდე, რომელთაგან ერთისათვის პატივი უნდა მეცა, მეორე კი დამეცვა. მამიჩემის რამდენიმე მეგობარმა სერიოზული გაკიცხვა გამომიცხადა, სხვებმა, ვინც ისე ახლო არ იყო ჩემთან, თავიანთი გმობა ნართაულად მაგრძნობინეს. ახალგაზრდები, პირიქით, აღტაცებულნი იყვნენ, რომ მე ასე ოსტატურად მოვახერხე გრაფის ადგილის დაჭერა. ისინი ათასნაირი ოხუნჯობით, რომლის შეჩერებასაც ამაოდ ვცდილობდი, მილოცავდნენ გამარჯვებას და მპირდებოდნენ რომ წამბაძავდნენ. არ შემიძლია აღვწერო ის ტანჯვა, რასაც ამ მკაცრი შეფასებისა და სამარცხვინო შექებისაგან განვიცდიდი. ელენორა, რომ მყვარებოდა, დარწმუნებული ვარ, საზოგადოებრივ აზრს ჩვენდა სასარგებლოდ გადმოვიბირებდი. ასეთია ჭეშმარიტი გრძნობის ძალა. როცა იგი ალაპარაკდება, ყალბი განმარტება და ხელოვნური ზრდილობა ჩაჩუმდება. მაგრამ მე მხოლოდ სუსტი ადამიანი ვიყავი, მადლიერი და დამოკიდებული, რომელსაც არავითარი გულიდან ამოსული იმპულსი არ მაქეზებდა, ამიტომ იძულებით გამოვთქვამდი, ვცდილობდი ლაპარაკი შემეჩერებინა და თუ გრძელდებოდა, რამოდენიმე სიტყვის შემდეგ ვწყვეტდი მას და ვაგებინებდი სხვებს, რომ მზად ვიყავი საჩხუბრად. მართლაც, ბევრად უმჯობესი იყო ჩხუბი ამეტეხა, ვიდრე პასუხი გამეცა მათთვის.

ელენორამ ძალიან ჩქარა შენიშნა, რომ საზოგადოებრივი აზრი მის წინააღმდეგ აღსდგა. ბატონი დე პ***-ს ორმა ნათესავმა ქალმა, რომელნიც გრაფის ზეგავლენით წინათ იძულებულნი იყვნენ ელენორასთან კავშირი გაებათ, ახლა რაც შეიძლება მეტად გაახმაურეს თავიანთი განხეთქილება ელენორასთან. ისინი ბედნიერნი იყვნენ გამოეჩინათ თავიანთი გაბოროტება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მორალის მკაცრი პრინციპებით იყო შებოჭილი. მამაკაცები კვლავ განაგრძობდნენ ელენორასთან სიარულს, მაგრამ მათ კილოს რაღაც მოურიდებლობა დაეტყო, რაც ლაპარაკობდა იმაზე, რომ მას არც ძლიერი დამცველი ჰყავდა, და არც თავის გამართლება შეეძლო, თითქმის საყოველთაოდ აღიარებული კავშირით. ერთნი მოდიოდნენ მასთან იმიტომ, რომ, როგორც თითონ ამბობდნენ კარგა ხანია იცნობდნენ მას, სხვები იმიტომ, რომ იგი ჯერ კიდევ ლამაზი იყო, და მის მიერ გამომჟღავნებული თავქარიანობა, მათ მისი ხელში ჩაგდების იმედს აძლევდა, რის დამალვასაც ისინი არც კი ფიქრობდნენ. ყოველი მათგანი ასაბუთებდა თავის ურთიერთობას ელენორასთან, რადგან თვითეული მათგანი ფიქრობდა, რომ საჭირო იყო ამ ურთიერთობის განმარტება. ამნაირად, უბედურმა ელენორამ დაინახა, რომ ის ისევ იმ მდგომარეობაში ჩავარდა, საიდან გამოსვლასაც იგი ლამობდა. ყველაფერი ხელს უწყობდა მის გაქელვას და მისი სიამაყის შელახვას. ერთთა დავიწყებას იგი უყურებდა, როგორც მისდამი სიძულვილის საბუთს, სხვათა ხშირ სტუმრობას როგორც შეურაცხმყოფელი იმედის ნიშანს. იგი იტანჯებოდა განმარტოებაში, წითლდებოდა საზოგადოებაში. ოჰ, ეჭვს გარეშეა, მე უნდა დამემშვიდებინა იგი, უნდა გულზე მიმეკრა და მეთქვა: „ვიცხოვროთ ერთურთისათვის, დავივიწყოთ ისინი, ვინც ხელი აიღო ჩვენზე. ვიყვეთ ბედნიერნი მარტო ერთმანეთის პატივისცემით, ერთმანეთის სიყვარულით“. მე ესეც ვცადე, მაგრამ განა იძულებით გადაწყვეტილებას შეუძლიან გააღვივოს გრძნობა, რომელიც ჰქრება.

ელენორა და მე ერთმანეთს უმალავდით ჩვენს აზრებს. იგი ვერ ბედავდა გაენდო ჩემთვის თავისი მწუხარება, რომელიც იმ მსხვერპლის შედეგი იყო, რის გაღებაც მე არ მითხოვია. ეს მსხვერპლი მე მივიღე. მე ვერ ვბედავდი ჩივილს იმ უბედურების შესახებ, რომელსაც წინასწარ ვჭვრეტდი და რომლის თავიდან აცილებაც არ შემეძლო. ჩვენ ვსდუმდით იმ ერთად-ერთი აზრის შესახებ, რომლითაც განუწყვეტლივ დაკავებული ვიყავით, ჩვენ უხვად ვთავაზობდით ერთმანეთს ალერსს, ვლაპარაკობდით სიყვარულზე, მაგრამ ვლაპარაკობდით სიყვარულზე იმ შიშით, რომ სხვა რამეზე არ დაგვეწყო საუბარი.

როგორც კი ორ მოსიყვარულე გულს შორის რაიმე საიდუმლოება წარმოიშვება, როგორც კი ერთი მხარე გადასწყვეტს დაუმალოს მეორეს ერთი აზრი მაინც, მაშინ მომხიბველობა დამსხვრეულია, ბედნიერება განადგურებულია. სიფიცხე, უსამართლობა და უგულისყურობა გამოსწორდება, მაგრამ გულჩახვეულობას სიყვარულში შეაქვს უცხო ელემენტი, რომელიც ამახინჯებს და აჭკნობს მას საკუთარ თვალში. რაღაც უცნაური არათანმიმდევრობის მეოხებით, მე აღშფოთებული უკუვაგდებდი ყოველ გადაკრულ სიტყვას ელენორას წინააღმდეგ, მაგრამ თითონ ხელს ვუწყობდი ჩემს საერთო საუბარში მის გაკიცხვას. მე დავემორჩილე მის სურვილს, მაგრამ საშინლად შემძაგდა ქალის ბატონობა. განუწყვეტლივ ვკიცხავდი მათს სისუსტეს, მათს მოთხოვნებს, მათი ტანჯვის დესპოტიზმს. ვაღიარებდი ყველაზე მკაცრ პრინციპებს. და ეს ადამიანი, რომელიც ერთ ცრემლსაც ვერ უძლებდა, რომელიც მდუმარე სევდას უთმობდა ყოველივეს, და რომელსაც განშორებისას თან სდევდა მის მიერ მიყენებული ტანჯვის სახე, რომლის მიზეზიც თითონ ის იყო, სიტყვებში მძულ-

ვარებასა და შეუბრალებლობას გამოხატავდა. ჩემგან ელენორას შექება მაინც ვერ სპობდა მსგავსი სიტყვებით გამოწვეულ შთაბეჭდილებას. საზოგადოებას მე ვეზიზღებოდი, იგი ებრალებოდათ. მაგრამ პატივს არ სცემდნენ, ამტყუნებდნენ, რომ მან თავის საყვარელს ვერ შთააგონა მეტი პატივი თავის ქმრისა მიმართ და მეტი რიდი გულთა კავშირის წინაშე.

კაცმა, რომელიც ელენორასთან დადიოდა გრაფთან დაშორების შემდეგ, მის მიმართ დიდი ვნება გამოამჟღავნა და დაურიდებლობით აიძულა ელენორა აღარ მიეღო იგი. ამ კაცმა თავის თავს ნება მისცა შეურაცხმყოფელი მასხრობა დაეწყო ელენორას მისამართით, რის ატანაც მე შეუძლებლად მეჩვენა. დუელი გავმართეთ. სახიფათოდ დავჭერი, დაჭრილი აღმოვჩნდი მეც. ვერ აღვწერ მღელვარების, შიშის, მადლიერების და სიყვარულის იმ გრძნობას, რომელიც ელენორას სახეზე აღიბეჭდა, როცა მან ამ ამბის შემდეგ დამინახა. მიუხედავად ჩემი თხოვნისა, იგი მაინც დასახლდა ჩემთან, არ მტოვებდა მარტოდ, სანამ სულ არ გამოვჯანსაღდი. მთელი დღის განმავლობაში მიკითხავდა, ღამის უმეტეს ნაწილს ფხიზლობდა ჩემს გვერდით. იგი თვალყურს ადევნებდა ყოველ ჩემს მოძრაობას, ცდილობდა ყოველი ჩემი სურვილის წინასწარ შესრულებას. მისი საზრიანი გულკეთილობა ადიდებდა მის ნიჭს და აორკეცებდა მის ძალას. გამუდმებით მარწმუნებდა, რომ ჩემს დაღუპვას ვერ გადაიტანდა. ყოველივე ამან გული ამიჩუყა, სინიდისი მქენჯნიდა, მინდოდა მეპოვნა ისეთი რამ ჩემში, რითაც მადლობას გადვუხდიდი ესოდენ ნაზი და მტკიცე სიყვარულისათვის. დასახმარებლად მოუწოდებდი მოგონებებს, წარმოდგენებს, თვით გონებასა და მოვალეობის გრძნობასაც-კი. ამაო იყო ყოველგვარი ცდა. მეტად სამძიმოა, როცა დარწმუნებული ხარ, რომ მომავალმა უნდა დაგაშოროს; არ ვიცი და რაღაც გაურკვეველი დაბრკოლება აღიმართა ამ კავშირის წინააღმდეგ, რომლის დამსხვრევაც მე არ შემეძლო, ყოველივე ეს შინაგანად მღრღნიდა. ვუსაყვედურებდი თავის თავს ჩემს უმადურებას და ვცდილობდი დამემალა ეს ელენორასათვის. მწყინდა, როცა იგი საეჭვოდ სთვლიდა სიყვარულს, რომელიც ასე აუცილებელი იყო მისთვის. მაგრამ ასევე გულნატკენი ვიყავ, როცა მას სჯეროდა ეს სიყვარული. ვგრძნობდი, რომ ის ჩემზე კარგი იყო. მეზიზღებოდა ჩემი თავი იმისათვის, რომ მისი უღირსი ვიყავი. საშინელი უბედურებაა, როცა არ უყვარხარ იმას, ვინც თითონ გიყვარს, მაგრამ უფრო მეტი უბედურებაა, როცა ვნებიანად უყვარხარ იმას, ვინც თითონ არ გიყვარს. იმ სიცოცხლეს, რომელიც ეხლახან მე ელენორასათვის საფრთხეში ჩავაგდე ათასჯერ გავიღებდი, ოღონდ იგი ბედნიერი ყოფილიყო უჩემოდ.

ექვსი თვე, რომელიც მამაჩემმა მაჩუქა, მიიწურა. უნდა მეფიქრა წასვლაზე. ელენორა აღარ ეწინააღმდეგებოდა ჩემს წასვლას. იგი არც კი შეეცადა შეეგვიანებინა ჩემი გამგზავრება, მაგრამ სიტყვა ჩამომართვა, რომ ორი თვის შემდეგ დავბრუნდებოდი, ან მას ნებას მივცემდი ჩემთან ჩამოსულიყო. დიდის ამბით შევფიცე. და რა ვალდებულებას არ ვიკისრებდი იმ წუთში, როცა ვხედავდი, თუ როგორ ებრძოდა იგი თავის თავს და როგორ იკავებდა მწუხარებას. მას შეეძლო ჩემგან მოეთხოვა — არ მიმეტოვებინა. გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ მის ცრემლებს ურჩობას ვერ გაუწევდი. მადლიერი ვიყავი, რომ მან არ გამოავლინა თავისი სიძლიერე; თითქოს იგი ამისათვის უფრო მიყვარდა კიდეც. მეც ჩემისმხრივ დიდად დამწუხარებული ვშორდებოდი ესოდენ ერთგულ არსებას. ხანგრძლივ სატრფიალო კავშირში არის რაღაც ღრმა. ეს რაღაცა, ჩვენდა უნებურად, ჩვენი არსებობის ინტიმურ ნაწილად იქცევა. რო-

ცა დაშორებულნი ვართ, მშვიდად ვღებულობთ გათიშვის გადაწყვეტილებას, თითქოს მოუთმენლად მოველით ამ დროს, როცა სისრულეში უნდა მოვიყვანოთ იგი. მაგრამ როცა ეს წუთი დადგება, შიში გვიპყრობს, ასეთია ჩვენი უბედური გულის ახირებულობა — საშინელი ტკივილით ვტოვებთ იმას, ვის გვერდითაც უსიხარულოდ ვცხოვრობდით.

ჩვენი განშორების დროს, — გულმოდგინეთ ვწერდი ელენორას, მაშინდა ის გარემოება, რომ ჩემი წერილები ტკივილებს აღუძრავდნენ მას. იმავე დროს სურვილი მქონდა დამეხატა ის გრძნობა, რომელსაც განვიცდიდი. მინდოდა, იგი მიმხვდარიყო, მიმხვდარიყო ისე, რომ არ ეტანჯა. ვულოცავდი თავს, როცა ვახერხებდი შემეცვალა სიტყვა სიყვარული გრძნობით, მეგობრობით, ერთგულებით, მაგრამ უეცრივ წარმომიდგებოდა საბრალო ელენორა — სევდიანი და განმარტოებული, რომელსაც სანუგეშოდ მხოლოდ ჩემი წერილი ჰქონდა და ორი ცივი, თავშეკავებული გვერდის დასასრულს, სწრაფად ვუმატებდი რამდენიმე მგზნებარე, ან ნაზ წინადადებას, რომელთაც შეეძლოთ იგი კვლავ შეეცდინა. ამნაირად, არასოდეს არ ვამბობდი ცხადად იმას, რასაც შეეძლო დაეკმაყოფილებინა იგი, მაგრამ მუდამ ვწერდი იმას, რაც მას შეცდომაში შეიყვანდა. ეს იყო სიყალბის წარმატება, რომელმაც მიზანს მიაღწია, ჩემს წინააღმდეგ შეტრიალდა და განაგრძო ჩემი ტანჯვა, რაც აუტანელი ხდებოდა ჩემთვის.

მწუხარედ ვითვლიდი განვლილ დღეებს და საათებს. ჩემი აღთქმებით ვაყოვნებდი დროთა მსვლელობას. ვკანკალებდი, როცა ვხედავდი, რომ ახლოვდებოდა ჩემი დაპირების შესრულების დრო. ვერ წარმომედგინა გამგზავრება, მოუხერხებლად მიმაჩნდა ელენორასთვის ჩემთან ერთად ქალაქში ცხოვრება, იქნებ თუ გულახდით ვიტყვი, იმიტომაც, რომ მე არ მინდოდა ეს. ჩემს დამოუკიდებელ მშვიდობიან ცხოვრებას ვადარებდი იმ აჩქარებულ, დატანჯულ, მღელვარე ცხოვრებას, რომელიც მისმა ვნებამ მარგუნა. თავს თავისუფლად ვგრძნობდი, შემეძლო წასვლა, დაბრუნება, წასვლა, კვლავ დაბრუნება, ისე, რომ ამასთან არავის საქმე არა ჰქონოდა. თუ შეიძლება ასე ითქვას, მე მისი დამქანცველი სიყვარულისაგან სხვების გულგრილობაში ვისვენებდი.

მიუხედავად ამისა, ვერ ვბედავდი ელენორასთვის მეგრძნობინებინა, რომ ჩვენს გეგმაზე მე უარს ვაცხადებდი. ჩემი წერილებიდან გაიგო, რომ მამის მიტოვება. მიძნელდებოდა. ელენორამ მომწერა, რომ ამის შედეგად მან თვით დაიწყო მზადება გამოსამგზავრებლად. დიდხანს არ მიბრძოლია მის გადაწყვეტილების წინააღმდეგ და გარკვეული არაფერი მიპასუხნია ამაზე. ბუნდოვნად ვაცნობე რომ კმაყოფილი დავრჩები შენი ნახვით მეთქი, ამასთანვე დაუმატე, რომ მოხარული ვიქნები ბედნიერი გაგხადო მეთქი. ეს იყო საცოდავი ორაზროვნება, იძულებითი სიტყვები, რომელთა გაურკვევლობას მე ვნანობდი და იმავე დროს მეშინოდა უფრო ნათელი გამეხადა ისინი. როგორც იქნა გადავწყვიტე, გულწრფელად გამოვლაპარაკებოდი. მივმართე ჩემს თავს: ვალდებული ვარ მეთქი. ჩავიდინო ეს საკუთარი სინდისი აღვმართე ჩემი სისუსტის წინააღმდეგ. მამაგრებდა აზრი ელენორას სიმშვიდეზე, რომელსაც მისი მწუხარება უპირისპირდებოდა. დიდი ნაბიჯებით დავდიოდი ჩემს ოთახში. ხმა მაღლა ვიმეორებდი, რაც მქონდა განზრახული სათქმელად. მაგრამ დავწერე თუ არა რამდენიმე სტრიქონი, ჩემი განწყობილება შეიცვალა. ჩემს სიტყვებს ვაფასებდი არა იმ აზრით, რასაც ისინი შეიცავდნენ, არამედ იმ გავლენით, რაც მათ არ შეეძლოთ არ მოეხდინათ, და თითქოს ზებუნებრივი ძალა ჩემს წინააღმდეგ მართავდა ჩემს მორჩილ ხელს; შევიზღუდე თავი იმით, რომ ვურჩიე რამდენიმე თვით გადაედო ჩამოსვლა. არ გამომითქვამს ის, რასაც ვფიქრობდი. ჩემი

წერილი არავითარ გულწრფელობას არ გამოხატავდა. ის მოსაზრებები, რომლებიც მე მომყავდა, სუსტი იყო, რადგან ისინი სიმართლეს არ შეიცავდნენ.

ელენორას პასუხი მძვინვარე იყო, აღშფოთებული იყო ჩემი სურვილით არ მენახა იგი. რას ითხოვდა ის ჩემგან? ეცხოვრა ჩემს გვერდით, როგორც უცნობს. რისთვის უნდა მეშინოდეს მისი აქ ყოფნისა, დიდ ქალაქში, უცნობ თავშესაფარში, სადაც მას არავინ არ ეცნობება? მან ჩემთვის მსხვერპლად გაიღო სიმდიდრე, ბავშვები, რეპუტაცია. იგი თავისი მსხვერპლის ჯილდოდ ჩემგან მხოლოდ ერთს რამეს ითხოვდა—ელოდნა ჩემთვის, როგორც მორჩილ მონა ქალს და გაეტარებინა ჩემთან ყოველდღე რამდენიმე წუთი, დამტკბარიყო იმ წუთებით, რომლის მიცემაც მე შემეძლო. მან მორჩილად მიიღო ორი თვის დაშორება, არა იმიტომ, რომ ეს დაშორება მას აუცილებლობად ეჩვენებოდა, არამედ მე მსურდა ეს; როდესაც ის სევდიანად დღეებს, ითვლიდა და მიაღწია იმ ვადას, რომელიც თითონ მე დავნიშნე, ეხლა მას წინადადებას, ვაძლევდი კვლავ დაეწყო ეს ხანგრძლივი ტანჯვა. მას შეეძლო შემცდარიყო, მიეცა თავისი ცხოვრება სასტიკ გულქვა ადამიანისათვის; მე თითონ ვიყავ ბატონპატრონი ჩემი მოქმედებისა, მაგრამ მე უფლება არა მქონდა დამეტანჯა იგი, მიმეტოვებია მას შემდეგ რაც მან ჩემთვის ყველაფერი მსხვერპლად გაიღო.

მალე ამ წერილს თითონ ელენორაც ჩამოჰყვა. მაცნობა ჩამოსვლის შესახებ. გავემართე მასთან ურყევი გადაწყვეტილებით, რაც შეიძლება მეტი სიხარული გამომეხატა. მოუთმენლად მივისწრაფოდი დამემშვიდებინა მისი გული და დროებით მაინც მიმეცა ბედნიერება, ან სიმშვიდე. მაგრამ იგი ისე იყო შეურაცხყოფილი, რომ უნდობლად მიყურებდა; სწრაფად მიხვდა, რომ მე ჩემს თავს ძალას ვატანდი. ის თავისი საყვედურებით აღიზიანებდა ჩემს სიამაყეს, შეურაცხმყოფდა; მან ისეთ უბადრუკად დამხატა ჩემს სისუსტეში, რომ ამით უფრო მეტად აღმაშფოთა თავისთავის წინააღმდეგ, ვიდრე ჩემი თავის წინააღმდეგ. მძვინვარე უგუნურება დაგვეუფლა. ურთიერთის მორიდება უკუგდებულ იქნა. დავივიწყეთ ყოველგვარი თავაზიანობა. შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ფურიები გვაქეზებდნენ და გვისისინებდნენ. ერთმანეთს ვაწერდით ყოველივე იმას, რაც ულმობელ სიძულვილს შეეძლო შეეთხზა ჩვენს წინააღმდეგ და ეს ორი უბედური არსება, რომელნიც ამ ქვეყნად მხოლოდ ერთმანეთს იცნობდნენ, რომელთაც შეეძლოთ ჯეროვნად დაფასება, გაგება, დამშვიდება ერთმანეთისა, ეხლა შეურიგებელ მტრებივით გამოიყურებოდნენ, და მზად იყვნენ დაეფლითათ ერთმანეთი.

სამი საათის შემდეგ განვშორდით ერთმანეთს პირველად ჩვენს სიცოცხლეში. ერთმანეთს დავშორდით ახსნა-განმარტების მიუცემლად, ბოდიშის მოუხდელად. ის იყო გარედ გამოვედი, რომ ღრმა ტკივილმა შესცვალა ჩემი რისხვა; განცვიფრებული, გაბრუებული ვიყავი ყოველივე იმით, რაც მოხდა. გაკვირვებული ვიმეორებდი ჩემს სიტყვებს. არაფერი არ მესმოდა ჩემი საქციელისა, თითონ დავეძებდი ჩემს თავში, თუ რას შეეძლო ჩემი ასეთი შეცდენა.

უკვე გვიან იყო. ვერ ვბედავდი ელენორასთან დაბრუნებას, მაგრამ ჩემს თავს პირობა მივეცი, მეორე დღეს ადრე მივსულიყავი. დავბრუნდი მამასთან, ბევრი სტუმარი დამხვდა. ჩემთვის ადვილი იყო მრავალრიცხოვან საზოგადოებაში განზე გადგომა, რათა დამეფარა ჩემი მღელვარება. როცა მარტო დავრჩით, მამამ მომმართა:

— მარწმუნებენ, რომ გრაფ დე-პ***-ს ყოფილი საყვარელი ამ ქალაქში არისო. მე ყოველთვის დიდ თავისუფლებას გაძლევდით თქვენ, არასოდეს არ მომისურვებია რაიმე გამეგო თქვენი კავშირების შესახებ; მაგრამ თქვენს წლოვანებაში საყვარლის აშკარად ყოლა შეუფერებელია, ამიტომ გაფრთხილებთ,

რომ მე უკვე ლონისძიებანი მივიღე იმ ქალის აქედან გასაძევებლად. — სთქვა მან ეს და დამტოვა.

მე გავყევი მას ოთახში. მაგრამ მან მანიშნა, რომ უკან გავბრუნებულიყავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამავ, — მივმართე მას, — ღმერთია მოწამე, რომ მე მინდა იგი ბედნიერი იყოს. ამის საფასურად დავთანხმდი არასოდეს არ ვიხილო იგი. მოერიდეთ იმას, რაც თქვენ გსურთ ჩაიდინოთ. თუ თქვენ გადასწყვიტეთ განმაშოროთ მას, შეიძლება ამით სამუდამოდ დამაკავშიროთ მასთან.

მე გამოვუძახე მსახურს, რომელიც თან მახლდა ჩემს მოგზაურობაში და რომელმაც იცოდა ჩემი კავშირის შესახებ ელენორასთან. დავავალე რამდენადაც შესძლებდა, დაუყოვნებლივ გაეგო თუ რა ზომებზე მეუბნებოდა მამა-ჩემი; იგი ორი საათის შემდეგ დაბრუნდა. მამა ჩემის მდივანს საიდუმლოდ ეცნობებინა, რომ ელენორას ხვალვე უნდა მიეღო ბრძანება ქალაქიდან წასვლის შესახებ.

— ელენორა განდევნილია! — წამოვიძახე მე, — განდევნილია სამარცხვინოდ, ის, ვინც ჩემთვის მოვიდა აქ, ვისი გულიც მე დავფლითე და ვისი ცრემლებიც იღვრებოდა და არ იწვევდა ჩემში არავითარ სიბრალულს. სად იპოვის თავშესაფარს უბედური, მარტოდ-მარტო იმ საზოგადოებაში, რომლის პატივისცემაც მე მას წავართვი, ვის უამბობს იგი თავის მწუხარებას?

სწრაფად გადავწყვიტე როგორ უნდა მოვქცეულიყავ და მოვისყიდე კაცი, რომელიც მემსახურებოდა. უხვად მივეცი ოქრო და დავპირდი უამრავ რამეს. შევუკვეთე საფოსტო ეტლი დილის ექვსი საათისათვის, ქალაქის კარებთან.

ათასნაირ გეგმებს ვქმნიდი ჩემი სამუდამო კავშირისათვის ელენორასთან. მე იგი მიყვარდა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. ჩემი გული მთლიანად დაუბრუნდა მას. ვამაყობდი იმით, რომ ვიცავდი მას, მწყუროდა გულმკერდში ჩაკრული მყოლოდა, ჩემს გულს კვლავ დაუბრუნდა სიყვარული. ჩემი თავი, გული, გრძნობები ციებ-ცხელებამ აიტაცა, მთელი ჩემი არსება გადატრიალდა. იმ წუთს ელენორას, რომ მოესურვა ჩემგან გაშორება, სულს დავლევდი მის ფეხებთან, რათა შემეჩერებინა იგი. გათენდა, გავიქეცი ელენორასთან. იგი იწვა, მთელი ღამე ტირილში გაეტარებინა. თვალები ჯერ კიდევ შენამული ჰქონდა, თმაგაწეწილი, შესვლისას გაკვირვებით შემომხედა:

— აბა, წავიდეთ! — ვუთხარი მე. მას უნდოდა ეპასუხნა. — წავიდეთ! — გავუმეორე მე, — განა ჩემს გარდა გყავს ვინმე ამ ქვეყნად მფარველი მეგობარი? განა ჩემი მკერდი ერთად-ერთი თავშესაფარი არ არის? იგი მეწინააღმდეგებოდა. — მე საგულისხმო მიზეზი მაქვს, — დავუმატე, პირადი მიზეზები, გამომყევი, გაფიცებ ზეცას.

გზაში ალერსით დავალრჩე, ვიკრავდი გულში. შეკითხვებზე მხოლოდ კოცნით ვუპასუხებდი. ბოლოს უთხარი, რომ გავიგე თუ რა მამაჩემის განზრახვა ჩვენი განშორების შესახებ, ვიგრძენი რომ არ შემიძლია ბედნიერი ვიყო უშენოთ და მინდა შემოგწირო მთელი ჩემი სიცოცხლე, მინდა განუწყვეტელი კავშირით დაგიახლოვდე მეთქი. პირველ ხანს მის მადლობას დასასრული არ ჰქონდა, მაგრამ მალე მან ჩემს სიტყვებში წინააღმდეგობა შეამჩნია. ბოლოს გამომტყუა მთელი სიმართლე, გაიგო ყველაფერი. მისი სიმხიარულე გაჰქრა, სახეს თითქო შავი ღრუბელი გადაეფარა.

— ადოლფ! — მითხრა მან, — თქვენ თვითონ ატყუებთ თქვენს თავს, თქვენ სულგრძელი ხართ, თქვენ ჩემთვის სწირავთ თავს, რადგან მე მდევნიან. თქვენ გგონიათ, რომ მე გიყვარვართ, მაგრამ მხოლოდ გებრალებით.

რატომ წარმოსთქვა მან ეს საბედისწერო სიტყვები? რატომ გადამეშალა მან საიდუმლოება, რომლის ცოდნაც არ მინდოდა? მე შევეცადე დამემშვიდებინა იგი. შეიძლება მივაღწიე კიდეც ამას, მაგრამ ეშმარიტებამ დანგმირა ჩემი გული, ჩემი გატაცება ჩაიფერფლა. მე ისევ მტკიცედ ვიდექ ჩემს გადაწყვეტილებაზე მსხვერპლის გაღების შესახებ, თუმცა ბედნიერი აღარ ვიყავ; ჩემში კვლავ გაჩნდა აზრი, რომელიც უნდა დამემალა.

თავი VI

როდესაც საზღვართან მივედით, მამაჩემს წერილი მივწერე. ჩემი წერილი მოკრძალებას გამოხატავდა, თუმცა შიგ სიმწარის ნალექიც იყო. უკმაყოფილო ვიყავ იმით, რომ მამაჩემმა კიდევ უფრო მჭიდროდ შეკრა ის კავშირი, რომლის დარღვევაც მან განიზრახა. ვატყობინებდი, მივატოვებ ელენორას მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი საკადრისად მოეწყობა და მე საჭირო აღარ ვიქნები მისთვის მეთქი. ვევედრებოდი, ხელი აეღო ელენორას დევნაზე, რათა არ ვაეძულებინე სამუდამოდ დავრჩენილიყავ მასთან მიბმული. პასუხს ველოდი. უნდა მიმეღო გადაწყვეტილება ჩვენი მოწყობის შესახებ. „თქვენ ოცდა ოთხი წლისა ხართ, — მიპასუხა მამამ, — თქვენს წინააღმდეგ მე არ მივმართავ ჩემს ძალა-უფლებას, რომელიც თავისთავად უკვე დასასრულს უახლოვდება; მე ამ ძალაუფლებით არასოდეს არ მისარგებლია; რამდენადაც შევძლებ, დავფარავ კიდეც თქვენს უცნაურ მოქმედებას, ხმას ვავრცელებ, თითქოს ჩემი ბრძანებით და ჩემს საქმეებზე გაემგზავრეთ. გულუხვად დავფარავ თქვენს მიერ გაწეულ ხარჯებს. სულ მალე შეიგნებთ, რომ იმგვარი ცხოვრება, როგორსაც თქვენ ატარებთ, თქვენთვის შეუფერებელია. თქვენი წარმოშობა, ნიჭი, სიმდიდრე სხვა ადგილს გაკუთვნებთ საზოგადოებაში, ვიდრე ბნელ წარსულიანი და უთვისტომო ქალის გვერდით ყოფნას. თქვენი წერილი მიდასტურებს, რომ თითონ თქვენა ხართ საკუთარი თავით უკმაყოფილო. დამერწმუნეთ ვერაფერს მოიგებთ იმით, რომ ახანგრძლივებთ სამარცხვინო მდგომარეობას. თქვენ უსარგებლოდ ფლანგავთ თქვენი სიყმაწვილის საუკეთესო წლებს, ეს დანაკარგი აუნაზღაურებელია“.

მამიჩემის წერილმა ვითარცა ხანჯლის ათასმა დარტყმამ ისე გამგმირა. რასაც ის მეუბნებოდა, იმას მე ასჯერ ვუმეორებდი ჩემს თავს, მე ასჯერ მრცხვენოდა ჩემი ცხოვრებისა, რომელიც სიბნელესა და უმოქმედობაში მიმდინარეობდა. ვამჯობინებდი საყვედურით, მუქარით მოემართათ, სასახელოდ ჩავთვლიდი წინააღმდეგობას, რაც აუცილებლად მაიძულებდა, მომეკრიბა მთელი ძალღონე, რათა ელენორა იმ საფრთხისაგან დამეცვა, რომელიც მას ემუქრებოდა, ახლა კი საფრთხე არ არსებობდა: მე სრულ თავისუფლებას მაძლევდნენ; ეს თავისუფლება კი მაიძულებდა დიდი მოუთმენლობით მეზიდა ის ტვირთი, რომელიც თითქოს თითონ ავირჩიე.

ჩვენ დავსახლდით კადენში, ბოჰემიის პატარა ქალაქში. ჩემს თავს ჩავჩიჩინებდი: რადგან ელენორას ბედის მიმართ პასუხისმგებლობა ვიკისრე, არ უნდა გავტანჯო იგი. მართლაც მივაღწიე იმას, რომ თავი შევიკავე და ჩავიმარხე უკმაყოფილების უმცირესი გამოსახულებაც კი. ჩემი ჭკუის მთელი ძალა გამოყენებული იქმნა, რათა ჩემში შემექმნა ხელოვნური სიმხიარულე, რომელიც ჩემი ღრმა მწუხარების დამალვას შესძლებდა. ასეთმა მუშაობამ საკუთარ თავზე მოულოდნელი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე. ჩვენ იმდენად ჰოძრავი არსებანი ვართ, რომ ბოლოს რეალურად ვიწყებთ იმ გრძნობების განცდას, რომელსაც თავდაპირველად ვეთვალთმაქცებოდით. მწუხარება, რო-

მელსაც ვმალავდი, ნაწილობრივ დამავიწყდა კიდეც. ჩემი დაუსრულებელი ოხუნჯობა, ჩემსავე მელანქოლიას ჰფანტავდა; ხოლო სინაზის რწმენა, რომლითაც მე ელენორას ვამაგრებდი, ჩემს გულში იწვევდა სასიამოვნო აღელვებას, რომელიც თითქმის სიყვარულს წააგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროგამოშვებით, მაბეზარი მოგონებანი მდევნიდნენ: როცა ბარბარო დავრჩებოდი, ვშფოთავდი, ვადგენდი ათას უცნაურ გეგმას, რათა დაუყონებლივ თავი დამეღწია იმ სფეროსთვის, საცა ჩემთვის შეუფერებელი ადგილი მეჭირა. კვლავ უკუვაგდებდი ასეთ განწყობილებებს, როგორც ცუდ სიზმრებს. ელენორა ბედნიერი სჩანდა. განა შემეძლო შემეშფოთებინა იმისი ბედნიერება? ამნაირად განვლო თითქმის ხუთმა თვემ.

ერთ დღეს შევნიშნე, ელენორა აღელვებული იყო. იგი ცდილობდა დაემალა აზრი, რითაც შეპყრობილი იყო. ხანგრძლივი მუდარის შემდეგ ელენორამ სიტყვა ჩამომართვა, რომ მის გადაწყვეტილებას წინააღმდეგობას არ გავუწევდი. მან მაცნობა, გრაფმა დე პ***-მ მოსწერა მას პროცესის მოგების შესახებ. იგი მადლობის გრძნობით იგონებდა ელენორას მიერ გაწეულ სამსახურს და მათი ათი წლის კავშირს. გრაფმა დე პ***-მ ელენორას შესთავაზა თავისი ქონების ნახევარი, არა იმიტომ რომ კვლავ შეერთებულიყვნენ, რაც უკვე შეუძლებელი იყო, არამედ იმ პირობით, რომ იგი მიატოვებდა უმადურ და ვერაგ ადამიანს, რომელმაც განაშორა ისინი. მე პასუხი გავეცი, სთქვა ელენორამ; — თქვენ ალბათ, უკვე მიხვედრილი ხართ, უარი შეუთვალე.

მე ძლიერ კარგად მივხვდი ყოველივეს. გული ამიჩუყდა, მაგრამ ამ ახალმა მსხვერპლმა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. მიუხედავად ამისა, ვერ გავბედე შესიტყვება, ამ მიმართულებით ჩემი ცდანი ყოველთვის უნაყოფო იყო. გარეთ გავედი, რათა მეფიქრა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც უნდა მიმეღო. ჩემთვის ნათელი იყო, რომ ჩვენი კავშირი უნდა დარღვეულიყო. იგი მძიმე ასატანი შეიქნა ჩემთვის, მისთვის კი საზიანო ხდებოდა; ერთად ერთი მე ვაბრკოლებდი, რომ ელენორას კვლავ მოეპოვებინა ის საკადრისი მდგომარეობა და პატივის ცემა, რომელიც მაღალ საზოგადოებაში ადრე თუ გვიან სიმდიდრეს თან სდევს ხოლმე; მე ვიყავ ერთად ერთი ზღუდე ელენორასა და მის ბავშვებს შორის; მე აღარ მჭიროდა ბოდიშის მოხდა ჩემი თავის წინაშე. დათმობა ასეთ პირობებში სულგრძელობა კი არა, ბოროტმომქმედი სისუსტე იყო. მამაჩემს დავპირდი, რომ თავს გავინთავისუფლებდი მაშინვე, როცა ელენორასთვის საჭირო აღარ ვიქნებოდი. უკვე დრო იყო კარიერა შემერჩია, დამეწყო მომქმედი ცხოვრება, ადამიანთა პატივისცემის უფლება მომეპოვებინა და კეთილშობილურად გამომეყენებინა ჩემი ნიჭი. დავბრუნდი ელენორასთან ჩემს ურყევ გადაწყვეტილებაში დარწმუნებული, რომ იგი უნდა მაეძულებინა გრაფ დე პ***-ს წინადადებაზე უარი არ ეთქვა და თუ კი ეს საჭირო იქნებოდა განმეცხადებია მისთვის, რომ იგი აღარ მიყვარდა.

— ძვირფასო მეგობარო, — უთხარი მას — ეს რამდენიმე ხანია ვებრძვით ჩვენს ბედს, მაგრამ ვათავებთ იმით, რომ მუდამ უთმობთ მას. საზოგადოების კანონები უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანის ნება; გარემოებათა საბედისწერო მიმდინარეობა ამსხვრევს ყველაზე ძლიერ გრძნობას. ადამიანები ამაოდ ჟინიანობენ, როდესაც რჩევისათვის თავიანთ გულს მიმართავენ. ადრე თუ გვიან იძულებულნი ვართ გონებას მოვუსმინოთ. აღარ შემიძლია კიდევ დიდხანს გამყოფოთ იმ მდგომარეობაში, რომელიც ერთნაირად უღირსია თქვენთვისაც და ჩემთვისაც: არ შემიძლია ჩავიდინო ეს არც თქვენთვის და არც ჩემთვის.

ისე ვლაპარაკობდი, რომ არ უყურებდი ელენორას. ვგრძნობდი, რომ ჩემი აზრები უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდებოდა, და ჩემი გადაწყვეტილება სუსტდებოდა. მოვინდომე მომეკრიბა ძალლონე და აჩქარებული ხმით განვაგრძე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მუდამ თქვენი მეგობარი ვიქნები, მარადის მექნება თქვენდამი ულრმესი გრძნობა. ჩვენი ორი წლის კავშირი ჩემი მეხსიერებიდან არ ამოიშლება, იგი საუკუნოდ დარჩება ჩემი ცხოვრების ყველაზე მშვენიერ ხანად, მაგრამ სიყვარული, გრძნობათა ეს აღტაცება, ეს უნებური დათრობა, ყველა ინტერესების, ყველა მოვალეობათა დავიწყება, — ელენორა, მე აღარ გამაჩნია.

დიდხანს ველოდი პასუხს, ისე, რომ თვალები მისკენ არ მიმიპყრია. ბოლოს, როცა შევხედე, იგი უმოძრაოდ იდგა. ხედავდა ყველა საგანს, მაგრამ თითქოს ვერც ერთს ველარ სცნობდა; შევეხე მის ხელს; ცივი იყო. ელენორამ მომიშორა.

— რა გნებავთ ჩემგან? — მომმართა მან, — განა მე მარტო არ ვარ, სულ მარტო ამ ქვეყნად, რომელსაც არც ერთი არსება არ გააჩნია, ვინც გაიგებდა მის გულისწადილს? კიდევ რას მეტყვით? განა, ყველაფერი არა სთქვით? განა, ყოველივე არ დასრულდა? დასრულდა დაუბრუნებლივ! გამშორდით, გამშორდით, ნუ თუ ეს არ არის ის, რაც თქვენ გსურთ? მან გასვლა დააპირა, შეტორტმანდა, ვცადე შეკავება. იგი ჩემს ფეხებთან უგრძნობლად დაეცა. ავიყვანე, მკერდზე მივიკარი, გრძნობაზე მოვიყვანე.

— ელენორა! — წამოვიყვირე მე, — გონს მოდით! დამიბრუნდით! მიყვარხართ ყველაზე ნაზი სიყვარულით. მოგატყუეთ იმიტომ, რომ უფრო თავისუფალი არჩევანი მოგეხდინათ. — გულუბრყვილობავ შენ აუხსნელი ხარ! ამ უბრალო სიტყვებმა, რომლებმაც უარყვეს წინათ წარმოთქმული სიტყვები, ელენორას სიცოცხლე და ნდობა დაუბრუნეს. მან მაიძულა რამდენჯერმე გამემეორებინა ეს სიტყვები. იგი თითქოს უფრო ხარბად სუნთქავდა ჰაერს. ელენორამ დამიჯერა. დაითრო სიყვარულით, რომელსაც საერთოდ სთვლიდა. მან დაადასტურა თავისი პასუხი გრაფ დე პ ***-სთან და მე უფრო ხელფეხ შეკრული გავხდი, ვიდრე ოდესმე.

სამი თვის შემდეგ ელენორას მდგომარეობაში ახალი ცვლილების შესაძლებლობა წარმოიშვა. ერთერთმა ჩვეულებრივმა ცვლილებამ რესპუბლიკაში, პარტიების უთანხმობით გამოწვეულმა, ელენორას მამა დააბრუნა პოლონეთში და ალადგინა იგი თავის სამფლობელოში. მართალია, მამა კარგად არ იცნობდა თავის ასულს, რომელიც სამი წლის იყო, როდესაც დედამ საფრანგეთში წაიყვანა, მაგრამ მან მოისურვა ელენორას თავისთან მოწყობა. ხმებს ელენორას თავგადასავალის შესახებ ბუნდოვნად მიეღწია მის ყურამდე რუსეთში, საცა იგი განდევნის შემდეგ ცხოვრობდა. ელენორა ერთად ერთი შვილი იყო მისი. მას მარტოობის ეშინოდა, უნდოდა ვინმე მზრუნველი ჰყოლოდა, შეეცადა მოენახა თავისი ქალიშვილის საცხოვრებელი ადგილი და, როგორც კი გამოარკვია, დაჟინებით მიიხმო. ელენორას არ შეეძლო ნამდვილი სიყვარული ჰქონოდა მამისადმი, არც ახსოვდა იგი, თუმცა ჰგრძნობდა რომ მისი მოვალეობა იყო დამორჩილებოდა თავის მამას. ამ გზით ელენორა უზრუნველყოფდა სიმდიდრით თავის ბავშვებს და თითონაც აიწევდა იმ მდგომარეობამდე, რომელიც დაჰკარგა თავისი უბედურების და საქციელის გამო; მან გადაწყვეტით გამომიცხადა: მხოლოდ იმ შემთხვევაში გავემგზავრები პოლონეთში, თუ შენც თან გამომყვებიო.

—მე იმ ასაკში აღარა ვარ, — მითხრა მან, — როცა სული ახალი შთაბეჭდილებისთვის იშლება. მამაჩემი ჩემთვის უცნობია. თუ აქ დავრჩები, სხვები მას ხალისით მოეხვევიან გარს; იგი ისევე ბედნიერი იქნება, ჩემს ბავშვებს გრაფ დე პ ***-ს ქონება დარჩებათ. ვიცი, ყველანი დაწყევლიან ჩემს გაქირდვას, იტყვიან რომ მე უმადური ქალიშვილი და უგრძნობელი დედა ვარ; ძალიან დავიტანჯე: მე ისე ახალგაზრდა აღარა ვარ, რომ მაღალი წრის შეხედულებას ჩემზე დიდი გავლენა ჰქონდეს. თუ ჩემს გადაწყვეტილებაში არის ერთვვარი სისასტიკე, ეს თქვენი ბრალია, ადოლფ! მე, რომ თქვენი იმედი მქონოდა .შეიძლება დავთანხმებულიყავ დროებითი განშორებას, როვლის სიმწარეც შემცირდებოდა მომავლის ტკბილი და მტკიცე კავშირით. მაგრამ თქვენ სხვას უკეთეს აღარაფერს ისურვებდით, — თუ გეცოდინებოდათ, რომ მე ასს ლიეზე ვარ თქვენგან დაშორებული, კმაყოფილი და დაწყნარებული ოჯახის წიაღსა და სიმდიდრეში. თქვენ დაუყოვნებლივ მომწერთ კეთილ-გონივრულ წერილებს, რომლებსაც წინასწარ ვეჭვრეტ: ისინი გულს გამიპობენ. არ მინდა თავი ამ მდგომარეობაში ჩავიგდო, ჩემთვის სანუგეშო არ იქნება, რომ ჩემს თავს ვუთხრა, გავიღე რა მსხვერპლად მთელი ჩემი სიცოცხლე, მივაღწიე მხოლოდ ერთ რამეს; შთაგაგონეთ ის გრძნობა, რომლის ღირსიც მე ვარ; თუმცა საბოლოოდ თქვენ მსხვერპლი მიიღეთ, მე საკმაოდ ვიტანჯები თქვენი ცივი მოპყრობისა, ჩვენი უგულო დამოკიდებულების გამო, მე ვიტან იმ ტანჯვას, რომელსაც თქვენ მაყენებთ; აღარ მინდა ნებაყოფლობით ახალი ტანჯვა განვიცადო.

ელენორას ხმასა და კილოში რაღაც სიმწარე და სისასტიკე იყო, რომელიც უფრო მტკიცე გადაწყვეტილებას მოწმობდა, ვიდრე ღრმა და გულისამაყუჩებელ აღელვებას. რამდენიმე ხანია, როდესაც რაიმეს მთხოვდა, წინასწარ გაღიზიანებას ამჟღავნებდა, თითქოს მე უკვე უარი მეთქვას მისთვის. იგი ჩემს ყოველ მოქმედებას წარმართავდა, თუმცა იცოდა, რომ ჩემი აზრი უარყოფდა მათ. ელენორას სწადდა შეეჭრილიყო ჩემი აზრების საიდუმლო წმინდათა-წმინდაში, რათა დაემსხვრია ის ყრუ წინააღმდეგობა, რომელიც მას აშფოთებდა ჩემს წინააღმდეგ. ველაპარაკებოდი ელენორას ჩემს მდგომარეობაზე, მამაჩემის სურვილზე, ჩემს საკუთარ გულისწადილზე, ვემუდარებოდი, გამოვიდოდი მოთმინებიდან, მაგრამ ელენორა ურყევი იყო. მინდოდა მასში სულგრძელობა გამეღვიძებინა, თითქოს სიყვარული, გრძნობათა შორის ყველაზე ეგოისტური არ იყოს, — ხოლო როდესაც იგი შეურაცხყოფილია, ყველაზე ნაკლებად სულგრძელი. საკვირველი ძალის დატანებით ვცდილობდი სიბრალული გამომეწვია იმ უბედურობის გამო, რომელსაც მასთან დარჩენით განვიცდიდი, მივაღწიე მხოლოდ იმას, რომ ძლიერ გავალიზიანე. დავპირდი შენ სანახავად ჩამოვალ პოლონეთში მეთქი. მაგრამ ჩემს დაპირებებში, რომელიც გულწრფელობას და გატაცებას იყო მოკლებული, ელენორა ხედავდა მოუთმენელ სურვილს მიმეტოვებინა ის.

კადენში ჩვენი ყოფნის პირველმა წელმა ისე მიაღწია თავის დასასრულს, რომ არაფერი შეუცვლია ჩვენს მდგომარეობაში. როდესაც ელენორა მოღრუბლულს, უგუნებოს დამინახავდა, ჯერ სწყინდა, შემდეგ კი თავს გაწბილებულად გრძნობდა, და საყვედურებით მაიძულებდა აღმიარებია დაღლილობა, რის დამალვაც მე მწადდა. როდესაც ელენორა კმაყოფილი სჩანდა, მე ჩემის მხრით ვლიზიანდებოდი, რომ ის ჩემი ბედნიერების ხარჯზე სიტკბოებას განიცდიდა. ელენორას ხანმოკლე სიხარულს ნართაული სიტყვებით ვანელებდი, რაც აგებინებდა მას ჩემს შინაგან განცდებს. ჩვენ რიგრიგობით, გადაკრული ფრაზებით ვესხმოდით ერთმანეთს, რათა შემდეგ საერთო შესიტყვებით და

ბუნდოვანი თავის გამართლებით უკან დაგვეხია, რომ კვლავ მდგომარეობას მივცემოდით. ორივემ კარგად ვიცოდით რას ვეტყოდით ერთმანეთს, ამიტომაც გაჩუმებული ვიყავით, არ გვინდოდა ერთმანეთი მოგვესმინა. ხანდახან ერთი ჩვენთაგანი მზად იყო დათმობაზე წასულიყო., მაგრამ დაბრკოლებისათვის ჩვენ ხელსაყრელ მომენტს ვუშვებდით. ჩვენი დაუნდობელი და დაკოდილი გულები ერთმანეთს აღარ ხვდებოდნენ.

ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს, რატომ ვრჩები ესოდენ მძიმე მდგომარეობაში მეთქი და ვუპასუხებდი, თუ მე ელენორა მივატოვე იგი მაშინვე გამომყვება და ამით ახალ მსხვერპლს გამოვიწვევ. ბოლოს, ჩემს თავს მივმართე: უკანასკნელად უნდა დავაკმაყოფილო იგი, და როცა საკუთარ ოჯახში დავაბრუნებ ვეტარაფერს მომთხოვს, მზად ვიყავი წინადადება მიმეცა გავყოლოდი მას პოლონეთში, როდესაც ელენორამ ცნობა მიიღო მამის უეცარი გარდაცვალების შესახებ. მამამ დანიშნა იგი ერთადერთ მემკვიდრედ, თუმცა მისი ანდერძი ირღვევოდა შემდეგდროინდელი წერილებით, რომლების გამოყენებასაც შორეული ნათესავები იმუქრებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მამასა და შვილს შორის ახლო ურთიერთობა არ არსებობდა, ელენორამ მამის გარდაცვალება მტკივნეულად განიცადა. იგი თავის თავს უსაყვედურებდა, რომ მიატოვა მამა. სულ მალე მე დამაბრალა თავისი შეცდომა.

— თქვენ მაიძულეთ, — მითხრა მან, — დამერღვია ჩემი სალმრთო მოვალეობა. ეხლა საქმე მარტოდენ ჩემს ქონებას ეხება. უფრო ადვილად გავიღებ მას მსხვერპლად თქვენთვის. რასაკვირველია, მარტო არ წავალ იმ ქვეყანაში, საცა მხოლოდ მტრებს შევხვდები.

— არ მინდოდა,—ვუპასუხე მე, გვერდი აგეხვიათ რომელიმე მოვალეობისათვის; გამოგიტყდებით, ვისურვებდი თქვენც გეფიქრათ, რომ ჩემთვისაც მძიმეა უარის თქმა ჩემს წმინდა მოვალეობაზე, მაგრამ ვერ ვეღირსე თქვენგან ამ სამართლიანობას. გემორჩილებით ელენორა; თქვენი ინტერესები ყველა სხვა მოსაზრებებზე პატივსაცემია. ჩვენ გავემგზავრებით ერთად, როდესაც თქვენ მოისურვებთ.

ჩვენ მართლაც გავუდექით გზას. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, საგნების სიახლე, ძალდატანება, რომელსაც ჩვენს თავზე ვახდენდით, დროდადრო გვაახლოვებდა. ხანგრძლივად ერთად ყოფნამ ერთმანეთს შეგვაჩვია, სხვადასხვა გარემოებანი ერთად განვიცადეთ. ამიტომ ყოველი სიტყვა და თითქმის ყოველი მოძრაობა გვაკავშირებდა მოგონებებთან, რომელსაც უეცრივ წარსულში გადავყავდით და უნებური სინაზით გვავსებდა, იმ ელვის მსგავსად, რომელიც ჰკვეთს წყვდიადს, მაგრამ ვერ ჰფანტავს მას. ჩვენ ვცხოვრობდით, თუ შეიძლება ასე ითქვას, გულის მოგონებით, რომელიც საკმაოდ ძლიერი იყო იმისათვის, რომ განშორების აზრს ტკივილი მოეყენებინა ჩვენთვის, ხოლო მეტად სუსტი იმისათვის, რომ ჩვენს კავშირში ბედნიერება გვეპოვნა, რათა ჩვეულებრივი შეჭირვებისაგან თავი დამეღწია, გრძნობებს ვნებდებოდი, მსურდა სინაზის დამამტკიცებელი საბუთი მიმეცა ელენორასათვის, რომელიც დააკმაყოფილებდა მას. ხანდისხან კვლავ სიყვარულის ენაზე ვესაუბრებოდი, მაგრამ ეს გრძნობა და ეს ენა წაგავდა ფერწასულ, გახუნებულ ფოთლებს, რომელნიც კიდევ განაგრძობენ ჭკნობას ძირიან-ფესვიანად ამოგლეჯილ ხის ტოტებზე.

თავი VII

ელენორამ ჩასვლისთანავე აღადგინა უფლება თავის სადავო ქონებაზე. მხოლოდ იკისრა, სანამ პროცესი არ დასრულდებოდა არ დაეწყო მისი გამგებლობა. იგი ერთ-ერთ მამისეულ მამულში დასახლდა.

მამაჩემი თავის წერილებში პირდაპირ არასოდეს არ ეხებოდა არც ერთ საკითხს; კმაყოფილდებოდა იმით, რომ წერილს ავსებდა ნართაული თქმებით, რომლებიც მიმართული იყო ჩემი გამგზავრების წინააღმდეგ. „თქვენ მაუწყეთ — მომმართავდა ის, — რომ არ გაემგზავრებოდით. ჩემს წინაშე ხანგრძლივად ანვითარებდით თქვენს მოსაზრებებს გამგზავრების წინააღმდეგ. ამიტომაც სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ გაემგზავრებოდით. მე შემიძლია მხოლოდ შეგიცოდოთ, რადგან დამოუკიდებლობის მისწრაფების ზეგავლენით თქვენ სჩადიხართ ყოველთვის იმას, რაც არა გსურთ. მაგრამ მე მაინც არ განვსჯი იმ მდგომარეობას, რომელსაც სავსებით არ ვიცნობ. აქამდე თქვენ ელენორას დამცველად მეჩვენებოდით, თქვენს ურთიერთობაში რაღაც კეთილშობილური იყო. ის ამაღლებდა თქვენს ხასიათს იმისდა მიუხედავად, როგორიც არ უნდა ყოფილიყო საგანი თქვენი მიდრეკილებისა. დღეს თქვენი ურთიერთობა სხვაგვარია. უკვე თქვენ კი არ იცავთ მას, ის არის თქვენი საყრდენი; თქვენ მასთან ცხოვრობთ, თქვენ უცხოელი ხართ, რომელიც მას თავის ოჯახში შეჰყავს. არაფერს ვამბობ იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც თქვენ აირჩიეთ, მაგრამ რადგან მას შეიძლება უხერხულობაც მოჰყვეს, ამიტომაც მოვიწადინე, რამდენადაც შემიძლია, შევამცირო ის. წერილი მივწერე ბატონ დეტ ***-ს, ჩვენს ელჩს იმ ქვეყანაში, სადაც თქვენ იმყოფებით, რათა მასთან რეკომენდაცია გაგიწიოთ. არ ვიცი, ისურვებთ თუ არა ამ რეკომენდაციით ისარგებლოთ. მაგრამ ამაში თქვენ დაინახავთ ჩემი ზრუნვის დამამტკიცებელ საბუთს და არა თავდასხმას თქვენს დამოუკიდებლობაზე, რომელსაც ყოველთვის წარმატებით იცავდით თქვენი მამის წინააღმდეგ“.

დავთრგუნე ის აზრები, რომლებიც ამ წერილის სტილმა აღძრა ჩემში. მამული, სადაც ელენორასთან ერთად ვცხოვრობდი, დიდი მანძილით არ იყო დაშორებული ვარშავას. წაველ ამ ქალაქში ბარონ დეტ ***-თან. მან გულითადათ მიმიღო, შემეკითხა ჩემი პოლონეთში ყოფნის მიზეზებზე, გამომკითხა ჩემი მეგობრის შესახებ, არ ვიცი რა მეპასუხა. რამდენიმე წუთის იძულებით საუბრის შემდეგ მან მომმართა:

— მინდა გულახდილად გელაპარაკოთ. ვიცი ის მიზეზები, რამაც ამ ქვეყანაში ჩამოგიყვანათ. მამათქვენმა ამის შესახებ მაცნობა, მინდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი ჩემთვის გასაგებია: არ არსებობს მამაკაცი, რომელიც ერთხელ მაინც თავის სიცოცხლეში არ ეწამებინოს სურვილს, გაეწყვიტა შეუფერებელი კავშირი და, რომელსაც იმავე დროს არ განეცადოს შიში აწყენინოს ქალს, რომელიც მას უყვარდა. სიყმაწვილის გამოუცდელობა გვაიძულებს ძალიან გადავაჭარბოთ მსგავსი მდგომარეობის სიძნელეები; გვწადია ჭეშმარიტებად მივიღოთ მწუხარების ის გამოხატულება, რომელსაც სუსტსა და თავშეუკავებელ სქესში ძალისა და გონების ყველა საშუალებათა ადგილი უჭირავს. გული იტანჯება, თავმოყვარეობა კი ამას ადასტურებს; ადამიანი, რომელიც გულწრფელად ფიქრობს, რომ თავის თავს მსხვერპლად სწირავს მისგან გამოწვეული სასოწარკვეთილების გამო, ნამდვილად თავს სწირავს მარტოდენ საკუთარი პატივმოყვარეობის ილუზიას. ყოველი ვნებიანი ქალი, რომლითაც სავსეა ქვეყნიერება ირწმუნება, თუ მიმატოვეთ უსათუოდ მოვკვდებიო, მაგრამ არ არსებობს მათ შორის არცერთი, რომელიც ცოცხალი არ დარჩეს და თავიც არ დაიმშვიდოს.

მინდოდა შემეჩერებინა იგი, — მომიტევეთ ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, — მითხრა მან. თუ მე საკმარისად ფრთხილი არა ვარ ჩემს გამოთქმებში. მაგრამ ყოველივე კარგი, რასაც თქვენზე მეუბნებიან, თქვენი ნიჭი, სარბიელი, რომელიც უნდა შეგერჩიათ, მოვალედ მხდის არაფერი არ დაგიმალოთ.

მე თქვენს სულში, თქვენი სურვილის გარეშე, თქვენზე უკეთ ვერთხულობ ყველაფერს. თქვენ აღარ გიყვართ ის ქალი, რომელიც ბატონობს თქვენზე, რომელიც თან მიგათრევთ, ის რომ გიყვარდეთ, მაშინ ჩემთანაც აღარ მოხვიდოდით. თქვენ იცოდით, რომ მამათქვენმა წერილი გამომიგზავნა; ადვილი წარმოსადგენი იყო, თუ რას გეტყოდით; თქვენთვის უსიამოვნო არ არის მოისმინოთ ჩემს ბაგეთაგან ის მოსაზრებები, რომლებსაც სულ მუდამ უსარგებლოდ უმეორებთ თქვენ თავს. ელენორას რეპუტაცია სრულიადაც არ არის უმწიკვლო.

— გთხოვთ, შევწყვიტოთ ეს უსარგებლო საუბარი, — ვუპასუხე მე. — უბედურ შემთხვევებს შეეძლო გავლენა მოეხდინა ელენორას ცხოვრების პირველ წლებზე; შემცდარი წარმოდგენის მეოხებით მასზე შეიძლება უარყოფითად იმსჯელონ; მე-კი უკვე სამი წელია ვიცნობ მას, ამ ქვეყნად არ არსებობს ესოდენ მაღალი სული, ესოდენ კეთილშობილი ხასიათი, ეგზომ წმინდა და სულგრძელი გული.

— როგორც გენებოთ, — სთქვა მან, — მაგრამ ყოველივე ეს ნიუანსებია, რასაც საზოგადოებრივი შეხედულება ასე ღრმად არა სჭვრეტს. ჩვენს წინ გარკვეული და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია. როცა იმათ გახსენებას მიშლით, ამით მათ მოსპობას ხომ არ ფიქრობთ? მომისმინეთ — განაგრძო მან. ამ ქვეყნად უნდა იცოდე, რა გწადია. თქვენ ხომ არ შეირთავთ ელენორას?

— არა, რასაკვირველია! — წამოვიყვირე მე, — ეგ თითონ მას არასოდეს არ სურვებია.

— მაშ, როგორლა უნდა მოიქცეთ? ის ათი წლით თქვენზე უფროსია. თქვენ ოცდა ექვსი წლისა ხართ, კიდევ ათ წელს იზრუნებთ მასზედ, ის მოხუცდება, თქვენ კი ცხოვრების ნახევარი გზა გექნებათ განვლილი; არაფერი გექნებათ დაწყებული, არაფერი გექნებათ დასრულებული, რაც შემდეგში დაგაკმაყოფილებდათ. თქვენ მოწყენილობა მოგიცავთ, იმას ცუდი განწყობილება დაეუფლება; დღითი დღე ის ნაკლებ სასიამოვნო გახდება თქვენთვის. თქვენ კი დღითი დღე აუცილებელი შეიქმნებით მისთვის და რა მოჰყვება შედეგად თქვენს წარჩინებულ წარმოშვებას, ბრწყინვალე მდგომარეობას, გამოჩენილ ჭკუას? თქვენ გაიყინებით პოლონეთის მივარდნილ კუთხეში, მეგობრებისაგან მივიწყებული, სახელისათვის დაკარგული, დატანჯული ქალისაგან, რომელიც რაც არ უნდა ჩაიდინოთ მისთვის, არასოდეს არ იქნება თქვენი კმაყოფილი. დავუმატებ ერთ სიტყვას კიდევ და აღარ დავუბრუნდები იმ თემას, რომელიც ასე გაღელვებთ. ყველა გზა თქვენთვის ხსნილია, ლიტერატურა, სამხედრო და სახელმწიფო სამსახური, შეგიძლიათ ყველაზე უფრო წარჩინებულ კავშირებზე იოცნებოთ. შექმნილი ხართ იმისათვის, რათა ყოველივეს მიაღწიოთ, მაგრამ გახსოვდეთ, თქვენსა და წარმატების ყველა სახეს შორის არსებობს ერთი გადაულახავი დაბრკოლება და ეს დაბრკოლება ელენორაა.

— მოვალე ვიყავი, ბატონო, მომესმინა თქვენთვის მდუმარეთ, — ვუპასუხე მე, მაგრამ უნდა გამოგიცხადოთ, რომ თქვენ სიტყვებს არავითარი მერყეობა არ გამოუწვევია ჩემში. ვიმეორებ, ჩემს გარდა, არავის შეუძლიან განსაჯოს ელენორა, არავის შეუძლია სათანადოდ შეაფასოს იმის გრძნობის გულწრფელობა და განცდების სიღრმე. დავრჩები მის გვერდით, სანამ საჭირო ვიქნები მისთვის. თუ მივატოვე და ის უბედური გახდა, არავითარი წარმატება სიმშვიდეს არ მომგვრის, და თუ მე ჩემი მოქმედება იმით უნდა განვსაზღვრო, რომ მისი დასაყრდენი ვიყო, თანაგრძნობა გავუწიო, გაჭირვებაში თანაგრძნობის ატმოსფერა შევქმნა, იმ მუხთალი საზოგადოების შეხედულე-

ბის წინააღმდეგ, რომელიც არ აფასებს მას, მაშინაც კი დარწმუნებული ვიქნები რომ ჩემი ცხოვრება ამაოდ არ მომიხმარია.

წარმოვთქვი ეს სიტყვები და გამოველ, ვის შეუძლიან ამიხსნას, თუ როგორ მოხდა, რომ გრძნობა, რომელმაც ეს სიტყვები მიკარნახა ჩემგან ვიდრე მათ ბოლომდე წარმოვთქვამდი. ქვეითად წავედი: მინდოდა შემეგვიანებინა ნახვა იმ ელენორასი, რომელსაც ეს იყო ვიცავდი. სწრაფად ჩავიარე ქალაქზედ, ვჩქარობდი მარტო დავრჩენილიყავ.

ქალაქ გარედ გავედი, ნაბიჯი შევანელე. ათასმა აზრმა შემიპყრო. ეს საბედისწერო სიტყვები: „თქვენსა და წარმატების ყველა სახეს შორის ერთი გადაულახავი დაბრკოლებაა და ეს დაბრკოლება ელენორაა“ გაისმოდა ჩემს გარშემო. ხანგრძლივად და სევდიანად გადავავლე თვალი იმ დროს, რომელმაც უკუმოუქცევლად გაირბინა; გავიხსენე ჩემი სიყმაწვილის იმედები, ის თვითრწმენა, რომლის მეოხებით მომავლის წარმართვას ვფიქრობდი, ჩემი პირველი ნაბიჯების შექება, ჩემი წარმატების განთიადი, რომელმაც, როგორც სჩანდა გაიელვა და მაშინვე გაჰქრა. ვიმეორებდი ჩემი სკოლის ზოგიერთ ამხანაგთა სახელებს, რომელთაც ქედმაღლური ზიზღით ვეპყრობოდი, მათ კი დაუცხრომელი შრომის და წესიერი ცხოვრების წყალობით წარმატების, პატივისცემის და დიდების გზაზე ძალიან შორს უკან დამტოვეს. სულს მიხუთავდა ჩემი უმოქმედობა. იმ ძუნწთა მსგავსად, რომლებიც დაგროვილ სიმდიდრეში ხედავენ ყველა იმ სიკეთეს, რასაც ისინი შეიძენდნენ, მე ელენორაში ვხედავდი ყველა იმ წარმატების დაკარგვის მიზეზს, რისი პრეტენზიაც შემეძლო მქონოდა. არ ვნანობდი ერთ რომელიმე სარბიელს. რადგან არც ერთი არ გამომეცადა, ყველაზე ვნაღვლობდი, ვინაიდან არ გამომიყენებია ჩემი ძალა, იგი უსაზღვროდ მქონდა წარმოდგენილი და ვწყევლიდი მას, მინდოდა ბუნებას სუსტი და უმნიშვნელო გავეჩინე, რათა თავიდან ამეცდინა საყვედური თავისითავის ნებაყოფლობით დამცირების შესახებ. ყოველი შექება, ჩემი გონების და ცოდნის მოწონება აუტანელ საყვედურად მეჩვენებოდა. ეს წაგავდა აღფრთოვანებას იმ მძლეოსანის მძლავრი მკლავების წინაშე, რომელიც ბორკილებით შებოჭილი ჯურღმულის სიღრმეში გდია. საკუთარი თავის გამხნევებას შევეცდებოდი, როცა ჩემს თავს ვეუბნებოდი, მოქმედების დრო ჯერ არ გასულა მეთქი, მაშინვე ელენორას სახე მოჩვენებასავით აღიმართებოდა ჩემს წინ და კვლავ უფსკრულისაკენ მიმაქანებდა. მის მიმართ მძვინვარებას ვგრძნობდი, მაგრამ საკვირველია, რომ ეს მძვინვარება არ ამცირებდა შიშს, ვაი თუ მას რაიმე ვაწყენინო მეთქი.

ამ მწარე გრძნობებისაგან დაღლილმა სულმა უეცრად საწინააღმდეგო გრძნობებში დაიწყო თავშესაფრის ძებნა. ბარონ ტ-ს მიერ შემთხვევით წარმოთქმული სიტყვა ტკბილი და მშვიდი კავშირის შესაძლებლობის შესახებ დამეხმარა შემექნა იდეალი ჩემი თანამგზავრი ქალისა, ვფიქრობდი მოსვენებაზე, საზოგადოების პატივისცემაზე და თვით დამოუკიდებლობაზეც, რასაც ასეთი ბედი მომანიჭებდა, რადგან ის ბორკილები, რომლებსაც ამდენხანს ვათრევდი ათასჯერ უფრო დამოკიდებულს მხდიდა ვიდრე ეს შეეძლო შეექმნა მოკრძალებულ და საყოველთაოდ აღიარებულ კავშირს. წარმოვიდგინე მამიჩემის სიხარული. დაუძლეველმა სურვილმა შემიპყრო სამშობლოში და ჩემს თანასწორთა საზოგადოებაში კვლავ ღირსეული ადგილი დამეჭირა. ჩემი თავი წარმოვიდგინე ადამიანად, რომელიც მკაცრი და უმწიკვლო ყოფაქცევით პასუხს აძლევდა ყველა იმ მსჯელობას, რომელსაც ჩემს წინააღმდეგ ცივი, ქარაფშუტა სიბოროტე წარმოსთქვამდა, ყველა იმ საყვედურს, რომლითაც ელენორა მავსებდა.

იგი მუდამ მამტყუნებს, — ვეუბნებოდი ჩემს თავს, — სიტლანქისა, უმადურობისა და შეუბრალებლობისათვის. ოჰ, ზეცას რომ ეჩუქებინა ჩემთვის ისეთი მეუღლე, რომლის აღიარების ნებას საზოგადოებრივი პირობები მომცემდნენ, რომელსაც მამაჩემი გაუწითლებლად ქალიშვილივით მიიღებდა, და ათასჯერ ბედნიერი ვიქნებოდი, გამეხადა ისიც ბედნიერი, ეს მგრძნობიარება, რომელიც არა სწამთ, რადგან იგი იტანჯება და შეურაცყოფილია, მგრძნობიარება, რომლისგანაც დაჟინებით მოითხოვენ დასაბუთებას, ჩემი გული კი უარს აცხადებს მრისხანებისა და მუქარის გამო,—რა ტკბილი იქნებოდა მივცემოდი ძვირფას არსებასთან, თანამგზავრთან ერთად წესიერსა და პატივცემულ ცხოვრებას! რა არ ჩავიდინე ელენორასთვის? მივატოვე ჩემი ქვეყანა და ჩემი ოჯახი, მისთვის შეურაცხვყვე მოხუცი მამის გული, რომელიც ჩემგან განშორებული კვნესის; მისთვის ვცხოვრობ აქ, სადაც ჩემი სიყმაწვილე ერთნაირად უსახელოდ, უპატივცემლოდ და სიამოვნების გარეშე მიმდინარეობს. განა გრძნობის ამდენი მსხვერპლი, უმოვალეობოდ და უსიყვარულოდ გაღებული, არ მოწმობს, რას ჩავიდენდი თუ სიყვარულისა და მოვალეობის გრძნობით ვიქნებოდი გამსჭვალული. თუ კი მაშინებს იმ ქალის ტანჯვა, რომელიც მხოლოდ თავისი მწუხარებით მეუფლება, როგორი მზრუნველობით განვდევნიდი ყოველგვარ ჯავრს, მწუხარებას იმ ქალისაგან, რომელსაც აშკარად, სინანულის გარეშე მთლიანად მივცემდი ჩემს თავს? როგორ გამოვიცვლებოდი, როგორ სწრაფად გამშორდებოდა ეს ნაღველი, რომელიც ბოროტმოქმედებად მიაჩნიათ, რადგან მისი სათავე არ იციან? როგორი მადლიერი ვიქნებოდი ზეცისა და კეთილის მდომი ადამიანებისა.

ამნაირად ვესაუბრებოდი ჩემს თავს. ჩემი თვალები ცრემლმა შენამა. ათასი მოგონება ნიაღვარივით შევიდა ჩემს სულში. ჩემმა კავშირმა ელენორასთან, ეს მოგონებები შემზარავი გახადა. ყოველივე ის, რაც ბავშვობას მაგონებდა, ის ადგილები, სადაც ჩემი ცხოვრების პირველი წლები მიმდინარეობდნენ, ჩემი პირველი თამაშობის ამხანაგები, ძველი ნათესავები, რომლებმაც ჩემდამი ყურადღების პირველი ნიშნები უხვად გამოიჩინეს. ყოველივე ეს გულს მისერავდა და ბუნებრივი სურვილები, ვით ბოროტი აზრები ასე უეცრად შექმნა ჩემმა წარმოდგენამ, შეუერთდა ყველა ამ სახეს და ყველა ჩემს სურვილს! იგი იწონებდა, ინაწილებდა ყველა ჩემს ვალდებულებას, ჩემს სიამოვნებას, ჩემს გეშოვნებებს; იგი აკავშირებდა ჩემს აწინდელ ცხოვრებას ჩემი სიყმაწვილის იმ ასაკთან, როდესაც იმედი ფართო მომავალს შლიდა ჩემს წინაშე, ელენორამ თითქოს უფსკრულით დამაშორა ამ ასაკს. თვით წვრილმანებიც, უმცირესი საგნებიც აღსდგნენ ჩემს მეხსიერებაში; მე ეხედავდი ტყით გარშემორტყმულ ძველებურ ციხე-კოშკს სადაც მამასთან ერთად ვცხოვრობდი, მდინარეს, რომელიც ეხეთქებოდა მისი კლდეების ძირს, მთებს, რომელიც არშიად ევლებოდა ჰორიზონტს. ყველა ეს საგნები ისე ახლო, ისე სიცოცხლით სავსე მეჩვენებოდა, რომ ტანში ჟრუანტელი მივლიდა რის დაძლევასაც ძლივს ვახერხებდი. ჩემმა ფანტაზიამ მათ გვერდით უმანკო და ახალგაზრდა არსება დააყენა, რომელიც იმედით ამშვენებდა და აცხოველებდა ყოველივეს. ამ ოცნებაში ჩანთქმული, დავეხეტებოდი, არავითარი განსაკუთრებული გეგმა არ მქონია, მხოლოდ ჩემს თავს არ ვეუბნებოდი რომ უნდა განშორდე ელენორას მეთქი. სინამდვილეზე მხოლოდ ყრუ და ბუნდოვანი წარმოდგენა გამაჩნდა, იმ ჯავრით დათრგუნვილი ადამიანის მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, რომელმაც ძილში ზმანებით დაიმშვიდა თავი და რომელიც წინასწარ სჭვრეტს, რომ ეს ზმანება მალე დასრულდება. უეცრად ჩემს თვალწინ, ელენორას ციხე-კოშკი გამოჩნდა, რომელსაც შეუმჩნევლად მივუახლოვდი. შევჩერდი, სხვა გზით გავემართე,

ჩემთვის ბედნიერება იყო მომეშორებინა ის წუთი, როცა კვლავ მის ხმას მოვისმენდი.

დღე იწურებოდა. ცა მოწმენდილი იყო, მინდვრები დაცარიელებული, ადამიანებს მუშაობა დაესრულებინათ. ბუნება მის ნებაზე მიეშვათ. ჩემმა აზრებმა თანდათან უფრო მნიშვნელოვანი და დიადი ელფერი მიიღო. ღამის ჩრდილები ნელ-ნელა ჩამოწვნენ, ღრმა მდუმარება, რომელიც გარს მეხვია, იშვიათი და შორეული ხმებით წყდებოდა. ამან ჩემს წარმოდგენაში უფრო მშვიდი და უფრო ზეიმური გრძნობები გამოიწვია. თვალი გადავავლე ნაცრისფერ ჰორიზონტს, რომლის დასალიერს ველარ ვამჩნევდი და რომელიც უსაზღვროების შეგრძნობას მაძლევდა. უკვე კარგა ხანია მსგავსი არაფერი განმეცადა; რადგან გამუდმებით პირად განცდებში ვიყავი ჩაფლული, ჩემი ყურადღება მუდამ მიმართული იყო ჩემი მდგომარეობის გათვალისწინებისაკენ, ჩემთვის უცხო იყო ყოველგვარი ზოგადი აზრი; შეპყრობილი ვიყავ მარტოდენ ელენორათი და ჩემი თავით. ელენორა ჩემში იწვევდა მხოლოდ დაღლილობასთან ერთად არეულ სიბრალულის გრძნობას; ხოლო ჩემი თავის მიმართ არავითარი პატივისცემა აღარ მქონდა. დამცირებული ვიყავ საკუთარი თავის წინაშე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი ეგოიზმის გამომჟღავნებით, იმ ეგოიზმის, რომელიც მოკლებული იყო სიმხნევეს, უკმაყოფილო და დამცირებული იყო. მოხარული ვიყავ, რომ სხვა ჯურის აზრებს დავუბრუნდი, რომ შემეძლო ჩემი თავი დამევიწყა და უანგარო ფიქრებს მივცემოდი. ჩემმა სულმა თითქოს მაღლა აიწია. ხანგრძლივი და სამარცხვინო დამცირებისაგან.

მთელმა ღამემ ამნაირად გაიარა. უმიზნოდ დავეხეტებოდი: გადავიარე ველები, ტყეები, სოფლები, საცა ყოველივე უმოძრაოდ იყო. დროდადრო სადმე სახლში ვარჩევდი მკრთალ შუქს, რომელიც წყვდიადში ელვარებდა. — იქ ვამბობდი ჩემს გულში, შეიძლება რომელიმე უბედური მწუხარებისაგან იტანჯება, ან და ებრძვის სიკვდილს, ამ აუხსნელ საიდუმლოებას, რომელსაც, ყოველდღიური გამოცდილების მიუხედავად ვერ ურიგდება ადამიანი. ეს უტყუარი დასასრული არც გვანუგეშებს და არც გვაწყნარებს. იგი ჩვეულებრივი უზრუნველობის და წარმავალი შიშის საგანია. მეც, — განვაგრძობდი კვლავ ფიქრს, — მეც ვეძლევი ამ უგნურ არა თანამიმდევრობას! სიცოცხლის წინააღმდეგ ალვდექი, თითქოს სიცოცხლე არ დასრულდება. მე ჩემს გარშემო უბედურებას ვავრცელებ, რათა ბრძოლით ხელში ჩავიგდო ეს საცოდავი წლები, რომლებსაც დრო სულ მალე წამართმევს! ოჰ! უარვყოთ ეს უსარგებლო ძალდატანება! სიხარულით ვუცქიროთ, როგორ გარბის დრო, როგორ მისდევენ ჩემი დღეები ერთი მეორეს. ვიცხოვროთ უმოძრაოდ, ვით სანახევროდ განვლილი არსებობის გულგრილი დამკვირვებელნი, დეე დაეუფლონ, დეე დაჰგლიჯონ, ამით ვერ გაახანგრძლივებენ მას! ღირს განა ამაზე დავა?

სიკვდილის იდეას ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა ჩემზე, მას შეეძლო თვით ჩემი მეტად აღგზნებული გრძნობების მყის დამშვიდება. ეხლაც ჩემს სულზე მან დიდი გავლენა მოახდინა. ჩემი განწყობილება ელენორასადმი ნაკლებად მწვავე გახდა, ჩემი გაღიზიანება გაჰქრა. ამ ბოდვიანი ღამისაგან შემრჩა მარტოდენ ტკბილი და თითქმის შვების მომცემი გრძნობა. შესაძლებელია ამ სიმშვიდეს ხელს უწყობდა ჩემს მიერ განცდილი ფიზიკური დაღლაც.

დღე იწყებოდა; უკვე ვარჩევდი საგნებს. დავრწმუნდი, რომ ჯერ საკმაოდ შორს ვიყავ ელენორას სახლიდან. წარმოვიდგინე მისი შეწუხება, საჩქაროდ გავემართე მისკენ რამდენათაც ამის ნებას დაღლილობა მაძლევდა. შევხვდი ცხენოსანს, იგი ჩემს საძებრად გამოეგზავნა. მან მიამბო, უკვე თორმეტი საათია, რაც ელენორა დიდ შიშში იმყოფებაო; ის ვარშავაში იყო, გარეუბნები

მოიარა და ძალზე აღელვებული დაბრუნდაო. სოფლის მცხოვრებლები განაპირა უბნებში დაიფანტნენ თქვენს მოსაძებნადო.

ამ ამბავმა დიდათ გამაღიზიანა, გულის წყრომამ შემიპყრო, დავფიქრდი, თუ რა მაბეზარი მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფებოდი. ამაოდ ვიმეორებდი, რომ ამის ერთადერთი მიზეზი სიყვარული იყო. განა ეს სიყვარულივე ჩემი უბედურობის მიზეზიც არ იყო? მიუხედავად ამისა, მოვახერხე დამეძლია ის გრძნობა, რაშიაც საკუთარ თავს ვუსაყვედურებდი. ვიცოდი, რომ იგი აცრემლებული და შეწუხებული იქნებოდა, ცხენზე შევჯექ და სწრაფად გავიარე ის მანძილი, რომელიც ერთმანეთს გვაშორებდა. ელენორა გამოუთქმელი სიხარულით შემომეგება, მისმა აღელვებამ მეც ამაღელვა. ჩვენი საუბარი მოკლე იყო. მითხრა, მოსვენება გესაჭიროებაო, ისე დავშორდი, რომ არაფერი მითქვამს, რასაც შეეძლო მისი გულის შეშფოთება.

თავი VIII

როცა მეორე დღეს დილით ავდექი, თან ამყვნენ იგივე აზრები, რომელნიც წინა დღეს მაშფოთებდნენ. ჩემი მღელვარება შემდეგ დღეებში გაორკეცდა. ელენორა ამაოდ ცდილობდა ამის მიზეზის გამორკვევას: მის ცხარე კითხვებზე ძალდატანებულს, ერთმარცვლოვან პასუხს ვაძლევდი. მის დაჟინებას ვეწინააღმდეგებოდი, რადგან კარგად ვიცოდი, რომ ჩემს გულწრფელობას მისი მწუხარება მოყვებოდა, ხოლო ეს მწუხარება ჩემში ახალ გულდახშულობას გამოიწვევდა.

შეწუხებულმა და გაკვირვებულმა მან თავის ერთერთ მეგობარ ქალს მიმართა, რათა გაეხსნა ის საიდუმლოება, რომლის დაფარვასაც მე მაწერდა. მას თითქო სწადდა რომ შემცდარიყო, ის დაეძებდა ფაქტს, იქ სადაც მარტოდენ გრძნობა იყო. ელენორას მეგობარმა მელაპარაკა ჩემს უცნაურ განწყობილებაზე, ჩემს ცდაზე უკუმეგდო ყოველგვარი იდეა მტკიცე კავშირის შესახებ, ჩემს აუხსნელ სურვილზე განშორების და განმარტოების შესახებ. კარგა ხანს ვუსმენდი მდუმარე; მანამდე არავისთვის მეთქვა, რომ ელენორა აღარ მიყვარდა. ჩემი პირი ერიდებოდა ამ აღიარებას, რომელიც მუხანათობად მეჩვენებოდა. მომინდა თავის გამართლება, კრძალვით ვუამბე ჩემი თავგადასავალი, ძალიან ვაქებდი ელენორას, აღვნიშნავდი ჩემი საქციელის არათანამიმდევრობას, ყოველივეს ჩვენი მდგომარეობის სიძნელეს ვაბრალებდი. ჩემს თავს ნება არ მივეცი თუნდ ერთი სიტყვა წარმომეთქვა ისეთი, რაც ცხადჰყოფდა, რომ ჩემის მხრიდან ნამდვილი სიძნელე სიყვარულის უქონლობის შედეგი იყო. ჩემი მოსაუბრე ქალი ააღელვა ჩემმა მოთხრობამ. მან სულგრძელობა დაინახა იმაში, რასაც მე სისუსტეს ვუწოდებდი, ხოლო უბედურება იმაში, რასაც მე სისასტიკედ ვრაცხდი. იგივე განმარტება, რომელსაც ვნებიანი ელენორა მძვინვარებაში მოყავდა, მის მიუდგომელი მეგობრის გონებას დამარწმუნებლად ეჩვენებოდა.

ჩვენ სამართლიანად ვსჯით, როდესაც დაინტერესებულნი არა ვართ, ვინც უნდა იყოთ, ნურასოდეს ნუ გაანდობთ სხვას თქვენი გულის ინტერესებს; მარტო საკუთარ გულს შეუძლიან დაიცვას ისინი. მარტო ის ერთი გრძნობს თავის ჭრილობებს; ყოველი შუამავალი მსაჯული ხდება; ის ანალიზს აკეთებს, გარიგებას ახდენს, გულგრილად მსჯელობს; ის აღიარებს გულგრილობის შესაძლებლობას, მისატევებლად სთვლის მას, ბოლოს გულგრილობა, ყოველი ბოლოდინის წინააღმდეგ მისატევებელი ხდება მის თვალში.

ელენორას საყვედურებმა დამარწმუნეს, რომ ყველაფერში მე ვიყავი დამნაშავე, ქალმა კი, რომელიც მის დაცვას ფიქრობდა განმიცხადა, რომ მე მარტოდენ უბედური ვიყავი. მე გატაცებით შევუდექი ჩემი გრძნობების სრულ აღსარებას: ვაღიარე, რომ ელენორას მიმართ ერთგულების, სიმპატიის, სიბრალულის გრძნობას განვიცდიდი; მაგრამ თანაც დავუმატე, რომ სიყვარული არ შედიოდა იმ მოვალეობაში, რომელიც ჩემს თავს დავაკისრე. ამ ჭეშმარიტებამ, რომელიც აქამდე გულში მქონდა ჩამარხული და მხოლოდ სულიერი შეშფოთებისა და გაჯავრების დროს რამდენჯერმე გავუმხილე ელენორას, ეხლა ჩემს თვალში მეტი დამაჯერებლობა და ძალა მოიპოვა, — რადგან მისი მესაიდუმლე ეხლა სხვა გახდა. ეს დიდი ნაბიჯია და გაუსწორებელი ნაბიჯი, როდესაც ჩვენ უეცრად მესამე პირის თვალწინ, ჩვენი ინტიმური ურთიერთობის იდუმალ ხვეულებს ვააშკარავებთ. შუქი, რომელიც იჭრება ამ წმინდათაწმინდა ტაძარში, ადასტურებს და ასრულებს იმ ნგრევას, რომელსაც ღამე თავის ჩრდილებით ფარავდა. ასევე მოსდით აკლდამაში მოთავსებულ სხეულებს. ისინი ხშირად ინარჩუნებენ თავის პირველყოფილ ფორმას, სანამ გარედან ჰაერი არ შეეხება და მტვრად არ გადააქცევს მათ.

ელენორას მეგობარი წავიდა, არ ვიცი, როგორ გადასცა მან ჩვენი საუბარი, მაგრამ როცა სალონს მივუახლოვდი, ელენორას აღელვებული ხმა მომესმა; როგორც კი შემამჩნია, მაშინვე გაჩუმდა. შემდეგ ის შეეცადა სხვადასხვა ფორმაში გამოეხატა ზოგადი იდეები, რომელნიც ჩემზე თავდასხმას წარმოადგენდნენ. — არაფერია იმაზე უცნაური, — სთქვა მან, როგორც ზოგიერთი მეგობრის გულმოდგინეობა; არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ თქვენი ინტერესები დაიცვან; რათა უკეთ უღალატონ თქვენს საქმეს; ისინი ამას გრძნობიარობას უწოდებენ, მე სიძულვილს ვამჯობინებდი. ადვილად მივხვდი, რომ ელენორას მეგობარს უნებურად ჩემთვის მხარი დაეჭირა მის წინააღმდეგ და ის გაელიზიანებინა იმით, რომ საკმაოდ დამნაშავედ არ ჩავეთვალე. ამის შემდეგ უფრო გულდაუჯერებლად ვგრძნობდი თავს, რადგან ელენორას წინააღმდეგ მხარის დამჭერი აღმოჩნდა. ამ გარემოებამ ჩვენს გულებს შორის კიდევ ერთი ზღუდე აღმართა.

რამდენიმე დღის შემდეგ ელენორა კიდევ უფრო შორს წავიდა: იგი სრულიად ვეღარ ახერხებდა თავის შეკავებას, როგორც კი მოეჩვენებოდა რომ ჩვილის საგანი აქვს, მყისვე ყოველი სიფრთხილისა და ანგარიშიანობის გარეშე ახსნა-განმარტებაზე გადადიოდა. იგი განხეთქილების საშიშროებას ამჯობინებდა ძალდატანებულ კეკემალულობიას. ის და მისი მეგობარი ისე წაიჩხუბნენ, რომ სამუდამოთ დაშორდნენ ერთმანეთს.

— რისთვის უნდა ჩავრიოთ ჩვენს ინტიმურ დავაში უცხო პირნი? — უთხარი ელენორას. განა მესამე პირი გვჭირდება იმისათვის, რომ ერთმანეთი გავიგოთ? და თუ ერთმანეთის გაგება აღარ ძალგვიძს, რა დახმარება შეუძლია გაგვიწიოს მესამე პირმა?

— თქვენ მართალი ხართ — მიპასუხა მან, მაგრამ ეს თქვენი ბრალია; უწინ მე არავისთვის არ მიმიმართავს, რათა თქვენს გულამდე მიმეღწია.

უეცრად ელენორამ გამოაცხადა განზრახვა თავისი ცხოვრების წესის შეცვლის შესახებ. მისი სიტყვებიდან მე გავარკვიე, რომ იმ უკმაყოფილებას, რომელიც მე მღრღნიდა, ის ჩვენი განმარტოებული ცხოვრებით ხსნიდა. მას უნდოდა ყველა ყალბი განმარტება ამოეწურა, ვიდრე ჭეშმარიტებას აღიარებდა. ჩვენ ერთფეროვან საღამოებს მარტოდ მარტონი ვატარებდით მდუმარენი და უგუნებონი, ხანგრძლივი საუბრის წყარო დაიშრიტა.

ელენორამ გადასწყვიტა დაეახლოვებინა მეზობლად მცხოვრები ან ვარშავაში მყოფი კეთილშობილთა ოჯახები. მე ადვილად გავითვალისწინე მისი ცდის დაბრკოლებანი და საშიშროებანი. ნათესავებმა, რომლებიც ელენორას მემკვიდრეობას ელოდებოდნენ, მისი წარსული ცთომილებანი გამოამეორებენ და ათასნაირი ცილის წამება გაავრცელეს მის წინააღმდეგ. მე მაძრწუნებდა ის დამცირება, რომელიც მას უნდა გადაეტანა. ვცდილობდი გადამეთქმევინებინა მისთვის ეს განზრახვა. ჩემი მოსაზრებები უსარგებლო გამოდგა. მე ჩემი შიშით შეურაცყოფა მივაყენე მის ქედმაღლობას, თუმცა სიფრთხილით გამოვთქვამდი ამას. ელენორამ წარმოიდგინა, რომ ჩვენი ასეთი ურთიერთობა მე მაშფოთებდა, რადგან იმისი ცხოვრება ორაზროვანი იყო. ამიტომაც კიდევ უფრო მეტად შეეცადა საპატიო ადგილი დაეჭირა საზოგადოებაში. მის ცდას რამდენადმე წარმატებაც მოყვა: ქონება, რომლითაც იგი სარგებლობდა, სილამაზე, რომელიც დროს მხოლოდ ოდნავ შეებღალა, ხმები მისი თავგადასვლის შესახებ, ყოველივე ეს ცნობისმოყვარეობას იწვევდა. სულ მალე მის გარშემო თავი მოიყარა მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ; მაგრამ მას მაინც შეკრთომისა და მოუსვენრობის იდუმალი გრძნობა სდევნიდა.

მე უკმაყოფილო ვიყავი ჩემი მდგომარეობით, მან წარმოიდგინა, რომ მე უკმაყოფილო ვიყავი იმისი მდგომარეობით და აღელვებულმა მოიწადინა ამ მდგომარეობიდან გამოსვლა; აღზნებული სურვილი არ აძლევდა ნებას გაეთვალისწინებინა ყოველივე. ყალბი მდგომარეობა მის ყოფაქცევას უსწორმასწოროს ხდიდა, ხოლო მის მოქმედებას ნაჩქარევს. ელენორას ქონდა ზუსტი, მაგრამ ნაკლები გაქანების გონება; მისი გონების სიზუსტე დამახინჯებული იყო, მისი ხასიათის სიფიცხით, ხოლო ვიწრო გაქანება ხელს უშლიდა შეენიშნა უფრო მარჯვე საშუალება და აეთვისებია ნატიფი ნიუანსები. ცხოვრებაში პირველად გაუჩნდა მიზანი; და რადგან სულწასული მიილტვოდა მისკენ ვერ მიაღწია მას. რამდენ უსიამოვნებას იტანდა იგი, ისე რომ ამის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს. რამდენჯერ გავწითლებულვარ ელენორას გამო, მაგრამ ძალა არ შემწევდა მეთქვა მისთვის ყოველივე! ასეთია ადამიანთა შორის თავშეკავების და ტაქტის გაგება, რომ ის წინათ, როგორც გრაფ პ***-ის საყვარელი მეტს პატივისცემას ღებულობდა გრაფის მეგობრებისაგან, ვიდრე დღეს, როგორც დიდი ქონების მემკვიდრე თავისი ვასალებისაგან. ხან ზვიადი, ხან ქედმოხრილი, ხან ყურადღებიანი, ხან ხუსტურიანი თავის მოქმედებასა და სიტყვებში ისეთ გამანადგურებელ ძალას ატარებდა, რომ სპობდა მოკრძალებას, რომელიც სიმშვიდისაგან წარმოიშვება.

ავლნიშნავ რა ელენორას ნაკლს, ვამტყუნებ და ვასამართლებ საკუთარ თავს; ერთ ჩემს სიტყვას შეეძლო მისი დამშვიდება: რატომ არ წარმოვთქვი ეს სიტყვა?

მიუხედავად ამისა, ჩვენ უფრო მშვიდად ვცხოვრობდით; გართობა ჩვეულებრივ აზრებს გვიყუჩებდა, მხოლოდ დროგამოშვებით ვრჩებოდით მარტონი. რადგან ჩვენი ინტიმური გრძნობების გამოკლებით უსაზღვრო ნდობა გვქონდა ურთიერთისადმი. ჩვენ ამ გრძნობათა ადგილას დაკვირვებას და ფაქტებს ვაყენებდით და ჩვენმა საუბარმა ერთგვარი მომხიბვლელობაც მიიღო. მაგრამ ცხოვრების ეს ახალი სახე, ჩემთვის ახალი დაბნეულობის წყაროდ გადაიქცა, დაკარგულმა ბრბოში, რომლითაც ელენორა იყო გარემოცული, შევამჩნიე, რომ განცვიფრების და კილვის საგანი გავხდი.

ახლოვდებოდა პროცესის დრო: ელენორას მოწინააღმდეგენი აცხადებდნენ, რომ მან თავისი უამრავი ცთომილებით ხელი ჰკრა მამის გულს; ჩემი იქ ყოფნაც მათ მოსაზრებებს ადასტურებდა. ელენორას მეგობრები მისაყვედურე-

ბდნენ, რომ ზიანი მომქონდა მისთვის, ისინი მას უტევებდნენ მის ვნებას ჩემს მიმართ, მაგრამ მე უთავაზიანობას მიკიჟინებდნენ. როგორც ისინი ამბობდნენ მე ბოროტად ვიყენებდი გრძნობას, რომელიც უნდა შემესუსტებინა. მე ვიცოდი მხოლოდ, ელენორას რომ გავშორებოდი უსათუოდ უკან გამომყვებოდა და უგულებელჰყოფდა ზრუნვას ქონებაზე და ყოველგვარი სიფრთხილის ანგარიშებს. მაგრამ მე არ შემეძლო საზოგადოებისათვის ეს საიდუმლოება გამეხილა; ამნაირად ელენორას სახლში მე მავნე უცხოელად მივაჩნდით, რომელსაც ზიანი მოჰქონდა იმ საქმეების წარმატებისათვის, რასაც შეეძლო ელენორას ბედის გადაწყვეტა. ჭეშმარიტების უცნაური დამახინჯების წყალობით ივ დროს, როცა მე მისი უდრეკი ნებისყოფის მსხვერპლი ვიყავი, მას იცოდნენ, როგორც ჩემი ზემოქმედების მსხვერპლს.

ახალმა გარემოებამ უფრო მეტად გაართულა ეს მძიმე მდგომარეობა. ელენორას საქციელსა და მოქმედებებში უეცრად საკვირველი გარდატეხა მოხდა. აქამდე ის მხოლოდ ჩემით იყო გატაცებული; უცბათ შევნიშნე, რომ იგი ლებულობდა და ეძებდა იმ მამაკაცთა ყურადღებას, რომელნიც გარს ერტყნენ. ამ ქალის თავშეკავებული, ცივი და მოლრუბლული ხასიათი თითქოს უეცრად შეიცვალა. ის თითქო აქეზებდა ჭაბუკთა ჯგუფის გრძნობებსა და იმედებს. ზოგიერთნი მოხიბლულნი იყვნენ იმისი გარეგნობით, მეორენი მიუხედავად მისი წარსული შეცდომებისა, სერიოზულად ლამობდნენ მის ცოლად შერთვას. ის ნებას აძლევდა მათ განმარტოებული ხანგრძლივი შეხვედრისა. ის მათთან ურთიერთობაში იყენებდა იმ გამოურკვეველ, მაგრამ მომხიბლავ ფორმებს, რომლის შემწეობით ქალი ნაზად უარს ამბობს, რათა სთქვას ჰო და რომელშიაც უფრო გაუბედაობა იხატება, ვიდრე გულგრილობა, უფრო დაგვიანება, ვიდრე უარის თქმა.

დაბოლოს, მე ელენორასაგან გავიგე და ფაქტებმაც დამიმტკიცეს, რომ ის ყალბი და უკულმართი ანგარიშით იქცეოდა ამნაირად: მას იმედი ჰქონდა რომ გააცხოველებდა ჩემს სიყვარულს და ჩემში მეშურნეობას აღძრავდა. მაგრამ ეს იყო მთლად ჩაფერფლილი ცეცხლის ხელახლა ანთების ცდა. შეიძლება ამ ანგარიშიანობას ქალის შეუგნებელი პატივმოყვარეობაც ემატებოდა; ის ჩემი გულგრილობით შეურაცყოფილი იყო, მას უნდოდა თავის თავისათვის დაემტკიცებინა, რომ შეიძლება კიდევ მოსწონებოდათ იგი. იქნებ ბოლოს, იმ მარტოობაში, რომელშიაც მე იმის გულს ვტოვებდი იგი ერთგვარ დამშვიდებას პოულობდა, ისმენდა რა სიყვარულის სიტყვებს, რომელიც კარგა ხანია მე აღარ წარმომითქვამს.

რაც უნდა იყვეს რამდენიმე ხნის განმავლობაში მე ვტყუვდებოდი მისი მოტივების შესახებ. მე ბუნდოვანად დავინახე ჩემი მომავალი თავისუფლების ცისკარი; ამიტომ ერთგვარ ბედნიერებას ვგრძნობდი, რადგან ვშიშობდი რაიმე მოუფიქრებელი მოძრაობით არ შემეჩერებინა ეს დიდი გარდატეხა, რომელსაც ჩემს განთავისუფლებას ვუკავშირებდი. უფრო მშვიდი და უფრო კმაყოფილი გამოვიყურებოდი. ელენორამ ჩემი სიმშვიდე—სინაზედ მიიჩნია, ხოლო ჩემი იმედი იგი ბოლოს უჩემოდ ბედნიერი მენახა, სურვილად — იგი თვით გამებედნიერებინა. ელენორა კმაყოფილი იყო თავისი სამხედრო ოინით. ხანდისხან შეშფოთდებოდა ხოლმე, როდესაც ჩემში ვერავითარ წუხილს ვერ ამჩნევდა. მისაყვედურებდა რატომ წინაალმდეგობას არ ვუწევდი იმ კავშირებს, რომელნიც როგორც ეტყობოდა მის წართმევას მემუქრებოდნენ. ელენორას ბრალდებას ოხუნჯობით უკუვაქცევდი, მაგრამ ყოველთვის ვერ ვახერხებდი მის დამშვიდებას. მისი ხასიათი მაინც გამოკრთოდა იმ თვალთმაქცობაში, რომელსაც იგი თავის თავს ახვევდა. ჩვენ სხვა ნიადაგზე ვიწყებდით არა ნაკ-

ლებ მძაფრ უთანხმოებას. ელენორა მაწერდა საკუთარ შეცდომებს. ის გადაკვრით მაგრძნობინებდა, რომ ერთად ერთი სიტყვა კვლავ დამიბრუნებდა მას მთლიანად; შემდეგ ჩემი მდუმარებით შეურაცყოფილი, კვლავ ერთხელ გააფთრებით იწყებდა ახალ სიკეკლუცეს.

ვგრძნობ, შეიძლება უმთავრესად აქ გამამტყუნონ ჩემს სისუსტეში. მინდოდა თავისუფალი ვყოფილიყავი და მე შემეძლო ეს მომეხდინა ისე, რომ ყველა მომიწონებდა. იქნებ ასეც უნდა მოვქცეულიყავი, რადგან ელენორას საქციელი ნებას მაძლევდა და თითქოს მაიძულებდა ამას. მაგრამ განა არ ვიცოდი, რომ ეს საქციელი ჩემით იყო გამოწვეული? განა არ ვიცოდი, რომ გულის სიღრმეში ელენორას მუდამ ვუყვარდი? განა შემეძლო დამესაჯა იმ გაუფრთხილებლობისათვის, რის ჩადენაც თვითონ მე ვაიძულე, და ცივი პირფერობით მომეძებნა ამ გაუფრთხილებლობაში საბაბი, რათა შეუბრალებლად დამეტოვებინა ის?

რასაკვირველია, არ შემიძლია თავის გამართლება, მე ჩემს თავს უფრო მკაცრად ვგმობ, ვიდრე ამას სხვა მოიმოქმედებდა ჩემს ადგილას. ყოველ შემთხვევაში, შემიძლიან ხმამაღლა ვაღვიარო, რომ ანგარიშიანობის თვალსაზრისით არასოდეს არ მიმოქმედნია, და რომ ყოველთვის ჩემს თავს გულწრფელი და ბუნებრივი გრძნობა მართავდა. როგორ მოხდა, რომ ასეთი გრძნობებით მე ასე დიდხანს მომქონდა მარტოდენ უბედურება ჩემთვის და სხვისათვის?

საზოგადოება მაინც გაკვირვებული მადევნებდა თვალყურს; ელენორასთან ჩემი ყოფნა შეიძლებოდა ახსნილიყო მხოლოდ განსაკუთრებული ერთგულების გრძნობით, მაგრამ ჩემი გულგრილი დამოკიდებულება იმ კავშირებისადმი, რომელშიაც იგი მზად იყო შესულიყო, უარყოფდა ამ ერთგულების გრძნობას. ჩემს აუხსნელ მოთმინებას აწერდნენ უპრინციპობას, მორალისადმი დაუდევრობას, რომელიც ახასიათებს ღრმა ეგოისტს, საზოგადოების მიერ გარყვნილ ადამიანს. ასეთი მოსაზრებები მით უფრო ახდენდნენ შთაბეჭდილებას, რომ ისინი შეესაბამებოდნენ იმათ სულს, ვინც მათ ქმნიდა, უსმენდა და ავრცელებდა.

ბოლოს ამ ხმამ ჩემამდეც მოაღწია, აღშფოთებული ვიყავი ამ მოულოდნელი აღმოჩენით: ჩემი დიდი ხნის სამსახურის ჯილდო ის იყო, რომ ჩემი ვერ გაიგეს, ცილიც დამწამეს. ამ ქალისათვის დავივიწყე ყველა ინტერესი, უკუ ვაგდე ცხოვრების ყველა სიხარული, და მევე მამტყუნებდნენ.

ელენორასთან ცხარე შეტაკება მომიხდა: მისმა ერთმა სიტყვამ გაჰფანტა ის ბრბო თაყვანისმცემლებისა, რომლებიც იმისთვის იქნენ მოწვეულნი, რომ ელენორას დაკარგვის შესაძლებლობით დავშინებულიყავი. მან შეამცირა თავისი საზოგადოება და რამდენიმე მანდილოსნით და ხანში შესული მამაკაცით განსაზღვრა. ყოველივემ ჩვენს გარშემო რიგიანი გარეგნობა მიიღო; მაგრამ ამისაგან ჩვენ უფრო უბედურნი გავხდით: ელენორა ახალ უფლებებს მოითხოვდა, მე კი ახალი ბორკილებით შებოჭვილად ვგრძნობდი თავს.

არ შემიძლია აღვწერო თუ რა სიმწარესა და გააფთრებამდე მიგვიყვანა ამ აწეწილ-დაწეწილმა ურთიერთობამ. ჩვენი ცხოვრება დაუსრულებელ ქარიშხლად გადაიქცა; ინტიმობამ დაკარგა ყოველგვარი მომხიბვლელობა, ხოლო სიყვარულმა მთელი თავისი სიტკბოება; ჩვენ შორის აღარ იყო დაახლოების ის წარმავალი წუთებიც, რომლებიც თითქო მოკლე დროით მაინც ჰკურნავენ უკურნებელ ჭრილობას. სიმართლე ყოველ მხრიდან გამოკრთოდა და რათა გაეგო ჩემი ელენორას, ყველაზე მკაცრ და ყველაზე შეუბრალებელ გამოთქმებს ვიყენებდი. არ შევჩერდებოდი, სანამ ელენორას აცრემლებულს არ დავინახავდი. ეს ცრემლები იყო მხოლოდ მცხუნვარე ღვართქაფი, რომელიც წვეთ

წვეთად ეცემოდა ჩემს გულს და მაიძულებდა ყვირილისთვის მიმემართა; მაგრამ არ შეეძლო გულიდან ჩემი აღსარების უარყოფა ამოეგლიჯა. მე არა ერთხელ შემიმჩნევია, როგორ წამოდგებოდა ხოლმე ფერმიხდილი და რაღაც წინათგრძნობით იტყოდა: — „ადოლფ! თქვენ არ გესმით რა ბოროტებას ჩადიხართ, თქვენ ამას ერთ მშვენიერ დღეს გაიგებთ, გაიგებთ ჩემის მეოხებით, როდესაც საფლავში ჩამაგდებთ". — უბედურო! — როდესაც ის ამ სიტყვებით მოგმართავდა, რატომ იმაზე ადრე არ ჩახველი საფლავში.

თავი IX

უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ მე აღარ მივსულვარ ბარონ ტ-სთან, ერთხელ დილით შემდეგი ბარათი მივიღე მისგან!

— „იმ რჩევას, რომელიც მე თქვენ მოგეცით არ დაუმსახურებია ესოდენ ხანგრძლივი უნახაობა. რა გადაწყვეტილებაც უნდა მიგეღოთ, თქვენ მაინც ჩემი ყველაზე ძვირფასი მეგობრის შვილი ხართ და თქვენი საზოგადოება ყოველთვის სასიამოვნო იქნება ჩემთვის. მეტად კმაყოფილი ვიქნებოდი შემიყვანეთ იმ წრეში, რომელიც — შემიძლიან პირობა მოგცეთ, — თქვენთვისაც სასიამოვნო იქნება. ნება მომეცით დავუმატო: რაც უფრო უცნაურია თქვენი ცხოვრება, რომლის გაკიცხვაც მე არ მწადია, მით უფრო საჭიროა თქვენთვის გამოჩნდეთ საზოგადოებაში და გაფანტოთ უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა".

მადლიერი ვიყავ ამ კეთილი განწყობილებისთვის, რომელიც ამ ხანში შესულმა კაცმა ჩემს მიმართ გამოიჩინა. წავედი მასთან. ელენორაზე არაფერი უკითხავს. ბარონმა სადილად დამტოვა. ამ დღეს მასთან რამდენიმე ჭკუამახვილი და თავაზიანი მამაკაცი იყო. ჯერ შევკრთი, შემდეგ ძალა დავატანე თავს, გავმხნევდი, დავიწყე საუბარი; როგორც კი შემეძლო გავშალე მთელი ჭკუა-გონება და ცოდნა. შევამჩნიე, რომ მოწონება დავიმსახურე, ჩემმა თავმოყვარეობამ ასეთ გამარჯვებაში კმაყოფილება ჰპოვა, რასაც კარგა ხანია მოკლებული ვიყავი. ამ კმაყოფილებამ ბარონ ტ-ს საზოგადოება უფრო სასიამოვნო გახადა ჩემთვის.

გავახშირე მასთან სიარული. დამავალა ზოგიერთ თავის მისიასთან დაკავშირებული საქმე, რომლებიც, მას მისი აზრით, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე შეეძლო მოენდო ჩემთვის. ჯერ ელენორა განცვიფრდა ჩემი ცხოვრების ასეთი ცვლილებით, მაგრამ ვუამბე მამიჩემისა და ბარონის მეგობრობის შესახებ ისიც უთხარი თუ რა სასიამოვნო იყო ჩემთვის, დამემშვიდებინა მამაჩემი შორს ყოფნის დროს, თანაც სასარგებლო საქმეებით დატვირთული სახე მივიღე. საბრალო ელენორა ეხლა მე ამას მონანიების გრძნობით ვწერ, სიხარულს განიცდიდა, რადგან უფრო დამშვიდებული და დაწყნარებული ვეჩვენებოდი. იგი მორჩილად ატარებდა უჩემოდ დღის უმეტეს ნაწილს. ბარონმა თავის მხრივ, როგორც კი ჩვენს შორის რამდენადმე ნდობა დამყარდა, კვლავ ელენორაზე ჩამომიგდო ლაპარაკი. ჩემი ურყევი სურვილი იყო ყოველთვის კარგი მეთქვა ელენორაზე, მაგრამ შეუმჩნევლად მსუბუქი და მოურიდებელი ტონით დავიწყე ლაპარაკი. ხან ზოგადად აღვნიშნავდი დაშორების აუცილებლობას, ხან კიდევ ოხუნჯობასაც ვიშველიებდი ხოლმე. სიცილით ვსაუბრობდი ქალებზე და განშორების სიძნელეებზე. ეს სიტყვები ართობდნენ მოხუც მინისტრს, რომლის სულიც განცდებისაგან გაცვეთილი იყო; იგი ბუნდოვანად იგონებდა თავის სიყმაწვილეს, როდესაც სიყვარულის ინტრიგებით იტანჯებოდა. ამნაირად, მარტოოდენ იმით რომ მე მალული გრძნობა გამაჩნდა, ცოტად თუ ბევრად ყველას ვატყუებდი; ვატყუებდი ელენორას, რადგან ვიცოდი, რომ ბარო-

ნი მოწადინებული იყო დავეშორებინე მას. ამას ელენორას ვუმალავდი, ვატყუებდი ბარონ ტ-...ს, რადგან ვაიმედებდი, რომ მზად ვიყავ გამეწყვიტა ჩემი ბორკილები. ასეთი გაორება არ შეეფერებოდა ჩემს ბუნებრივ ხასიათს, მაგრამ ადამიანი ფუჭდება როგორც კი გულში შეუვა აზრი, რომელიც ბოლოებულია მუდამ დამალოს.

აქამდე ბარონთან გავიცანი მხოლოდ მამაკაცები, რომელნიც მის მახლობელ წრეს შეადგენდნენ. ერთხელ მან წინადადება მომცა დავრჩენილიყავ დიდ ღღესასწაულზე, რომელსაც იგი თავისი პატრონის დაბადების დღის აღსანიშნავად მართავდა.

—თქვენ აქ შეხვდებით — მითხრა მან, — პოლონეთის ყველაზე ლამაზ ქალებს: მართალია თქვენ აქ ვერ ნახავთ იმას, ვინც თქვენ გიყვართ, ვწუხვარ, მაგრამ არიან ქალები, რომელთა ნახვაც მხოლოდ მათ სახლში შეიძლება. ამ ფრაზამ მძიმედ იმოქმედა ჩემზე. ვდუმდი, მაგრამ შინაგანად თავს ვუსაყვედურებდი, რომ არ ვიცავდი ელენორას, რომელიც მხურვალედ დამიცავდა თუ მისი თანდასწრებით ვინმე ჩემს წინააღმდეგ გაილაშქრებდა.

მრავალრიცხოვანი საზოგადოება შეიკრიბა. ყურადღებით მათვალიერებდნენ; მესმოდა როგორ იმეორებდნენ დაბალი ხმით მამიჩემის, ელენორას, გრაფ პ***-ს სახელს. მიუახლოვდებოდი თუ არა, გაჩუმდებოდნენ, ხოლო როცა გავშორდებოდი კვლავ იწყებდენ. ჩემთვის ნათელი იყო, რომ ერთმანეთს ჩემს ისტორიას უამბობდნენ და რასაკვირველია, თვითეული ამას თავისებურად ყვებოდა. ჩემი მდგომარეობა აუტანელი გახდა; შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა — ხან ვწითლდებოდი, ხან ვფითრდებოდი.

ბარონმა შენიშნა ჩემი შეშფოთება. ჩემთან მოვიდა. გაორკეცა ყურადღება და თავაზიანობა. ეძებდა ყველგან შემთხვევას შევექე, და მისი ყურადღების მეოხებით სხვებიც ასეთივე ყურადღებით მექცეოდნენ.

როდესაც სტუმრები დაიშალნენ ბარონმა ტ***-მ მომმართა: — მსურს ერთხელ კიდევ გულღიათ გამოგესაუბროთ, რისთვის გინდათ დარჩეთ იმ მდგომარეობაში, რის გამოც თქვენ იტანჯებით? ვისთვის მოგაქვთ სიკეთე? ნუთუ ფიქრობთ, რომ არავინ იცის, თუ რა ხდება თქვენსა და ელენორას შორის? მთელმა ქვეყანამ უწყის თქვენი ურთიერთ გაღიზიანების და უკმაყოფილების შესახებ. თქვენ, თქვენი სისუსტით ზიანს აყენებთ საკუთარ თავს, მაგრამ არა ნაკლებ ზიანს აყენებთ სისასტიკითაც? ბოლოს თქვენ ბედნიერებას არ აძლევთ ქალს, რომელიც ასე უბედურად გხდით.

მე კიდევ შეწუხებული ვიყავი ჩემს მიერ განცდილი ტკივილით. ბარონმა მამიჩემის რამდენიმე წერილი მიჩვენა. ისინი მოწმობდნენ მამიჩემის ცხოველ გულისტკივილს, რომელსაც მე ვერც კი წარმოვიდგენდი. მე შევდრკი, იმ აზრმა, რომ ელენორას მღელვარებას ვაგრძელებ მეთქი, გაადიდა ჩემი მერყეობა. დაბოლოს თითქო ყველაფერი გაერთიანებულიყო მის წინააღმდეგ. იმ დროს, როდესაც მე ვმერყეობდი, მან საკუთარი სიფიცხით მაიძულა გადაწყვეტილება მიმეღო. მთელი დღე შინ არ ვყოფილვარ, ბარონმა კარგა ხანს შემაჩერა: წუალამე ახლოვდებოდა, ბარონ დე ტ-ს თანდასწრებით გადმომცეს ელენორასაგან გამოგზავნილი წერილი. ბარონის თვალებში ერთგვარი სიბრალული დავინახე ჩემი მონური მდგომარეობისადმი. ელენორას წერილი სავსე იყო სიმწარით. „როგორ? — გავიფიქრე მე, — არც ერთი დღე არ შემიძლიან თავისუფლად გავატარო? არ შემიძლიან ერთი საათი მაინც ვისუნთქო მშვიდად? იგი ყველგან მდევნის როგორც მონას, რომელიც მუდამ მის ფერხთით უნდა იყვეს; მაგრამ რაც უფრო სუსტად ვგრძობდი თავს, მით უფრო აღგზნებული ვიყავი.

— დიახ, — წამოვიძახე მე, — პირობას ვიძლევი კავშირი გაგწყვიტო ელენორასთან! მე თითონ განუცხადებ მას. თქვენ შეგიძლიათ წინასწარ შეატყობინოთ მამაჩემს ეს ამბავი. — წარმოვთქვი ეს სიტყვები და გარეთ გავარდი. დათრგუნვილი ვიყავი ჩემს მიერ წარმოთქმული სიტყვებით და თითონვე თითქმის არ მჯეროდა რომ შევასრულებდი იმ დაპირებას, რომელიც მივეცი.

ელენორა მოუთმენლად მელოდა, უცნაური შემთხვევის წყალობით, ჩემი არ ყოფნის დროს მას გადასცეს, რომ ბარონი ტ-ი ცდილობდა ჩვენს დაშორებას. გადასცეს აგრეთვე ჩემი სიტყვები, ჩემი ოხუნჯობა. მისმა ეჭვიანობამ გაიღვიძა. მას გაახსენდა ზოგი რამ, რაც თითქოს ადასტურებდა ამ ეჭვებს. ჩემი უეცარი მეგობრობა იმ ადამიანთან, რომელიც მე წინათ არც კი მენახა,— სიახლოვე, რომელიც არსებობდა ამ ადამიანს და მამაჩემს შორის, უცილობელ საბუთად ეჩვენებოდა. მისი შეშფოთება ამ რამდენიმე საათში ისე გაძლიერებულიყო, რომ როცა მივედი, სავსებით დარწმუნებული დამხვდა იმაში, რასაც ჩემს ვერაგობას უწოდებდა.

მივედი მასთან იმ გადაწყვეტილებით, რომ ყოველივე მეთქვა. მაგრამ დასაჯერებელია? როდესაც ჩემი გამტყუნება დაიწყო, შევეცადე მხოლოდ როგორმე თავი დამეძვრინა. ვუარყოფდი დღეს, დიახ ვუარყოფდი იმას, რაც გადაწყვეტილი მქონდა ხვალ განმეცხადებინა.

უკვე გვიან იყო, დავტოვე ის; ვჩქარობდი დავწოლილიყავი, რათა დამესრულებინა ეს გრძელი დღე, და როდესაც ნამდვილად დავრწმუნდი, რომ იგი დასრულდა, ერთი წუთით ვიგრძენი განთავისუფლებული ვიყავი უზარმაზარი სიმძიმისაგან.

მეორე დღეს მხოლოდ შუადღისას წამოვდექი. თითქოს ჩვენი შეხვედრის დასაწყისს ვაგვიანებდი. ამით საბედისწერო წუთსაც ვაყოვნებდი.

ღამის განმავლობაში ელენორა მის საკუთარ ფიქრებსა და ჩემ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს დაემშვიდებინა. ის ნდობით გამომესაუბრა თავის საქმეებზე, რაც ადასტურებდა, რომ მას ჩვენი ცხოვრება განუწყვეტელ კავშირად მიაჩნდა. სად უნდა მეპოვნა ის სიტყვები, რომელიც მას კვლავ წაუბიძგებდნენ მარტოობისაკენ?

დრო ძალზე სწრაფად გარბოდა. ყოველი წუთი აუცილებელს ხდიდა ახსნა-განმარტებას. მე დავნიშნე სამი დღე და მეორე უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. ბარონი ტ-ი ყოველ შემთხვევაში ზეგისათვის მელოდა. მას უკვე გაეგზავნა მამაჩემისათვის წერილი. მე კი ვემზადებოდი ჩემი დაპირების დასარღვევად, რადგან არ მომიხდენია მცირედი ცდაც კი მისი შესრულებისათვის. გავდიოდი, შემოვდიოდი, წავავლებდი ელენორას ხელს, ვიწყებდი ფრაზას, და მაშინვე ვწყვეტდი, შევყურებდი მზეს, რომელიც ჰორიზონტისაკენ დახრილიყო, დაღამდა. კვლავ გადავდე ჩემი ახსნა-განმარტება. მრჩებოდა ერთი დღე. საკმარისი კი ერთი საათი იყო.

ამ დღემაც ისე გაიარა, როგორც წინამ. მივწერე ბარონ ტ-ს, რათა კიდევ მოეცა დრო; როგორც ეს სუსტ არსებებს ახასიათებთ, წერილი ათასი საბუთით დავიტვირთე რათა გამემართლებინა ჩემი დაყოვნება, მეჩვენებინა, რომ ის ჩემს გადაწყვეტილებებში არავითარ ცვლილებას არ შეიტანდა, და რომ ამ წუთიდან მას შეეძლო ჩემი და ელენორას კავშირი სამუდამოდ გაწყვეტილად ჩაეთვალა.

X

მე უფრო მშვიდად გავატარე შემდგომი დღეები. განუსაზღვრელ მომავალზე გადავიტანე მოქმედების აუცილებლობა. იგი უკვე მოჩვენებასავით აღარ

მდევდა თან; ვფიქრობდი ელენორას მოსამზადებლად დრო დამრჩებოდა. მინდოდა ვყოფილიყავ მის მიმართ უფრო ტკბილი და ნაზი, რომ მეგრძნობინა მოგონება მაინც დამეცვა. ჩემი აღელვება სულ სხვაგვარი იყო, ასეთი რამ აქამდე არაფერი განმეცადა. ვეეჭიდრებოდი ზეცას, რათა უეცრად ნემსა და ელენორას შორის ისეთი დაბრკოლება აღემართა, რომელსაც მე ვერ გადავლახავდი. ეს დაბრკოლება აღიმართა, ჩემი თვალი ელენორასაკენ მიიმართა, იმ არსებისაკენ, რომელიც უნდა დამეკარგა, მისი მოთხოვნა, რომელიც არა ერთხელ აუტანელად მჩვენებია, აღარ მაშინებდა; წინასწარ თავს განთავისუფლებულად ვგრძნობდი. ვუთმობდი რა მას, მე უფრო თავისუფალი ვიყავი, და აღარ განვიცდიდი იმ შინაგან აღელვებას, რომელსაც წინათ მუდამ განშორებისაკენ მივყავდი. ჩემში მოუთმენლობა აღარ იყო, პირიქით საბედისწერო წუთის შეგვიანების იდუმალ სურვილს განვიცდიდი.

ელენორამ შეამჩნია ჩემში უფრო ნაზი და მგრძნობიარე განწყობილება, იგი ნაკლებად ნაღვლიანი იყო. ვცდილობდი მასთან გამოსაუბრებას, რასაც წინათ გაურბოდი, სიამოვნებას განვიცდიდი, როცა იგი სიყვარულის გრძნობას გამოხატავდა, რაც წინად მომაბეზრებლად მოქმედებდა, ეხლა კი ძვირფასად მეჩვენებოდა, რადგან იგი ყოველთვის შეიძლებოდა უკანასკნელი ყოფილიყო.

ერთხელ საღამოთი ერთმანეთს ჩვეულებრივზე უფრო ტკბილი საუბრის შემდეგ დავშორდით. საიდუმლოებამ, რომელსაც ჩემს გულში ვფარავდი, ნაღვლიანი გამხადა. მაგრამ ჩემს მწუხარებაში არ იყო სიმძაფრე, რადგან ღარწმუნებით არ ვიცოდი როდის მოხდებოდა ჩვენი გათიშვა. მე თავიდან ადვილად ვიმეორებდი ამ აზრს. ღამით კოშკში არაჩვეულებრივი ხმაურობა მომესმა, მალე ეს ხმაურობა შესწყდა; მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ მიმიქცევია; მიუხედავად ამისა, დილით გამახსენდა ის! მინდოდა მიზეზი გამეგო, ელენორას ოთახისაკენ გავემართე. როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც გადმომცეს, რომ უკვე თორმეტი საათია რაც ელენორა საშინელი ციებით არის შეპყრობილი, და ექიმმა, რომელიც მოსამსახურეებმა მოიწვიეს, განაცხადა, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია. ელენორას მოსამსახურეებისათვის აეკრძალა ეს ამბავი ჩემთვის ეცნობებია, ან შევეშვით მასთან!

მინდოდა ჩემი გამეტანა. გამოვიდა ექიმი, რათა გავეფრთხილებინე რომ ელენორაში რაიმე აღელვება არ გამომეწვია. ამ აკრძალვას, რომლის მოტივიც თითონაც არ უწყოდა, იგი აწერდა ელენორას სურვილს არ შევეშფოთებინე მე. შეძრწუნებულმა დავიწყე ელენორას მოსამსახურეთა გამოკითხვა, თუ რას შეეძლო ასე უეცრად მისი ამ სახიფათო მდგომარეობაში ჩაგდება. წინა დღეს, როდესაც ერთმანეთს დავშორდით, ვარშავიდან ვილაც ცხენოსან კაცს ელენორასათვის წერილი მოეტანა. მას ის გაეხსნა, გადაეკითხა და გული წასვლოდა. როცა გონს მოსულიყო, ლოგინზე დავარდნილიყო ისე, რომ არც ერთი სიტყვა არ წარმოუთქვამს. ერთი მისი მსახური ქალი ელენორას აღელვებით შეწუხებული მის ოთახში დარჩენილიყო ისე რომ ელენორას არ შეუნიშნავს. შუალამისას ამ ქალმა შეამჩნია ელენორა ისე კანკალებდა, რომ მისი ლოგინიც კი ინძრეოდა. ქალმა ჩემი დაძახება დააპირა, მაგრამ ელენორამ ისეთი საშინელი წინააღმდეგობა გაუწია, რომ ურჩობა ველარ გაუბედა მას. გაგზავნეს ექიმთან, ელენორამ უარი განაცხადა და ეხლაც უარზე იყო რაიმე ეპასუხნა ექიმისათვის. ისე გაატარა ღამე, რომ მხოლოდ ნაწყვეტ ნაწყვეტად ისროდა სიტყვებს. მათი გაგება არავის შეეძლო. ხშირად ცხვირსახოცი მიჰქონდა პირთან. თითქოს უნდოდა ხელი შეეშალა ლაპარაკისათვის.

იმ დროს, როდესაც ყოველივე ეს დაწვრილებით გადმომცეს, მეორე ქალი, რომელიც ელენორასთან იყო დარჩენილი, შემოვარდა შეშინებული, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც სჩანდა, ელენორას გრძნობა დაჰკარგოდა, ის გარშემო ველარაფერს არ-ჩევდა ხანდახან წამოიყვირებდა, იმეორებდა ჩემს სახელს, შემდეგ შეშინებული ხელით ანიშნებდა, თითქოს იმისთვის, რომ მოეშორებინათ მისგან რომელიღაც საძაგელი საგანი.

შევედი მის ოთახში, საწოლის ფეხებთან ორი წერილი დავინახე, ერთი, ჩემი იყო, ბარონ ტ-სთან მიწერილი, მეორე თითონ ბარონ ტ-ს წერილი ელენორასთან გამოგზავნილი! მხოლოდ მათ დანახვაზე ვიპოვე ამ საშინელი გამოცანის ახსნა. ყველა ჩემი ღონისძიება რათა მომეგო დრო, რომელიც მწადდა მიმეძღვნა უკანასკნელი გამოთხოვებისათვის, მიიმართა იმ უბედურის წინააღმდეგ, რომლის შეწყალებაც მე მწადდა. ელენორას წაეკითხა ჩემი ხელით დაწერილი დაპირება, რომ მას მივატოვებდი, დაპირება, რომელიც ნაკარნახევი იყო მარტოოდენ სურვილით რომ დავრჩენილიყავ მასთან ხანგრძლივად და რომელიც თვით სურვილის სიცხოველემ მაიძულა გამემეორებინა და ათასნაირად განმევითარებინა. ბარონ ტ-ს გულგრილმა თვალმა ყოველ სტრიქონში განმეორებულ პროტესტში ადვილად გაარჩია გაუბედაობა, რომელსაც მე ვფარავდი, და თვალთმაქცობა ჩემი საკუთარი მერყეობის. სასტიკმა ადამიანმა ძალიან კარგად მოისაზრა რომ ელენორა ამაში შეუცვლელ განაჩენს დაინახავდა. მიუახლოვდი ელენორას. შემომხვდა, მაგრამ ვერ მიცნო. გამოველაპარაკე: ათრთოლდა.

— ეს რა ხმაურობაა? — წამოიყვირა მან. — ეს ხომ ის ხმაა, რომელმაც ტკივილი ალმიძრა. ექიმმა შეამჩნია, რომ ჩემი იქ ყოფნა მის ბოდვას აძლიერებდა. დამაჯერა დამეტოვებინა იგი, როგორ აღვწერო რასაც სამი გახანგრძლივებული საათის განმავლობაში განვიცდიდი? როგორც იქმნა ექიმი გამოვიდა. ელენორა ღრმა ძილს მიეცა, ექიმი იმედს არ ჰკარგავდა მის გადარჩენაში, თუ გაღვიძებისას ციება განელდებოდა.

ელენორას დიდხანს ეძინა, შევიტყე თუ არა მისი გაღვიძება, მივწერე, მიმიღე მეთქი, შემომითვალა შევსულიყავი, მინდოდა გამოვლაპარაკებოდი; შემაწყვეტინა, — არ მინდა თქვენგან არც ერთი სასტიკი სიტყვა მოვისმინო,— მითხრა მან. არაფერს მოვითხოვ მეტს, არაფერს არ ვეწინააღმდეგები. მაგრამ ის ხმა, რომელიც მე ასე მიყვარდა, ხმა, რომელიც ჩემი გულის სიღრმეში ჟღერდა, ნუ შეიჭრება იქ იმისათვის, რომ დაგლიჯოს იგი. ადოლფ, ადოლფ, თავშეკავებული ვიყავ, შეიძლება შეურაცყოფაც მოგაყენეთ, მაგრამ თქვენ არ იცით, როგორ ვიტანჯებოდი. ღმერთმა ქნას, რომ არასოდეს არ შეიტყოთ ეს.

ელენორა დიდათ აღელდა. ის შუბლით შეეხო ჩემს ხელს. იგი იწოდა; საშინელმა კრუნჩხვამ დაამახინჯა მისი სახე.

— ღვთის გულისათვის — წამოვიძახე მე, ძვირფასო ელენორა, მომისმინეთ! დიაღ მე დამნაშავე ვარ: ეს წერილი... იგი აკანკალდა, მოინდომა გაწევა, შევაკავე. დასუსტებულს, შეწუხებულს, — განვაგრძე მე, — ერთ წუთს შეძეძლო დამეთმო მკაცრი დაჟინებისათვის, მაგრამ განა თქვენ ათასი დამამტკიცებელი საბუთი არა გაქვთ იმისა, რომ მე ჩვენი განშორება არ მსურს? უკმაყოფილო, უბედური, უსამართლო ვიყავი. შეიძლება, გაშმაგებული იბრძოდით რა ურჩი ფანტაზიის წინააღმდეგ, თქვენ გადაჭარბებულად წარმოიდგინეთ ის წუთიერი სურვილი, რომელიც დღეს მე თვით მეზიზღება. მაგრამ განა თქვენ ძალგიძთ ეჭვი აიღოთ ჩემს ღრმა გულისთქმაზე? განა ჩვენი სულები ერთმანეთთან ათასი ძაფით არ არიან შეკავშირებულნი, რასაც ვერაფერი ვერ გასწყვეტს? განა ჩვენი წარსული საერთო არ არის ჩვენთვის? განა ამ სამ გასულ წელს შეგვიძლიან ისე შევხედოთ, რომ არ გავიხსენოთ ყველა ის შთაბეჭდილება, რასაც ჩვენ ვინაწილებდით, ის სიხარული, რომელიც ჩვენ ვიგე-

მეთ, ის მწუხარება, რომელიც ჩვენ ერთად გადავიტანეთ? ელენორა, ამ დღიდან დავიწყოთ ახალი ცხოვრება. გავიხსენოთ ბედნიერებისა და სიყვარულის საათები. რამდენსამე ხანს იგი ეჭვით შემომცქეროდა.

— მამათქვენი?—სთქვა მან ბოლოს—თქვენი მოვალეობანი, თქვენი ოჯახი, ის, რასაც თქვენგან მოელიან?..

— რასაკვირველია, — ვუპასუხე მე, — ოდესმე, ერთს დღეს, შეიძლება,— მან ჩემი ყოყმანი შეამჩნია. — ღმერთო, ჩემო! — წამოიძახა მან, — რისთვის დამიბრუნა იმედი?.. ნუ თუ იმისთვის, რომ მაშინვე წაერთმია! ადოლფ, იმისათვის რასაც თქვენ ცდილობდით, მადლობას მოგახსენებთ, მან სიკეთე მომიტანა, მით უფრო რომ ვიმედოვნებ ეს არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვს თქვენგან, მაგრამ, გაფიცებთ, ნულარ ვისაუბრებთ მომავალზე. რაც უნდა მოხდეს, ნურაფერს ნუ უსაყვედურებთ თქვენს თავს. თქვენ ჩემს მიმართ კეთილი იყავით. მე მსურდა შეუძლებელი, სიყვარული ჩემთვის მთელი ცხოვრება იყო. ის არ შეიძლება თქვენთვისაც ასეთი ყოფილიყო. რამდენიმე დღე კიდევ იზრუნეთ ჩემთვის... ცრემლები უხვად ჩამოსდიოდა თვალთაგან; სუნთქვა ნაკლებად ჰქონდა. იგი თავით მოეყრდნო ჩემს მხარს. — აი, ამნაირად, მწადდა მუდამ სიკვდილი. მივიკარი იგი გულზე და კვლავ უარვყავი ჩემი მისწრაფებანი, უარი განვაცხადე ჩემს სასტიკ სიაფთრეზე. — არა! — განაგრძო მან, — საჭიროა თქვენ თავისუფალი და კმაყოფილი იყოთ. — განა შეიძლება კმაყოფილი ვიყო თუ თქვენ უბედური ხართ? — ვუპასუხე მე. — მე დიდხანს არ ვიქნები უბედური, თქვენ ხანგრძლივად არ მოგიხდებათ ჩემი შებრალება. — შორს გადავისროლე ჩემგან შიში, რომელიც მინდოდა აუხდენელ საქმედ წარმომედგინა. არა, არა, ძვირფასო ადოლფ! — მომმართა მან, — როდესაც დიდხანს უხმობ სიკვდილს, ზეცა გვიგზავნის რაღაც წინათგრძნობას, რომელიც გვაუწყებს რომ ჩვენი ვედრება მან შეისმინა. ვეფიცებოდი, არასოდეს არ მიმეტოვებინა იგი.

— მუდამ მქონდა ამის იმედი, ეხლა კი დარწმუნებული ვარ ამაში.

ზამთრის ის ერთერთი დღე იდგა, როდესაც მზე სევდიანად ანათებს განაცრისფერებულ ველებს, იგი თითქოს სინანულით დასცქერის მიწას, რომელსაც თავი მიანება და აღარ ათბობს. ელენორამ შემომთავაზა გარეთ გავსულიყავი. — ძალიან ცივა, — ვუთხარი მე.—არა უშავს რა, თქვენთან გასეირნება მწადია. მან ხელი გამიყარა. დიდხანს მივდიოდით მდუმარენი; მოძრაობა უჭირდა. თითქმის მთელი სიმძიმით მაწვებოდა. — ერთი წუთით შევჩერდით. — არა, — მიპასუხა მან: — ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა იმის განცდა, რომ თქვენ კიდევ მამაგრებთ. ჩვენ კვლავ მდუმარებაში გავეხვიეთ. ცა მოწმენდილი იყო. ხეები ფოთოლგაძარცვული იყვნენ, სიოც კი არ ინძრეოდა. არც ერთი ფრინველი არ ჰკვეთდა ჰაერს. ყველაფერი უმოძრაოდ იყო. ერთადერთი ხმა, რომელიც გვესმოდა ეს იყო ტკაცანი გაყინული ბალახისა, რომელიც ჩვენ ფეხქვეშ ტყდებოდა. — რა სიმშვიდეა ირგვლივ? — სთქვა ელენორამ. — რა მორჩილებაა ბუნებაში! განა გულმაც არ უნდა ისწავლოს ეს მორჩილება?

იგი ქვაზე ჩამოჯდა. უცებ მუხლი მოიყარა. თავი დახარა და ხელები დაიდო, მომესმა წყნარი ხმით წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა. შევამჩნიე ლოცულობდა. ბოლოს წამოდგა. — დავბრუნდეთ, — სთქვა მან. — შემცივდა, მეშინიან ცუდათ არ გავხდე. არაფერი აღარ მითხრათ; თქვენი მოსმენა არ ძალმიძს.

ამ დღიდან დაწყებული, მე ვხედავდი როგორ სუსტდებოდა და ილეოდა ელენორა. ყოველ მხრიდან შეკრიბე ექიმები; ზოგიერთნი მეუბნებოდნენ

ავადმყოფობა განუკურნებელიაო, სხვანი ამაო იმედებით მანუგეშებდენ, მაგრამ პირქუში და მდუმარე ბუნება უჩინარი ხელით აგრძელებდა თავის შეუბრალებელ საქმეს. დროგამოშვებით ელენორა თითქოს უბრუნდებოდა ცხოვრებას, თითქოს მას მოეცლებოდა ის რკინის ხელი, რომელიც ზედ აწვა. იგი მაინც სწევდა თავის მოთენთილ თავს; მის ლოყებს უფრო ცოცხალი ფერი ჰფარავდა, თვალები უცხოველდებოდა; მაგრამ უეცრივ რომელილაც უხილავი ძალის მკაცრი თამაშის მეოხებით ეს მაცდური უკეთესობა ჰქრებოდა და ექიმთა ხელოვნებისათვის ამის მიზეზი გამოუცნობი რჩებოდა.

ასე შევყურებდი ელენორას, რომელსაც თანდათან დღეები ელეოდა, ვხედავდი როგორ აღებეჭდა ამ კეთილშობილ და მეტყველ სახეზე სიკვდილის მაუწყებელი ნიშნები. ვხედავდი ამ ფრიად სამწუხარო და საოდავ სანახაობას, თუ როგორ ღებულობდა ეს ენერგიული და მედიდური ხასიათი ფიზიკური ტანჯვისაგან ათას გაურკვეველ და დაუკავშირებელ შთაბეჭდილებას. თითქოს ამ საშინელ წუთებში სხეულისაგან შეურაცყოფილი სული ათასნაირად იცვლებოდა, რათა ნაკლები ტანჯვით დამორჩილებოდა ორგანოების დაშლას.

ელენორას გულში არასოდეს არ იცვლებოდა მარტოოდენ ერთი გრძნობა. ეს იყო სინაზის გრძნობა ჩემდამი. სისუსტე იშვიათად აძლევდა ნებას, გამომსაუბრებოდა, მაგრამ ყურადღებით მომაპყრობდა თვალებს და მეჩვენებოდა, თითქოს მისი გამოხედვა სიცოცხლეს მთხოვდა, რაც მე არ შემეძლო მისთვის მიმეცა, მეშინოდა დიდათ არ ამეღელვებინა, ვიგონებდი საბაბს, რათა გარეთ გავსულიყავ, უმიზნოდ დავეხეტებოდი იმ ადგილებში, სადაც მასთან ერთად ვყოფილვარ. ცრემლით ვრწყავდი ქვებს, ხეების ძირებს, ყველა იმ საგანს, რომელიც მას მაგონებდა.

ეს არ იყო სიყვარულის სინანული, ეს იყო უფრო პირქუში და უფრო სევდიანი გრძნობა. სიყვარული იმდენად უთანაბრდება საყვარელ არსებას, რომ თვით მის სასოწარკვეთილებაში არის ერთგვარი მომხიბვლელობა. იგი ებრძვის სინამდვილეს, ბედისწერას, მისი სურვილის სიმძაფრე მას ატყუებს საკუთარი ძალის შესახებ და ამხნევებს მწუხარებაში. ჩემი სიყვარული ნაღვლიანი და განმარტოებული იყო. მე იმედი არ მქონდა რომ ელენორასთან ერთად მოვკვდებოდი; მე უიმისოთ უნდა მეცხოვრა სამყაროს უდაბნოში, რომლის დამოუკიდებლად გავლა მე ასე ხშირად მისურვებია.. მე დავამსხვრიე არსება, რომელსაც ვუყვარდი. დავამსხვრიე ჩემი თანამგზავრი გული, რომელიც დაჟინებით, თავის დაუცხრომელი სინაზით ჩემთვის სწირავდა თავის თავს; მარტოობა უკვე მეუფლებოდა. ელენორა ჯერ კიდევ სუნთქავდა, მაგრამ აღარ შემეძლო მისთვის ჩემი აზრები გამენდო, მე უკვე მარტო ვიყავ დედამიწაზე; მე აღარ ვცხოვრობდი სიყვარულის იმ ატმოსფეროში, რომელსაც ის ჩემს გარშემო აფრქვევდა. ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავდი, უფრო სუსხიანი მეჩვენებოდა. ადამიანთა სახეები, რომელთაც ვხვდებოდი, უფრო გულგრილი იყვნენ, მთელი ბუნება თითქოს ჩამძახოდა, ამიერიდან არასოდეს აღარ შეგიყვარებენო.

ელენორას საშიში მდგომარეობა უეცრად კიდევ უფრო გაუარესდა. უტყუარმა ნიშნებმა მისი აღსასრულის მოახლოვება მაცნობეს. ელენორა მისმა მოძღვარმაც გააფრთხილა. ელენორამ მთხოვა მომეტანა კოლოფი, რომელშიაც უამრავი ქაღალდი ეწყო. რამდენიმე მათგანი თავის თვალწინ დამაწვევინა, იგი დაეძებდა რაღაც ქაღალდს, რომელიც ვერ იპოვნა; მისმა მღელვარებამ უკიდურესობას მიაღწია, შეეეედრე შეეწყვიტა ეს ამაღელვებელი ძებნა, რომლის დროსაც მან ორჯერ დაკარგა გრძნობა.

— თანახმა ვარ! — მიპასუხა ელენორამ, — მაგრამ ძვირფასო ადოლფ! ნუ მეტყვით უარს ერთ თხოვნაზე: ჩემს ქაღალდებში იპოვნით თქვენს სახელზე დაწერილ ჩემს წერილს, დასწვით წაუკითხავად, გაფიცებთ ჩემს სიყვარულს, ამ ჩემს უკანასკნელ წუთებს, რომელიც თქვენ ასე დაატკბეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავპირდი. დამშვიდდა.

— ეხლა, — სთქვა, — მომეცით ნება აღვასრულო ჩემი რელიგიის მოთხოვნილება; ბევრი ცოდვა უნდა მოვინანიო. შეიძლება ჩემი სიყვარულიც თქვენდამი ცოდვა იყო; არ დავიჯერებდი ამას, რომ ჩემს სიყვარულს თქვენთვის ბედნიერება მოეტანა.

დავტოვე იგი და შემდეგ დავბრუნდი მხოლოდ იმისთვის, რომ სხვებთან ერთად დავსწრებოდი უკანასკნელ დიად ლოცვას. მუხლმოყრილი ვიდექ ოთახის კუთხეში, ხან ჩემ აზრებში ჩავინთქებოდი, ხან უნებურ ცნობისმოყვარეობით ესჭვრეტდი ყველას აქ შეკრებილთ, ერთთა შიშს, სხვათა დაბნეულობას და ჩვეულების იმ საკვირველ გავლენას, რომელიც დადგენილი წესების გულგრილობას გვაგებინებს და რომელიც გვაიძულებს ყველაზე დიდსა და საშინელ ღვთის მსახურებას შევხედოთ როგორც პირობითსა და ფორმალურს რამეს. მესმოდა, როგორ ანგარიშმიუცემლად იმეორებდნენ სამგლოვიარო სიტყვებს, თითქოს მათაც თავის დროზე არ მოუხდებათ მსგავს სცენაში ასეთივე როლის აღსრულება; თითქოს ერთ დღეს ისინიც არ გამოესალმებოდნენ წუთისოფელს. მე შორს ვიყავ იმისაგან, რომ ეს წესები აბუჩად ამეგდო. განა არის თუნდაც ერთი წესი, რომელსაც ადამიანი თავის უვიცობაში გაბედავს უსარგებლოდ ჩასთვალოს? ამ წესებმა ელენორას სიმშვიდე დაუბრუნეს, დაეხმარნენ გადაევლო ის საშინელი მიჯნა, რომელსაც ჩვენ ყველანი ვუახლოვდებით და რომელიც არც ერთ ჩვენთაგანს არ შეუძლიან წინასწარ განსჭვრიტოს. მე არ მაკვირვებს, რომ ადამიანს რელიგია სჭირდება; მაკვირვებს მხოლოდ ის, რომ იგი თავის თავს საკმაოდ ძლიერად სთვლის, საკმაოდ დაცულად უბედურებისაგან, რათა გაბედოს რომელიმე რელიგიის უარყოფა. მე მგონია თავის სისუსტის გამო იგი ყველა რელიგიას უნდა მოუწოდებდეს! ღამის წყვდიადში, რომელიც გარს გვახვევია, განა არის ისეთი შუქი, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია ხელი ვკრათ? ნიაღვარში, რომელიც გვიტაცებს განა მოიპოვება ისეთი შტო, რომელსაც ხელი არ უნდა ვტაცოთ?

შთაბეჭდილებამ, რომელიც ელენორაზე ამ სამწუხარო ზეიმმა მოახდინა, როგორც ეტყობოდა დაღალა იგი. მან საკმაოდ მშვიდად დაიძინა და როცა გაიღვიძა ნაკლებ იტანჯებოდა. მე მარტო ვიყავ იმის ოთახში. ჩვენ დროდადრო ვესაუბრებოდით ერთმანეთს. ექიმმა, რომელიც მეტად მარჯვე აღმოჩნდა თავის პროგნოზებში, მიწინასწარმეტყველა, რომ ავადმყოფი ერთ დღეღამესაც ვერ იცოცხლებსო. შევყურებდი ხან საათს, ხან ელენორას სახეს, რომელსაც ვერავითარ ცვლილებას ვერ ვამჩნევდი. ყოველი გასული წუთი აცხოველებდა ჩემს იმედს და მე ეჭვი შემქონდა ამ მაცდური მეცნიერების წინასწარმეტყველებაში. უცებ ელენორა წამოვარდა. ხელი ვტაცე და დავიჭირე. მთელი მისი სხეული კონვულისურმა თრთოლვამ აიტაცა, მისი თვალები მე დამეძებდნენ, მაგრამ მათში რაღაც გაურკვეველი საშინელება გამოისახებოდა. თითქოს შებრალებას სთხოვდა ვიღაც არსებას, რომელიც ემუქრებოდა და, რომელსაც ჩემი თვალები ვერ ხედავდენ. იგი დგებოდა, ისევ ეცემოდა, თავს ძალას ატანდა, გაქცევას ლამობდა, თითქოს ებრძოდა რაღაც უხილავ ფიზიკურ ძალას, რომელიც დაიღალა ამ საბედისწერო წუთის ცდით. შეიპყრო და შებოჭა ის, რათა ამ სასიკვდილო სარეცელზე ბოლო მოეღო მისთვის. ბოლოს დანებდა იგი მტრული ბუნების მძვინვარებას. მისი სხეული მოეშვა, თითქოს რამდენი-

მედ ცნობიერებაც დაუბრუნდა; ხელი მომიჭირა, ტირილი უნდოდა, მაგრამ ცრემლი არ მოსდიოდა, ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ხმა აღარ ჰქონდა, თითქოს დამორჩილდაო, თავი ხელებზე დაუშვა; სუნთქვა შეუნელდა, რამდენიმე წუთის შემდეგ იგი აღარ იყო.

დიდხანს ვიდექ უმოძრაოდ უსიცოცხლო ელენორას წინ. ჩემს სულს კიდევ ვერ დაეჯერებია, რომ იგი მკვდარი იყო; ჩემი თვალები გაოგნებული და განცვიფრებით სვრეტდა ამ უსიცოცხლო სხეულს. ოთახში შემოსულმა ერთ-ერთმა ქალმა სამწუხარო ახალი ამბავი გაავცრელა მთელ სახლში. ხმაურობამ, რომელიც ჩემს გარშემო ატყდა, საღათის ძილიდან გამომიყვანა. როგორც კი წამოვდექი, მაშინვე ვიგრძენი შემზარავი ტკივილი და მთელი საშინელება დაუბრუნებელი გამოთხოვებისა.

ყოველდღიური ცხოვრების ამაოებამ, ჩვეულებრივმა ფუსფუსმა და მღელვარებამ, რაც მას უკვე აღარ ეხებოდა გაჰფანტეს ის ილუზია, რომელსაც მე ვეძლეოდი, ილუზია, რომ მე ჯერ კიდევ ელენორასთან ვცხოვრობდი. ვიგრძენი, რომ გაწყდა უკანასკნელი კავშირი და საშინელი სინამდვილე სამუდამოდ აღიმართა ჩემსა და მას შუა. როგორ მიმძიმდა ეს თავისუფლება, რომელსაც ასე ვნატრობდი! როგორ აკლდა ეხლა ჩემს გულს ის დამოკიდებულება, რომელიც ასე ხშირად მაშფოთებდა! დიდი ხანი არ იყო, რაც ყოველ ჩემს ჰოქმედებას მიზანი ჰქონდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყოველი მათგანი ან ტანჯვას ან დაკმაყოფილებას იწვევდა. მაშინ მე ვწუხდი, მოთმინებიდან გამოვიდოდი, რომ მეგობარი თვალყურს ადევნებდა ჩემს მოქმედებას, რომ სხვისი ბედნიერება ამ მოქმედებასთან იყო დაკავშირებული, ეხლა არავინ აღარ ადევნებდა მას თვალყურს, აღარავის აინტერესებდა იგი. არავინ დაობდა ჩემთან, დროისა და საათებისათვის; როდესაც გავდიოდი გარედ, აღარავითარი ხმა აღარ მომიწოდებდა, მე ნამდვილად თავისუფალი ვიყავ; მაგრამ მე აღარავის აღარ ვუყვარდი: მე უცხო ვიყავ მთელი ქვეყნიერებისთვის.

ელენორას ბრძანების თანახმად, მომიტანეს მისი ქაღალდები. ყოველ სტრიქონში ვხვდებოდი იმისი სიყვარულის ახალ დასაბუთებას, ახალ მსხვერპლს, რომელიც მას ჩემთვის მოჰქონდა და რომელსაც იგი მიმალავდა. ბოლოს, ვიპოვნე ის წერილი, რომლის დაწვასაც დავპირდი. ჯერ ვერ ვიცან, უმისამართო იყო; იგი გახსნილი იყო: რამდენიმე სიტყვამ ჩემდა უნებურად გამაოცა, ამაოდ ვცდილობდი პირის მობრუნებას, არ შემეძლო წერილის წაკითხვის სურვილისთვის წინააღმდეგობა გამეწია. არ შემწევს ძალა მოვიყვანო იგი აქ. ელენორას დაეწერა ის იმ ერთ-ერთი მძაფრი სცენის შემდეგ, რომელიც წინ უძღოდა მის ავადმყოფობას.

„ადოლფ, — მომმართავდა ის,—რისთვის მესხმით თავს ასეთი გააფთრებით? რაშია ჩემი დანაშაული? იმაში, რომ მიყვარხართ, რომ არ ძალმიძს უთქვენოთ არსებობა? რომელი უცნაური სიბრალულით ვერ სძლებთ დაარღვიოთ ეს თქვენთვის უმძიმესი კავშირი და აწამებთ უბედურ ქმნილებას, რომელთანაც მარტოოდენ სიბრალული გაჩერებთ. რატომ მართმევთ მწუხარე სიამოვნებას, სულგრძელად მაინც ჩაგთვალოთ? რატომ მიჩვენებთ თავს ულმობელად და სუსტად? თქვენ ჩემი ტანჯვის აზრი გდევნით, მაგრამ ამ ტანჯვის ხილვას არ შეუძლია თქვენი შეჩერება! რას მოითხოვთ? მიგატოვოთ, არა? ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ ამისათვის მე ძალა არ შემწევს? ოჰ, ეგ თქვენ უნდა ჩაიდინოთ, თქვენ, რომელსაც არ გიყვარვართ, თქვენ უნდა ჰპოვოთ ეგ ძალა ჩემგან დაღლილ გულში, რომლის განიარაღებაც ჩემმა სიყვარულმა ვერ შესძლო. თქვენ მას მე არ მაძლევთ, თქვენ მაიძულებთ ცრემლისაგან ილაჯი გამიწყდეს, მაიძულებთ თქვენს ფეხებთან დავლიო სული.

მითხარით ერთი სიტყვა, სწერდა იგი სხვა ადგილას. — არსებობს განა ისეთი ქვეყანა, სადაც თან არ გამოგყვებოდით? განა არსებობს ისეთი თავშესაფარი, საცა მე არ მივიმალებოდი, რათა თქვენს გვერდით მეცხოვრა, და თქვენი ცხოვრების ტვირთი არ გავმხდარიყავ? მაგრამ არა, თქვენ არ გიფიქრიეთ ეს. მოუთმენლად ხელსა ჰკრავთ ყველა იმ გეგმებს, რომელსაც მორჩილებით, ერთოლვით, თქვენი შიშით გაქვავებული წარმოგიდგენთ. უკეთესი, რასაც მე თქვენგან ვლებულობ, ეს თქვენი მდუმარეობაა. ასეთი სიმკაცრე არ შეეფერება თქვენს ხასიათს. თქვენ გულკეთილი ხართ. თქვენი მოქმედება კეთილშობილური და თავგანწირულია; მაგრამ რომელი მოქმედება წარშლის თქვენ სიტყვებს? ეს მწარე სიტყვები ჩემს გარშემო გაისმის: ისინი ღამეც ჩემს ყურში გაისმიან, ისინი მდევნიან, მღრღნიან, სპობენ ყოველივე იმას, რასაც თქვენ აკეთებთ. ან იქნება უნდა მოვკვდე ადოლფ? კარგი, თქვენ კმაყოფილი იქნებით? ის მოკვდება, ეს უბედური ქმნილება, რომელსაც თქვენ იცავდით, მაგრამ რომელსაც თქვენ ახალ ტანჯვას აყენებთ. ის მოკვდება, ეს აბეზარი ელენორა, რომლის ატანაც თქვენ აღარ შეგიძლიანთ, რომელიც თქვენ დაბრკოლებად მიგაჩნიათ, რომლისთვისაც მიწაზე ისეთი ადგილი ვერ გიპოვიათ სადაც თქვენ არ გღლიდეს. იგი მოკვდება; თქვენ მარტოკა ივლით იმ ბრბოში რომელშიც არევა ასე მოუთმენლად გწადდათ. თქვენ გაიცნობთ იმ ხალხს, რომელსაც დღეს მადლობას უცხადებთ გულგრილობისათვის; და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს, ამ უნაყოფო გულებით შეურაცყოფილმა, შეიბრალოთ ის გული, რომელსაც თქვენ ფლობდით და რომელიც თქვენი სიყვარულით ცხოვრობდა; თქვენ დასაცავად იგი გადალახავდა ათასგვარ საფრთხეს—თქვენ კი კეთილ არ ინებეთ ერთი შემოხედვით სამაგიერო მიგეზღოთ მისთვის".

წერილი გამომცემელს

გიბრუნებთ ბატონო, ხელთნაწერს, რომელიც კეთილინებეთ და მომანდეთ. მადლობას მოგახსენებთ თავაზიანობისათვის, თუმცა მან ჩემში სამწუხარო მოგონებანი გააღვიძა, რომელნიც დრომ წარხოცა. მე ვიცნობდი იმათ უმრავლესობას, ვინც ამ მეტად მართალ ისტორიაში არის გამოყვანილი; ხშირად ვხედავდი ამ საკვირველ და უბედურ ადოლფს, რომელიც ერთს და იმავე დროს ავტორიც და გმირიც არის. ვცდილობდი მომხიბვლელი ელენორა, რომელიც უფრო ტკბილი ბედისა და უფრო ერთგული გულის ღირსი იყო, ჩემი რჩევით გამომეგლიჯა იმ მავნე არსებისაგან, რომელიც არა ნაკლებ უბედური იყო, ვიდრე ელენორა და რომელიც რაღაც მომჯადოვებელ ძალით ბატონობდა მასზე და თავისი სისუსტით სტანჯავდა მას. ვაგლახ! როცა ელენორა უკანასკნელად ვინახულე, თითქოს ცოტაოდენი ძალა შევმატე და მისი გონება გულის წინააღმდეგ შევაიარაღე. ხანგრძლივი დაშორების შემდეგ დავბრუნდი იქ, სადაც ის დავტოვე, და მხოლოდ მისი საფლავი ვიპოვე.

თქვენ, ბატონო უნდა გამოაქვეყნოთ ეს ამბავი, იგი ეხლა აღარავის შეურაცყოფს, და ჩემი შეხედულებით, არც უსარგებლო იქნება. ელენორას უბედურება ამტკიცებს, რომ ყველაზე ვნებიან გრძნობას არ შეუძლიან იბრძოლოს საგნების, დადგენილი წესების წინააღმდეგ. საზოგადოება მეტად ძალოვანია, მისი სიძლიერე მრავალნაირ ფორმაში მჟღავნდება, იგი დიდ სიმწარეს ურევს სიყვარულში, რომელიც მის მიერ არ არის აღიარებული, იგი აქეზებს მიდრეკილებას მერყეობისადმი. იმ მოუთმენელ დაღლილობას, სულის ავადმყოფობას, რომელიც მას უეცრად მოიცავს ხოლმე. ინტიმურ ურთიერთობაში გულგრილნი საუცხოვო დაჟინებით იბრძვიან მორალის სახელით და ზიანს აყენებენ სათ-

ნოებას. შეიძლება ითქვას, რომ მგრძნობიარობის დანახვა აღიზიანებს მათ, რადგან თითონ არ ძალუძთ მისი განცდა და როდესაც ისინი პოულობენ რაიმე საბაბს, სიამოვნებით თავს ესხმიან და სპობენ მას. ვაი იმ ქალს, ვინც დაეყრდნობა ისეთ გრძნობას, რომელსაც ყველანი გაერთიანებული ეძალებიან, და რომლის წინააღმდეგაც საზოგადოება, თუ კი იგი იძულებული არ არის პატივი სცეს მას, როგორც კანონიერს, იარაღდება ყველა იმით, რაც არის ადამიანის გულში უვარგისი, რათა დააძაბუნოს ყოველივე კეთილი.

ადოლფის მაგალითი არა ნაკლებ ჭკუის სასწავლი იქნება, თუ თქვენ დაუმატებთ, რომ მის შემდეგ, რაც მან ხელი კრა არსებას, რომელსაც იგი უყვარდა, ის არა ნაკლებ სევდიანი, არა ნაკლებ აღელვებული და არა ნაკლებ უკმაყოფილო გახდა; მან ვერაფრისთვის ვერ გამოიყენა ამდენი ტანჯვით და ცრემლებით მოპოვებული თავისუფლება; იგი გაიცხვის ღირსი გახდა და სიბრალულის უფლებაც მოიპოვა.

თუ თქვენ ამის დასაბუთება დაგჭირდებათ, წაიკითხეთ ეს წერილები რომლებიც ადოლფის ბედს გაგაცნობენ, თქვენ იპოვით მას სხვადასხვა გვარ მდგომარეობაში, მაგრამ ყოველთვის როგორც იმ ეგოიზმისა და მგრძნობიარობის მსხვერპლს, რომელიც მისდა და სხვათა საუბედუროდ არეული იყო მასში; იგი წინასწარ სჭვრეტდა ბოროტებას, რომელიც უნდა ჩაედინა, ხოლო როდესაც ჩაიდენდა, შეძრწუნებული უკან იხევდა; ის თავის ღირსებისათვის უფრო დაისაჯა, ვიდრე თავის ნაკლუვანებისათვის, რადგან მისი ღირსებების წყაროს შეადგენდნენ გრძნობები და არა პრინციპები. ის ხან ყველაზე ერთგული, ხან ყველაზე სასტიკი ადამიანი იყო, იწყებდა ერთგულებით და ყოველთვის ასრულებდა სისასტიკით, ამიტომაც თავის უკან, მარტოდენ ცთომილების კვალი დასტოვა.

პასუხი

დიახ, ბატონო, მე გამოვცემ ამ ხელნაწერს, რომელსაც თქვენ მიბრუნებთ. გამოვცემ არა იმიტომ, რომ თქვენსავით მას სასარგებლოდ ვთვლიდე. ამ ქვეყნად თითოეული მხოლოდ თავის გამოცდილების საფუძველზე სწავლობს ჭკუას. ქალები, რომელნიც ამ ნაწარმოებს წაიკითხავენ წარმოიდგენენ, რომ მათ უკეთესი მამაკაცი შეხვედრიათ ვიდრე ადოლფია, ან თითონ უფრო ღირსეულნი არიან ვიდრე ელენორა იყო; მაგრამ მე გამოვცემ მას როგორც საკმაოდ მართალ ისტორიას ადამიანთა გულის უბედურებაზე. თუ ის ჭკუის სასწავლო გაკვეთილს შეიცავს, იგი მიმართულია მამაკაცებისადმი; ის გვიმტკიცებს, რომ ჭკუა, რომლითაც ჩვენ ვამაყობთ დახმარებას არ გვიწევს, რომ ბედნიერება მოვიპოვოთ ან სხვას მივანიჭოთ; ის ამტკიცებს, რომ ხასიათი, სიმტკიცე, ერთგულება, გულკეთილობა, ის მადლია, რომელიც ზეცას უნდა გამოვთხოვოთ, და მე გულკეთილობას ვერ ვუწოდებ წუთიერ სიბრალულს, რომელიც ან იმორჩილებს მოუთმენლობას და ხელს არ უშლის კვლავ გაიხსნას ის ჭრილობები, რომლებიც წუთიერი სინანულის გამო მოშუშდნენ. ცხოვრების დიადი საკითხი ის ტანჯვაა, რომელსაც ჩვენ სხვას ვაყენებთ და თვით ყველაზე გონებამახვილი მეტაფიზიკაც ვერ გაამართლებს იმ ადამიანს, რომელმაც დაფლითა გული, რომელსაც ის უყვარდა. ამასთან მძაგს გონების ის ქედმაღლობა, რომელიც ფიქრობს, რომ შეიძლება მიტევებული იქნეს, რაც მის მიერ ახსნილია. მეზიზღება ის პატივმოყვარეობა, რომელიც თავის თავით არის გართული, როდესაც თავისი ბოროტების შესახებ უამბობს სხვებს და პრეტენზიას აცხადებს, რომ შეიბრალონ იგი, რომელიც შეუჭირვებლად ნავარდობს ნანგრევებს

შორის, ანალიზს უკეთებს თავისთავს იმის ნაცვლად, რომ სინანულს მიეცეს, მეზიზღება ეს სისუსტე, რომელიც სულ მუდამ სხვებს ამტყუნებს თავის უძლურებაში და რომელიც ვერ ხედავს რომ სიბოროტე მის გარეშეც არ არის, არამედ თავათ მასშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ისეც მივხვდებოდი, რომ ადოლფი თავისი ხასიათის გამო, თავისივე ხასიათით დაისჯებოდა; იგი არასოდეს არ მისდევდა განსაზღვრულ გზას, მას არავითარი სასარგებლო მოვალეობა არ აღუსრულებია უსარგებლოდ, ჩაახშო თავისი ნიჭი; იგი ხელმძღვანელობდა მხოლოდ თავისი ჟინიანობით და გარდა გაღიზიანებისა სხვა არავითარი ძალა არ გააჩნდა. მე ისეც გამოვიცნობდი ყოველივეს, თქვენ რომ მისი ბედის შესახებ არ გადმოგეცათ ახალი დეტალები, რომელთაც არ ვიცი გამოვიყენებ თუ არა. გარემოება ძალიან ცოტას ნიშნავს, ხასიათი კი ყველაფერია; ამაოდ სწყვეტთ კავშირს ჩვენს გარეშე არსებულ საგნებთან და არსებებთან. ჩვენ არ ძალგვიძს თვით ჩვენს თავთან გავწყვიტოთ კავშირი. ჩვენ ვიცვლით მდგომარეობას; მაგრამ თვითეულ მათგანში განვიცდით იმ ტანჯვას, რომლისაგან თავის დაღწევის იმედი გვქონდა; და რადგან ადგილის შენაცვლებით არ ვსწორდებით, ჩვენ მარტოოდენ სინიდისის ქენჯნას ვუმატებთ სინანულს, ხოლო შეცდომებს — ტანჯვას.

თარგმანი ფრანგულიდან **ქეთევან ირემაძისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ. ბურკაძე

ამხანაგ სტალინის ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ამ ფუძემდებელთა საქმის განმგრძობის, ლენინის უახლოესი თანამებრძოლის და მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადისა და მასწავლებლის, ამხანაგ სტალინის პირველი რევოლუციური მუშაობა იწყება საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან.

ამხანაგმა სტალინმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში რევოლუციურ სოც-დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

სოც-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნისათვის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მზადდება ნიადაგი საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, ისევე, როგორც რუსეთში, ვინაიდან ბატონყმური რუსეთი აბრკოლებდა და განვითარების საშუალებას არ აძლევდა კაპიტალიზმს, მუშათა კლასის წარმოშობა კი დაკავშირებულია ისტორიულად კაპიტალიზმის განვითარებასთან.

ბატონყმობის გადავარდნამდე საქართველო, ისევე, როგორც რუსეთი, ნატურალური მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენდა. ბატონყმობის გადავარდნა ზევიდან იქნა ჩატარებული, რაც ნაკარნახევი იყო რუსეთის ყირიმის ომში დამარცხებით, რამაც „ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება“ გამოამჟღავნა. გარდა ამისა, გლეხთა აჯანყებებმა, რომლებსაც სისტემატიური ხასიათი ჰქონდათ და თანდათან იზრდებოდნენ რუსეთის სინამდვილეში, აიძულეს მემამულეების მეფე, ალექსანდრე მეორე, მოეწყო გლეხთა „განთავისუფლება“ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხობენო.

გლეხთა „განთავისუფლებამ“ გლეხს მხოლოდ იურიდიული თავისუფლება მისცა, ეკონომიურად-კი ის უფრო ცუდ პირობებში ჩააყენა. „ყბადაღებული „განთავისუფლება“ იყო გლეხობის ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მის მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას“ (ლენინი — თხზ., ტ. 15. გვ. 175). „არც ერთ ქვეყანაში გლეხობას არ განუცდია „განთავისუფლების“ შემდეგაც კი ისეთი განადგურება, ისეთი სიღატაკე, ისეთი დამცირება და ისეთი დაცინვა, როგორც რუსეთში“ (ლენინი, — თხზ. ტ. 15. გვ. 132).

ასეთ კაბალურ პირობებს ემატებოდა ის, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა და მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას. საქართველოს ერი, ისევე, როგორც ყველა არა რუსი ერი „ინოროდცად“ ითვლებოდა, საქართველო, როგორც ერი გაჩნდა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბატონყმობის დაცემამ და ქვეყნის ეკონომიურმა ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დააწესა შრომის დანაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამ-

თავროების სამეურნეო კარჩაკეტილობა და შეაკავშირა ისინი ერთ მთელად" (ი. ბ. სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონ. კოლონიალური საკითხი", გვ. 9).

რუსეთის ცარიზმი რუსიფიკაციის პოლიტიკას აწარმოებდა საქართველოში. აკრძალული იყო ქართული ენის სწავლება სასწავლებლებში და ამითვა-გამგეობაც რუსულ ენაზე სწარმოებდა. ის კოლონიური პოლიტიკა, რომელსაც ცარიზმი აწარმოებდა საქართველოში უფრო მეტად აძლიერებდა ზიზღსა და სიძულვილს თვითმპყრობელობისა და მემამულეებისადმი. მეფის რუსეთი ქართველებისათვის ისევე როგორც სხვა ერებისათვის, ხალხთა საპყრობილე იყო. ქართველი ერი თვითმპყრობელობის მიერ დაბალი რასის ხალხად იყო აღიარებული, „დაბალი რასის" წარმომადგენლებს კი არ შეეძლოთ ემუშავნათ პასუხსაგებ სამუშაოზე. თვითმპყრობელობა ხელოვნურად აქეზებდა ამიერ-კავკასიის ერებს ურთიერთის წინააღმდეგ „დაყავი და იბატონე"-ს პოლიტიკის გასატარებლად.

„მეფის რუსეთი, — ვკითხულობთ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში", — ხალხთა საპყრობილე იყო. მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არა რუსი ხალხები სრულიად უუფლებონი იყვნენ, განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას, მეფის მთავრობა ურჩევდა რუს მოსახლეობას ისე ეცქირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის, ოფიციალურად უწოდებდა მათ „ინოროდცებს", ნერგავდა ზიზღსა და სიძულვილს მათდამი. მეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხეცრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ, აწყობდა ებრაელთა დარბევას, თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას ამიერკავკასიაში". (გვ. 6).

როგორც ვიცით, ბატონყმობის გადავარდნას ხალხისთვის არაფერი არ მოუცია, მან მხოლოდ გასაქანი მისცა კაპიტალიზმს, რომ განვითარებულიყო. კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით იზრდებოდა პროლეტარიატი საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. იყო რა პირობები კაპიტალიზმის განვითარებისათვის, მან ჩქარი ტემპით დაიწყო განვითარება.

„1861 წლის შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში ისეთი სისწრაფით წავიდა, რომ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მოხდა ცვლილებანი, რომლებსაც ევროპის ძველ ქვეყნებში მთელი საუკუნეები მოუნდა" (ლენინი — თხზ., ტ. XV, გვ. 178).

კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში უფრო ხელი შეუწყო რკინისგზების განვითარებამ, რაც გამოწვეული იყო იმ ბუნებრივ სიმდიდრეთა ვამოყენებით, რითაც ხასიათდებოდა საქართველო და ამიერ-კავკასია.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთი ამიერ-კავკასიაში ხელს უშლიდა კაპიტალიზმის განვითარებას, ის მაინც იჭრებოდა და ვითარდებოდა. „ამნაირად, რუსეთის კაპიტალიზმი ითრევდა კავკასიას საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, აჩანაგებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს, — ჰქმნიდა თავისი ფაბრიკებისათვის ბაზარს" (ლენინი — თხზ., ტ. III, გვ. 575). კაპიტალისტური წარმოება თავს უყრიდა მუშებს და ახდენდა მათ გაერთიანებას. მუშები კი იწყებდნენ ერთად ბრძოლას კაპიტალისტების წინააღმდეგ. მართალია, ეს ბრძოლა გარკვეული პერიოდის განმავლობაში სტიქიური და არაორგანიზაციული იყო, ის ხელფასის შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული, მაგრამ იგი მაინც მუშების შეკავშირებისა და გაერთიანების დასაწყისს წარმოადგენდა. საქართველოს საწარმოებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა 15-17 საათამდე აღწევდა. ამას ემატებოდა არაადამიანური დამოკიდებულება მუშებისადმი, ანტისანიტარია, მუშების მოთავსება ბნელ, ნესტიან ბარაკებში და სხვა.

თბილისის გუბერნიის „მიმოხილვაში“ 1886 წელს აღწერილია მუშების მდგომარეობა. ამ „მიმოხილვაში“ ნათქვამია: „არც ერთ ფაბრიკას არა აქვს საავადმყოფო, არც ერთს არა ჰყავს მუდმივი ექიმი, თუ გინდ ფერშალი. არ არის ადმინისტრაციის კონტროლი ფაბრიკების მუშაობაზე. მათში ხშირად ივიდებით 8-9 წლის ბავშვებს დღე-ღამეში 12-13 საათის მუშაობით აუტანელ ანტიჰიგიენურ პირობებში“. შემდეგ ეხება რა თამბაქოს ქარხნების მდგომარეობას, „მიმოხილვის“ ავტორი სწერს: „ჰიგიენური პირობები, რომლებშიდაც იმყოფება მასა მუშებისა თამბაქოს ქარხანაში, მოითხოვს დიდს გაუმჯობესებას... შენობა თითქმის ყველა ფაბრიკაში ვიწროა და არა აქვს ვენტილიაცია. ჰაერი სავსეა თამბაქოს მტვერით, რომელშიაც უხდებათ მუშებს საჭმლის ჭამა... მუშების სადილი შესდგება პურისაგან, ყველის ნატეხსა და ან ხახვისაგან“. Гулишамбаров — „обзор фабрик и заводов Тифлиской губернии“, 1886 г.).

ასე აგვიწერს მეფის მოხელე გულიშამბაროვი მუშათა მდგომარეობას. არავინ ზრუნავდა მუშებზე. ჟანდარმერია და პოლიცია წინადადებას აძლევდნენ მექარხნეებს, არ დაეკმაყოფილებინათ მუშების მოთხოვნები.

რამდენადაც ფაბრიკა-ქარხნებში მანქანების შემოღება ხდებოდა, იმდენად მამაკაცების ადგილს ბავშვები და ქალები იკავებდნენ, მამაკაცებს კი უმუშევართა არმიაში უყრიდნენ თავს. თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხანაში გამეფებული იყო ჯარიმები. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო მუშების გაერთიანებული ძალით შებრძოლება, მაგრამ მუშებს იმ პერიოდში ეს არ შეეძლოთ: საჭირო იყო ხელმძღვანელობა.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში წარმოიშვა საქართველოში „მესამე დასი“. „მესამე დასის“ დაარსებისთვის წინასწარი მუშაობა ჩატარებულ იქნა ჯერ კიდევ 1890 წელს ე. ნინოშვილის მეთაურობით, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა მოწინავე ინტელიგენტ ახალგაზრდობასთან. „მესამე დასის“ დაარსებამდე ე. ნინოშვილს რამდენიმე წრე ჰყავდა თბილისში. ამ წრეების წევრები სოციალ-დემოკრატიულ იდეებთან იყვნენ გაცნობილი.

1892 წლის დეკემბერს ე. ნინოშვილის ინიციატივით მოწვეულ იქნა პირველი სხდომა ზესტაფონში. ამ სხდომას ნ. ჟორდანიამ წარუდგინა მის მიერ შედგენილი ნაციონალური „პროგრამა“, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობის შედეგად ეს „პროგრამა“ არ მიიღეს. „მესამე დასელების“ მეორე კრება მოწვეულ იქნა თბილისში 1893 წელს, მიხა ცხაკაიას ბინაზე, რასაც არა ქართველებიც დაესწრნენ.

ამ წლიდან „მესამე დასმა“ მიზნად დაისახა რომ მისი მუშაობა ამიერ-კავკასიის მასშტაბით წარმართულიყო. მაგრამ „მესამე დასელთა“ უმრავლესობა, ნაციონალისტურ სამოსელში გამოხვეული დაარსების დღიდანვე ლიბერალურ-ბურჟუაზიულ გზას დაადგა. „მესამე დასელთა“ უმრავლესობა რბილ ფორმებში აღიარებდა კლასობრივ ბრძოლას, მაგრამ სწორი დასკვნები კლასობრივ ბრძოლიდან მას არასოდეს არ გაუკეთებია. „მესამე დასში“ ისეთებიც კი ერივნენ, რომლებსაც მარქსიზმთან საერთო არაფერი არ ჰქონდათ.

„მესამე დასის“ უმრავლესობა, ჟორდანიას მეთაურობით, „ლეგალური მარქსიზმის“ გზას ადგა და მისი გამავრცელებელი იყო საქართველოში. „მესამე დასელთა“ უმრავლესობა „ეკონომიზმის“ დროშით მიდიოდა მუშათა კლასთან და ყველაფერს ბურჟუაზიულ-ნაციონალურ იდეებს უმორჩილებდა.

„მესამე დასელთა“ აზრი ფართოდ გავრცელდა 1894 წ. ე. ნინოშვილის დასაფლავებასთან დაკავშირებით. ამ დასაფლავებაში მარტო თბილისიდან 60 კაცმა მიიღო მონაწილეობა. მის კუბოსთან წარმოთქმულ სიტყვებიდან აშკარავდებოდა ის გზები, რომლებიც „მესამე დასელებს“ ჰქონდათ დასახული.

გ. წერეთელმა თავის სიტყვაში წარმოსთქვა: „ე. ნინოშვილმა ცხადათ გვიჩვენა, რომ თუ გვინდა ჩვენი ერი შევაკავშიროთ და გადავარჩინოთ გადაგვარებისაგან, აი, ამ წოდებას უნდა უშველოთ, ავამაღლოთ ის ზნეობრივათ და გონებრივათ, ავაშოროთ მას „მოსე მწერლებისთანა“ და „ტარიელისთანა“ ავი თვისების კაცები. ამ სახით მან გაუკვალა ჭეშმარიტი გზა „მესამე დასს“, ახალ თაობას ხალხში მოქმედებისათვის. აი, ამითია იგი ჩვენთვის ძვირფასი“.

„მესამე დასის“ უმრავლესობა ძირითად საკითხში „მეორე დასის“ ხაზს არ გასცილებია, იმ განსხვავების გარდა, რომ „მეორე დასელთა“ მეთაურები კლასებსა და კლასობრივ დაყოფას საქართველოში არა ხედავდნენ. მხოლოდ „მესამე დასის“ უმრავლესობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით აღიარებდა კლასობრივ დაყოფას, თუმცალა აქედან მას არ გაუკეთებია სათანადო დასკვნა. ეფარებოდა რა მარქსისტულ სახელწოდებას, იგი ცდილობდა გაევრცელებინა მარქსიზმი „ლეგალურ ფორმებში“ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

„მესამე დასის“ უმრავლესობა, — ამბობს ამხ. ლ. პ. ბერია, — ნ. ჟორდანიას მეთაურობით წარმოადგენდა „ლეგალური მარქსიზმის“ ჯგუფს, რომელიც თავის ნაწერებში პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის მთელ რიგ ძირითად საკითხებზე ამახინჯებდა რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრებას, ავულგარებდა მარქსიზმს და ნაციონალისტურ ელფერს აძლევდა მას“ (ლ. პ. ბ ე რ ი ა — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“, მეოთხე გამოცემა, გვ. 10).

ჟორდანია გატაცებული იყო კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობით საქართველოში. იცავდა ამ განვითარების აუცილებლობას ევროპის კაპიტალის გადმონერგვის საფუძველზე. ამაში ხედავდა იგი ერის ხსნას და კლასობრივ ბრძოლასაც მას უკავშირებდა. ოღონდ კაპიტალიზმი საქართველოში განვითარებულიყო ევროპის გზით და მუშათა კლასის ინტერესებიც მას „შეეწიროსო,“ — ასეთი იყო ჟორდანიას „ხაზი“. „ნ. ჟორდანია და „მესამე დასის“ უმრავლესობა უარყოფდენ რევოლუციონურ მოძრაობაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას და პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას“ (ლ. პ. ბერიას აღნიშნული წიგნი, გვ. 11). ჟორდანიასათვის „ერი“, „ხალხი“ იყო ამოსავალი წერტილი და არა კლასობრივი ბრძოლა. „მესამე დასის“ უმრავლესობისათვის, ჟორდანიას მეთაურობით, გაუგებარი იყო მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკა და მისი მეთოდი, რომ პროლეტარიატი მზარდი კლასი იყო საქართველოში, ისევე, როგორც ყველგან კაპიტალიზმის განვითარების პირობებში, რომ პროლეტარიატს შეეძლო „კლასი თავისთავად“ გამხდარიყო „კლასი თავისთვის“.

„მესამე დასელები“ შეხიზნული იყვნენ ლეგალურ გაზეთ „კვალში“, რომელიც გიორგი წერეთლის საკუთარ გაზეთს წარმოადგენდა მის გარდაცვალებამდე. „მესამე დასის“ უმრავლესობა არასოდეს არ მისულა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო არალეგალური პრესა, რომ უფრო გარკვევით დაეყენებინათ საკითხი მომავალი საზოგადოების აშენების შესახებ.

ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევრიდან ვრცელდება მარქსისტული იდეები საქართველოში. ამ პერიოდში რუსეთის მოწინავე ადამიანები მარქსისტულ მოძღვრებას გაცნობილი იყვნენ. „შრომის განთავისუფლების

ჯგუფის“ მიერ 1884 წელს შედგენილი და 1887 წელს შესწორებული პროგრამა არალეგალურად ვრცელდებოდა რუსეთში. აღნიშნული ჯგუფის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი მარქსისა და ენგელსის მთელი რიგი შრომები არალეგალურად შემოიტანეს რუსეთში. მართალია, მარქსიზმი მოდად იქცა ამ პერიოდში და მას ბურჟუაზიული ინტელიგენციაც ეწაფებოდა, მაგრამ რევოლუციონერების გამტარებლები საკმაოდ მოიპოებოდნენ რუსეთში. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლენინი 1887 წლიდან მუშაობს მარქსისტულ წრეებში და მის ირგვლივ იკრიბებოდნენ მარქსიზმის საფუძვლებზე აღმოცენებული მომავალი რევოლუციონერები. ჟანდარმერიის თვალს არ ეპარებოდნენ ისინი; მათ ატუსაღებდნენ და ასახლებდნენ რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის საქართველოსა და ამიერ-კავკასიაშიც. საქართველოში გადმოსახლებული იყვნენ კოგანი, გ. ფრანჩესკი, ი. ლუზინი და სხვები.

როგორც ამხ. ლ. პ. ბერია გადმოგვცემს დასახელებულ წიგნში, მათ გარკვეული როლი ითამაშეს მარქსიზმის გავრცელებისათვის საქართველოში. გადმოსახლებული რევოლუციონერები უკავშირდებოდნენ მოწინავე მოსწავლე და სხვა ახალგაზრდობას, აწვდიდნენ მას არალეგალურ რევოლუციონურ ლიტერატურას და უჩვენებდნენ ბრძოლის გზას არსებული წყობილების წინააღმდეგ. ასეთ მოსწავლე ახალგაზრდობას მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში შეადგენდნენ ამხანაგი სტალინი, ლ. კეცხოველი, ს. წულუკიძე, მ. ცხაკაია და სხვები. ლ. კეცხოველის მეთაურობით მოეწყო 1893 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში სემინარიის მოწინავე მოსწავლეთა კრება. ამ კრებაზე დადგენილ იქნა, რომ მოწყობილიყო მოსწავლეთა გაფიცვა, რათა ამით გამოეცხადებინათ პროტესტი იმ აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა სემინარიაში. მოწაფეთა გაფიცვის ხელმძღვანელები არ გამოეპარა ჟანდარმერიას და, გარდა იმისა, რომ ერთი თვით დახურა სემინარია, სემინარიიდან გარიცხეს 87 მსმენელი, ხოლო თბილისში ცხოვრება აუკრძალეს 23 მსმენელს. მათ შორის იყო ლ. კეცხოველი.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სემინარიის მოწაფე ამხანაგი სტალინი 1894 წლიდან უკავშირდება რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებულ რევოლუციონერებს. ამხანაგი სტალინი მათგან ღებულობს პირველ ჩვევებს იმისას, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ. საჭირო იყო მასების დარაზმვა და მომზადება. ამისათვის ამხანაგი სტალინი ეწაფება არალეგალურ ლიტერატურას და სწავლობს მარქსიზმს. „რევოლუციონურ მოძრაობაში, ამბობს ამხანაგი სტალინი, მე ჩავები ხუთმეტი წლის, დაუკავშირდი მაშინ ამიერკავკასიაში მცხოვრებ რუს მარქსისტების არალეგალურ ჯგუფს: ამ ჯგუფმა დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე და შემაყვარა არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა“. *

ამხანაგი სტალინი მტრულად იყო განწყობილი არსებული წყობილების მიმართ და ამიტომ ის თავიდანვე ეძებდა მის წინააღმდეგ ბრძოლის გზებს. ამხანაგი სტალინი ამ პერიოდში იცნობდა და მას შესწავლილი ჰქონდა გლეხთა ცხოვრება, მუშათა კლასის აუტანელი პირობები და თვითმპყრობელობის ჯალათური პოლიტიკა, რაც საკმაოდ იყო გამეფებული სემინარიაშიც, სადაც ამხანაგი სტალინი სწავლობდა: მოსწავლეთა აუტანელი მდგომარეობა სასულიერო სემინარიაში, როგორც სწავლის დროს, ისე საერთო საცხოვრებელში; სისტემატიური თვალყურის დევნება, მათი საწოლებისა და ყუთების ყოველ-

*) ი. ს ტ ა ლ ი ნ ი — საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლიუდვიგთან. 1939 წ. გვ. 11.

ღლიური ჩხრეკა, თავმომაბეზრებელ ლოცვებზე სიარული ყოველ დილა-საღამოს, შეურაცყოფა, დამცირება და სხვა.

ემილ ლუდვიგთან საუბარში ამხანაგი სტალინი იგონებს სემინარიაში არსებულ სასტიკ შემავიწროებელ და დამამცირებელ წესებს „ეს დამამცირებელი რეჟიმის და იეზუიტურ მეთოდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომელსაც ადგილი ჰქონდა სემინარიაში, მე მზად ვიყავ გავმხდარიყავი და მართლაც გავხდი რევოლუციონერი, მარქსიზმის, როგორც ნამდვილად რევოლუციონური მოძღვრების მომხრე“. შემდეგ კითხვაზე განაგრძობს ამხანაგი სტალინი: „მაგალითად, მეთვალყურეობა პანსიონატში: 9 საათზე ზარი გვამცნობს რომ ჩაის დალევის დროა, მივდივართ სასადილოში, ხოლო როცა უკან ვბრუნდებით ოთახებში, ირკვევა, რომ ამ ხნის განმავლობაში გაჩხრიკეს და ააფორიაქეს ჩვენი საბარგო ყუთები“... (ამხანაგ სტალინის საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლიუდვიგთან გვ. 13-14)

ამხანაგ სტალინს სასულიერო სემინარიის აუტანელმა პირობებმა ჩაუნერგეს სიძულვილი როგორც არსებული სასწავლებლის ადმინისტრაციისა, ისე თვითმპყრობელობისადმი. ამ პერიოდში ამხანაგი სტალინი ენერგიულად მუშაობს თეორიული დონის ამაღლებისათვის. მან, ამ პერიოდში, შეისწავლა მარქსის შესანიშნავი შრომა „კაპიტალი“ და სხვა შრომები მარქსის და ენგელსისა.

ამხანაგ სტალინის მიერ შესწავლილი იქნა ამ პერიოდში დაწერილი ლენინის შრომები, რომელიც მიმართული იყო „ლეგალური მარქსისტებისა“, „ეკონომიზმის“ და სხვათა წინააღმდეგ.

ამხანაგი სტალინის თეორიული მუშაობა ფართოა. იგი კარგად იცნობდა მხატვრულ ლიტერატურას და ფილოსოფიას. ასეთმა მისწრაფებამ თეორიისადმი ახალგაზრდა სტალინში მოგვცა სრული გარკვეულობა, რწმენა მუშათა კლასის გამარჯვებისადმი. მან მარქსისტული დებულების სრული ანალიზის საფუძველზე განსაზღვრა რუსეთისა და ამიერკავკასიის მასების შემდგომი ბედის საკითხი.

ამხანაგი სტალინი სრული შეგნებითა და რწმენით დაადგა მარქსისა და ენგელსის მიერ გარკვეულ ხაზს, რომელიც მათ ჩამოაყალიბეს „კომუნისტურ მანიფესტში“, რომ... „მიზნის მიღწევა შესაძლოა მხოლოდ მთელი დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილების ძალდატანებით დამხობით. დეე, გაბატონებული კლასები თრთოდენ კომუნისტური რევოლუციის შიშით, მასში პროლეტარები არაფერს დაკარგავენ გარდა თავისი ბორკილებისა. შეიძენენ კი მთელ ქვეყანას“.

ამხანაგი სტალინი იმთავითვე იყო არა მარტო კარგი ორგანიზატორი, არამედ იგი საუკეთესო თეორეტიკოსიც იყო. მისი თეორიული დებულებები, მარქსიზმის კარგათ ცოდნა ფართო გასაქანს პოულობდა.

ამხანაგი სტალინი, ამ პერიოდიდანვე კარგათ იცნობდა ლენინის შრომებს, მის თეორიასა და ტაქტიკას. „რადაც უნდა დაჯდეს უნდა ვნახო იგი“—ინატრა ახალგაზრდა სტალინმა, როდესაც წაიკითხა ტულინის (ლენინის) ნაშრომი, — (ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია).

როგორც ვიცით, დიდი სტალინის თანამებრძოლი ს. წულუკიძე „მესამე დასში“ შევიდა 1895 წელს. ის წლოვანებით ამხანაგ სტალინზე უფროსი იყო. მან ჯერ კიდევ ამხანაგ სტალინის „მესამე დასში“ შესვლამდე გარკვეული ბრძოლა ჩაატარა ნ. ჟორდანიას და მისი მიმდევრების წინააღმდეგ. ს. წულუკიძე იცავდა და ანვითარებდა იმ აზრს, რომ საჭიროა მტკიცე ორგანიზებული

პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგება მუშათა კლასს და წაიყვანს მას თვითმპყრობელობისა და შემდეგ ბურჟუაზიის დასამხობად. მანვე დაიწყო შეურიგებელი ბრძოლა „მესამე დასის“ ლიდერის ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ, რომელიც ქართველი ერის „კეთილდღეობისათვის ზრუნვის გამოჩენილობაში“ აყენებდა მუშათა კლასის ინტერესებს. მანვე კაპიტალიზმის განვითარების ანალიზიდან გამოიყვანა სოფლის მეურნეობის დიფერენციაციის მიზეზი და პროლეტარიატის ზრდის აუცილებლობა საქართველოში. ს. წულუკიძემ მოგვცა პირველად მარქსისტული პოლიტ-ეკონომიის ახსნა-განმარტება ქართულ ენაზე და ამით ნათელჰყო ბურჟუაზიის გამდიდრების პირობების საიდუმლოება, რომ იგი დამყარებულია მუშათა კლასის ექსპლოატაციაზე.

ს. წულუკიძემ თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში, გარდა იმისა რომ ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სოც-დემოკრატიულ წრეებსა და ჯგუფებში, მოგვცა მთელი რიგი სტატიები და შრომები, მარქსისტული საფუძვლებიდან გამომდინარე. ს. წულუკიძის კალამს ეკუთვნის „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ (დაიბეჭდა პირველად გაზეთ „კვალში“, №№ 44, 45 და 48-ში, 1898 წელს. იმ პერიოდში იგი მოსკოვში იყო). ამ სტატიაში ს. წულუკიძე იძლევა კრიტიკას ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებულ მოთხრობისა „ფირალი დავლაძე“.

ს. წულუკიძემ მოგვცა ულმობელი კრიტიკა ნ. ჟორდანიას და არჩილ ჯორჯაძის (სოც.-ფედერალისტი) არაპროლეტარული შეხედულებებისა. ს. წულუკიძემ ჟორდანიას და ჯორჯაძეს ფარდა ახადა და ნათელჰყო, რომ მათი შეხედულება გამომდინარეობს კაპიტალიზმის დაცვიდან და მათ საერთო არაფერი აქვთ პროლეტარიატთან. ნათელჰყო, რომ ქართველ „ლეგალურ მარქსისტთა“ ლიდერი ნ. ჟორდანია იცავდა „საერთო ნიადაგის“ თეორიას და ამით პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ იდეებს უმორჩილებდა.

ს. წულუკიძემ ნათელჰყო, რომ რაც უფრო ვითარდება კაპიტალიზმი, მით უფრო მწვავდება კლასობრივი ბრძოლა. მით უფრო დიდი უფსკრული ჩნდება კლასებს შორის, მით უფრო შეუძლებელი ხდება მათი შერიგება და არავითარ „საერთო ნიადაგის“ თეორიას ადგილი არა აქვს.

არჩილ ჯორჯაძის კრიტიკის დროს ს. წულუკიძე სწერდა: „იქ, სადაც ვაჭრობა-მრეწველობა აღორძინებულია და ბურჟუაზია ფეხს იკიდებს, მეორე საზოგადოებრივი კლასი აუცილებლად არსებობს და მას სწორედ ამ პირველ ხანაში უფრო ეჭირვება „ინტელიგენტური“ ძალღონე, ვიდრე მერმედ, როცა თვით ცხოვრების მუხრუჭები, შეერთებული ფიზიკური და გონებრივი მუშაობა თავისთავად ხდის მტკიცე სოციალურ ძალას, რომელსაც ძლიერთანაც შეუძლია გამკლავება. ბურჟუაზიის იდეოლოგები ყოველთვის ამნაირად უხვევდნენ საზოგადოებას თვალს, აჯერებდნენ მუშათა კლასს, თქვენი ინტერესები მოითხოვენ ვაჭარ მრეწველნი გამაგრდნენ, გამდიდრდნენ, რადგან დარწმუნებული უნდა ვიყოთ, თქვენც არ დაგივიწყებენ და საზოგადოთ „საერთო“ საქმესაც გააკეთებენო. ეს ამბავი არა ერთხელ სმენია ევროპის დემოკრატიას. დღეს მას ჩვენში იმეორებს ბ. არჩილ ჯორჯაძე“ (ს. წ ულ უ კ ი ძ ე — თხზულებანი, გვ. 155, 1927 წლის გამოცემა). ს. წულუკიძე ცხადყოფს, რომ არჩილ ჯორჯაძე ბურჟუა-ნაციონალისტია, რომ არჯილ ჯორჯაძე, ისევე, როგორც ჟორდანია, გამოდის ქართველი ბურჟუაზიის აპოლოგეტად, რომ ჩაგრული კლასების ინტერესებზე, კერძოდ მუშათა კლასის მოთხოვნებზე და მისი ცხოვ-

რების გაუმჯობესებაზე ლაპარაკი შეუძლებლად მიაჩნია. ს. წულუკიძე სწერს: არჩილ ჯორჯაძის „დემოკრატიული ინტერესები ბურჟუაზიულია, კლასთა ბრძოლის გადაფუჩეჩება მისთვის საერთო ინტერესს წარმოადგენს, რომელსაც მშრომელმა ხალხმა თავისი კერძო ინტერესები უნდა უმსხვერპლოს. ხოლო რადგან ეს „ხალხი“ უმეტესობას შეადგენს და საერთო ინტერესს მისი ინტერესები წარმოადგენს, ამიტომ ბ. არჩილ ჯორჯაძე ეროვნული ინტერესების სახით უმცირესობის, არამწარმოებელთა ინტერესებს იცავს. სწორედ ეს ხდის ავტორის „ინტერესებს“ (ჯორჯაძეზეა ლაპარაკი. შ. ბ.) არადემოკრატიულად, არამედ ნამდვილ ბურჟუაზიულად“ (ს. წ ულ უ კ ი ძ ე — თხზ., გვ. 169, 1927 წლის გამოცემა). ამგვარად ახასიათებს ს. წულუკიძე ჯორჯაძეს და მის მიმდევრებს, ქართველი ბურჟუაზიის დამცველებად რომ გამოდიოდნენ. ს. წულუკიძემ ამხილა და გაანადგურა ჟორდანიას „ერის“ დამცველობის მცდარი ბურჟუაზიული შეხედულობა და ნათელჰყო, რომ კლასობრივ საზოგადოებაში შესაძლებელია ლაპარაკი არა „ერზე“ საერთოდ, არამედ კლასებზე და კლასობრივ ბრძოლაზე, რომ კაპიტალიზმის განვითარება ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას და ამ ბრძოლის გადაჭრა მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვების შედეგად შეიძლებაო. ს. წულუკიძეს მოღვაწეობა არ განისაზღვრებოდა მარტო სამწერლო ასპარეზით. ის უდიდეს მუშაობას აწარმოებდა სოც-დემოკრატიულ წრეებსა და ჯგუფებში.

ს. წულუკიძე იყო ამხანაგ სტალინის თანამებრძოლი და მისი ხაზის გამტარებელი. ს. წულუკიძის ბინა ღია იყო სოც-დემოკრატებისათვის. მის სახლში ხშირად ეწყობოდა კონსპირატიული კრებები. ს. წულუკიძემ თავის ხანმოკლე მუშაობის პერიოდში ბევრი რამ გააკეთა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გავრცელებისათვის საქართველოში. ს. წულუკიძე უშუალოდ იყო დაკავშირებული ამხანაგ სტალინთან და მასთან ერთად იბრძოდა პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისათვის. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ამხანაგი სტალინი 1894 წლიდან შეუდგა არალეგალური მარქსისტული ლიტერატურის შესწავლას და ამ დროიდან დაუკავშირდა იგი რუსეთიდან გადმოსახლებულ სოც-დემოკრატებს.

„მესამე დასი“ ნ. ჟორდანიას მეთაურობით არავითარ გარკვეულ ნაბიჯებს არა სდგამდა მუშათა კლასის შესაკავშირებლად. იგი მარქსიზმის მხოლოდ ლეგალური პროპაგანდით კმაყოფილდებოდა და ნაციონალური ჩარჩოებით ფარგლავდა მას.

ამხანაგი სტალინი „მესამე დასში“ შევიდა 1898 წელს. ამხანაგ სტალინის „მესამე დასში“ შესვლის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ „მესამე დასში“ მყოფი რევოლუციონერი ამხანაგები დაერაზმა, თავის ირგვლივ და „მესამე დასელთა“ ოპორტუნისტები ჟორდანიას მეთაურობით შიგნითვე ემხილა და გამოემჟღავნებინა. ამხანაგმა სტალინმა „მესამე დასელთა“ უმრავლესობას ფარდა ახადა და მათ საწინააღმდეგოდ დააყენა პრინციპული საკითხები საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში მუშათა კლასის დასარაზმავად და მათ მოსაჭზადებლად მარქსისტულ-კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე.

იმისთვის, რომ მუშათა კლასი დარაზმულიყო თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის საწინააღმდეგოდ, საჭირო იყო მისი გათვითცნობიერება და სოც-დემოკრატული ორგანიზაციების შექმნა, სადაც დაირაზმებოდა მუშების საუკეთესო ნაწილი და ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც პროლეტარიატის იდეების გამომხატველი იყო. ამ საკითხის მოგვარებისათვის ამხანაგმა სტალინმა

დასახა, პირველყოვლისა, არალეგალური პრესის შექმნის აუცილებლობა, სადაც გაშუქებული იქნებოდა ყველა საჭირბოროტო საკითხი, როგორც მუშათა კლასის და გლეხობის, ისე სოც-დემოკრატიის მიზნები და ამოცანები.

ამხანაგმა სტალინმა „მესამე დასში“ შესვლისთანავე წამოაყენა არალეგალური გაზეთის დაარსების საკითხი. მაგრამ „მესამე დასელთა უმრავლესობას“ ჟორდანიას მეთაურობით არ მიაჩნდა საჭიროდ ასეთი ორგანოს შეჰქმნა და კმაყოფილდებოდნენ გაზეთ „კვალის“ არსებობით.

ამხანაგ სტალინის მიერ „მესამე დასში“ დაყენებულმა საკითხმა არალეგალური გაზეთის დაარსების შესახებ „დასელთა“ შორის განხეთქილება გამოიწვია. ამხანაგ სტალინს მხარი დაუჭირეს ს. წულუკიძემ და ლ. კეცხოველმა. ამხანაგმა სტალინმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა მუშათა კლასის ერთგულნი და მარქსიზმის დამცველები. „მესამე დასში“ შეიქმნა უმცირესობა და უმრავლესობა. „მესამე დასში“ შიგნით, — ამბობს ლ. პ. ბერია, — 1898 წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა რევოლუციურ-მარქსისტული ჯგუფი ს. წულუკიძე, ლ. კეცხოველი და ი. სტალინი; ეს ჯგუფი წარმოადგენდა „მესამე დასის“ უმცირესობას, რომელიც მთელ რიგ ძირითად საკითხებში არ ეთანხმებოდა „მესამე დასის“ უმრავლესობას. პირველმა მწვავე უთანხმოებამ თავი იჩინა 1898 წელს არალეგალური პრესის საკითხის გამო“ (ლ. პ. ბ ე რ ი ა — იქვე, გვ. 14).

„მესამე დასის“ უმცირესობა ამხანაგ სტალინის მეთაურობით უშუალოდ უკავშირდება მუშებს და მათ შორის აარსებს მარქსისტულ წრეებსა და ჯგუფებს. ამხანაგი სტალინი 1898 წელს არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას იწყებს თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში: იქ მან სახელოსნოს მოწინავე მუშები მარქსისტულ წრეებში დარაზმა. ამხანაგ სტალინს მთავარ სახელოსნოში ხუთი არალეგალური მარქსისტული წრე ჰყავდა. მოწინავე მუშებში მომწიფებული იყო პირობები არსებული წყობილების წინააღმდეგ შებრძოლებისათვის, მათ აკლდათ მხოლოდ ხელმძღვანელობა და დარაზმულობა. ამხანაგ სტალინის მუშაობამ დარაზმა და აამოძრავა ისინი.

ამხანაგი სტალინი თბილისის რკინისგზის მთავარ სახელოსნოში მუშაობის დაწყების შესახებ გვეუბნება: „ვიგონებ 1898 წელს, როცა მე პირველად მივიღე რკინისგზის სახელოსნოების მუშების წრე... მაგონდება, როგორ მივიღე პრაქტიკული მუშაობის გაკვეთილები ამხ. სტურუას ბინაზე... აქ ამ ამხანაგების წრეში მე მივიღე საბრძოლო პირველი რევოლუციონური ნათლობა“ (დაიბეჭდა პირველად გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“, 10/VI — 1926 წ.).

ამხანაგ სტალინის მუშაობის დაწყებამდე რკინისგზის მთავარ სახელოსნოში მუშებს არა ჰყავდათ მრჩეველი და გზის მაჩვენებელი. ასეთ მდგომარეობაში იყვნენ სხვა საწარმოს მუშებიც. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევრამდე გაფიცვებს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, ისევე, როგორც რუსეთში, არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, რაც ბევრ შემთხვევაში მუშების დამარცხებით თავდებოდა.

ამხანაგი სტალინი 1898 წლიდან უშუალოდ უკავშირდება თბილისის სხვადასხვა ქარხნის მუშებს. ამხანაგ სტალინს 1898 წ. სოც-დემოკრატიული წრეები ჰყავდა ბოზარჟიანცისა და ენფინჯიანცის თამბაქოს ქარხნებში. ადელხანოვის ფეხსაცმელების ქარხანაში (ნავთლული), კარაპეტიანცის საქვაფენილო საამშენებლო ქარხანაში, მირზოევის ნარმის საქსოვ ფაბრიკაში, ტოლეს ზეთის სახდელ ქარხანაში, სტამბის მუშებს შორის და სხვ.

ამხანაგ სტალინის მუშაობამ ამ მიმართულებით დიდი ნაყოფი გამოიღო მუშათა დარაზმისა და გარკვევა-მომზადების საქმეში. ამხანაგი სტალინი პირველ საუბრიდანვე აცნობდა მუშებს კლასობრივი ბრძოლის არსს, და ეუხსნიდა მათ არსებული წყობილების უვარგისობას, უხსნიდა, თუ როგორ ეფარებიან ცარიზმი კაპიტალისტებს მუშათა კლასის ექსპლოატაციის წარმოების საქმეში.

ამხანაგმა სტალინმა ბოზარჟიანცის ქარხნის მუშებთან პირველი არალეგალური საუბარი მოაწყო ფრანგთა სასაფლაოზე 1898 წელს. ამ მუშებთან მანამდის არავითარ მუშაობას არა ჰქონდა ადგილი და მუშებიც ნაკლებად ერკვეოდნენ საერთო საკითხებში. მაგრამ ამხანაგ სტალინის საუბარმა მალე აუხილა თვალი მუშებს, ისინი სთხოვდნენ, ხშირად ევლო მათთან. აღნიშნული ქარხნის ყოფილი მუშა ცაბაძე მოგვითხრობს თავის მოგონებაში, თუ როგორ მიმართავს დაინტერესებულ მუშებს ამხანაგი სტალინი: „...მე კიდევ ხშირად ვივლი თქვენთან. მაგრამ ყოველთვის აქ ასე ღია ალაგას არ შეიძლება კრების გამართვა. ამისთვის საჭიროა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — უფრო მოფარებული ადგილი ამოვირჩიოთ, რომ შეიძლებოდეს თავის მოყრა მუშების, რადგანაც, როგორც თქვენ ემზადებით საბრძოლველად, აგრეთვე არ სძინავს კაპიტალისტებს, არც მთავრობას და მათ ჯაშუშებს. თქვენთვის რა არის პირველ ყოვლისა აუცილებლად საჭირო? პირველად საჭიროა თქვენთვის იქონიოთ ერთმანეთში მტკიცე და შეურყეველი კავშირი და მასთან ერთად კავშირი აგრეთვე სხვა ფაბრიკის მუშებთანაც. მეორე ის, რომ თქვენ ეს ნანახი და გაგონილი ძაან საიდუმლოდ შეინახოთ... მესამე, იქონიოთ საგაფიცვო კასები, რომ საჭიროების დროს ამ კასამ დახმარება გაუწიოს იმ მუშებს, რომლებიც უფრო გაჭირვებაში იქნებიან ან დაატუსაღებენ... ამ სიტყვებმა თქვენ არ უნდა შეგაშინონ, რადგან ბრძოლა უმსხვერპლოდ არ შეიძლება. მეოთხე ის, რომ უნდა იკითხოთ ჟურნალ-გაზეთები, რასაც მოგვცემენ ფურცლებს, პროკლამაციებს და ლიტერატურას“ (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მასალებიდან).

1898 — 1900 წლებში ამხანაგი სტალინი ბოზარჟიანცის თამბაქოს ქარხანაში მარქსისტულ-სოც.-დემოკრატიულ წრეებს ხელმძღვანელობდა. ამხანაგ სტალინს ნაძალადევში (ლენინის რაიონი) ჰყავდა პროპაგანდისტთა წრე, რომლებიც გამოყოფილ იქნენ სოც-დემოკრატიულ წრეებიდან, მათი აქტიური წევრებიდან. ამხანაგ სტალინს უნდა აღეზარდა პროპაგანდისტები და აგიტატორები მუშებს შორის მუშაობის გასაშლელად მარქსისტული მსოფლმხედველობის საფუძველზე.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს და მეოცე საუკუნის დამდეგს დაწყებულმა კრიზისმა, რომელიც მოედვა როგორც ევროპას, ისე რუსეთს, დიდად შეამცირა მუშების ხელფასი საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, მაგრამ ამ მდგომარეობამ ვერ შეასუსტა მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობა. პირიქით, იგი უფრო იზრდებოდა, მასობრივ ხასიათს ღებულობდა, რადგან ეკონომიურ მოთხოვნებიდან პოლიტიკურ მოთხოვნებზე გადადიოდნენ.

თბილისის მთავარ სახელოსნოში ამხანაგ სტალინს ხუთი არალეგალური სოც-დემოკრატიული წრე ჰყავდა. 1900 წელს ამ სახელოსნოში მოწყობილი გაფიცვების დროს ამხანაგმა სტალინმა დიდი მუშაობა ჩაატარა იმისთვის, რომ მუშების შებრძოლება უფრო ორგანიზებული ყოფილიყო. ამხანაგ სტალინის ხელით იყო ამ დროს დაწერილი არალეგალური პროკლამაცია — „ამხანაგებო“, რომელშიაც იგი მოუწოდებდა მუშებს—მხნედ შებრძოლებოდ-

ნენ მექარხნეებს და არ გასულიყვნენ სამუშაოდ, სანამ მათი მოთხოვნები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული.

ცხრაასიან წლებიდან სოც-დემოკრატიულ იდეებს უფრო მეტი გასაქანი მიეცათ მუშათა კლასში. ცხრაასიანი წლების მიწურულიდან საქართველოში უკვე მომწიფებული იყო პირობები, რომ ვიწრო პროპაგანდისტული მუშაობიდან ფართო საagიტაციო მუშაობაზე გადასულიყვნენ. საკმარისი აღარ იყო მარტო საწრეო მუშაობა. გაჩნდა პირობები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლაზე გადასვლისათვის.

ამხანაგი სტალინი ამზადებს პირობებს იმისათვის, რომ მუშათა კლასი გამოსულიყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ „მესამე დასელთა“ უმრავლესობა ამისი წინააღმდეგი იყო, რამაც უფრო გაამწვავა მდგომარეობა „მესამე დასელთა“ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის.

1900 წელს საქართველოში ჩამოვიდა ვ. კურნატოვსკი, რომელიც ლენინთან იყო გადასახლებაში. „ამხ. კურნატოვსკიმ, — ამბობს ამხ. ლ. პ. ბერია, — მცირე დახმარება როდი გაუწია ქართველ სოც.-დემოკრატებს ლენინური ისკრული ხაზის გატარების საქმეში“. კურნატოვსკი ჩამოსვლისთანავე მტკიცე კავშირს ამყარებს ამხანაგ სტალინთან და აწარმოებს ორგანიზაციულ მუშაობას. ქართველ სოც.-დემოკრატიულ ჯგუფს, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შექმნილსა და დაარსებულს, დიდ დახმარებას უწევდა აგრეთვე მ. კალინინი, რომელიც ხუთი წლის ციხეში ჯდომის შემდეგ გადმოსახლებულ იქნა თბილისში. ამხ. მ. კალინინი თბილისში ჩამოსვლისთანავე მუშაობას იწყებს რკინიგზის მთავარ სახელოსნოში და იმავე წელს აწყობს სოც.-დემოკრატიულ მარქსისტულ წრეს.

1901 წ. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარებულ იქნა პირველი აშკარა საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში, რომელიც მუშებსა და პოლიციას შორის სისხლის მღვრელი შეტაკებით დამთავრდა. ქალაქ-გარეთ მოწყობილ საპირველმაისო დემონსტრაციას 1900 წელს ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, ხოლო 1899 წელს, — ლ. კეცხოველი, მაგრამ 1901 წელს ჩატარებული საპირველმაისო დემონსტრაცია აშკარა ხასიათს ატარებდა.

ლ. კეცხოველი, ამხანაგ სტალინის დავალებით გადავიდა ბაქოში, ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცენტრში, რომ იქ სოც-დემოკრატიული მუშაობა გაეშალა და არალეგალური გაზეთი გამოეშვა. ლ. კეცხოველმა დიდი მუშაობა ჩაატარა ბაქოში იმისათვის, რომ მოეწყო არალეგალური სტამბა გაზეთის გამოსაცემად. გაზეთს სახელი „ბრძოლა“ ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა შეურჩია. გაზეთი „ბრძოლის“ გამოცემა „მესამე დასელებს“ არ უნდოდათ. მათ კიდევაც გაგზავნეს თავისი წარმომადგენელი ლ. კეცხოველთან ბაქოში. არწმუნებდნენ არალეგალური გაზეთი საჭირო არ არის, რომ უმრავლესობის აზრით, გაზეთი კაცს მოცდენისა და დროს დაკარგვის მეტს არაფერს არ მოუტანდა. მაგრამ ლ. კეცხოველს ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა გ ა ნ გარკვეული დავალება ჰქონდა მიცემული გაზეთის აუცილებლად გამოცემის შესახებ. მან ეს დავალება, დიდი სიძნელების გადალახვის შედეგად, პირნათლად შეასრულა და 1901 წ. სექტემბერში გამოვიდა კიდეც გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერი, რომელიც ლენინური გაზეთის „ისკრის“ ხაზის გამტარებელი იყო. გაზეთ „ბრძოლაში“ დაბეჭდილია თეორიული-ორგანიზაციული ხასიათის მოწინავეები. ეს წერილები უმეტეს შემთხვევაში დაწერილი იყო ამხანაგი სტალინის მიერ.

გაზეთი „ბრძოლა“ მტკიცეთ იდგა მუშათა კლასის ინტერესების დაცვის გზაზე და რაზმავდა მუშებს თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად. „გაუმარჯოს მუშათა საქმეს, გაუმარჯოს რუსეთის ტახტის დამხობას ჩვენს ხელებზე

ბორკილების შესახსნელად და პროლეტარიატის გასამარჯვებლად", — ასეთი იყო გაზეთ „ბრძოლის" დევიზი. გაზეთი „ბრძოლა" კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე იდგა და მტკიცედ ატარებდა ლენინური „ისკრის" მიმართულებას.

„გაზეთ „ბრძოლას", — ამბობს ამხ. ლ. პ. ბერია, — თავისი თავი მიაჩნდა საერთო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ადგილობრივ ორგანოდ. იგი იცავდა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის რევოლუციონურ ბრძოლის განუყრელ კავშირს მთელი რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციონურ ბრძოლასთან". გაზეთმა „ბრძოლამ" თავის პირველ ნომერშივე განაცხადა, რომ „ქართული სოც.-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძოდ მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელი-ხელ გადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიას".

იყო რა გაზეთი „ბრძოლა" „ისკრის" ხაზის გამტარებელი, მან დიდი როლი შეასრულა მუშათა კლასის დარაზმვისა, მარქსისტულ-ლენინური ხაზის გადმონერგვისა და გატარების საქმეში საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

გაზეთი „ბრძოლა" მთელი არსებით ებრძოდა ქართველ „ლეგალურ მარქსისტებს" და მათ ლიდერს ჟორდანიას. გაზეთმა „ბრძოლამ" დიდი როლი შეასრულა ლენინურ-სტალინური ხაზის გატარებისათვის ბრძოლაში. ამხ. ლ. კეცხოველის დაუღალავი და შეუპოვარი ბრძოლა არ გამორჩა შეუმჩნეველი თვითმპყრობელობას და მის „ოხრანკას". 1902 წ. 2 სექტემბერს ლ. კეცხოველი დაატუსაღეს და ბაქოს საპყრობილეში ჩაკეტეს. შემდეგ იგი გადმოყვანილ იქნა თბილისში მეტეხის ციხეში.

ლ. კეცხოველი შეუდრეკელი და უშიშარი იყო. როდესაც ჟანდარმერიამ პირადობის საბუთი მოსთხოვა ლ. კეცხოველმა უპასუხა: „მე პროფესიით რევოლუციონერი ვარ და აი საბუთიო".

ლ. კეცხოველს საპყრობილეში განსაკუთრებულად უხეშად ეპყრობოდნენ. მაგრამ ამან ვერ გასტეხა იგი. თვითმპყრობელობა ლ. კეცხოველში ხედავდა მისთვის დიდად საშიშ ადამიანს და ამიტომ 1903 წლის 17 აგვისტოს ის მოკლულ იქნა მხეცურად კამერაში.

ლ. კეცხოველის მკვლელობის ამბავი მყისვე მოედვა როგორც მთელ ციხეს, ისე ქალაქს, რამაც უფრო მეტი სიძულილი გამოიწვია მასებში თვითმპყრობელობისადმი.

ამხანაგი ლ. პ. ბერია თავის წიგნში ასე ახასიათებს ლ. კეცხოველს: „რევოლუციის კეთილშობილი რაინდი, იგი მთლად გამსჭვალული და მოცული იყო რევოლუციური აზრით, გრძნობით, მოქმედებით. მის გულში გიზგიზებდა რევოლუციისათვის ბრძოლის დაუქრობელი ცეცხლი. შთაგონებული ღრმათ იდეური, იგი თავის ყოველ ნაბიჯს მიმართავდა რევოლუციური საქმის გამარჯვებისაკენ, უდრეკ სიმტკიცეს, მის სიმამაცეს საფუძვლად ედო უსაზღვრო ერთგულება რევოლუციის საქმისადმი, უდიდესი რწმენა მუშათა კლასის გამარჯვებისა, რომელიც არ სტოვებდა მას არც იატაკქვეშეთში, არც საპყრობილეს ჯურღმულებში".

ამიტომ იყო, რომ ლადოს სიკვდილმა ააშფოთა მთელი მშრომელი ხალხი. კეცხოველი ელოდა თვითმპყრობელობისაგან შემოტევას და ამას შესაძლებელია სიკვდილიც მოჰყოლოდა, მაგრამ მას ეს არ აშინებდა. ლადო კეცხოველი თავის ძმას ციხიდან მოკვლის წინა დღეებში სწერდა: „მაშ ბრძოლა, ბრძოლა... და თუ ამ ბრძოლაში წავიქცევი, ნუ იდარდებ: ყოველი საქმე და მით

უმეტეს თავისუფლება მსხვერპლს თხოულობს. Но где, скажи, когда без смерти искуплена свобода!“

ასეთი იყო ლადოს დევიზი თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში.

ამხანაგი სტალინი ლ. კეცხოველთან და ს. წულუკიძესთან ერთად და ვ. კურნატოვსკის და მ. კალინინის დახმარებით 1900 წლიდან შლის ფართო მასობრივ მუშაობას და იწყებს თვითმპყრობელობასთან შეტევის ბრძოლას. 1898 — 1900 წლებში არსებული სოც.-დემოკრატიული წრეები, ამხანაგ სტალინის მიერ შექმნილი და ორგანიზებული, ერთდებიან თბილისის სოც.-დემოკრატიულ ჯგუფში, „ეს ჯგუფი რევოლუციური სოც.-დემოკრატიული ჩანასახი გახდა“.

თბილისის რევოლუციური სოც.-დემოკრატიული ჯგუფი გარკვევით დადგა ლენინურ-ისკრული მიმართულების ხაზზე და უპირისპირდებოდა „მესამე დასელთა“ უმრავლესობას. ამხანაგ სტალინის „მესამე დასში“ შესვლიდან შეიქმნა გარკვეული რევოლუციური მიმართულება, რომელიც დასაწყისი იყო ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის. იმ ბრძოლებით, რომლებიც ჩაატარა „მესამე დასელების“ უმრავლესობის წინააღმდეგ „უმცირესობამ“, და იმ მუშაობით, რომელიც ჩატარებული იქნა 1898 — 1901 წლებში, თბილისის სოც.-დემოკრატიულმა ჯგუფმა შექმნა ყოველგვარი პირობა იმისთვის, რომ თბილისში წარმოშობილიყო სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის ცენტრი, რომელიც უხელმძღვანელებდა მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე შექმნილ წრეებსა და ჯგუფებს. ამისათვის ამხანაგმა სტალინმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა. ის საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელიც 1901 წელს მოეწყო ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მაჩვენებელი იყო იმისა, რომ მუშათა მასა მიილტვოდა თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად. ამოძრავებულ მასას სჭიროდა ხელმძღვანელობა. ის მოწინავე მუშები, რომლებიც დარაზმული იყვნენ ამხანაგ სტალინის მიერ შექმნილ სოც.-დემოკრატიულ ჯგუფებსა და წრეებში და წინასწარ ჩატარებული ორგანიზაციული მუშაობა აყენებდა საკითხს — გაშლილიყო პარტიული მუშაობა. სწორედ ამიტომ, რაკი მომზადებული იყო პირობები, 1901 წლის თერთმეტ ნოემბერს ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით და ინიციატივით მოწვეულ იქნა თბილისის პირველი პარტიული კონფერენცია. ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო თბილისში არსებული თითქმის ყველა სოც-დემოკრატიული წრე. კონფერენციას დაესწრო 23 დელეგატი. ამ კონფერენციამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით აირჩია 9 წევრისაგან შემდგარი ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის კომიტეტი.

თბილისის სოც.-დემოკრატიული კომიტეტი ხელმძღვანელობდა არა მარტო თბილისის ორგანიზაციებს, არამედ ის იყო საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი.

თბილისის სოც-დემოკრატიული კომიტეტი იბრძოდა ლენინურ-ისკრული ხაზის დაცვისა და გატარებისათვის.

თბილისის სოც.-დემოკრატიული კომიტეტის წინაშე იდგა ახალი ტიპის პარტიის შექმნის ამოცანა. ის უარყოფდა მეორე ინტერნაციონალში შემავალ პარტიათა მსგავს პარტიას, რომელიც თავის რიგებში ითმენდა ფრაქციებს და მიმდინარეობებს. „მესამე დასელთა“ უმრავლესობის წინააღმდეგ ბრძოლა და მისგან ჩამოცილება ამის დამამტკიცებელი იყო. თბილისის კომიტეტის მუშებისადმი მიმართულ ერთ-ერთ მოწოდებაში ვკითხულობთ: „... ჩვენთვის აუცილებელზე აუცილებელია მაგარი პარტია, რომელიც ერთ დიდ არმიად შეგვაერთებს და იერიშს მიგვატანინებს ძველ წესებზე, და ჩვენ უნდა შევქმნათ

ასეთი პარტია, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს... ერთი და განუყოფელი პარტია, — აი რა გვინდა ჩვენ... ცალკე ჯგუფები კი არა, — ერთი და განუყოფელი პარტია. რყევა და ყოყმანი კი არა, — მტკიცე და შეურყეველი ტაქტიკა, — აი რასა გვთხოვს პროლეტარიატის ინტერესები, და ჩვენ [illegible] ვიბრძოლებთ ამისათვის, რითაც უნდა გვიღირდეს ეს ბრძოლა. გაუმარჯოს ერთსა და განუყოფელ რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!".

ასეთი იყო თბილისის პარტიული კომიტეტის წინაშე დასმული საკითხი, რომელიც მუშათა კლასის ინტერესებიდან გამომდინარეობდა და მასვე ემსახურებოდა.

თბილისის პარტიული კომიტეტის წინაშე ამხანაგმა სტალინმა დიდი საბრძოლო ამოცანა დააყენა. უნდა შექმნილიყო ამიერ-კავკასიაში ასეთივე პარტიული კომიტეტები, რისთვისაც პირობები თანდათან მზადდებოდა და იქმნებოდა. ამისათვის საჭირო იყო პირველ რიგში მუშაობის გაშლა ბათომსა და ბაქოში. ბაქოში, ამხანაგ სტალინის დავალებით, ლ. კეცხოველმა გაშალა მუშაობა. თბილისსა და ბაქოს გარდა ბათომი ერთ-ერთ სამრეწველო ქალაქად ითვლებოდა ამიერ-კავკასიაში. ბათომის თერთმეტ-ათასიან მუშებს ცუდ პირობებში უხდებოდათ არსებობა. მუშებს არა ერთხელ მიუმართავთ გაფიცვებისათვის და წაუყენებიათ მოთხოვნები მექარხნეებისათვის ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 80-90-იან წლებში, მაგრამ მათი გაფიცვები უშედეგოდ თავდებოდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ მუშათა საგაფიცვო მოძრაობა უხელმძღვანელოდ მიმდინარეობდა.

ცხრაასიან წლებში ბათომის მუშებს შორის სოც.-დემოკრატიულ მუშაობას ადგილი არა ჰქონდა. როგორც ამხ. ლ. პ. ბერია დასახელებულ წიგნში ამბობს, მაშინ ბათომში იყვნენ „მესამე დასელების" უმრავლესობის წევრები კ. ჩხეიძე და ი. რამიშვილი, რომლებიც „მარქსიზმის ლეგალურ" პროპაგანდას ეწეოდნენ და რომლებსაც შეუძლებლად მიაჩნდათ არალეგალური მარქსისტული სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა.

რუსეთიდან გადმოსახლებულმა სოც.-დემოკრატებმა ლუზინმა და ფრანჩესკიმ ბათომში 1896-1898 წ. წ. შეჰქმნეს წრეები, მაგრამ ეს წრეები არ იყო ცნობილი მუშების უმრავლესობისათვის. ეს იმითაც აიხსნება, რომ ამ წრეებს დიდხანს არ უარსებებიათ.

ფრანჩესკის და ლუზინის არალეგალური სოც.-დემოკრატიული მუშაობა არ გამორჩენია ჟანდარმერიას და 1898 წელს ისინი დატუსაღებული იქნენ. ლუზინის და ფრანჩესკის მუშაობის შესახებ პოლკოვნიკი დებილი ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს ასეთ ცნობას აძლევდა 1898 წ. 16 აგვისტოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ რომ... ფრანჩესკი და ლუზინი იყვნენ დამაარსებელნი ბათომის წრისა, ისახავდნენ მიზნად სოც.-დემოკრატიულ პროპაგანდას. წრის წევრებად იყვნენ როგორც ბათომის მცხოვრებნი, ისე თბილისის. ჰყიდდნენ მარქსის სურათებს წრის სალაროს გასაძლიერებლად" (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბ. ფილიალი. ფონდი 31, საქმე 167, გვ. 149).

ფრანჩესკის და ლუზინის მიერ მოწყობილ სოც.-დემოკრატიულ წრეებიდან იწყება სოც.-დემოკრატიული იდეების შეტანა ბათომის მუშებში. მაგრამ მათ ამ საქმის გაფართოება ვერ შესძლეს, მით უმეტეს რომ, მათი ხელმძღვანელების დატუსაღების შემდეგ სოც.-დემოკრატიული პროპაგანდა შენელდა. ქართველ „ლეგალურ მარქსისტთა" წევრები კ. ჩხეიძე და ი. რამიშვილი გართული იყვენ არა მარქსისტული იდეების გავრცელებისა და პროპაგანდაში, არამედ „საკვირაო სკოლების" დაარსებით კმაყოფილდებოდნენ და სა-

ერთო განვითარების წრეებს ამეცადინებდნენ, რაც პოლიტიკურ მუშაობისა და მუშათა კლასის შეკავშირებისაგან ძალიან შორს იყო.

ი. რამიშვილი და კ. ჩხეიძე კმაყოფილდებოდნენ ასეთი „მუშაობით“ და მუშათა კლასისათვის არა ზრუნავდნენ. მუშათა საგაფიცვო მოძრაობას გაურბოდნენ და დამლუპველად მიაჩნდათ იგი. „გაფიცვა ადვილი საქმე როდია, — ამბობდა კ. ჩხეიძე, — და დიდი სისულელეა, რომ იგი თბილისში წამოიწყეს. ჩვენ რომ გაფიცვები დავიწყოთ, კაპიტალისტები დაშინდებიან და აღარ გახსნიან ქარხნებსა და ფაბრიკებს. გაფიცვა მხოლოდ მაშინ იქნება სასარგებლო, როცა კაპიტალიზმი მომაგრდება... ახლა კი მასზე ოცნებაც არაა საჭირო, ეს შორეული მომავლის საკითხია“ („ბათომის 1902 წ. დემონსტრაცია“, გვ. 129-130. პარტგამომცემლობა, 1937 წ.)

თბილისის პარტიული კომიტეტის დადგენილებით ბათომის მუშებთან არალეგალური სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების შესაქმნელად და მათ შესაკავშირებლად 1901 წ. ნოემბრის ბოლო რიცხვებში მიდის ამხანაგი სტალინი. იგი დაუკავშირდა მოწინავე მუშებს, შემოიკრიბა ისინი თავის გარშემო და შეუდგა არალეგალურ მუშაობას. რამიშვილი, ჩხეიძე და სხვა მათი მიმდევრები შეშინებული იყვნენ ამხანაგ სტალინის მუშაობით არა მარტო იმიტომ, რომ მათ არ უნდოდათ მუშების დარაზმვა სოც.-დემოკრატიულ არალეგალურ ორგანიზაციებში, არამედ იმიტომაც, რომ ეშინოდათ რაიმე უსიამოვნება არ შეხვედროდათ პოლიციასთან.

ამხანაგი სტალინი დაუკავშირდა მოწინავე მუშებს. მან ყოველ მხრივ შეისწავლა ადგილობრივი პირობები, გაეცნო იმ მდგომარეობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა იქ.

ამხანაგმა სტალინმა აამოძრავა ბათომის პროლეტარიატი და გააგებინა მას, რომ საჭიროა ბრძოლა კაპიტალისტებისა და მათი დამცველი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომ საჭიროა დამპალი და დახავსებული მთავრობის დამხობა, ხოლო რათა მისი დამხობა შესაძლებელი გახდეს, მუშები უნდა დაირაზმონ მარქსიზმის დროშის ქვეშ, გაიგონ კლასთა ბრძოლა და მისი არსი, გაიგონ, რომ ის სიმდიდრე, რომელსაც კაპიტალისტები ფლობენ, მუშების მიერ არის შექმნილი, რომ მხოლოდ გაბატონებული კლასის დამხობისა და პოლიტიკური ხელისუფლების მოპოების შემდეგ შეუძლიან მუშათა კლასს მიაღწიოს ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებას.

ამხანაგ სტალინის მიერ დაწყებული მუშაობა დღითი-დღე ფართოვდებოდა. მთელი მუშები მასში ხედავდნენ ნამდვილ ხელმძღვანელს, რომელმაც იცოდა მუშის გულისცემა და მისი ჭირვარამი.

ჟანდარმერიის ჯაშუშებს არ ეპარებოდათ ეს მდგომარეობა მხედველობიდან, და ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს მისი მოადგილე ბათომიდან სწერდა: „ლუზინის, ფრანჩესკის და სხვათა დატუსაღებასთან დაკავშირებით 1898 წელს სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების განვითარება შენელდა. მაგრამ ისინი განვითარდნენ წარმატებით მაშინ, როდესაც 1901 წლის შემოდგომაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტმა ქ. ბათომში ქარხნის მუშებში პროპაგანდის საწარმოებლად მოავლინა თავისი წევრი იოსებ ჯუღაშვილი. ჯუღაშვილის მოქმედების წყალობით და დროგამოშვებით თბილისიდან ჩამოსული პროპაგანდისტების მეშვეობით ჩქარა იწყეს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა განვითარება ქარხნებში (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალი, ფ. 319, საქმე 45, ფურც. 6-7).

13. „მნათობი“, № 12.

ამხანაგი სტალინი მოწინავე მუშებში ანვითარებდა იმ აზრს, რომ საჭიროა მტკიცე, არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა, მიუთითებდა მოწინავე მუშებს ლენინურ „ისკრაზე“ და „ურჩევდა მათ, „თუ „ისკრა“ ჩაგივარდეთ ხელში ყურადღებით წაიკითხეთ ის, გამოაკეთებული ყურადღება მიაქციეთ „ნ. ლ.“ სტატიებს“. ბათომში ასეთი გაშლილი მუშაობის შედეგად მომზადდა ნიადაგი სოც.-დემოკრატიული წრეებიდან შექმნილიყო ერთიანი ცენტრი სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციისა. 1901 წ. 31 დეკემბერს (ძველი სტილით) ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ლომჟარიას სახლში მოწვეულ იქნა სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნებში არსებული სოც.-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა არალეგალური კრება. ამ კრების ამოცანას შეადგენდა ის, რომ შექმნილიყო ერთიანი ცენტრი მუშების შესაკავშირებლად. ამხანაგი სტალინი ამ კრების წინაშე ნათელყოფს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციებს უნდა შეესრულებინათ. ბათომის კომიტეტის შექმნამ უფრო მეტად შეუწყო ხელი მუშაობის გაშლას და განვითარებას.

ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა ბათომისა და თბილისის პარტიულ კომიტეტებს, რაზმავდა და აკავშირებდა სოც.-დემოკრატებს და ულმობელ ბრძოლას აწარმოებდა ქართველ „ლეგალურ მარქსისტების“ წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მით უფრო საჭირო იყო, რომ სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები ამ პერიოდში იწყებდენ მომაგრებასა და გაძლიერებას და რომ „მესამე დასელთა“ უმრავლესობას არ მიცემოდა საშუალება ოპორტუნისტული აზრების გავრცელებისა მუშათა მასაში. „რაც უფრო ნორჩია სოც.-დემოკრატიული მოძრაობა რომელიმე ქვეყანაში, — ამბობს ამხანაგი ლენინი, — მით უფრო ენერგიული უნდა იყოს ამიტომ ბრძოლა არასოციალისტური იდეოლოგიის განმტკიცების ცდების წინააღმდეგ, მით უფრო გადაჭრით უნდა ვაფრთხილებდეთ მუშებს იმ ცუდი მრჩეველებისაგან“ (ლ ე ნ ი ნ ი — რჩ. ნაწერები, ტ. I, გვ. 398). იმის ნაცვლად, რომ ჩხეიძესა და რამიშვილს ხელი შეეწყოთ მუშების დარაზმვისა და შეკავშირებისათვის, ისინი აგიტაციას ეწეოდნენ, რომ მუშებს არ მოესმინათ ამხანაგ სტალინისათვის და არ გაჰყოლოდენ მას. ჩხეიძე და რამიშვილი აშკარა პროვოკაციასაც კი მიმართავდნენ. ამხანაგ სტალინის შესახებ რამიშვილი პირდაპირ ამბობდა: „მას არა აქვს მუშაობის სანქცია ჩვენგან, იგი თვითნებურად აწარმოებს მუშაობას“ („ბათომის 1902 წ. დემონსტრაცია“, გვ. 128-130, პარტგამომცემლობა 1937 წ.).

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 1902 წელს მოწყობილ იქნა არალეგალური პატარა სტამბა გლეხ ხაშიმ სმირბას სახლში. სადაც იბეჭდებოდა ამხანაგ სტალინის მიერ დაწერილი და შედგენილი სოც.-დემოკრატიული ფურცლები და პროკლამაციები.

ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობის შედეგად მოეწყო 1902 წლის მარტის პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც ჯართან შეჯახებით დამთავრდა. ამ დემონსტრაციაში ექვსი ათასი მუშა იღებდა მონაწილეობას.

ბათომის კომიტეტი თბილისისა და ბაქოს კომიტეტთან ერთად მოქმედებდა ლენინურ-ისკრული ხაზის დასაცავად და გასატარებლად.

1902 წლის 18 აპრილს (ახალი სტილით) ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი დატუსაღებულ იქნა ჟანდარმერიის მიერ. იგი მოათავსეს ბათომის ციხეში. ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა ბათომის ციხეში პოლიტიკურ ტუსაღებთან გაშალა მუშაობა და იმდენად მოამზადა ეს მუშები, რომ საუკეთესო აგიტატორები გახდნენ ისინი ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ჟანდარმერიამ გაიგო, რომ ამხანაგი სტალინი ციხეში ეწეოდა მუშაობას ტუსაღებს შორის და ქუთაისის ციხეში გადაიყვანა.

მაგრამ ამხანაგ სტალინის მუშაობა აქაც გარკვეულ შედეგს იძლეოდა, რის გამო კვლავ გადაყვანილ იქნა ბათომის ციხეში, ხოლო იქიდან 1903 წელს გადაასახლეს ციმბირში. (ირკუტსკის გუბერნია. ბალაგანის მაზრა, სოფელი „ხოვაია უდა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობითა და ორგანიზატორობით მოწვეულ იქნა 1903 წ. მარტში კავკასიის კომიტეტის ყრილობა. რომელმაც აირჩია კავკასიის კავშირის კომიტეტი. მის წევრად ამხანაგი სტალინი დაუსწრებლად იქნა არჩეული *)

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოეწყო ავლაბრის არალეგალური სოც-დემოკრატიული სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“. ამავე სტამბაში დაიბეჭდა ამხანაგ სტალინის წიგნი „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, რომელიც მიმართული იყო მენშევიკების წინააღმდეგ, ვინაიდან მათ დაიწყეს რსდმპ მეორე ყრილობის დადგენილების წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთან უარყოფდნენ პარტიის პროგრამას. ამხანაგმა სტალინმა ამხილა როგორც ამიერ-კავკასიის, ისე რუსეთის მენშევიკები, რომლებიც დაეშვნენ ეკონომიზმის პლატფორმამდე, და მთლიანად და სავსებით იზიარებდნენ კუდში ჩანჩალისა და წრეობრიობის პოლიტიკას. ამხანაგმა სტალინმა დასახელებულ შრომაში მოგვცა ულმობელი კრიტიკა საერთაშორისო ოპურტუნიზმისა და დაიცვა პარტიის მთლიანობის აუცილებელი პრინციპი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა სტალინმა ამ პერიოდში მოგვცა შემოქმედებითი მარქსიზმის ნიმუში. იგი გამანადგურებელ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკების, ანარქისტების, ფედერალისტების, დაშნაკელებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების ხროვის წინააღმდეგ.

ამხანაგ სტალინის დაუღალავმა მუშაობამ უზრუნველჰყო ამიერ-კავკასიის მუშების გაწრთვნა და მომზადება ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად 1905-1907 წ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. ამხანაგ სტალინის ორგანიზატორულმა, თეორიულმა და სტრატეგიულმა მუშაობამ მიგვიყვანა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. ამხანაგ სტალინის მიერ შემოქმედებითი მარქსიზმის დაცვამ უზრუნველჰყო ჩვენში სოციალიზმის გამარჯვება და ჩვენი ქვეყნის თანდათანობითი გადასვლა კომუნიზმში.

---

*) ყრილობის პერიოდში ამხანაგი სტალინი დატუსაღებული იყო და ამიტომ ვერ ესწრებოდა მას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გომიაშვილი — „დარიალი“.

„ფედერაციის“ გამოცემა, 1940 წელი.

ა. გომიაშვილის პირველი ლექსები, რომლებიც ამ ათი წლის წინად გამოქვეყნდნენ— ეხებოდნენ მთის ბუნებას, მთიელთა განწყობილებებს, გადმოგვცემდნენ მთის ზვიად და პირქუშ პეიზაჟებს. აქ არ იყო ეკზოტიკა, რადგანაც არ არსებობდა ის დისტანცია მასალასა და პოეტს შორის, რომელიც ეკზოტიურობის შთაბეჭდილებას ჰქმნის; პოეტი გადმოგვცემდა თავისი მხრის, თავისი კუთხის განუმეორებელ კოლორიტს, სწერდა ამ მხარეში აღზრდილ ადამიანებზე, მათს ვაუკაცურ ფსიქოლოგიაზე, ცდილობდა გამოეხატა ის ცვლილებანი, რომელიც მთიელთა ტომების პატრიარქალურ ცხოვრებაში მოხდა რევოლუციური განახლებისა და გარდაქმნის შედეგად. მთის პოეზიას ჩვენს ლიტერატურაში უაღრესად დიდი წარსული აქვს. მან შექმნა თავისი სპეციფიური და უაღრესად ძლიერი, მკაფიოდ მეტყველი სახეები, შეჰქმნა თავისი პეიზაჟები, შეჰქმნა თავისი ტრადიცია. ა. გომიაშვილმა თავიდანვე სცადა გაჰყოლოდა ამ ტრადიციას, მაგრამ ისე რომ ყველაფერი ახალი, რაც მთაში რევოლუციამ შეიტანა — ასევე ამაღლებულის და რომანტიულის ასპექტიდან დაენახა. პოეტმა სცადა ახალი ადამიანის სულიერი განცდები თუ ახალი ყოფითი მოვლენები იმავე პათოსით და რიტმით გადმოეცა, როგორც ის სწერდა თოვლიანი მთების, მდინარეთა ზარიანი ჭექა-ქუხილის, მთიელთა ვაუკაცური გულისთქმის შესახებ. ერთი სიტყვით ის სცდილობდა დაუფლებოდა ახალ მასალას—ჩაჩნეთში დაარსებული პირველი კოლმეურნეობის, საბჭოთა მთამსვლელობის, ხევსურეთში გზის გაყვანის და სხვა ამგვარ თემებს— ისე რომ არ დაერღვია გმირული პოეზიის ტრადიცია.

ამ პროცესში პოეტს უხდებოდა ხშირად მიემართნა იმ სახეებისთვის, რომელიც შექმნილი იყო კლასიკური თუ ხალხური პოეზიის მიერ. ცხადია ეს არ იყო სტილიზაცია და გაყალბება, ეს იყო მემკვიდრეობითი კავშირი ჩვენი ხალხის მდიდარ სულიერ წარსულთან. ამ მხრივ ა. გომიაშვილმა, შეიძლება ითქვას, სათანადო წარმატებებს მიაღწია, შესძლო უშუალოდ, მძაფრი და დამაჯერებელი საღებავებით გამოეხატა ცალკე ეპიზოდები ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა.

„ამირანის მოსვლაში“ პოეტი გვიხატავს წითელი ჯარის ათასეულის ასვლას მყინვარწვერზე. ეს პროცესი მას გადმოცემული აქვს როგორც თავისუფალი ხალხის ძლევამოსილების ბრწყინვალე დემონსტრაცია. აქ უკვე ბუნებრივად სჩანს სახე ამირანისა, რომელმაც დასწყვიტა ჯაჭვები, გაინთავისუფლა თავი და სრული გასაქანი მისცა თავის დაუძლეველ შემოქმედებითი ენერგიას, აქ ძველი მითი ბუნებრივად არის გამოყენებული და შეფარდებული ლექსის საერთო კომპოზიციასთან. ასევე ბუნებრივად არის ჩართული ქაჯეთის ციხის ლეგენდა ლექსში, რომელსაც ავტორი ფშაურ ბალადას უწოდებს, ამ ლექსში პოეტი მიუვალ ხევსურეთში გზის გაყვანას ადარებს ქაჯეთის ციხის აღებას, ლექსის თემა — გზის გაყვანაა, მაგრამ ეს მოვლენა პოეტს ისე ფართოდ აქვს აღებული, რომ ლექსი მოიცავს ინტიმური ცხოვრების სფეროსაც. ეს გასაგებიც არის. თუ გზის გაყვანა, ბარში საავსებით ჩვეულებრივი ამბავია, ხევსურეთისათვის ეს ეპოქალური მოვლენაა; ეს არის დამკვიდრება ახალი საუკუნისა, რომელმაც ასეული წლებით დაფუძნებული პატრიარქალური ყოფა უნდა შესცვალოს, მთაში კულტურა, განახლება უნდა შეიტანოს. ამიტომ ამ თითქოს უბრალო ეპიზოდს ხევსურეთის თავისებურ გარემოცვაში რომანტიული ელფერი ედება. პოეტიც სწორედ ამ გაგებით მიუდგა აღებულ თემას, ლექსის დასაწყისში ის გვიამბობს. თავისი მთავარი გმირის — ახალგაზრდა ხევსური კომკავშირელის ინტიმურ განცდებზე:

„პირდაპირ რომელ ჩამოხველ
ჭრელს რომელ მაჰქსოვ წინდას?
ჩამოხველ მთაზე და ოხრავ,
როგორც არაგვი წმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ რო ვიფიქრო, ჩვენ შუა
რამდენი მთაა, გორა —
ადგება რისხვად და შურად
შავი გრიგალის ქროლვა,
მაშინ სადა ხარ? ელვა ხარ
თუ ია-ვარდის კონა?
გულით ვინატრი შენს ნახვას
ტყეში ფოთლებზე ვგორავ!
შენი ღალატი მწყემსებმა
მითხრეს, მიამბეს, ძილავ.
მე, გული ბოღმით მევსება
შენ კი, შატილში გძინავ".

ამის შემდეგ ლექსში გადმოცემულია ცხრა კომკავშირელის მართლაც გმირული ბრძოლა ბუნების დასაძლევად. ლექსის გმირმა — ახალგაზრდა ხევსურმა უკვე კარგად იცის, რომ გმირობა იმაში კი არ არის, რომ მთის ადათის დაცვისათვის ხმლითა და ფარით იბრძოლო, გმირობა იმაშია, რომ ებრძოლო ქაჯეთის ციხესავით აღმართულ პირქუშ კლდეებს, დასძლიო ისინი და მთაში გზა გაუკაფო ავტოს და მთელ თანამედროვე კულტურას. ეს გამარჯვება ადამიანისა ბუნებაზე, ეს პათოსი სოციალისტური შრომისა, რომელსაც მუდამ დიდი სიხარული მოსდევს — არსებითად არის გადმოცემული გომიაშვილის ლექსში.

ა. გომიაშვილი თავისებური პოეტია. მის ამ თავისებურებას ჰქმნის ორგანიული შეთავსება მკვეთრი და ხმიერი პათოსისა ეპიური აღწერილობის ელემენტთან. ა. გომიაშვილი მთელი თავისი პოეტური შემოქმედების ვითარებაში — მთელი განვლილი წლების მანძილზე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ბალადის ჟანრისადმი. პირველივე მისი ლექსი, რომელიც 1929 წელს გამოქვეყნდა, იყო „მთის ბალადა". ამ ლექსში პოეტმა სცადა გამოეხატა ორი ალპინისტის ტრაღიკული დაღუპვა თეთნულდის მწვერვალზე ასვლის დროს; ეს ლექსი ყურადღებას იქცევდა პირველ რიგში თავისებური მთლიანი კომპოზიციით. ამ განხრით ა. გომიაშვილმა შემდეგში კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა, მან დასწერა მთელი რიგი ბალადებისა, რომელთაგან უმრავლესობა შეტანილია პოეტის უკანასკნელ წიგნში.

ა. გომიაშვილის პოეზიის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი არ შეზღუდულა მარტო მთიელთა ცხოვრების თემატიკით. „ვარსკვლავები კრემლზე", „სამშობლოსადმი", „გმირობა და სიყმაწვილე" გამოხატავენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სიდიადეს და ძლიერებას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ა. გომიაშვილის ლექსების ციკლი სამოქალაქო ომის, წითელი არმიის ცხოვრების და საერთოდ თავდაცვითი თემების შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსი „პირველი ცხენოსანი", რომელიც მძაფრად გადმოგვცემს ბუდიონელთა სიმამაცისა და თავგანწირულების პათოსს; ამ ლექსში პოეტი აღწერდა რა სამოქალაქო ომის წლებში დაღუპული მებრძოლის გმირულ სიკვდილს — ამავე დროს ნათლად გვიჩვენებდა თუ რა ძლიერია ის ტრადიცია, რომელიც ამ მებრძოლებმა შეჰქმნეს:

„აჰა, როგორც გრიგალი და
როგორც ქარიშხალი —
ხმალგამოწვდილ წამოვიდა
ცხენოსანი ჯარი.
ჰკივის რკინის მეომარი,
ყუმბარა და ტყვია,
დალეწილი ხმალზე-ხმალი,
მარილივით ჰყრია!
და როდესაც ლამაზ თვალებს
გადაეკრა ბინდი,
გაწუხებდა ვოლგის მხარე
და ჩონგარის ხიდი.
ეხლა, როცა ველებს ვიცავთ
ვიცავთ მშობელ მიწებს,
ცხენოსანის განგაშის ხმა
ისევ გაგაღვიძებს!

ასევე ძლიერი განცდით არის დაწერილი „მეომარის ფიცი“, რომელშიაც პოეტი გადმოგვცემს ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტის, ჩვენი დროის ახალგაზრდა ადამიანის უაღრესად გულწრფელ და ძლიერ სიყვარულს და ერთგულებას სოციალისტური სამშობლოსადმი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„და სახეში შმაგი ქარი
თუნდაც სცემდეს ფრუნზელს,
ჩხრიალებდეს ნიაღვარი
მეომარის გულზე.
ვფიცავ: მთიდან მოვარდნილი
ახალ ქარიშხალებს;
არ გასწირავს ხალხის შვილი
რესპუბლიკის მხარეს“.

საბჭოთა ახალგაზრდობის სიმამაცეზე გვიამბობს პოეტი მეორე ლექსში — „გმირობა და სიყმაწვილე“. ეს ლექსი ეხება კომკავშირელ მფრინავ ქალს, მასში ღრმად არის შეგრძნობილი ის სიმამაცე, შეუპოვრობა და ყველა დაბრკოლების გადალახვის უნარი, რომელიც უაღრესად დამახასიათებელია მამაცი სტალინური შევარდნებისათვის, — საბჭოთა მფრინავებისათვის.

საუკეთესო ლექსები მიუძღვნა პოეტმა მუშათა კლასის რევოლუციური წარსულის თემატიკას. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია „კარლ მარქსის ხსოვნას“. ლექსის თემად ავტორს მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრის, კარლ მარქსის ცხოვრება და ბრძოლა აუღია. ლექსი ეხება მარქსის ცხოვრების მხოლოდ ერთ პერიოდს — 1848 წლის რევოლუციის დამარცხების პერიოდს, როცა რეაქციამ დახურა „ახალი რეინის გაზეთი“, რომლის რედაქტორადაც მარქსი იყო. ამის შემდეგ მარქსი იძულებული იყო ეცხოვრა ლონდონში, გომიაშვილის ლექსის ღირსება სწორედ ის არის, რომ პოეტი ცდილობს ასახოს მარქსის ცხოვრება მუშათა კლასის მსოფლიო-ისტორიული ბრძოლების პერსპექტივაში.

ამავე ციკლის სხვა ლექსებიდან აღსანიშნავია „უკანასკნელი დღე კეცხოველისა“, „ბალადა გამოსალმებისა“ და სხვ.

ა. გომიაშვილის პოეზიას თემატურ მრავალმხრივობასთან ერთად ახასიათებს მდიდარი და ძარღვიანი ენა, ლექსის მაღალი კულტურა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მის ზოგიერთ ლექსს აკლია სინათლე, აკლია სისადავე. ეს ბუნდოვანება, — რომელიც შემთხვევიდან შემთხვევამდე თავს იჩენს ხოლმე გომიაშვილის შემოქმედებაში — პოეტმა მომავლისათვის აუცილებლად უნდა დასძლიოს. შემდეგ, არ შეიძლება ა. გომიაშვილს არ ეუსაყვედუროთ მეტისმეტი შემოქმედებითი სიძუნწე; საბჭოთა პოეტი უფრო აქტიურად უნდა ეხმაურებოდეს თანამედროვეობის საკითხებს, უფრო მეტ შემოქმედებითი პროდუქციას უნდა იძლეოდეს.

ბ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ გაბესკირია — „ლექსები“.

წიგნი მე-2. გამომცემლობა „ფედერაცია“.

ვიქტორ გაბესკირიას პოეზიის თემატიკა გამრავალფეროვანდა ჩვენი ბედნიერი და საამური ცხოვრების მდიდარი შინაარსით. პოეტს აქვს საგნებისადმი განსაკუთრებული მიდგომა, არ ახასიათებს ბევრი გრძნობიერება, არც ბუნდოვანი და მყვირალა ფრაზებით გატაცება.

სარეცენზიო ლექსთა კრებული იხსნება ლექსების ციკლით ბელადზე. ამ ლექსებს არა აქვთ პოლიტიკური დეკლარაციების ხასიათი. საერთოდ ეს გზა პოეტის მიერ უარყოფილია და ის თავის მესა და თავის მსოფლმხედველობას სულ სხვა ფორმით ამჟღავნებს. ლექსები ბელადზე რამდენიმედ სიუჟეტიანია და მასში რელიეფურად სჩანს ახალგაზრდა თაობის უანგარო სიყვარული დიდი ბელადის მიმართ. მოსწავლე ეთერი სიზმარშიც ბელადს ჰხედავს და მის მისაძღვნელად კრეფს ნაზ ყვავილებს. ეთერის სიზმარი დიდი მხატვრული ზომიერებით არის დაწერილი. „ბაღიც“ ამავე თემაზე დაწერილი ლექსია და ზამთრისა და თოვლის ფონზე ბელადის სიტყვის მაგიური ძალა მშვენივრად არის ნაჩვენები:

„... მაგრამ ბელადი როს სიტყვას იტყვის,
როს შემოყვება მზე დილას სისხამს, —
ის ჩემი ბაღი თოვლს გადაიყრის,
ვარდს გამოისხამს“.

ამავე ციკლის ლექსები: „ბელადის სადღეგრძელო“, „დილით“ ასეთივე სათუთი სიყვარულის გრძნობით დაწერილი ლექსებია ბელადზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „დილით“ ეს სიუჟეტიანი ლექსია. მცირეწლოვანი შვილი ლია დედას ებუტება იმისათვის, რომ ის არჩევნებზე არ მიყავთ მაგრამ:

ამშვიდებს დედა: „იქ ხომ ყველას გააოცებდი,
რომ წამეყვანე, ან რა გესმის, ხმას ვის მისცემდი?“
შეხედა დედას გაბუტულმა თავისებურად
და გაუშვირა ხელი ბავშვმა სტალინის სურათს.

ჩვენი განახლებული და აღორძინებული ცხოვრება თავისებურ ასახვას პოულობს პოეტის შემოქმედებაში. მას ახარებს და აღფრთოვანებას გვრის დიადი საბჭოთა მშენებლობა, ამ მშენებლობის ფონზე ახალი ადამიანების დანახვა, ფერშეცვლილი და გამშვენიერებული ბუნება. ლექსი „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“ ამ მხრივ კარგად ამჟღავნებს მის განწყობილებას. პოეტი თავის წარმოდგენაში აცოცხლებს ძველი დროის ქალიშვილთა სახეს „სევდიან სახეს, როს მდუმარებდენ, როგორც ჩრდილები“. ახლა, დღევანდელ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში პოეტი სულ სხვა სურათს ხედავს:

„ახლა თქვენ გხვდებით, ვისთვისაც ახალ
ქვეყანამ შექმნა საქმე ულევი,
და საქართველოს მზეში რომ დახვალთ
ვარდით და გიშრით დახატულები.
განახლებია ახლა მიზნები
ბრძოლებში მოღლილ დაკოდილ მხარეს,
თქვენც სიყვარულის თეთრი ისრები
ჭარხნებს, მინღვრებს და ცას მიაყარეთ“.

პოეტი კარგად იცნობს ჭაობიან ძველ კოლხეთს, სადაც მას ბავშვობის და სიყმაწვილის უდარდელი დღეები გაუტარებია და სადაც მისთვის ყოველი ხე და ბუჩქი ახლობელია. ახლა, როდესაც ამ ჭაობების ამოსაშრობად დიდი მშენებლობა ჩატარდა, დღესაც მის მკვიდრს და ახლა დროებით სტუმარს პოეტს ახარებს ამ მხარეში და მის ბუნებაში ყოველი ახალი ხის დამკვიდრება და მიმართავს ევკალიპტს:

„დე, თქვენი ჩრდილი ამ ველებს შორის
გრიგალის ქროლვას თან სდევდეს მხლებლად;
იხარეთ, ხენო მოსულნო შორით
კოლხეთის მიწის განსაახლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახლებულ ბუნების ფონზე პოეტს სიყვარულიც ახლებურად აქვს შეგრძნობილი, მას ახარებს განახლებული და ფერშეცვლილი ბუნება:

ის ჩემთვის უკვე ნაცნობი ხეა,
ის რომ შრიალებს ევკალიპტია,
ჭაობის ნაცვლად მიყვება რიონს
ამწვანებული ნარინჯის ველი!..
სიხარულის ხმებს ფანტავს რადიო
გამარჯვებათა მაუწყებელი.

მაგრამ პოეტი ხედავს არა მარტო დღევანდელ განახლებულ ბუნებას, არამედ ამ ბუნების კიდევ უფრო დიად მომავალ სახეს. ის აქა-იქ გადარჩენილ ძველი ხეების მიმართ ერთგვარ ლირიკულ განწყობილებას იჩენს და წინასწარმეტყველებს უკანასკნელად ნახვას:

უკანასკნელად რადგან ვიცი კვლავ ველარ განახავ,
რადგან შევხვდები ამ ბუჩქთა და მზის სხივთა ლივლივს,
მე შენს სანაცვლოდ აქ ვიხილავ მიდამოს ახალს
და სადაც სდუმდი, იქ ოქროსფერ ბაღში გავიელი.

ნიუანსები, სიუჟეტიანი ამბები, დინჯი ეპიური თხრობა და ლირიული შეგრძნობა, აი რა ახასიათებს ლექსების ციკლს „სამხედრო აგარაკზე". დაჭრილი მეთაური დაჭრასაც კი არ გრძნობს, ისე გართულია ბრძოლით, აგარაკზე დასვენების და ჯანმრთელობის მოკრეფის შემდეგ მას აგონდება თავისი ნაწილი და ქვემეხები და აგარაკს სტოვებს. სამოქალაქო ომში დაღუპულთა შესახებ, მეტყვიამფრქვეველი ეს თუ სხვა, პოეტი აცოცხლებს მათი გმირული და თავდადებული მოქმედების მომხიბლავ სურათს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსების ციკლი ძველ საქართველოზე. ამ ციკლის ლექსებში პოეტი უმღერის ბრძოლებში დაღუპულ ძველ ქართველთა სამშობლოსათვის და რაინდობას, რომლებიც ბრძოლის ველზე თავისი წმინდა-წმინდა მოვალეობის შესრულებისათვის — სამშობლოს დაცვისათვის იღუპებიან.

მრავალ ამ ღირსებასთან ერთად პოეტს ნაწილობრივ კიდევ ახასიათებს თავისი ადრინდელი შემოქმედებისადმი ხარკის გაღება. ასეთი ლექსები სარეცენზიო წიგნში საკმაოდ მრავლად არის წარმოდგენილი. ასეთი ლექსებია: „თენდება", „მზე პირს იბანს", „ის გარდაცვლილა", „მზე", „კურდღელი" და სხვა, ჩვენ ამითი იმის თქმა არ გვინდა რომ უბრალო და უმნიშვნელო საგნებზე ლექსების წერა არ შეიძლებოდეს, ჩვენ მხოლოდ ვითხოვთ, რომ ყოველ ლექსში იგრძნობოდეს ეპოქის მაჯის ცემა. დასახელებულ ლექსებს ზოგჯერ ეს აკლიათ და ისინი თითქოს დაწერილი არიან დროისა და სივრცის გარეშე.

პოეტმა ამ ნაკლის გამოსწორებაზე უნდა იფიქროს.

ბ. ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი — „მოთხრობები“.

გამომცემლობა „ფედერაცია“, თბილისი, 1940 წ.

აკაკი ბელიაშვილმა ქართულ საბჭოთა პროზაში კარგა ხანია, რაც თავისი განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა. მან ჩვენ პროზაში უძნელესი გზა აირჩია, გზა კონკრეტულში ზოგადის გადმოცემისა. ეს გზა მწერლობის ნაცადი გზაა. მის გარეშე ნამდვილი ლიტერატურა შეუძლებელია და სხვა გზა პლაკატისაკენ, სქემატიზმისაკენ მიიმართება. ბელიაშვილმა თავისი მუშაობა იმითი კიდევ უფრო გაართულა, რომ ის თითქმის მუდამ ჩვენს დიად თანამედროვეობას ასახავს. იგი უმთავრესად კლასიკური ნოველის გზით წარმართავს თავის შემოქმედებას, გზით, რომელიც გათელეს ისეთმა დიდმა რეალისტებმა, როგორიც იყვნენ მოპასანი, ჩეხოვი, ალტერბერგი, ოღონდ ამ დიდ თვისებას მან ო. გენრის მოულოდნელობისა და ხლართული სიუჟეტების სიმსუბუქე და ჰუმორიც შეუერთა. ეს ჰუმორი განზავებულია დ. კლდიაშვილის იმერული ოდნავი ნაღვლით დაბინდული ხალისითა და თავისი საკუთარი ოპტიმიზმით, რომელიც მის შემოქმედებას ასე მჭიდროდ აკავშირებს ჩვენს თანადროულობასთან. ეს კავშირი ისე ღრმაა, მისი ფანტაზია ისე ორგანიულად არის შერწყმული ჩვენს სინამდვილესთან, რომ მისი წარმოდგენა ამის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ უყვარს მას ასე გატაცებით ჩვენი ცხოვრების ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტი. მას ნარკვევები მხატვრულ ხარისხამდე აჰყავს. ამიტომაც აქვს მის მოთხრობებში ასეთი საპატიო ადგილი განკუთვნილი ნარკვევებსაც.

აკაკი ბელიაშვილის მოთხრობათა მესამე წიგნში თხუთმეტი ნოველა და ერთი ნარკვევია მოთავსებული. ეს წიგნი მოწამეა იმისა, თუ როგორის თანდათანობით იზრდება ჩვენს მწერლობაში ნამდვილი ნოველის ოსტატი, ნოველისა, რომელიც ასე დაქვეითდა ამ უკანასკნელ ხანებში და რომელსაც დიდი ყურადღება ესაჭიროება. აკაკი ბელიაშვილის მოთხრობები გამთბარია ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობისადმი დიდი სიყვარულით. წიგნი შეუნელებელი ინტერესით იკითხება, რადგან ყოველი სტრიქონი აღსავსეა ხალისით, ჰუმორით, გატაცებით, რწმენითა და დიდი ოპტიმიზმით. ამ მოთხრობებში ხმაურობს, იცინის, ხუმრობს, ჩვენი ახალი თაობა.

პირველი სამი მოთხრობა: „პოეტის ოცნება“, „კობა“ და „მასწავლებელი“ ასახავს ბრწყინვალე ეპიზოდებს ყრმა სოსო ჯუღაშვილის ცხოვრებიდან. მოთხრობა „პოეტის ოცნება“ დაწერილია დროის შებრუნებული პერსპექტივით. ილია ჭავჭავაძე მკაფიოთ ხედავდა თუ რა დიდ საზოგადოებრივ ძვრებს ჰქონდა ადგილი მის თანადროულობაში და არ შეიძლებოდა არ ეგრძნო ისეთი დიდი ადამიანის, მთელი ქვეყნის ჩაგრული კაცობრიობის ისეთი ბრძენი ბელადის მოვლინების აუცილებლობა, როგორიც ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი არის. ეს გრძნობა მეტად დამაჯერებლად და ამაღელვებლად არის გადმოცემული ამ მოთხრობაში. ილია ოცნებობს, რომ „იქნება ისეთი ადამიანი მოგვევლინოს, რომელიც არა თუ მარტო ჩვენ, ქართველობას, ჩაგვიდგება სათავეში, არამედ მთელ რუსეთში განავრცელებს თავის ღვაწლს, არა მარტო რუსეთში, მთელ მსოფლიოშიც“. ეს ოცნება მის წინაშე ცოცხლად დგას ყრმა სოსო ჯუღაშვილის სახით და თითქოს იმთავითვე გრძნობს ამ ყრმის დიად მოწოდებას.

შემდეგი სამი მოთხრობა „სამშობლო ხევსურისა“, „მეომრები“ და „სპარტაკელი“ ასახავს ეპიზოდებს სამოქალაქო ომის ისტორიიდან. პირდაპირ უნდა ითქვას, რამდენადაც „მეომრები“ და „სპარტაკელი“ ბუნებრივად არის დაწერილი, იმდენად „სამშობლო ხევსურისა“ ბუტაფორიულია და არადამარწმუნებელი, ხოლო მშვენიერი მოთხრობა „მეომრები“ დიდად მოიგებდა, რომ გარეწარ ანტონას ოჯახში ღამის გასათევად დაბინავებული წითელარმიელი, რომელიც თურმე თავისი ტრაღიკული წარსულით ასეა დავალებული მასპინძლისაგან, ოდნავ სქემატიურად არ იყოს მოცემული. მაშინ მისი ამ ოჯახში შემთხვევით მოხვედრაც სიუჟეტურად გაცილებით უფრო ბუნებრივი და აუცილებელი იქნებოდა.

დანარჩენი ათი მოთხრობის თემა მხოლოდ ჩვენი დღევანდელობაა. ეს ნაწილი წიგნისა ძალზე მრავალფეროვანია თავისი ფაქტურითა და ადამიანებით, რაც დიდ ღირსებას წარმოადგენს. მესაზღვრე, სტახანოველი, ინჟინერი, ექიმი, მეზღვაური, გეოლოგი და სხვა

მრავალნი, უხვი ფერებით გამოხატავენ ჩვენს მრავალწახნაგოვან ცხოვრებას, მაგრამ ყველაზე უკეთესი მათ შორის მაინც ორი მოთხრობაა: „პირველი პაემანი“ და „მოვალეობა“. პირველში სტახანოველ გიორგის გატაცებული მუშაობაა აღწერილი და ეს გატაცება ახალი ადამიანისა შრომით იმდენად მძლავრია და ადვილად გასაგები, [illegible] ულის გრძნობასაც კი ჰფარავს, ხოლო მეორე მოთხრობაში აღწერილია უგულო [illegible] მიტოვებული ახალგაზრდა ინჟინრის მიტოს გმირული დაღუპვა, რომელიც ასე აღელვებს მკითხველს.

აკაკი ბელიაშვილს არ უყვარს გარეგანი სამკაული და მრავალსიტყვაობა. იგი სიუჟეტის საუკეთესო ოსტატია, მის კვანძს შემავალი და ზედმეტი ელემენტები არ ართულებს, არ ჰბურავს მას ლამაზ სიტყვათა და ფრაზათა ნისლით, მისი სიუჟეტი მუდამ მკაფიოა, ნათელი და ზუსტი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად იგი მეტისმეტად ძუნწობს, ის მეტისმეტად ენდობა თავისი სიუჟეტის ბრწყინვალებას და ავიწყდება, რომ რამდენადაც მოულოდნელია მისი სიუჟეტური დაბოლოებანი, ან და რამდენადაც შემთხვევითია მისი გმირების შეხვედრანი, იმდენად მეტი მხატვრული „დასაბუთება“ სჭირდება მას, რომ მისი საშიშვლე დაფარული იქმნას და სიუჟეტური ჩონჩხი უსიამოვნოთ არ გამოკრთოდეს. ამ საუკეთესო ხერხით იგი ო. გენრისაგან საკმაოდ არის დავალებული მაგრამ ეს სენი, სენი სქემატიურობისა, ხშირად ო. გენრისაც ახასიათებს და ბელიაშვილმა ამ გამოცდილებითაც უნდა ისარგებლოს და ეს ნაკლი თავიდან აიცილოს.

წიგნი ლამაზად არის გამოცემული, მაგრამ უნდა ითქვას, — როგორც ყოველი გამოცემა „ფედერაციისა“, ეს მოთხრობებიც ძალზე ძვირია, — 9 მან. ღირს.

დემნა შენგელაია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საბჭოთა ხელოვნება“ № 10.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველთვიური ორგანო

რამდენიმე წელიწადია გამოდის ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, მაგრამ თავისი ლიტერატურული სახე მან დღემდის ვერ ჩამოაყალიბა. იგი ხშირად შემთხვევითი წერილებისა და ინფორმაციების კრებულს უფრო წარმოადგენს, ვიდრე განსაზღვრული მიზნისა და გარკვეული გეგმის მქონე ჟურნალს. ხელოვნების საჭირბოროტო და აქტუალური საკითხები ხშირად ჟურნალის ყურადღების გარეშე რჩება. ის საკითხებიც, რომლებსაც ჟურნალი ეხება, ვერ არის ჯეროვნად გაშუქებული.

მაგალითისათვის ავიღოთ სარეცენზიო ნომერში დაბეჭდილი მეთაური წერილი: „დრამატურგიის სადღეისო ამოცანები“. წერილი ძალზე წყალწყალა, ზერელე და სქემატიურია და მასში არ არის მოცემული ქართული თანამედროვე დრამატურგიის ღრმა ანალიზი. ზოგიერთი დებულება არ არის დასაბუთებული კონკრეტული მასალით. წერილის ავტორი მიუთითებს უხამსობის ზოგიერთ მაგალითზე, მაგრამ რომელ პიესას აქვს ეს ნაკლი, რომელი ავტორი სცოდავს ამ მხრივ, ამაზე წერილში არაფერია ნათქვამი. ასე ზოგადად წერა არ ვარგა, არავის არაფერს ეუბნება და ვერც სარგებლობას მოიტანს. აქ საქმე გვაქვს სათეატრო დარგში გამეფებულ შინაურულობასთან, მორიდებასთან, ნაკლები წინააღმდეგობის გზით სვლასთან, რაც დიდი ხანია უარყოფილი და დაგმობილია. წერილში გამეტებულია მხოლოდ გ. მდივნის „სამშობლო“ და დ. ანთაძისა და სამსონიას „ანრი სეარ“, მაგრამ ავტორი აქაც გაკვრით და ზოგადი ფრაზებით კმაყოფილდება და ამ პიესების სერიოზულ ანალიზს არ იძლევა.

წერილი „ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების დეკადა“, რომელიც მეთაურს მისდევს, წარმოადგენს დღიური გაზეთის უბრალო კორესპონდენციას და ისიც მეტად დაგვიანებულ კორესპონდენციას. ხელოვნების ჟურნალი ასეთი უბრალო კორესპონდენციებით და ინფორმაციებით არ უნდა ჰკვებავდეს თავის მკითხველებს. ასეთ დიად და მრავალმეტყველ მოვლენას იგი უფრო სერიოზულად უნდა ეხმაურებოდეს.

დ. ჯანელიძის წერილი „თანამედროვეობა დრამატურგიასა და თეატრში“ ეხება ჩვენი სათეატრო ცხოვრების საჭირბოროტო საკითხს და ძირითადად კონკრეტული შინაარსის შემცველია, თუმცა კრიტიკის დარგის შესახებ ავტორი ზოგადად მსჯელობს. იგი სწერს: „უთუოდ ცუდია და უნდა უკუვაგდოთ კრიტიკისათვის ყოვლად შეუფერებელი ქცევა, როდესაც ავტორთან მორიდების საბაბით ვაქებთ უვარგის ნაწარმოებს ან ვდუმვართ, და გუნებაში კი ამას ვამბობთ: კარგი არა გვეთქმის რა და ცუდით კი ავტორს არ ვაწყენინებო“. მკითხველი ასეთი მსჯელობის შემდეგ სამართლიანად მოელოდა ამგვარი კრიტიკის შემთხვევების აღნიშვნას, მაგრამ ამაოდ. წერილის ავტორს იმისთვის არ უნდა მიებაძა, რასაც სხვებს უწუნებს. თვითონ მაინც არ უნდა მორიდებოდა ასეთ კრიტიკოსებს და მათი ნაკლი კონკრეტული ფაქტებით უნდა ემხილებინა.

შ. ბუაჩიძის წერილი „კონკურსი საუკეთესო პიესაზე“ კონკურსის შედეგების შესახებ საინფორმაციო წერილია და კონკურსზე წარდგენილ და გამარჯვებულ პიესებს გაკვრით ეხება.

ლ. დონაძის რეცენზია კომპოზიტორ ა. ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩაღზე“ საკმაოდ დასაბუთებული შეფასებაა ოპერისა.

გრ. ჩხიკვაძის „ქართული მუსიკა“ ქართული მუსიკის ისტორიის მოკლე ნარკვევს წარმოადგენს. სარეცენზიო ნომერში მოთავსებულია ამ ნარკვევის მეორე წერილი, სადაც ავტორი მსჯელობს მსოფლიო სამუსიკო კულტურასა, ხალხური სიმღერების სტრუქტურასა და მათ მუსიკალურ და ტექსტუალურ შინაარსზე.

დ. ერისთავის გარდაცვალებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავად ჟურნალში დაბეჭდილია გ. ბუხნიკაშვილის მიერ დაწერილი დრამატურგის მოკლე ბიოგრაფია. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დავით ერისთავის მიერ გადმოკეთებულ პიესას „სამშობ-

ლოს“ და იმ აურზაურს, რომელიც მის დადგმას მოჰყვა. საჭირო იყო, რუსული ტექსტები ავტორს ეთარგმნა ან თავისი სიტყვით გადმოეცა, თორემ წერილი ციტატებით ძალზე აჭრელებულია და თითქმის აღარ სტოვებს ქართულ ენაზე დაწერილი წერილის შთაბეჭდილებას.

პროვინციის თეატრების დადგმებიდან განხილულია მხოლოდ გორის თეატრის სპექტაკლი „პატარა კახი“. რეცენზია ზოგადი ფრაზებით არის შედგენილი და მასში არ არის სპექტაკლის ანალიზი.

ან ღვინიაშვილი თავის წერილში „ქაჯანა“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში“ შორიდან უვლის მსჯელობის ობიექტს. ნ. ლომოურის მოთხრობის პიესად გადამკეთებელს სწორი გეზი აუღია და წერილის ავტორი უსაფუძვლოდ ედავება მას.

ჟურნალი ძალიან მკრთალად და სუსტად გამოეხმაურა დიდი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის დაბადების ასი წლისთავს. დაგვიანებული მშრალი ინფორმაცია იუბილეზე და შ. ალხაზიშვილის პრიმიტიული კომენტარი იაკობ გოგებაშვილის მიერ ხელოვნების შესახებ დაწერილ წერილებზე არ შეიძლება ამ დიდი თარიღის სერიოზულ გამოხმაურებად ჩაითვალოს. ალხაზიშვილი სრულებითაც ვერ სწვდება იაკობ გოგებაშვილის მსოფლმხედველობას, მისი ესთეტიკის სიღრმეს.

ჟურნალში მოთავსებულია ძველი ქრონიკა: ოქტომბრის ქრონიკა იანვარში, მეტი რომ არა ვსთქვათ, უხალისოდ იკითხება. როდესაც ჟურნალი 2-3 თვის დაგვიანებით გამოდის, ყოველდღიური ქრონიკის ბეჭდვას აზრი აღარა აქვს.

საერთოდ ჟურნალის ეს ნომერი სუსტად არის შედგენილი. ხელოვნების საკითხებზე უფრო მეტად დასაბუთებული და სერიოზული წერილები უნდა იბეჭდებოდეს. გარეგნულადაც სარეცენზიო ნომერი ჩვეულებრივზე ცუდადაა გაფორმებული.

გ. მებუკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მესხი — „მოგონებანი“.

„ფედერაცია“. 1940.

„... ჩემი მოგონებანი მეტნაწილად ოთხმოციანი წლიდან ჩვენი მწერლობისა და თეატრის ვითარებას შეეხება. ცალმხრივ მას ბიოგრაფიული სახეც ექნება, იმდენად, რამდენადაც ამ საქმეს კავშირი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. გზადაგზა, რასაკვირველია, ვეცდები — ამ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენანი აღუნუსხავი არ დამრჩეს“. სარეცენზიო წიგნი მთლიანად ამართლებს ავტორის მიერ დასახულ ამ ამოცანას.

დავით მესხის ეს შესანიშნავი წიგნი თავისებური მატიანეა ოთხმოციანი წლების ქართული თეატრისა და ჟურნალისტიკის. ავტორი იყო თანამედროვე ქართული მწერლობის კორიფეების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ყაზბეგისა და სხვა იმდროინდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ქართული პერიოდიკის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეების, როგორიც იყვნენ ი. მაჩაბელი, ს. მესხი და სხვანი. ზოგიერთ მათგანთან დ. მესხს ახლო ნათესაობაც ჰქონდა, ხოლო ბევრის პირადი მეგობარიც იყო.

„მოგონებანი“ იწყება სიმონ მესხის (დ. მესხის მამა) მრავალრიცხოვან ოჯახის წევრთა მოკლე დახასიათებით. ეს ოჯახი მართლაც ბედნიერი ოჯახი იყო. ბევრმა მისმა წევრმა თავისი კვალი დასტოვა მეცხრამეტე საუკუნის ქართული კულტურის განვითარებაში. სიმონ მესხის ცამეტი შვილიდან თითქმის ყველამ თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა უდიდესი როლი ითამაშა ქართული პერიოდული პრესის (ს. მესხი) და თეატრის (კოტე და ეფემია მესხი) აღორძინებაში. კერძოდ, დიდია ამ ოჯახის დამსახურება ქართული თეატრის წინაშე. გარდა კოტე და ეფემია მესხისა, სერგეი მესხის ოჯახთან მჭიდრო ნათესაობით იყვნენ დაკავშირებულნი ქართული თეატრის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც არიან კოტე მარჯანიშვილი, ნუცა ჩხეიძე და ვერიკო ანჯაფარიძე.

ეს „მოგონებები“ ბევრ საინტერესო მასალას იძლევა ქართული თეატრის ისტორიისათვის. კოტე და ეფემია მესხების თეატრი „მოგონების“ ავტორის თვალწინ, მისი უშუალო მონაწილეობით დაიბადა და დავაჟკაცდა. მკითხველში პატივისცემის უდიდეს გრძნობას იწვევს ქართული თეატრის ქურუმების თავგანწირული ბრძოლა, ერთის მხრივ, უსახსრობისა, ხოლო მეორეს მხრივ — თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. ეს ის დრო იყო, როცა „სკოლებიდან ექსორია ქმნილმა ქართულმა ენამ ბინა მოიძია“ და ეს ბინა ქართული თეატრი იყო.

განსაკუთრებით საინტერესოა „მოგონებების“ ის ნაწილი, რომელიც „დროებასა“ და მისი თანამშრომლების, ქართველი მწერლებისადმია მიძღვნილი.

მკითხველის მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება ჩვენი მწერლობისა და პერიოდიკის მესვეურების ცხოვრების ბევრი საინტერესო დეტალი.

„დროების“ უახლოესი თანამშრომელი აკაკი წერეთელი ამ გაზეთის რედაქციის ხშირი და საყვარელი სტუმარი ყოფილა. მას ბევრი ღამე რედაქციაში გაუტარებია. „დროება“, რომელიც სერგეი მესხის თავდადებული მზრუნველობით ძლივს იდგა ფეხზე (სერგეი მესხმა საკუთარი მამული დააგირავა გაზეთის ვალში), მძიმე მატერიალურ სიეიწროვეს განიცდიდა, მას არა ჰქონდა ავტორებისთვის ჰონორარის გადახდის საშუალება.

„— ამ ერთი მანეთის მეტი არაა რედაქციაში, შემოგფიცავ, აკაკი! და მანეთიანი გაეუწოდე, მოგვითხრობს დ. მესხი.

— დაჯერდება... მეც უნდა დაგჯერდე, მეტი რა გზაა?! — და ამოიღო, წაგვიკითხა „არაბი ფაშა“, საუცხოო ლექსი, აჯანყებული აბაშელების სარდალზე დაწერილი, აღტაცებით მოვისმინეთ. პეტრე უმიკაშვილმა სთქვა:

— ყმაწვილებო, ქართული მწერლობის მომავალმა მემატიანემ, დეე, გულის ტკივილით მოიხსენიოს ის ფაქტი, რომ საქართველოს უწარჩინებულეს მგოსანს აკაკის ერთად-ერთი ქართული გაზეთის რედაქციამ ერთი მანეთი მისცა ისეთს ლექსში, როგორიც „არაბი ფაშაა“.

— დეე ისიც მოიხსენოს იმ მემატიანემ, რომ ამ რედაქციის ოთხი თანამშრომელი იმ ერთი მანეთის იმედით იყო და დღეს უსადილოდ დარჩებიანო, — დასძინა ილია ხოსელმა" (გვ. 85).

„მოგონებებში" გაკვრით არის მოთხრობილი ილიასა და ვანო მაჩაბლის უერთიერთობაზე. ილია პირველი დამფასებელი იყო ვანო მაჩაბლის ნიჭისა და, [illegible] მასთან უთანხმოებისა, მისდამი პატივისცემა ბოლომდის შერჩა.

„როცა „დროება" აკრძალეს და ვანოს დიდი ვალი დაატყდა თავს, ილიამ ტფილისში ქართველ მოღვაწეთა მეთაურებს თავი მოუყარა და გამოუცხადა, რომ გაზეთის ვალებით ერთი ადამიანი არ უნდა დაიჩაგროსო. ჩვენი მოვალეობაა, შემწეობა აღმოვუჩინოთ მას, რომ საზოგადო საქმისათვის მომხდარი ზარალი საზოგადოებამვე აანაზღაუროსო", გადმოგვცემს დ. მესხი.

„მოგონებებში" მოკლედ, მაგრამ შესანიშნავადაა მოთხრობილი ალ. ყაზბეგის მუშაობაზე; ალ. ყაზბეგი მაშინ „დროების" თანამშრომელი იყო.

რუსიფიკატორული პოლიტიკის აუტანლობაზე, სკოლაში აღზრდის უკულმართულ სისტემაზე, ცენზურის თავაშვებულებაზე ბევრი რამ არის საყურადღებო ნათქვამი დ. მესხის „მოგონებებში".

წიგნი დაწერილია კარგი ქართული ენით, უპრეტენზიოდ. ავტორი ცოტას ლაპარაკობს საკუთარ თავზე, და თავის შესახებ მხოლოდ იმდენად გვესაუბრება, რამდენადაც სხვა მისი დიდი თანამედროვეების შესახები მოთხრობა მოითხოვს მისი პიროვნების გამოჩენას. ამ მხრივ იგი ზოგჯერ მეტისმეტ თავაზიანობასაც იჩენს, ზედმეტად იხდის ბოდიშს.

გვინდა ზოგიერთი რამ შევნიშნოთ ავტორს.

ვერ დავეთანხმებით დ. მესხს, თითქოს ილიას საგაზეთო ენა მოიმძიმებდეს და რომ ქართული საგაზეთო ენა მხოლოდ იმერლების შექმნილია. ილიას შესანიშნავი ფელეტონები, მისი მეთაურები და „სხარტულები" საგაზეთო ენის მხრივაც დიდხანს დარჩებიან კლასიკურ ნიმუშებად.

ზედმეტად და უადგილოდ მიგვაჩნია აკაკის ხუმრობის დაბეჭდვა ჩხიკვაძისა და ნესტორ მესხის გამასხარების გამო. არ შეიძლება დიდი კაცის ყოველი ოხუნჯობა იბეჭდებოდეს, თუ კი მას რაიმე ახალი შტრიხი არ შეაქვს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაში, ან თუ ისინი რითიმე დამახასიათებელნი არ არიან. ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ყოვლად გაუმართლებელ, უცენზურო ანეკდოტთან.

საერთოდ კი წიგნი ძვირფასი შენაძენია ქართულ მემუარულ ლიტერატურისათვის.

რ. მდივანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია

ნაკვეთი I. დოცენტ გ. აბზიანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით.

უახლოესი წარსულის საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლა და, საერთოდ, ყოველგვარი სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა ძალიან გაძნელებული იყო ჩვენში ბიბლიოგრაფიის საქმის სრული მოუწესრიგებლობით. ქართულ ლიტერატურას დღემდე არ გააჩნდა ბიბლიოგრაფია და მწერალი თუ მეცნიერი ამა თუ იმ მოვლენის შესასწავლად იძულებული ხდებოდა ჩვენს დაულაგებელ არქივებში უამრავი დრო დაეკარგა. ბიბლიოგრაფიის საქმეს უკანასკნელ ხანებში ჩვენშიც დიდი ყურადღება მიექცა და ამ მხრივ დიდ სასარგებლო და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი, წიგნის პალატა და კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. საჯარო ბიბლიოთეკამ ამ რამდენიმე ხნის წინად გამოსცა ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის პირველი ნაკვეთი, საკმაოდ მოზრდილი ტომის სახით, იგი მოიცავს 1852—1877 წლებს, ესე იგი 25 წლის მანძილს. არსებითად ჩვენი პერიოდიკის სათავე ებჯინება 1852 წელს, როდესაც ჟურნალი „ცისკარი" დაარსდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 30-იანი წლების „თბილისის უწყებებს", რომელიც მეტად ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოდიოდა.

ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია წარმოადგენს მეცნიერულ საფუძვლებზე შედგენილ ბიბლიოგრაფიის პირველ ცდას ქართულ ლიტერატურაში. მის შემდგენლებს, როგორც სჩანს, დიდი შრომა გაუწევიათ ამ მეტად საჭირო, სასარგებლო და აუცილებელი შრომის შედგენაზე. ის უადვილებს ყოველ მწერალს, მკითხველსა და მეცნიერ მუშაკს უახლოესი წარსულის საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლას და მისი ცალკე მხარეებისა და ეპიზოდების გაცნობას. შრომა თემების მიხედვით დაყოფილია ოც თავად და შეიცავს შემდეგ დარგებს: ფილოსოფიას, ეთიკას, ისტორიას, რელიგიას, ენათმეცნიერებას, ეთნოგრაფიას, ქალთა საკითხს, გეოგრაფია-დემოგრაფია-სოციოგრაფიას, ეკონომიკას, ჟურნალისტიკა-შინაურ მიმოხილვებს, ეროვნულ საკითხს, იმიგრაციას, სამართალს, ადმინისტრაცია-ადგილობრივ მართველობას, სამხედრო საქმეს, განათლებას, ხელოვნებას, ლიტერატურათმცოდნეობა-მხატვრულ ლიტერატურას, ბიბლიოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას, ტექნიკას, სოფლის მეურნეობა-ბეითლობა-შინამეურნეობას, მედიცინას, ნარევს. ამ სასარგებლო ნაშრომს დართული აქვს თ. მაჭავარიანის რედაქციით შედგენილი პირთა სახელების საძიებელი, გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი, განყოფილებათა ანბანური საძიებელი, რედაქციების, დაწესებულებებისა და საზოგადოებების საძიებელი, აწერილი მასალის საძიებელი.

სარეცენზიო წიგნს, როგორც ამას წინასიტყვაობის ავტორი აღნიშნავს, ახლად შეჰყავს სამეცნიერო ორბიტში შრომებისა და ლიტერატურული ფაქტების დიდი რიცხვი. მაგალითად, აღმოჩნდა პუშკინის ლექსების აქამდე სრულიად უცნობი ახალი თარგმანი, ლევ ტოლსტოის მოთხრობათა ახალი თარგმანი, გოეთეს „ეგმონტის" და ჰიუგოს „საბრალონის" თარგმანი. პირველი ერთსა და იმავე დროს უთარგმნია გ. ბუდაგოვს და გ. წერეთელს და მეორე ასევე გ. დიდებულიძეს და გ. ჩიქოვანს.

განსაკუთრებით კარგად არის შედგენილი და დიდი ინტერესით იკითხება ხელოვნების, ლიტერატურათმცოდნეობისა და მხატვრული ლიტერატურის დარგები. აქ თქვენს თვალწინ იშლება მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის დიდი იალბუზების—ილიას, აკაკის, გ. წერეთლის და სხვათა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა და მათი თანდათანი ზრდა. ეს წიგნი განსაკუთრებით დიდ და ძვირფას სამსახურს გაუწევს ყველა იმას, ვინც ქართული ლიტერატურის ისტორიის შედგენაზე მუშაობს.

სარეცენზიო წიგნი არა ნაკლებ ძვირფასია მწერალთათვის, განსაკუთრებით იმ მწერალთათვის, რომლებიც წარსულის თემაზე მუშაობენ. წარსულს აქვს თავისი ენა, სტილი, და მწერალი კარგად უნდა იცნობდეს ამას, რომ მათი ასახვა რეალური, დამაჯერებელი იყოს. წიგნში გახსნილია მრავალი ლიტერატურული ფსევდონიმი აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭა-

ვაძისა, ანტონ ფურცელაძისა და სხვებისა. ამ მხრივ წიგნის შემდგენელთა მუშაობა ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. ბევრი ინიციალი და ფსევდონიმი გაუხსნელია. იქნებ ყველა ინიციალისა და ფსევდონიმის გახსნა შეუძლებელია, მაგრამ, ვფიქრობთ, საერთოდ შრომის გაწევით ამ მხრივ უფრო მეტის გაკეთება მოხერხდებოდა. მათ ამ საქმეში არ უსარგებლნიათ იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკით და მისი თანამშრომლობით, რევოლუციის მუზეუმისა და წიგნის პალატის ნამუშევრით. შემდეგ, გამოცემაში, განსაკუთრებით მეორე ნაკვეთის შედგენის დროს ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

წიგნის ნაკლად ისიც ჩაითვლება, რომ მას დართული არა აქვს ავტორთა ბიოგრაფიული და გამოცემათა და კრებულთა ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი. ეს მასობრივ მკითხველს და დაინტერესებულ პირებს უფრო გაუადვილებდა ამ წიგნით სარგებლობას.

ავტორებისა და სტატიების სახელწოდების განსხვავებული ასოებით დაბეჭდვა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა და სტამბაში შრიფტების უქონლობით თავის გამართლება აქ მოსატანი არ არის. ჩვენი სტამბები არც ისე ღარიბი არიან შრიფტით.

რედაქტორთან და წინასიტყვაობის ავტორთან ერთად ჩვენც დარწმუნებული ვართ, რომ წინამდებარე შრომა ხელს შეუწყობს ჩვენი წარსული ცხოვრების, ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლის საქმეს.

ბიბლიოგრაფიის შედგენის დასრულების შემდეგ შევუდგებით ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის და ქართულ ფსევდონიმების გამოცემაზე მუშაობასო, სწერს რედაქტორი, ასეთი მუშაობის გაწევა ჩვენის აზრით საჭირო იყო ამ შრომის შედგენის პროცესში, რადგან ის განუყრელი ნაწილია ამ საქმისა. მკითხველმა ავტორთა ლექსიკონი და ფსევდონიმის გახსნა აქვე უნდა ნახოს და არა რამდენიმე წლის შემდეგ ცალკე გამოცემებში.

მიმოხილველი

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
მხატვრული ლიტერატურა	
სიმონ ჩიქოვანი — ლექსები	3
დავით სულიაშვილი — ბავშობა (მოთხრობა)	20
ვლადიმერ სულაბერიძე — თეთრი თავსახვევი (ლექსი)	48
დემნა შენგელაია — შთაგონება (რომანი. დასასრული)	49
უიარალო — მაძიებელნი (პირველი ნაწილის დასასრული)	94
ბენჟამენ კონსტან — ადოლფი (დასასრული. თარგმანი ფრანგულიდან ქეთევან ირემაძისა)	142
პუბლიცისტიკა	
შ. ბურკაძე — ამხანაგ სტალინის ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ	179
ბიბლიოგრაფია	
გ. ნ. — ალექსანდრე გომიაშვილი — „დარიალი“	196
მკითხველი — ვიქტორ გაბესკირია — „ლექსები“	199
დემნა შენგელაია — აკაკი ბელიაშვილი — „მოთხრობები“	201
გ. მებუკე — „საბჭოთა ხელოვნება“ № 10	203
რ. მდივანი — დავით მესხი — „მოგონებანი“	205
მიმომხილველი — ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია	207

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/II-41 წ. ᲣᲔ5676. ანაწყობის ზომა 7×12. ქაღალდის ზომა 70×108. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50688. საავტორო ფორმათა რაოდენობა=15,88. სტამბის შეკვეთის № 2261. ტირაჟი 3400.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, ჟორესის ქ. № 5.

ფასი 2 მ. 50 კ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ